ABA Rule of Law Initiative

სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის სასამართლო შნარ-ჩვევებში



ბაძიეხებული სნავლების პროგრამა

DEPARTMENT OF STATE
UNITED STATES OF AMERICA
E PLURIBUS UNUM





სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის სასამართლო შნარ-ჩვევებში

გაძლიერებული სწავლების პროგრამა





გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2012

© ამერიკის იურისტთა ასოციაცია

ISBN 9941-10-524-1

2010 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ქმნის შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ სისტემას.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (INL) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით ეხმარება საქართველოს მოქალაქეებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში და სხვა პროგრამების პარალელურად, ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე დაყრდნობით, ახორციელებს სპეციალურ გაძლიერებული სწავლების პროგრამას სასამართლო უნარ-ჩვევებში საქართველოს ადვოკატებისათვის.

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (INL) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. მოცემული სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოში მოღვაწე ადვოკატებისათვის. სახელმძღვანელოს მომზადება, რედაქტირება და ქართულ ენაზე თარგმნა შესაძლებელი გახდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის თანამშრომლების დიდი ძალისხმევითა და თავდაუზოგავი მუშაობით. სახელმძღვანელოს შექმნისათვის გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა საქართველოს ოფისის შემდეგ თანამშრომლებს:

მამუკა მამაცაშვილს (სისხლის სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი);
მედეა მათიაშვილს (უფროსი იურისტი);
ანა ლორიას (იურისტი);
გიორგი ამაშუკელს (იურისტი);
დავით ებრალიძეს (იურისტი);
თეა ჭელიძეს (ფინანსური მენეჯერი);
მაკა ცინაძეს (პროგრამის თანაშემწე);
ლალი ღვალაძეს (პროგრამის თანაშემწე);
დავით საცერაძეს (ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი);
მირიან ჩიხლაძეს (მძღოლი);
ანანო ბერიძეს (მთარგმნელი);
დენიელ ლინდჰარტს (სპეციალისტი).

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი სახელმძღვანელოს შექმნისას გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას უხდის შემდეგ პირებსა და ორგანიზაციებს: ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ჯონ ბასს. ასევე: რობ ბუნს, ქორინ სმიტს, ირინა პარშიკოვას, კრისტი კონტაკტს, მერი გრიერს, პროფესორ თომას რ. ოკონორს, მაიკ ტერნერს, სესილ ს. კუჰნეს III, მარკ კამერონს, ლორა მალენასს, ჯარედ კიმბოლს, დევიდ დევილერსს, დანა სოიერს-ფორდამს, ნატა წნორიაშვილს, გვანცა საურს, სკოტ ტორფს, კიმ ტერნერს, ჯუდით კემბელს, რეიჩელ ჰოლცმანს, სტეინ ლორდსს,

თია შვარცმანს, ჯონათან რეპინგს, სტივენ ლუბეტს, სკოტ ბარნსს, აშშ ეროვნულ საოლქო პროკურორთა ასოციაციას, კოლუმბიის ოლქის იურიდიული დახმარების ოფისს, დენის მერფს, ნიუ იორკის იურიდიული დამხმარების საზოგადოებას, სტეფან რენჩს, ჯეფრი ტ. ფრედერიკს, უატანი ტიეჰიმბას, ამერიკის სამართლის ინსტიტუტს და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (INL).

რონალდ უოლფსონი

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს სამხარეო დირექტორი.

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (INL) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. სახელმძღვანელო არ გამოხატავს „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის ან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (INL) მოსაზრებებს.

In October 1, 2010 Georgia's new Criminal Procedure Code (CPC) took effect. The Code creates a new adversarial system.

The American Bar Association Rule of Law Initiative (ABA ROLI) in Georgia with assistance and funding provided by the United States Department of State Bureau for Law Enforcement and Narcotics Affairs (INL) is working to help the citizens of Georgia have access to Justice under the new law and among its other programs has created a program for defense attorneys in Georgia in advanced trial advocacy skills based on the new Criminal Procedure Code.

This Manual was created by ABA ROLI Georgia with funding from The Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL) for the use of Defense Attorneys. To the extent reasonably possible at the time of its printing, Georgian law and practice has been taken into consideration. The materials in this manual have been edited and modified by the ABA ROLI Georgia for translation into the Georgian Language.

This Manual was assembled, edited or created by the dedicated staff members of ABA ROLI Georgia who worked diligently and long hours to create it.

Mamuka Mamatsashvili, Supervising Senior Staff Attorney
Medea Matiashvili, Senior Staff Attorney
Ana Loria, Staff Attorney
George Amashukeli, Staff Attorney
David Ebralidze, Staff Attorney
Tea Chelidze, Office/Financial Manager
Maka Tsinadze, Program Assistant
Lali Ghvaladze, Program Assistant
David Satseradze, Information Technology Specialist
Mirian Chikhladze, Driver
Anano Beridze, Translator
Daniel Linhardt, Legal Specialist

ABA ROLI Georgia also thanks the following persons and organizations for helping to make this Manual possible: The U.S. Ambassador to Georgia John R. Bass, Rob Boone, Corinne Smith, Irina Parshikova, Kristi Kontak, Mary Greer, Dr. Thomas R. O'Connor, Mike Turner, Cecil C. Kuhne III, Mark Cameron, Laura Malenas, Jared Kimball, David DeVillers, Dana Sawyers-Fordham, Nata Tsnoriashvili, Gvantsa Sauri, Scott Thorpe, Kim Turner, Judith Campbell, Rachel Holtzman, Stein Lourdes, Tia Schwartzman, Jonathan Rapping Steven Lubet, Scott Burns, The National District Attorneys Association, The California District Attorneys Association, The Public Defender's Office of the District of Columbia, Dennis Murphy, the Legal Aid Society of New York, Stephen Rench, Jeffrey T. Frederick, Watani Tyehimba, American Law Institute and The Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL).

Ronald A. Wolfson
Country Director, American Bar Association Rule of Law Initiative, Georgia

© American Bar Association

This publication is provided by the American Bar Association Rule of Law Initiative (ABA ROL Initiative) Georgia through support and funds provided by the Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL). The opinions expressed herein are not necessarily those of the American Bar Association Rule of Law Initiative (ABA ROL Initiative) or the Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL).

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ მადლობას უხდის დენიელ ლინჰარდტს. სტატია: „სასამართლო უნარ-ჩვევები“ მომზადებულია დენიელ ლინჰარდტის მიერ, „ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ საქართველოს ოფისისათვის. რედაქტირება და თარგმანი განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი მადლობას უხდის ბატონ ჯონათან რეპინგს, იურიდიული დახმარების სასწავლო ცენტრის სამხრეთის ოფისი; იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო პროგრამების (ცენტრის) ყოფილ დირექტორს (კოლუმბიის ოლქი), ნიუ ორლეანსი, ჯორჯიის შტატი. მისი სტატიები: „ფაქტების ბრეინსთორმინგი, საქმის თეორიის შემუშავება და ამბის ჩამოყალიბება სასამართლო პროცესზე ეფექტური პრეზენტაციისთვის,“ „კლიენტთან ურთიერთობის დამყარება” და „მოწმის ჩვენების მოპოვება”, წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოყენებული იქნა ბატონი ჯონათან რეპინგის ნებართვით. რედაქტირება და თარგმანი განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ მადლობას უხდის ამერიკის სამართლის ინსტიტუტს. კლიენტის გამოკითხვისათვის გამოსაყენებელი კითხვების საკონტროლო ჩამონათვალის გამოყენების უფლების მინიჭებისათვის მადლობას ვუხდით ამერიკის სამართლის ინსტიტუტს. ტექსტის შესწორება და ქართულ ენაზე თარგმნა უზრუნველყო „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისმა.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი მადლობას უხდის ბატონ უატანი ტიეჰიმბას (სერტიფიცირებული უშიშროების სპეციალისტი და დაცვის მხარის სისხლის სამართლის საქმეთა გამომძიებელი), წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოყენებული მისი სტატიის: „მოწმის გამოკითხვა,” მოწოდებისათვის. ნაშრომი რედაქტირებული და მოდიფიცირებულია „ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ ქართულ ენაზე.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი მადლობას უხდის კალიფორნიის საოლქო პროკურორთა ასოციაციას და საოლქო პროკურორის მოადგილეს ბატონ რონალდ ი. ბოუერსს, წინამდებარე სახელმძღვანელოს ქვეთავში - „უნარ-ჩვევები პრეზენტაციისათვის, სასამართლო დარბაზის ტექნიკური აღჭურვილობა და ვიზუალური ეფექტი“ გამოყენებული მასალის (ვიზუალური ეფექტები პროკურორებისათვის, რონალდ ი. ბოუერსი; აშშ, 2001) მოწოდებისათვის.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი ასევე მადლობას უხდის NITA-ს და ბატონ სტივენ ლუბეტს მისივე ავტორობით მომზადებული წიგნიდან „თანამედროვე სასამართლო ადვოკატირება“ გარკვეული ნაწილების გამოყენების ნებართვისათვის. წიგნი გამოცემულია სამართლის სკოლის მიერ, სასამართლო ადვოკატირების ეროვნული ინსტიტუტის მიერ 2000 წელს აშშ-ში და

მითითებულია შესაბამისი შენიშვნები. აღნიშნული მასალის რედაქტირება და თარგმანი განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ.

„ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი მადლობას უხდის სტეფენ რენჩს – მოსამართლეთა სახელმძღვანელოს ავტორს, რომლის ნებართვითაც ვიყენებთ წინამდებარე მასალას. ნაშრომი რედაქტირებული და მოდიფიცირებულია „ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ ქართულ ენაზე.

„ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი მადლობას უხდის ვაშინგტონის საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს, ქვეთავში - „ბრალდებულის უფლებების დაცვა სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას“ გამოყენებული მასალის მოწოდებისათვის. რედაქტირება და თარგმანი განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ.

ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების შერჩევა – „შერჩევის სხდომა და ნაფიცი მსაჯულების შერჩევა“ შესწორდა და ქართულ ენაზე ითარგმნა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ, საქართველოში მოღვაწე ადვოკატებისათვის. ტექსტი ამოღებულია ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ გამოცემული ჯეფრი თ. ფრედერიკის წიგნიდან „შერჩევის სხდომა“. საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2011). თარგმანი, გამოცემა და გავრცელება განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ. თარგმნის საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას, (აშშ. 2012). ყველა საავტორო უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის ტექსტის ნაწილობრივი, ან მთლიანი შეცვლა ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლებებისა და გარიგებების განყოფილების წერილობითი თანხმობის გარეშე; მისამართი; 321 North Clark Street, Chicago, Illinois 60654, USA; ელ. ფოსტა: copyright@abanet.org

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ მადლობას უხდის ჯეფრი თ. ფრედერიკს. ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების შერჩევის სხდომის კითხვები ამოღებულია ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ გამოცემული ჯეფრი თ. ფრედერიკის წიგნიდან „შერჩევის სხდომა“. საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2011). თარგმანის საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2012). ყველა საავტორო უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის ტექსტის ნაწილობრივი, ან მთლიანი შეცვლა ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლებებისა და გარიგებების განყოფილების წერილობითი თანხმობის გარეშე; მისამართი; 321 North Clark Street, Chicago, Illinois 60654, USA; ელ. ფოსტა: copyright@abanet.org

სხდომის თავმჯდომარის სანიმუშო განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის ამოღებული იქნა ნაშრომიდან „სახელმძღვანელო ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის,'' რომელიც გამოიცემულია ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA/ROLI) საქართველოს ოფისის სისხლის სამართლის

პროგრამის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკოტიკებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმეთა სახელმწიფო ბიუროს (INL) ფინანსური მხარდაჭერით; 2010 წელი; საქართველო; ნაშრომში მოცემულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო ინფორმაცია და ინსტრუქციები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მონაწილეთათვის. გამოცემაში არ არის შესული ამერიკის იურისტთა ასოციაციისა (ABA/ROLI) და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკოტიკებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმეთა სახელმწიფო ბიუროს (INL) მოსაზრებები.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ მადლობას უხდის სესილ კუჰნე III-ს. მოცემული მასალა გამოყენებულია სესილ კუჰნე III-ს (ჩეცილ ჩ. უჰნე III) სახელმძღვანელოდან „პროცესის მონაწილეთა სახელმძღვანელო ექსპერტი მოწმეების თაობაზე, „ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლება, 2006. ეს მასალები გამოყენებულია ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლებებისა და გარიგებების განყოფილების ნებართვით, მისამართი: copyright@ abanet.org. იგი შეიქმნა პირველწყაროს რედაქტირებისა და გადამუშავების შედეგად, ქართულ კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და ქართულად თარგმანისთვის ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA ROLI) მიერ და ეს ცვლილებები არ ასახავს პირველწყაროს ავტორის, სესილ კუჰნე III-ის და არც ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოსაზრებებს. წინამდებარე მასალა მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკებისა და სამართალდამცავი ორგანოების საკითხთა ბიუროს (INL) დაფინანსებით.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ მადლობას უხდის პეტერ მ. თიერსმანს. ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციების მომზადება – რედაქტირება და თარგმნა განახორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ. წარმოდგენილი ტექსტი პირველად დაიბეჭდა სამართლებრივი წერის ჟურნალში „სქრაიბს“ და ქართულად თარგმნის შემდეგ გამოიცა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ. ტექსტის ავტორია პეტერ მ. თიერსმანი და მისი თავდაპირველი სახელწოდებაა „ნაფიც მსაჯულებთან ურთიერთობა: როგორ შევადგინოთ ნაფიც მსაჯულებისათვის მარტივად გასაგები მითითებები“, შტატის სასამართლოების ეროვნული ცენტრი, Williamsburg, VA, 2006 [originally published in 10 Scribes J. Legal Writing 1 (2005_2006)].

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ მადლობას უხდის მაიკლ დ. უიმსს, ჯეკ ბ. რაბინს და ჩარლზ ამბროსს. „როგორ გამოვიძიოთ მკვლელობის საქმე“, მაიკლ დ. უიმსი, ჯეკ ბ. რაბინი და ჩარლზ ამბროსი, პირველად გამოიცა ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ. საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2011). თარგმანი, გამოცემა და გავრცელება განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ. თარგმნის საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2012). ყველა საავტორო უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის ტექსტის ნაწილობრივი, ან მთლიანი შეცვლა ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლებებისა და გარიგებების განყოფილების წერილობითი თანხმობის გარეშე; მისამართი; 321 North Clark Street, Chicago, Illinois 60654, USA; ელ. ფოსტა: copyright@abanet.org

ABA ROLI Georgia would like to thank Mr. Daniel Lindhart; Article on “Trail Advocacy Skills” was created by Daniel Linhardt for use by ABA ROLI and was edited and translated into the Georgian language by ABA ROLI Georgia for use by defense attorneys in Georgia.

ABA ROLI Georgia thanks Mr. Jonathan Rapping, Southern Public Defender Training Center; Former Director of Training for the Public Defender Service (D.C.), New Orleans (post-Katrina), State of Georgia. His articles:“Brainstorming the Facts, Developing a Case Theory, and Creating a Story for an Effective Presentation at Trial,” “Building the relationship wih your client” and “Taking a witness statement” are used in the manual by permission from Jonathan Rapping and edited and translated into the Georgian language by ABA ROLI Georgia.

Client Interview Checklist is used with thanks to the American Law Institute and edited and translated into the Georgian Language for use by lawyers in Georgia by the ABA ROLI Georgia.

ABA ROLI Georgia thanks Mr. Watani Tyehimba, CPP, CCDI, for permission to use his article on “Witness Interviews” in this manual. The article was edited and translated into the Georgian language by ABA ROLI Georgia.

ABA ROLI Georgia also thanks NITA and Mr. Steven Lubet for the sections used from Modern Trial Advocacy by Steven Lubet, Law school edition, National Institute for Trial Advocacy, 2000, USA, which are attributed and footnoted.

ABA ROLI Georgia Thanks Mr. Stephen C. Rench for permission to use his section on Voir Dire/ Jury Selection from The Rench Book by Stephen C. Rench, which was edited and translated to be used by defense attorneys in Georgia.

ABA ROLI Georgia also thanks California District Attorneys Association and Mr. Ronald E. Bowers for the sections used from Visual Aids for Prosecutors by Ronald E. Bowers; USA, 2001. Materials were edited and translated into the Georgian language by ABA ROLI Georgia.

ABA ROLI Georgia would like to thank Public Defender’s office of Washington D.C. for the materials used in the section about “How to protect defendant’s rights during the Trial” which was edited and translated to be used by defense attorneys in Georgia.

Jury Selection _ `Mastering Voir Dire and Jury Selection is edited and translated into the Georgian language by ABA ROLI Georgia for use by lawyers in Georgia from `Mastering Voir Dire~ by Jeffrey T. Frederick originally published by the American Bar Association. Copyright (US) 2011 American Bar Association. Translated, published and distributed under the American

Bar Association Rule of Law Initiative-Georgia. Translation Copyright (US) 2012 American Bar Association. All Rights Reserved. The contents of this publication may not be reproduced, in whole or in part, without written permission of the American Bar Association, Manager of Copyrights and Licensing, 321 North Clark Street, Chicago, Illinois 60654, USA; e-mail: copyright@abanet.org

Voir Dire Questions: edited and translated into the Georgian language by ABA ROLI Georgia for use by lawyers in Georgia. From `Mastering Voir Dire~ by Jeffrey T. Frederick originally published by the American Bar Association. Copyright (US) 2011 American Bar Association. Translated, published and distributed under the American Bar Association Rule of Law Initiative-Georgia. Translation Copyright (US) 2012 American Bar Association. All Rights Reserved. The contents of this publication may not be reproduced, in whole or in part, without written permission of the American Bar Association, Manager of Copyrights and Licensing, 321 North Clark Street, Chicago, Illinois 60654, USA; e-mail: copyright@abanet.org

Presiding Judge's Sample instructions for Jury Trial, was originally published in the Guidelines for Judges for Jury Trials - The Bench Book by ABA ROLI Georgia, with assistance and funding provided by the United States Department of State Bureau for Law Enforcement and Narcotics Affairs (INL); 2010, Georgia. The work was originally written by the working group created for this specific reason within the Supreme Court of Georgia. There are no opinions of American Bar Association Rule of Law Initiative (ABA ROL Initiative) or the Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL) contained herein.

"A Litigator's Guide to Expert Witnesses" by Cecil C. Kuhne III originally published by the American Bar Association. Copyright (US) 2006 American Bar Association. Translated, published and distributed under the American Bar Association Rule of Law Initiative-Georgia. Translation Copyright (US) 2010 American Bar Association. All Rights Reserved. The contents of this publication may not be reproduced, in whole or in part, without written permission of the American Bar Association, Manager of Copyrights and Licensing, 321 North Clark Street, Chicago, Illinois 60654, USA; e-mail: copyright@abanet.org

Writing Jury Instructions: Edited and translated by The ABA ROLI Georgia for use by Georgian lawyers. This manuscript was originally published in The Scribes Journal of Legal Writing and is reprinted with changes made by ABA ROLI Georgia to make it more understandable to lawyers in Georgia and has been translated into the Georgian language. The original author is Peter M. Tiersma, and the original title is Communicating with Juries: How to Draft More

Understandable Jury Instructions, National Center for State Courts, Williamsburg, VA, 2006 [originally published in 10 Scribes J. Legal Writing 1 (2005_2006)].

Sections from "How to Try a Murder Case" by Michael D. Wims, Jack B. Rubin, and Charles Ambrose originally published by the American Bar Association. Copyright (US) 2011 American Bar Association. Translated, published and distributed under the American Bar Association Rule of Law Initiative-Georgia. Translation Copyright (US) 2012 American Bar Association. All Rights Reserved. The contents of this publication may not be reproduced, in whole or in part, without written permission of the American Bar Association, Manager of Copyrights and Licensing, 321 North Clark Street, Chicago, Illinois 60654, USA; e-mail: copyright@abanet.org

სარჩევი

შესავალი 15

საქმის მომზადება სასამართლო პროცესის დაწყებამდე 17

საქმის ანალიზი **21**

ფაქტებისა და კანონმდებლობის ანალიზი 24

სასამართლო პროცესისთვის სარწმუნო ამბის მომზადება.

საქმის თეორიის განვითარება. მტკიცებულებების შეფასება 29

წინასასამართლო შუამდგომლობების სტრატეგიული გამოყენება 38

დასკვნა 39

ადვოკატის და კლიენტის ურთიერთობები. კლიენტის გამოკითხვის სპეციფიკა 41

კლიენტთან ურთიერთობის დამყარება 42

კლიენტის გამოკითხვისას გამოსაყენებელი კითხვების

საკონტროლო ჩამონათვალი 48

მოწმის გამოკითხვა **57**

მოწმის ჩვენების მოპოვება 68

მოწმის მომზადების საკონტროლო ჩამონათვალი **75**

ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები **77**

ზოგადი პრინციპები ნათელი კომუნიკაციისათვის 79

ნაფიცი მსაჯულებისათვის ინსტრუქციების შედგენის კონკრეტული პრინციპები ... **93**

სხდომის თავმჯდომარის სანიმუშო განმარტებები

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი **99**

სხდომის თავმჯდომარის სანიმუშო განმარტებები

ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე **104**

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში საქართველოს

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით **107**

ნაფიც მსაჯულთა ეფექტური შერჩევა 112

ნაფიცმ საჯულთა არავერბალური კომუნიკაციის შესწავლა 138

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს გასათვალისწინებელი ზოგიერთი საკითხი 160

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა (მკვლელობის საქმეზე) **166**

სამოდელო კითხვები სისხლის სამართლის საქმეზე
ნაფიც მსაჯულთა შერჩევისას 168
შესავალი სიტყვა 193
შესავალი სიტყვა (მკვლელობის საქმეზე) 198
ნივთიერი მტკიცებულება 205
პირდაპირი დაკითხვა 220
მნიშვნელოვანი საკითხები ექსპერტის მოწმედ მოწვევის თაობაზე 230
ჯვარედინი დაკითხვა 243
იმპიჩმენტი 256
ექსპერტი მოწმის ჯვარედინი დაკითხვა 261
სასამართლო განხილვა (მკვლელობის საქმეზე) 274
დასკვნითი სიტყვა 280
დასკვნითი სიტყვა (მკვლელობის საქმეზე) 288
პროტესტი 292
ბრალდებულის უფლებების დაცვა სისხლის სამართლის
საქმის სასამართლო განხილვისას 304
უნარ-ჩვევები პრეზენტაციისათვის, სასამართლო დარბაზის ტექნიკური
აღჭურვილობა და ვიზუალური ეფექტი 333
საპროცესო შეთანხმება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო
კოდექსის მიხედვით. 355
დასკვნითი შენიშვნები 363

შესავალი[1]

2009 წლის 9 ოქტომბერს, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებით, საქართველოში შემოვიდა შეჯიბრებითობის სისტემა სისხლის სამართლის საქმეებზე. იურისტებისათვის ეს უდიდეს ცვლილებასა და გამოწვევას წარმოადგენს. სასამართლო პროცესებზე მოსამართლეები აღარ გამოაქვეყნებენ მტკიცებულებებს და დაჰკითხავენ მოწმეებს. ახლა უკვე პროკურორის/ადვოკატის საქმეა წარმოადგინოს თავისი საქმე და დაჰკითხოს მოწმეები. თუ პროკურორი/ადვოკატი თავის საქმეს თავს ვერ გაართმევს, მტკიცებულებები და ჩვენება ვერასდროს მივა მოსამართლემდე ან ნაფიც მსაჯულებამდე, რომლებმაც საქმე უნდა გადაწყვიტონ. ახლა ტვირთი მთლიანად მხარეებზეა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ, რომ მათი შუამდგომლობების მხარდამჭერი მტკიცებულებები მოსამართლემდე ან ნაფიც მსაჯულებამდე მივიდეს. მათ ასევე უნდა შეძლონ, რომ არასასურველი მტკიცებულებები არ იყოს განხილული. ამ მიზეზთა გამო უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ პროკურორებმა/ადვოკატებმა გაიგონ და მაღალ დონეზე დაეუფლონ შეჯიბრებითობის სისტემას.

შეჯიბრებითობის სისტემის ფარგლებში თითოეული მხარე წარმოადგენს მტკიცებულებებს, რომლებიც, მათი აზრით, მათ პოზიციებს გაამყარებს. არსებობს გარკვეული თანმიმდევრობა, რომელიც ამ პროცესში დაცული უნდა იყოს. გარდა ამისა, არსებობს წესები, რომლებიც არეგულირებს, თუ რა შეუძლია და რა არ შეუძლია გააკეთოს პროკურორმა/ადვოკატმა. ეს წესები იმისთვის შეიქმნა, რომ პროკურორებს/ადვოკატებს ჰქონოდათ სახელმძღვანელო პრინციპები თავისი საქმეების წარმოდგენისას. ამ წესებისა და მისი გამოყენების პრინციპის გაგება წარმოადგენს პირველ ნაბიჯს შეჯიბრებითობის სისტემაში ეფექტურ პროკურორად/ადვოკატად ჩამოყალიბებისათვის.

სასამართლო უნარ-ჩვევები პროცესის ხუთ არსებით ფაზას მოიცავს: ნაფიც მსაჯულთა შერჩევა (**Voir Dire**), შესავალი სიტყვა, პირდაპირი დაკითხვა, ჯვარედინი დაკითხვა და დასკვნითი სიტყვა.

საქმის წარმატებულად წარმოდგენისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მხარის მიერ თითოეული ფაზის სწორი განხორციელების მეთოდის ცოდნას. მას შემდეგ, რაც პროკურორი/ადვოკატი გაიგებს და დაეუფლება სასამართლო პროცესის სხვადასხვა ფაზას, იგი შეძლებს ისეთი პრეზენტაციის გაკეთებას, რომელიც ნაფიც მსაჯულებს / მოსამართლეს დაარწმუნებს მისი საქმის სისწორეში და განაწყობს მისი ან მისი კლიენტის სასარგებლოდ. სასამართლო უნარ-ჩვევების სწავლის პროცესი ნებისმიერი სხვა უნარ-ჩვევის შეძენას ჰგავს, როგორიცაა, მაგალითად, ფეხბურთის თამაშის სწავლა. პიროვნებამ თავდაპირველად ფეხბურთის წესები უნდა ისწავლოს და მხოლოდ ამ წესების შესწავლისა და ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ შეიძლება იგი წარმატებული მოთამაშე გახდეს. ეს არ არის პროცესი, სადაც ადამიანი წესებს სწავლობს და შემდეგ უბრალოდ ამ წესებით ფიქრის გარეშე მოქმედებს. სასამართლო უნარ-ჩვევები შემოქმედებითი პროცესია. ამ წესების ფარგლებში წარმატებულმა პროკურორმა/ადვოკატმა ისე უნდა წარმოაჩინოს თავისი პრეზენტაცია, რომ ის საქმეში არსებულ ფაქტებსა და შესაბამის კანონებს მოერგოს. პროკურორს/ადვოკატს ჭეშმარიტი პროფესიონალის სტატუსი ენიჭება მხოლოდ წლების პრაქტიკისა და უამრავი სასამართლო პროცესის

[1] მომზადებულია დენიელ ლინჰარდტის მიერ „ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ საქართველოს ოფისისათვის. რედაქტირება და თარგმანი განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ.

ჩატარების შემდეგ, სადაც ხდება ნასწავლი უნარ-ჩვევების დახვეწა და განვითარება.

ქვემოთ მოცემული მასალა მოიცავს ძირითად ინფორმაციას სასამართლო პროცესის ხუთი ფაზისა და მათი განხორციელების ტექნიკის შესახებ. როგორც ნებისმიერი უნარ-ჩვევის შესწავლის შემთხვევაში, წინამდებარე სახელმძღვანელოს მკითხველებს მოვუწოდებთ მოიძიონ სხვა წყაროები და დამატებითი მასალა, რომელიც მათ წარმატებულ პროკურორებად/ადვოკატებად ჩამოყალიბებაში დაეხმარება. ასევე აღსანიშნავია, რომ მოცემული მასალა საქართველოში 2011 წელს არსებულ მდგომარეობას უკავშირდება, სადაც საქმეთა უმრავლესობას კვლავაც მოსამართლე იხილავს საქმეთა ერთი კატეგორიის გარდა – დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის საქმე შესაძლოა ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ თბილისში. არცთუ შორეულ მომავალში ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის საქმეების დამატებით კატეგორიებსაც განიხილავენ. მართალია, ამ სახელმძღვანელოში მოცემული მრავალი უნარ-ჩვევა როგორც მოსამართლის, ისე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ჩატარებულ სასამართლო პროცესებზე გამოიყენება, მაგრამ არსებობს არსებითი განსხვავება, თუ როგორ უნდა იყოს საქმე ნაფიცი მსაჯულებისა და მოსამართლის წინაშე წარდგენილი.

სასამართლო პროცესის მოგების ან წაგების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ერთი სიტყვით შეიძლება გამოიხატოს: მომზადება, მომზადება, მომზადება. მას ალტერნატივა არ აქვს. საქმის მოგება პროცესის მიმდინარეობისას ძალზედ იშვიათია, ის – პროცესამდეა მოგებული ან წაგებული. ეს არის საკითხი, რომლის მნიშვნელობის დაკნინება შეუძლებელია და რომელსაც თითოეულ ქვეთავში კვლავაც და კვლავაც მივუბრუნდებით. სასამართლო პროცესამდე, მომზადების ეტაპზე თქვენ აყალიბებთ შესავალ სიტყვას, ატარებთ გამოძიებას, არჩევთ მოწმეებს და ამზადებთ ამ მოწმეებს სასამართლო პროცესისთვის. ასევე, თქვენ განსაზღვრავთ და ამზადებთ იმ ნივთიერ მტკიცებულებებს, ცხრილებსა და სხვა დამხმარე საშუალებებს, რომლებსაც პროცესის მიმდინარეობისას გამოიყენებთ. გარდა ამისა, თქვენ ემზადებით მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების ჯვარედინი დაკითხვისთვის. ყველა წარმატებული ადვოკატი გირჩევთ – მომზადება სასამართლო პროცესზე წარმატების საწინდარია.

საქმის მომზადება სასამართლო პროცესის დაწყებამდე

როგორც ამ სახელმძღვანელოს წინა თავში იყო აღნიშნული, ყველაზე ხშირად საქმე იქამდე არის მოგებული ან წაგებული, სანამ პროკურორი/ადვოკატი სასამართლო დარბაზში ფეხს შეადგამს. საქმეთა მოგება სასამართლო პროცესის დაწყებამდე მომზადებისას ხდება. არსებობს გარკვეული ქმედებები, რომლებიც თითოეულმა პროკურორმა/ადვოკატმა თავისი შესავალი სიტყვის დაგეგმვამდე უნდა განახორციელოს.

სასამართლო პროცესამდე მხარეთა მიერ მტკიცებულებათა გაცვლა

პროკურორისათვის/ადვოკატისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პროცესამდე მტკიცებულებების გაცვლის შედეგად მტკიცებულებების მოპოვებას. მტკიცებულებების გაცვლის მთლიანი პროცესი სასამართლოს ყველა სტადიაზე პირდაპირ გავლენას იქონიებს. მაგალითად, პროკურორმა/ადვოკატმა შეიძლება გაიგოს, რომ მას სჭირდება მეტი ადამიანის დაკითხვა იმაში დასარწმუნებლად, შესაძლებელია თუ არა მოწინააღმდეგე მხარის მოწმესთან დაპირისპირება. მართლაც, ადვოკატმა შეიძლება გაიგოს, რომ საქმის მისეული თეორია აღარ არის ლოგიკური იმ ჩვენების ან დოკუმენტური მტკიცებულებების ფონზე, რომლებიც გაცვლის სტადიაზე იყო მოპოვებული. ამდენად, მხარე ვერ ჩამოაყალიბებს შესავალ სიტყვას იმის ცოდნის გარეშე, თუ რომელ მიმართულებას აირჩევს მოწინააღმდეგე მხარე და რომელი საპასუხო არგუმენტების გამოყენება გახდება საჭირო.

პირდაპირ დაკითხვასთან მიმართებაში მხარემ შესაძლოა ისურვოს არა მხოლოდ ახალი მოწმეების დაკითხვა, არამედ გარკვეული სამეცნიერო ცდების ჩატარებაც. მან შესაძლოა ისურვოს, რომ მისი მოწმეების პირდაპირმა დაკითხვებმა მოიცვას გარკვეული ფაქტები, რომლებიც სხვაგვარად მისთვის არ იქნებოდა რელევანტური. ჯვარედინი დაკითხვისას პროკურორმა/ადვოკატმა უნდა იცოდეს არა მხოლოდ ის, თუ რას იტყვის მოწმე განსხვავებული ჩვენების მიცემისას, არამედ ისიც, თუ რას იტყვიან მოწინააღმდეგე მხარის სხვა პოტენციური მოწმეები. შესაძლებელია დადგინდეს ინტერესთა კონფლიქტი მოწინააღმდეგე მხარის მოწმეებს შორის, რომელიც ყველა მათგანის ჩვენებას დაასუსტებს. მხარემ ასევე შეიძლება მოიპოვოს დოკუმენტური მტკიცებულებები, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების „იმპიჩმენტისათვის“ იქნება გამოყენებული.

დაბოლოს, დასკვნითი სიტყვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოხდება სასამართლო პროცესის დროს. პროცესისთვის მზადებისას მხარემ უნდა წარმოიდგინოს, თუ როგორი იქნება მისი დასკვნითი სიტყვა და საქმისადმი მიდგომაც შესაბამისად დაგეგმოს. მტკიცებულებათა გაცვლის გარეშე შეუძლებელია, რომ პროკურორმა/ადვოკატმა თავისი დასკვნითი სიტყვა ადეკვატურად დაგეგმოს.

დანაშაულის ადგილის მონახულება

არსებობს დანაშაულთა კატეგორიები, რომელთა შემთხვევაშიც მხარემ დანაშაულის ჩადენის ადგილი პირადად უნდა მოინახულოს. ეს არის დანაშაულები, სადაც მოწმის მიერ აღქმული მოვლენის შემოწმება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. მათ შორისაა ისეთი დანაშაულები, როგორიცაა მკვლელობა, ყაჩაღობა, ფიზიკური

შეურაცხყოფა, ცეცხლის წაკიდება და სხვა. ამ დანაშაულებს შორის, სავარაუდოდ, ვერ იქნება გაფლანგვა, თაღლითობა და საგადასახადო საქმეები, სადაც ადგილი ვერ ექნება მოწმის მიერ ბრალდებულის ამოცნობასა და დანაშაულის ჩადენის კონკრეტული ადგილის აღწერას. დანაშაულის ჩადენის ადგილის მონახულებას ალტერნატივა არ აქვს. როგორ კარგადაც არ უნდა აღწეროს ვინმემ ეს ადგილი ან როგორი კარგი ფოტოებიც არ უნდა არსებობდეს საქმეში, არსებობს გარკვეული ნივთები ან კავშირი ასეთ ნივთებს შორის, რომლებსაც მხარე მხოლოდ დანაშაულის ადგილის დათვალიერებისას ნახავს. ეს ნივთები ფასდაუდებელია და მათი აღმოჩენაც ადგილის პირადად გამოძიების შედეგად ხდება. ეს მხარეს დაეხმარება ჩამოაყალიბოს დამატებითი კითხვები თავისი (პირდაპირ დაკითხვაზე) და მოწინააღმდეგე მხარის (ჯვარედინ დაკითხვაზე) მოწმეებისთვის. დანაშაულის ჩადენის ადგილი დანაშაულის ჩადენიდან უმოკლეს დროში უნდა იყოს დათვალიერებული, რადგან ვითარება შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, ხეები გაკრიჭონ ან მოჭრან, შეცვალონ შენობების ფასადი, განათება და სხვა. მხარემ უნდა ნახოს დანაშაულის ჩადენის ისეთი ადგილი, რომელიც თავდაპირველ მდგომარეობასთან მაქსიმალურად იქნება მიახლოებული.

როდის უნდა იყოს დანაშაულის ადგილი მონახულებული

მოინახულეთ ადგილი დღის იმავე დროს, როდესაც დანაშაული მოხდა. თუ ადგილის მონახულება თვეების შემდეგ ხდება, ამოარჩიეთ დრო, რომელიც დანაშაულის ჩადენისას განათების პირობებთან იქნება მიახლოებული. მაგალითად, თუ დანაშაული მზის ჩასვლამდე ნახევარი საათით ადრე მოხდა, მოინახულეთ ადგილი მზის ჩასვლამდე ნახევარი საათით ადრე, მიუხედავად იმისა, რომ საათი დანაშაულის ჩადენისგან განსხვავებულ დროს გიჩვენებთ. ამ დროს გაითვალისწინეთ, რომ თვეების შემდეგ მზის მდებარეობაც განსხვავებული იქნება მზის ჩასვლამდე ნახევარი საათით ადრე. ამ განსხვავების გასაგებად ასტრონომიული მონაცემები შეამოწმეთ.

თუ საქმე იმას შეეხება, თუ რა გაიგონა მოწმემ, გადამწყვეტია დანაშაულის ჩადენის ადგილის მონახულების დრო და არა – განათების პირობები. მხარემ უნდა იცოდეს, თუ როგორი იყო იმ დროს და იმ ადგილას ხმაურის დონე. მაგალითად, თუ შემთხვევა მოხდა დეკემბერში, 16:00 საათზე, განათების ფაქტორს აქ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ამ დროს გადამწყვეტია ხმაური მოძრავი მანქანების რაოდენობისა და სიხშირის გათვალისწინებით. ასევე, თუ შემთხვევა 23:00 საათზე მოხდა და დანაშაულის ადგილი სკოლასთან ახლოსაა, ამ დროისათვის გარეთ მოთამაშე ბავშვების ხმაურის დონე ძალზე განსხვავებული იქნება 14:00 საათისაგან, რადგან ამ დროისათვის გაკვეთილები უკვე დასრულებულია. ანალოგიურად, ადამიანების, მანქანების, სატვირთო მანქანებისა და ავტობუსების რაოდენობაც, რომელმაც შესაძლოა მოწმის მხედველობის არეს შეუშალოს ხელი, დღის კონკრეტულ მონაკვეთთან ერთად იცვლება.

შეეცადეთ დანაშაულის ჩადენის ადგილი იმავე ამინდში მოინახულოთ. ამას შესაძლოა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ დანაშაულის ჩადენის დროს წვიმდა ან თოვდა, რასაც მოწმის მხედველობაზე ან სმენაზე შესაძლოა გავლენა მოეხდინა.

რა უნდა იქონიოთ თან

თან იქონიეთ ფოტოაპარატი. გადაიღეთ სურათები იმ ადგილიდან, სადაც მოწმეები

იყვნენ და საიდანაც, მათი განცხადებით, დანაშაულის ჩადენა დაინახეს. ფოტოაპარატი თვალის დონეზე განათავსეთ და სიმაღლე შეძლებისდაგვარად სხვადასხვა მოწმის თვალის დონის მიხედვით ცვალეთ. თქვენთან ერთად ვინმე წაიყვანეთ, რადგან, მაგალითად, დაცვის მხარის მიერ საქმის გამოძიებისას ადვოკატი მოწმედ ვერ გადაიქცევა. თუ მოწმის „იმპიჩმენტის“ მიზნით საჭირო გახდება ფოტოს გამოყენება ან დანაშაულის ჩადენის ადგილის უკეთ წარმოჩენა, ადვოკატი დაცვის მხრიდან მოწმედ ვერ გამოვა. ამისათვის ადვოკატმა უნდა შეარჩიოს ისეთი პიროვნება, რომელიც ჩვენების მიცემისას არ დაიბნევა და რომელიც კარგ და სანდომიან მოწმედ წარდგება. გარდა ამას, თან იქონიეთ საზომი ხელსაწყოები, როგორიცაა მეტრიანი, წამზომი და ნებისმიერი რამ, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სივრცის, დროის ან დისტანციის ასაზომად იქნება აუცილებელი.

რა უნდა გააკეთოთ

ფოტო(ები) იმ ადგილიდან უნდა იყოს გადაღებული, საიდანაც მოწმე/ები იდგა/იდგნენ. თუ საქმეში ბევრი მოწმეა, მაშინ ეს პროცედურა უნდა განმეორდეს თითოეული მოწმის მხედველობის წერტილიდან. იმ შემთხვევაში, თუ მოწმემ ბრალდებული დანაშაულის ჩადენის ადგილის მიტოვებისას დაინახა, მაშინ ფოტოებზე უნდა აისახოს მთლიანი ადგილი, რომელშიც თითქოსდა ბრალდებული მოძრაობდა. თუ საქმეში ბევრი მოწმეა, მაშინ ეს პროცედურა თითოეული მოწმის მხედველობის არეალის გათვალისწინებით უნდა განმეორდეს. ამის შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს გარკვეული საგნები, რომლებიც მოწმეს ბრალდებულის დანახვაში ხელს უშლიდა და რომლებიც, შესაბამისად, იმ დროის მონაკვეთს ამცირებდა, როდესაც მოწმე ბრალდებულს ხედავდა.

დანაშაულის ჩადენის ადგილი დიაგრამაზე უნდა აისახოს. ამისათვის საჭიროა, რომ მხარეს თან ჰქონდეს საზომი ხელსაწყოები, რათა ნებისმიერი გაზომვა ზუსტად განხორციელდეს. მაგალითად, დაცვის მხარის მიერ გამოძიების წარმოებისას ადვოკატის დამხმარე პიროვნება, რომელიც პოტენციური მოწმეა, აზომვას უნდა ახორციელებდეს, თუმცა ადვოკატმა ზედამხედველობა უნდა გაუწიოს პროცესს და უზრუნველყოს აზომვების სიზუსტე. აზომვები უნდა განხორციელდეს იმ ადგილებიდან, სადაც მოწმეთა განცხადებით მათ დანაშაულის ჩადენის ფაქტი დაინახეს. ადგილზე დიაგრამის მონახაზი უნდა გაკეთდეს. მოგვიანებით დასრულებული სახით და შესაბამისი მასშტაბის დიაგრამა უნდა დამზადდეს. ის შეიძლება გამოყენებული იყოს მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების ჯვარედინი დაკითხვის დროს ან ადვოკატის მოწმის ჩვენების მხარდასაჭერად, თუ ამ პიროვნების ჩვენება აუცილებელია მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების ჩვენებების დასაპირისპირებლად. დარწმუნდით, რომ პროცესზე გამოყენებული დიაგრამა და ყველა ფოტო დაშვებული იყოს მტკიცებულებად, რათა გადაწყვეტილებაზე მსჯელობისას ისინი სათანადოდ გაითვალისწინონ.

თუ მოქმედება განგრძობადი ხასიათის იყო, მაშინ უნდა მოხდეს მოქმედების ინსცენირება, რათა გაირკვეს, თუ რამდენი დრო გავიდა. მაგალითად, თუ მოწმემ განაცხადა, რომ დაინახა, თუ როგორ მირბოდა ბრალდებული კორპუსისკენ და შემდეგ კუთხის მიღმა გაუჩინარდა, უნდა მოხდეს ამ გარბენის ინსცენირება და წამზომზე ათვლა. წამზომი უნდა ეჭიროს პიროვნებას, რომელიც სასამართლო პროცესზე მისცემს შესაბამის ჩვენებას დროის იმ მონაკვეთთან დაკავშირებით, როდესაც ბრალდებული

თითქოსდა დანაშაულის ჩადენის ადგილას გამოჩნდა და შემდეგ გაუჩინარდა. ეს ასევე ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მამაკაცი გამოჩნდა, დაზარალებულს ესროლა და შემდეგ ადგილი მიატოვა ან ნებისმიერ დანაშაულს, რომელთან მიმართებაშიც ასეთი აზომვები რელევანტურია. პროკურორმა/ადვოკატმა უნდა იცოდეს, რამდენი დრო ჰქონდა მოწმეს, რათა დანაშაულის ჩადენის ადგილისთვის თვალი ედევნებინა. დროის მთლიან მონაკვეთს პროკურორმა/ადვოკატმა ის დრო უნდა გამოაკლოს, როდესაც მოწმის მხედველობის არე დაფარული იყო. საკმაოდ ხშირად მოწმეები ფიქრობენ, რომ მათ გაცილებით მეტი დრო ჰქონდათ თვალის დევნებისთვის, ვიდრე ეს სინამდვილეში იყო, და ამიტომ მხარემ უნდა წარმოაჩინოს, რომ დროის მონაკვეთი მართლაც მცირე იყო, რაც ეჭვქვეშ დააყენებს მოწმის მიერ ბრალდებულის ამოცნობის დამაჯერებლობას.

საქმის ანალიზი[2]

შესავალი

სასამართლო პროცესები იმიტომ ტარდება, რომ მხარეებს მიეცეთ საშუალება დაარწმუნონ მოსამართლე ან ნაფიცი მსაჯულები მათ მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების ჭეშმარიტებაში. ამ პროცესს სხვაგვარად ამბის გადმოცემა შეიძლება ეწოდოს. პროცესის თითოეულ მხარეს საშუალება აქვს გადმოსცეს ამბავი ისეთი საშუალებების მეშვეობით, როგორიცაა ნაფიცი მსაჯულებისთვის მიმართვა, პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა და მტკიცებულებების წარმოდგენა. ამბის გადმოცემის პროცედურა რეგულირდება სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობით. ჩვენ ძალიან ხშირად მხარის პროფესიონალიზმს სასამართლო დარბაზში გამოვლენილ უნარ-ჩვევებთან ვაიგივებთ. მაგალითად, სასამართლო პროცესზე ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ადვოკატს, რომელიც გამანადგურებელ ჯვარედინ დაკითხვას აწარმოებს და გვჯერა, რომ ჩვენც შეგვიძლია ვიყოთ ძლიერი ადვოკატები, თუ მოწმეების ჯვარედინი დაკითხვის ტექნიკას ვისწავლით. ჩვენ ვუყურებთ პროკურორს, რომელიც მომნუსხველ დასკვნით სიტყვას წარმოთქვამს და ვფიქრობთ, რომ ანალოგიური ორატორული უნარ-ჩვევების განვითარებით ჩვენც არანაკლებ წარმატებული პროკურორი ვიქნებოდით. მაგრამ ის, რასაც ჩვენ დარბაზში ვერ ვხედავთ, არის მომზადება, რომელიც ასეთ ეფექტურ წარმოდგენას შესაძლებელს ხდის. ხშირ შემთხვევაში პროკურორის/ადვოკატის პრეზენტაცია გვაფიქრებინებს, თითქოს ყველაფერი უნარ-ჩვევებზე და არა მოსამზადებელ სამუშაოზე იყოს დამოკიდებული, მაგრამ, ცხადია, ეს ასე არ არის.

უნარ-ჩვევები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. ამიტომაც საუკეთესო პროკურორები/ადვოკატები ყოველთვის მზად არიან შეისწავლონ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის, შესავალი სიტყვების წარმოთქმის, პირდაპირ დაკითხვაზე მტკიცებულებების წარმოდგენის, ჯვარედინ დაკითხვაზე მოწმეების განადგურებისა და დასკვნითი სიტყვის დროს ნაფიცი მსაჯულების დარწმუნების ახალი მეთოდები. თუმცა, მხოლოდ უნარებით სასამართლო დარბაზში ეფექტურ პრეზენტაციას ვერ წარმოვთქვამთ. როგორც სასამართლოს წინაშე გამომსვლელ პროკურორებს/ადვოკატებს, ჩვენ უნდა შეგვეძლოს სცენარის დაწერა, პრეზენტაციის მომზადება და ეფექტური წარმოდგენა.

„მოქმედება“ იმ მომენტიდან იწყება, როდესაც ნაფიცი მსაჯულები მათი შერჩევის დროს თვალს პირველად შეგვავლებენ.[3] ის გრძელდება მაშინაც, როდესაც ჩვენს საქმეს შესავალ სიტყვაში გადმოვცემთ, ჯვარედინად ვკითხავთ მოწმეებს,

---

[2] „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ **(ABA ROLI)** საქართველოს ოფისი მადლობას უხდის იურიდიული დახმარების სასწავლო ცენტრის სამხრეთის ოფისის წარმომადგენელს ბ-ნ ჯონ რეპინგს, წინამდებარე ქვეთავში გამოყენებული მასალის მოწოდებისათვის (სტატია: *„ფაქტების ბრეინსთორმინგი, საქმის თეორიის შემუშავება და ამბის ჩამოყალიბება სასამართლო პროცესზე ეფექტური პრეზენტაციისთვის*“). „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ **(ABA ROLI)** საქართველოს ოფისი ასევე მადლობას უხდის **NITA**-ს და ბნ. სტივენ ლუბეტს მისივე ავტორობით მომზადებული წიგნიდან „თანამედროვე სასამართლო ადვოკატირება“ გარკვეული ნაწილების გამოყენების ნებართვისათვის. წიგნი გამოცემულია სამართლის სკოლის მიერ, სასამართლო ადვოკატირების ეროვნული ინსტიტუტის მიერ 2000 წელს აშშ-ში და მითითებულია შესაბამისი შენიშვნები.

[3] იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განიხილება, მოქმედება მაშინ იწყება, როდესაც პირველად მოსამართლის წინაშე წარვდგებით. ეს მოსამართლე იქნება ფაქტების გამომკვლევი და წინასასამართლო სტადიაზე ჩვენ მას წარვუდგენთ სხვადასხვა წერილობით დოკუმენტს განხილვისთვის. მოკლედ რომ ვთქვათ, ნებისმიერ დროს, როდესაც ფაქტების მომკვლევთან გვაქვს შეხება, ჩვენ კარგად გააზრებული მიზნის მისაღწევად ვმოქმედებთ.

წარმოვადგენთ მტკიცებულებებს და ვარწმუნებთ აუდიტორიას დასკვნითი სიტყვის მეშვეობით. თუმცა, თითოეული ეს ფაზა ერთიანი თემით უნდა ხელმძღვანელობდეს. ნებისმიერი რამ, რასაც სასამართლო დარბაზში ვაკეთებთ, უნდა ემსახურებოდეს იმ ამბის გონივრულად გადმოცემას, რომელიც ნაფიც მსაჯულებთან შეხვედრამდე ჩამოვაყალიბეთ.

მაგრამ, რას გულისხმობს სასამართლო პროცესის კონტექსტში დამაჯერებელი ამბის გადმოცემა? დამაჯერებელი ამბავი უნდა შეიცავდეს ქვემოთ მოცემულ ყველა ნიშან-თვისებას, ან მათ უმრავლესობას მაინც: (1) ამბავი უნდა ეხებოდეს ადამიანებს და ხსნიდეს მათი ქცევის მიზეზებს; (2) ის აღწერს ან ახსნის ყველა ცნობილ ან უდავო ფაქტს; (3) ამბავს გადმოსცემენ სანდომიანი მოწმეები; (4) ის გამაგრებულია დეტალებით; (5) ის თანხვედრაშია საღ აზრთან და არ შეიცავს დაუჯერებელ ელემენტებს; და (6) ის ორგანიზებულია იმგვარად, რომ თითოეული მომდევნო ფაქტი, წინა ფაქტის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. მეორე მხრივ, დაცვის მხარის ადვოკატებმა ხშირად უნდა გადმოსცენ „საპირისპირო ამბები“, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარის ზემოხსენებულ ფაქტებს გააქარწყლებს. დამაჯერებლობის გარდა, სასამართლო პროცესზე გადმოცემული ამბავი უნდა შეიცავდეს დასაშვებ მტკიცებულებებს და ბრალდების ან დაცვის სამართლებრივად გამართულ პოზიციას.[4]

ახლა შეკითხვა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ ჩამოვაყალიბოთ დამაჯერებელი ამბავი.

ახალი საქმის აღებისას პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, ფაქტების გაანალიზებაა. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ კანონი და საქმეში არსებული ყველა ფაქტი მიუხედავად მათი წარმოშობისა. ფაქტების წყაროებთან დაკავშირებით ნეიტრალობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია, რათა შეცდომით არ შევაფასოთ მტკიცებულებების ხარისხი. ამის შემდეგ ჩვენ უნდა ჩამოვყალიბდეთ, თუ რომელი ფაქტებია ჩვენი საქმისათვის სავარაუდოდ საზიანო და რომელი – სასარგებლო. შემდეგ უნდა ვიფიქროთ ყველა იმ შესაძლებლობაზე, თუ როგორ დავტოვოთ საზიანო ფაქტები მტკიცებულებების მიღმა. ასევე, ჩვენ უნდა ველოდოთ ჩვენთვის სასარგებლო ფაქტების გაპროტესტებას და მოვამზადოთ პასუხები ასეთ პროტესტებზე. ფაქტების ანალიზის პროცესის ბოლოს უნდა ვიფიქროთ ყველა იმ შეკითხვაზე, რომელიც ნაფიც მსაჯულებს შეიძლება მტკიცებულებებთან დაკავშირებით გაუჩნდეთ. იმ შეკითხვებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩვენთვის არასასურველ ფაქტებს ეხება, უნდა გავითვალისწინოთ მოწინააღმდეგე მხარის სავარაუდო პასუხები, ხოლო იმ შეკითხვებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩვენთვის სასურველ ფაქტებს ეხება, ვიფიქროთ, თუ როგორ პასუხებს გავცემდით მათ.

ფაქტების ანალიზის ამ სავარჯიშოს ჩატარების შემდეგ ჩვენი საქმის თეორია უნდა ჩამოვაყალიბოთ. ამ პროცესის პირველი ნაბიჯია ორივე მხარის მიერ მათი ყველა შესაძლო თეორიის იდენტიფიცირება. ეს შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. ამის შემდეგ იფიქრეთ, თუ როგორ ჯდება თითოეული მოწმე და მტკიცებულება დაცვის ამ თეორიაში. მას შემდეგ, რაც თეორიასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულებისთვის სტრატეგიას ჩამოაყალიბებთ, მთლიანი საქმის თეორიაც მზად გექნებათ. შეარჩიეთ ერთ-ერთი. საქმის თეორია სასამართლო პროცესზე თქვენს ნებისმიერ ნაბი-

[4] სტივენ ლიუბე, „თანამედროვე სასამართლო უნარ-ჩვევები“, სამართლის სკოლის გამოცემა, სასამართლო უნარ-ჩვევების განვითარების ეროვნული ინსტიტუტი (NITA), ამერიკის შეერთებული შტატები, 2000 წელი, გვ. 15.

ჯს განსაზღვრავს, მაგალითად, თქვენ მიერ დაყენებულ შუამდგომლობებს, გაკეთებულ განცხადებებს, ჩატარებულ დაკითხვებს და ა.შ.

დაბოლოს, მას შემდეგ, რაც საქმის კონკრეტულ თეორიაზე შეჩერდებით, უნდა ვიფიქროთ ამბის გადმოცემის ყველაზე ეფექტურ გზაზე, რათა ნაფიცი მსაჯულები საქმის ჩვენს თეორიას დაეთანხმონ. თემა, რომელიც მთელ ჩვენს „ამბავში“ იქნება წარმოდგენილი, უნდა იყოს თანმიმდევრული. ჩვენ უნდა ვიფიქროთ შესაბამის მონაწილეებზე და მტკიცებულებებზე, და იმაზე, თუ როგორ განვითარდება ამბავი თითოეულთან მიმართებაში. ჩვენ ასევე უნდა გავაანალიზოთ, თუ როგორ გადმოვცეთ ამბავი თითოეული მონაწილისა და მტკიცებულების შესახებ ისე, რომ ეს თემაში ყველაზე ეფექტურად ჩაჯდეს. მხოლოდ ამის შემდეგ ვართ მზად პრეზენტაციის დასაწყებად. სანამ უფრო დეტალებში განვიხილავთ, თუ როგორ მოვემზადოთ ჩვენი საქმისთვის, ძალიან მოკლედ შევეხოთ ეთიკის საკითხს სისხლის სამართლის საქმეებში. სისხლის სამართალში ბრალმდებელს გარკვეული ეთიკური ვალდებულებები აკისრია, ხოლო დაცვის მხარის ვალდებულებების ნუსხა, ადვოკატს უფრო ფართო მოქმედების დიაპაზონს ანიჭებს.

ბრალმდებელი არა მხოლოდ მხარის წარმომადგენელი, არამედ საჯარო მოხელეცაა. მისი მოვალეობაა დასაჯოს დამნაშავე, და არა უბრალოდ მოიგოს საქმე კლიენტის სასარგებლოდ. ამიტომაც, კონკრეტული თეორიის ეთიკური მხარის განსაზღვრისთვის ბრალმდებელი მხოლოდ „არა ყალბ“ სტანდარტს (არ წარადგინოს ყალბი მტკიცებულებები და კეთილსინდისიერად გაუძღვეს საქმეს) ვერ დაეყრდნობა. პროკურორს პირადად უნდა სჯეროდეს თითოეული საქმის სამართლებრივი საფუძვლიანობის და თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი ბრალდების წაყენებისგან, რომელიც არ არის საკმარისი საფუძვლით გამყარებული.[5]

თავის მხრივ, დაცვის მხარის ადვოკატს ყოველთვის შეუძლია არ აღიაროს დანაშაული და ამით სახელმწიფოს ბრალის გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურების ტვირთი ატარებინოს. დანაშაულის არღიარება არ არის აუცილებელი რაიმე კუთხით იყოს „სიმართლე“, რადგან ეს ბრალდებულის კონსტიტუციური უფლებაა. ბუნებრივია, დაცვის მხარის ადვოკატს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ცრუ ჩვენებები ან ყალბი მტკიცებულებები. თუმცა, მეორე მხრივ, ადვოკატს საერთოდაც არ აკისრია ვალდებულება რაიმე სახის დაცვის წარმოდგენაზე, რადგან იურისდიქციათა უმრავლესობაში (ა.შ.შ.-ს პრაქტიკა) მსჯავრდებისთვის საჭიროა, რომ ბრალდებამ გამორიცხოს ნებისმიერი გონივრული ჰიპოტეზა, რომელიც ბრალთან შეუსაბამოა. ამიტომ, იმდენად, რამდენადაც ადვოკატი ყალბ მტკიცებულებებს ან ცრუ ჩვენებებს არ დაეყრდნობა, მას შეუძლია ბრალდებულის გამართლება მოითხოვოს, ანუ გადმოსცეს ამბავი, რომელიც მხოლოდ უდანაშაულობის „გონივრულ ჰიპოთეზას“ ეყრდნობა.[6]

---

[5] სტივენ ლიუბე, „თანამედროვე სასამართლო უნარ-ჩვევები“, სამართლის სკოლის გამოცემა, სასამართლო უნარ-ჩვევების განვითარების ეროვნული ინსტიტუტი (NITA), ამერიკის შეერთებული შტატები, 2000 წელი, გვ. 22.

[6] იქვე.

ფაქტებისა და კანონმდებლობის ანალიზი

ექსპერტები ზოგადად თანხმდებიან, რომ სასამართლო პროცესების შედეგების დაახლოებით 70% მომზადებისას განისაზღვრება. საგრძნობი უპირატესობა მოიპოვება არა მხოლოდ ფაქტების გაცნობით, არამედ სასამართლო პროცესის მთლიანად დაგეგმვით, ჯერ ზოგადად, ხოლო შემდგომ – დეტალებში. სათანადოდ მომზადება პროკურორის/ადვოკატის ვალდებულებაა. აქედან გამომდინარე, სასამართლო პროცესის გეგმის მომზადება და მის შესაბამისად მოქმედება ერთადერთი გზაა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროცესის თითოეულმა ფაზამ სათანადოდ იმუშაოს მხარის პოზიციის გასამყარებლად.

დასაწყისისთვის, პროკურორმა/ადვოკატმა უნდა გააანალიზოს კანონმდებლობა, რათა იცოდეს, თუ რომელი ელემენტებია საქმეში ჩართული და განსაზღვროს, თუ რისი დამტკიცება შეიძლება ადვილად, რისი უფრო რთულად, და რისი – შეუძლებელი. მაგალითად, დაცვის მხარემ ასევე უნდა იცოდეს შესაძლო სასჯელების ვარიანტები ბრალდების სხვადასხვა პუნქტთან მიმართებაში, რათა საჭიროების შემთხვევაში მართებულად ჩაებას მოლაპარაკებებში საპროცესო შეთანხმების თაობაზე.

კანონმდებლობის მიმოხილვის შემდეგ ფაქტების ანალიზის დაწყების დრო დგება. ფაქტების ანალიზი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. მოდით, ისინი უფრო დეტალებში განვიხილოთ.

ადვოკატთა და პროკურორთა უმრავლესობას შორის ერთ-ერთი არსებითი განსხვავება ის არის, რომ ადვოკატებს აქვთ შესაძლებლობა იფიქრონ ჩარჩოებს მიღმა, ვინაიდან პროკურორები თეორიას საქმის გამოძიების ძალიან ადრეულ ეტაპზე აყალიბებენ.

გამოძიების დასრულებამდე ისინი ჩამოყალიბებულნი არიან დანაშაულის მოტივთან და სხვა არსებით დეტალებთან დაკავშირებით. ისინი ვარაუდობენ, რომ იციან სიმართლე იმის შესახებ, თუ რა მოხდა სინამდვილეში.

ფაქტების შეგროვების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ის არის, რომ ეს ინფორმაციის ნებისმიერი წყაროსადმი მიკერძოების გარეშე უნდა გაკეთდეს. რასაკვირველია, ჩვენ ასეთ მიკერძოებას საქმის თეორიის განვითარებისას გავითვალისწინებთ, მაგრამ ამ ეტაპზე ასეთმა აზროვნებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს ჩვენს უნარს, გავითვალისწინოთ ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი და ის, თუ როგორ ეწერება ეს ფაქტები, საერთო ჯამში, ჩვენი საქმის თეორიაში. მაგალითად, დამწყები ადვოკატი, რომელიც ახალ საქმეზე იწყებს მუშაობას, თავდაპირველად პოლიციის ანგარიშში ასახულ მოვლენათა ვერსიას ეცნობა. ამით ადვოკატი „პროკურორის მახეში“ ებმება, ვარაუდობს რა, რომ ანგარიშის დიდი ნაწილი, თუ სულ არა, სიმართლეა. იგი იწყებს თავის თეორიაზე ფიქრს იმ ვარაუდით, რომ მან უნდა მიიღოს პოლიციის ოფიცრის ნაამბობი იმის შესახებ, თუ რა დაინახა ოფიცერმა, და გაითვალისწინოს თითის ანაბეჭდების ტესტის შედეგები ან ის, თუ რას ფიქრობენ თითქოსდა მიუკერძოებელი მოწმეები მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით. თავის მხრივ, ეს ადვოკატი მაშინვე ვერ შეამჩნევს კლიენტის მიერ მისთვის ნათქვამ პოტენციურად სასარგებლო განცხადებებს ან კლიენტის ოჯახის წევრის მიერ მონათხრობ ამბავს. იგი ავტომატურად დაუშვებს, რომ კლიენტის განცხადებები საკუთარი თავის გადარჩენას ემსახურება ან, რომ ოჯახის წევრისგან მიღებული ინფორმაცია არ არის სანდო, და შედეგად, მათ ერთი

ხელის მოსმით იშორებს თავიდან. ამ გზით გამოუცდელმა ადვოკატმა(ისევე, როგორც პროკურორმა) შესაძლოა შეზღუდოს თავისი შესაძლებლობები განიხილოს საქმის ალტერნატიული თეორიები. არ დაუშვათ, რომ პოლიციის ოფიცრის მონათხრობი აუცილებლად ზუსტია, ან რომ თქვენი კლიენტის დედა მზად არის საკუთარი ვაჟიშვილის გულისთვის იცრუოს.

საქმის ამ ეტაპზე პროკურორმა/ადვოკატმა უნდა განიხილოს პოტენციურად ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მათი წყაროების მიუხედავად. მხარის მიერ შეგროვებული ფაქტების წყაროები შესაძლოა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით: კლიენტები (თუ დაცვის მხარეა), მტკიცებულებების წარდგენის დროს მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, გამოძიება, პოლიციის ანგარიშები, სასამართლო ოქმები, ბრალდების შუამდგომლობები, ა.შ. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ განვიხილოთ ყველა ფაქტი, რომელიც ნაფიცი მსაჯულების წინაშე წარსადგენად გამოდგება. პირველ რიგში უნდა ჩამოვწეროთ ყველა პოტენციურად მნიშვნელოვანი ფაქტი მიუხედავად მათი წყაროებისა. მოგვიანებით ჩვენ განვიხილავთ ამ ფაქტების დასაშვებობას და ამ ინფორმაციის წყაროების პოტენციურ მიკერძოებას.

ამდენად, პროკურორმა/ადვოკატმა ყველა შესაძლო ფაქტი უნდა შეისწავლოს. საილუსტრაციოდ, ოქროს მაძიებელი წყლის ნაკადის ფსკერიდან მასალის ამოსაღებად საცერს იყენებს. იგი საცერს ამოძრავებს, რათა ოქროს ნაწილაკები საცერის ძირში აღმოჩნდეს. იგი ნაწილაკებს ინახავს და დანარჩენს ყრის. რაც უფრო მეტ მასალას ამუშავებს იგი, მით უფრო მეტი ნაწილაკი უგროვდება. რაც უფრო მეტ ფაქტს შეისწავლის პროკურორი/ადვოკატი, მით უფრო მეტი ოქროს მასალის გამოყენებას შეძლებს იგი სასამართლო პროცესზე. უსარგებლო ფაქტებს კი უბრალოდ უგულებელყოფს.

იმის შიში, რომ გაუმჟღავნებელი ფაქტები ყოველთვის მეორე მხარეს წაადგება, მხოლოდ მახეა, რომელიც თავიდან უნდა ავიცილოთ. მაშინაც კი, დაცვის მხარის შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული დამნაშავეა, არსებობს უდანაშაულობაზე მიმანიშნებელი ფაქტები. თქვენ თვითონ ჩაატარეთ გამოძიება: ყურადღებით გადახედეთ პოლიციის ყველა ანგარიშს, გაესაუბრეთ თქვენს კლიენტს და მოწმეებს, მოიპოვეთ მტკიცებულებები, მოინახულეთ დანაშაულის ჩადენის ადგილი (დააკვირდით დამაბრკოლებელ გარემოებებს, განათების პირობებს, ძირითად ნივთებსა და ადგილებს, გადაიღეთ სურათები, შექმენით დიაგრამა, ა.შ.), დეტალებში შეისწავლეთ ნივთიერი მტკიცებულებები და მოწმეთა ჩვენებები, იფიქრეთ პოტენციურ მოწმეებზე, შეისწავლეთ განხორციელებული სატელეფონო ზარები, სამედიცინო ანგარიშები და ა.შ.

ახალ საქმეზე გამოძიების დაწყებამდე გახსოვდეთ, რომ:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მხარეებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები, გარდა გამონაკლისებისა.

კერძოდ, დაცვის მხარე არ არის უფლებამოსილი, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების თაობაზე.

ფაქტების შეგროვების შემდეგ პროკურორმა/ადვოკატმა უნდა დაიწყოს ამ ფაქტების გაანალიზება და იფიქროს, თუ როგორ დატოვოს მისთვის საზიანო ფაქტები მტკიცებულებების მიღმა და როგორ დაუშვას მტკიცებულებებად სასარგებლო ფაქტები.

მტკიცებულებების გამორიცხვის მეთოდის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი ფაქტი, რომელიც მოწინააღმდეგე მხარეს სურს ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენოს, არის სწორედ ის ფაქტი, რომლის საქმეში არარსებობასაც ჩვენ ვისურვებდით. ხშირად ჩვენ ვარწმუნებთ საკუთარ თავს, რომ ფაქტი ჩვენთვის მხოლოდ იმიტომ არის სასარგებლო, რომ ჩვენ ის უკვე საქმის შემადგენელ ნაწილად ჩავთვალეთ და გადავწყვიტეთ, თუ როგორ შემოვატრიალოთ ის ჩვენს სასარგებლოდ. მტკიცებულებების გამორიცხვის სავარჯიშოს განხორციელების მიზნით ჩვენ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენ მიერ აქამდე შეგროვებული ნებისმიერი ფაქტი დასაშვები ან დაუშვებელია. ჩვენ უნდა შევხედოთ, თუ როგორი იქნებოდა საქმე თითოეულ ფაქტთან ერთად და მის გარეშე, და ამის შემდეგ გადავწყვიტოთ, ეს ფაქტი საზიანოა თუ სასარგებლო. იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებსაც საზიანოდ მივიჩნევთ, უნდა მოვიფიქროთ, თუ როგორ დავტოვოთ ისინი საქმის მიღმა. თითოეული ფაქტისთვის, რომელსაც სასარგებლოდ მივიჩნევთ, უნდა შევიმუშაოთ მოწინააღმდეგე მხარის შეტევებისგან მათი დაცვის გზები. შესაძლოა, საბოლოო ჯამში, დავასკვნათ, რომ ზოგიერთი საზიანო ფაქტი ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარება. ამიტომ შეიძლება გადავწყვიტოთ, თუ როგორ მოვექცეთ ასეთ ფაქტებს ჩვენი საქმის თეორიაში მათი ინკორპორირების გზით. თუმცა, ამ სტადიამდე ჯერ არ მივსულვართ.

ამ დრომდე ჩვენ გავითვალისწინეთ ყველა პოტენციურად მნიშვნელოვანი ფაქტი წყაროებისადმი ნეიტრალური მიდგომით. ჩვენი მომდევნო ამოცანაა გადავწყვიტოთ, თუ ამ ფაქტებიდან რომელია საზიანო და რომელი სასარგებლო.[7] ზოგიერთი ფაქტის ზიანი და სარგებლიანობა შესაძლოა დამოკიდებული იყოს საქმის თეორიაზე, რომელსაც, საბოლოო ჯამში, ჩვენ ავირჩევთ. ამ ფაქტებთან მიმართებაში გააანალიზეთ ისინი, როგორც საზიანო და სასარგებლო ფაქტები, რათა შეაფასოთ მათი გავლენა სხვა თეორიების ფარგლებშიც. თითოეული ფაქტის შემთხვევაში, იფიქრეთ, როგორი იქნებოდა თქვენი საქმე მის გარეშე. თუ არ ხართ სრულიად დარწმუნებული, რომ გსურთ ფაქტი ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ, იფიქრეთ ყველა შესაძლო საშუალებაზე, რათა ის მტკიცებულებად არ იქნეს დაშვებული. ამისათვის საჭიროა, რომ შევამოწმოთ მტკიცებულებების დაუშვებლობასთან დაკავშირებული საკითხები და კანონის ან წესების შესაძლო დარღვევები. მაგალითად თუ დაცვის მხარეს წარმოადგენთ, იფიქრეთ შეკითხვებზე, როგორიცაა:

1. ხომ არ იყო მტკიცებულებები უკანონო ჩხრეკის ან ამოღების შედეგად მოპოვებული?

2. ხომ არ არის ჩვენება იძულებით ან ბრალდებულის უფლებების დარღვევის შედეგად მიღებული?

3. თითოეულ ამოცნობასთან მიმართებაში, ხომ არ იყო ეს კონსტიტუციური უფლებების დარღვევის შედეგი ან სხვაგვარად არასანდო?

[7] ცხადია, რომ ზოგიერთ ფაქტზე ჩვენ ხელი საქმეზე მუშაობის დაწყებისთანავე მიგვიწვდება და სხვა მრავალ ფაქტს კი საქმის მიმდინარეობისას მოვიპოვებთ. აქედან გამომდინარე, ამ დოკუმენტში შემოთავაზებული მოდელი არ არის სტატიკური. ჩვენ ეს სავარჯიშო უნდა ვაკეთოთ ნებისმიერ დროს, როდესაც ვიღებთ ახალ ინფორმაციას გამოძიებიდან, მტკიცებულებების გაცვლის პროცესიდან, დაყენებული შუამდგომლობების შედეგად, კლიენტთან გასაუბრებებიდან, ან ნებისმიერი სხვა წყაროსგან. ნებისმიერ დროს, როდესაც საქმეში ახალ ფაქტებს ვაყალიბებთ, ისინი წინამდებარე დოკუმენტის თანახმად უნდა გავაანალიზოთ და შევაფასოთ, თუ როგორ იმოქმედებს ეს ანალიზი ჩვენი საქმის თეორიაზე და, საერთო ჯამში, ამბავზე, რომელსაც სასამართლო პროცესზე წარვადგენთ.

4. არის თუ არა ჩვენება რელევანტური?

5. არის თუ არა ჩვენება უფრო საზიანო, ვიდრე მტკიცებულების ბუნების შემცველი?

6. სარგებლობს თუ არა რომელიმე მოწმე რაიმე პრივილეგიით?

7. ჰქონდა თუ არა ადგილი დარღვევებს მტკიცებულებების გამჟღავნების პროცესის დროს?

8. შესაძლებელია თუ არა „ფაქტის“ წყაროს – მოწმის, დისკრედიტირება მისი არაკომპეტენტურობის, მიკერძოების, და ა.შ. წარმოჩენით?

9. შესაძლებელია თუ არა „ფაქტის“ წარმატებით უარყოფა?

10. შესაძლებელია თუ არა ფაქტის, რომელიც, სავარაუდოდ, ბრალდებას ეხმარება, ისე შემოტრიალება, რომ ის მეორე მხარისთვისაც სასარგებლო აღმოჩნდეს?

11. შესაძლებელია თუ არა სასარგებლო დასკვნების გამოტანა იქ, სადაც, ბრალდების აზრით, მხოლოდ უსარგებლო დასკვნებამდე შეიძლება მივიდეთ?

12. და სხვა.

ცხადია, ეს არ არის ამომწურავი სია, ეს არის უბრალო ნიმუში ზოგიერთი კითხვისა, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ იმ თითოეულ მტკიცებულებასთან მიმართებაში, რომლის დასაშვებ მტკიცებულებათა ნუსხიდან გამორიცხვაც გვსურს.

მტკიცებულებების გამორიცხვის სავარჯიშოს მეორე დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვახდენთ ნებისმიერი პოტენციური პრობლემის იდენტიფიცირებას, რაც შეიძლება სასარგებლო ფაქტების დაშვებას მოჰყვეს. იფიქრეთ შესაძლო პროტესტებზე, რომელიც შეიძლება მოწინააღმდეგე მხარემ წამოაყენოს ჩვენთვის სასარგებლო მტკიცებულებების დაშვების წინააღმდეგ. იფიქრეთ, თუ როგორ უპასუხებდით ამ პროტესტებს, რათა მაქსიმალურად იყოს შესაძლებელი სასურველი მტკიცებულებების დაშვება.

ამ სავარჯიშოს განხორციელების შემდეგ გაცილებით უკეთ გექნებათ გააზრებული ფაქტები, რომლებიც თქვენი საქმისათვის შეიძლება ყველაზე საზიანო იყოს და ამ ფაქტების დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნობის შესაძლებლობაც, ისევე როგორც თქვენთვის სასარგებლო ფაქტები და მათი მტკიცებულებებად დაშვების ალბათობა. მას შემდეგ, რაც მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას დაასრულებთ, უნდა განიხილოთ, თუ რა დატვირთვას მისცემენ ნაფიცი მსაჯულები ამ ფაქტებს და თუ რისი გაკეთება შეგიძლიათ თქვენ მათ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოსახდენად.

ამ ეტაპზე ჩვენ მოვინიშნეთ საქმის ყველა პოტენციურად მნიშვნელოვანი ფაქტი, გავაანალიზეთ, თუ რომელი შეიძლება იყოს საზიანო და რომელი სასარგებლო და განვიხილეთ დასაშვებობის საკითხები თოთოეულ ფაქტთან მიმართებაში. ჩვენ კარგად გავიაზრეთ ფაქტები, რომლებზეც ვიმუშავებთ საქმის თეორიის განსავითარებლად. ვიცით საზიანო ფაქტების შესახებაც, რომლებიც პრობლემებს შეგვიქმნის. ვიცით ზოგიერთი სასარგებლო ფაქტიც, რომლის განვითარებასაც შევძლებთ. ახლა იმ ეტაპამდე მივედით, როდესაც მზად ვართ თითოეული ამ ფაქტის ხარისხი განვიხილოთ. ახლა უნდა გავითვალისწინოთ შეკითხვები, რომლებიც ნაფიც მსაჯულებს ფაქტებთან დაკავშირებით გაუჩნდებათ. ის, თუ როგორი პასუხები გაიცემა ამ კითხვებზე, განსაზღვრავს იმას, თუ როგორ დატვირთვას მისცემენ ნაფიცი მსაჯულები

თითოეულ ფაქტს და, ამდენად, განსაზღვრავს მოვლენათა განვითარების ვერსიასაც, რომელსაც ნაფიცი მსაჯულები, საბოლოო ჯამში, მიიღებენ. ახლა დროა განხილული იყოს თითოეული ფაქტის წყაროს სანდოობა, ფაქტებს შორის წინააღმდეგობები და კითხვები, რომლებიც შეგროვებული ფაქტების მიერ შეიძლება უპასუხოდ დარჩეს. ამ სავარჯიშოს მიზნებისთვის თქვენ უნდა შეწყვიტოთ პროკურორად/ადვოკატად ყოფნა და შეეცადოთ ნაფიცი მსაჯულის როლი მოირგოთ.

გახსოვდეთ, რომ ნაფიც მსაჯულებს არ მოსწონთ მხარის მხოლოდ ისეთი სტრატეგია, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის სტრატეგიაზე შეტევას გულისხმობს. მათ სურთ იცოდნენ, თუ როგორ შეესაბამება დამნაშავეობის/უდანაშაულობის თეორიას ის, რასაც ამა თუ იმ მხარის აზრით ჰქონდა ადგილი. აქედან გამომდინარე, საჭიროა დადებითი ბრალდების/დაცვის პოზიციის შემუშავება. ეს პროცესი ამოცანის ამოხსნის პროცესს ჰგავს. დაუშვით ფაქტები, რომელთაც ნაფიცი მსაჯულები დაიჯერებენ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ შეეცდება ვინმე ამას წინ აღუდგეს. პრობლემა მდგომარეობს ისეთი ჰიპოთეზის ჩამოყალიბებაში, რომელიც ასეთ ფაქტებსაც შეიცავს და ამავდროულად კლიენტის უდანაშაულობაზეც მეტყველებს. იფიქრეთ, თუ როგორ შეიძლება ეს მართალი იყოს.

ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენეთ „გონებრივი შტურმის“ (ბრეინსთორმინგი) მეთოდი:

ა) გამოიყენეთ ფაქტების ყველა შესაძლო კომბინაცია დამნაშავეობის/უდანაშაულობის სურათის აღმოსაჩენად;

ბ) მოიძიეთ სასურველი განმარტებები და დასკვნები;

გ) გააგრძელეთ ფიქრი და ფაქტების დამუშავება იქამდე, სანამ დამნაშავეობის/უდანაშაულობის ჰიპოთეზაზე არ ჩამოყალიბდებით.

თუმცა, პროკურორმა/ადვოკატმა ასევე დაცვის/ბრალდების თეორიაზე შეტევაც უნდა მოამზადოს. მოიძიეთ სისუსტეები სხვადასხვა ანალიზის მეშვეობით:

ა) მეცნიერული ანალიზი იმ მეცნიერულ ტესტებთან დაკავშირებით, რომლებიც არ ჩატარებულა;

ბ) საგამოძიებო ანალიზი იმ გამოძიებასთან მიმართებაში, რომელიც არ ჩატარებულა;

გ) შეუსაბამობების ანალიზი თითოეული ჩვენების შეუსაბამობებთან მიმართებაში, მოწმეთა ჩვენებებს შორის და ჩვენებებსა და რეალურ ფაქტებს შორის;

დ) დროის ანალიზი იმის საჩვენებლად, რომ მოწმეთა ჩვენებები არ შეესაბამება დროს, როდესაც მოვლენებს ჰქონდა ადგილი;

ე) მოტივის ანალიზი ჩვენების მიცემისა და მხარეების ქმედებების მიზეზებისთვის;

ვ) გონივრულობის ანალიზი. განსაზღვრეთ, შეეფერება თუ არა აღწერილი ქმედებები გონივრული ადამიანის ქმედებებს. ნაფიცმა მსაჯულებმა შესაძლოა უარყონ ჩვენება მხოლოდ იმიტომ, რომ ის არ არის გონივრული. ეს არგუმენტაციის საკითხს წამოჭრის: „აქვს თუ არა აზრი იმას, რომ...“

ამდენად, მოიფიქრეთ რაც შეიძლება მეტი კითხვა საქმესთან დაკავშირებით არსებული ფაქტების გათვალისწინებით. მაგალითად, *რატომ იტყოდა პოლიციის ოფიცერი,*

რომ თქვენი კლიენტის შარვლიდან ნარკოტიკები ამოიღო, თუ ეს სინამდვილეში არ მომხდარა? რატომ იცდიდა გაუპატიურების საქმეში დაზარალებული ერთი კვირის განმავლობაში, სანამ თავისი გაუპატიურების შესახებ ვინმეს უამბობდა? თუ თითქოს- და იარაღის გამოყენებით ყაჩაღობას ჰქონდა ადგილი, რატომ დღემდე ვერ იქნა იარაღი ამოღებული? შეკითხვათა რაოდენობა შეუზღუდავია, ასე რომ, მოიფიქრეთ რაც შეიძლება ბევრი. არსებობს იმის ალბათობა, რომ, ნაფიც მსაჯულებსაც ბევრი ის კითხვა გაუჩნდებათ, რომელსაც თქვენ მოიფიქრებთ. თქვენი უნარი გასცეთ პასუხები ამ შეკითხვებს, ან დატოვოთ ნაფიცი მსაჯულები პასუხების გარეშე, განსაზღვრავს საქმის შედეგს. გახსოვდეთ, რომ პასუხგაუცემელმა შეკითხვებმა საქმეში შესაძლოა ეჭვები გააჩინოს. ნაფიცი მსაჯულების პასუხგაუცემელი შეკითხვებით დატოვება, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარის თეორიის მიმართ კითხვებს აჩენს, შესაძლოა ისე- თივე ღირებული იყოს, როგორც მათთვის, თქვენი აზრით, სასარგებლოა პასუხების შეთავაზება.

იფიქრეთ გზებზე, თუ როგორ უპასუხოთ თქვენი საქმისათვის ყველაზე სასარგე- ბლო კითხვებს და მოიფიქრეთ მოწინააღმდეგე მხარის თეორიასთან დაკავშირებული კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა შეუძლებელი იქნება.

იმ შეკითხვების გათვითცნობიერებით, რომლებიც შესაძლოა ნაფიც მსაჯულებს გაუჩნდეთ, თქვენ მოიპოვებთ უპირატესობას სასამართლო პროცესებისთვის მზადები- სას.

სასამართლო პროცესისთვის სარწმუნო ამბის მომზადება. საქმის თეორიის განვითარება. მტკიცებულებების შეფასება

თქვენი საქმის ეფექტურად წარმოდგენისა და „*წარმატების*“ მიღწევის მიზნით, პროკურორს/ადვოკატს ერთიანი, სარწმუნო და ლოგიკური „*საქმის თეორია*“ უნდა ჰქონდეს. რა არის „*წარმატება?*“ მაგალითად, დაცვის მხარისთვის წარმატება ყოვ- ელთვის არ ნიშნავს **„უდანაშაულოდ ცნობას“**. ეს ასევე შეიძლება იყოს:

ა) უფრო მსუბუქი მსჯავრდება (მაგალითად, მკვლელობა შემამსუბუქებელ გარე- მოებებში განზრახ მკვლელობის ნაცვლად, ა.შ.);

ბ) წარმატებული არგუმენტი მტკიცებულების დაუშვებლობის თაობაზე;

გ) სასურველი საპროცესო შეთანხმება;

დ) წარმატებული იურიდიული არგუმენტი/ბრალდების მოხსნა;

ე) გასაჩივრება და პოლიტიკის შეცვლა.

ვ) თქვენი კლიენტისთვის კარგი ვარიანტებისა და სასურველი სამართლებრივი გარემოს შემუშავება.

წარმატების მისაღწევად პროკურორმა/ადვოკატმა უნდა შეიმუშაოს სამართ- ლებრივი და ფაქტობრივი დასაბუთების ერთიანი და სარწმუნო გზა, რომელიც მისი საქმის ფაქტებსა და გარემოებებს და მოქმედ კანონმდებლობას ფარავს და მათ მისი დაცვის მიზნების თანხვედრ მარტივ თეორიაში აერთიანებს. კარგი თეორია საქმის და სასამართლო პროცესის ყველა ასპექტზე ვრცელდება. ის თქვენს სტრატეგიასა და აზროვნების პროცესს წარმართავს. ის განასხვავებს მნიშვნელოვანსა და უმნიშ-

ვნელოს; კარგს და ცუდს.. ის თქვენ გხელმძღვანელობთ მაშინ, როდესაც წყვეტთ, თუ რომელ ბრძოლაში ჩაებათ, რა დათმოთ და როგორი არჩევანი გააკეთოთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავიდანვე უნდა იფიქროთ, თუ რა მტკიცებულებებია საჭირო თქვენი შესაძლო საქმის თეორიების ჩამოსაყალიბებლად:

1. მოწმეები;
2. დოკუმენტები, რომელთა მოპოვებაც კლიენტს შეუძლია;
3. დოკუმენტები, რომლებიც სასამართლოში გამოცხადების თაობაზე სასამართლო უწყებას ახლავს თან;
4. გამოძიება;
5. ნივთმტკიცებები;
6. ვიზუალური დამხმარე მასალა.

მას შემდეგ, რაც მოახდინეთ თქვენს საქმეში ყველა პოტენციურად მნიშვნელოვანი ფაქტის იდენტიფიცირება და განიხილეთ, თუ რომელი შეიძლება იყოს სასარგებლო და რომელი პოტენციურად ყველაზე საზიანო, თქვენ უნდა განიხილოთ დასაშვებობის საკითხები, რის შედეგად უკვე კარგად აღიქვამთ გარკვეული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შანსებს. ბოლოს, თქვენ უნდა იფიქროთ შეკითხვებზე, რომლებიც ნაფიც მსაჯულებს შეიძლება მტკიცებულებებთან დაკავშირებით გაუჩნდეთ, და თუ როგორ უპასუხებთ თქვენ ამ საკითხებს ან თუ როგორ გამოიყენებთ მათ თქვენს სასარგებლოდ. ახლა თქვენ მზად ხართ საქმის თეორიის შესამუშავებლად.

საქმის თეორია წარმოადგენს საქმეში არსებულ სამართლებრივ საკითხებთან თქვენი ამბის ადაპტაციას. საქმის თეორია გამოხატული უნდა იყოს ერთ აბზაცში, რომელიც ისე უხამებს ერთმანეთს ფაქტობრივ გარემოებებსა და კანონს, რომ გამოტანილი დასკვნების შედეგად თქვენმა კლიენტმა გაიმარჯვოს.[8]

როდესაც ვამბობთ „საქმის თეორია", ჩვენ ვსაუბრობთ გაცილებით მეტზე, ვიდრე ერთ ან ორსიტყვიან განცხადებაზე იმის შესახებ, თუ რა არის თქვენი დაცვა. თქვენი საქმის თეორია არის სტრუქტურა, რომლის გარშემოც განვითარდება თქვენ მიერ მონათხრობი ამბავი. საქმის თეორია თქვენი ამბის ფორმას აყალიბებს. საქმის თეორია გადმოსცემს თემას, წარმოადგენს მონაწილე გმირებს და აჩენს ემოციას, რომელიც აუცილებელია ნაფიცი მსაჯულების „შესაძრავად". საქმის თეორია დაცვით იწყება. შემდეგ ის მოიცავს თქვენს სტრატეგიას, თუ როგორ ლოგიკურად აიძულებს ნაფიც მსაჯულებს თითოეული მოწმე და მნიშვნელოვანი მტკიცებულება დაეთანხმონ დაცვას. ეს არის იმის ახსნა, თუ როგორ ეწყობა ერთმანეთს საქმის ყველა კომპონენტი იმისთვის, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა თქვენთვის სასურველი დასკვნები გამოიტანონ. საქმის თეორია სამ კომპონენტს შეიცავს: სამართლებრივს, ფაქტობრივსა და ემოციურს.

ისევე, როგორც თქვენი თეორია ლოგიკაზე უნდა ახდენდეს აპელირებას, თქვენი თემაც მორალის ძალას უნდა ეხმიანებოდეს. ლოგიკური თეორია ფაქტების შემფასებელს ამცნობს მიზეზებს, რომ თქვენთვის სასურველი ვერდიქტი იყოს გამოტანილი. მორალური თემა კი იმის დემონსტრირებას ახდენს, თუ რატომ უნდა იყოს ეს

[8] სტივენ ლიუბე, „თანამედროვე სასამართლო უნარ-ჩვევები", სამართლის სკოლის გამოცემა, სასამართლო უნარ-ჩვევების განვითარების ეროვნული ინსტიტუტი (NITA), ამერიკის შეერთებული შტატები, 2000 წელი, გვ. 22.

ვერდიქტი გამოტანილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თქვენი თემა — საუკეთესო სახით წარმოდგენილი ერთ წინადადებაში — თქვენი თეორიის მორალურობას ამართლებს და საქმეში სამართლიანობის ზეიმს მოითხოვს.[9]

მაგალითად, კანონის თანახმად, სხვადასხვა დანაშაულის დაცვის ზოგადი აღწერა შესაძლოა ერთ ან ორ სიტყვაში გამოიხატოს. დაცვა გვეუბნება რაღაც სამართლებრივად რაციონალურს, თუ რატომ არის ბრალდებული უდანაშაულო. ჩვეულ მაგალითებს შორისაა: მცდარი ამოცნობა (ზოგადად გულისხმობს რაიმე არაგანზრახს), გაყალბება (განზრახ), ალიბი (შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მცდარი ამოცნობის ან გაყალბებისას), თავდაცვა, თანხმობა, მახეში გაბმა, დანაშაულის ჩადენის ადგილას უდანაშაულოდ ყოფნა, და ა.შ. დაცვა გვაწვდის ძალიან ზოგად იდეას იმის შესახებ, თუ რატომ მივიჩნევთ, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა ჩვენი კლიენტი უდანაშაულოდ უნდა ცნონ. ის უფრო ვრცელი საქმის თეორიის სამართლებრივ კომპონენტად გვევლინება. თუმცა, ის არაფერს გვეუბნება იმ ტაქტიკური გადაწყვეტილებების თაობაზე, რომლებიც მიზნამდე მიგვიყვანს. საქმის თეორია უფრო ყოვლისმომცველია. ის დაცვით იწყება, მაგრამ ასევე მოიცავს იმ სტრატეგიებს, რომლებსაც თქვენ თითოეულ მოწმესთან ან მტკიცებულებასთან მიმართებაში გამოიყენებთ. საქმის თეორია პასუხს გასცემს მრავალ შეკითხვას, რომელიც სავარჯიშოს განხორციელებისას ჩამოვწერეთ. ეს საქმის თეორიის ფაქტობრივი და ემოციური კომპონენტების განვითარებით მიიღწევა.

თუ თქვენ დაცვის მხარეს წარმოადგენთ, მაშინ საქმე შესაძლო დაცვის საფუძვლის განხილვით დაიწყოთ. საქმეთა უმრავლესობა რამდენიმე შესაძლო დაცვის არჩევის შესაძლებლობას გვაძლევს. **შემოქმედებითად შეხედეთ საქმეს**. ამ ეტაპზე არც ერთი შესაძლებლობა არ გამორიცხოთ. განიხილეთ დაცვის შემდეგი კატეგორიები:

1. სახელმწიფო ვერ შეძლებს დაამტკიცოს დანაშაულის ყველა ელემენტი. ზოგჯერ დანაშაულის ელემენტის დამტკიცების შეუძლებლობას სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირ ბრალდებულის გამართლებამდე მივყავართ (ამ დაცვასთან ერთად გადმოცემული ამბის თანახმად დანაშაულს საერთოდ არ ჰქონია ადგილი) და ზოგჯერ კი საქმე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებით სრულდება (ამ შემთხვევაში ამბის თანახმად, მართალია, ჩემმა კლიენტმა რაღაც ცუდი ჩაიდინა, მაგრამ არა ის, რასაც ბრალდება ამბობს). პირველი შემთხვევის მაგალითი შეიძლება იყოს გაუპატიურების საქმე, სადაც სახელმწიფო ვერ ადასტურებს იმ ელემენტს, რომ სექსუალურ კავშირს ადგილი დაზარალებულის ნების წინააღმდეგ ჰქონდა. მეორე შემთხვევის მაგალითი შეიძლება იყოს ბრალდება განზრახ მკვლელობის ჩადენაში, როდესაც დაცვის თანახმად, კლიენტი შესაბამისი პროვოცირების შედეგად აფექტის მდგომარეობაში მოქმედებდა. აქ ჩვენ მკვლელობას ვაღიარებთ, მაგრამ ვითხოვთ განზრახვის შემამსუბუქებელი ელემენტის წარმოჩენას.

2. შესაძლოა სახელმწიფომ დაამტკიცოს, რომ დანაშაულს ჰქონდა ადგილი, მაგრამ ვერ დაამტკიცოს, რომ პირი, ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა, თქვენი კლიენტი იყო. ეს არის დაცვა მცდარი ამოცნობის მეშვეობით, როდესაც თვითმხილველი მოწმე შეცდომით იშვერს თითს თქვენი კლიენტისკენ ან გულწრფელი შეცდომის, ან განზრახ ტყუილის გამო.

[9] იქვე, გვ. 23.

3. *შესაძლოა სახელმწიფომ დაამტკიცოს დანაშაულის ელემენტები, მაგრამ თქვენს კლიენტს გასამართლებელი საბაბი აღმოაჩნდეს.* ეს არის გამართლების საფუძვლით დაცვის შემთხვევები (მაგალითად, ძლიერი სულიერი აღელვება და ა.შ.).

4. *შესაძლოა თქვენმა კლიენტმა დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ მას კანონისმიერი საპატიო მიზეზი ჰქონდა.* ეს არის საპატიო მიზეზით დაცვის შემთხვევები (შეურაცხადობა, აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, და ა.შ.).

5. *შესაძლოა თქვენმა კლიენტმა დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ მან ამისთვის პასუხი არ უნდა აგოს.* ეს ბოლო კატეგორია რეალურად სამართლებრივ დაცვას არ წარმოადგენს. ეს არის ნაფიცი მსაჯულების ემოციებზე აპელირება, რომ მათ თქვენს კლიენტს დანაშაული „აპატიონ“ ამა თუ იმ მიზეზის გამო. ამას ნაფიც მსაჯულთა მიერ ანულირება ეწოდება. თქვენ, სავარაუდოდ, ამის შესახებ პირდაპირ ვერ იდავებთ და ამ კატეგორიის თაობაზე ნაფიც მსაჯულთათვის ინსტრუქციას ნამდვილად ვერ მიიღებთ. ეს უკანასკნელი იმედის სტრატეგიაა.

მას შემდეგ, რაც თითოეული დაცვის საფუძველთან დაკავშირებით შემოქმედებითი კუთხით იფიქრებთ, უნდა დაიწყოთ თითოეული მათგანისთვის საქმის თეორიის ჩამოყალიბება. ამისათვის გაითვალისწინეთ ფაქტები, რომლებიც, თქვენი აზრით, საქმის შემადგენელი ნაწილი იქნება „გონებრივი შტურმის“ მეთოდის გამოყენების შედეგად თქვენი ანალიზის საფუძველზე. იფიქრეთ, თუ როგორ შეიძლება თითოეული ამ ფაქტის გამოყენება თქვენი დაცვის გასაძლიერებლად. ამ ფაქტებიდან რომელი შეგიძლიათ მიიღოთ? ასევე, გაითვალისწინეთ, თუ რომელი ფაქტებია ყველაზე პრობლემატური კონკრეტული დაცვის შემთხვევაში. ეს, სავარაუდოდ, ის ფაქტები იქნება, რომლებზეც იმუშავებთ. ასევე, იფიქრეთ შეკითხვებზეც, რომლებიც ნაფიც მსაჯულებს გაუჩნდებათ ამ ფაქტებთან დაკავშირებით ამ კონკრეტულ დაცვასთან მიმართებაში. საქმის შემადგენელი ფაქტებისა და ნაფიც მსაჯულთათვის ყველაზე მეტად საინტერესო შეკითხვების საფუძველზე თქვენ ახლა უნდა დაიწყოთ სტრატეგიის შემუშავება თითოეულ მოწმესთან და მტკიცებულებასთან მიმართებაში. თითოეულ მოწმესთან და მტკიცებულებასთან მიმართებაში შერჩეული ეს სტრატეგიები ერთიანი საქმის თეორიის ნაწილი გახდება.

დაცვის თეორიის ფაქტობრივი კომპონენტის გარდა, თქვენ ემოციური კომპონენტიც უნდა შეიმუშაოთ. რომელი ემოციური თემებია სახეზე, რომელთა წამოწევაც საჭირო იქნება, რათა ნაფიცმა მსაჯულებმა თქვენი საქმის თეორია მიიღონ? როგორი დამოკიდებულება გსურთ ჰქონდეთ ნაფიც მსაჯულებს თქვენი საქმის თეორიის გმირებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების მიმართ? ეს ემოციური თემებიც თქვენი საქმის თეორიის არსებითი მნიშვნელობის კომპონენტი იქნება.

მოკლედ რომ ითქვას, თქვენი საქმის თეორია დაცვის საფუძვლით იწყება. შემდეგ ის მოიცავს ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებას, რომელსაც თითოეულ მტკიცებულებასთან მიმართებაში იღებთ. დაცვის თითოეულ საფუძველთან მიმართებაში, რომელზეც ჩამოყალიბდებით, უნდა ჰკითხოთ საკუთარ თავს, თუ როგორი იქნება თამაშის გეგმა თითოეულ მოწმესა და მტკიცებულებასთან მიმართებაში, რათა ეს ტაქტიკური ვარიანტები დაცვის თეორიის გამყარებას საუკეთესო გზით მოემსახუროს. ამის შემდგომ გექნებათ სულ მცირე ერთი საქმის თეორია თითოეული დაცვის საფუძვლისთვის, რომელზეც ჩამოყალიბდებით. თქვენი საქმის თეორია იქნება ამბავი ყველა

მტკიცებულების შესახებ, და თუ როგორ მიდის ის თქვენი საქმის დასკვნამდე. აირჩიეთ საქმის თეორია, რომელსაც, თქვენი აზრით, სასამართლო პროცესზე წარმატების საუკეთესო შესაძლებლობა ექნება.[10]

წარმატებული თეორია შემდეგ ელემენტებს შეიცავს:[11]

ის ლოგიკურია. „გამარჯვებულ თეორიას ლოგიკური ძალა აქვს. ის ეფუძნება უდავო ან სხვაგვარად სარწმუნო ფაქტებს. ფაქტები, რომლებსაც თქვენი თეორია ეფუძნება, ერთიმეორეს უნდა აძლიერებდეს (და არასოდეს ეწინააღმდეგებოდეს). მართლაც, ერთს მეორესთან უნდა მივყავდეთ ისე, რომ თითოეული ფაქტი მომდევნო ფაქტს გულისხმობდეს, მოწესრიგებული და აუცილებელი სახით.“

ის თქვენი საქმის სამართლებრივ ელემენტებზე მიგვითითებს. „სასამართლო პროცესზე თქვენ მიერ განხორციელებული ყველა დარწმუნების მცდელობა „სამართლებრივ“ დასკვნას უნდა ამყარებდეს. თქვენი თეორია არა მხოლოდ იმას უნდა ადგენდეს, რომ თქვენი კლიენტი კარგი და სანდოა (ან რომ მეორე მხარე ცუდი და უღირსია), არამედ იმასაც, რომ კანონიც თქვენს მხარეზეა. ამდენად, თქვენი თეორია უნდა ამტკიცებდეს ყველა სამართლებრივ ელემენტს, რომელიც აუცილებელია მოთხოვნილი ვერდიქტის გასამართლებლად.“

ის მარტივია. „კარგი თეორია უდავო ფაქტებიდან მაქსიმალურს იღებს. ის რაც შეიძლება ნაკლებად ეყრდნობა მტკიცებულებებს, რომლებიც ადვილად ექვემდებარება შეწინააღმდეგებას, დაუშვებელია, ან რომელთა დამტკიცებაც სხვაგვარად რთულია.“

ის ადვილად დასაჯერებელია. „მართალი“ თეორიის დაჯერებაც კი შესაძლოა რთული იყოს, რადგან ის ყოველდღიურ გამოცდილებას ეწინააღმდეგება ან მკაცრ განსჯას საჭიროებს. თქვენ უნდა ისწრაფვოდეთ თქვენი თეორიიდან ყველა ნაკლებად დამაჯერებელი ელემენტის ამოღებისკენ. ანალოგიურად, უნდა შეეცადოთ თავიდან აიცილოთ არგუმენტები, რომლებიც ტყუილის, გაყალბების, ბოროტი ზრახვის ან პიროვნული თავდასხმის მტკიცებაზეა დამოკიდებული. შეუვალ თეორიას შეუძლია მეორე მხარის საქმე მთლიანობაში მოიცვას და მაინც თქვენი გამარჯვება მოიტანოს აშკარა ლოგიკური ძალის საფუძველზე.“

აქედან გამომდინარე, პროკურორის/ადვოკატის ძირითადი მიზანი არის დაარწმუნოს ფაქტების შემფასებელი მისი თეორიის სისწორეში მისი თემის მორალური ბერკეტის მუდმივი მოქმედებით. ამის მისაღწევად, არსებობს ოთხი ძირითადი საშუ-

---

[10] დაცვის ერთი და იმავე საფუძვლის გამოყენებისას თქვენ შესაძლოა გქონდეთ ერთზე მეტი სტრატეგია კონკრეტულ მოწმესთან ან მტკიცებულებასთან მიმართებაში. მაგალითად, შესაძლოა მუშაობდეთ თავდასხმის საქმეზე, რომელშიც ფიქრობთ გამოიყენოთ თავდაცვის დაცვის საფუძველი. ერთ-ერთი მოწმე შესაძლოა იყოს დაზარალებულის მეგობარი გოგო. იგი ამბობს, თუ როგორ დაინახა, თქვენმა კლიენტმა ჩხუბი რომ წამოიწყო. მის საწინააღმდეგოდ ერთ-ერთი სტრატეგიის ფარგლებში შეგიძლიათ ამტკიცოთ, რომ მან ეს თავისი მეგობარი ბიჭის დასახმარებლად მოიგონა. სხვა სტრატეგიის თანახმად, შეგიძლიათ ამტკიცოთ, რომ მას ჩხუბის დაწყება არ დაუნახავს და, რომ როდესაც მან დანაშაულის ადგილისკენ გაიხედა, მის მეგობარ ბიჭს უკვე მოქნეული ჰქონდა მუშტი. ამდენად, თავდაცვის დაცვის საფუძვლით თქვენ შესაძლოა საქმის ორ თეორიას იხილავდეთ. თქვენ ერთ-ერთი უნდა ამოარჩიოთ.

[11] სტივენ ლიუბე, „თანამედროვე სასამართლო უნარ-ჩვევები“, სამართლის სკოლის გამოცემა, სასამართლო უნარ-ჩვევების განვითარების ეროვნული ინსტიტუტი (NITA), ამერიკის შეერთებული შტატები 2000 წელი, გვ. 23.

ალება: (1) ნაფიცი მსაჯულებისადმი მიმართვა, რომელიც შესავალი და დასკვნითი სიტყვებისგან შედგება; (2)პირდაპირ დაკითხვაზე და, უფრო ნაკლებად, ჯვარედინ დაკითხვაზე ჩვენების მიღება; (3) მტკიცებულებების, მათ შორის ნივთმტკიცებებისა და დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოდგენა; და (4) ყველაფერი სხვა, რასაც პროკურორი/ადვოკატი სასამართლო დარბაზში აკეთებს, მათ შორის ის, თუ როგორ გამოიყურება, მოქმედებს, რეაგირებს, მეტყველებს, მოძრაობს, დგას, ზის და ა. შ.[12]

სასამართლო პროცესისთვის სათანადო მზადება ბოლოდან იწყება. ნამდვილად ჭკვიანურია, თუ თქვენს დასკვნით სიტყვას პირველ რიგში დაგეგმავთ, რადგან სასამართლო პროცესის ეს ეტაპი ყველაზე მეტად ჰგავს ამბის მოყოლას; ის არის პროცესის ერთადერთი ელემენტი, სადაც თქვენ ნება დართული გაქვთ შესთავაზოთ და გააკეთოთ დასკვნები ან ფაქტების შემფასებლებს წარუდგინოთ თქვენი თეორია, როგორც ერთი მთლიანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასკვნითი სიტყვის დროს თქვენ ყველაზე მეტი თავისუფლება გაქვთ თქვათ ყველაფერი, რისი თქმაც გსურთ, ხართ რა შეზღუდული მხოლოდ იმ მოთხოვნით, რომ ყველა არგუმენტი დამოწმებული უნდა იყოს მტკიცებულებით, რომელიც სასამართლოში იქნა გამოკვლეული (*სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 251-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი*). აქედან გამომდინარე, თუ მომზადების დასაწყისში თქვენს დასკვნით სიტყვას დაგეგმავთ, შემდეგ შეძლებთ ისე დააბალანსოთ თქვენი საქმე, რომ სასამართლოში გამოკვლეული იყოს ყველა ფაქტი, რომელიც დასკვნითი სიტყვისთვის დაგჭირდებათ.[13]

თქვენ თავს ეს ორი კითხვა დაუსვით: *რისი თქმა მსურს საქმის დასასრულს? რომელი მტკიცებულების წარდგენა ან გამოვლენა მჭირდება, რათა ვთქვა ის, რისი თქმაც მსურს?* პასუხები თქვენი მთლიანი საქმის ფართო მონახაზს ჩამოგიყალიბებთ.[14]

საქმის დაგეგმვისას პროკურორმა/ადვოკატმა, პირველ რიგში, უნდა ჩამოწეროს სამართლებრივი ელემენტები ბრალდების/დაცვის თითოეული საფუძვლისთვის, რის დამტკიცებასაც იგი იმედოვნებს და შემდეგ უკვე ჩამოწეროს მტკიცებულებათა ნუსხა, რომელიც მას აქვს თითოეული ამ ელემენტის გასამყარებლად. სავარაუდოდ, მტკიცებულებათა ძირითადი ნაწილი მოწმეთა ჩვენებების სახით იარსებებს, მაგრამ ზოგიერთი მტკიცებულება დოკუმენტის, რეალური ნივთების ან ნივთმტკიცებების სახითაც იქნება მოპოვებული. თითოეული ასეთი მტკიცებულებისთვის პროკურორმა/ადვოკატმა უნდა მოინიშნოს მოწმე, რომლის საშუალებითაც იგი ამ მტკიცებულების დაშვებას შეეცდება.[15]

თითოეული მოწმე ინდივიდუალურად შეაფასეთ. პროკურორმა/ადვოკატმა უნდა წარმოიდგინოს, თუ რის თქმას ისურვებდა იგი დასკვნით სიტყვაში თითოეული მოწმის შესახებ, რომელიც დაჰკითხა. თქვენ თავს ჰკითხეთ: *რა წვლილის შეტანა შეუძლია ამ მოწმეს ჩემს თეორიაში? რომელი პოზიტიური ფაქტების წარდგენა შემიძლია ამ მოწმის მეშვეობით? არსებობენ თუ არა სხვა მოწმეები ამავე ფაქტებთან მიმართებაში? არის თუ არა ეს მოწმე ეფექტური იარაღი ჩემი თემისთვის? რა შემიძლია ვთქვა ამ მოწმის შესახებ, რაც ლოგიკურად და მორალურად დამაჯერებელი იქნება?* მას

---

[12] სტივენ ლიუბე, „თანამედროვე სასამართლო უნარ-ჩვევები", სამართლის სკოლის გამოცემა, სასამართლო უნარ-ჩვევების განვითარების ეროვნული ინსტიტუტი (NITA), ამერიკის შეერთებული შტატები, 2000 წელი, გვ. 25.

[13] იქვე, გვ. 24-25.

[14] იქვე.

[15] იქვე.

შემდეგ, რაც თითოეული მოწმის შესახებ ყველა „პოზიტიურ“ ინფორმაციას მოაგროვებთ, ყველა შესაძლო პრობლემისა და სისუსტის განხილვაზე უნდა გადახვიდეთ.[16]

ფაქტობრივი სისუსტეები. თქვენ თავს ჰკითხეთ: *იქნება თუ არა, სავარაუდოდ, მოწმის ჩვენებაში შეუსაბამობები ან ხარვეზები? ფლობს თუ არა მოწმე საზიანო ინფორმაციას, რომელიც, სავარაუდოდ, ჯვარედინ დაკითხვაზე გამომჟღავნდება?* თუ რომელიმე ამ შეკითხვაზე პასუხი დადებითია, *როგორ შეძლებთ ამ პრობლემების მინიმუმამდე დაყვანას? შეგიძლიათ თუ არა შეუსაბამობათა გამოსწორება თქვენი თეორიის გადაფასებით? შეუძლია თუ არა სხვა მოწმეს ხარვეზები შეავსოს? შეგიძლიათ თუ არა პოტენციურად საზიანო ფაქტების განმუხტვა მათი პირდაპირ დაკითხვაზე გამოტანით?*[17] ყველა ეს შეკითხვა გაითვალისწინეთ და საუკეთესო საშუალებით გადაწყვიტეთ.

მტკიცებულებებთან დაკავშირებული პრობლემები. თითოეული მოწმის ჩვენება შეფასებული უნდა იყოს მტკიცებულებებთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემების გათვალისწინებით. არ დაუშვათ, რომ ნებისმიერი მტკიცებულება ან ჩვენება ავტომატურად დასაშვებია. ამის ნაცვლად, თქვენ უნდა შეგეძლოთ დასაშვებობის დადებითი თეორიის განცხადება ყველაფერ იმასთან მიმართებაში, რის შეთავაზებასაც საქმის მიმდინარეობისას აპირებთ. გასაპროტესტებლად მომზადებისას თქვენ თავს ჰკითხეთ: *როგორ შევძლებდი ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას?* შემდეგ თქვენი პასუხი დაგეგმეთ.[18]

დამაჯერებლობასთან დაკავშირებული პრობლემები. შესაძლო შეკითხვები: *სავარაუდოდ, როგორ შეიძლება მოწმეზე იერიშის მიტანა? ექვემდებარება თუ არა მოწმე დისკრედიტაციას მიკერძოების ან დაინტერესების საფუძველზე? ექნება თუ არა მნიშვნელობა აღქმას? არის თუ არა იმპიჩმენტის შესაძლებლობა ადრინდელი შეუსაბამო განცხადებების საფუძველზე? შეგიძლიათ თუ არა თქვენი პირდაპირი დაკითხვის ისე ჩამოყალიბება, რომ ეს პრობლემები თავიდან აიცილოთ ან მინიმუმამდე დაიყვანოთ?*[19]

თქვენი ყველა პოტენციური მოწმის წვლილის, სიძლიერეებისა და სისუსტეების შეფასების შემდეგ შეგიძლიათ გადაწყვიტოთ, თუ რომელ მოწმეებს დაჰკითხავთ. თქვენი ძირითადი საზრუნავი იმაში დარწმუნებაა, რომ თქვენთვის აუცილებელი ყველა მტკიცებულება დასაშვებად იყოს ცნობილი. თქვენ უნდა გამოიძახოთ ყველა მოწმე, რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის ერთადერთი წყაროა. იშვიათი ან იძულებითი გარემოებების გარდა, თქვენ უნდა დაჰკითხოთ ასევე ნებისმიერი მოწმე, რომლის დამაჯერებლობას ან გამოჩენას თქვენი საქმის შიდა ლოგიკის ან მორალური სურათის წარმოჩენისთვის ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება.[20]

ყველა არაარსებითი მნიშვნელობის მქონე მოწმე მათი სიძლიერისა და სისუსტის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს. უნდა იფიქროთ ისეთი მოწმეების გამორიცხვაზე, რომელთა ჩვენებაც შესაძლოა განმეორდეს, რადგან ეს საზიანო წინააღმდეგობების გამოვლენის ალბათობას ზრდის. ასევე სასურველია, თუ არ გამოიძახებთ მოწმეებს,

---

[16] სტივენ ლიუბე, *„თანამედროვე სასამართლო უნარ-ჩვევები“*, სამართლის სკოლის გამოცემა, სასამართლო უნარ-ჩვევების განვითარების ეროვნული ინსტიტუტი (NITA), ამერიკის შეერთებული შტატები, 2000 წელი, გვ. 25-26.

[17] იქვე, გვ. 25-26.

[18] იქვე.

[19] იქვე, გვ. 26.

[20] იქვე.

რომელთა დამაჯერებლობა სერიოზულ ეჭვებს ბადებს, ან რომელთა ჩვენებაც გაცილებით საზიანო იქნება თქვენთვის, ვიდრე სასარგებლო.[21]

მას შემდეგ, რაც თქვენი მოწმეების საბოლოო სიაზე ჩამოყალიბდებით, დაალაგეთ ისინი ისეთი თანმიმდევრობით, რომელიც საქმისთვის ყველაზე სასარგებლო იქნება. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ცალსახა და სწრაფი წესები მოწმეთა თანმიმდევრობის გადასაწყვეტად, შემდეგი სამი პრინციპი ამ გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ:[22]

„ინფორმაციის დამახსოვრება. ნაფიც მსაჯულებმა მტკიცებულებების შესახებ არა მხოლოდ უნდა მოისმინონ ინფორმაცია, არამედ მოსმენილი უნდა დაიმახსოვრონ კიდეც. კვლევები მუდმივად უთითებენ იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლეები და ნაფიცი მსაჯულები უკეთ იმახსოვრებენ ჩვენებებს, რომელთაც პროცესის დასაწყისში და ბოლოს ისმენენ. ამ პრინციპის თანახმად, თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მოწმე პირველი უნდა დაჰკითხოთ და მომდევნო ყველაზე მნიშვნელოვანი მოწმე კი – ბოლო. დაიწყეთ და დაასრულეთ ძლიერად.“

„*პროგრესიის უზრუნველყოფა.* ზოგიერთ შემთხვევაში „პირველისა და ბოლოს“ პრინციპმა გზა ლოგიკური პროგრესიის საჭიროებას უნდა დაუთმოს. ზოგიერთი მოწმე სხვათა ჩვენებების საფუძველს ქმნის. ამდენად, შესაძლოა აუცილებელი იყოს „დამადასტურებელი“ მოწმეების პროცესის ადრეულ ეტაპზე დაკითხვა როგორც ლოგიკური განვითარების, ისე სამართლებრივი დასაშვებობის კუთხით. შეგიძლიათ თქვენი მოწმეების რიგითობა ისე დაალაგოთ, რომ ძირითადი მოვლენების განვითარება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იყოს გადმოცემული.“

„*ეფექტურობის შენარჩუნება.* თქვენი მოწმეების საშუალებით შესაძლოა გსურდეთ მაქსიმალურად დრამატული ეფექტის მოხდენა. მაგალითად, მკვლელობის საქმეში შესაძლოა დაიწყოთ გარდაცვლილი ბავშვის ერთ-ერთი მშობლის დაკითხვით. მეორე მხრივ, საჭირო მოწმე, რომელიც ამავდროულად ოდნავ უარყოფითი ან იმპიჩმენტს დაქვემდებარებული პიროვნებაა, სავარაუდოდ, საქმის მიმდინარეობის შუა ეტაპზე უნდა დაიკითხოს, რათა მისი ჩვენება დავიწყებას მიეცეს. ეფექტის პრინციპის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც თითქმის საყოველთაო პრაქტიკად იქცა, დაცვის მხარის ბოლო მოწმედ ბრალდებულის დაკითხვაა. ამ პრაქტიკის დამკვიდრებას ორი მიზეზი აქვს. პირველ რიგში, უკანასკნელ შესაძლო მომენტამდე ხდება იმ დროის გადადება, როდესაც ადვოკატმა უნდა გადაწყვიტოს, დაჰკითხოს თუ არა ბრალდებული და შედეგად, იგი ჯვარედინი დაკითხვის იერიშის ქვეშ მოაქციოს. მეორე მხრივ, რაც კიდევ უფრო ღიმილის მომგვრელია, ბრალდებულის ბოლოს გამოძახება საშუალებას აძლევს მას დაკითხვამდე მოისმინოს ყველა სხვა მოწმის ჩვენება მაშინ, როდესაც ყველა სხვა მოწმეს ამის საშუალება არ აქვს.

ჯვარედინი დაკითხვის დაგეგმვა გაცილებით რთულია, ვიდრე პირდაპირი დაკითხვისთვის მომზადება. ცხადია, ყველა სიურპრიზისგან თავის დაცვა შეუძლებელია, მაგრამ შემდეგი ოთხი ნაბიჯი მათ მინიმუმამდე შეამცირებს:[23]

[21] სტივენ ლიუბე, „*თანამედროვე სასამართლო უნარ-ჩვევები*“, სამართლის სკოლის გამოცემა, სასამართლო უნარ-ჩვევების განვითარების ეროვნული ინსტიტუტი (NITA), ამერიკის შეერთებული შტატები, 2000 წელი, გვ. 26.

[22] იქვე. გვ.27.

[23] სტივენ ლიუბე, „თანამედროვე სასამართლო უნარ-ჩვევები“, სამართლის სკოლის გამოცემა, სასამართლო უნარ-ჩვევების განვითარების ეროვნული ინსტიტუტი (NITA), ამერიკის შეერთებული შტატები, 2000

1. შეადგინეთ ყველა პოტენციურად მოწინააღმდეგე მოწმის სია. წარმოიდგინეთ, თუ რა მიზნით შეიძლება დაჰკითხონ ეს მოწმე. თქვენს თავს ჰკითხეთ: *როგორ შეუძლია ამ მოწმეს ყველაზე დიდი ზიანი მიაყენოს ჩემს საქმეს?* ყოველთვის მზად იყავით ყველაზე ცუდი შესაძლო ალტერნატივისთვის.

2. იფიქრეთ, ხომ არ არსებობს მოწმის დაკითხვის შეუძლებლობის საფუძველი. *არის თუ არა მოწმე კომპეტენტური ჩვენების მისაცემად?* შემდეგ გაითვალისწინეთ, შესაძლებელია თუ არა მოსალოდნელი ჩვენების რაიმე ნაწილის დაუშვებლად ცნობა. მოწმის ყოველ შესაძლო განცხადებასთან მიმართებაში წარმოიდგინეთ მტკიცებულებებთან დაკავშირებული ყველა გონივრული პროტესტი. იგივე გააკეთეთ ყველა მტკიცებულებასთან მიმართებაში, რომელიც შესაძლოა მოწმის მეშვეობით იყოს წარმოდგენილი. თითოეული პროტესტისთვის თქვენი არგუმენტი დაგეგმეთ და შესაძლო კონტრარგუმენტისთვისაც მოემზადეთ. ყველა შესაძლო პროტესტი არ უნდა დააყენოთ, მაგრამ ნებისმიერი შემთხვევისთვის მზად უნდა იყოთ.

3. გაითვალისწინეთ მოწინააღმდეგე მხარის თითოეული მოწმის ფაქტობრივი სისუსტეები. *არსებობს თუ არა შეუსაბამობები, რომელთა გამოკვლევა ან განვითარება შესაძლებელია? ექვემდებარება თუ არა მოწმის ხასიათი მასზე იერიშის მიტანას? შესაძლებელია თუ არა მოწმის იმპიჩმენტი ადრეული განცხადებების საფუძველზე? როგორ შეიძლება მოწმის გამოყენება, რათა თქვენი საკუთარი თემა გააძლიეროთ?*

4. დაახარისხეთ ყველა სასურველი ინფორმაცია, რომლის მოპოვებასაც მოწინააღმდეგე მხარის თითოეული მოწმისგან შეძლებთ.

ახლა, მას შემდეგ, რაც თქვენი საქმის ძირითადი ელემენტები და ჯვარედინი დაკითხვები დაგეგმეთ, აუცილებლად უკან უნდა მიბრუნდეთ და თქვენი საქმის თითოეული ასპექტი ხელახლა შეაფასოთ. *თქვენი პირდაპირი დაკითხვები სრულად ამყარებენ და ამტკიცებენ თქვენს თეორიას? ხომ არ ტოვებენ ისინი რაიმე ლოგიკურ ხარვეზებს? სარწმუნოდ მიიჩნევთ, რომ ყველა თქვენთვის საჭირო მტკიცებულება დაშვებულად იქნება ცნობილი? როგორი იქნება მათი დამაჯერებლობის ხარისხი? პოტენციური ჯვარედინი დაკითხვების შედეგად ხომ არ წამოიჭრება საკითხები, რომელთაც თქვენ ვერ გაუმკლავდებით? შეძლებთ თუ არა თქვენი მორალური თემის ხაზგასმას ყველა ან უმეტესობა პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვების დროს?* თუ ამ კითხვებს წარმატებით ვერ პასუხობთ, მაშინ შესაძლოა თქვენი თეორიის ან თემის შეცვლა დაგჭირდეთ. თუ დავუშვებთ, რომ თქვენი თეორია გაკმაყოფილებთ, მაშინ თქვენ ძალიან კარგი წარმოდგენა უნდა გქონდეთ პროცესზე განხილული მტკიცებულებების თაობაზე. ამის გათვალისწინებით, საქმეს მიუბრუნდით და თქვენს დასკვნით სიტყვას გადახედეთ. დარწმუნდით, რომ ის სრულად შეესაბამება მოსალოდნელ მტკიცებულებებს და მაქსიმალურად იყენებს უდავოდ მიჩნეულ ფაქტებს.[24]

წელი, გვ. 28.

[24] სტივენ ლიუბე, „თანამედროვე სასამართლო უნარ-ჩვევები", სამართლის სკოლის გამოცემა, სასამართლო უნარ-ჩვევების განვითარების ეროვნული ინსტიტუტი (NITA), ამერიკის შეერთებული შტატები, 2000 წელი, გვ. 28.

წინასასამართლო შუამდგომლობების სტრატეგიული გამოყენება

მეტად საინტერესოა ეს საკითხი დაცვის მხარის პერსპექტივიდან. წინასასამართლო შუამდგომლობების დაყენების პრაქტიკა ხშირად ჩრდილშია მოქცეული, სავარაუდოდ, იმ ალბათობისა და ვარაუდის გამო, რომ შუამდგომლობათა უმრავლესობა არ დაკმაყოფილდება და რომ დაცვა ჯერ არ არის საქმეში „ჩართული“. ამ თავის მიზანია ხაზი გაუსვას შუამდგომლობების დაყენების პრაქტიკის მნიშვნელობას საქმის მოგების საბოლოო მიზნის მიღწევაში.

უპირველეს ყოვლისა, მოკლედ მიმოვიხილოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლები შუამდგომლობების შესახებ:

„*მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა ...*“ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი, მე-2 ნაწილი).

„*მხარეებმა შუამდგომლობა შეიძლება დააყენონ ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე*“ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი).

„*შუამდგომლობა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. წერილობითი შუამდგომლობა უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს. ზეპირი შუამდგომლობა შეტანილ უნდა იქნეს ოქმში, შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს, მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია და იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან*“ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლი, მე-2 ნაწილი).

„*მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა დაუშვებელია. სასამართლო ვალდებულია ამ კოდექსით დადგენილი წესით, განსჯადობის მიხედვით განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, შუამდგომლობა და საჩივარი*“ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლი, მე-2 ნაწილი).

„*თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით ...*“ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლი, მე-2 ნაწილი).

„*თუ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხოვნის შესრულება ხელს უწყობს სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების განხორციელებას, იგი უნდა დაკმაყოფილდეს ...*“ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი).

სანამ გადაწყვეტთ, თუ რომელი შუამდგომლობები დააყენოთ, „სასამართლო პროცესის გეგმა“ უნდა შეიმუშაოთ. სასამართლო პროცესის გეგმა შედგება საქმის თეორიისგან, მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებებთან გამკლავების მეთოდებისგან, წარმოსადგენი მტკიცებულებებისგან და ა.შ., ისე, რომ პროკურორმა/ადვოკატმა იცოდეს, თუ სტრატეგიულად რისი განვითარებაა აუცილებელი. სასამართლო პრო-

ცესის გეგმის ჩამოყალიბება და მის თანახმად მოქმედება საგრძნობლად განსხვავდება სასამართლო პროცესის „სპონტანურად“ ჩატარებისგან. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ დასაყენებელი შუამდგომლობები სასამართლო პროცესის გეგმაში ეწერებოდეს და მას აძლიერებდეს.

რა არის შუამდგომლობების მიზანი? – შუამდგომლობის დაკმაყოფილება?! ცხადია, ეს არის მიზანი და ის მნიშვნელოვანია, მაგრამ კარგი პროკურორი/ადვოკატი წარმოსახვისა და შემოქმედებითი მიდგომის მეშვეობით სხვა მიზნებსაც ემსახურება, როგორიცაა ინფორმაციის მოპოვება (იმ ინფორმაციის გარდა, რომელიც მტკიცებულებების გაცვლისს პროცესში მოიპოვება, შუამდგომლობების განხილვისას მოწინააღმდეგე მხარემ შესაძლოა განაცხადოს, რომ გამოიყენებს ან არ გამოიყენებს გარკვეულ მტკიცებულებებს, მოწმეებს, რომ წარმოდგენილი იქნება ნივთმტკიცებები, და ა.შ.), შეუსაბამობების დადგენა, საკუთარი საქმის თეორიის შემუშავება, ფაქტების დაფიქსირება ოქმებში აპელაციისთვის და ა.შ.

თუმცა, პროკურორი/ადვოკატი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს თავის მიერ დაყენებულ შუამდგომლობებს! ზოგჯერ უკეთესია ნაკლებად აქტიური პოზიციის არჩევა, რადგან შუამდგომლობების შედეგად შესაძლოა მოწინააღმდეგე მხარე საქმეში „აქტიურად ჩაერთოს“, რასაც სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა. თავიდან აირიდეთ შუამდგომლობების მეშვეობით ან სასამართლო პროცესებზე მინიშნებების მიცემა თქვენი საქმის თეორიის შესახებ. შუამდგომლობა მხოლოდ იმიტომ არ უნდა იყოს დაყენებული, რომ ეს შესაძლებელია. იმდენად, რამდენადაც შუამდგომლობები მხარისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იარაღია სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, პროკურორმა/ადვოკატმა კარგად უნდა მოიფიქროს, სანამ შუამდგომლობას დააყენებს და გაითვალისწინოს, შეესაბამება თუ არა შუამდგომლობა, რომლის დაყენებასაც აპირებს, მის მიერ წინასწარ შემუშავებულ სასამართლო პროცესის გეგმას.

დასკვნა

სასამართლო პროცესზე ეფექტურად გამოსვლა, საბოლოო ჯამში, უამრავ ფიქრს და შემოქმედებით მიდგომას საჭიროებს. უნდა იხელმძღვანელოთ შეთანხმებული მოდელით, რომელიც შესაძლებლობას მოგცემთ მრავალი უბრალო ფაქტი პროცესზე პრეზენტაციისთვის ერთიან ამბად აქციოთ. მაგალითისთვის, ერთი ასეთი მოდელი ქვემოთ არის მოცემული:

(1) **საქმის ანალიზის გეგმა**

ა. *ფაქტების შეგროვება*

1. განიხილეთ ყველა პოტენციურად მნიშვნელოვანი ფაქტი.
2. შეინარჩუნეთ ნეიტრალობა ფაქტების წყაროების მიმართ.

ბ. *ფაქტების ანალიზი / „მტკიცებულებების გამორიცხვა“*

1. განსაზღვრეთ, რომელი ფაქტებია საზიანო და რომელი სასარგებლო.
2. განიხილეთ საზიანო ფაქტების დაუშვებლად ცნობის გზები.
3. განიხილეთ სასარგებლო ფაქტების დასაშვებად ცნობის გზები.

გ. *შეკითხვების დასმა ფაქტებთან დაკავშირებით*

1. იფიქრეთ შეკითხვებზე, რომლებიც შეიძლება ნაფიც მსაჯულებს ფაქტებთან დაკავშირებით გაუჩნდეთ.

2. საზიანო ფაქტების თაობაზე შეკითხვებთან დაკავშირებით იფიქრეთ, თუ როგორ შეუძლია ბრალდებას ამ შეკითხვებს გაუმკლავდეს და თუ რისი გაკეთება შეგიძლიათ, რათა შეკითხვებზე ბრალდებისთვის დამაკმაყოფილებელი პასუხები არ იყოს გაცემული.

3. სასარგებლო ფაქტების თაობაზე შეკითხვებთან დაკავშირებით იფიქრეთ, თუ როგორ შეგიძლიათ მათზე ნაფიცი მსაჯულებისთვის დამაკმაყოფილებელი პასუხების გაცემა.

(2) **საქმის თეორიის განვითარება**

ა. განსაზღვრეთ ბრალდების/დაცვის ყველა შესაძლო საფუძველი (სამართლებრივი კომპონენტი).

ბ. ბრალდების/დაცვის თითოეული საფუძვლიდან გამომდინარე გაითვალისწინეთ თქვენი სტრატეგია თითოეულ მოწმესთან და მტკიცებულებასთან მიმართებაში (ფაქტობრივი და ემოციური კომპონენტები).

გ. აირჩიეთ საქმის თეორია, რომელიც ყველაზე მისაღებია თქვენს საქმეში არსებული ფაქტების გათვალისწინებით.

დ. სტრატეგიულად გამოიყენეთ შუამდგომლობები თქვენი დაცვის თეორიის ჩამოსაყალიბებლად.

(3) **სასამართლო პროცესზე ეფექტური გამოსვლისთვის ამბის ჩამოყალიბება**. თითოეულ მოწმესთან და მტკიცებულებასთან მიმართებაში ჩამოაყალიბეთ სარწმუნო ამბავი, რომელიც თქვენი საქმის თეორიას ამყარებს.

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობები. კლიენტის გამოკითხვის სპეციფიკა[25]

სანამ უშუალოდ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობების განხილვაზე გადავიდოდეთ, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც ამ საკითხს ეხება. სახელდობრ:

მუხლი 38. ბრალდებულის უფლება-მოვალეობანი

5. ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია – უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისთვის. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია. აკრძალულია ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობებზე ასეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას.

მუხლი 41. ბრალდებულის მიერ ადვოკატის აყვანა

ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, – მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 43. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობების კონფიდენციალურობა

1. ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან კონფიდენციალური და თავისუფალია.

2. კონფიდენციალურია ასევე პირის ბრალდებულად ცნობამდე მისი ურთიერთობა მის შესაძლო ადვოკატთან.

3. დაკავებული ან დაპატიმრებული ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან შესაძლებლია შეიზღუდოს მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობით.

მუხლი 60. სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები

ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ:

ა) ამ საქმეში მონაწილეობდა როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მოწმე ან ექსპერტი.

ბ) იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს.

---

[25] კლიენტის გამოკითხვა – სტატია: კლიენტთან ურთიერთობის დამყარება, ავტორი ჯონ რეპინგი. იურიდიული დახმარების სასწავლო ცენტრის სამხრეთის ოფისი; იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო პროგრამების (ცენტრის) ყოფილი დირექტორი (კოლუმბიის ოლქი), ნიუ-ორლეანსი, ჯორჯიის შტატი. გამოყენებულია ჯონ რეპინგის ნებართვით, „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (**ABA ROLI**) საქართველოს ოფისის მიერ განხორციელებული შესწორებებითა და თარგმნით.

გ) ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა ამ საქმის გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვაში.

კლიენტთან ურთიერთობის დამყარება

ადვოკატის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი კლიენტებთან კარგი ურთიერთობის დამყარებაა. კლიენტების ნდობის მოპოვება საკუთარი თავის მათ ადგილზე დაყენებას მოითხოვს. ეს კი მოთმინების, თანაგრძნობისა და ურთიერთობის ჩამოყალიბების სურვილთან არის დაკავშირებული. ურთიერთობის დამყარებისათვის აუცილებელია დადებით განწყობა.

ჯანსაღი ურთიერთობა ხელს უწყობს თქვენი კლიენტის ინტერესების კარგად წარმოდგენას. ეს დაგეხმარებათ მოიპოვოთ სანდო ინფორმაცია კლიენტისგან, რაც საქმის მომზადებაში დაგეხმარებათ. თუ კლიენტს თქვენდამი ნდობას შთააგონებთ, შედარებით ადვილი იქნება მისი დარწმუნება თქვენ მიერ შეთავაზებული კურსის სისწორეში. ამ შეთხვევაში კლიენტს მუდმივად არ დასჭირდება მოითხოვოს თქვენგან იმის დადასტურება, რომ მის საქმეზე მუშაობთ, რასაც შეუძლია ძალიან დიდი დრო წაგართვათ. ზოგიერთი ადვოკატი არასათანადო ყურადღებას უთმობს კლიენტებთან ურთიერთობას. უფრო მეტიც, ზოგიერთი თვლის, რომ კლიენტი დაბრკოლებებს უქმნის „საკუთარი“ საქმიანობის განხორციელებაში. ადვოკატები, რომლებიც ასე ფიქრობენ, დაბრკოლებას უქმნიან საქმის წარმატებით გადაწყვეტას.

კლიენტთან ურთიერთობის დამყარება პირველი შეხვედრით იწყება. ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარება მოხდება კლიენტთან შემდგომ შეხვედრებზე. უმნიშვნელოვანესია დაუმტკიცოთ კლიენტს, რომ მის და მხოლოდ მის მხარეს ხართ და რომ მზად ხართ ჩადოთ მის საქმეში დრო და ენერგია. იმდენად, რამდენადაც კლიენტის ნდობისა და პატივისცემის მოპოვება თქვენს ქმედებაზეა დამოკიდებული, და არა თქვენს სიტყვებზე, შეუძლებელი იქნება კლიენტის სრული ნდობისა და პატივისცემის მოპოვება მასთან პირველივე შეხვედრაზე. თუმცა, თუ გაიაზრებთ ამას, თავიდანვე შეძლებთ საფუძველი ჩაუყაროთ კლიენტთან ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ქვემოთ განხილულია რამდენიმე საკითხი, რაც დაგეხმარებათ კლიენტთან ურთიერთობის დაწყებასა და განვითარებაში. კარგი იქნება, თუ ამ საკითხებს მხედველობაში მიიღებთ და გაითვალისწინებთ საქმეზე მუშაობის დაწყებისთანავე.

იცოდეთ თქვენი საქმე და დაეხმარეთ კლიენტს გაერკვეს თქვენს საქმიანობაში

კლიენტთან პირველი შეხვედრისთვის მომზადების დროს გაითვალისწინეთ, რომ ის, რასთანაც მას უწევს შეხება, მისთვის სრულიად უცხოა. მათაც კი, ვისაც წარსულში ჰქონია შეხება მართლმსაჯულების სისტემასთან, შესაძლოა საერთოდ არ

ჰქონდეს წარმოდგენა, სისხლის სამართლის სისტემაზე. ეს პროცესი იქნება ერთდროულად დამაბნეველი და შიშის მომგვრელი თქვენი კლიენტისთვის. პირველი შეხვედრის დროს კლიენტზე კომპეტენტური და მცოდნე ადვოკატის შთაბეჭდილების დატოვებით, გაიადვილებთ მისი ნდობის მოპოვებას.

თქვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ კლიენტმა გაიგოს წაყენებული ბრალდების შინაარსი, მოსალოდნელი სასჯელი და დაცვის პოტენციური მიმართულებები. აუხსენით კლიენტს, რომ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა დაცულია. უთხარით მას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თქვენთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე, არავის ესაუბროს. მიაწოდეთ კლიენტს იმ ადამიანების ჩამონათვალი, ვინც თქვენი დავალებით დაუკავშირდება მას. მოიპოვეთ არსებული დოკუმენტებისა და ანგარიშების, საბრალდებო აქტის ასლები და განიხილეთ ისინი კლიენტთან ერთად.

აჩვენეთ კლიენტს, რომ გსურთ ირწმუნოთ მისი უდანაშაულობა

დაარწმუნეთ თქვენი კლიენტი, რომ მის მხარეს ხართ. და რომ თქვენ მას დამნაშავედ არ მიიჩნევთ. რადგან კლიენტი თავდაპირველად თქვენ აღგიქვამთ, როგორც სისტემის კიდევ ერთ მონაწილეს, რომელსაც მისი არ სჯერა. ის თქვენ აღგიქვამთ, როგორც ადამიანს, რომელიც უნდა დაარწმუნოს საკუთარ უდანაშაულობაში. ის ჩათვლის, რომ თუ თქვენ მის უდანაშაულობაში დარწმუნდებით, უფრო მეტს გააკეთებთ მისთვის, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ჩათვლით, რომ ის დამნაშავეა. თქვენ უნდა დაეხმაროთ მას იმის აღქმაში, რომ თქვენი ძალისხმევის ხარისხი არ არის დამოკიდებული მის დამნაშავეობასა თუ უდანაშაულობაზე. თუმცა, ამ ეტაპზე მისვლამდე, თუ ის იგრძნობს, რომ თქვენ მას დამნაშავედ თვლით, დიდია იმის საფრთხე, რომ მან გაწყვიტოს თქვენთან ურთიერთობა.

დარწმუნებული ხართ, რომ გინდათ ჰკითხოთ თქვენს კლიენტს რა მოხდა?

როგორც ალბათ უკვე ნათელია წინა ორი ქვეთავიდან გამომდინარე, არ უნდა ისაუბროთ თქვენს კლიენტთან იმაზე, თუ რა მოხდა მისი ვერსიით, მანამ, სანამ არ დაამყარებთ მასთან სათანადო ურთიერთობას. ადვოკატებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, საერთოდ უნდა ჰკითხოს თუ არა ადვოკატმა კლიენტს თუ რა მოხდა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამის გაკეთება კლიენტთან ურთიერთობის ადრეულ ეტაპზე არასწორი სტრატეგიაა. კლიენტის იძულება მოჰყვეს მისი ვერსია ადვოკატთან ურთიერთობის ჩამოყალიბებამდე, რისკებთან არის დაკავშირებული. დაკვირვებულმა ადვოკატმა კლიენტის ასეთ პოზიციაში ჩაყენების გარეშე უნდა შეძლოს საჭირო ინფორმაციის მოპოვება.

ჩვენს კლიენტებს არ აქვთ საფუძველი გვენდობოდნენ, როცა ჩვენ მათ პირველად ვხვდებით. მათ არ იციან, თუ როგორ იმოქმედებს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჩვენს ძალისხმევაზე დავიცვათ მათი ინტერესები. თავდაპირველად, კლიენტი აუცილებლად თვლის, რომ თქვენ უფრო ენერგიულად იმუშავებთ მის დასაცავად, თუ მის უდანაშაულობას ირწმუნებთ. შესაბამისად, თქვენს პირველ შეხვედრაზე კლიენტს

ექნება დიდი ცდუნება, დაგიხატოთ უდანაშაულობის სურათი. ეს თანაბრად ეხება როგორც ფაქტობრივად უდანაშაულო, ისე დამნაშავე კლიენტს. მაშინაც კი, როცა კლიენტი უდანაშაულოა, არსებობს ფაქტების გარკვეული ვერსია, რომელიც მის დამნაშავეობაზე მიუთითებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნებოდა დაკავებული. ამ შემთხვევაში ის საფრთხე არსებობს, რომ უდანაშაულო კლიენტი შეეცდება „შეალამაზოს“ ფაქტები, რათა უფრო ნათლად დახატოს საკუთარი უდანაშაულობის სურათი.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ პირველ შეხვედრაზე ვაიძულებთ კლიენტს მოგვიყვეს ფაქტების საკუთარი ვერსია, მაღალია არაზუსტი ინფორმაციის მიღების ალბათობა. ამ მიდგომის საფრთხეები აშკარაა. პირველ რიგში, დიდი ალბათობაა იმისა, რომ კლიენტის საქმის მომზდების დაწყებისას თქვენ დაეყრდნობით არაზუსტ ინფორმაციას. მეორე მხრივ, თქვენი კლიენტი შესაძლოა მიეჯაჭვოს ამ არასწორ ვერსიას. მას შემდეგ, რაც თქვენ დამატებითი ინფორმაციის მეშვეობით გაარკვევთ, რომ თქვენი კლიენტის თავდაპირველი ვერსია არასწორი იყო, თქვენს კლიენტს შესაძლოა გაუჩნდეს სურვილი დაგარწმუნოთ, რომ მას ტყუილი არ უთქვამს. მან შესაძლოა ჩათვალოს, რომ თუ თქვენ მის ნდობას დაკარგავთ, იმავე ძალისხმევით არ განაგრძობთ მის დაცვას. ამგვარად, შესაძლოა აღმოჩნდეთ რთულ მდგომარეობაში, როცა თქვენი კლიენტი დაჟინებით მოგთხოვთ ამტკიცოთ ვერსია, რომელიც არ შეესაბამება არსებულ მტკიცებულებებს.

თუ კლიენტს პირველსავე შეხვედრაზე მოსთხოვთ მოგიყვეთ რა მოხდა, შესაძლოა აიძულოთ იგი მოჰყვეს და მიეჯაჭვოს არასწორ ვერსიას, რომლის გადათქმევინება მისთვის ძალიან გაგიჭირდებათ. ეს გაართულებს შემდგომშიც მისგან სარწმუნო ინფორმაციის მიღებას.

გამოიჩინეთ მზრუნველობა თქვენი კლიენტის, როგორც ადამიანის მიმართ

კიდევ ერთი რამ, რაც უნდა გადალახოთ, ის არის, რომ თქვენი კლიენტი თვლის, რომ თქვენ მისგან სრულიად განსხვავებულ სამყაროში ცხოვრობთ. ეს განწყობა გაამყარებს მის განცდას, რომ თქვენ და ის მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა მხარეს დგახართ. მიუხედავად იმისა, რომ, სავარაუდოდ, თქვენი და თქვენი კლიენტის განვლილი გზა და ცხოვრებისეული გამოცდილება განსხვავებული იქნება, აუცილებლად აღმოჩნდება რაიმე საერთო თქვენს შორის. გამოიჩინეთ მზრუნველობა იმის მიმართ, რაც თქვენს კლიენტს აწუხებს და გამოავლინეთ ინტერესი მისი პიროვნების მიმართ. ჰკითხეთ ოჯახის, ინტერესების, ცხოვრებისეული გამოცდილების შესახებ – რა თქმა უნდა, ურთიერთობის ძალიან ადრეულ ეტაპზე ღრმად პირადული საკითხებით დაინტერესება არ ღირს. აუცილებლად მიუბრუნდით ამ თემებს ურთიერთობის შემდეგ ეტაპებზე. მაგალითად, თუ თქვენი კლიენტი გეტყვთ, რომ დედამისი ავად არის, დაინტერესდით დედამისის მდგომარეობით შემდეგ შეხვედრაზე. თუ გეტყვით, რომ რომელიღაც სპორტულ გუნდს გულშემატკივრობს, კომენტარი გააკეთეთ ამ გუნდის ბოლო თამაშზე თქვენს შემდეგ შეხვედრაზე. ამ გზით თქვენ ეუბნებით თქვენს კლიენტს, რომ გაინტერესებთ იგი, როგორც ადამიანი.

ნურასდროს დადებთ ისეთ პირობას, რასაც ვერ შეასრულებთ, ისეთი პირობა დადეთ, რასაც შეასრულებთ

ძნელად თუ წარმოიდგენთ რაიმეს, რაც უფრო მეტად იმოქმედებს თქვენი და თქვენი კლიენტის ურთიერთობის საწინააღმდეგოდ, ვიდრე პირობა, რომელიც დადეთ და ვერ შეასრულეთ. თქვენი კლიენტი გაკვირდებათ და თქვენგან მოითხოვს დაუმტკიცოთ, რომ თქვენი სიტყვის ნდობა შეიძლება. ნდობის მოპოვებაში ხელს შეგიშლით ნებისმიერი პირობა, თუნდაც ძალიან უმნიშვნელო, რის დაცვასაც ვერ შეძლებთ. ჩვენი საქმიანობის შედეგების წინასწარგანჭვრეტის შეუძლებლობიდან გამომდინარე, თქვენ ბევრს ვერაფერს შეჰპირდებით კლიენტს საქმესთან დაკავშირებით. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება საკითხს, რაც თქვენს კლიენტს ყველაზე მეტად ანაღვლებს: მოვიგებთ საქმეს? შეძლებ გამათავისუფლო?

ნუ შეჰპირდებით კლიენტს მისთვის სასურველ შედეგს იმისთვის, რომ მისი ნდობა მოიპოვოთ. თუ ამ პირობის შესრულებას ვერ შეძლებთ, მისი შეუსრულებლობით ურთიერთობისთვის მიყენებული ზიანი გაცილებით უფრო მძიმე იქნება, ვიდრე ის სავარაუდო სარგებელი, რაც შეიძლება ასეთმა პირობამ მოგიტანოთ მოკლევადიან პერსპექტივაში.

მეორე მხრივ, კლიენტის ნდობის მოპოვების საუკეთესო შესაძლებლობაა მისთვის მიცემული დაპირების შესრულება. ასეთი პირობა შესაძლოა იყოს მისი მონახულება ციხეში გარკვეულ დღეს. ჰკითხეთ თქვენს კლიენტს, ხომ არ უნდა ვინმეს დაურეკოთ და უთხრათ, რომ ის კარგად არის. ეს პირობა აუცილებლად უნდა შეასრულოთ. თუ ეტყვით, რომ მისთვის რამეს მოიძიებთ ან გარკვეულ საკითხს შეისწავლით, ასეც მოიქეცით. ასეთი მცირედი ჟესტებით თქვენ მოიპოვებთ თქვენი კლიენტის ნდობას და დაამყარებთ მასთან სათანადო ურთიერთობას.

მიაწოდეთ ინფორმაცია სიახლეების შესახებ თქვენს კლიენტს და იქონიეთ მასთან რეგულარული კონტაქტი

ერთი რამ, რაც შეიძლება კლიენტს თავში უტრიალებდეს, არის ის, რომ ადვოკატს იმაზე მეტი საქმე აქვს, ვიდრე მას შეუძლია გაუძღვეს. თქვენი კლიენტი არ იქნება დარწმუნებული, რომ თქვენ სათანადო ყურადღებასა და დროს დაუთმობთ მის საქმეს. სანამ მის დარწმუნებას შეძლებთ საწინააღმდეგოში, შესაძლოა ბევრი დრო დაგეხარჯოთ. ეს განსაკუთრებით დაკავებულ კლიენტს შეეხება. თუ კლიენტი არ არის დარწმუნებული, რომ ადვოკატი მის საქმეს სათანადო დროს უთმობს, ის სხვებს ჰკითხავს, რა უნდა გაკეთდეს მის სიტუაციაში. ხალხი, ვისაც იგი რჩევისთვის მიმართავს, სავარაუდოდ, იმავე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული ადამიანები იქნებიან, ვინც მასავით გაუცნობიერებელია სამართალში. ამის შემდეგ, თქვენი კლიენტი ტელეფონის ზარებით აგიკლებთ, რათა შეამოწოს გააკეთეთ თუ არა ყველაფერი, რაც უნდა გაგეკეთებინათ.

რჩევები, რასაც ის მიიღებს, შესაძლოა სრულიად არ იყოს რელევანტური მისი საქმისთვის. შესაბამისად, თქვენ დამატებითი დროის დახარჯვა მოგიწევთ იმაზე, რომ თქვენს კლიენტს აუხსნათ, თუ რატომ არ არის საჭირო, ან არ აქვს აზრი კონკრე-

ტული ქმედების განხორციელებას მის საქმეზე. ამრიგად, თქვენ მოგიწევთ კლიენტის გადარწმუნება. ეს კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ადამიანია თქვენი კლიენტი და რამდენად დიდია მისი თქვენდამი, როგორც ადვოკატისადმი, ნდობა. შესაძლოა კლიენტმა დაიჟინოს ისეთი ქმედების განხორციელება, რომლის უშედეგობაშიც თქვენ დარწმუნებული ხართ, თუმცა ვერ შეძლოთ ამაში კლიენტის დარწმუნება. ისევ და ისევ, ის თუ რამდენად შეძლებთ მის გადარწმუნებას, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სჯერა თქვენს კლიენტს, რომ მის საქმეს სათანადო ყურადღებას უთმობთ.

როგორ მოვიქცეთ, თუ პირველი შეხვედრისთვის ძალიან ცოტა დრო გვაქვს

ზემოთ აღწერილი მიზნების მიღწევა პირველივე შეხვედრაზე იწყება. იდეალურ შემთხვევაში პირველი შეხვედრა დროში შეზღუდული არ უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუ თქვენს კლიენტს პირველად სასამართლოში ხვდებით მოსამართლის წინაშე წარდგომამდე სულ ცოტა ხნით ადრე, შეეცადეთ, რომ ამ პირველმა დაჩქარებულმა შეხვედრამ ურთიერთობა არ გაგიფუჭოთ. კლიენტმა თქვენს მიმართ ნდობა არ უნდა დაკარგოს იმის გამო, რომ თქვენ განერვიულებული ან დაძაბული ხართ. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, 10-15 წუთი არ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ კლიენტთან სათანადო ურთიერთობა დაამყაროთ. იფიქრეთ იმაზე, თუ რისი მიღწევა შეიძლება ამ შეხვედრაზე: 1) მიიღოთ ინფორმაცია, რაც დაგჭირდებათ სასამართლოში; 2) აუხსნათ კლიენტს, თუ რა ხდება სასამართლოში ამ პირველ დღეს, და როდის შეძლებთ მასთან ხანგრძლივ საუბარს. თქვენს კლიენტს, სავარაუდოდ, ბევრი ექნება სათქმელი თქვენთვის ამ პირველ შეხვედრაზე. ის შეეცდება ყველაფერი ერთად „მოგაყაროთ“, მაგრამ თქვენ არ გეყოფათ დრო, რომ ყველაფერზე უპასუხოთ. აუხსენით კლიენტს, თუ რაზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება ამ პირველ შეხვედრაზე. აუხსენით, რატომ არის მნიშვნელოვანი ამ ინფორმაციის მიღება. უთხარით, რომ მალე შეხვდებით და გაცილებით უფრო დეტალურად ისაუბრებთ საქმეზე. უთხარით, როდის შედგება შემდეგი შეხვედრა.

აუცილებლად უნდა აუხსნათ თქვენს კლიენტს, რომ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის შინაარსი საიდუმლოა და, რომ იგი არ უნდა ესაუბროს არავის სხვას მის საქმეზე. აუხსენით თქვენს კლიენტს, თუ რა მოხდება იმ დღეს სასამართლოში. აუხსენით მას, რომ იმ ეტაპზე გჭირდებათ მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც იმ ეტაპზე არსებული საკითხის მოგვარებაში – სავარაუდოდ, მის გათავისუფლებაში დაგეხმარებათ. აუხსენით მას, რომ თქვენ ძალიან გაინტერესებთ მასთან საუბარი, რომ ძალიან ბევრი კითხვა გაქვთ, მაგრამ ახლა ძალიან ცოტა დრო გაქვთ ამისთვის. ქვემოთ იხილეთ ნიმუში: ადვოკატის საუბარი კლიენტთან მათი ურთიერთობის დასაწყისში:

ბატონო X, მე გახლავართ ————————— , თქვენი ადვოკატი. აი, ჩემი სავიზიტო ბარათი, სადაც არის ჩემი საკონტაქტო ინფორმაცია. სულ თან იქონიეთ ეს ბარათი, რომ ყოველთვის შეძლოთ ჩემთან დაკავშირება, როცა დაგჭირდებათ. პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ურთიერთობის შინაარსი საიდუმლოა. იცით, ეს რას ნიშნავს? (მიეცით საშუალება გიპასუხოთ, თუ მას სურს). ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს. თქვენ შეგიძლიათ მითხრათ ყველაფერი, როგორც თქვენს ადვოკატს და მე არ მაქვს უფლება ვინმეს ვუთხრა თქვენი ნათქვმი,

თქვენი ნებართვის გარეშე. ასეთი განსაკუთრებული ურთიერთობა თქვენ არავისთან არ გაქვთ, არც იმ პირებთან, ვისთან ერთადაც ცისქვეშ სხედხართ, არც შეყვარებულთან, არც ოჯახის წევრებთან. თუ თქვენ საქმესთან დაკავშირებით ჩემ გარდა ვინმე სხვას რამეს ეტყვით, ან სხვების თანდასწრებით იტყვით რამეს, ეს ადამიანები შეიძლება იძულებულები იყვნენ სასამართლოში მისცენ ჩვენება იმის შესახებ, რაც თქვენგან გაიგეს. მნიშვნელოვანია, რომ თქვენ სერიოზულად მოეკიდოთ ამ პრივილეგირებულ ურთიერთობას, რათა დაიცვათ საკუთარი თავიც და თქვენი საყვარელი ადამიანებიც. ეს თქვენ გიცავთ იმდენად, რამდენადაც თქვენ იცით, რომ შეგიძლიათ ყველაფერი მითხრათ და რომ ის, რასაც თქვენ მეტყვით, საიდუმლოა. თქვენ საყვარელ ადამიანებს რაც შეეხება, თუ მათ სასამართლოში დაიბარებენ და ჰკითხავენ, რა იციან ამ საქმის შესახებ, ისინი შეძლებენ გულწრფელად უპასუხონ, რომ თქვენ უთხარით, „თუ საქმეზე უნდათ ლაპარაკი, თქვენს ადვოკატს დაურეკონ“. ასე რომ, თუ ვინმე საქმესთან დაკავშირებით რამეს გკითხავთ, უთხარით, რომ თქვენმა ადვოკატმა გაგაფრთხილათ, არავისთან ისაუბროთ საქმეზე და, რომ თუ სურვილი აქვთ, შეუძლიათ მე დამირეკონ. ამასთან დაკავშირებით კითხვები ხომ არ გაქვთ?

ახლა, სწორედ იმ მიზეზის გამო, რის შესახებაც გესაუბრეთ, არ მინდა, ამ ხალხის თანდასწრებით ვისაუბროთ თქვენს საქმეზე. მოდით, მოვიცადოთ, სანამ მარტო დავრჩებით. ახლა არ მინდა საქმეზე საუბარი. ამასთან, ბევრი დრო არ გვაქვს და მინდა ყურადღება იმ საკითხებს დავუთმოთ, რაც დაგვეხმარება დღესვე გაგიშვათ აქედან. ჩვენ ხვალ შევხვდებით და უფრო დეტალურად ვისაუბრებთ საქმეზე. თუ დღეს გაგათავისუფლეს, ჩემს ოფისში შევხვდეთ. თუ არ გაგათავისუფლეს, მე თვითონ მოვალ თქვენს სანახავად ხვალვე.

ახლა, მოდით, იმაზე ვისაუბროთ, თუ რა მოხდება დღეს. ის რაც დღეს ხდება, არის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება. იცით, რა ნიშნავს ეს?... (ესაუბრეთ მას, რათა დარწმუნდეთ, რომ მას ესმის რისთვის იმართება სხდომა და რა საკითხი უნდა გადაწყდეს). სასამართლო მოსმენის შემდეგ უნდა დავიცადოთ და ვნახოთ წაგიყენებენ თუ არა ბრალდებას. ამ პროცესს მთლიანობაში ჩვენ ხვალ განვიხილავთ. თუ არ გაგათავისუფლეს, შემდეგი მოსმენა იქნება წინასასამართლო სხდომა და თუ საჭირო იქნება, ამაზე ხვალ ვისაუბროთ. დღეს მჭირდება მივიღო ინფორმაცია, რომელიც დამეხმარება ვითხოვო თქვენი გათავისუფლება დღეს. რამე კითხვა ხომ არ გაქვთ, სანამ დავიწყებთ? (განიხილეთ საკითხები, რაც მის გათავისუფლებაში დაგეხმარებათ)...

... რამე კითხვა ხომ არ გაქვთ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით? თუ არ გაგათავისუფლეს, ხომ არ გინდათ ვინმეს დავურეკო – ოჯახს, დამქირავებელს, ვინმე სხვას?

ეს კლიენტთან ადვოკატის საუბრის მოკლე ვარიანტია, რომელიც არსებული ვითარებიდან გამომდინარეობს. თუმცა, ამ საუბრისას თქვენ გარკვეულ მიზნებს უკვე მიაღწიეთ: 1) გააგებინეთ თქვენს კლიენტს ის, რაც მან თავიდანვე უნდა იცოდეს, კერძოდ ის, რომ საქმესთან დაკავშირებით არავის უნდა ესაუბროს და აუხსენით, თუ რა მოხდება სასამართლოში დღეს; 2) თქვენ მას აუხსენით, თუ რატომ უნდა შემოიფარგლოთ მხოლოდ გარკვეული საკითხებით დღევანდელ შეხვედრაზე და, რომ ეს ის საკითხებია, რაც მისი ძირითადი სურვილის ასრულებისთვის, ანუ გათავისუფლებისთვის არის საჭირო; 3) თქვენ მას შეუთანხმდით შეხვედრაზე კონკრეტულ დროს და დაჰპირდით, რომ ამ საკითხებზე დეტალურად ისაუბრებდით; 4) თქვენ დატოვეთ

კომპეტენტური იურისტის შთაბეჭდილება, ვინაიდან გაარკვიეთ იგი სამართლებრივ ნიუანსებში და თავდაჯერებული და ორგანიზებული წარსდექით მის წინაშე; 5) თქვენ მას შესაძლებლობა მიეცით დაესვა კითხვები, თუმცა შეზღუდეთ საუბრის საკითხები; და 6) ჰკითხეთ რა, ხომ არ სურდა ვინმესთან დაგერეკათ, თქვენ მას აჩვენეთ, რომ ზრუნავთ მასზე და მიეცით პირობა, რომლის შესრულებაც შეგიძლიათ – სავარაუდოდ, პირველი აგური დადეთ თქვენს შორის ურთიერთობის დამყარებაში.

ახლა კი მიბრძანდით სასამართლოში მასთან ერთად და აჩვენეთ მას, რომ მისთვის და მისი ინტერესების დასაცავად მუშაობთ. კლიენტთან გამართული ურთიერთობის დამყარებისთვის სწორ გზას ადგახართ.

კლიენტის გამოკითხვისას გამოსაყენებელი კითხვების საკონტროლო ჩამონათვალი[26]

გამოკითხვა

კლიენტის ურთიერთგამომრიცხავი მონათხრობის მიუხედავად, დაცვის მხარემ შესაძლოა ეჭვქვეშ არ დააყენოს ის, თუმცა მოწინააღმდეგე მხარე კლიენტს ჯვარედინი დაკითხვისას რამდენიმე მნიშვნელოვან შეკითხვას დაუსვამს და საკმაოდ მძიმე გამოცდის წინაშე დააყენებს. სასამართლო განხილვის მოახლოებასთან ერთად, როდესაც დაცვის მხარეს უკვე აქვს სასამართლოზე წარსადგენი ინფორმაცია, სასურველია, გამოკითხვის გარკვეულ ეტაპზე, მან ეს ინფორმაცია ობიექტურად გააცნოს კლიენტს და მოერიდოს მისთვის დაუსაბუთებელი ოპტიმიზმის ან პესიმიზმის საფუძვლის შექმნას.

გამოკითხვისას გამოსაყენებელი კითხვების საკონტროლო ჩამონათვალი:

„სამოდელო“ ანდა „იდეალური“ გამოკითხვა არის ინფორმაცია იმის შესახებ, რაც ადვოკატმა უნდა მიიღოს კლიენტისაგან, იმისათვის, რომ მხარემ სრულყოფილად წარადგინოს საქმე სასამართლო პროცესზე, აუცილებელია მან გამოკითხვის ეტაპზე მიიღოს სრული ინფორმაცია კლიენტისაგან.

ხშირად არსებული პირობები პირველად გამოკითხვაში ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა საკითხის მიმოხილვის შესაძლებლობას არ იძლევა. ასეთ შემთხვევაში, კითხვები ბიოგრაფიული მონაცემებისა (განათლება, სამხედრო სამსახური, სამუშაო გამოცდილება, ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა) და გამოძიების დეტალების შესახებ შესაძლებელია მომდევნო გამოკითხვებისათვის გადადოთ.

(გამოკითხვის დროს ავსებს ადვოკატი)
ადვოკატის ფაილის №: სისხლის სამართლის საქმის №:
კლიენტის სახელი: წაყენებული ბრალდება:
გამოკითხვის თარიღი და დრო: გამოკითხვის ადგილი:
ადვოკატის სახელი:

[26] კლიენტის გამოკითხვისათვის გამოსაყენებელი კითხვების საკონტროლო ჩამონათვალის გამოყენების უფლების მონიჭებისათვის მადლობას ვუხდით ამერიკის სამართლის ინსტიტუტს. ტექსტის შესწორება და ქართულ ენაზე თარგმნა უზრუნველყო „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (**ABA ROLI**) საქართველოს ოფისმა

- **პირადი ინფორმაცია კლიენტის შესახებ**

სახელი: სხვა სახელები (კნინობითი სახელი ან მეტსახელი):
მისამართი: ტელეფონი (ანდა საკონტაქტო პირის ნომერი და სახელი):
დაბადების თარიღი:
დაბადების ადგილი:
საცხოვრებელი ადგილი პირის დაკავების პერიოდში:
წინა საცხოვრებელი ადგილები (პირველიდან უკანასკნელამდე):
საცხოვრებელი ადგილი (თარიღი) -დან (თარიღი) -მდე

- **განათლება:**

- **სამხედრო სამსახური:**

შეიარაღებული ძალები:
სამსახურის დანაყოფი:
სამხედრო სამსახურის დაწყების თარიღი:
სამხედრო სამსახურის დასრულების თარიღი:
სამხედრო სამსახურის დასრულების ტიპი:
ჯილდოები და მედლები:
საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის გამოცდილება:
საზღვარგარეთ სამსახურის პერიოდი (ადგილი და თარიღი):
ჰქონდა თუ არა ბრალდებულს წაყენებული ბრალი ან იყო თუ არა იგი ნასამართლევი სამხედრო დანაყოფში სამსახურისას?
წაყენებული ბრალდება:
განაჩენი: განაჩენის გამოტანის თარიღი:
სასჯელის ზომა, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

- **მიმდინარე საქმიანობა**

სამუშაო ადგილი (რამდენიმე სამუშაო ადგილის შემთხვევაში თითოეული მიუთითეთ ცალკ-ცალკე)
დამსაქმებლის სახელი:
მისამართი:
ტელეფონის ნომერი:
საქმიანობის ტიპი:

კლიენტის უშუალო ხელმძღვანელი:
კლიენტის თანამდებობა:
კლიენტის სამუშაოს აღწერილობა:
ხელფასი (დასაწყისში): (დღეის მდგომარეობით):
სამუშაოს დაწყების თარიღი:

ამჟამად უმუშევარი: [ ]
უმუშევარია .... (თარიღიდან):

შემოსავლის სხვა წყარო:

- **წინა სამსახური**

წინა სამსახური (ყველა დამსაქმებელი, ყველაზე ადრეულიდან ბოლომდე):
დამსაქმებლის სახელი:
მისამართი:
ტელეფონის ნომერი:
საქმიანობის ტიპი:
კლიენტის უშუალო ხელმძღვანელი:
კლიენტის თანამდებობა:
კლიენტის სამუშაოს აღწერილობა:
ხელფასი (დასაწყისში): (დამთავრებისას):
სამუშაოს დაწყების და დამთავრების თარიღი: (-დან) (-მდე) სამსახურის დატოვების მიზეზი:

- **ოჯახური მდგომარეობა:**

[ ] დასაოჯახებელი
[ ] განქორწინებული
[ ] ქვრივი
[ ] დაოჯახებული: ოფიციალურად [ ] არაოფიციალურად [ ]
მეუღლე/პარტნიორი:
სახელი:
მისამართი:
ტელეფონი:
სამუშაო ადგილი:
სამსახურის ტიპი:
დამსაქმებლის სახელი:
დამსაქმებლის მისამართი: დამსაქმებლის ტელეფონის ნომერი:
შვილი (შვილები):
სახელი: ასაკი:
სახელი: ასაკი:

- **მშობლები/და-ძმა**

კლიენტის მამა:
სახელი:
სამსახური:
ცალკე საცხოვრებელი [ ] ავადმყოფობა [ ]
ცალკე საცხოვრებლის შემთხვევაში:
მისამართი:
ტელეფონი:
კლიენტის დედა:
სახელი:
სამსახური: ცალკე საცხოვრებელი [ ] ავადმყოფობა [ ]

ცალკე საცხოვრებლის შემთხვევაში:
მისამართი:
ტელეფონი:
კლიენტის ძმა (ძმები):
სახელი:
სამსახური:
ცალკე საცხოვრებელი [ ] ავადმყოფობა [ ]
ცალკე საცხოვრებლის შემთხვევაში:
მისამართი:
ტელეფონი:
კლიენტის და (დები):
სახელი:
სამსახური: ცალკე საცხოვრებელი [ ] ავადმყოფობა [ ]
ცალკე საცხოვრებლის შემთხვევაში:
მისამართი:
ტელეფონი:

ვინ გაზარდა კლიენტი? მიუთითეთ, თუკი ბავშვობაში მშობლები განქორწინებული იყვნენ. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი მშობლებს არ გაუზრდიათ, მოიპოვეთ აღმზრდელი პირების შესახებ იგივე ინფორმაცია, რაც მშობლების შემთხვევაში.

- **დამატებითი ინფორმაცია:**

მოიხმარს თუ არა კლიენტი ნარკოტიკულ საშუალებებს?
ტიპი(ტიპები):
მოხმარების დაწყების თარიღი:
მოხმარების სიხშირე დღეისათვის:
ხომ არ გაუვლია კლიენტს ნარკოტიკების მკურნალობის კურსი,
ანდა რაიმე ფორმის დეტოქსიკაციის პროგრამა? აღწერეთ:
მოიხმარს თუ არა კლიენტი ალკოჰოლს?
ალკოჰოლის მოცულობა: გადამეტებული მოხმარების შემთხვევაში, რა თარიღიდან:
ხომ არ გაუვლია კლიენტს ალკოჰოლის მკურნალობის კურსი,
ანდა რაიმე ფორმის დეტოქსიკაციის პროგრამა? აღწერეთ:
კლიენტის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა:
მიმდინარე ფიზიკური შეზღუდულობა:
მიმდინარე ფიზიკური ავადმყოფობა:
ამჟამად გადის სამედიცინო მკურნალობის კურსს:
ექიმის სახელი: მისამართი: ტელეფონი:
სერიოზული ფიზიკური დაზიანებები (ყველანაირი დაზიანება თავის არეში):
ტიპი:
მიზეზი:
თარიღი:
ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში საავადმყოფოს სახელი, მისამართი, ქალაქი და

ჰოსპიტალიზაციის თარიღი:

იყო თუ არა კლიენტი ოდესმე მოთავსებული ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ან/და ინსტიტუტში (დაწესებულების სახელი და ადგილი):

უსარგებლია თუ არა კლიენტს ოდესმე ფსიქიატრის ან ფსიქოლოგის მომსახურებით (სახელი, მისამართი და ტელეფონი):

ფსიქოლოგების ან ფსიქიატრების რაოდენობა:

გაუვლია თუ არა კლიენტს ოდესმე ფსიქიატრიული, ან ფსიქოლოგიური შეფასება (პირობები: შემფასებლის სახელი და მისამართი):

- **ნასამართლობა**

(ყველა დაკავება, ყველაზე ადრეულიდან ბოლომდე, ბრალდებების ჩათვლით, მათ შორის მიმდინარე ბრალდებები, არასრულწლოვან ასაკში დაკავება და/ან სხვა იურისდიქციაში (ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა) წარდგენილი ბრალდებები:

დაკავების თარიღი:

დაკავების ადგილი:

წაყენებული ბრალი:

გადაწყვეტილება, თუკი ის სასამართლოს მიერ არ იყო მიღებული (ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა):

საპროცესო შეთანხმება სასამართლო პროცესი მოსამართლის, ანდა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით:

მოსამართლის სახელი:

სასამართლოს განაჩენი (დამნაშავე ან უდანაშაულო):

სასჯელის ზომა: სასჯელის შეფარდების თარიღი:

ადვოკატის სახელი:

მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

სასჯელის ხანგრძლივობა:

დაწესებულება:

სასჯელაღსრულების დაწესებულების ნომერი:

პრობაციის, ანდა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების

თარიღი: -დან: -მდე:

პრობაციის, ან პირობით ვადამდე გათავისუფლების პირობების დარღვევისათვის განმეორებით დაკავება:

პრობაციის ოფიცრის, ანდა პირობით ვადამდე გათავისუფლების ოფიცრის სახელი:

მეორედ დაკავების თარიღი:

დარღვევის შედეგად წაყენებული ბრალი:

გადაწყვეტილება:

იხდიდა თუ არა კლიენტი პრობაციის, ან პირობით ვადამდე გათავისუფლების პერიოდს დაკავების პროცესში?

პრობაცია, ან პირობით ვადამდე გათავისუფლება: ზემოთ ჩამოთვლილი რომელი ბრალის გამო (მიუთითეთ ნომერი):

დაკავების მომენტში ხომ არ მიმდინარეობდა საქმისწარმოება კლიენტის წინააღმდეგ?

(მიუთითეთ ზემოხსენებულ წარმოებაში მყოფი საქმის ნომერი):

დაკავების მომენტში კლიენტი რომელიმე იურისდიქციის თანახმად ხომ არ იძებნებოდა დაკავების მიზნით?

იურისდიქცია (ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა):

ბრალი:

საიდან აქვს კლიენტს ინფორმაცია მის წინააღმდეგ წარმოებული ძებნის შესახებ:

სამართალდამცავი უწყების სახელწოდება (თუ ცნობილია):

საქმეზე მომუშავე ოფიცრის სახელი (თუ ცნობილია):

მიმდინარე საპატიმრო სტატუსი:

ციხე (დასახელება და მისამართი):

სასჯელაღსრულების დაწესებულება (დასახელება და მისამართი):

სასჯელაღსრულების დაწესებულების ნომერი:

გირაო:

სად გამოცხადდა:

როდის გამოცხადდა:

ოდენობა:

ფორმა (ნაღდი ფული, ქონება და პირადი თავდებობა):

თუკი გირაოს თანხა კომპანიამ დაფარა, მიუთითეთ სახელი:

რატომ დაფარა გირაოს თანხა:

- **კლიენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია**

სთხოვეთ კლიენტს ქრონოლოგიურად მოგიყვეთ მიმდინარე წაყენებული ბრალდების შესახებ: რა გააკეთა, რა შეემთხვა, რა მოხდა, სხვა ვინ იღებდა მასთან ერთად მონაწილეობას, როდის და რა ვითარებაში მოხდა კლიენტის დაკავება, ასევე დაკავების მომენტიდან მოყოლებული მისი და პოლიციის ურთიერთობის შესახებ. მას შემდეგ რაც კლიენტი დაასრულებს ამბის თხრობას, ადვოკატმა დაზუსტების მიზნით მას დამატებითი კითხვები უნდა დაუსვას: ვინ, რა, რატომ, როდის, სად და როგორ. გამოკითხვის დასრულებამდე ადვოკატი უნდა დარწმუნდეს, რომ აქვს სულ მცირე, ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია:

მოვლენათა განვითარების კლიენტისეული ვერსია, რომელიც საფუძვლად უდევს წაყენებულ ბრალს, ან თუკი კლიენტი უარყოფს საქმეში საკუთარ მონაწილეობას, სად იყო და რას აკეთებდა კლიენტი იმ მოვლენების დროს, რომელთაც ემყარება მისთვის წაყენებული ბრალი:

მოწმეები (მიუთითეთ სასურველია, თუ არა მათთან დაუყოვნებლივ დაკავშირება რაიმე მიზეზის გამო):

თვითმხილველი მოწმეები, რომელთა ჩვენებას ემყარება წაყენებული ბრალი (მათ შორის მომჩივანი და ბრალდების მხარის მოწმეები).

ალიბის შემქმნელი მოწმეები:

მოწმეები (რომელთაც შეუძლიათ ბრალდებულის დახასიათება):

თითოეული მოწმის სახელი (სთხოვეთ მოწმეს ასევე გითხრათ კნინობითი სახ-

ელი და მეტსახელი):

მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

მოწმესთან დაკავშირებისათვის გამოსადეგი სხვა ინფორმაცია (სად მუშაობს, სად დადის გასართობად/გაერთიანების წევრობა/ დახმარება და სად ღებულობს დახმარების ვაუჩერს და სხვა):

- **დაკავება:**

ვინ, რა, რატომ, როდის, სად და როგორ:

ვისთან ერთად იყო კლიენტი დაკავების მომენტში? სხვა პირებიც დააკავეს თუ არა მასთან ერთად? მოიპოვეთ ინფორმაცია ამ პირების შესახებ ისევე, როგორც მოწმეების შემთხვევაში:

იყო თუ არა კლიენტი ნასვამ მდგომარეობაში დაკავების მომენტში, ან ხომ არ მიუღია ალკოჰოლი ბოლო ხანებში:

იყო თუ არა კლიენტი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ, ან ხომ არ მოუხმარია ნარკოტიკული საშუალებები ბოლო ხანებში:

დაკავების მომენტში კლიენტი ავად ხომ არ იყო:

დაკავების მომენტში, ან შემდგომ ხომ არ იყო კლინტთან მიმართებაში უხეშად მოპყრობის შემთხვევა (აღწერეთ დაზიანებები):

დაკავების დრო და თარიღი:

დაკავების ზუსტი ადგილი:

დაკავების განმახორციელებელი პირების სახელები:

ჰქონდათ თუ არა დაკავების შესახებ სასამართლოს განჩინება (ორდერი):

დაკავების საფუძველი:

რა კითხვები დაუსვეს კლიენტს:

რა უპასუხა კლიენტმა?

დაკავების მომენტში ან ნებისმიერ სხვა დროს პოლიციამ ხომ არ განახორციელა რაიმე ნივთის ამოღება თავად კლიენტისაგან, მისი სახლიდან, სამუშაო ადგილიდან, ავტომანქანიდან, კლიენტის ყოფნის ადგილიდან, ნებისმიერი სხვა პირის სახლიდან, ან სხვა ადგილიდან:

ამოღებული ნივთის სახეობა:

ჰქონდა თუ არა პოლიციას ჩხრეკის/ამოღების შესახებ სასამართლოს განჩინება?

აღწერეთ რა გარემოებებში მოხდა ნივთის ამოღება:

ყველა დამსწრე პირის შესახებ მოიპოვეთ იგივე ინფორმაცია, რაც მოწმეების შემთხვევაში მოიპოვეთ:

დაკავების შემდეგ:

ყველა ადგილი, სადაც განხორციელდა პოლიციის მიერ კლიენტის გადაყვანა:

თითოეულ ადგილზე მიყვანის ზუსტი დრო:

თითოეულ ადგილზე პოლიციის ოფიცერთა რაოდენობა (გამოძიებაში მონაწილე პოლიციელების სახელები, წოდებები და აღწერილობები):

- **დაკითხვა:**

სად განხორციელდა დაკითხვა?

როდის და რამდენი ხანი გაგრძელდა დაკითხვა?

ოფიცრები, რომელთაც განახორციელეს დაკითხვა:

სხვა დამსწრე პირები:

გამოყენებულ იქნა თუ არა სიცრუის ტესტი (ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა)?

რა კონკრეტული კითხვები დასვა პოლიციის ოფიცერმა (ხშირად ეს ბრალდების მხარის პოზიციის დადგენის კარგი საშუალებაა):

ხომ არ დაუპირისპირა პოლიციამ კლიენტს მისი საწინააღმდეგო მტკიცებულებები?

რა მტკიცებულებები იყო გამოყენებული:

ხომ არ უთქვამს პოლიციას კლიენტისათვის იმის შესახებ, რომ ვინმემ მისი საწინააღმდეგო ჩვენება მისცა, ანდა საქმის მონაწილე რომელიმე სხვა ბრალდებულმა აღიარა დანაშაული?

ვინ იყო ეს პირი:

საქმეში მონაწილე რომელიმე სხვა ბრალდებულმა ხომ არ მისცა კლიენტის სასარგებლო ან საწინააღმდეგო ჩვენება კლიენტის თანდასწრებით? ვინ იყო ეს პირი:

უთხრა თუ არა კლიენტმა პოლიციას რაიმე?

კონკრეტულად რა უთხრა:

გააკეთა თუ არა კლიენტმა წერილობითი განცხადება?

მოაწერა თუ არა კლიენტმა ხელი ამ განცხადებას: შეავსო თუ არა, ან ხელი ხომ არ მოაწერა რაიმე ანკეტას? რა ანკეტა იყო ეს:

გააკეთა თუ არა კლიენტმა ზეპირი განცხადება? განხორციელდა თუ არა ზეპირი განცხადების ვიდეოჩაწერა:

გაკეთდა თუ არა მისი სტენოგრაფიული ჩანაწერი:

აკეთებდა თუ არა ვინმე ჩანაწერებს ან შენიშვნებს? დეტალურად აღწერეთ კლიენტის განცხადებისას დაფიქსირებული სხვა გარემოებები:

გააფრთხილეს თუ არა კლიენტი წინასწარ, რომ:

ჰქონდა დუმილის უფლება; მის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო მის წინააღმდეგ (ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა);

ჰქონდა ადვოკატის მოთხოვნის უფლება ჩვენების მიცემამდე;

იმ შემთხვევაში, თუკი არ ჰქონდა ადვოკატის აყვანის ფინანსური შესაძლებლობა, მას დაკითხვამდე დაენიშნებოდა ადვოკატი:

რა პასუხი გასცა კლიენტმა ამ გაფრთხილებებზე:

ჰკითხეს თუ არა კლიენტს გასაგები იყო თუ არა მისთვის ყველა გაფრთხილება: კლიენტის პასუხი:

სთხოვეს თუ არა ამ გაფრთხილებების შემცველი სპეციალური ფორმის ხელმოწერა:

კლიენტის პასუხი:

ჩაუტარდა თუ არა კლიენტს ფიზიკური შემოწმება, აულეს თუ არა სისხლის

ნიმუში. ხომ არ აიღეს მისი თმის ნიმუში, ანდა დავარცხნეს, ჩაუტარდა თუ არა ნარკოტიკების ან ალკოჰოლური ტესტი, ან ნებისმიერ სხვა ტიპის სხეულის შემოწმება, კლიენტი ექიმმა ან ფსიქიატრმა ხომ არ გასინჯა:

სად:

როდის:

აღწერეთ შემოწმების ან გასინჯვის პროცესი:

ყველა დამსწრე პირი:

ვინმეს ხომ არ უთქვამს რაიმე შემოწმების, ანალიზის ან გასინჯვის შედეგების შესახებ:

შემოწმებამდე ან გასინჯვამდე კლიენტს სთხოვეს თუ არა შესაბამისი ნებართვა:

გააფრთხილეს თუ არა კლიენტი იმის შესახებ, რომ ჰქონდა შემოწმებაზე უარის თქმის, ანდა პროცესზე ადვოკატის დასწრების მოთხოვნის უფლება:

განხორციელდა თუ არა კლიენტის რაიმე ფორმით ამოცნობა, სხვა პირებთან ერთად ამოცნობისათვის დაყენებით ან იდენტიფიკაცია?

სად:

როდის:

აღწერეთ ეს პროცესი: ყველა დამსწრე პირი (მათ შორის პოლიცია, მოწმეები, რომლებიც ამოცნობას ახორციელებდნენ, ამოცნობაში მონაწილე სხვა პირები, საქმის მონაწილე სხვა ბრალდებულები):

რა განმარტება მისცა პოლიციამ მოწმეს, რომელიც ახორციელებდა ამოცნობას: სთხოვეს თუ არა კლიენტს რაიმეს თქმა:

სთხოვეს თუ არა კლიენტს ნებართვა ამოცნობის პროცესში მონაწილეობაში ჩართვამდე, ანდა მის იდენტიფიკაციამდე:

რა პასუხი გასცა ამაზე კლიეტმა:

განუმარტეს თუ არა, რომ ჰქონდა უარის თქმის, ანდა ადვოკატის დასწრების მოთხოვნის უფლება:

რა პასუხი გასცა ამაზე კლიეტმა:

იდენტიფიკაციის პროცედურის განმავლობაში ხომ არ სთხოვეს რაიმეს გაკეთება (გავლა, რაიმე ჟესტიკულაციის გაკეთება, დალაპარაკება):

რა უპასუხა კლიენტმა:

განუმარტეს თუ არა, რომ ჰქონდა უარის თქმის უფლება? რა უპასუხა კლიენტმა:

ხომ არ სთხოვეს კლიენტს რაიმეს გახსენება (ქვეკითხვები ამოცნობის პროცესისათვის):

სთხოვეს თუ არა კლიენტს ნებართვა რაიმე ადგილის ან ნივთის ჩხრეკაზე:

სად:

როდის:

ვინ სთხოვა:

პროცესის ყველა დამსწრე პირი:

რა ადგილის, ანდა ნივთის ჩხრეკისათვის ითხოვეს ნებართვა:

რა ნივთის ამოღებას ემსახურებოდა ჩხრეკა:

რა უთხრა კლიენტს პირმა, რომელმაც ჩხრეკის ნებართვა სთხოვა:

რა უპასუხა კლიენტმა:

განუმარტეს თუ არა კლიენტს, რომ უფლება ჰქონდა უარი ეთქვა ჩხრეკაზე:

რა უპასუხა მან:

ჩხრეკის ორდერის შესახებ ხომ არ უთქვამთ რამე? კონკრეტულად რა თქვეს:

წინა სასამართლო პროცესები: გამოსულა თუ არა კლიენტი სასამართლოს წინაშე:

როდის:

მოწმის გამოკითხვა[27]

წინამდებარე სტატია ეფუძნება ამერიკის შეერთებული შტატების იურისდიქციათა უმრავლესობაში არსებულ პრაქტიკას, სადაც ადვოკატებს შეუძლიათ დაიქირაონ კერძო გამომძიებელი ან გამოიყენონ საკუთარი თანამშრომლები სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ჩასატარებლად.

დაცვის მხარის პროფესიონალი გამომძიებელი წარმოადგენს „დაცვის გუნდის“ განუყოფელ ნაწილს. იგი იყენებს მთელ თავის პროფესიულ გამოცდილებასა და საგამოძიებო მოქმედებებს, რათა აღმოუჩინოს მაქსიმალური დახმარება დაცვის გუნდს ს.ს. საქმეზე წარმატების მიღწევაში. მოწმის ეფექტურ გამოკითხვას დაცვის მხარისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში სწორედ ამაზეა დამოკიდებული საქმის საბოლოო შედეგი. მოწმის ეფექტურ გამოკითხვას სჭირდება შესაბამისი ტექნიკა, რომელიც უპირველესყოვლისა ვითარდება პრაქტიკისა და გამოცდილების საფუძველზე, თუმცა, ბევრია ასევე, დამოკიდებული თვით გამომკითხავი პირის პიროვნებაზე და მის პირად უნარებზე. ადამიანი, რომელიც ახორციელებს მოწმეთა გამოკითხვას, უნდა იყოს გონიერი, წარმოსადეგი, ფართოდ მოაზროვნე, უნდა შეეძლოს სწრაფად და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და ნებისმიერ სიტუაციასთან დროულად ადაპტირება. ის ასევე, კარგად უნდა ერკვეოდეს სხვადასხვა რასობრივ, გენდერულ, ეთნიკურ, კლასობრივ და რელიგიურ საკითხებში, ვინაიდან მოწმეთა გამოკითხვის პროცესში, მას ურთიერთობა მოუწევს მრავალ ერთმანეთისგან განსხვავებულ ადამიანთან. თუკი დაცვის მხარის გამომძიებელი არ არის საკმარისად კვალიფიციური ზემოხსენებულ საკითხებში და არ შეუძლია შეგნებით მოეკიდოს ყოველივეს, მაშინ ის ვერ შეძლებს სასურველი დახმარება აღმოუჩინოს თავის გუნდს.

---

27 სამხრეთის იურიდიული დახმარების სასწავლო ცენტრის სახელმძღვანელო, *მოწმის გამოკითხვა*, უატანი ტიეჰიმბა; თავი 10, გვ.96-102; 2010, აშშ. რედაქტირება და თარგმანი განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ. „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი მადლობას უხდის ბატონ უატანი ტიეჰიმბას ზემოაღნიშნული სტატიის გამოყენების ნებართვისათვის.

მას შემდეგ, რაც დაცვის მხარის გამომძიებელი გულდასმით გაეცნობა საქმის მასალებს და მოპოვებულ ნივთმტკიცებებს, გამოკითხავს ბრალდებულს, მოინახულებს შემთხვევის ადგილს და დეტალურად გააანალიზებს თითოეული მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებებს, მან უნდა მოიძიოს და საფუძვლიანად გამოიკვლიოს ყველა საჭირო ინფორმაცია, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის მოწმეების პიროვნებისა და წარსულის შესახებ. მოძიებული ინფორმაცია სასურველია მოიცავდეს მონაცემებს პირის წარსულში დაკავებისა და ნასამართლობის შესახებ, მისი განათლების, ხასიათის, რეპუტაციის, სამეგობრო წრის და დამახასიათებელი ჩვევების თაობაზე, აგრეთვე პირის ზედმეტ სახელებს, სოციალური დაზღვევის ნომერს, დაბადების თარიღს, ლიცენზიებს, მონაცემებს კოლეგებისა და პარტნიორების შესახებ და სხვას. ნებისმიერი ნეგატიური ხასიათის ინფორმაცია ბრალდების მხარის მოწმეების შესახებ შესაძლოა გამოყენებული იქნეს მათი დამაჯერებლობის შერყევის მიზნით და იმპიჩმენტის მოწყობის საფუძვლად. ხოლო დაცვის მხარის მოწმეების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია წინასწარ გვქონდეს ინფორმაცია იმ მოსალოდნელი პრობლემების შესახებ, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ამა თუ იმ კონკრეტული მოწმის დაცვის მხარის სასარგებლოდ გამოძახების შემთხვევაში. მას შემდეგ, რაც გატარებულია ყველა ზემოხსენებული ღონისძიება, მოძიებული და გაანალიზებულია საჭირო ინფორმაცია, გამომძიებელი მზადაა დაიწყოს მოწმეთა გამოკითხვა.

მოწმის გამოკითხვა

მოწმის გამოკითხვის პროცესი წარმოადგენს ურთიერთშეთანხმებულ საუბარს დაცვის მხარის გამომძიებელსა და იმ ადამიანს შორის, რომელიც ფლობს ან გამომძიებლის ვარაუდით შესაძლებელია ფლობდეს საქმისათვის საინტერესო ინფორმაციას. გამოსაკითხი პირი შეიძლება იყოს დაზარალებული, მოწმე ან ნებისმიერი სხვა ადამიანი, რომელსაც გააჩნია რელევანტური ინფორმაცია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

მოწმის გამოკითხვის მიზნები

დაცვის მხარის გამომძიებლის მიერ მოწმეთა გამოკითხვა მრავალ მიზანს ემსახურება, მათ შორის:

1. ხდება იმის დადასტურება, რაც გამომძიებელმა იცის, ან ფიქრობს, რომ იცის;

2. ხდება დამატებითი ინფორმაციის მოპოვება დანაშაულთან ან მოვლენასთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, მათ შორის, მანამდე უცნობი მოწმეების თაობაზე;

3. ხდება ახალი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობის წარმოჩინება, რომლებმაც შესაძლებელია ხელი შეუწყოს დამატებითი მნიშვნელოვანი ფაქტების აღმოჩენას;

4. ხდება დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებული იმგვარი მოვლენების გამომჟღავნება, რომელთა სხვა წყაროებიდან მოძიებაც უბრალოდ შეუძლებელი იყო, მაგალითად, რომელ ხელში ეჭირა დამნაშავეს იარაღი, რა უთხრა მსხვერპლმა ბრალდებულს და სხვა.

დაცვისა და ბრალდების მხარის მოწმეები

დაცვის მხარის მოწმეების მოძიება და გამოსაკითხ პირთა სიის შედგენა ზოგადად ბრალდებულის დახმარებითა და შემთხვევის ადგილზე ჩატარებული გამოძიების საშუალებით ხდება. აღნიშნული მოწმეები ძირითადად წარმოადგენენ კონკრეტული მოვლენის უშუალოდ შემსწრე ადამიანებს, ე. წ. ალიბის მოწმეებს და გარკვეული დახასიათების გამცემ პირებს. დაცვის მხარის ზოგიერთი მოწმე შესაძლოა უკვე დაკითხულიც კი იყოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

პოლიციის ანგარიშები, როგორც წესი, შეიცავს დაზარალებულის სახელს და იმ მოწმეთა ჩამონათვალს, რომელიც ბრალდების მხარემ შესაძლოა გამოიძახოს ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის მიზნით. ძირითადად, პროკურატურის მიერ დამატებით გამოძახებული მოწმეები წარმოადგენენ მოპოვებული მტკიცებულებების ირგვლივ ჩვენების მიმცემ პირებს. ბრალდების მხარის ზოგიერთმა მოწმემ საერთოდ არ იცის, რომ მას უფლება აქვს ესაუბროს დაცვის გუნდის წევრებსაც. ეს კი განპირობებულია იმ მარტივი მიზეზით, რომ პოლიციის გამომძიებელმა, უბრალოდ არ შეატყობინა მას აღნიშნული უფლების შესახებ, ან სულაც, გააფრთხილა იგი არ გასაუბრებოდა დაცვის მხარის წარმომადგენლებს. ეს საკითხი შესაძლებელია გამოვასწოროთ, თუ ავუხსნით მოწმეებს, რომ ისინი არც ერთი მხარის კუთვნილებას არ წარმოადგენენ და თუ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია სიმართლეა, არ აქვს მნიშვნელობა, რომელ მხარესთან მოახდენენ ისინი აღნიშნულის გამჟღავნებას.

მოწმეები

არსებობს სხვადასხვა კატეგორიის მოწმეები:

1. **დამყოლი** – ასეთი მოწმეები ძირითადად გამოირჩევიან ბრალდებულის დახმარების სურვილით და სურთ, რომ იხილონ მართლმსაჯულება. თუმცა, ამავედროს მათ შესაძლოა არ მოისურვონ სასამართლოში მოწმედ წარსდგომა.

2. **ნეიტრალური** – ამ კატეგორიას განეკუთვნებიან დამოუკიდებელი მოწმეები, რომლებსაც არ აქვთ რაიმე კონკრეტული დამაპრკოლებელი მიზეზი, რათა ესაუბრონ დაცვის მხარეს, თუმცა განიცდიან რა ზოგად უხერხულობას პროცედურული საკითხების მიმართ, არ სურთ ჰქონდეთ რაიმე სახის კავშირი განსახილველ საქმესთან.

3. **დაპირისპირებული** – ასეთი მოწმეები ძირითადად ბრალდების მხარეს არიან გადახრილი; ისინი გამოირჩევიან სიტყვაძუნწობით და გამოდიან დაზარალებულის ინტერესების დამცველებად; წარმოადგენენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს, ან ყოფილ პოლიციის ოფიცრებს; შესაძლოა ასეთ მოწმეებს რაიმე კავშირი ჰქონდეთ პოლიციასთან ან უბრალოდ იყვნენ პროკურატურის მხარდამჭერები. ძალიან მცირეა იმის ალბათობა, რომ ამ მოწმეებმა დაგრთონ ნება მათი ჩვენების ტექნიკური საშუალებებით ჩაწერაზე ან ხელი მოაწერონ მათი გამოკითხვის ოქმს. ასეთ დროს, უმჯობესია ვეცადოთ გარკვეული ფსიქოლოგიური გავლენა მოვახდინოთ მოწმეზე და მივცეთ მას საბაბი, რათა გვესაუბროს. შეახსენეთ, რომ თქვენ მხოლოდ და მხოლოდ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა გსურთ.

მოწმეთა გამოკითხვის ფუნდამენტური ელემენტები

მოწმეთა გამოკითხვის დრო

- მოწმეთა გამოკითხვა უნდა ჩატარდეს დროის რაც შეიძლება მოკლე მონაკვეთში, ანუ მანამ, სანამ მოწმეს შესაძლებლობა აქვს კარგად გაიხსენოს შემთხვევის დეტალები.
- გამოსაკითხ პირთა რიგითობა უნდა განისაზღვროს მათ მიერ შესაძლო მოსაწოდებელი ინფორმაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე და ეს რიგითობა უნდა იქნეს შეთანხმებული ადვოკატთან.
- ჩვეულებრივ, ბრალდების მხარის მოწმეების გამოკითხვამდე, დაცვის მხარის გამომძიებელი გამოკითხავს ბრალდებულს და დაცვის მხარის მოწმეებს.
- გამოკითხეთ ყველა ის პირი, რომელმაც თქვენი აზრით შესაძლოა მოგაწოდოთ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. გამოსაკითხთა სიიდან არ გამორიცხოთ არავინ, სანამ არ მოახდენთ მათთან გასაუბრებას.
- გამოკითხვა უნდა მოხდეს წინასწარ შეთანხმებული და დაგეგმილი შეხვედრისას, მოწმისათვის ხელსაყრელი დროის გათვალისწინებით, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში "სპონტანური შეხვედრა" მოწმესთან შესაძლებელია უფრო მეტი შედეგის მომტანი აღმოჩნდეს.
- მოწმესთან „სპონტანური შეხვედრის" უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ, როდესაც თქვენ წინასწარ უთანხმდებით გამოსაკითხ პიროვნებას შეხვედრის შესახებ, დიდია ალბათობა იმისა, რომ მან მოიმიზეზოს მოუცლელობა და თავი აარიდოს შეხვედრას; გარდა ამისა, მან შესაძლოა თქვენთან დანიშნულ მომავალ შეხვედრაზე, სხვა პირების დასწრებაც მოისურვოს.
- გამოკითხვაზე „სპონტანურად მისვლამ" შეიძლება ხელი შეუწყოს სხვა გამოკითხვის ექსპრომტად ჩატარებასაც. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც თქვენ გაუფრთხილებლად ეწვევით შინ ერთ-ერთ გამოსაკითხ პიროვნებას ან

მიბრძანდებით ისეთი თავშეყრის ადგილას, სადაც ის გეგულებათ და იქ შემთხვევით წააწყდებით სხვა ისეთ პირსაც, რომელიც თქვენს მიერ გამოსაკითხ მოწმეთა სიაშია მითითებული. მიტომაც, ძალიან მნიშვნელოვანია, წინასწარ კარგად შეისწავლოთ გამოსაკითხი მოწმის პიროვნება და საფუძვლიანად გაეცნოთ მასთან დაკავშირებულ ყველა საინტერესო ინფორმაციას.

მოწმის გამოკითხვის ადგილი და ფორმა

• მოწმის გამოკითხვა უმჯობესია თქვენს პირად ოფისში, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაატაროთ, თუკი ამას თავად გამოსაკითხი პიროვნება მოითხოვს. სხვა შემთხვევებში, კი უპრიანი იქნება თუ მოწმეებს მათ საცხოვრებელ, სამუშაო ან სხვა მათ მიერვე შემოთავაზებულ ადგილას გამოკითხავთ. ზემოაღნიშნული ხელს უწყობს, რათა მოწმემ უფრო კომფორტულად იგრძნოს თავი და იყოს სათანადოდ მობილიზებული.

• მოწმის განმარტოებით, პრივატულ გარემოში გამოკითხვა, ძალიან მნიშვნელოვანია გამოკითხვის წარმატებულად ჩატარების თვალსაზრისით. მოწმის გამოკითხვა ამგვარ გარემოში ხელს უწყობს საუბრის უწყვეტად წარმართვას და გვაძლევს თავისუფალი და გახსნილი საუბრის საშუალებას.

• გარდა იმისა, რომ ინტერვიუს მიმდინარეობისას აუცილებელია მოწმესთან განმარტოებულ, პრივატულ გარემოში საუბარი, ასევე, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ყველა სხვა გარემო პირობაც. არავის სურს ჩაატაროს გამოკითხვა რაიმე ექსტრემალურ პირობებში ან გარეთ, ღია ცის ქვეშ.

მოწმის გამოკითხვის ტექნიკა

მოწმეთა გამოკითხვის შესახებ არაერთი განსხვავებული მოსაზრება და ჩატარების ტექნიკა არსებობს. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ არ განვიხილავთ დეტალურად თითოეულ მათგანს, თუმცა კი მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კარგ გამომძიებელს უნდა შეეძლოს ურთიერთგაგების ჩამოყალიბება ნებისმიერ გამოსაკითხ პირთან და ის აუცილებლად უნდა საუბრობდეს იმ ენაზე, რომელზეც გამოსაკითხი მოწმეები საუბრობენ. ყველა ჩვენთვის სასურველი ინფორმაცია შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს ჩვეულებრივი საუბრის ფორმით ჩატარებული გამოკითხვისას. ამგვარი წესით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად შესაძლებელია ბევრად უფრო მეტი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა პოლიციის მუშაკთა მსგავსად მოქცევისა და მათი პრინციპებით მოქმედების შემთხვევაში.

მომზადება მოწმის გამოკითხვისათვის

• გაეცანით საქმეზე მოპოვებულ ყველა მტკიცებულებას.
• გამოკითხეთ ბრალდებული.

• მოინახულეთ შემთხვევის ადგილი.

• გააანალიზეთ ყველა მოწმის ჩვენება.

• მოიძიეთ ინფორმაცია საქმეში მონაწილე მხარეების შესახებ.

• დაცვის გუნდიდან შეარჩიეთ საუკეთესო წევრი, რომელიც ყველაზე კარგად ჩაატარებს მოწმის გამოკითხვას. გაითვალისწინეთ გამოსაკითხ პირთა რასობრივი, გენდერული, ეთნიკური, კლასობრივი და რელიგიური კუთვნილება.

მოწმის გამოკითხვის ჩატარება

• ჩამოაყალიბეთ ურთიერთგაგება მოწმესთან.

• დაუთმეთ გარკვეული დრო გამოსაკითხ პირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

• გამონახეთ მასთან საერთო ინტერესები.

• ნუ იქნებით ანტაგონისტური.

• გამოხატეთ პატივისცემა პიროვნებისა და მისი შეხედულებების მიმართ.

• მოახდინეთ **დაპირისპირებული** პირის მოტივაცია, რათა წარმატებულად ჩაატაროთ მისი გამოკითხვა.

• **დაპირისპირებულ** მოწმესთან თანამშრომლობის მიღწევა გამომძიებლის უნარების მნიშვნელოვანი გამოცდაა.

ამგვარი დაპირისპირებული პიროვნება ძირითადად წარმოადგენს ბრალდების მხარის მოწმეს. მასთან საუბრისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ინტერვიუზე თანხმობა მისი არჩევანია და ვერავინ დააძალებს მას იმოქმედოს საკუთარი ნების წინააღმდეგ. ჩვენ მხოლოდ სიმართლის გაგება გვსურს.

• შეუქმენით მოწმეს განცდა, რომ ის აკონტროლებს სიტუაციას. უთხარით, რომ თქვენთვის სრულიად გასაგებია მისი პოზიცია და ის, რომ არ სურს თქვენთან საუბარი.

• მიეცით მათ არჩევანის თავისუფლება, კერძოდ, მიეცით საშუალება, თავად აირჩიონ გარემო და ადგილი, სადაც ჩაატარებთ მის გამოკითხვას, მაგალითად სამზარეულოს მაგიდასთან ან დივანზე და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ მოწმეს ნებას მისცემთ თავად აირჩიოს სასურველი ადგილი, თქვენ მაინც შეძლებთ მასზე კონტროლის შენარჩუნებას მას შემდეგ, რაც იგი რეალურად ჩაებმება საუბარში.

• მიეცით მოწმეს საბაბი ისაუბროს. დაარწმუნეთ იგი თქვენთან გასაუბრების აუცილებლობაში, სამართლიანობის გრძნობაზე აქცენტის გაკეთების საშუალებით. გამოსაკითხი პირისათვის იმის ახსნა, რომ თუ ის თავს თქვენს ადგილას წარმოიდგენდა და ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა, კარგად გაიგებდა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა თქვენთან მის თანამშრომლობას – ხანდახან წარმატების მომტანია.

• ხელი შეუწყვეთ, რომ მოწმემ არ შეწყვიტოს საუბარი.

• აცადეთ მოწმეს ისაუბროს და ნუ შეაწყვეტინებთ მას.

• თუ საუბარი თქვენთვის საინტერესო თემას მნიშვნელოვნად გასცდება, დაუბრუნდით საკითხს მოხერხებულად. მაგალითად, შეთავაზეთ მოწმეს შემდეგი: „მოდით, ახლა ცოტა ხნით მომხდართან დაკავშირებით ვისაუბროთ“.

• დაუბრუნდით საქმის დეტალებს ხელახლა, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი თქვენ სწორად აღიქვით.

• ყურადღება გაამახვილეთ არა მხოლოდ იმაზე, რას ამბობს გამოსაკითხი პირი, არამედ იმაზეც, თუ როგორ საუბრობს იგი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

• გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია (ფაქტები) ძალიან მნიშვნელოვანია; თუმცა, უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ, როგორ იქნა ეს ინფორმაცია წარმოდგენილი/გადმოცემული მოწმის მიერ.

• საუბრის დროს მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ გამოსაკითხი პიროვნების სხეულის მოძრაობას/ჟესტებს და სახის მიმიკას, რაც დაგვეხმარება უფრო ზუსტად გავიგოთ, თუ რისი თქმა სურს ამ ადამიანს.

• გამოსაკითხი პირის მიერ ორჭოფობა და დაბნეულობა აუცილებლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ არსებობს რაღაც პრობლემა. მოწმემ შესაძლოა სიტყვიერად იძახდეს ერთს, მაგრამ მისი ჟესტიკა და მიმიკა სრულიად სხვაზე მიუთითებდეს.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ

• ნუ გააკრიტიკებთ და ნუ იქნებით სარკასტული, როდესაც ადამიანი საუბრობს;

• ნუ შეუსწორებთ მოწმეს საუბარს და/ან ნუ შეხვალთ კამათში მის მიერ წარმოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით.

• არ შეურაცხჰყოთ ან არ გამოხატოთ პიროვნების მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულება.

• თავი აარიდეთ უსიამოვნო მიმიკებს და ჟესტებს, რომლებიც გამოხატავენ უკმაყოფილების ან უსიამოვნების გრძნობას, როდესაც ადამიანი საუბრობს.

• არ მისცეთ მინიშნებები დამკვირვებელს ან არ გამოთქვათ ისეთი რამ, რაც შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც გამოსაკითხი პირის მიერ გაკეთებული განაცხადის დადასტურება ან უარყოფა.

• არ შეაწყვეტინოთ საუბარი მოწმეს.

• საუბრის პროცესში მოწმის გაჩერებამ, შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული მნიშვნელოვანი ფაქტების დავიწყება.

• თუ გსურთ რაიმე საკითხის დაზუსტება, ჩაინიშნეთ იგი და მხოლოდ საუბრის დასრულების შემდეგ ჩაეკითხეთ მოწმეს აღნიშნულის თაობაზე.

• საუბრის დასაწყისში თავი შეიკავეთ კონკრეტული ხასიათის შეკითხვებისაგან.

• უმჯობესია თუ, მოწმის გამოკითხვას მისი პირადი ინფორმაციის შესახებ დასმული კითხვებით დაიწყებთ, მაგალითად: რა ჰქვია? სად ცხოვრობს? და ა.შ. ეს დაგეხმარებათ საუბრის დაწყებაში.

• გააგრძელეთ მოწმის გამოკითხვა ზოგადი ხასიათის კითხვების დასმით, მაგალითად: ,,გვიამბეთ, რა იცით (მომხდარის შესახებ)?“

• უშუალოდ ინციდენტთან დაკავშირებული, პირდაპირი შეკითხვები დასვით, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოწმე ერთხელ მაინც დაასრულებს ამბის გადმოცემას საკუთარი სიტყვებით. პირდაპირი შეკითხვების მეშვეობით მიიღეთ უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მომხდარის შესახებ და გამოკვეთეთ კონკრეტული ფაქტები.

• თავი შეიკავეთ ისეთი შეკითხვებისაგან, რომლებზეც მოწმის პასუხი, მხოლოდ: ,,დიახ“ ან ,,არა,“ იქნება.

• თქვენს მიერ დასმული შეკითხვები, უნდა აძლევდეს მოწმეს საშუალებას, ისაუბროს უფრო მეტი, ვიდრე: ,,დიახ“ ან ,,არა,“ პასუხია.

• დასმული შეკითხვით თქვენ უნდა მოსთხოვოთ მოწმეს, მოგაწოდოთ ინფორმაცია მისთვის ცნობილი ფაქტების შესახებ. კითხვა არ უნდა იყოს დასმული იმდაგვარად, რომ ითხოვდეს, მხოლოდ კონკრეტული ფაქტის დადასტურებას ან უარყოფას. შესაბამისად თქვენ უნდა დასვათ ღია დაბოლოების მქონე კითხვები. მაგალითად: შეეკითხეთ, ,,რა მოხდა შემდეგ?“ და არა, ,,თქვენ დაინახეთ, როგორ ესროლა ნოდარმა დავითს?“.

• ერიდეთ იმის გამოაშკარავებას, თუ რა არის ან არ არის თქვენთვის ცნობილი ინციდენტის შესახებ და დაუკვირდით, რომ შემთხვევითაც კი არ გაამჟღავნოთ ამგვარი ინფორმაცია შეკითხვების დასმის პროცესში. აცადეთ მოწმეს, რათა თავად მოგაწოდოთ ინფორმაცია მომხდარის შესახებ.

• თავი აარიდეთ მიმანიშნებელი შეკითხვების დასმას.

• მიმანიშნებელი კითხვები ისეთივე არაეფექტურია, როგორც შეკითხვა, რომელსაც მხოლოდ ,,დიახ“/“არა“ პასუხი შეიძლება გაეცეს.

• ეცადეთ არ დასვათ რამდენიმე შეკითხვა ერთდროულად.

• რამდენიმე კითხვის ერთდროულად დასმით თქვენ სავარაუდოდ დააბნევთ მოწმეს და საბოლოო ჯამში, შესაძლებელია ვერ მიიღოთ გასაგები და სარწმუნო პასუხი.

• დასვით კითხვა და დაელოდეთ პასუხს. დასვით მხოლოდ, ერთი შეკითხვა ერთ ჯერზე.

• თავი აარიდეთ ისეთი კითხვების დასმას, რომლებიც რამდენიმე ვარიანტის სავარაუდო პასუხს მოიცავს, მაგალითად:

• ,,თქვენ დაინახეთ როგორ სცემდა ნოდარი დავითს, სანამ მას იარაღიდან ესროდა, თუ თავდაპირველად დავითმა ჰკრა მას ხელი ან დაარტყა? და რა

მოიმოქმედა მან შემდგომ? და რა არის თქვენი აზრი ამ ყველაფერთან დაკავშირებით?“

• მოწმემ შესაძლოა თქვენს მიერ შეთავაზებულ რომელიმე ალტერნატიულ პასუხს მიანიჭოს უპირატესობა და აღარ გიამბოთ, თუ რა მოხდა სინამდვილეში. აქედან გამომდინარე უმჯობესია თუ კითხვებს შემდეგი ფორმით დასვამთ: „რა მოხდა?“ და „შემდეგ რა მოხდა?“

საუბრის სწორად წარმართვის ტექნიკა

არის შემთხვევები, როდესაც გამოკითხვის პროცესში წარმოიშვება გარკვეული პაუზები. ეს არის დრო, რომლის პერიოდშიც მხარეები ახდენენ მიღებული ინფორმაციის გაანალიზებას, თუ რა იქნა ნათქვამი ინტერვიუს პროცესში და რა შეიძლება ითქვას დამატებით ან რა კითხვა უნდა დაისვას შემდგომ. მართალია, ამგვარი სიჩუმის ჩამოვარდნა, გარკვეული პერიოდით, არ არის ცუდი, თუმცა საბოლოოდ, დგება მომენტი, როდესაც საჭიროა გარკვეული ბიძგი საუბრის ხელახლა, ჩვეულ რეჟიმში გასააქტიურებლად.

• დასვით ღია დაბოლოების კითხვები;

• გამოკითხვის დროს, საუბრის ეფექტურად წარმართვაში, ღია დაბოლოების შეკითხვები დაგეხმარებათ, როგორიცაა მაგალითად, „გვიამბეთ რა მოხდა?“, ან „რა მოხდა შემდეგ?“

• არსებობს მოწმეთა კატეგორია, რომლებიც არ წამოიწყებენ საუბარს, სანამ არ წარმოიშვება აშკარა საჭიროება, რომ უპასუხონ კონკრეტულ შეკითხვას და ასეთ შემთხვევაშიც კი, გაცემული პასუხი არის მოკლე და მკაცრად შემოფარგლული დასმული შეკითხვის ჩარჩოებით, ანუ ჩამოყალიბებულია ყოველგვარი ზედმეტი განვრცობის გარეშე.

• რამდენიმე ზოგადი ხასიათის შეკითხვა, როგორიცაა „რა მოხდა შემდეგ?“ ან „გვიამბეთ ამის შესახებ,“ ხელს უწყობს მოწმის მხრიდან ამბის უფრო გაშლას და უბიძგებს მას თავისუფალ თხრობაზე გადასვლისაკენ.

• გამოიყენეთ ხანგრძლივი პაუზა.

• ხანგრძლივი პაუზის გამოყენება, ამისათვის შესაფერ დროსა და ვითარებაში, შესაძლოა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნეს დაცვის მხარის გამომძიებლისათვის.

• გამოკითხვის პროცესში ჩამოვარდნილი დუმილი, გამოუცდელ და მოუთმენელ გამომძიებელს შიშსა და პანიკაში აგდებს, რის გამოც იგი დაუყოვნებლივ სვამს ახალ შეკითხვას, რათა აღადგინოს შეწყვეტილი საუბარი. გამოკითხვის მწარმოებელი პირის ასეთი საქციელი გამოსაკითხ პირს მიანიშნებს, რომ გამომძიებელს არ აქვს კონტროლი გამოკითხვის პროცესზე. აღნიშნული კი მოწმეს შესაძლებლობას აძლევს მეტი ინფორმაცია მიიღოს გამძიებლისაგან იმ ფაქტებთან დაკავშირებით რაც, ამ უკანასკნელისთვის არის რეალურად ცნობილი საქმის ირგვლივ.

• მოთმინებით შეინარჩუნეთ დუმილი, რაც საბოლოოდ უბიძგებს მოწმეს, რომ თავად აღადგინოს შეწყვეტილი საუბარი, რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს თქვენს მიერ ახალი საინტერესო ინფორმაციის აღმოჩენით.

• გამოიყენეთ არაპირდაპირი მიდგომები.

ო არსებოს შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია მოწმის მიერვე გაკეთებული განაცხადი ვაქციოთ დამაზუსტებელ შეკითხვად. გაიმეორეთ მოწმის მიერ წარმოთქმული ბოლო ფრაზა, მნიშვნელოვან ერთ ან ორ სიტყვაზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთებით. აღნიშნული მიანიშნებს მოწმეს, რომ თქვენთვის გაუგებარია მისი ნათქვამი, რამაც შესაძლოა დამატებითი ინფორმაციის გაჟღერებას შეუწყოს ხელი.

ო გამოკითხვის ამ ტექნიკას არაპირდაპირი მიდგომა ეწოდება და ხმისა და მიმიკების საკმაოდ დელიკატურ კონტროლს მოითხოვს.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა გამოკითხვა

როგორც წესი, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მუშაკები უარს აცხადებენ დაცვის მხარის გამომძიებლებთან საუბარზე, ვინაიდან მათ თავიანთ მოწინააღმდეგეებად აღგვიქვამენ. ისინი თანხმობას გამოკითხვაზე, ხშირად, მხოლოდ იმ პირობით აცხადებენ, თუკი ეს პროკურორისა და საქმის მწარმოებელი გამომძიებელის თანდასწრებით განხორციელდება. გადაწყვეტილება, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისა და მედიცინის მუშაკთა ზემოაღნიშნულ პირობებში გამოკითხვის შესახებ, დაცვის მთელმა გუნდმა ერთობლივად უნდა მიიღოს. პოლიციის ოფიცრები, რომლებიც დაცვის მხარის გამომძიებლების მიმართ უფრო ლოიალურები არიან და მათთან საუბრის სურვილი გააჩნიათ, წარმოადგენენ იმ პირებს, ვინც სამსახური შეიცვალეს და პოლიციაში სხვა სტრუქტურიდან გადმოვიდნენ, თანამდებობიდან უკვე გადამდგარ პოლიციელთა რიგებს მიეკუთვნებიან, ან უბრალოდ პროფესიით უკმაყოფილო ოფიცრები არიან. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან ურთიერთგაგების ჩამოყალიბებამ და თანამშრომლობის განვითარებამ, დაცვის მხარის გამომძიებელს შესაძლოა ფასდაუდებელი სარგებელი მოუტანოს.

გამოკითხვის ხანგრძლივობა

გამოკითხვა უნდა გაგრძელდეს იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე. ნუ აჩქარდებით, როდესაც პიროვნებისაგან გარკვეული ინფორმაციის მიღებას ახორციელებთ. მიეცით საშუალება მოწმეს ისაუბროს. იმ შემთხვევაში, თუ მოწმე აშკარად გადაუხვევს თქვენთვის საინტერესო თემიდან, თავაზიანად დააბრუნეთ საუბარი ძირითადი საკითხის

ირგვლივ. გადაანაწილეთ დრო იმგვარად, რომ ჩამოაყალიბოთ ურთიერთგაგება მოწმესთან, შეიქმნათ წარმოდგენა მოწმის შეხედულებების შესახებ და რამდენჯერმე გადაამოწმოთ განხილული ფაქტები მოწმესთან - გამოტანილი დასკვნებისა და შექმნილი შეხედულებების სისწორის გადამოწმების მიზნით.

გამოკითხვის დასრულება

- დაასრულეთ გამოკითხვა თავაზიანად და მეგობრულად.
- შეაჯამეთ ძირითადი პუნქტები.
- ძალიან მნიშვნელოვანია,კარგად დააზუსტოთ და სწორად აღიქვათ თქვენთვის საინტერესო ძირითადი ფაქტები. დაასრულეთ გამოკითხვა ამ ფაქტების მოწმისათვის გამეორებით და შეეკითხეთ მას, სწორად გაიგეთ თუ არა მისი ნაამბობი. თუ თქვენ, რომელიმე საკითხი არასწორად აღიქვით, ეს მოგცემთ საშუალებას საბოლოოდ მოიპოვოთ სწორი ინფორმაცია.
- შეეკითხეთ მოწმეს, ხომ არ არის რაიმე ისეთი, რისი დაზუსტება, დამატება ან განვრცობაც მას კიდევ სურს.
- თქვენ შეგიძლიათ იკითხოთ: „ხომ არ არის კიდევ რაიმე, რაც თქვენ გსურთ, რომ ვიცოდე?“
- მადლობა გადაუხადეთ მოწმეს დახმარებისათვის და შეამზადეთ მასთან კიდევ ერთხელ გასაუბრების შესაძლებლობა, თუკი მომავალში ამის საჭიროება წარმოიშობა.
- დაუტოვეთ მოწმეს თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია და ამავდროულად, ეცადეთ მისგანაც მოიპოვოთ დამატებითი საკონტაქტო ინფორმაცია, როგორიცაა მაგალითად მობილური ტელეფონის ან სამსახურის ნომერი და სხვა.

დასკვნა

სისხლის სამართლის საქმეზე, მოწმის ეფექტურად გამოკითხვას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, პირმა, რომელიც აწარმოებს გამოძიებას დაცვის მხარის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა შეისწავლოს და გამოიმუშაოს იმგვარი უნარ-ჩვევები, რომელიც მას დაეხმარება საერთო ენა გამონახოს და ეფექტური ურთიერთობები დაამყაროს ნებისმიერი კატეგორიის მოწმესთან, იქნება ეს დამყოლი, ნეიტრალური თუ დაპირისპირებული მოწმე, რათა მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მისი კლიენტის ინტერესების დასაცავად.

მოწმის გამოკითხვის პროცესი წარმოადგენს ურთიერთშეთანხმებულ საუბარს ორ ადამიანს შორის. ეს არ არის დაკითხვა და ჩვენ არ გვაქვს უფლება ვაიძულოთ ადამიანი, რათა ისაუბროს ჩვენთან. გამოკითხვის მიზანია დავაზუსტოთ ესა თუ ის ინფორმაცია, გავიგოთ ჩვენთვის აქამდე უცნობი დეტალები და

აღმოვაჩინოთ ისეთი საკითხები, რაც დახმარებას გაუწევს დაცვის მხარეს. ეს კი, მხოლოდ, ეფექტურად ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზეა შესაძლებელი.

ვატანი ტიეჰიმბა, CPP, CCDI

მოწმის ჩვენების მოპოვება[28]

წინამდებარე სტატია ეფუძნება ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ პრაქტიკას, თუმცა, ქვემოთ განხილული პრინციპებისა და მეთოდების უმრავლესობა შესაძლებელია ასევე, გამოყენებული იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის პრაქტიკაშიც.

I. რატომ არის საჭირო მოწმეთა მიერ გაკეთებული განცხადებების ჩაწერა / რატომ უნდა გამოვკითხოთ მოწმე?

მოწმის მიერ მიცემული ჩვენება ყოველთვის არ ემთხვევა იმ განცხადებებსა და ინფორმაციას, რომელიც მათ მიაწოდეს ადვოკატს ან დაცვის მხარის გამომძიებელს მათი წინასწარი გამოკითხვის დროს. დროის მსვლელობასთან ერთად, მოწმე განსხვავებულად აღიქვამს საქმესთან დაკავშირებული ფაქტების დეტალებს და შესაბამისად სხვადასხვა ინტერპრეტაციით გადმოსცემს მათ. მოწმის მიერ, ყველაზე უმნიშვნელო ინფორმაციის არასწორად დამახსოვრებამაც კი, შესაძლოა დაეხმაროს ადვოკატს, ნათლად წარმოაჩინოს ის ფაქტი, რომ მოწმის მეხსიერება არც თუ ისე სანდოა, როგორც ამას ხშირად მიიჩნევენ. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მოწმემ შესაძლოა განზრახ შეცვალოს თავისი ისტორია (ამბავი). მას შეიძლება წარმოეშვას ინტერესი, რათა დაეხმაროს ბრალდების მხარეს, რაც რა საკვირველია გავლენას იქონიებს მის მიერ მიცემულ ჩვენებაზე. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ მოწმემ ჩვენების მიცემისას უბრალოდ უარყოს გარკვეული ინფორმაცია, რაზეც მას ადრე ჰქონდა საუბარი ადვოკატთან ან დაცვის გამომძიებელთან. ადვოკატის პრაქტიკაში ისეთი შემთხვევებიც იქნება, როდესაც მოწმე საერთოდ არ უარყოფს, რომ ჰქონდა საუბარი დაცვის მხარესთან.

იმ შემთხვევებში, როდესაც მოწმე უარყოფს მისი გამოკითხვის დროს რეალურად ნაამბობ ფაქტებს და უთითებს, რომ მას მხარისათვის ამგვარი ინფორმაცია არ მოუწოდებია, ძალზედ ხელსაყრელია ადვოკატს გააჩნდეს მოწმესთან წარმოებული გამოკითხვის ამსახველი საბუთი (გამოკითხვის ოქმი), შედგენილი მაქსიმალურად ზედმიწევნით. მართალია, ჩატარებული მოწმის გამოკითხვის

---

28 სამხრეთის იურიდიული დახმარების სასწავლო ცენტრის სახელმძღვანელო, **მოწმის ჩვენების მოპოვება**, ჯონათან რეპინგი; თავი 11, გვ.103-106; 2010, აშშ. რედაქტირება და თარგმანი განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ. „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი მადლობას უხდის ბატონ ჯონათან რეპინგს ზემოაღნიშნული სტატიის გამოყენების ნებართვისათვის.

გარემოებებთან დაკავშირებით, შესაძლებელია დაცვის მხარის გამომძიებლის დაკითხვაც (თუკი ,,სადავო''გამოკითხვა სწორედ მის მიერ იყო ჩატარებული), თუმცა ასეთ შემთხვევაში ბრალდების მხარემ შესაძლოა განაცხადოს, რომ გამომძიებელმა სწორად ვერ გაიგო, ან ზუსტად არ ახსოვს მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ან უბრალოდ არ იძახის სიმართლეს. სწორედ ამიტომ, მოწმის გამოკითხვის ოქმი არის ის, რაც დაგეხმარებათ ამგვარი პრობლემების თავიდან აცილებაში.

II. რატომ უნდა მივანიჭოთ უპირატესობა მოწმის გამოკითხვის წერილობით ოქმს აუდიო ჩანაწერთან შედარებით?

საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატისთვის გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებული მოწმის ჩვენების სასამართლო პროცესზე გამოყენება საკმაოდ მოსახერხებელია. ჯვარედინი დაკითხვისას წერილობითი დოკუმენტით ხელმძღვანელობა უფრო ადვილია, ვიდრე აუდიო ჩანაწერით სარგებლობა. გაცილებით იოლია ოქმში დაფიქსირებულ ტექსტში საჭირო ინფორმაციის სწრაფად მოძიება-მოკითხვა, ვიდრე აუდიო ჩანაწერში აღბეჭდილი კონკრეტული მონაკვეთის მიგნება-გაჟღერება. გარდა ამისა, წერილობით მიღებული ინფორმაციის კიდევ ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია მნიშვნელოვანი მონაკვეთის მომზადება საილუსტრაციო მტკიცებულებად (ვიზუალური ეფექტი) და სასამართლოში გამოყენება, რისი საშუალებაც აუდიო ჩანაწერის გამოყენებისას არ გექნებათ. რა თქმა უნდა, ასევე შეგიძლიათ აუდიო ჩანაწერის წერილობითი ვერსიის შექმნა და მისი სასამართლო პროცესზე გამოყენება, თუმცა, არსებობს საშიშროება მოწმემ განაცხადოს, რომ წერილობითი დოკუმენტი აუდიო ჩანაწერში მის მიერ გაკეთებულ განცხადებას არ შეესაბამება. ამ შემთხვევაში, თქვენ მოგიწევთ წარმოადგინოთ აუდიო ჩანაწერი და მოახდინოთ სადაო მონაკვეთის დემონსტრირება, რაც დამატებით დროს და ძალისხმევას მოითხოვს. ხოლო, თუ ხელთ გაქვთ მოწმის ჩვენება წერილობითი ფორმით, თქვენ შეგიძლიათ მარტივად მიუთითოთ მოწმის მიერ ჩვენების ტექსტის თავისივე ხელმოწერით დადასტურების ფაქტზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ გამოკითხვის მწარმოებელ პირს ბევრად იოლად შეუძლია გააკონტროლოს ჩვენების შინაარსი, თუკი იგი წერილობითი ფორმითაა მიღებული. როდესაც ვინმეს ვთხოვთ გვიამბოს წარსულში მომხდარი მოვლენების შესახებ, უმეტეს შემთხვევაში, ისინი ფაქტებს არაორგანიზებულად გადმოგვცემენ – იწყებენ რა საუბარს ერთ თემაზე, მოულოდნელად სულ სხვა საკითხზე გადადიან, შემდეგ კი კვლავ უბრუნდებიან პირვანდელ თემას, რათა შეავსონ ან შეასწორონ გამორჩენილი დეტალები და ა.შ. სწორედ ამიტომ, როდესაც მოწმე ასე არათანმიმდევრულად საუბრობს, ძალიან რთულია სასამართლო პროცესზე აუდიო ჩანაწერით მუშაობა. ადვოკატს შესაძლოა აუდიო ჩანაწერის რამდენიმე ეპიზოდის დემონსტრირებაც კი დასჭირდეს, რათა შექმნას სრული სურათი მოწმის გამოკითხვისას განხილული

თემის ნათლად წარმოსაჩენად. რაც შეეხება მოწმის წერილობით გამოკითხვას, გამომძიებელს საშუალება აქვს ჯერ სრულად მოისმინოს მოწმის ნაამბობი, დაუსვას მას შეკითხვები, რათა გააანალიზოს მოვლენები, და მხოლოდ ამის შემდეგ შეადგინოს წერილობითი ჩვენება შესაბამისი ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვით. გარდა ამისა, გამომძიებელს შეუძლია უფრო მარტივი და გასაგები ენით შეადგინოს გამოკითხვის ტექსტი და არა სიტყვა-სიტყვით, ისე, როგორც ადამიანები საუბრობენ. ამგვარად შედგენილი გამოკითხვის ოქმი, სასამართლო პროცესზე ჯვარედინი დაკითხვისას, ბევრად უფრო ქმედითი და ეფექტურია.

მაგალითად:

წარმოიდგინეთ, რომ გამომძიებელი ატარებს მოწმის გამოკითხვას ფიზიკური შეურაცხყოფის საქმეზე, რომელიც აცხადებს, რომ დაინახა თავდამსხმელი. გამომძიებელი ცდილობს დაადგინოს, თუ რამდენად სწორად ამოიცნო მოწმემ დანაშაულის ჩამდენი პიროვნება. წარმოიდგინეთ, რომ მოწმესა და გამომძიებელს შორის საუბარი შემდეგნაირად მიმდინარეობს:

გამომძიებელი: გინახავთ თუ არა წარსულში პირი, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გურამს?

მოწმე: არა, რეალურად არა.

გამომძიებელი: რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ, რომ „რეალურად არა“?

მოწმე: მე არ ვიცნობდი იმ ბიჭს.

გამომძიებელი: ესე იგი, თქვენ პირველად ნახეთ ეს პიროვნება იმ ღამეს, როდესაც მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გურამს?

მოწმე: დიახ.

ამის შემდეგ, გამომძიებელი სხვა თემაზე იწყებს საუბარს და რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ ეკითხება მოწმეს:

გამომძიებელი: ხომ ვერ გაიხსენებთ, როგორ გამოიყურებოდა კაცი, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გურამს?

მოწმე: იგი ამჯერად სრულიად განსხვავებულად გამოიყურებოდა.

გამომძიებელი: როგორ? მე მეგონა, რომ ბიჭი, რომელმაც გურამს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ინციდენტამდე არასოდეს გენახათ?

მოწმე: არა, მე ადრეც მყავს ნანახი ეს პიროვნება, უბრალოდ მეგონა, რომ თქვენ მკითხეთ, პირველად ვნახე თუ არა ის ბიჭი იმ ღამეს. მე იგი ინციდენტამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე ვნახე პირველად, თუმცა, იგი მაშინ სრულიად სხვანაირად გამოიყურებოდა.

გამომძიებელი: დარწმუნებული ხართ, რომ ეს იგივე პიროვნება იყო?

მოწმე: დიახ, დარწმუნებული ვარ.

(ნახევარი საათის შემდეგ)

მოწმე: იცით, როდესაც გითხარით, რომ მგონი ერთხელ ნანახი მყავს ის ტიპი, სანამ ჩხუბი მოხდებოდა-თქო... ახლა რომ ვფიქრობ, ეს მართლა ასე იყო, მე ნამდვილად ვნახე იგი ერთხელ ამ ინციდენტამდე. ეს იყო ერთი კვირით

ადრე, სანამ ეს ჩხუბი მოხდებოდა. კარგად მახსოვს მისი მაისური, რადგან მასზე გამოსახული იყო მარიხუანას დიდი ფოთოლი. ის შემოვიდა ღამის კლუბში. მე მას ძალიან ცოტა ხანი, ერთ წუთზე ნაკლები, ვაკვირდებოდი. საკმაოდ ბნელოდა. შემდეგ მე დავტოვე კლუბი.

იმ შემთხვევაში, თუ მოწმის გამოკითხვა აუდიო ჩანაწერის სახით იქნებოდა წარმოდგენილი, ის ზუსტად იმ ფორმითა და თანმიმდევრობით აისახებოდა ფირზე, როგორც მოწმემ ზემოთ ისაუბრა. ხოლო, თუ გამომძიებელი წერილობით ჩამოაყალიბებდა მოწმის მონათხრობს, როდესაც ის მოისურვებდა წარმოეჩინა თუ რამდენად კარგად იცნობდა მოწმე დამნაშავის პიროვნებას, მაშინ ის მოწმის ჩვენებას შემდეგნაირად წარმოადგენდა:

მე დარწმუნებული ვარ, რომ პიროვნება, რომელმაც გურამს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ადრეც მყავს ნანახი. ბიჭი, რომელმაც გურამს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, მე ნანახი მყავდა ერთხელ, ერთი კვირით ადრე სანამ ეს ჩხუბი მოხდებოდა. ბიჭი ვინც გურამს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, მე ღამის კლუბში ვნახე. როდესაც მე ვნახე ბიჭი, რომელმაც გურამს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, სიბნელე იყო. ბიჭს, რომელიც მე დავინახე და როგორც ვფიქრობ, იყო სწორედ ის ადამიანი, რომელმაც გურამი სცემა, ერთ წუთზე ნაკლებ ხანს ვუცქერდი. მე დავტოვე ღამის კლუბი მისი (ბიჭის, რომელმაც გურამს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა) მოსვლიდან დაახლოებით ერთი წუთის შემდეგ. ერთადერთი, რითაც ეს ადამიანი (ბიჭი, რომელმაც გურამს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა) დამამახსოვრდა, იყო მისი მაისური. რაც იმ მაისურთან დაკავშირებით დამამახსოვრდა კი, იყო მასზე გამოსახული მარიხუანას ფოთოლი.

ახლა კი, წარმოიდგინეთ სასამართლო პროცესი, სადაც მოწმე აცხადებს, რომ თქვენი კლიენტია ის ადამიანი, რომელმაც გურამი სცემა. ის ამბობს, რომ ამ ინციდენტამდე, დაახლოვებით ბოლო ერთი წლის განმავლობაში, კვირაში ერთხელ ხედავდა თქვენს კლიენტს ღამის კლუბში. თქვენ გსურთ მოუწყოთ მას იმპიჩმენტი იმ ფაქტზე აპელირებით, რომ ინციდენტამდე, მხოლოდ ერთხელ ყავდა ნანახი ის ადამიანი, რომელმაც გურამს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და რომ ეს მოხდა ბნელ ღამის კლუბში, სადაც მოწმეს ერთი წუთით ან უფრო ნაკლები დროის მანძილზე შეეძლო დაკვირვებოდა ამ პიროვნებას. ამასთან, თქვენ არ გსურთ ყურადღება გაამახვილოთ მაისურზე გამოსახული მარიხუანას ფოთლის სურათზე. ამავდროულად არ გსურთ გამოააშკარაოთ ყველაფერი ის, რაზეც მოწმე გესაუბრებოდათ იმ ინტერვალებში, როცა არ საუბრობდა გურამის თავდამსხმელის წინათ ნახვის ფაქტზე. მოწმის გამოკითხვისას გაკეთებული ჩანაწერების სწორად ორგანიზებითა და მისი ხელსაყრელი ფორმით დაფიქსირების საშუალებით, დაცვის გამომძიებელს შეუძლია შეადგინოს ისეთი დოკუმენტი (გამოკითხვის ოქმი), რომელსაც ადვოკატი წარმატებით გამოიყენებს სასამართლო პროცესზე და არ მოუწევს აუდიო ჩანაწერის წამდაუწუმ

გადახვევა, რათა მოახდინოს მოწმის ეფექტური იმპიჩმენტი.

ამასთან გახსოვდეთ, რომ დაცვის მხარის გამომძიებელს შედგენილი აქვს დოკუმენტი, სადაც თითო საკითხი თითო წინადადებად არის ჩამოყალიბებული. აქედან გამომდინარე, ადვოკატს საშუალება ეძლევა მარტივად ამოირჩიოს და გამოყოს გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებული ის საკითხები, რომელთა სასამართლო პროცესზე გაჟღერება მის ინტერესში არ შედის. აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წინადადებაში ნახსენებია: „ბიჭი, რომელმაც გურამს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა," რასაც განმეორებითი ხასიათი აქვს და გრამატიკულად უხეშად ჟღერს, თქვენ თავს არიდებთ რამდენიმე წინადადების ერთდროულად გამოყენებას კონტექსტის სწორად აღქმის მიზნით, რითაც თავიდან აიცილებთ არასასურველი დამატებითი ინფორმაციის გამომჟღავნებას ფაქტის ირგვლივ.

მაგალითი:

წარმოიდგინეთ, რომ გამოკითხვის ოქმში თავდამსხმელი მოხსენიებული გყავთ ნაცვალსახელით („ის") და არა, როგორც „ბიჭი, რომელმაც გურამს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა." სასამართლო პროცესზე ჯვარედინი დაკითხვისას, როდესაც მოწმეს კითხავთ იმ გარემოებების ირგვლივ, რომ თავდამსხმელი ინციდენტამდე, მხოლოდ ერთხელ ყავდა ნანახი, ის გპასუხობთ, რომ წინა ჩვენებაში ერთხელ ნანახ პიროვნებაში აბსოლუტურად სხვა ადამიანს გულისხმობდა. თქვენ ეხლა მოგიწევთ გამოკითხვის ოქმის მოშველიება, რათა გამოკვეთოთ, რომ მოწმე ცრუობს. თუმცა, ვინაიდან გამოკითხვისას თავდამსხმელი ძირითადად მოხსენიებული გყავთ ნაცვალსახელებით, ამჯერად მოგიწევთ საკმაოდ ვრცელი ტექსტის ამოკითხვა (მათ შორის ისეთი ინფორმაციის გაჟღერება, რომელსაც სხვაგვარად არ ისურვებდით გამოაშკარავებულიყო), რათა აჩვენოთ, რომ ნაცვალსახელით მოხსენიებული პიროვნება, არის „ბიჭი, რომელმაც გურამს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა."

ზოგიერთი გამომძიებელი, რომელიც უპირატესობას აუდიო ჩანაწერით სარგებლობას ანიჭებს, ამ პრობლემის გადასაჭრელად იყენებს წინასწარ შედგენილ კითხვებს და ცდილობს მოწმისგან მიიღოს მოკლე, პირდაპირი პასუხები. ასეთი მიდგომით შესაძლოა რამდენიმე პოტენციური პრობლემა წარმოიშვას: პირველი, იზღუდება ინტერვიუს დროს მოწმისგან მიღებული ინფორმაციის ოდენობა და მცირდება ინტერვიუს არეალი.

ამ დროს თქვენ ვერ შეძლებთ მიიღოთ ინფორმაცია ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლის წინასწარ განჭვრეტაც არ მოგიხდენიათ. მეორე პოტენციურ პრობლემას ზემოხსენებულ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ თუ თქვენ გადაწყვეტთ ჩაატაროთ მოწმის გამოკითხვა, სანამ აუდიო ჩამწერს გააქტიურებთ, ჩანაწერი არასრული სახით იქნება წარმოდგენილი ნაფიცი მსაჯულების წინაშე. შესაბამისად, თუ გადაწყვეტთ, რომ მოახდინოთ მოწმის გამოკითხვის აუდიო ჩაწერა, ჩამწერი მოწყობილობა ჩართული უნდა იქნეს იმ

მომენტიდან, როგორც კი თქვენ მოწმეს შეხვდებით, რათა არ მოხდეს საეჭვო კითხვების დაბადება, თუ რაზე საუბრობდა მოწმე მანამდე, სანამ ჩანაწერი დაიწყო და რატომ არ მოხდა მოწმის გამოკითხვის ჩაწერა სრულად და ა.შ.

III. როგორ მოვახდინოთ მოწმის გამოკითხვა:

1. უპირველესყოვლისა, მოუსმინეთ მოწმეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჯერ კარგად მოისმინოთ და გაიგოთ მოწმის მიერ გადმოცემული ამბავი და მხოლოდ ამის შემდგომ დაიწყოთ ჩანაწერის გაკეთება. თქვენ წინასწარ არ იცით, თუ რა მნიშვნელოვან დეტალებზე ისაუბრებს მოწმე, როგორი თანმიმდევრობით გიამბობთ იგი ამა თუ იმ ფაქტების შესახებ და რა კავშირი აღმოჩნდება სხვადასხვა ფაქტებსა და მოვლენებს შორის.

2. დაალაგეთ მოწმის ჩვენება ლოგიკური თანმიმდევრობით, სანამ მოახდენთ მის გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებას. (ფაქტების ქრონოლოგიურად დალაგება, როგორც წესი, ყველაზე ადვილი და ეფექტური საშუალებაა).

3. დაასრულეთ ერთი პუნქტი (თემა), სანამ მეორეზე გადახვალთ. წარმოიდგინეთ მოწმის ჩვენება, როგორც კინოფილმის სიუჟეტი. ტექსტის თითოეული აბზაცი წარმოადგენს ელემენტს, რომელიც გეხმარებათ ერთიანი სურათის შექმნაში. სრულად შეავსეთ ყოველი ეს ელემენტი დეტალებით, სანამ გადახვალთ შემდეგზე. დარწმუნდით, რომ ყოველი მომდევნო მონაკვეთი ლოგიკურ შესაბამისობაშია წინასთან.

4. მოიძიეთ, რაც შეიძლება მეტი დეტალი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. წინასწარ არასდროს იცით, თუ რა დეტალი დაგჭირდებათ სასამართლო პროცესზე.

5. შეიმუშავეთ საქმესთან დაკავშირებული ყველა შესაძლო თეორია. თქვენ წინასწარ არ იცით, თუ როგორი იქნება თქვენეული საქმის თეორია სასამართლო პროცესზე.

6. თქვენ აკონტროლებთ ჩვენების ტექსტს, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს მოწმის სიტყვებია. ნუ ეცდებით განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცეთ მოწმის განცხადებას ან უკარნახოთ მას რაიმე დეტალის შესახებ. ჩვენება დაწერილი უნდა იყოს პირველ პირში. (მაგალითად, „მე დავინახე, როგორ ჩამირბინა შავებში გამოწყობილმა კაცმა".)

7. ხმამაღლა წარმოსთქვით წინადადება, როდესაც მას წერთ. ეს საშუალებას აძლევს მოწმეს, მოისმინოს ჩანაწერი და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესწორებები.

8. ყოველთვის იფიქრეთ წინასწარ, თუ, როგორ გამოიყენებთ მოწმის მიერ გაკეთებულ განაცხადს სასამართლო პროცესზე.

9. გამოიყენეთ მოკლე წინადადებები - წინადადება უნდა მოიცავდეს მხოლოდ ერთ ფაქტს.

ii. არ გამოიყენოთ ნაცვალსახელები;

იიი. მოახდინეთ ყველა პიროვნებისა და საგნის იდენტიფიკაცია და ერთნაირად მოიხსენიეთ ისინი ყოველ წინადადებაში.

10. წაუკითხეთ მოწმეს თქვენს მიერ ჩაწერილი ჩვენების ტექსტი და მიეცით საშუალება, თავადაც მიადევნონ თვალი ნაწერს. ხელი მოაწერინეთ მოწმეს ყოველ გვერდზე და ასევე, ყველა იმ ადგილას, სადაც შესწორებებია შეტანილი ან გადახაზულია რაიმე მონაკვეთი.

11. ძალიან მნიშვნელოვანია, ადვოკატმა სასამართლო პროცესზე დაამტკიცოს/დაადასტუროს, რომ მოწმემ წაიკითხა მის მიერ მიცემული ჩვენება, მიეცა საშუალება შეეტანა მასში ცვლილებები ან შესწორებები და დარწმუნდა, რომ ტექსტი დაწერილი იყო სწორად, მისივე სიტყვების შესაბამისად.

მოწმის მომზადების საკონტროლო ჩამონათვალი

ქვემოთ მოყვანილია მაგალითები, რომლებიც რეკომენდებულია პროკურორმა/ადვოკატმა გამოიყენოს მათ მიერ მოწმეთა მომზადებისას:

1. ის, თუ როგორ გამოიყურებით, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ის, რასაც თქვენ იტყვით. სასამართლო პროცესზე სუფთად და კონსერვატიულად ჩაიცვით.
2. სასამართლოში თქვენ გთხოვენ დადოთ რელიგიური ან არარელიგიური ფიცი. ამ დროს თქვენ ფეხზე უნდა აბრძანდეთ და გარკვევით თქვათ: – ,,ვფიცავ“. მოწმის სკამზე გამართული უნდა იჯდეთ. ნუ მოეშვებით და დაეყრდნობით მაგიდას;
3. სასამართლო დარბაზში ნუ დაღეჭავთ საღეჭ რეზინს, და ნუ მიირთმევთ კანფეტს;
4. ისაუბრეთ ხმამაღლა, რათა გამეორება არ მოგიწიოთ;
5. ჩვენების მიცემის დროს იყავით თავდაჯერებული და პირდაპირი – ამგვარად მსაჯულები მეტად ირწმუნებენ თქვენს ნათქვამს;
6. ნუ დაიზეპირებთ იმას, რის თქმასაც აპირებთ;
7. იყავით მუდამ სერიოზული. თავი აარიდეთ საქმეზე სიცილსა და საუბარს ფოიეში, საპირფარეშოში ან სხვა ნებისმიერ ადგილას სასამართლოს შენობაში. გახსოვდეთ, რომ სასამართლოს შენობაში შესვლისას შესაძლოა მსაჯულებმა დაგინახონ;

8. კითხვაზე პასუხის გაცემისას ესაუბრეთ მსაჯულებს ან მოსამართლეს (თუ საქმე მსაჯულების მონაწილეობის გარეშე იხილება). ძირითადად მათ უყურეთ და გულწრფელად და ღიად ესაუბრეთ, ისე, როგორც ისაუბრებდით მეგობართან;
9. ყურადღებით უსმინეთ კითხვებს. მხოლოდ კითხვას გაეცით პასუხი და თქვენი სურვილით ნუ დაამატებთ სხვა ინფორმაციას. თქვენ უფლება გაქვთ განმარტოთ თქვენი პასუხი საჭიროების შემთხვევაში. ყოველთვის არ ხართ ვალდებული უპასუხოთ დიახ ან არა, თუ პასუხი განმარტებას მოითხოვს;
10. თუ არასწორად უპასუხეთ კითხვას, მაშინვე გამოასწორეთ შეცდომა; თუ პასუხი ბუნდოვანი იყო, მაშინვე განმარტეთ;
11. არ გასცდეთ ფაქტებს, არ გააკეთოთ დასკვნები და არ გამოთქვათ მოსაზრებები. როგორც წესი, თქვენ არ გექნებათ უფლება ჩვენება მისცეთ ისეთ საკითხზე, რაც სხვამ გითხრათ, ან რის შესახებაც თქვენ უბრალოდ სხვისგან გაქვთ ინფორმაცია, თუ ამას კანონი პირდაპირ არ მოითხოვს;
12. თუ არ გესმით კითხვის შინაარსი, მოითხოვეთ მისი გამეორება;
13. მას შემდეგ, რაც მე დაგისვამთ კითხვებს იმ საკითხების ირგვლივ, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ, თქვენ ჯვარედინი დაკითხვის წესით დაგკითხავთ მოწინააღმდეგე მხარე. ჩვენ უნდა ვისაუბროთ იმ სავარაუდო კითხვების შესახებ, რასაც, ჩემი აზრით, მოწინააღმდეგე მხარე დაგისვამთ;
14. ნუ დაკარგავთ მოთმინებას ჯვარედინი დაკითხვის დროს;
15. ჯვარედინი დაკითხვის დროს მზად იყავით იმისთვის, რომ არ დაეთანხმოთ პროკურორს/ადვოკატს. თუ ის იტყვის არასწორ ინფორმაციას, არ დაეთანხმოთ მას

და აუცილებლად შეასწორეთ/დააზუსტეთ ფაქტები, მაგრამ შეეცადეთ ეს თავაზიანად გააკეთოთ;

16. ყოველთვის თავაზიანი იყავით მოსამართლისა და ყველა იმ პირის მიმართ, ვინც კითხვას დაგისვამთ;

17. თუ პროკურორი/ადვოკატი გკითხავთ, გისაუბრიათ თუ არა ამ საქმეზე ვინმესთან – ეს ხაფანგია – ამიტომ უპასუხეთ – „დიახ“ და განმარტეთ, რომ ამ საქმეზე მე (ან პოლიციას, და სხვ.) მესაუბრეთ. ნუ მისცემთ პროკურორს/ადვოკატს შესაძლებლობას აგაჩქაროთ. გაიაზრეთ შეკითხვა და პასუხი. თუ გკითხეს – რამის თქმა ხომ არ გთხოვესო, გახსოვდეთ, რომ თქვენ გთხოვეს ყოველთვის სიმართლე თქვათ. ყველაზე მნიშვნელოვანია სიმართლის თქმა;

18. თუ მე გავაპროტესტე კითხვა, არ უპასუხოთ მას, მანამ, სანამ მოსამართლე არ მიიღებს გადაწყვეტილებას. თუ მოსამართლე დააკმაყოფილებს ჩემს პროტესტს, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ არ მოგეთხოვებათ პასუხი გასცეთ შეკითხვას. თუ მოსამართლემ პროტესტი არ დააკმაყოფილა, თქვენ ვალდებული ხართ უპასუხოთ შეკითხვას. თუ ამასობაში დაგავიწყდათ, რა კითხვა იყო დასმული, შეგიძლიათ ითხოვოთ კითხვის გამეორება;

19. თუ არ იცით პასუხი კითხვაზე, ამის გამო ნუ აღელდებით და ნუ ივარაუდებთ. უბრალოდ უპასუხეთ – „არ ვიცი“;

20. თუ რამე დაგავიწყდათ, თქვით, რომ არ გახსოვთ. ყველას შეიძლება დაავიწყდეს რაღაც;

21. თუ არ გსურთ კითხვაზე პასუხის გაცემა, არ ჰკითხოთ მოსამართლეს უნდა უპასუხოთ თუ არა კითხვას. თუ კითხვა მიუღებელია, მე გავაპროტესტებ მას და მივმართავ მოსამართლეს ამ საკითხზე;

22. ნუ დაგვიწყებთ ყურებას მე და მოსამართლეს კითხვაზე პასუხის გაცემაში დახმარებისთვის;

23. ისაუბრეთ მარტივი ენით და თავი აარიდეთ, ჟარგონულ ან ტექნიკურ ტერმინოლოგიას, თუ ეს არ არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. თუ ჩათვლით, რომ ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენება აუცილებელია, მაშინვე განმარტეთ ტერმინები, რომელსაც გამოიყენებთ;

24. ჩვენების მიცემის დასრულების შემდეგ მოწმის ადგილი დამაჯერებელი გამომეტყველებით დატოვეთ.

შენიშვნა: *წინამდებარე ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. სასამართლო პრაქტიკის განმავლობაში პროკურორმა/ადვოკატმა შეიძლება შენიშნოს სხვა პრობლემებიც, რასაც შესაძლოა მოწმე სასამართლო პროცესზე წააწყდეს და შეადგინოს უფრო სრულყოფილი სია საკუთარი მოხმარებისთვის.*

ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები[29]
(ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა)

ნაფიცი მსაჯულები მართლმსაჯულების სისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. მოგვწონს თუ არა, ფედერალური კონსტიტუცია, ისევე როგორც, უმეტესობა შტატების კონსტიტუციებისა სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებულებს ანიჭებს უფლებას საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განხილვას დაუქვემდებაროს. ხშირად ეს ინსტიტუტი სამოქალაქო სამართალწარმოებაშიც მოქმედებს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული უფლების გამოყენებას აზრი ეკარგება, თუ ნაფიც მსაჯულებს არასწორად ესმით ის კანონი, რომლის თანახმადაც გადაწყვეტილება უნდა მიიღონ.

შესავალი

ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მთავარი ამოცანაა კონკრეტულ საქმეზე მიიღონ გადაწყვეტილება – ვერდიქტი. შესაძლებელია ისეთი სისტემის წარმოდგენაც, სადაც ნაფიცი მსაჯულების კომპეტენციაში შევიდოდა არა მხოლოდ საქმეში არსებული ფაქტების გადაწყვეტა, არამედ ვერდიქტის მისაღწევად ფაქტებისთვის საჭირო კანონის შეფარდებაც. ასე მაგალითად, მრავალი საუკუნის მანძილზე ინგლისის ნაფიცი მსაჯულებისათვის კანონის განმარტება ძალზე შეზღუდულად, პრაქტიკულად არ ხდებოდა. აშშ-ს ისტორიული განვითარების ადრეულ ეტაპზეც, ნაფიც მსაჯულებს საკმაოდ ფართო დისკრეცია ეძლეოდათ სამართლებრივი საკითხების გადასაწყვეტად. აღნიშნული თავისუფლება ნაწილობრივ, იმ დიდ ნდობას ემყარებოდა, რომელიც ქვეყნის დამფუძნებლებს რიგითი ადამიანის კეთილსინდისიერი/საღი აზრის მიმართ გააჩნდათ.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის თანამედროვე დეფინიცია თანდათანობით განვითარდა; დღეს მიიჩნევა, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის ფუნქციაა დაადგინოს რა მოხდა, ე.ი. ფაქტები საქმეზე, ისევე როგორც გამოიტანოს ვერდიქტი. ამასთან, ფაქტებისათვის შესაბამისი კანონის ნორმათა შეფარდება/მისადაგება მოსამართლეთა ექსკლუზიურ კომპეტენციას განეკუთვნება.

უდავოა, რომ მას მერე, რაც მოსამართლეები მიიღებენ გადაწყვეტილებას კანონის შესაბამისი ნორმების შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილება ნაფიც მსაჯულებს უნდა ეცნობოთ. სწორედ ეს არის ნაფიცი მსაჯულებისათვის შექმნილი ინსტრუქციის დანიშნულება. ინსტრუქციამ ნაფიც მსაჯულებს კანონი უნდა განუმარტოს. გაითვალისწინეთ, რომ განმარტების მიცემა განსხვავდება ვინმესთვის რაიმეს თქმის ან წაკითხვისაგან. თქვენ შეგიძლიათ უთხრათ ვინმეს რაიმე, ისე რომ ადრესატმა ვერ გაიგოს თქვენი ნათქვამი, მაგ., თუკი მსმენელი არ ფლობს მოსაუბრის ენას. განმარტების არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ მხოლოდ თქმით ან წაკითხ-

---

[29] ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციების მომზადება – რედაქტირება და თარგმნა განახორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ. წარმოდგენილი ტექსტი პირველად დაიბეჭდა სამართლებრივი წერის ჟურნალში „სქრაიბს“ და ქართულად თარგმნის შემდეგ გამოიცა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ. ტექსტის ავტორია პეტერ მ. თიერსმანი და მისი თავდაპირველი სახელწოდებაა „ნაფიც მსაჯულებთან ურთიერთობა: როგორ შევადგინოთ ნაფიც მსაჯულებისათვის მარტივად გასაგები მითითებები“, შტატის სასამართლოების ეროვნული ცენტრი, Williamsburg, VA, 2006 [originally published in 10 Scribes J. Legal Writing 1 (2005_2006)].

ვით არ შემოიფარგლოთ, არამედ აუდიტორიამ ნამდვილად უნდა გაიგოს თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი კომუნიკაცია ფუჭია. ნაფიცი მსაჯულებისათვის ინსტრუქციის მხოლოდ ხმამაღლა წაკითხვა თავისთავად ვერ ჩაითვლება განმარტებად.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს მკითხველს გაუზიაროს ნაფიც მსაჯულებთან ეფექტური კომუნიკაციის ძირითადი წესები. ეს მასალა ემყარება ორისამი ათეული წლის განმავლობაში ჩატარებულ კვლევას დაგროვილი გამოცდილების შესახებ სამართლებრივი ენის, ნაფიცი მსაჯულის აღქმისა და წმინდა „ინგლისური წესების“ თაობაზე, აგრეთვე ჩემს პირად გამოცდილებას, რომელიც კალიფორნიის შტატისათვის უფრო გასაგები ინსტრუქციის შემუშავების მიზნით შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის წევრის რანგში შევიძინე.

ნაშრომის პირველი ნაწილი ეთმობა კომუნიკაციისა და წერის ხელოვნების ზოგადი პრინციპების მიმოხილვას, იგი გრძელდება ნაფიცი მსაჯულებისათვის ინსტრუქციის უფრო დეტალური პრინციპების აღწერით, დაბოლოს, გვთავაზობს აღნიშნული პრინციპები გათვალისწინებულ იქნეს ინსტრუქციების წერის პროცესში.

ზოგადი პრინციპები ნათელი კომუნიკაციისათვის

კარგი მწერალი ითვალისწინებს აუდიტორიას, რომელსაც მიმართავს და ისეთ ენას შეარჩევს, რომელიც ამ უკანასკნელისათვის გასაგებია.

ნაფიცი მსაჯულებისათვის ინსტრუქციის შემთხვევაში, აღნიშნული მოითხოვს ჩვეულებრივი ქართულის და არა იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებას, აგრეთვე რამდენიმე სხვა სახელმძღვანელო პრინციპის გათვალისწინებას „გამართული ენის“ უზრუნველსაყოფად.

გაითვალისწინეთ თქვენი აუდიტორია

ნებისმიერი მწერლის მთავარი პრინციპია, მუდმივად გაიაზროს აუდიტორია, რომლისთვისაც წერს. უზენაესი სასამართლოსათვის შედგენილი დოკუმენტის ენა განსხვავდება კლიენტისათვის მიწერილი ახსნა-განმარტების წერილისაგან, რომელიც მას ანდერძისა თუ გაყრის შესახებ ტერმინებს განუმარტავს. ჭეშმარიტად კარგი იურისტი იმდენად კარგად უნდა იცნობდეს კანონს, რომ საკუთარი კლიენტებისათვის მისი მარტივი ენით ახსნა შეეძლოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იურისტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარი უკავშირდება იურიდიული ცნებებისა და იურიდიული ჟარგონის ჩვეულებრივ ქართულ ლიტერატურულ და არა იურიდიულ ენაზე თარგმნის შესაძლებლობას. ბუნებრივია, თქვენი აუდიტორია ნაფიცი მსაჯულებისგან შედგება. სიები, საიდანაც ნაფიცი მსაჯულები ირჩევიან განსხვავდება ქვეყნის მასშტაბით და ხშირად თვით კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შიგნითაც. შესაბამისად, ყველა შემადგენლობა რამდენადმე განსხვავებული იქნება.

ასე რომ, არცთუ მარტივია იმის გადაწყვეტა, თუ ვინ არის თქვენი აუდიტორია, კონკრეტულად კი რა განათლების დონე და კითხვისა თუ სმენის შესაძლებლობები გააჩნიათ მის წევრებს.

ერთი შეხედვით, მიზანშეწონილია ისეთი ინსტრუქციის შედგენა, რომელიც ყველა ნაფიცი მსაჯულისთვის თანაბრად გასაგები იქნება, თუმცა ეს შესაძლოა ზოგჯერ მიუღწეველ ამოცანად იქცეს.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესზე დაკვირვება და იურისტების დასკვნითი სიტყვების მოსმენა გარკვეულწილად დაეხმარება ნაფიც მსაჯულებს გაიგონ სამართლებრივი ნორმები. მათ ასევე მიეცემათ შესაძლებლობა იმსჯელონ ინსტრუქციის შესახებ სათათბიროდ გასვლის დროსაც. აქვე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ბრალდება/დაცვა ეცდება ინსტრუქციების მათეული ინტერპრეტაცია შესთავაზონ აუდიტორიას. მიუხედავად იმისა, რომ თათბირი შესაძლოა დაეხმაროს მსაჯულებს კანონის სწორად გაგებაში, ერთობლივმა განხილვამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ერთი ან მეტი მსაჯულის მიერ დანარჩენი შემადგენლობის გადაბირება ინსტრუქციის არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე.

შესაბამისად, რჩევა და თათბირი ვერ შეავსებს ცუდად განმარტებული ინსტრუქციის დეფექტებს.

მიუხედავად იმისა, რომ ინსტრუქცია ყოველთვის ვერ იქნება თანაბრად გასაგები ყველა მსაჯულისათვის, ლოგიკური იქნება არსებობდეს მინიმალური მოთხოვნა, რომ

ნაფიცი მსაჯულებისათვის ინსტრუქციის განმარტება გასაგები იყოს *საშუალო*, ჩვეულებრივი ნაფიცი მსაჯულისათვის. ასეთ შემთხვევაში, თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში მსაჯულთა უმრავლესობა სწორად გაიგებს კანონს.

პრაქტიკული თვალსაზრისით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საშუალო ნაფიც მსაჯულს მიღებული აქვს საშუალო განათლება (დამთავრებული აქვს სკოლა). შესაბამისად, გონივრულია მიგვაჩნდეს, რომ ჩვენი აუდიტორია წერა-კითხვის შემძლეა, 12-კლასიანი განათლების დონის სტანდარტით. ზოგჯერ სასარგებლოა წარმოიდგინოთ, თითქოს რომელიმე იურიდიულ ცნებას თქვენს სტილისტს, თქვენი საყვარელი რესტორნის მიმტანს, ან სხვა, შედარებით „ჩვეულებრივ“ ადამიანს უხსნით.

შეარჩიეთ შესაფერისი სტილი და ტონალობა

სასამართლო დარბაზი ოფიციალური ტიპის გარემოა. ასეთმა გარემომ შესაძლოა შესაბამისი ოფიცალური და ზოგჯერ გადაჭარბებით პომპეზური ენისა და საუბრის მანერისაკენ გვიბიძგოს. გამონაკლისს არც მოსამართლეები წარმოადგენენ. გარდა ამისა, ნაფიცი მსაჯულებისათვის ინსტრუქცია ერთ-ერთი იშვიათ გამონაკლისია, როდესაც მოსამართლეს შეუძლია მიმართოს ნაფიც მსაჯულებს სხდომის მსვლელობისას. მსგავს სიტუაციებში უმრავლესობა ჩვენგანს სურს მაღალფარდოვანი და ზედმეტად ლიტერატურული ენის გამოყენებით საკუთარი ერუდიცია გამოამჟღავნოს და კარგი შთაბეჭდილება დატოვოს; მაგრამ ოფიციალური ენა ამცირებს შინაარსის გაგების ალბათობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ესაუბრებით საშუალოზე დაბალი განათლების მქონე ადამიანებს, რადგან ლიტერატურული ენის შესწავლა სკოლაში ხდება. ამასთან, ზედმეტი ფორმალობა ქმნის დისტანციას მოსაუბრესა და მსმენელს შორის. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქცია არ უნდა იყოს გადატვირთული ოფიციალური ენით. დღევანდელი ნაფიცი მსაჯულები უფრო ზედმიწევნით შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, თუკი ექნებათ განცდა, რომ ისინი სიმართლის დასადგენად მომართული ერთიანი მექანიზმის ნაწილს წარმოადგენენ და არა ჯარისკაცებს, რომელთაც საკუთარი ვალის მოხდა იმპერატორმა უბრძანა.

ამავდროულად, გარკვეული დოზით ფორმალობის შენარჩუნება შეახსენებს პროცესის მონაწილეებს პროცესის მნიშვნელობას და აღძრავს პატივისცემას სასამართლო სისტემის მიმართ. ქუჩის ჟარგონი ყოვლად შეუსაბამოა ასეთი სიტუაციისათვის. როგორც სხვა მრავალ ცხოვრებისეულ შემთხვევაში, აქაც სწორება „ოქროს შუალედზე“ უნდა გაკეთდეს. ზოგადად, ნაფიცი მსაჯულებისათვის ინსტრუქცია ზომიერად ოფიციალური, თუმცა არა ზედმეტად გადატვირთული დოკუმენტი უნდა იყოს.

გამოიყენეთ ლოგიკური სტრუქტურა

ინფორმაციის ლოგიკური სახით წარმოდგენა ბევრად ამარტივებს აუდიტორიის მხრიდან მის აღქმას. ასე მაგალითად, მონათხრობი უფრო ადვილად აღსაქმელია, თუ მას ქრონოლოგიურ რეჟიმში მოვყვებით. მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება არაქრონოლოგიური სიზუსტით ან მსმენელის „უკან დაბრუნების“ ტექნიკის გამოყ-

ენება შესაძლოა საინტერესო ხერხია ლიტერატურული თვალსაზრისით, თუმცა ასევე შეიძლება დამაბნეველი იყოს მკითხველისათვის, რომელიც იძულებულია გაბნეული ინფორმაცია ერთ ლოგიკურ მსვლელობად შეკრას.

ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქცია არ მოგვითხრობს ამბავს, შესაბამისად ქრონოლოგიური ორგანიზაცია ნაკლებად გამოგვადგება. თუმცა, გარკვეულწილად, სასამართლო პროცესის ქრონოლოგია გვთავაზობს ინფორმაციის ორგანიზების გარკვეულ პრინციპს: შეეცადეთ ნაფიც მსაჯულებს ინფორმაცია მაშინ მიაწოდოთ, როდესაც ეს მათ წინაშე არსებულ ამოცანას შეესაბამება. ბევრი მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს ინსტრუქციას პრაქტიკულად პროცესის ბოლოს აცნობს. თუმცა, უპრიანი იქნება მათ გარკვეული ძირითადი ხასიათის ინფორმაცია უშუალოდ პროცესის დაწყებამდე მივაწოდოთ. სულ მცირე, ნაფიც მსაჯულებს უნდა შეექმნათ წარმოდგენა იმის შესახებ, როგორი იქნება პროცესის მსვლელობა, რა წესებით უნდა იხელმძღვანელონ მტკიცებულებებთან მიმართებით, ასევე თუ რა ედება ბრალად ბრალდებულს. მსაჯულებს გაცილებით უკეთ დაამახსოვრდებათ მტკიცებულებები, თუკი თავიდანვე ეცოდინებათ რა არის მნიშვნელოვანი და რა არა. აშშ-ს ბევრ სასამართლოში გავრცელებულია პრაქტიკა, როდესაც მსაჯულებს უამრავი ცუდად ორგანიზებული ფაქტით ტვირთავენ და მხოლოდ შემდეგ უხსნიან დანაშაულის ნიშნებს, რაც ყოველგვარ საღ აზრს არის მოკლებული. ბევრად უფრო ხელსაყრელია, უმეტესობა ინსტრუქიებისა პროცესის დაწყებისას გავცეთ, ხოლო უშუალოდ თათბირის წინ ზეპირად გავაკეთოთ ინსტრუქციის მოკლე შეჯამება და ნაფიც მსაჯულებს გადავცეთ ინსტრუქციის წერილობითი ასლი.

კონკრეტულ ინსტრუქციებთან მიმართებით გასათვალისწინებელი ზოგიერთი ორგანიზაციული პრინციპი:

- პირველ რიგში, შეეხეთ ყველაზე მეტად მნიშვნელოვან საკითხებს;
- მოათავსეთ ზოგადი ინფორმაცია კონკრეტული ინფორმაციის წინ;
- ახსენეთ ჯერ ზოგადი მოცემულობა ან წესი, ხოლო შემდეგ მიუთითეთ მთავარ გარემოებებზე ან გამონაკლისებზე.

ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქცია არ უნდა ჟღერდეს როგორც ვიქტორიანული ეპოქის დოკუმენტი, რომელიც იწყება იურიდიული სიტყვებით დახუნძლული გრძელი შესავლით და შეიცავს ისეთ სიტყვებს, როგორიც არის „მაშასადამე“, „უწინარესად“, „ვითვალისწინებთ რა“, „ვაღიარებთ რა“ და ა.შ., გრძელდება გამონაკლისებისა და დამატებითი გარემოებების ვრცელი სიით და მხოლოდ სულ ბოლოს გადადის საკითხის არსზე. ამის ნაცვლად, ახსენით ჯერ ზოგადი წესი და შემდეგ გადადით მისგან გამონაკლისი შემთხვევების დახასიათებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არსებობს ინფორმაციის ორგანიზების სხვა პრინციპებიც, რომლებიც შეიძლება მივუსადაგოთ ინსტრუქციებს. ერთ-ერთი ასეთი პრინციპია დასათაურება. როდესაც ნაფიც მსაჯულებს გადასცემთ ინსტრუქციის წერილობით ასლს, თითოეულ თავში შესაბამისი სათაურის ან სახელწოდების მინიშნება ნაფიც მსაჯულებს დაეხმარე ბათ საჭიროებისამებრ მოძებნონ შესაბამისი ინსტრუქცია თათბირის დროს. აგრეთვე სასარგებლოა ჩამონათვალის ნუმერაციაც. ყოველთვის, როდესაც ნაფიც მსაჯულებს

მხედველობაში მისაღებად ეძლევათ სხვადასხვა ელემენტი ან ფაქტორები – მაგ., დანაშაულის ნიშნები, ან მოწმის სანდოობის განსასაზღვრად გასათვალისწინებელი გარემოებები – მათი წარმოდგენა სიის სახით უნდა მოხდეს.

ამასთან, აღსანიშნავია: ბრალდება/დაცვა და სასამართლო ინსტინქტურად ხვდება, რომ დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზი, ჩვეულებრივ, დანაშაულის შემადგენელი ელემენტებით განისაზღვრება, რომელთაგანაც ყველა კუმულაციურად უნდა დაკმაყოფილდეს, მაშინ როდესაც ყველა ფაქტორის/გარემოების დაკმაყოფილება არ არის საჭირო გადაწყვეტილების მიღებისათვის და დანარჩენი ფაქტორები მხოლოდ სათვალავში მოიაზრება.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ განსხვავებაზე რაიმე გზით მიეთითოს ნაფიც მსაჯულებს, მაგალითად:

ბრალდებულს ბრალი ედება ქურდობაში. სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტებიდან ყველა სიმართლეს შეესაბამება:

1. ბრალდებული სხვის [სახელი, მაგ., თენგიზის] ნივთს ამ უკანასკნელის ნების გარეშე დაეუფლა;

2. ბრალდებულს განზრახული ჰქონდა მიესაკუთრებინა [სახელი, მაგ., თენგიზის] ნივთი.

ამასთან:

3. ბრალდებულმა თუნდაც მოკლე მანძილზე გადააადგილა ნივთი, და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფლობდა მას.

თქვენი გადასაწყვეტია ენდობით თუ არა მოწმეს. მოწმის ჩვენების შეფასებისას დაუსვით თქვენს თავს შემდეგი შეკითხვები:

1. რამდენად კარგად ესმოდა ან ხედავდა მოწმე იმ საგნებს, რომელთა შესახებაც ჩვენება მისცა?

2. რამდენად კარგად ახსოვდა მოწმეს მომხდარი და რამდენად კარგად აღწერა იგი?

3. ესმოდა თუ არა მოწმეს მისთვის დასმული შეკითხვები და პირდაპირ პასუხობდა თუ არა მათ?

4. რამდენად სანდოდ გეჩვენათ მოწმე?

ასეთი მაგალითი გასათვალისწინებელი ფაქტორების კითხვების სახით გადმოცემის ყველაზე გასაგებ გზას წარმოადგენს.

იყავით მაქსიმალურად კონკრეტული

კანონი ზოგად და აბსტრაქტულ ფორმულირებებს უნდა შეიცავდეს, რათა მისი შეფარდება ნებისმიერი პირისათვის და მისი ფარგლებით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედებისათვის იყოს შესაძლებელი. არსებობს საკმაო მიზეზი, თუნდაც დანაშაულის განმარტებისას ასეთი ზოგადი და აბსტრაქტული ენის გამოსაყენებლად.

მაგრამ მას შემდეგ, რაც დანაშაული მოხდება, სასამართლო პროცესზე განიხილება ბრალდებულის ბრალეულობის საკითხი, ე.ი. საკითხი ვიწროვდება და ძალზე კონკრეტული ხდება. კანონები არა მხოლოდ რთული ენით არის დაწერილი, არამედ ის არ განუმარტავს ნაფიც მსაჯულებს, როგორ შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანა.

მაშინ, როდესაც კანონი, როგორც წესი, შეიცავს ისეთ აბსტრაქტულ ტერმინებს, როგორცაა „ნებისმიერი პირი, რომელიც ჩაიდენს X ქმედებას, დამნაშავეა“, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ უნდა გადაწყვიტოს, ჩაიდინა თუ არა პირმა X ქმედება. განსხვავებით კოდექსისა, თუ კანონთა კრებულისგან, ინსტრუქცია არ უნდა შედგებოდეს აბსტრაქტული იურიდიული პრინციპების ჩამონათვალისაგან, არამედ ის უნდა უხსნიდეს მსაჯულებს, თუ როგორ მიაღწიონ ვერდიქტს.

გამოიყენეთ გასაგები ლექსიკა

იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლისას ყველა ჩვენგანს ახსოვს უამრავ უცნობ ტერმინოლოგიასთან ჭიდილი. თუკი ასეთ შორეულ წარსულს ვერ იხსენებთ, მაშინ შესაძლოა ფილოსოფიის ან ლინგვისტიკის შესახებ ლექციას დასწრებიხართ ან წიგნი წაგიკითხავთ, ანდა გიცდიათ გაგერჩიათ ინსტრუქცია კომპიუტერის ან სხვა მოწყობილობის დასაპროგრამებლად და მიმხვდარხართ, რომ ბევრი არაფერი გესმით, რადგან ინსტრუქცია უამრავ ტექნიკურ ტერმინლოგიას შეიცავს. ყოველდღიურად იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებისას, ადვილია იმის დავიწყება, თუ რამდენად უცნაურად ჟღერს ეს ლექსიკა მათთვის, ვინც იურისტი არ არის. ასე რომ, ნაფიცი მსაჯულებისათვის გასაგები ინსტრუქციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, ის მარტივი ენით იყოს შედგენილი.

1. ტექნიკური ტერმინოლოგია

ჩვეულებრივ ადამიანს აქვს ზოგადი ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს სამართლებრივი სისტემა, ისევე როგორც დაახლოებითი წარმოდგენა ზოგიერთი ძირითადი იურიდიული ტერმინის მნიშვნელობაზე. ისეთი სიტყვების მნიშვნელობა, როგორიც არის, მაგალითად: მოსამართლე, ბრალდებული, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა, მანდატური, ბადრაგი, უმრავლეს შემთხვევაში ნაკლებად პრობლემურია, ასე რომ, მათი შეტანა ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციაში დასაშვებია.

თუმცა იურიდიული ტერმინების უმრავლესობა ფართო საზოგადოებისათვის უცნობია, ხოლო ზოგიერთი ტერმინი, ისეთი, მაგალითად, როგორიცაა — *ლის პენდენს (პროცესუალური გამოწვევა), პერსტირპეს (დელიკვენტი), პირველი რიგის მემკვიდრე, დელიქტი*, ჩვეულებრივი ადამიანებისათვის სრულიად ბურუსითაა მოცული. მეორე მხრივ, ასეთი სიტყვების ტექნიკური შინაარსი აშკარაა და უფრო ადვილი მისახვედრია, რომ აუცილებელია მათთვის თავის არიდება ინსტრუქციის შედგენისას.

ზოგიერთ იურისდიქციაში *მეტი ალბათობით მტკიცება* ნიშნავს ვარაუდს, რომ რაღაც შეესაბამება სინამდვილეს. მაგალითად, ნინომ უნდა დაამტკიცოს, რომ გოჩა მისი მამაა, უფრო მარტივი იქნება ვთქვათ, რომ ნინომ უნდა დაამტკიცოს, რომ გოჩა სავარაუდოდ, მისი მამა უნდა იყოს, ვიდრე ნინომ *მეტი ალბათობით უნდა დაამტკიცოს, რომ გოჩა მის ბიოლოგიურ მამას წარმოადგენს.* ამგვარად, ზედმეტ ტერმინო-

ლოგიას ავიცილებთ თავიდან.

იურისტებიც კი ზოგჯერ უნდა დაფიქრდნენ, რომ გაიხსენონ სახლის მეპატრონე მოიჯარეა/მოგირავნეა თუ მეიჯარე/მეგირავნე. ამიტომ, შეეცადეთ ყველგან უფრო მარტივი ტერმინოლოგია გამოიყენოთ. მოცემული პირები შესაძლებელია მსესხებლად და გამსესხებლად მოვიხსენიოთ. იმავე პრინციპით მოქირავნე და გამქირავებელი შეიძლება ჩავანაცვლოთ მეპატრონითა და მდგმურით.

თუმცა ყოველთვის ვერ შევძლებთ თავი ავარიიდოთ იურიდიული ტერმინების გამოყენებას. ზოგჯერ ტერმინი იმდენად დამკვიდრებულია, რომ არა მხოლოდ დარბაზში მყოფი იურისტებისათვის, არამედ ალბათ თავად ნაფიცი მსაჯულებისთვისაც კი ბუნებრივად ჟღერს. იურიდიული ტერმინოლოგია აგრეთვე ხელსაყრელია ლაკონიურობისათვის. მაშინ, როდესაც *მეტი ალბათობის კრიტერიუმი* რამდენიმე სიტყვით აიხსნება, *გონივრული ეჭვის სტანდარტის* ახსნისათვის შესაძლოა რამდენიმე წინადადებაც კი არ გვეყოს (გარდა რამდენიმე იურისდიქციისა, სადაც მისაღებია „მტკიცედ სარწმუნოობის“ სტანდარტი). თუკი *გონივრული ეჭვის სტანდარტის* მსგავსი სხვა ტერმინის ახსნა ერთი-ორი ჩვეულებრივი ქართული სიტყვით ვერ მოხერხდა, მაშინ შესაძლოა უკეთესი იყოს ის პირდაპირ გამოვიყენოთ. ასეთ დროს ჯერ უნდა ავხსნათ ტერმინის მნიშვნელობა. არაერთ შემთხვევას ჰქონია ადგილი, როდესაც ნაფიც მსაჯულებს თათბირის დროს ლექსიკონში დაუწყიათ სიტყვების ძებნა, რაც ტექნიკური თვალსაზრისით არამართებულ ქცევად ითვლება. ცნობილია, რომ მსგავსი შემთხვევების დროს ძირითადად ეძებდნენ შემდეგ სიტყვებს: ხელყოფა, ფიზიკურად გასწორება, ბრალეული, საპატიმრო სასჯელი, პატიმრობა, მეურვეობა/მზრუნველობა, პროვოკაცია, დედუქცია, ფსიქიკური აშლილობა, იურიდიული შედეგი, დაუდევრობა, გადაცდომა, მოტივი, მკვლელობა, გაუფრთხილებლობა, საკუთრება, წინასწარი შეცნობა, ალბათობის ტესტი, სიახლოვეში მყოფი, კეთილგონიერი, შეუსაბამო/არაჯეროვანი, ბრუნვაში ჩაშვება (მაგალითად, ყალბი ჩეკის), დანაშაულებრივი გულგრილობა.

მიუხედავად იმისა, რომ უმრავლეს შემთხვევებში ასეთი შეცდომები ნაფიცი მსაჯულების ქცევაში უმტკივნეულოა, თავად მსგავსი ფაქტების არსებობა იმაზე მეტყველებს, რომ ნაფიც მსაჯულებს იშვიათად ესმით იურიდიული ტერმინოლოგია.

რა თქმა უნდა, მოსამართლეები არ იშურებენ მცდელობას განმარტონ საგნის განმსაზღვრელი ტერმინი, თუმცა ხშირად ავიწყდებათ, რომ სიტყვები, რომლითაც განმარტებას ვაკეთებთ, უფრო მარტივი უნდა იყოს, ვიდრე თავად განსამარტავი სიტყვა. ასე მაგალითად, არსებობს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კალიფორნიის ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ სიკვდილით დასჯის საქმეებზე მოსთხოვა მოსამართლეს მათთვის განემარტა სიტყვა „შემსუბუქება“, საბოლოოდ კალიფორნიამ ინსტრუქციას დაამატა დეფინიცია, სადაც ახსნილი იყო, რომ „შემსუბუქება“ პასუხისმგებლობის ხარისხზე მოქმედი, თუმცა არა მისი გამომრიცხველი გარემოებაა, რაც ალბათ არცთუ მარტივი ახსნაა. ნაფიც მსაჯულებს, რომლებსაც „შემსუბუქება“ არ ესმით, ალბათ გაუჭირდებათ პასუხისმგებლობის ხარისხზე მოქმედი ცნების, მნიშვნელობის წვდომა.

დაბოლოს, ზოგიერთ ტექნიკურ იურიდიულ ფრაზასთან მიმართებით, ადამიანები მეტწილად ცდილობენ „დაშალონ“ ფრაზა ან გამოიცნონ მისი მნიშვნელობა, მაგალითად, ხშირად მიაჩნიათ, რომ უახლოესი შედეგი ნიშნავს მიახლოებით შედეგს.

ასეთ შემთხვევებში უმჯობესია საერთოდ თავიდან ავიცილოთ მსგავსი ფრაზის გამოყენება, თუმცა ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი. თუკი მსგავს სიტუაციაში

აღმოჩნდით, უპრიანია განუმარტოთ ნაფიც მსაჯულებს, რომ მოცემულ სიტყვას/ფრაზას სხვა დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს. მაგ., მიუთითოთ: ,,განსხვავებით გავრცელებული მნიშვნელობისაგან, მოცემულ შემთხვევაში სიტყვა/ფრაზა [ჩასვით] (არ) უნდა გავიგოთ, როგორც [ჩასვით]".

2. ტექნიკური ტერმინები, რომლებიც ჩვეულებრივ მეტყველებაშიც გამოიყენება

დამატებითი პრობლემა იქმნება, როდესაც იურიდიული ტერმინი ლიტერატურულ ენაში სხვა მნიშვნელობით არის ცნობილი. ამას ,,იურიდიულ ომონიმებს" უწოდებენ. ზოგჯერ იურიდიული მნიშვნელობა უფრო კონკრეტულია, ვიდრე ზოგადად მიღებული განსაზღვრება. მაგალითად, უმრავლესობამ იცის, თუ რას ნიშნავს ცნებები *გონივრულ ეჭვს მიღმა* ან *დაუდევრობა,* თუმცა მხოლოდ ზოგადი შინაარსი ესმით. ხალხი ვერ აღიქვამს იმ ნიუანსებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა პრეცედენტების მეშვეობით. ცხადია, სასურველი იქნება მსგავსი ტერმინები შეძლებისდაგვარად თავიდან ავირიდოთ და თუ ამას ვერ შევძლებთ, მაშინ განვმარტოთ. კიდევ უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს ისეთი იურიდიული სიტყვები და ფრაზები, რომელთა იურიდიული შინაარსი არა მხოლოდ უფრო კონკრეტულია, არამედ პრინციპულად განსხვავდება მათი ჩვეულებრივი მნიშვნელობისაგან. მაგალითად, ტერმინი პირადი საკუთრება უმეტესობა ადამიანებისათვის ,,პირად საგნებთან" ასოცირდება, თუმცა იურიდიულად მისი მნიშვნელობა საკუთრების ზოგადი ცნებისგან განსხვავდება. ასეთივე სიტუაციაა ინდივიდუალურ განაცხადთან მიმართებით, უმრავლესობას ის განცხადებად მიაჩნია, რომელიც არ არის დაკავშირებული რაიმე სასამართლო წარმოებასთან. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე ინგლისური ტერმინის Mayhem-თან მიმართებით, რაც პოპულარულ ინგლისურ ენაზე მასიურ არეულობას, ღრეობას ნიშნავს, თუმცა ამ ტერმინის იურიდიული შინაარსი დასახიჩრებას, სხეულის ან მისი ნაწილების დაჭრას ან/და დამახინჯებას ნიშნავს. აუცილებელია სიფრთხილით მოვეკიდოთ ყველა ასეთ ტერმინს, რადგან მათ შესაძლოა ჩვეულებრივი ადამიანი შეცდომაში შეიყვანონ. გარდა ამასა, ფსიქოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ დამკვიდრებული ტერმინების შემთხვევაში ძალზე ძნელია სიტყვის მისი ორდინარული აღქმისაგან განსხვავებული, ტექნიკური მნიშვნელობით აღჭურვა.

3. არქაული, ფორმალური და უცნაური სიტყვები

რადგან ბევრი სამართლებრივი ცნება საკმაოდ ძველია და ამ პროფესიას წერის საკმაოდ კონსერვატიული სტილიც ახასიათებს, იურისტები ხშირად იყენებენ არქაულ და უცნაურ ტერმინოლოგიას. ეს შესაძლოა ნაკლებად პრობლემური ყოფილიყო რამდენიმე ათეული წლის წინათ, როდესაც ხალხი შექსპირისა და მეფე ჯეიმსის ბიბლიის (ტრადიციული გამოცემა) ენას ფლობდა. ვინაიდან ახლა ტელევიზიის ეპოქაში ვცხოვრობთ და ბევრად მეტი ზეპირსიტყვიერი პრაქტიკა გვაქვს, ჩვეულებრივ ადამიანებთან ურთიერთობისას, უნდა მოვერიდოთ არქაული ენის გამოყენებას.

ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციაში ასეთი არქაული ენის ტიპური მაგალითები წარმოდგენილია ზმნისზედებით: *შემდგომში, მას აქეთ, სადაც, წინამდებარე, მოცემული, ამასთან, იქვე.* გარდა გარკვეული ანაქრონიზმისა, იურიდიული ტექსტში ზმნისზედა ,,აქ" მთლად გასაგები არ არის. მაგალითად, კანონის ტექსტში, როგორც წესი, ძნელია გაიგო თუ რას ეხება სიტყვა ,,აქ" – იმ პუნქტს, სადაც გვხვდება ტერმინი,

მთლიანად ქვეთავს, თავს, თუ სრულ კანონს, ანდა იქნებ, თუნდაც მთლიანად კოდექსს. ინსტრუქციის შემთხვევაში, შესაძლოა გაუგებარი დარჩეს „აქ“! კონკრეტულად ინსტრუქციას ეხება, ბრალს თუ სულაც მთელ პროცესს.

ასევე პრობლემურია სიტყვები: *აღნიშნული, რომელი, ზემოაღნიშნული* და *როგორც*, როდესაც მათი გამოყენება ხდება „*ეს*“, „*ამ*“ და „*იმ*‘ ჩვენებითი ნაცვალსახელების დატვირთვით. იმის მაგივრად, რომ დავწეროთ: „*აღნიშნული განცხადება, რომელი ოქმი/ც*“, თითქმის ყოველთვის სჯობს ვთქვათ, „*განცხადება* და *ის/ეს ოქმი*“.

უნდა ეცადოთ შედარებით რთული და უჩვეულო სიტყვების ნაცვლად გამოიყენოთ ჩვეულებრივი ტერმინები. იურისტებს ზოგადად ახასიათებთ სისუსტე ისეთი სიტყვებისადმი, როგორცაა: „დასაბამი“ და „დასასრული“, მაშინ როდესაც *დაწყებაც* და *დამთავრებაც* ზუსტად იმავე შინაარს გამოხატავს.

თქვენს წინაშეა ზოგიერთი ტერმინი, რომელიც შეძლებისდაგვარად სხვა სიტყვებით უნდა ჩაანაცვლოთ:

უჩვეულო ტერმინი	შესაძლო ჩანაცვლება
მიჩნევა	*ჩათვლა*
მითითება	*თქმა, დარიგება*
იმხანად	*მაშინ*
დადასტურება	*მხარი დაუჭირა*
სარწმუნო	*დამაჯერებელი*
ქმედება	*საქციელი*
დისკრედიტაცია	*ნდობის დაკარგვა*
შეუსაბამობა	*განსხვავება*
ხარვეზი	*არასწორი*
მიუკერძოებელი	*სამართლიანი, ობიექტური*
განპირობებულია შემდეგით თუ მეხსიერების ჩავარდნა	*გულმავიწყობა, უზუსტო მეხსიერება*
მიმართებით	*დაკავშირებით*
უწინარეს	*სანამ*
შესაბამისად	*მიხედვით*
შემდგომი	*შემდეგ*
უტილიზება	*გამოყენება*
უტყუარობა	*სიმართლე*

ასევე არამართებულია მოსაზრება, თითქოს გრძელი სიტყვები ცუდია და მათ ყოველთვის მოკლე სიტყვები სჯობს. როგორც წესი, ეს ასეა, თუმცა არსებობს არაერთი გამონაკლისი. მაგალითად, სიტყვები ვერტმფრენი, სასწრაფო, საავადმყოფო, ავტომობილი, თითოეული სამი-ოთხი მარცვლისაგან შედგება, მაგრამ საშუალო მოქალაქისათვის აბსოლუტურად გასაგებია.

საპირისპიროდ, ისეთი სიტყვები, როგორცაა, მაგალითად, გაუქმება, *ენ ბანც* (კოლეგია), კანონიერი წილი, ინ რემ (საკუთრებასთან დაკავშირებით), აბსოლუტური გამოცანაა ჩვეულებრივი ადამიანებისათვის.

4. კანონის ენა

არქაული და უჩვეულო ენით წერა კიდევ უფრო დიდი პრობლემაა მაშინ, როდესაც ასეთი ენითაა შედგენილი კანონის ტექსტი, რომელსაც ინსტრუქცია ეფუძნება. თეორიულად, წინა აბზაცში ნახსენები პრინციპები აქაც მოქმედებს: ეცადეთ, რთული ტერმინის სანაცვლოდ მოძებნოთ შესაბამისი, გასაგები სინონიმი. მაგალითად, კანონის მიხედვით, შესაძლოა მცირეწლოვანი მოწმის სანდოობის შეფასებისას მხედველობაში მივიღოთ ბავშვის კოგნიტური განვითარება. აკადემიურ წრეებს მიღმა კოგნიტური არც ისეთი ჩვეულებრივი სიტყვაა, მის ნაცვლად უმჯობესია ცნობიერი ან გონებრივი განვითარება გამოვიყენოთ, თუმცა სინონიმის გამოყენება ყოველთვის არ არის შესაძლებელი.

განვიხილოთ მკვლელობის დეფინიცია, რომელიც წინასწარ განზრახვას ითვალისწინებს. კალიფორნიაში ეს რთული ტერმინი განმარტებულია კანონით (და ასეც უნდა იყოს!), მაგრამ ამ შემთხვევაში განმარტება საქმეს კიდევ უფრო ართულებს! სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის მიხედვით (აშშ კანონმდებლობა), წინასწარი განზრახვა სახეზე გვაქვს, როდესაც მკვლელობის თანმდევი გარემოებები აჩვენებს პირის მიერ ქმედებისა და შედეგის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას.. ცხადია, არც ერთ ჩვეულებრივ ადამიანს არ აქვს წარმოდგენა რას უნდა ნიშნავდეს პირის გულგრილი დამოკიდებულება ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი, რაც ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

ამ შემთხვევაშიც, შესაძლებლობის ფარგლებში საუკეთესო გამოსავალი იქნება საერთოდ არ გამოვიყენოთ მსგავსი ტერმინოლოგია და ადამიანური ენით ავხსნათ სათქმელი. ხშირად „მოსამართლის განმარტება“ შეიძლება დაგვეხმაროს ტერმინის განმარტებაში. ზოგჯერ შესაძლოა დაგჭირდეთ საკუთარი სიტყვების გამოყენება, თუ მოცემულ საკითხზე არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა, ან თუ თავად „მოსამართლის განმარტება“ რთული იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით არის გადმოცემული და სავსეა ბუნდოვანი ფრაზებით. მაგალითად, თუკი კანონით იკრძალება გაყალბებული ჩეკის ბრუნვაში ჩაშვება, საკმარისია ვთქვათ, რომ ბრალდებული დამნაშავეა, თუკი მან ყალბი ჩეკით გადაიხადა საგნებისა თუ მომსახურების საფასური. ჩვენ ამას ვუწოდებთ „ჩანაცვლებით მიდგომას“, რადგან ამ გზით შესაძლებელია საერთოდ ავარიდოთ თავი პრობლემური ტერმინოლოგიის გამოყენებას და ის უფრო გასაგები ტერმინებით ჩავანაცვლოთ.

მოსამართლეებმა, რომლებსაც ეშინიათ სადავეების გაშვების, თუკი ისინი კანონის ენას გასცდებიან, შესაძლოა ამჯობინონ ალტერნატიული და არცთუ სასურველი მიდგომა: „განსაზღვრებითი მიდგომა“. მოსამართლეს შესაძლოა უფრო უსაფრთხოდ მიაჩნდეს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას მიუთითოს, რომ ბრალდებული დამნაშავეა მკვლელობაში, თუკი მან ვინმეს სიცოცხლე მოუსწრაფა წინასწარი განზრახვით და ამის შემდეგ განმარტოს ტერმინები ჩვეულებრივი ენით. პრინციპში, ზოგიერთი იურისდიქციის მიდგომა ითვალისწინებს ნაფიცი მსაჯულებისათვის ჯერ მთლიანად შესაბამისი კანონის ტექსტის წაკითხვას; მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შინაარსის ახსნა. შესაბამისად, ბათილდება არგუმენტი, რომ მსაჯულებს არ გააცნეს კანონი; მეორე მხრივ, აღნიშნულმა მიდგომამ შესაძლოა დააბნიოს მსაჯული ორი სხვადასხვა სტანდარტის წარმოდგენით.

არ შეგეშინდეთ ნაცვალსახელების!

პროკურორებს/ადვოკატებს და მოსამართლეებს აქვთ მიდრეკილება გამოიყენონ რაც შეიძლება ნაკლები ნაცვალსახელი, განსაკუთრებით ნაცვალსახელები მე და შენ. ასე, მაგალითად, ძველი დროის ინსტრუქციები, თითქმის ყოველთვის იწყებოდა სიტყვებით: სასამართლო მიუთითებს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას. საკუთარი თავის მესამე პირში მოხსენიება დღეს ცოტა მაღალფარდოვნად გამოიყურება. ხოლო თუკი თქვენ მსაჯულებს ესაუბრებით, რატომ არ უნდა მიმართოთ მათ თქვენობით? თუ თქვენ რესტორანში მიმტანს სთხოვთ სალათის მოტანას, ხომ არასოდეს ეტყვით მას: „კლიენტი ითხოვს, რომ მიმტანმა მას სალათი მოუტანოს.!“

პროკურორები/ადვოკატები და მოსამართლეები არა მხოლოდ თავს არიდებენ მე და შენ ნაცვალსახელების გამოყენებას, მათ ასევე ახასიათებთ ნაცვალსახელების ნაცვლად არსებითი სახელების განმეორებითი გამოყენებაც. მაგალითად, ინსტრუქციამ შეიძლება მიუთითოს მსაჯულებს: თუკი თქვენ დაადგენთ ბრალდებულის ბრალეულობას მკვლელობაში, შემდეგ უნდა გადაწყვიტოთ თუ რა ჩაიდინა ბრალდებულმა. მოცემულ წინადადებაში მეორედ გამოყენებული სიტყვა „ბრალდებულმა“, შესაძლებელია „მან“ ნაცვალსახელით ჩავანაცვლოთ. ყურადღება მიაქციეთ, რომ ამ მაგალითში არსებითი სახელის ნაცვალსახელით შეცვლა არ ხდის აზრს უფრო ბუნდოვანს, შესაბამისად, არ არსებობს მისი გამოყენების საწინააღმდეგო მიზეზი.

შეეცადეთ არსებითი სახელების მაგიერ გამოიყენოთ ზმნები

ნათელი კომუნიკაციის კიდევ ერთი ზოგადი პრინციპია გამოვიყენოთ ზმნები, როდესაც მოქმედებაზე ვსაუბრობთ და არა მიმღეობა/ზმნისგან ნაწარმოები არსებითი სახელები.

კალიფორნიის ძველი ინსტრუქციის მაგალითზე ნათლად ჩანს, თუ როგორ შეიძლება დიდი რაოდენობით მიმღეობის გამოყენებამ გამოიწვიოს ტექსტის ბუნდოვანება:

მეხსიერების მოკრებასთან დაკავშირებული პრობლემები ჩვეულებრივი პრაქტიკაა, ამასთან, გულუბრყვილო გაუხსენებლობა ნაცადი ხერხია. გაუხსენებლობა და ნაცადი ორივე ზმნებიდან ნაწარმოები სიტყვებია, ამასთან, მეხსიერების მოკრება არცთუ ხშირად გამოიყენება (რატომ არ შეიძლება ვთქვათ უბრალოდ გახსენება/დავიწყება), გაუხსენებლობის მოძიებაც გაჭირდება ჩვეულებრივ ლექსიკონში. სამართლის სტუდენტებსაც კი უჭირთ ასეთი ინსტრუქციის გაგება.

დაიცავით გრამატიკული კონსტრუქციების სისადავე და სიმარტივე

ამ ეტაპზე ჩვენ უკვე სინტაქსის საკითხებს ვეხებით. „სინტაქსი“ ეს ის წესებია, რომლითაც სიტყვები ერთმანეთს უკავშირდება წინადადებაში. ტრადიციულად, ბევრი მას „გრამატიკად“ მოიხსენიებს.

1. ეცადეთ წეროთ შეძლებისდაგვარად მოკლე წინადადებებით

ჩვენი უნარი, მეხსიერებაში შევინახოთ ინფორმაცია, შეზღუდულია. უმრავლესობა ჩვენგანს ერთდროულად შვიდი-რვა საგნის დამახსოვრება შეუძლია მოკლევადიანი მეხსიერებით. უხეშად რომ ვთქვათ, ჩვენ ვაჩერებთ სიტყვებს მოკლევადიან მეხსიერებაში მანამ, სანამ ჩავწვდებით მათ შინაარსს, რომელსაც უკვე გრძელვადიან მეხსიერებაში ვინახავთ, რითაც ვუთავისუფლებთ ადგილს მოკლევადიან მეხსიერებაში სხვა,

ახალი ლინგვისტური ინფორმაციის შემოდინებას. თუმცა თუ წინადადება გრძელი და რთულია, ჩვენ გვიჭირს მოკლევადიანი მეხსიერებით სიტყვების აღქმა, შედეგად უნდა წავშალოთ ეს ინფორმაცია, რათა ადგილი ახალ შემომავალ ინფორმაციას დავუთმოთ, ან შეგვიძლია შევაჩეროთ ახალი ინფორმაციის შემოსვლა, სანამ ძველს მოკლევადიანი მეხსიერება ამუშავებს. ორივე შემთხვევაში, რომელიმე მათგანი დაზარალდება.

უფრო ადვილია ქაღალდზე გადატანილი რთული ინფორმაციის დამუშავება, რადგან მის დაშლას შეგვიძლია მეტი დრო დავუთმოთ. სწორედ ეს არის მსაჯულებისთვის ინსტრუქციების წერილობითი ფორმით მიწოდების ერთ-ერთი მიზეზი. თუმცა წერილობით მოწოდებული ინფორმაციის შემთხვევაშიც სიგრძე და სირთულე ამცირებს აღქმას.

პრაქტიკული თვალსაზრისით, გრძელი წინადადებები თითქმის ყოველთვის უფრო რთულია. ასე რომ, ეცადეთ, მოკლე წინადადებები წეროთ. ხშირად გრძელი წინადადების შემოკლება სწორად შერჩეულ ადგილზე წერტილის ჩამატებით არის შესაძლებელი. კიდევ უფრო ხშირია, როდესაც საჭირო ხდება წინადადების გადაწერა.

2. ეცადეთ, მარტივი წინადადებები წეროთ

როგორც აღვნიშნე, მთავარი საფრთხე წინადადების სირთულეა და არა თავისთავად მისი სიგრძე. განვიხილოთ, კალიფორნიის შტატის ინსტრუქციის კიდევ ერთი მაგალითი:

არასოდეს არ ჩათვალოთ სიმართლედ მოწმისთვის შეკითხვაში შეფარული მინიშნება.

ეს წინადადება არ არის ძალიან გრძელი, სამაგიეროდ ჩახლართულია. ლინგვისტური თვალსაზრისით ის წარმოადგენს რიგი მარტივი წინადადებების სინთეზს:

არასოდეს დაიჯეროთ რაიმე პირდაპირ;
რომელიმე მინიშნება მართალია;
ვიღაც უსვამს შეკითხვას მოწმეს;
შეკითხვა გულისხმობს მინიშნებას პასუხზე.

წინადადების ასე დაშლის შემდეგ, გამოსავალი ნათელია. ტერმინოლოგიის გათვალისწინებით, შეგვიძლია გადავაადგილოთ სიტყვათა წყობა და ხელახლა შევაერთოთ მარტივი წინადადებები ორ ან მეტ გასაგებ წინადადებად.

ვიღაცამ შესაძლოა დაუსვა მოწმეს მიმანიშნებელი შეკითხვა.

თქვენ არ უნდა ჩათვალოთ, რომ მინიშნება სინამდვილეს ასახავს. უკეთესია, თუკი თავიდანვე ჩამოვყალიბდებით იმაზე, რა ცნებების შესახებ გვინდა ნაფიც მსაჯულთა ინფორმირება. აქ მთავარი იდეა ის არის, რომ კითხვები, განსხვავებით მოწმის პასუხისაგან, არ წარმოადგენს მტკიცებულებას. შემდეგ უნდა ვუთხრათ ნაფიც მსაჯულებს, რომ კითხვები შეიძლება სასარგებლო იყოს მოწმის პასუხის გასაგებად. ამავდროულად, ჩვენ სულაც არ გვსურს, რომ მსაჯულებმა თავად კითხვებზე ან მათ ფორმულირებაზე დაყრდნობით გამოიტანონ დასკვნა, ამიტომ შესაძლოა ინსტრუქცია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: „კითხვები არ არის მტკიცებულება. მხოლოდ მათზე პასუხი არის მტკიცებულება. თქვენ უნდა გაითვალისწინოთ კითხვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის დაგეხმარებათ მოწმის პასუხის გაგებაში. ნუ ჩათვლით, რომ რაიმე სიმართლეა, მარტო იმიტომ, რომ კითხვა ამას გულისხმობს.“

3. გამოიყენეთ სტანდარტული სიტყვათწყობა

იურიდიულ ენას ხშირად ახასიათებს უჩვეული და ზოგჯერ ჩახლართული სიტყვათწყობა. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ორაზროვნების გამორიცხვის სურვილით აიხსნება. მაგრამ ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციაში ასეთი ენა ზედმეტად ოფიციალურად ჟღერს და შესაძლოა საწინააღმდეგო ეფექტი ჰქონდეს – მეტი დაბნეულობა წარმოშვას. ინგლისურ ენაში უმეტესობა წინადადებებს ახასიათებს ე.წ. „SVO“ – („ქშდ“) სიტყვათწყობა: ქვემდებარე-შემასმენელი-დამატება. თითქმის იგივე პრინციპი ვრცელდება ქართულ ენაზეც (თუმცა, შესაძლოა „ქდშ“ წყობაც შეგვხვდეს, მაგალითად, გოგონა წიგნს კითხულობს), კერძოდ, მარტივ წინადადებებში პირველი არსებითი სახელი ჩვეულებრივ ქვემდებარის როლს ასრულებს (მოქმედი პირი); მას მოსდევს შემასმენელი (მოქმედების ან ვითარების აღმნიშვნელი ზმნა), რომელიც გვეუბნება, თუ რა ქმედება შეასრულა ქვემდებარემ, შემდეგ – მორიგი არსებითი სახელი – დამატება (ირიბი/პირდაპირი), რომელიც ეხება პიროვნებას/საგანს, რომელზეც ხორციელდება ქმედება. ცხადია, ბევრი წინადადება მოცემულ მაგალითზე სინტაქსურად უფრო რთულია. ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციამ რთული ცნებები უნდა ახსნას, შესაბამისად, გარკვეული ლინგვისტური გართულებები გარდუვალია. თუმცა, უნდა ვეცადოთ სინტაქსური სირთულეები მინიმუმამდე დავიყვანოთ.

უჩვეულო სიტყვათწყობის მაგალითია, ე.წ. „გადაადგილებული განსაზღვრებები“.

თუკი ამ ინსტრუქციაში ნებისმიერი წესი, მიმართულება ან იდეა მეორდება...

ჩატარებული კვლევის თანახმად აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ადამიანს ესმოდა, რომ წინადადება გულისხმობდა თავად ინსტრუქციების და არა წესისა თუ იდეის გამეორებას. ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ ჩათვალა უმრავლესობამ, რომ რიგით პირველი არსებითი სახელი (ინსტრუქცია) ასრულებდა ქვემდებარის როლს წინადადებაში. აღნიშნული პრობლემა სიტყვათა გადაადგილებით მოგვარდება:

თუკი რომელიმე წესი, მიმართულება ან იდეა მეორდება ამ ინსტრუქციაში ...

კიდევ უკეთესი იქნება უსარგებლო პასიური კონსტრუქციის ვნებითი გვარის შემდეგნაირად შეცვლა:

თუ მე გავიმეორებ რომელიმე წესს, მიმართულებას ან იდეას ამ ინსტრუქციაში...

ან უფრო მარტივად:

მხოლოდ ის ფაქტი, რომ მე რაიმე გავიმეორე ამ ინსტრუქციაში, არ ნიშნავს, რომ ის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა დანარჩენი, რაც გითხარით.

თუკი აღმოაჩენთ, რომ თქვენი წინადადებები ზედმეტად ჩახლართულია, შეეცადეთ იპოვოთ ქვემდებარე, შემასმენელი და დამატება (თუკი ასეთი არის). ხშირად აღმოაჩენთ, რომ მარტივი წინადადების სტრუქტურით დაწყება ბევრ პრობლემას ჭრის.

4. თავი შეიკავეთ ორმაგი უარყოფის გამოყენებისაგან

უარყოფის გამოყენება (გამოხატულია ისეთი სიტყვებით, როგორც: არა, არასოდეს, და მათი თანასწორი პრეფიქსებით არ – ვერ) არ არის ცუდი. სხვა თუ არაფერი, კანონი ხომ იმაზეა დაწერილი, თუ რა არ უნდა გააკეთოს ხალხმა. როდესაც ერთ წინადადებაში ორი უარყოფა გვხვდება, საკითხი რთულდება, რადგან ორმაგი უარყოფა, როგორც წესი, საპირისპირო – დადებით მნიშვნელობას ანიჭებს ფრაზას/წინადადებას, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. განვიხილოთ ზემოთ განხილული ინსტრუქციის მაგალითზე.

არასოდეს არ ჩათვალოთ სიმართლედ მოწმისთვის კითხვაში შეფარული მინიშნება.

როგორც ჩანს, უარყოფის ნაწილაკები უმიზეზოდ ართულებს წინადადებას.

არაერთ იურისდიქციაში გონივრული ეჭვის სტანდარტის შესახებ ინსტრუქცია საკმაოდ უარყოფებით. ხშირად ის მხოლოდ ეუბნება მსაჯულებს, თუ რა არ არის გონივრული ეჭვი – გონივრული ეჭვი „არ არის უბრალოდ შესაძლო ეჭვი“ და „არც ვარაუდი თემაზე“. ნეგატივზე კონცენტრირებით ინსტრუქცია ვერ ახერხებს დადებითად აუხსნას მსაჯულებს, თუ რა რაოდენობის ან ხარისხის მტკიცებულებაა საჭირო, რომ პირს შეეფარდოს სასჯელი. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად ზოგიერთ ფედერალურ და შტატის სასამართლოში უკვე გამოიყენება ე.წ. პოზიტიური სტანდარტი: ღრმად უნდა იყოთ დარწმუნებული წაყენებული ბრალდების სისწორეში.

5. ბევრი წინადადება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ როგორც მოქმედებით, ისე ვნებით გვარში

მოქმედებითი გვარი: გოჩამ მოჭრა ხე.

ვნებითი გვარი: ხე მოიჭრა (გოჩას მიერ).

საყურადღებოა, რომ მოქმედებით გვარში წინადადება თითქოს ხაზს უსვამს მოქმედი პირის მნიშვნელობას და მას წინადადების თავში აყენებს (ამაში მდგომარეობს „SVO“ სტრუქტურის არსი). ვნებით გვარში გადაყვანილ წინადადებაში გოჩას ნაკლები დატვირთვა აქვს, მეტიც, ფრაზა გოჩასმიერ შეგვიძლია საერთოდ მოვშალოთ.

ვნებითი გვარში წინადადების გამოხატვას უნდა ვერიდოთ, რადგან სამართლებრივ საქმეებზე ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ მოქმედებს.

კვლევების თანახმად, ადამიანებს უკეთესად ესმით ენა, როდესაც ის გამოკვეთილ მოდალურ ან დამხმარე ზმნებს შეიცავს (შეუძლია, უნდა, ვალდებულია). სიტყვები: შენთვის შესაძლებელია, აუცილებელია ან ვალდებულება გაკისრია, უმჯობესია შეიცვალოს შემდეგი სიტყვებით: შენ შეგიძლია..., შენ უნდა..., ვალდებული ხარ...

6. თავი შეიკავეთ ცრუ ეკონომიისაგან

ჩვენ ყველას გაგვიგია ჩივილი იმის თაობაზე, რომ იურიდიული ენა ძალიან დატვირთულია და უსარგებლო. აქამდე თითქმის არც ერთი იურისიტი არ გაუკიცხავთ სიტყვაძუნწობისათვის ან ზედმეტად მოკლე დოკუმენტების შექმნისათვის.

ამასთან, ინსტრუქცია ნაფიცი მსაჯულებისათვის ზედმეტად მშრალიც არ უნდა იყოს. ყველა პედაგოგიური გამოცდილების მქონე ადამიანმა იცის, რომ ეფექტური ინსტრუქცია ძირითადად მოითხოვს საკითხის, განსაკუთრებით კი რთული საკითხის ირგვლივ აზრის დაფიქსირებას ორი-სამი სხვადასხვა გზით. სასარგებლოა მაგალითების მოტანაც, თუმცა ძალზე მცირედის თქმა, ალბათ ერთისა და იმავეს გამეორებაზე კიდევ უფრო უარესია.

ცრუ ეკონომიის მაგალითია „რომელიც“ და „ვინც“ ტიპის ფრაზების გამოტოვება, რომელთა გარეშეც წინადადება მაინც გამართულია, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ უმჯობესია ასეთი სიტყვები ტექსტში დავტოვოთ, რადგან ისინი აღქმას აადვილებს. მაგ., იმის ნაცვლად რომ დავწეროთ: კითხვები ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც თქვენ წარგედგინათ, შესაძლებელია წინადადება შემდეგნაირად შევამოკლოთ: თქვენს წინაშე წარდგენილი კითხვები ფაქტებთან დაკავშირებით, თუმცა ინსტრუქციის შედ-

გენისას უპირატესობა პირველი ვარიანტს უნდა მივანიჭოთ. იგივე ითქმის რომ კავშირის შესახებ – (მე ვფიქრობ [რომ] ის აუცილებლად დაბრუნდება) და თუ – ნაწილაკებთან მიმართებით, რომლებიც ზოგჯერ შეგვიძლია ამოვიღოთ წინადადებიდან (მაგ., მე გავიგონე [თუ] როგორ დატოვა მან სახლი), თუმცა ეს ყოველთვის როდი ხდის წინადადებას მეტად გასაგებს.

ნაფიცი მსაჯულებისათვის ინსტრუქციის შედგენის კონკრეტული პრინციპები

ნათლად და თანმიმდევრულად განსაზღვრეთ მხარეები

ძალზედ მნიშვნელოვანია განსაზღვროთ, ნათლად და თანმიმდევრულად ჩამოაყალიბოთ, თუ ვინ არიან სასამართლო პროცესის მხარეები, ისევე, როგორც პროცესის სხვა მონაწილენი. უმეტესობა ჩვენგანს წაუკითხავს რუსული მოთხრობები, რომლებშიც პერსონაჟს პირველ გვერდზე ბორისით მიმართავენ, მეორეზე კი – ალექსეევიჩით, ხოლო შემდგომში ის რომანოვი ხდება. ასეთი გადასვლები ლიტერატურულ ჟანრში შესაძლებელია, მაგრამ მათი ადგილი არ არის ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციაში. ბრალდებულს ყოველთვის სახელით (ბატონი თენგიზი) ან ბრალდებულით, ან სხვა რომელიმე წინასწარ შერჩეული სახელით უნდა მივმართოთ. საუკეთესო გამოსავალია ბრალდებული პირდაპირ სახელით ან ბრალდებულად მოვიხსენიოთ. ზოგიერთი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, რადგან მიიჩნევს, რომ ბატონ თენგიზის ბრალდებულად მოხსენიებას ქვეტექსტი გააჩნია, რომელიც ქვეცნობიერად ზრდის იმის დაშვების შესაძლებლობას, რომ სწორედ მან ჩაიდინა დანაშაული. მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელია ინსტრუქციის შედგენისას თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი მიკერძოება, ასეთი შიში გადაჭარბებულია, თუმცა იგი ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად პრობლემური შეიძლება გახდეს, ერთი შეხედვით, უნიშვნელო თემა. ნებისმიერ შემთხვევაში, ბრალდებულის სახელით მოხსენიება, ალბათ საუკეთესო მიდგომაა.

მსგავს პრობლემებს ვაწყდებით ბრალდების მხარის მიმართვისას. ძირითადი რეკომენდაციაა გამოვიყენოთ ტერმინები: პროკურორი, ბრალდება, ხელისუფლება ან სახელმწიფო. რომელი სიტყვაც არ უნდა აირჩიოთ, გახსოვდეთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი თანმიმდევრული გამოყენება.

მოიშველიეთ მაგალითები რთული საკითხის ასახსნელად

მაგალითი ან საილუსტრაციო ნიმუში ხშირად აუცილებელი ატრიბუტია საკითხის კარგად ასახსნელად. მაგალითები ეხმარება ადამიანებს წარმოიდგინონ და დაიმახსოვრონ ისეთი ფაქტები, რაც სხვა შემთხვევაში ალბათ დაავიწყდებოდათ. ისააკ ნიუტონის თავზე ვაშლის ვარდნის ამსახველმა ილუსტრაციამ გრავიტაციის ძალის კონცეფცია მყარად ჩაბეჭდა ჩვენს მეხსიერებაში. აშშ-ში, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეებმა კარგად იციან მაგალითების ძალა და ფასი, სიფრთხილით ეკიდებიან მათ გამოყენებას ინსტრუქციაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება „შემრისხველ“ სააპელაციო ინსტანციას არაერთხელ გაუუქმებია იმ მოტივით, რომ ქვედა ინსტანციის მოსამართლემ ჯეროვნად ვერ ახსნა კანონი და საკუთარი განმარტებით გადახარა გადაწყვეტილება ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ. სისხლის სამართლის საქმეებში მტკიცებულების ტვირთთან მიმართებით ინსტრუქციის განსაკუთრებით ფაქიზი შინაარსიდან გამომდინარე, ალბათ მოზანშეწონილია არ მოვიყვანოთ მაგალითები ან ილუსტრაციები ამ თემაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მაგალითები ფრთხილად (სათუთად) უნდა შეირჩეს, ისინი განსაკუთრებით კარგი დამხმარე მასალაა რთული ცნებების ახსნისა და ჩვენებისათვის. შეუძლებელია მაგალითის გარეშე თუნდაც ისეთი ცნების გააზრება, როგორი-

ცაა პირდაპირი და ირიბი მტკიცებულება. არსებობს მაგალითების მთელი არსენალი თოვლში ნაკვალევთან ან სველ ქოლგებთან დაკავშირებით; სხვა საკითხებზე უტყუარი მაგალითების მოძიებას შესაძლოა მეტი ძალისხმევა დასჭირდეს, მაგრამ თავისთავად მცდელობა ამად ღირს.

შექმენით დანაშაულის ნიშნების ამსახველი თვალსაჩინო ფორმა

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ფორმატი არ არის საუკეთესო, კარგი ფორმა შედარებით კონკრეტული უნდა იყოს და აცნობდეს მსაჯულებს საკუთარ მოვალეობებს. ფორმა უნდა უხსნიდეს მსაჯულს, თუ ვის აკისრია მტკიცების ტვირთი. ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული დანაშაულის ნიშნების/ელემენტების ჩამონათვალი, იქვე უნდა გაკეთდეს მითითება, რომ ბრალეულობის გამოსავლენად საჭიროა დადგინდეს დანაშაულის ყველა ელემენტის ერთობლიობა. მსაჯულებს უნდა განემარტოთ რა გააკეთონ, მას შემდეგ, რაც გადაწვეტენ, რომ დანაშაულის ნიშნები სახეზეა/ან პირიქით – ყველა ნიშანი არ არის სახეზე.

კონკრეტულ თემებზე მტკიცების ტვირთმა შესაძლოა მხარიდან მხარეზე გადაინაცვლოს და კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში მტკიცების ხარისხიც განსხვავებული იყოს. ასეთ სიტუაციაში, ფორმა მაინც უნდა შეიცავდეს მსგავსი ტიპის ინფორმაციას.

მიეცით ნაფიც მსაჯულებს ნათელი მითითება, როგორ შეუდგნენ მათზე დაკისრებული ამოცანის განხორციელებას

ხშირად ინსტრუქცია შეიცავს აბსტრაქტული იურიდიული პრინციპების კორიანტელს და აკლია კონკრეტული დირექტივები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ჩაერთოს მსაჯული ვერდიქტის გამოტანაში და როგორ უნდა შეავსოს მან ნაფიცი მსაჯულის ფორმა. განსხვავებით ბრიტანელი კოლეგებისაგან, ამერიკელი მოსამართლეებისთვის ზოგადად არ არის სასურველი მტკიცებულებებთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება და მსაჯულთათვის იმის ახსნა, თუ როგორ უკავშირდება ყოველივე ეს მათ მიერ მისაღებ გადაწყვეტილებას.

მიუხედავად ამისა, უმეტეს იურისდიქციებში მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ უფლება ნაფიც მსაჯულებს მისცენ კონკრეტული რჩევა იმის თაობაზე, თუ როგორ გააგრძელონ საქმეზე მუშაობა. ასე მაგალითად, სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, მოსამართლეები ურჩევენ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას თათბირის გაგრძელებამდე ჯერ კენჭი უყარონ და ნახონ შეძლებენ თუ არა „გამამართლებელი ვერდიქტის“ მიღებას.მოსამართლეებს კანონით მოეთხოვებათ ნაფიც მსაჯულებს აუხსნან ზოგიერთი ისეთი პრინციპი, როგორიცაა მტკიცების ტვირთი და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი.

ასეთი პროცესუალური ხასიათის ინსტრუქციების გაცემა ერთობლივად, პროცესის ბოლოს შეიძლება. ალტერნატივის სახით კი შესაძლებელია მათი ინკორპორირება თავად ინსტრუქციის დოკუმენტის ტექსტში. მაგალითად, როდესაც ბრალდებულს ბრალად ედება მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას ჯერ უნდა ეთხოვოს განსაზღვრონ ბრალდებულის მკვლელობაში ბრალეულობის საკითხი და მხოლოდ შემდეგ გადაწყვიტონ აქვს თუ არა ადგილი ერთ ან რამდენიმე დამამძიმებელ გარემოებათა ერთობლიობას. თუკი მსაჯულთა შემადგენ-

ლობა გადაწყვეტს, რომ ბრალდებული უდანაშაულოა, მაშინ მათ უნდა გადაინაცვლონ შემამსუბუქებელი გარემოებების განსაზღვრის საკითხზე. გარდა ამისა, შესაძლებელია ნაფიც მსაჯულებს დავეხმაროთ ვერდიქტის ფორმით, სადაც დეტალურად, ნაბიჯ-ნაბიჯ იქნება გაწერილი ვერდიქტის მიღების პროცედურა (აშშ პრაქტიკა).

შესაბამისი პრინციპების გამოყენება

ბუნებრივია, რომ ჩვენ მიერ განხილული ბევრი თემიდან ზოგიერთი აბსტრაქტულად მოგეჩვენებოდათ. მეტი კონკრეტიკის შემოსატანად წარმოგიდგენთ კალიფორნიის შტატის ნაფიცი მსაჯულებისათვის შექმნილი ნამდვილი ინსტრუქციის რამდენიმე მაგალითს, იმ პერიოდიდან, როდესაც ინსტრუქციაში ცვლილებები შევიდა.

ზოგიერთი საკითხი, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებზე დანიშნული ნაფიცი მსაჯულებისათვის დაწერილ ინსტრუქციას ეხება

სისხლის სამართლის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უდანაშაულობის პრეზუმფციისა და მტკიცების ტვირთის განმარტებას. მტკიცების ტვირთი ბრალდებას აკისრია.

ხშირად ბრალდების სტრატეგიასთან აშკარა დაპირისპირების ნაცვლად დაცვის მხარე საკუთარ სტრატეგიას იმაზე აგებს, რომ ბრალდებამ ვერ შეძლო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით მტკიცების ტვირთის დაკმაყოფილება. ამასთან, მოსამართლეები აშშ-ში, რომლებიც ქმნიან ინსტრუქციებს სისხლის სამართლის საქმეებზე, ძალზე ძნელად სცილდებიან კანონის ტექსტს. რაც არ უნდა გასაგები იყოს მოსამართლეთა კონსერვატიული შეხედულებები ამ მხრივ, წარმოიდგინეთ რაოდენ პატარა გავლენა ექნებოდა ათ მცნებას თანამედროვე მსოფლიოზე, მისი ტექსტი თანამედროვე ლიტერატურულ ენებზე რომ არ ეთარგმნათ. სტატიის ამ ნაწილში, რომელიც სისხლის სამართალს ეთმობა, განვიხილავთ აღნიშნულ დილემასთან ბრძოლის სტრატეგიებს, კერძოდ კი როგორ დავრჩეთ სისხლის სამართლის კოდექსის ერთგულნი და ამავდროულად ჩვეულებრივი ენით ვისაუბროთ. აღნიშნული დილემის წინაშე მოსამართლე ხშირად დგება, როდესაც გასცემს მითითებას გონივრული ეჭვის სტანდარტის შესახებ, განსაკუთრებით კი მაშინ, თუკი რაღაც ეტაპზე სტანდარტის კოდიფიცირება მოხდა. იმ შემთხვევებშიც, სადაც ასეთი სტანდარტი კანონის ნორმის სახეს არ ატარებს, ის იმდენად დამკვიდრებულია, რომ მოსამართლეებს ძალზე უძნელდებათ მისი გადახვევა.

კალიფორნიაში გონივრული ეჭვის დეფინიცია სისხლის სამართლის კოდექსის 1098-ე აბზაცშია მოთავსებული. იგი შეიქმნა დაახლოებით ერთ საუკუნის წინ. როგორც წესი, მისი გადმოტანა კალიფორნიის შტატის ინსტრუქციებში (CALJIC) სიტყვასიტყვით ხდება. მეტი თვალსაჩინობისათვის შემოგთავაზებთ CALJIC-ისა და კალიფორნიის ახალი გასაგები ენით შედგენილი ინსტრუქციების (CALCRIM) შედარებით ანალიზს. CALCRIM ინსტრუქციები შეიქმნა კალიფორნიის სასამართლო საბჭოს სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ. ინსტრუქცია საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნდა და შემდეგ მიღებული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით ჩასწორდა. CALJIC 2.90

უდანაშაულობის პრეზუმფცია – გონივრული ეჭვი – მტკიცების ტვირთი

სისხლის სამართალწარმოებაში ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება მანამ,

სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში მის ბრალეულობასთან მიმართებით (რამდენად იკვეთება ბრალეულობა), ბრალდებული იმსახურებს გამამართლებელ ვერდიქტს. ეს პრეზუმფცია სახელმწიფოს („ხალხს“) აკისრებს ტვირთს დაამტკიცოს ბრალდებულის ბრალეულობა გონივრულ ეჭვს მიღმა.

გონივრულ ეჭვს კი კანონი (აშშ კანონმდებლობა) შემდეგნაირად განმარტავს: ეს არ არის ჩვეულებრივი შესაძლო ეჭვი, რადგან ყველაფერ ადამიანურთან დაკავშირებით, შესაძლოა გაჩნდეს გარკვეული ან წარმოსახვითი ეჭვი. ეს არის საქმის ის მდგომარეობა, როდესაც ყველა მტკიცებულების შეფასების შედეგად, ნაფიც მსაჯულებს დარჩათ განცდა, რომ მათ არ შეუძლიათ დარწმუნებით მიიჩნიონ და განაცხადონ, რომ წაყენებული ბრალდება სინამდვილეს შეესაბამება.

ყურადღება მიაქციეთ, რომ ასეთ განსაზღვრებებში, როგორც წესი, მრავლად ფიგურირებს ვნებით გვარში წარმოდგენილი ზმნები (მაგ., მიიჩნევა, მტკიცდება, ნაჩვენები, უფლებამოსილი), ისევე როგორც მიმღეობა (შედარებითობა, დამტკიცებული, მისჯილი). ასეთი ტერმინოლოგია სხვა მხრივაც უკიდურესად არაპერსონიფიცირებულია: სიტყვა „შენ“ ფაქტობრივად არ გამოიყენება, ნაფიც მსაჯულებს მესამე პირში მოიხსენიებენ (მსაჯულებს დარჩათ განცდა). დაბოლოს, გონივრული ეჭვის განსაზღვრება ფაქტობრივად სრულიად უარყოფის კონტექსტშია მოცემული (ეს არ არის ჩვეულებრივი შესაძლო ეჭვი; ნაფიც მსაჯულებს არ შეუძლიათ დარწმუნებით მიიჩნიონ და განაცხადონ...), ხოლო განმარტებაში აქა-იქ ჩაქსოვილი მაღალფარდოვანი ლექსიკა XIX საუკუნის ჰიმნის სურნელითაა გაჟღენთილი.

როგორ შეიძლება აღნიშნული ინსტრუქციის გამოსწორება?

გონივრული ეჭვის არაერთი დეფინიცია ამერიკულ იურისდიქციებში ძირითადად საშინლად გრძელი და ჩახლართულია. ინგლისში მოსამართლეებს შეუძლიათ უბრალოდ მიუთითონ ნაფიც მსაჯულებს, რომ აუცილებელია ისინი „დარწმუნდნენ“. საეჭვოა, რომ ასეთი მარტივი გამოსავალი მისაღები იყოს აშშ-ს პრაქტიკისათვის, სადაც ჯადოსნური ფრაზა „გონივრულ ეჭვს მიღმა“ ასე მყარად არის დამკვიდრებული სისხლის სამართალში. აშშ-ში არსებული ზოგიერთი იურისდიქცია საერთოდ არ განმარტავს ამ ფრაზას, რადგან ის ჩვეულებრივი მსაჯულისათვის საკმარისად გასაგებად მიაჩნია. უდავოა, რომ თავად სიტყვები უცხო არ არის, საქმე იმაშია, თუ რამდენად შეიძინა მთლიანად ფრაზამ მისი შემადგენელი სიტყვების ჯამისგან განსხვავებული მნიშვნელობა. სტანდარტის ზუსტი სახე იცვლება სხვადასხვა ტერიტორიული იურისდიქციის მიხედვით, თუმცა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიერ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტზე მსჯელობისას:

1. მათ უნდა გაითვალისწინონ ყველა შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც დაშვებულ იქნა პროცესზე;

2. მტკიცებულებებმა ისინი უნდა დაარწმუნოს ფაქტის ნამდვილობაში;

3. მათ იმდენად მყარი რწმენა უნდა ჰქონდეთ, რომ ნაკლებ სავარაუდო იყოს მათ მიერ აზრის შეცვლა მომდევნო ეტაპზე.

ამ სტანდარტის გამოხატვა შედარებით უფრო მარტივი ენით იქნება შესაძლებელი, თუკი გამოვიყენებთ ზოგიერთი ფედერალური და შტატის სასამართლოების პრაქტიკაში არსებულ ტერმინს „მტკიცედ დარწმუნებული“: როდესაც ვამბობთ, რომ ფაქტის ნამდვილობა „უნდა დამტკიცდეს გონივრულ ეჭვს მიღმა“, ეს ნიშნავს, რომ თქვენ ჩემ მიერ პროცესზე დაშვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მტკიცედ უნდა

იყოთ დარწმუნებული ფაქტის ნამდვილობაში.

ბევრი იურისდიქცია ვერ შეძლებს მსგავსი რადიკალური ცვლილების განხორციელებას, რადგან წლების განმავლობაში სასამართლოების მოთხოვნით ნაფიცი მსაჯულებისთვის მითითებების მიცემისას სპეციალური ლექსიკის გამოყენებას მოითხოვდა. ასე იყო კალიფორნიაშიც, სადაც CALJIC 2.90-ში მოცემული გონივრული ეჭვის განსაზღვრება ამჟამად შტატის სისხლის სამართლის კოდექსშია ასახული. აღნიშნულმა CALJIC-ს ინსტრუქციების გადახედვის კომიტეტს დიდი პრობლემა შეუქმნა; საბოლოოდ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სისხლის სამართლის ძირითადი ენა შენარჩუნებულიყო, თუმცა მოხდებოდა ტექსტის გრამატიკული რევიზია.

გონივრული ეჭვი

სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება. ეს პრეზუმფცია მოითხოვს, რომ სახელმწიფომ დაამტკიცოს დანაშაულის თითოეული ელემენტი [ასევე სპეციალური გარემოებები] გონივრულ ეჭვს მიღმა. შესაბამისად, ყოველთვის, როდესაც გეუბნებით, რომ სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს რაიმე, ვგულისხმობ, რომ მან ეს გონივრულ ეჭვს მიღმა უნდა დაამტკიცოს [გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინასწარ გაგაფრთხილებთ, რომ ეს სტანდარტი არ მოქმედებს].

რაიმეს გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცება, გულისხმობს, მტკიცებას, რომელიც წარმოშობს სრულ დარწმუნებას, რომ წაყენებული ბრალი სინამდვილეს შეესაბამება.

როდესაც ვწყვეტთ, შეძლო თუ არა სახელმწიფომ საქმის გონივრულ ეჭვს მიღმა დამტკიცება, თქვენ მიუკერძოებლად უნდა შეაფასოთ პროცესის მსვლელობისას წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება. თუკი აღნიშნული ვერ ამტკიცებს ბრალდებულის/ების ბრალეულობას გონივრულ ეჭვს მიღმა, მას/მათ ბრალდება უნდა მოეხსნას/მოეხსნათ და უდანაშაულოდ უნდა იქნეს ცნობილი/ცნობილნი.

ბუნდოვანი ტერმინოლოგიის თავიდან აცილების ერთ-ერთი გზა არის კანონით გათვალისწინებული ტერმინის დატოვება, თუმცა სადმე, იმავე დოკუმენტში თქვენეული განმარტების გაკეთება. მაგალითად, ტერმინი გაუფრთხილებლობა, როგორც წესი, გაუგებარია უმრავლესობისათვის. თუმცა ბრალდებამ/დაცვამ და მოსამართლეებმა შესაძლოა არ ჩათვალონ მისი სრულად ამოღება საჭიროდ, რადგან შესაძლოა ეს ტერმინი მსაჯულებს სისხლის სამართლის კოდექსთან მიმართებით ხმარებაში შეხვდეთ, ან/და იმიტომ, რომ თავად ისინი [იურისტები] მიჩვეულნი არიან ამ ტერმინის გამოყენებას. ამიტომაც, მცირე რაოდენობის სიტყვებისგან შემდგარი სახელდახელო ტერმინლოგიური ლექსიკონის მოყვანა ინსტრუქციის ტექსტში არცთუ ურიგო აზრია, მაგრამ აუცილებელია ტერმინები სწორად იყოს განმარტებული.

(წინასწარი) განზრახვა – განმარტება

განზრახვა შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი.

[პირდაპირ განზრახვად ჩაითვლება აშკარა განზრახვა პირის სიცოცხლის ხელყოფისა] (აშშ, კალიფორნია).

არაპირდაპირია განზრახვით/ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული, როდესაც:

1. მკვლელობა დადგა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად.

2. ქმედების შედეგი საფრთხეს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლისათვის; და

3. პირი ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მას.

დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება არაპირდაპირია განზრახვით/ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დროს, აუცილებლად არ გულისხმობს ბოროტ სურვილს ანდა მსხვერპლის მიმართ ზიზღს.

ფრაზა წინასწარი (პირდაპირი) განზრახვით არ გულისხმობს დროის ხანგრძლივი პერიოდის გასვლის კრიტერიუმს. ის მხოლოდ მიუთითებს, რომ დანაშაული წინასწარი შეცნობით უნდა იყოს ჩადენილი (ანუ გაანალიზება წინ უნდა უსწრებდეს ქმედებას).

ამ შემთხვევაშიც, გამოყენებული ენა ზედმეტად ოფიციალურია, ამასთან, აუცილებელია ნაფიც მსაჯულთათვის ინფორმაციის მიწოდება ისეთ სამართლებრივ საკითხებზე, როგორიცაა: პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა, რათა მათ შეძლონ ამ ორ ცნებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავების გათავისება. თუმცა, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ამ ორ ცნებას შორის განსხვავება ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე დიდად არ აისახება, რადგან მსაჯულებს, როგორც წესი, არ მოეთხოვებათ განზრხვის ხასიათის განსაზღვრა.

ინსტრუქციის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ის შესაძლო ბუნდოვანებას ნათელს ფენს, რადგან ხსნის, რომ აუცილებელი არ არის ბოროტი სურვილის ან/და მსხვერპლის მიმართ ზიზღის არსებობა.

დასკვნა

რეალურ სამყაროში შეუძლებელია იურიდიული ცნებების ზედმიწევნით გასაგებად მიწოდება ყველა მსაჯულისათვის. კანონი რთულია, დრო ცოტაა, განათლების დონე კი – განსხვავებული. თუმცა სრული გაგების უზრუნველყოფა ვერ მოხდება. ეჭვგარეშეა, რომ შეგვიძლია მსაჯულებს ნათლად ავუხსნათ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

ინსტრუქციის შედგენა, ერთი შეხედვით, მარტივია, მაგრამ სინამდვილეში ყველაფრის მარტივად გადმოცემა არც ისე ადვილია. ასეთი მიდგომა საჭიროა რიგ მიზეზთა გამო:

პირველი: მსაჯულები, რომელთაც კარგი ინსტრუქცია გადაეცათ, უფრო სწრაფად შეასრულებენ საკუთარ საქმეს, უფრო მალე მოითათბირებენ და ნაკლები შეკითხვები გაუჩნდებათ, ვიდრე ინსტრუქციის დეტალებზე დისკუსიის პირობებში, რაც კვლევამაც აჩვენა. ნათელმა ინსტრუქციამ უნდა შეამციროს უსაგნო დავა თემაზე – რა თქვა მოსამართლემ სინამდვილეში.

მეორე: გასაგები ინსტრუქცია გაზრდის მსაჯულთა კმაყოფილების ხარისხს პროცესის დასრულების შემდგომ. თუკი როდესმე შეგიძენიათ ნივთი, რომლის აწყობაც ადვილად უნდა იყოს შესაძლებელი და შემდგომ წაგიკითხავთ ინჟინერთა მიერ დაწერილი, ჩახლართული, ტექნიკური სიტყვებით გადატვირთული ინსტრუქცია მისი გამოყენებისათვის, რომელსაც არც დიაგრამა ან ილუსტრაცია ახლავს თან, მაშინ ალბათ მიხვდებით ნაფიც მსაჯულთა გულაცრუებას. დაბოლოს, სამართლიანობა მსხვერპლს მოითხოვს – ვერდიქტის ხარისხი მეტწილად დამოკიდებულია ინსტრუქციის სიცხადეზე. ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ რიგითი მოქალაქეები სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ ადამიანების დამნაშავედ ცნობასა თუ მათ გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარის სანიმუშო განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი[30]

(„სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი“ შემუშავებულ იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მონაწილეთათვის სახელმძღვანელოდ. მოცემული ნაშრომი წარმოადგენს სანიმუშო ვერსიას და იგი შეიძლება შეცვლილ იქნეს მოსამართლის მიერ როგორც მხარეების შუამდგომლობის საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით, კონკრეტული განსახილველი საქმის საჭიროებებიდან გამომდინარე).

ქალბატონებო და ბატონებო: თქვენ ხართ ნაფიცი მსაჯულები მოცემულ საქმეზე და მე რამდენიმე წუთს დავუთმობ მითითებების მიცემას თქვენი, როგორც ნაფიცი მსაჯულების მოვალეობის შესახებ და მოგაწვდით გარკვეულ ინსტრუქციებს. ეს გახლავთ თავდაპირველი განმარტებები. პროცესის დასრულებისას მე მოგცემთ დეტალურ მითითებებს. აღნიშნული მითითებები დაარეგულირებს თქვენს თათბირსაც.

სასამართლო პროცესის მსვლელობისას რასაც მე ვიტყვი ან გავაკეთებ, თქვენ არ უნდა ჩათვალოთ იმის განმსაზღვრელად, თუ რას ვფიქრობ მე მტკიცებულებათა შესახებ ან თუ როგორი უნდა იყოს თქვენი ვერდიქტი.

ეს არის სახელმწიფო ბრალდების მიერ წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმე. სახელმწიფო ბრალდება ბრალს სდებს ბრალდებულს (საქმეში, ბრალდებაში). ბრალდებულის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება მოცემულია ბრალდების შესახებ დადგენილებაში. ბრალდების შესახებ დადგენილება უბრალოდ არის სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ბრალდების აღწერილობა ბრალდებულის წინააღმდეგ. ის არ წარმოადგენს მტკიცებულებას.

ბრალდებულს ბრალი ედება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის (ბრალდების შინაარსი და მისი სამართლებრივი საფუძველი: ----------

---

---).

მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი,

[30] **სახელმძღვანელო ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის,** გამოიცა ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA/ROLI) საქართველოს ოფისის სისხლის სამართლის პროგრამის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკოტიკებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმეთა სახელმწიფო ბიუროს (INL) ფინანსური მხარდაჭერით; 2010 წელი; საქართველო; ნაშრომში მოცემულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო ინფორმაცია და ინსტრუქციები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მონაწილეთათვის. გამოცემაში არ არის შესული ამერიკის იურისტთა ასოციაციისა (ABA/ROLI) და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკოტიკებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმეთა სახელმწიფო ბიუროს (INL) მოსაზრებები.

ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

საქმეში ფაქტებზე გადაწყვეტილების მიღებისას, თქვენ შეიძლება მოგიხდეთ იმის გადაწყვეტა, თუ რომელი ჩვენება დაიჯეროთ და რომელი – არა. თქვენ შეგიძლიათ დაიჯეროთ ყველაფერი, რასაც მოწმე ამბობს, ჩვენების ნაწილი ან საერთოდ არ დაიჯეროთ არაფერი.

მოწმის ჩვენების განხილვისას, თქვენ უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. მოწმის შესაძლებლობა და უნარი დაენახა, მოესმინა ან სცოდნოდა ის, რაზეც ის ჩვენებას იძლევა;
2. მოწმის მახსოვრობის უნარი;
3. მოწმის მანერა ჩვენების მიცემის დროს;
4. საქმის შედეგების მიმართ მოწმის ინტერესი და მიკერძოება ან წინასწარი აზრი;
5. ეწინააღმდეგება თუ არა რაიმე სხვა მტკიცებულება მოწმის ჩვენებას;
6. ყველა მტკიცებულების ფონზე მოწმის ჩვენების გონივრულობა; და
7. ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელიც დამაჯერებლობას უკავშირდება.

არ არის აუცილებელი, რომ მტკიცებულების წონა ფაქტთან მიმართებით დამოკიდებული იყოს ჩვენების მიმცემი მოწმეების რაოდენობაზე.

თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, რა ფაქტებია ამ საქმეში. თქვენ უნდა გამოიყენოთ მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც წარმოდგენილი იყო სასამართლო დარბაზში. მტკიცებულება არის ფიცის ქვეშ მიცემული მოწმის ჩვენება, მტკიცებულების სახით დაშვებული ნივთმტკიცება და ყველაფერი ის, რაზედაც მე მიგითითებთ, რომ მიიღოთ, როგორც მტკიცებულება.

არაფერი, რასაც მხარეები იტყვიან, არ არის მტკიცებულება. შესავალ და დასკვნით სიტყვებში მხარეები მიმოიხილავენ საქმეს, მაგრამ მათი განცხადებები არ არის მტკიცებულება. მათი შეკითხვები არ არის მტკიცებულება. მხოლოდ მოწმეთა პასუხები არის მტკიცებულება. მხარეების შეკითხვები არის მნიშვნელოვანი მხოლოდ იმისათვის, რომ თქვენ დაგეხმაროთ, უკეთ გაიგოთ მოწმის პასუხები. არ ჩათვალოთ, რომ რაიმე არის სიმართლე, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ-ერთმა მხარემ დასვა კითხვა, რომელიც მიუთითებდა, რომ აღნიშნული არის სიმართლე.

პროცესის განმავლობაში შესაძლოა მხარეებმა გააპროტესტონ კითხვები ან მოწმეთა მიერ გაცემული პასუხები. მე წარვმართავ პროტესტის პროცედურას კანონის

შესაბამისად. თუ მე დავაკმაყოფილებ დაყენებულ პროტესტს, თქვენ არ უნდა მიიღოთ მხედველობაში დასმული შეკითხვა. თუ მოწმეს არ მიეცა ნებართვა პასუხი გაეცა დასმული კითხვისათვის, არ შეეცადოთ, გამოიცნოთ თუ რა იქნებოდა პასუხი, ან რატომ მივიღე მე ასეთი გადაწყვეტილება. თუ მე განვაცხადე, რომ ჩვენება ამოღებულ უნდა იქნეს სასამართლო სხდომის ოქმიდან, თქვენ უნდა უგულყოთ ის და არ გაითვალისწინოთ რაიმე სხვა მიზნისათვისაც კი.

თქვენ უნდა უგულებელყოთ ყველაფერი ის, რასაც გაიგონებთ ან დაინახავთ სასამართლო პროცესის გარეთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს თქვა ან გააკეთა ერთერთმა მხარემ ან მოწმემ.

სასამართლო პროცესის დროს თუ თქვენ შეგატყობინეს, რომ სახელმწიფო ბრალდება და დაცვის მხარე შეთანხმდა გარკვეულ ფაქტებზე, ეს ნიშნავს, რომ მათ მიიღეს ეს ფაქტები, როგორც სიმართლე. რადგან აღნიშნულ ფაქტებზე არ არის დავა, თქვენ ასევე უნდა ჩათვალოთ ისინი, როგორც სიმართლე.

სასამართლო სხდომის მდივანმა ჩაიწერა ყველაფერი, რაც პროცესზე ითქვა. თუ გადაწყვეტთ, რომ თქვენთვის მნიშვნელოვანია ამ მასალის გაცნობა, შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ თქვენ წაგიკითხონ სასამართლო სხდომის ოქმი. თქვენ უნდა მიიღოთ სასამართლო სხდომის ოქმი, როგორც ზუსტი დოკუმენტი.

გაითვალისწინეთ, რომ პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

ბრალდებული არ თვლის თავს დამნაშავედ და ბრალდებულს არ სჭირდება იმის დამტკიცება, რომ ის უდანაშაულოა. ის ფაქტი, რომ პირი ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში, არ ნიშნავს იმას, რომ ბრალდება სწორია. თქვენ არ უნდა განეწყოთ ბრალდებულის წინააღმდეგ, მხოლოდ იმიტომ, რომ ის იქნა დაკავებული, მას ბრალი დაედო დანაშაულის ჩადენაში ან მის წინააღმდეგ საქმე განიხილება სასამართლოში.

ახლა მე აგიხსნით, თუ რას ნიშნავს უდანაშაულობის პრეზუმფცია და მტკიცების ტვირთი.

სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ. აღნიშნული პრეზუმფცია მოითხოვს, რომ პროკურატურამ დაამტკიცოს ბრალდებულის ბრალეულობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით.

მტკიცების ტვირთი ყოველთვის აწევს ბრალდების მხარეს იმისათვის, რომ დაამტკიცოს პირის ბრალეულობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით. ეს ტვირთი არასოდეს აწვება ბრალდებულს, რადგან კანონი არ ავალდებულებს ბრალდებულს, დაამტკიცოს მისი უდანაშაულობა, მოიყვანოს მოწმეები ან წარადგინოს რაიმე მტკიცებულებები. ბრალდებული ვალდებულიც კი არაა, რომ წარმოადგინოს რაიმე მტკიცებულება.

ბრალდების მხარე ვალდებულია, დაამტკიცოს ბრალდებულის ბრალეულობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით.

გონივრული ეჭვი არის ეჭვი, რომელიც დამყარებულია გონებასა და საღ აზრზე და არ არის დამნაშავეობის უბრალო ალბათობა. გონივრული ეჭვი არის ისეთი ეჭვი,

რომელიც გონიერ ადამიანს აიძულებს, დაეჭვდეს ამა თუ იმ ქმედებისას. შესაბამისად, გონივრულ ეჭვს მიღმა მდგომი მტკიცებულება უნდა იყოს იმდენად დამაჯერებელი, რომ გონიერმა ადამიანმა შეძლოს მასზე დაყრდნობა და მის მიხედვით მოქმედება.

გამამტყუნებელი ვერდიქტი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ კანონს, რომლის მიხედვითაც თქვენ მოგეცათ მითითებები, და ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო სასამართლო პროცესზე და რომლებიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

იმის გადასაწყვეტად დაამტკიცა, თუ არა სახელმწიფო ბრალდებამ ბრალდება გონივრულ ეჭვს მიღმა, თქვენ გამჭვირვალედ უნდა შეადაროთ და გაითვალისწინოთ ყველა ის მტკიცებულება, რომელიც გამოკვლეულ იქნა სასამართლო პროცესის დროს.

სანამ ბრალდების მხარე არ დაამტკიცებს, რომ ბრალდებულს აქვს ჩადენილი დანაშაული, მანამდე თქვენ ბრალდებული უდანაშაულოდ უნდა ჩათვალოთ.

თუ გსურთ, შეგიძლიათ გააკეთოთ ჩანაწერი, რათა დაგეხმაროთ მოწმის მიერ ნათქვამის დამახსოვრებაში. თუ თქვენ ჩანაწერებს გააკეთებთ, გთხოვთ, არ გაუზიაროთ ისინი კოლეგა მსაჯულებს მანამ, სანამ თქვენ ერთად არ გახვალთ სათათბირო ოთახში საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად. არ დაუშვათ, რომ ჩანაწერების გაკეთება გახდეს იმის მიზეზი, რომ თქვენ ყურადღება გაგეფანტოთ და ვერ შეძლოთ მოწმეების პასუხის მოსმენა. როდესაც თქვენ წახვალთ, თქვენი ჩანაწერები უნდა დარჩეს.

მიუხედავად იმისა, გააკეთებთ თუ არა ჩანაწერებს, თქვენ უნდა დაეყრდნოთ თქვენს მეხსიერებას იმის შესახებ, თუ რა ითქვა. ჩანაწერები მხოლოდ იმისთვის არის განკუთვნილი, რომ თქვენს მეხსიერებას დაეხმაროს. თქვენმა ჩანაწერებმა ზედმეტი გავლენა არ უნდა მოახდინონ თქვენზე.

ნაფიცი მსაჯულები ვერდიქტს იღებენ ერთხმად. თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 3 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას, გადაწყვეტილება მომდევნო 6 საათის განმავლობაში მიიღება ხმათა შემდეგი უმრავლესობით: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება არანაკლებ 11 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 8 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 10 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 7 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 9 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 6 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 8 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 5 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 7 ან 6 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 4 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულებს არ შესწევთ უნარი, მიაღწიონ საერთო შეთანხმებას, მე კიდევ ერთხელ განგიმარტავთ ვერდიქტის მნიშვნელობას და ვთხოვ უფროს ნაფიც მსაჯულს, მომახსენოს, არის თუ არა ისეთი მსაჯული, რომელიც უარს აცხადებს მსჯელობაში მონაწილეობის მიღებაზე ან რომელსაც აქვს ინტერესი საქმის მიმართ, რის შესახებაც არ განაცხადა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს. აღნიშნული განმარტების შემდეგ თქვენ დაბრუნდებით სათათბირო ოთახში და გამოიტანთ ვერდიქტს კანონის შესაბამისად. თუ სათათბირო ოთახში დაბრუნების შემდეგ მომდევნო 3 საათის განმავლობაშიც ვერ მიიღებთ ვერდიქტს, მე უფლება მაქვს მოგცეთ დამატებითი გონივრული ვადა ან პირდაპირ დაგითხოვთ და დავნიშნავ ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღს. თუ არც ამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესწევს უნარი, მიიღოს გადაწყვეტილება, ბრალდებული

გამართლებულად ითვლება.

გასათვალისწინებელია, რომ ჯერ კენჭი ეყრება ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ვერდიქტი ვერ მიიღება, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანამიმდევრობით.

თქვენ ხელი უნდა მოაწეროთ თითოეული ბრალდებისათვის წარდგენილი ვერდიქტის ფორმებიდან მხოლოდ ერთს – გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმას.

თქვენ უფლება გაქვთ, წერილობითი მიმართვის საფუძველზე მიიღოთ: სასამართლოსგან განმარტება გამოსაყენებელი კანონის თაობაზე; წინასწარი ინფორმაცია საქმის გარემოებებისა და გამოსაკვლევი მტკიცებულებების შესახებ; სასამართლო სხდომის დროს დამატებითი განმარტება: სხდომის თავმჯდომარისაგან – კანონის შესახებ, მოწმეთაგან – ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მხარეთაგან – დასკვნითი სიტყვების შესახებ; ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირის დროს დამატებითი განმარტება მოსამართლისაგან კანონის შესახებ.

თქვენ გეკრძალებათ: სხდომის მიმდინარეობისას სასამართლო სხდომის დარბაზის დატოვება; ვერდიქტის გამოტანამდე საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება ან საკუთარი აზრის გამოთქმა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით; განსახილველი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა სხვა პირებთან ურთიერთობა; განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება სხდომის ფარგლებს გარეთ; ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა; სასამართლოს შენობაში წესრიგის დარღვევა და სხდომის თავმჯდომარის შესაბამისი მითითებების შეუსრულებლობა.

თქვენ ვალდებული ხართ დაესწროთ განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო სხდომებს და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირს.

თქვენ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

ამასთან, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩემი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გათავისუფლებული იქნებით ნაფიც მსაჯულის მოვალეობის შესრულებისაგან.

სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას ან თათბირის პროცესში თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ გჭირდებათ დამატებითი განმარტებები კანონის, ფაქტობრივი გარემოებების, დასკვნითი სიტყვის შესახებ, შეგიძლიათ წერილობით წარმომიდგინოთ დამატებითი განმარტებების თაობაზე მოთხოვნა შესაბამისი კითხვების მითითებით, რაზედაც მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით მივიღებ გადაწყვეტილებას.

შეგახსენებთ, რომ თქვენ მიერ დადებული იქნა ფიცი.

თქვენ უფლება გაქვთ, წერილობით დამისვათ დამატებითი შეკითხვები, რომლებზეც მოგეცემათ დამატებითი განმარტებები. ეს განმარტებები გადმოგეცემათ წერილობითი სახითაც.

სხდომის თავმჯდომარის სანიმუშო განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე[31]

(„სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე“ შემუშავებულ იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მონაწილეთათვის სახელმძღვანელოდ. მოცემული ნაშრომი წარმოადგენს სანიმუშო ვერსიას და იგი შეიძლება შეცვლილ იქნეს, მოსამართლის მიერ როგორც მხარეების შუამდგომლობის საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით, კონკრეტული განსახილველი საქმის საჭიროებებიდან გამომდინარე).

ნაფიცო მსაჯულებო, ახლა, როდესაც თქვენ მოისმინეთ მტკიცებულებები, ჩემი ვალდებულებაა, მიგითითოთ იმ კანონზე, რომელიც მოცემულ საქმეზე ვრცელდება. ამ განმარტებების ასლი თქვენთვის ხელმისაწვდომი იქნება სათათბირო ოთახში.

თქვენი მოვალეობაა, დაადგინოთ ფაქტები საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე. ამ ფაქტებზე თქვენ ის კანონი უნდა მოარგოთ, რომელზეც მე მიგითითებთ. თქვენ ვალდებულნი ხართ, დაიცვათ ის კანონი, რომელზეც მე მიგითითებთ, მიუხედავად იმისა, ეთანხმებით მას, თუ არა. გარდა ამისა, თქვენზე არ უნდა მოახდინოს გავლენა თქვენმა პირადმა სიმპათიებმა, ანტიპათიებმა, მოსაზრებებმა, წინასწარ შექმნილმა შეხედულებებმა და თანაგრძნობამ. ეს ნიშნავს იმას, რომ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ მხოლოდ და მხოლოდ თქვენ წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. გახსოვდეთ, რომ საქმის საწყის ეტაპზე, თქვენ დადეთ ფიცი, რომლის მიხედვით პირობა დადეთ, რომ სწორედ ასე მოიქცეოდით.

ჩემი განმარტებების შესრულებისას, თქვენ ვალდებულნი ხართ შეასრულოთ თითოეული მათგანი და არა მხოლოდ რამდენიმე და დანარჩენების იგნორირება მოახდინოთ. ისინი თანაბრად მნიშვნელოვანია. ამ განმარტებებში და სასამართლოს ნებისმიერ ნათქვამსა ან ქმედებაში თქვენ არ უნდა ამოიკითხოთ მინიშნება იმაზე, თუ რა სახის ვერდიქტი უნდა გამოიტანოთ – ეს მხოლოდ და მხოლოდ თქვენი გადაწყვეტია.

სანამ სათათბირო ოთახში გახვალთ, მე ვალდებული ვარ ერთ-ერთი თქვენგანი დავნიშნო უფროს მსაჯულად. ამისათვის, თქვენ ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობიდან უნდა აირჩიოთ უფროსი მსაჯული წილისყრის საფუძველზე. უფროსი მსაჯული უხელმძღვანელებს თათბირს და საჭიროების შემთხვევაში თქვენი სახელით წერილობითი შეკითხვით მომმართავს მე. იგი გადაწყვეტილების მიღებისას შეაჯამებს კენჭისყრის საერთო შედეგებს, შეადგენს შესაბამის დოკუმენტებს, ხელს მოაწერს ვერდიქტს და სასამართლო სხდომაზე გამოაცხადებს მას.

[31] სახელმძღვანელო ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის, გამოიცა ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA/ROLI) საქართველოს ოფისის სისხლის სამართლის პროგრამის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკოტიკებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმეთა სახელმწიფო ბიუროს (INL) ფინანსური მხარდაჭერით; 2010 წელი; საქართველო; ნაშრომში მოცემულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო ინფორმაცია და ინსტრუქციები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მონაწილეთათვის. გამოცემაში არ არის შესული ამერიკის იურისტთა ასოციაციისა (ABA/ROLI) და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკოტიკებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმეთა სახელმწიფო ბიუროს (INL) მოსაზრებები

სათათბირო ოთახში ყოფნისას, თქვენ უფლება გაქვთ, შეწყვიტოთ თათბირი მხოლოდ ჩემი თანხმობით.

სათათბირო ოთახში, თქვენ განიხილავთ საქმეს თქვენს კოლეგა მსაჯულებთან ერთად, რათა მიაღწიოთ შეთანხმებას, თუ ამას მოახერხებთ.

თითოეულმა თქვენგანმა თავისთვის უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, თუმცა თქვენ ეს მხოლოდ მას შემდეგ უნდა გააკეთოთ, რაც შეაფასეთ ყველა მტკიცებულება, ისინი სხვა მსაჯულებთან განიხილეთ და მოისმინეთ თქვენი კოლეგა მსაჯულების მოსაზრებები.

ნუ შეგეშინდებათ თქვენი აზრის შეცვლა, თუ დისკუსიის შედეგად დარწმუნდებით, რომ ასე უნდა მოიქცეთ. მაგრამ, არ მიიღოთ გარკვეული გადაწყვეტილება მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ნაფიც მსაჯულებს ის სწორად მიაჩნიათ.

მნიშვნელოვანია, რომ თქვენ ეცადოთ ერთხმად გამოიტანოთ ვერდიქტი, თუმცა, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითოეულმა თქვენგანმა მანამდე მიიღო თავისი გულისხმიერი გადაწყვეტილება. არ შეცვალოთ პატიოსანი რწმენა მტკიცებულების ძალისა და ეფექტის შესახებ მხოლოდ ვერდიქტის მიღწევის მიზნით.

თქვენი ვერდიქტი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მტკიცებულებებს და კანონს, რომელზეც მე თქვენ ამ განმარტებებში მიგითითეთ. თუმცა, არც ერთი ჩემი ნათქვამის მიზანი არ არის მინიშნება იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს თქვენი ვერდიქტი – ეს მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

ზოგიერთმა თქვენგანმა სასამართლო პროცესის განმავლობაში ჩანაწერები გააკეთა. მიუხედავად იმისა, გააკეთეთ თუ არა ჩანაწერები, თქვენ უნდა დაეყრდნოთ თქვენ მეხსიერებას იმის შესახებ, თუ რა ითქვა. ჩანაწერები მხოლოდ იმისთვის არის განკუთვნილი, რომ თქვენ მეხსიერებას დაეხმაროს. თქვენმა ჩანაწერებმა ზედმეტი გავლენა არ უნდა მოახდინოს თქვენზე.

მიერ საქმის განხილვის შემდეგ, უფროსი მსაჯული თანამიმდევრულად, ღია კენჭისყრაზე დააყენებს თქვენს წინაშე თითოეულ საკითხს, ჩემ მიერ განსაზღვრული რიგითობითა და ფორმულირებით. თქვენ ვალდებული ხართ თავდაპირველად კენჭი უყაროთ ბრალდებულის მიმართ წარდგენილ ყველა ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ასეთ ვერდიქტზე ვერ მიიღებთ გადაწყვეტილებას, თქვენ ვალდებული ხართ კენჭი უყაროთ გამამტყუნებელ ვერდიქტს ყველა წარდგენილ ბრალდებაზე რიგრიგობით, ბრალდების სიმძიმის მზარდი თანამიმდევრობით.

კენჭისყრის მიმდინარეობისას თქვენ ვალდებული ხართ უფროსი მსაჯულის მიერ დაყენებულ ყველა საკითხზე დააფიქსიროთ თქვენი დადებითი ან უარყოფითი პოზიცია, მხარი დაუჭიროთ ან, პირიქით, უარყოთ იგი. ამასთან, თქვენ უფლება არ გაქვთ, თავი შეიკავოთ რომელიმე საკითხზე ხმის მიცემისაგან. ხმის მიცემის რიგითობა წინასწარ განსაზღვრულია, მსაჯულთა სიაში თქვენი რიგითობის გათვალისწინებით. ამასთან, უფროსი მსაჯული ხმას აძლევს ბოლოს და აჯამებს კენჭისყრის შედეგებს.

თითოეული თქვენგანი ვალდებულია დაუყოვნებლივ მაცნობოს, თუ შეამჩნევთ, რომ რომელიმე მსაჯული თავს იკავებს ხმის მიცემისაგან, უგულებელყოფს ჩემ მიერ გაკეთებულ მითითებებს, ითვალისწინებს იმ მტკიცებულებას, რომელიც არ გამოკვლეულა სასამართლოში, რაიმე ფორმით გამოხატავს აშკარა მიკერძოებას ან/და სხვაგვარად აშკარად არღვევს კანონს. უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ასეთის არსებობის შემთხვევაში მე კანონის შესაბამისად უფლება მაქვს დაგითხოვოთ ნაფიცი მსაჯულის

მოვალეობის შესრულებისაგან, ხოლო თუ ამის საჭიროება იქნება, დავითხოვო მთელი შემადგენლობა და დავნიშნო ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი.

თუ თათბირის დროს აუცილებელი გახდება ჩემთან კომუნიკაცია, თქვენ შეგიძლიათ მანდატურის მეშვეობით გადმომცეთ უფროსი მსაჯულის ან ერთი ან მეტი მსაჯულის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეტყობინება. მასზე პასუხის გაცემამდე, მე კონსულტაციას გავმართავ ადვოკატთან და პროკურორთან, რასაც შესაძლოა გარკვეული დრო დასჭირდეს. თქვენ შეკითხვაზე პასუხის მოლოდინში, თქვენ შეგიძლიათ განაგრძოთ თათბირი.

სათათბირო ოთახში გასვლამდე თქვენ თითოეულ ბრალდებულზე გადმოგეცემათ ვერდიქტის ორი ფორმა – გამამართლებელი და გამამტყუნებელი, რომელთაგან კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით უფროსი მსაჯული შეავსებს, ხელს მოაწერს და გადმომცემს მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს.

ამის შემდეგ, დავრწმუნდები, რომ თქვენ მიერ შედგენილი ვერდიქტი შეესაბამება კანონის შემდეგ მოთხოვნებს:

1. ვერდიქტი თითოეულ ბრალდებაზე სწორი კენჭისყრის შედეგად არის მიღებული;
2. არ არის აშკარა წინააღმდეგობა ვერდიქტის ფორმებს შორის;
3. ვერდიქტი გამოტანილია ყველა წარდგენილ ბრალდებაზე.

მე მივმართავ უფროს მსაჯულს, გამოაცხადოს ვერდიქტი.

ან

მე გიბრუნებთ უკან თქვენ მიერ შედგენილ ვერდიქტს, სადაც მიგითითებთ თუ რა შეცდომები უნდა გამოასწოროთ, რათა თქვენი ვერდიქტი შეესაბამებოდეს კანონს. გთხოვთ, გაბრძანდეთ სათათბირო ოთახში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა

საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომელიც ძალაში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან შევიდა, წარმოგვიდგინა მნიშვნელოვანი ცვლილებები ქართულ სისხლის სამართლის სისტემაში. ყურადსაღები ინოვაციები, გათვალისწინებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, მოიცავს შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სისტემის შემოღებას, ნაცვლად ინკვიზიციური სისტემისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დანერგვას.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თავდაპირველად წარმოდგენილ იქნა მხოლოდ თბილისის მასშტაბით, თუმცა გათვალისწინებულია მისი გავრცელება საქართველოს სხვა რეგიონებზეც მომდევნო 4 წლის განმავლობაში. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დროებითი განსჯადობა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლით, რომელიც განსაზღვრავს, რომ:

1. „2011 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში და განიხილავს მისი ტერიტორიული განსჯადობისთვის მიკუთვნებულ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მხოლოდ დამთავრებულის) სისხლის სამართლის საქმეებს. დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მხოლოდ დამთავრებულის) ჩადენაშიც ედება, სისხლის სამართლის საქმეს ამ კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.“

1[1]. „2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში და განიხილავს მისი ტერიტორიული განსჯადობისთვის მიკუთვნებულ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებს. დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც ედება, სისხლის სამართლის საქმეს ამ კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.“

2. „2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილავს მისი ტერიტორიული განსჯადობისთვის მიკუთვნებულ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე და 137-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებს. დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე ან/და 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც ედება, სისხლის სამართლის საქმეს ამ კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.“

3. „2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ

თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები. დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც ედება, სისხლის სამართლის საქმეს ამ კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.“

ნაფიც მსაჯულთა შერჩევა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად *(მუხლი 27-ე),* ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 მსაჯულისა და 2 სათადარიგო მსაჯულისგან, გარდა ს.ს.ს. კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები – მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები – განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

მანამ, სანამ ნაფიც მსაჯულთა მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა დაიწყება, მხარეები წინასწარ მოწვეული კანდიდატებისგან ირჩევენ მსაჯულთა, კონკრეტული კატეგორიის საქმისთვის საჭირო შემადგენლობას.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე მოსამართლე, სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წინასწარ გაგზავნილი 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიანი სიიდან, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ადგენს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას, არა უმეტეს 100 პირის შემადგენლობით. შერჩეული ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიაში მიეთითება პირის გვარი და სახელი, რასაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სიის ასლებს გადაცემს მხარეებს. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე ეგზავნებათ უწყება, სადაც მითითებულია სხდომის დაწყების დრო, ადგილი და გამოცხადების სავალდებულოობა *(სსსკ 221-ე მუხლის პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე, ნაწილები).* ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე გონივრულ ვადაში საცხოვრებელი ადგილის მისამართზე ეგზავნებათ მოსამართლის მიერ მხარეებთან მოთათბირების საფუძველზე დამტკიცებული კითხვარი.

ნაფიც მსაჯულთა კანდიდატი ვალდებულია უპასუხოს კითხვებს კითხვარში მითითებულ ვადაში *(სსსკ-ის 221-ე მუხლის, პირველი ნაწილი).*

მოსამართლე უფლებამოსილია დაიწყოს სხდომა და მსაჯულთა შერჩევის პროცედურა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლოში მსაჯულობის 50-ზე ნაკლები კანდიდატი გამოცხადდება. მსაჯულთა შერჩევის სხდომის გახსნისა და შესაბამისი პირველადი პროცედურების გატარების შემდეგ, მოსამართლე მსაჯულობის კანდიდატებს მიაწვდის მხარეთა მონაწილეობით მომზადებულ განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. ამის შემდეგ, მოსამართლე ამოწმებს ყველა გარემოებას, რომელიც შეიძლება გახდეს მსაჯულობის კანდიდატის აცილების (თვითაცილების) საფუძველი, და მხარეებს საშუალებას აძლევს, შეკითხვები დაუსვან მსაჯულობის კანდიდატებს და წარმოადგინონ დამატებითი მასალები აცილების თაობაზე *(სსს კ-ის 222-ე მუხლი და 223-ე მუხლის მეორე ნაწილი).*

მოსამართლე უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეებს მისთვის წინასწარ იმ შეკითხვების წარდგენა, რომელთა მსაჯულობის კანდიდატებისთვის დასმასაც ისინი

აპირებენ; ეს არ ზღუდავს მხარეებს, რომ დასვან დამაზუსტებელი კითხვები. მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია სწორი და ამომწურავი პასუხები გასცეს მისთვის დასმულ შეკითხვებს, წარმოადგინოს სხვა აუცილებელი ინფორმაცია მისი პიროვნებისა და განსახილველი საქმის მონაწილეებთან მისი ურთიერთობის თაობაზე, აგრეთვე ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საქმის ობიექტურად და მიუკერძოებლად განხილვაში *(სსსკ-ის 223-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები).*

მსაჯულობის კანდიდატისთვის დასმული შეკითხვები არ უნდა ხელყოფდეს მის პირად, პროფესიულ ან/და კომერციულ საიდუმლოებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებისთვის. მსაჯულობის კანდიდატს შეიძლება მოეთხოვოს აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ მხარის დასაბუთებული მოთხოვნის არსებობისას. თუ აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მის ინტერესებს, მსაჯულობის კანდიდატი ინფორმაციას აწვდის მხოლოდ უშუალოდ სხდომის თავმჯდომარეს *(სსსკ-ის 223-ე მუხლის მეხუთე ნაწილი).*

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია კანონით განსაზღვრული აცილების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ეს აცნობოს სასამართლოს უწყების მიღებიდან 2 დღის განმავლობაში. მსაჯულობის კანდიდატს, ასევე შეუძლია მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა თვითაცილების შესახებ და მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომელიც მას ხელს შეუშლის ნაფიცი მსაჯულის უფლებამოსილების განხორციელებაში. თვითაცილება დასაბუთებული უნდა იყოს. მხარეებს უფლება აქვთ, გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება მსაჯულობის კანდიდატის თვითაცილებისადმი *(სსსკ-ის 221-ე მუხლის მეექვსე ნაწილი და 223-ე მუხლის მეშვიდე ნაწილი).*

პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე *(სსს კოდექსის 31-ე მუხლი):*

ა) თუ უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული;

ბ) თუ ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს;

გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;

დ) თუ ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ;

ე) თუ 70 წელს გადაცილებულია.

მხარე უფლებამოსილია დააყენოს მსაჯულობის კანდიდატის აცილების შესახებ შუამდგომლობა. აცილების უფლებას პირველად ახორციელებს ბრალდების მხარე, ხოლო შემდეგ – დაცვის მხარე (სსსკ-ის 223-ე მუხლის პირველი ნაწილი). მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ როგორც დასაბუთებული, ასევე დაუსაბუთებელი შუამდგომლობები.

პირი ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას ნაფიც მსაჯულად, თუ არსებობს სსს კოდექსით დადგენილი ნაფიცი მსაჯულის აცილების რომელიმე საფუძველი (სსსკ-ის 31-ე მუხლი):

ა) იგი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია;

ბ) იგი გამომძიებელია;

გ) იგი პოლიციელია;

დ) იგი ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში;

ე) იგი სასულიერო პირია;

ვ) იგი აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა;

ზ) იგი ბრალდებულია;

თ)იგი ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირია;

ი) მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად აღნიშნულ საქმეში აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე;

კ) იგი ფსიქოლოგია;

ლ) იგი ფსიქიატრია;

მ) იგი იურისტია.

რაც შეეხება დაუსაბუთებელი აცილების საკითხს, თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას, მხარეს 12 დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლება აქვს. დანარჩენ შემთხვევებში მხარე უფლებამოსილია განაცხადოს 6 დაუსაბუთებელი აცილება. თუ საქმეში რამდენიმე ბრალდებულია, თითოეულ მათგანს დამატებით 3 კანდიდატის დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლება ეძლევა. იგივე უფლება ეძლევა ბრალდების მხარეს. თუ რომელიმე ბრალდებული სრულად არ გამოიყენებს აცილების განცხადების საკუთარ კვოტას, მისი გამოყენების უფლება ენიჭება იმავე საქმეში სხვა ბრალდებულს. ამ შემთხვევაში ბრალდების მხარე სარგებლობს იმდენივე დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლებით, რამდენითაც ისარგებლა ყველა ბრალდებულმა საერთო ჯამში. დაუსაბუთებელი აცილება არ შეიძლება იმგვარად იყოს გამოყენებული, რომ მოხდეს მსაჯულობის კანდიდატთა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური შეხედულებების, რაიმე გაერთიანების წევრობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე *(სსსკ-ის 223-ე მუხლის მეექვსე, მეათე და მეთერთმეტე ნაწილები).*

აცილებისა და თვითაცილების შესახებ შუამდგომლობებს მოსამართლე განიხილავს საჯაროდ და გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. აცილებულმა მსაჯულობის კანდიდატმა უნდა დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი *(სსსკ-ის 223-ე მუხლის მერვე ნაწილი).*

თუ თვითაცილებისა და აცილების შემდეგ მსაჯულობის კანდიდატთა რაოდენობა სიაში 14-ზე ნაკლებია, მოსამართლე გადადებს სხდომას არა უმეტეს 10 დღით და დადგენილი წესის შესაბამისად მოიწვევს დამატებით არა უმეტეს 30 კანდიდატს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის სსს კოდექსით დადგენილ რაოდენობამდე შესავსებად *(სსსკ-ის 223-ე მუხლის მეცხრე ნაწილი).* აცილების შემდეგ დარჩენილ მსაჯულობის კანდიდატთაგან თორმეტს სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს

ნაფიც მსაჯულად, ხოლო ორი საქმის განხილვაში მონაწილეობას მიიღებს, როგორც სათადარიგო მსაჯული. საქმის სირთულიდან გამომდინარე, მოსამართლე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება უფრო მეტი სა- თადარიგო მსაჯულის დამტკიცების შესახებ. სათადარიგო მსაჯული ესწრება სასამართლო სხდომას და სასამართლოს თათბირს. სათადარიგო მსაჯულს უფლება არა აქვს, გამოხატოს საკუთარი აზრი, გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულებზე ან მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში *(სსსკ-ის 224-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები).*

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს საქმის განხილვის დღეს, რომელიც უნდა იყოს არა უგვიანეს შერჩევის პროცედურის დასრულებიდან მესამე დღისა *(სსსკ-ის 224-ე მუხლის მესამე ნაწილი).*

სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან წილისყრის საფუძველზე ნიშნავს უფროს მსაჯულს. უფროსი მსაჯული თავმჯდომარეობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სახელით წერილობითი შეკითხვით მიმართავს სხდომის თავმჯდომარეს, აჯამებს კენჭისყრის საერთო შედეგებს, ადგენს შესაბამის დოკუმენტებს, ხელს აწერს ვერდიქტს და სასამართლო სხდომაზე აცხადებს მას. უფროსი მსაჯულის გათავისუფლების შემთხვევაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თავისი შემადგენლობიდან წილისყრის საფუძველზე ირჩევს ახალ უფროს მსაჯულს *(სსსკ-ის 233-ე მუხლი).*

სისხლის სამართლის საქმის მოსმენის შემდგომ ნაფიცი მსაჯულები ვერდიქტს იღებენ ერთხმად. თუმცა, თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 3 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას, გადაწყვეტილება მომდევნო 6 საათის განმავლობაში მიიღება ხმათა შემდეგი უმრავლესობით: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება არანაკლებ 11 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 8 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 10 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 7 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 9 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 6 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 8 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 5 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 7 ან 6 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 4 ხმით *(სსსკ-ის 261-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები).*

თუ ნაფიც მსაჯულებს არ შესწევთ უნარი, მიაღწიონ საერთო შეთანხმებას, სხდომის თავმჯდომარე კიდევ ერთხელ განუმარტავს ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტის მნიშვნელობას და სთხოვს უფროს ნაფიც მსაჯულს, სხდომის თავმჯდომარეს მოახსენოს, არის თუ არა ისეთი მსაჯული, რომელიც უარს აცხადებს მსჯელობაში მონაწილეობის მიღებაზე ან რომელსაც აქვს ინტერესი საქმის მიმართ, რის შესახებაც არ განაცხადა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს. აღნიშნული განმარტების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მიმართავს ნაფიც მსაჯულებს, დაბრუნდნენ სათათბირო ოთახში და გამოიტანონ ვერდიქტი კანონის შესაბამისად *(სსსკ-ის 261-ე მუხლის მეხუთე ნაწილი).*

თუ სათათბირო ოთახში დაბრუნების შემდეგ ნაფიცი მსაჯულები მომდევნო 3 საათის განმავლობაშიც ვერ მიიღებენ ვერდიქტს, მოსამართლე მისცემს მათ დამატებით გონივრულ ვადას ან დაითხოვს მათ სრულ შემადგენლობას და დანიშნავს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღს. თუ არც ამ ნაფიც

მსაჯულთა სასამართლოს შესწევს უნარი, მიიღოს გადაწყვეტილება ამ კოდექსით დადგენილი წესით, ბრალდებული გამართლებულად ითვლება *(სსს.კ-ის 261-ე მუხლის მეექვსე ნაწილი).*

ნაფიც მსაჯულთა ეფექტური შერჩევა[32]

ნაფიც მსაჯულთა შერჩევა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სასამართლო განხილვის ნებისმიერი სხვა ეტაპი. აუცილებელია იცოდეთ, როგორ შეარჩიოთ, ან პირიქით, აიცილოთ კონკრეტული ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა, სულ მცირე, ნეიტრალური და მიუკერძოებელი კანდიდატებისაგან უნდა იყოს დაკომპლექტებული. ნაფიცი მსაჯულების შერჩევის სხდომაზე, პოტენციური კანდიდატების გამოკითხვისას, მხარეები ოთხი ძირითადი მიზნის მიღწევას ცდილობენ:

1. მოიპოვონ ინფორმაცია ნაფიცი მსაჯულებისაგან;
2. დაამყარონ მათთან ურთიერთგაგება;
3. გააცნონ მათ ძირითადი სამართლებრივი საკითხები;
4. დაარწმუნონ ისინი საკუთარი (პროკურორის/ადვოკატის) პოზიციიდან შეხედონ საქმეს.

„**Voir Dire**“ (ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი) – არის ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებთან საუბრის, მათი გამოკითხვის, შერჩევისა და აცილების პროცესი. ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობაა „ილაპარაკე სიმართლე“.

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებმა დასმულ შეკითხვებს სწორი პასუხები უნდა გასცენ.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა, პროკურორის/ადვოკატის პირველი და ერთადერთი შესაძლებლობაა ესაუბროს პირისპირ თითოეულ ნაფიც მსაჯულს. სასამართლო დარბაზის გარეთ საქმეზე საუბარი ნაფიც მსაჯულებთან დაუშვებელია. ასეთი შესაძლებლობა პროკურორს/ადვოკატს მხოლოდ სასამართლო დარბაზში, მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე ეძლევა, რა თქმა უნდა, მოსამართლისა და მოწინააღმდეგე მხარის თანდასწრებით.

სასამართლო განხილვის დაწყების შემდეგ, ნაფიც მსაჯულებთან კერძო (პირადი) საუბარი მხოლოდ სასამართლოს მანდატურს, მოსამართლესა და სხდომის მდივანს შეუძლია. ბრალდებულს, მოწმეებს, გამომძიებელს, ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც

[32] ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების შერჩევა – „შერჩევის სხდომა და ნაფიცი მსაჯულების შერჩევა“ შესწორდა და ქართულ ენაზე ითარგმნა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ საქართველოში მოღვაწე ადვოკატებისათვის. ტექსტი ამოღებულია ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ გამოცემული ჯეფრი თ. ფრედერიკის წიგნიდან „შერჩევის სხდომა“. საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2011). თარგმანი, გამოცემა და გავრცელება განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ. თარგმნის საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2012). ყველა საავტორო უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის ტექსტის ნაწილობრივი, ან მთლიანი შეცვლა ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლებებისა და გარიგებების განყოფილების წერილობითი თანხმობის გარეშე; მისამართი: 321 North Clark Street, Chicago, Illinois 60654, USA; el. fosta:copyright@abanet.org

დაკავშირებულია დაცვის ან ბრალდების მხარესთან, ეკრძალებათ ნაფიც მსაჯულებთან ყოველგვარი საუბარი შერჩევის სხდომის დასრულების შემდეგ როგორც სასამართლო სხდომის დარბაზში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თუკი მხარე შემჩნეულ იქნა, რომ ესაუბრება ნაფიც მსაჯულს თუნდაც ისეთ უმნიშვნელო საკითხზე, როგორიცაა ამინდი, ამას, სავარაუდოდ, აცნობებენ მოსამართლეს, რომელიც გამოიკვლევს რა საკითხს, ა.შ.შ-ში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, შესაძლოა დაითხოვოს მთელი ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა, ხოლო სამართალდამრღვევ მხარეს დააკისროს ჯარიმა.

იმისათვის, რომ შევარჩიოთ ჩვენი საქმისთვის სასურველი ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა, საჭიროა ვიცოდეთ აცილების სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც მოქმედებს 2010 წლის ოქტომბრიდან, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს მსაჯულთა დასაბუთებული აცილების საფუძვლებს:

მუხლი 30. შეუთავსებლობა

პირი ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას ნაფიც მსაჯულად, თუ არსებობს ამ კოდექსით დადგენილი ნაფიცი მსაჯულის აცილების რომელიმე საფუძველი ან/და:

ა) იგი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია;

ბ) იგი გამომძიებელია;

გ) იგი პოლიციელია;

დ) იგი ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში;

ე) იგი სასულიერო პირია;

ვ) იგი აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა;

ზ) იგი ბრალდებულია;

თ) იგი ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირია;

ი) მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად აღნიშნულ საქმეში აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე;

კ) იგი ფსიქოლოგია;

ლ) იგი ფსიქიატრია;

მ) იგი იურისტია.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აცილების საფუძველი, გარდა „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლისა, უკავშირდება ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის სამსახურებრივ მდგომარეობას ან სტატუსს.

„ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი კი საჭიროებს კონკრეტულ არგუმენტს, მიზეზს მსაჯულის აცილების თაობაზე და ამიტომ, სწორედ ის უნდა იყოს ყველაზე ხშირად განვითარებული და გამოყენებული მხარეების მიერ მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე.

„ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასაბუთებული აცილების მაგალითებია:

წინასწარი უარყოფითი განწყობა ბრალდებულის, პოლიციის ან ბრალდების მხარის მიმართ; წინასწარი განწყობა ბრალეულობის ან უდანაშაულობის მიმართ შექმნილი საზოგადოებრივი საშუალებების მიერ; კანონის მოთხოვნების უგულებელყოფა (მტკიცების ტვირთი, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი, მტკიცებულებებთან დაკავშირებული წესები); დანაშაულის მსხვერპლი ან მისი ნათესავი, რომელსაც ამ შემთხვევის გამო ჯერ კიდევ უარყოფითი განწყობა აქვს შემორჩენილი; რწმენა იმისა, რომ პოლიცია/პროკურატურა არასოდეს წაუყენებდა ბრალს უდანაშაულო ადამიანს ან, რომ პოლიციელი არასოდეს ცრუობს, ან, პირიქით, – ყოველთვის ცრუობს; განწყობა, რომ სხვა არ უნდა განსაჯო და ა.შ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის I ნაწილი მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა კითხვარის გამოყენებას, ნაფიც მსაჯულთა მიერ განსახილველ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე.

აღნიშნული კითხვარი მნიშვნელოვანია, რათა პროკურორმა/ადვოკატმა მოიპოვოს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის შესახებ ის საჭირო ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მას დასაბუთებული აცილების შესახებ საფუძვლის მოძიებასა და შექმნაში და, შესაბამისად, დაუსაბუთებელი აცილებების მიზანშეწონილად გამოყენებაში (აღნიშნულ მასალებს თან ერთვის ნაფიც მსაჯულთა კითხვარის ნიმუში).

კითხვარი მოიცავს შეკითხვებს მრავალ საკითხზე. მაგალითად, მსაჯულობის კანდიდატის სახელი და გვარი; საცხოვრებელი ადგილი; სამსახური; განათლება; ოჯახური მდგომარეობა; რაიმე ორგანიზაციის წევრობა; წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც კანდიდატი კითხულობს; კინოფილმები, რომელსაც ის უყურებს; სამხედრო სამსახური; შვილები; განსახილველ საქმეს- თან დაკავშირებული ინფორმაცია და მისი წყარო; ნაცნობობა მოცემულ საქმეზე ბრალდებულთან ან სხვა პროცესის მონაწილე პირებთან; განწყობა დაცვის ან ბრალდების მხარის, პოლიციის, კანონის, მტკიცების ტვირთის, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის, საექსპერტო კვლევების მიმართ; კანდიდატის რელიგიური ან ფილოსოფიური შეხედულებები, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ ვერდიქტის გამოტანას, რადგან მიაჩნია, რომ არ აქვს უფლება განსაჯოს სხვები; ხომ არ ფიქრობს კანდიდატი, რომ არავის სდებენ ბრალს ტყუილუბრალოდ? ხომ არ ფიქრობს ის, რომ ბრალდებულს უნდა მიეცა ჩვენება პოლიციისათვის, ან აუცილებლად უნდა მისცეს ჩვენება სასამართლოზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მის საწინააღმდეგოდ იქნება აღქმული; ხომ არ იყო კანდიდატი ან მისი ახლო მეგობარი წარსულში დანაშაულის მსხვერპლი, ან დაპატიმრებული; ხომ არ გააჩნია კანდიდატს სპეციალური ცოდნა ან წარსული გამოცდილება საქმისთვის მნიშვნელოვან, რაიმე კონკრეტულ საკითხზე, როგორიცაა, მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღები ან ოჯახური ძალადობა და სხვა.

პროკურორის/ადვოკატის მიერ ნაფიც მსაჯულთა კითხვარში შესატანი კითხვები მათი შინაარსისა და რაოდენობის მიხედვით შეიძლება შეიზღუდოს, მხოლოდ: დროის ფაქტორიდან გამომდინრე, პროკურორის/ადვოკატის ფანტაზიის შესაბამისად, საკითხებით რომლებიც მოწინააღმდეგე მხარისათვის იქნება მიუღებელი, თუკი აღნიშნულის მიზანშეწონილობაში მოსამართლე ვერ დარწმუნდება.

გამოიყენეთ ს.ს.ს. კოდექსის 221-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული ნაფიც მსაჯულთა კითხვარი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

მოსამართლეების მიერ ნაფიც მსაჯულთა გამოსაკითხად მხარეებისათვის განსაზღვრული დრო, როგორც წესი, ყოველთვის ნაკლებია, ვიდრე ამას მხარე ისურვებდა. მსაჯულობის კანდიდატები კი, თავშეკავებული არიან გულწრფელი პასუხების გაცემისაგან, როდესაც საუბარი უცნობი ადამიანების თანდასწრებით უწევთ. აქედან გამომდინარე, პროკურორი/ადვოკატი გაცილებით ვრცელ და ღირებულ ინფორმაციას მოიპოვებს, თუკი ის ნაფიც მსაჯულთა სავალდებულო კითხვარს სწორად და მიზანმიმართულად გამოიყენებს. აღნიშნული კითხვარი ხელს უწყობს კანდიდატს პირადი სახის ინფორმაციისა და მოსაზრებების უფრო თამამად გამჟღავნებაში, ვიდრე ის ამას გააკეთებდა ზეპირსიტყვიერად, სასამართლო დარბაზში, მხარის ან მოსამართლის მიერ გამოკითხვისას. კითხვარი აგრეთვე საშუალებას იძლევა მოიპოვოთ გაცილებით მეტი ინფორმაცია, ვიდრე ეს ზეპირი გამოკითხვისას არის შესაძლებელი. შეადგინეთ ისეთი კითხვარი, რომელიც სამართლიანი იქნება ორივე მხარისთვის. თქვენ მომავალში მოგიწევთ მოწინააღმდეგე მხარის დათანხმება თქვენ მიერ შედგენილ კითხვარსა და მის შინაარსზე. შეეცადეთ, ჩართოთ ისეთი კითხვები, რომლებიც დაგეხმარებათ მოიპოვოთ დემოგრაფიული ხასიათისა და მსოფლმხედველობის ამსახველი ინფორმაცია და შეიძინოთ ცოდნა, რომელიც ხელს შეგიწყობთ სწორად შეაფასოთ მსაჯულობის კანდიდატის პიროვნული და ფსიქოლოგიური პორტრეტი. იმის გადაწყვეტისას თუ, რომელი კითხვები ჩართოთ მსაჯულთა კითხვარში, შეეკითხეთ საკუთარ თავს – გამოგადგებათ თუ არა, და დადებით შემთხვევაში, როგორ გამოგადგებათ ამა თუ იმ კონკრეტულ კითხვაზე მიღებული პასუხი თქვენი მიზნის მიღწევაში. შეეცადეთ, ჩამოაყალიბოთ დაახლოებით 10 ძირითადი კითხვა, რომელიც შეგიქმნით მსაჯულის პირადი მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას.

შექმენით შესაბამისი ფორმა ან გამოიყენეთ ის ფორმატი, რომელიც განთავსებულია აღნიშნული თავის ბოლოს, რათა ჩაინიშნოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია და თქვენი შეფასებები ყოველი მსაჯულობის კანდიდატის შესახებ.

მოწინააღმდეგე მხარე დაითანხმეთ კითხვარის შინაარსზე, სასამართლომდე საკმაო ხნით ადრე. შეეცადეთ, გაუგზავნოთ თქვენ მიერ შედგენილი კითხვარი მოწინააღმდეგე მხარეს, სასამართლო პროცესამდე საკმაო ხნით ადრე. სასამართლო განხილვისთვის მზადების დაწყებამდე, გაუგზავნეთ მოსამართლეს მხარეების მიერ წინასწარ შეთანხმებული კითხვარი. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ კითხვარის შინაარსზე, მნიშვნელოვანია დაითანხმოთ მოსამართლე გადაწყვიტოს რომელი სადავო კითხვა შეიძლება ჩაიდოს კითხვარში და რომელი უნდა იქნეს ამოღებული. ძალიან მნიშვნელოვანია გულდასმით შეისწავლოთ თქვენს კითხვარზე კანდიდატთა მიერ გაცემული პასუხები მანამ, სანამ დაიწყებთ პოტენციურ მსაჯულთა ზეპირ გამოკითხვას. გამონახეთ საკმარისი დრო, რათა კარგად გაეცნოთ კითხვებზე გაცემულ პასუხებს და საფუძვლიანად მოემზადოთ ზეპირი გამოკითხვისთვის.

გახსოვდეთ, რომ უმჯობესია, თუ დელიკატურ კითხვებს ნაფიც მსაჯულთა წერილობით კითხვარში დასვამთ.

ადამიანები უფრო გულწრფელნი არიან წერილობით კითხვებზე პასუხების გაცემისას, ვიდრე ღია სასამართლო სხდომაზე გამოკითხვისას. მხოლოდ ჯგუფის მიმართ დასმული ზოგადი ხასიათის კითხვებზე (მაგალითად, თუ რომელიმე თქვენგანს სმენია რაიმე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეზე, გთხოვთ, ასწიოთ ხელი?) მიღებული „დიახ“ ან „არა“ პასუხებით, თქვენ ვერ შეიქმნით სწორ წარმოდგენას თქვენი საქმის მომავალ მსაჯულებზე. წერილობით კითხვარში თქვენ ასევე შეგიძლიათ ჩაურთოთ ისეთი კითხვები, რომელთა ღია სასამართლო სხდომაზე დასმასაც არ გარისკავდით. მაგალითად, *ხომ არ ყოფილა რომელიმე თქვენგანი ან თქვენი ახლო ნათესავი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი? რას ფიქრობთ პროკურორებზე ან სისხლის სამართლის სფეროში მოღვაწე ადვოკატებზე? რატომ თვლით ასე?*

წინასასამართლო შუამდგომლობები

გამოიყენეთ წინასასამართლო სხდომის შუამდგომლობები, რათა მოიპოვოთ უპირატესობა მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე. გახსოვდეთ, რომ ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ მიზნით, რომ მოსამართლეს გაუჩნდეს გარკვეული წარმოდგენა თქვენი საქმის თეორიის შესახებ. შესაბამისად, ადვილი გასაგები იქნება მისთვის, თუ რატომ უსვამთ ამა თუ იმ კითხვას ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატს შერჩევის სხდომაზე.

მოემზადეთ მსაჯულთა შერჩევისათვის

თითოეული მოსამართლე მსაჯულთა შერჩევის სხდომას გარკვეულწილად განსხვავებულად წარმართავს. ზოგიერთი მათგანი ნებას რთავს მხარეებს, რომ იარონ სასამართლო დარბაზში და მიუახლოვდნენ ნაფიც მსაჯულებს. ზოგი კი, მოითხოვს, რომ კითხვების დასმა მხარისათვის გამოყოფილი სამუშაო მაგიდიდან მოხდეს. აქედან გამომდინარე, თქვენ წინასწარ უნდა იცოდეთ, თუ როგორ წარმართავს შერჩევის სხდომას ის კონკრეტული მოსამართლე, რომელსაც განსახილველი საქმე დაეწერა. სასურველია, რომ პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულებმა დაინახონ, რომ თქვენ თავდაჯერებული და კარგად მომზადებული ხართ და ზუსტად იცით, თუ რას აკეთებთ. თუ თქვენ არ იცით, როგორ წარმართავს კონკრეტული მოსამართლე მსაჯულთა შერჩევის სხდომას, მაშინ დაესწარით და ნახეთ მისი მოქმედებები სხვა სასამართლო სხდომაზე ან ჰკითხეთ თქვენთვის საინტერესო დეტალები იმ იურისტებს, რომელთაც ჰქონიათ პროცესი აღნიშნულ მოსამართლესთან. დაათვალიერეთ ის სასამართლო დარბაზი წინასწარ, სადაც უნდა გაიმართოს თქვენი საქმის განხილვა. შეისწავლეთ თქვენი მოწინააღმდეგე მხარე და დააკვირდით, თუ როგორ იქცევა ის მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე. თუ საჭიროა, დაესწარით მისი მონაწილეობით გამართულ სხვა სასამართლო პროცესს ან ჰკითხეთ მის შესახებ სხვა იურისტებს.

განაწყეთ ნაფიცი მსაჯულები თქვენს სასიკეთოდ პირველივე დღიდან

მსაჯულებთან პოზიტიური ურთიერთობის განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია. მსაჯულების მიერ მიღებული პირველი შთაბეჭდილება თქვენს მიმართ, შესაძლოა არასოდეს შეიცვალოს. იღონეთ ყველაფერი, რათა ის პოზიტიური იყოს. წარუდგინეთ თქვენი თავი და თქვენი კლიენტი ან თუ ბრალდების მხარეს წარმოადგენთ, საქმის გამომძიებელი პოტენციურ მსაჯულებს. თუ თქვენ ადვოკატი ბრძანდებით, შეეცადეთ, რომ თქვენი კლიენტი თქვენს გვერდით იჯდეს დაცვის მხარის მაგიდასთან და არა გისოსებში ან სხვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, თქვენგან მოშორებით და ბადრაგის თანხლებით. დარწმუნდით, რომ ბრალდებული სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული წარდგეს სასამართლოზე და არა პატიმრის ფორმით. სთხოვეთ მოსამართლეს, რომ არ ეკეთოს თქვენი დაცვის ქვეშ მყოფს ბორკილები მსაჯულთა დასანახად. ეს ყოველივე საჭიროა იმისათვის, რათა ნაფიც მსაჯულებს არ შეექმნათ განწყობა, რომ ბრალდებული საშიში პიროვნებაა ან არსებობს გაქცევის რისკი და ის დამნაშავეა წარდგენილ ბრალდებაში.

იყავით ყოველთვის შესაბამისად ჩაცმული და მოწესრიგებული. ესაუბრეთ ნაფიც მსაჯულებს და ნუ ისაუბრებთ უბრალოდ მოვალეობის მოხდის მიზნით. იყავით თავაზიანი და დაანახეთ კანდიდატებს, რომ თქვენ გაინტერესებთ მათი პასუხები.

თქვენ ყველაფერი უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ მსაჯულებს მოეწონოთ და გაუჩნდეთ ნდობა თქვენს მიმართ. ესაუბრეთ მათ მარტივ და გასაგებ ენაზე. არ გამოიყენოთ იურიდიული ტერმინები. გამოხატეთ თქვენი პატივისცემა და თავაზიანობა თითოეული პოტენციური მსაჯულის მიმართ, მაშინაც კი, თუ თქვენ თვლით, რომ ის არასასურველი მსაჯულია და გადაწყვეტილი გაქვთ მისი აცილება.

მიუხედავად იმისა, თუ, რა პასუხს მიიღებთ დასმულ კითხვაზე, არასოდეს ეკამათოთ პოტენციურ მსაჯულს და არ აგრძნობინოთ, რომ მან თქვა სისულელე.

პოტენციურ მსაჯულებთან ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას ორი მნიშვნელოვანი სიკეთე მოაქვს: პირველი, მსაჯულები ცდილობენ იყვნენ უფრო გახსნილი და გულწრფელი თავიანთ პასუხებში და მეორე, პოზიტიური განწყობა ადვოკატის/პროკურორის მიმართ, რომელიც წარმოიშობა ურთიერთგაგების დამყარების შედეგად, რაც ზრდის მხარის დამაჯერებლობას სასამართლო პროცესზე.

- იმისათვის, რომ განავითაროთ ურთიერთგაგება მსაჯულებთან, თქვენ უნდა:
- გამოხატოთ ინტერესი თითოეული მსაჯულის მიმართ;
- მოეპყრათ მათ პატივისცემით;
- აგრძნობინოთ თავი კომფორტულად გამოკითხვის პროცესში;
- შეინარჩუნოთ სიმშვიდე ნებისმიერ სიტუაციაში.

ურთიერთგაგება მსაჯულებთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარების შედეგად წარმოიშობა. ამგვარად, საჭიროა ისეთი კითხვების მომზადება, რომლებიც საშუალებას მისცემენ მსაჯულებს ისაუბრონ საკუთარ თავზე და პირად შეხედულებებზე. ღია დაბოლოების კითხვების დასმა სასარგებლოა როგორც ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით, ასევე ურთიერთგაგების ჩამოყალიბებისთვისაც.

მნიშვნელოვანია, თუ როგორი ფორმით დავსვამთ კითხვებს მსაჯულთა წინაშე

პოტენციურ მსაჯულებს მიეცით საშუალება, რათა ისაუბრონ. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის წარმატებულად ჩატარების მთავარი პრინციპია მიაღწიოთ, რომ კანდიდატებმა გიამბონ საკუთარი თავის შესახებ. დაუსვით მათ ისეთი კითხვები, რომლებიც საუბრის საშუალებას მისცემს.. *რას აკეთებენ სამსახურში? რა ინტერესები გააჩნიათ ან რითი არიან დაკავებული თავისუფალ დროს?* ამგვარი შეკითხვები არა მარტო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებაში დაგეხმარებათ, არამედ ხელს შეუწყობს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს, რათა გაიხსნან და უფრო თამამად განეწყონ გამოკითხვის პროცესის მიმართ.

დასვით ღია დაბოლოების კითხვები. მიეცით მსაჯულებს საშუალება, რათა გადმოსცენ პასუხი თავიანთი სიტყვებით. ღია დაბოლოების კითხვები, რომლებიც არ შემოიფარგლება მხოლოდ „დიახ“ ან „არა“ პასუხებით, საშუალებას იძლევა მოიპოვოთ უფრო ვრცელი ინფორმაცია მსაჯულის მოსაზრებების შესახებ. კითხვა: *„გთხოვთ, გვითხრათ, რას ფიქრობთ იმ ფაქტის შესახებ, რომ მტკიცების ტვირთი მთლიანად აწევს ბრალდების მხარეს და ბრალდებული არაა ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა?“* – *ეს* საშუალებას მოგცემთ უფრო ვრცლად მოისმინოთ ინფორმაცია პოტენციური მსაჯულის ნამდვილი შეხედულებებისა და აზრების შესახებ, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც კითხვა შემდეგნაირად იქნებოდა დასმული: *„ფიქრობთ თუ არა, რომ პროკურორმა უნდა ამტკიცოს ბრალდებულის დამნაშავეობა?“*

თავი აარიდეთ იმგვარი კითხვების დასმას, რომლებიც უბიძგებს პოტენციურ მსაჯულს გასცეს სწორი პასუხი, რათა გამოჩნდეს „კარგი“ სხვების თვალში. ზოგიერთი კითხვა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პირდაპირ უთითებს კანდიდატს სწორი პასუხისაკენ. მაგალითად, თუ ვკითხავთ მსაჯულს შეძლებს, თუ არა იგი იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი, პასუხად ყოველთვის მივიღებთ – „რა თქმა უნდა, კი.“

მაქსიმალურად გამოიყენეთ მოსამართლის მიერ მონიჭებული უფლებები. თუკი მოსამართლე დაგრთავთ ნებას სათითაოდ გამოჰკითხოთ თითოეული პოტენციური მსაჯული, გამოიყენეთ ეს უფლება და დასვით ყველა თქვენთვის მნიშვნელოვანი, ღია დაბოლოების კითხვა. გამოიყენეთ მსაჯულთა შერჩევის სხდომა კანდიდატებთან სასაუბროდ, თუმცა ნუ მისცემთ ამ ყველაფერს ახალი სამსახურის თაობაზე გამართული ინტერვიუს ან დაკითხვის ფორმას. მსაჯულები, როგორც წესი, უფრო მეტს მოგიყვებიან საკუთარი თავის შესახებ ჩვეულებრივი საუბრის დროს, ვიდრე ამას გააკეთებდნენ, თუკი თავს დაკითხვაზე იგრძნობდნენ.

თუ მოსამართლე მხოლოდ ჯგუფურად გამოკითხვის ნებას დაგრთავთ, შეეცადეთ, რომ მაქსიმალურად აქტიურად ჩართოთ ჯგუფის ყველა წევრი გამოკითხის პროცესში. პირველ რიგში, დასვით ისეთი შეკითხვები, რომელზეც კანდიდატთა უმრავლესობა ასწევს ხელს. ამით თქვენ დაეხმარებით პოტენციურ მსაჯულებს მოიხსნან ის დაძაბულობა, რომელიც სასამართლო დარბაზში ყოფნით გაუჩნდათ და უფრო თამამად ჩაერთონ საუბრის პროცესში. შემდეგ კი იმ მსაჯულებს მიმართეთ, რომლებსაც ხელი პირველად დასმული კითხვისას არ აუწევიათ. ასეთი ტაქტიკა სწრაფად მიახვედრებს კანდიდატებს, რომ ხელის არაწევით ისინი საბოლოოდ მაინც ვერ აარიდებენ თავს ამ გამოკითხვის პროცესში მონაწილეობას. ბოლოს კი დაიმახსოვრეთ, როდესაც პოტენ-

ციური მსაჯული ასწევს ხელს და მოგცემთ პასუხს რაიმე მნიშვნელოვან საკითხზე, განსაკუთრებით კი თქვენთვის არასასურველ პასუხს, ჩაეკითხეთ სხვა კანდიდატებს იზიარებენ, თუ არა ისინიც ამ პოზიციას.

თქვენი მთავარი მიზანია გაიგოთ თითოეული პოტენციური მსაჯულის ხასიათი და განწყობა. კანდიდატის წარსული, გამოცდილება და მოსაზრებები განსაზღვრავს მის მსოფლმხედველობას და იმას, თუ როგორ შეაფასებს იგი ამა თუ იმ მტკიცებულებას, არგუმენტს და საქმესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კონკრეტული უნარ-ჩვევები და მიდგომები ეხმარება პროკურორს/ადვოკატს, რათა მოიპოვოს ასეთი ინფორმაცია მსაჯულობის კანდიდატებისაგან.

დემოგრაფიული ინფორმაცია და წარსული გამოცდილება (მაგალითად, სამსახური, ოჯახური მდგომარეობა, განათლება და ა.შ.) შესაძლებელია იყოს სასარგებლო, თუმცა ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რათა სწორად შეიცნოთ მსაჯულის ხასიათი და განწყობა. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ დემოგრაფიული ინფორმაციით უფრო ნაკლებადაა შესაძლებელი მსაჯულის გადაწყვეტილების განჭვრეტა, ვიდრე მისი გამოცდილების და მოსაზრებების შესახებ ინფორმაციის გაცნობის შემთხვევაში.

განსაზღვრეთ, თუ რა ზეგავლენა მოახდინა მსაჯულობის კანდიდატის პიროვნებაზე წარსულმა გამოცდილებამ. ინფორმაცია გარკვეული წარსული გამოცდილების შესახებ, რომელიც მსაჯულს შეიძლება ჰქონდეს, მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან აღნიშნულის მიხედვით თქვენ შესაძლებელია გამოიცნოთ, თუ რა განვითარება პოვა ამ გამოცდილების შედეგად მსაჯულის შეხედულებებმა და რწმენამ. მაგალითად, თუ თქვენი საქმისათვის კანდიტატის სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ყოფნა მნიშვნელოვანია, მაშინ მას არა მარტო ზოგადად ის უნდა ჰკითხოთ, ყოფილა თუ არა ოდესმე დანაშაულის მსხვერპლი, არამედ ასევე ჰკითხოთ: (1) რა სახის დანაშაულს ჰქონდა ადგილი, (2) რა კონკრეტული გარემოებები არსებობდა ამ საქმეზე, (3) თუ შეიცვალა რაიმე მის ცხოვრებაში ამ ფაქტის შემდგომ (მაგალითად, თუ დაამონტაჟა უსაფრთხოების სპეციალური სისტემა სახლზე და ა.შ.) და (4) ამ კონკრეტული გამოცდილების შემდგომ, როგორია მისი შეხედულებები პირადი უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების მიმართ.

ჩაეკითხეთ მსაჯულებს მათი მოსაზრებებისა და შეხედულებების შესახებ. მაგალითად, *აქვთ თუ არა უნდობლობა პოლიციის მიმართ? თუ ფიქრობენ, რომ ქალი ითვალისწინებს სექსუალური ძალადობის რისკს, როდესაც პაემანზე მამაკაცის ბინაში მიდის?* რაც უფრო ღრმად გამოიკვლევთ, თუ როგორ უყურებენ მსაჯულები იმ კრიტიკულ საკითხებს, რომლებიც თქვენს საქმეშია, მით უფრო გაიზრდება თქვენი შანსი სწორად შეიცნოთ მსაჯულების ხასიათი და მოსაზრებები.

უსმინეთ ნაფიც მსაჯულებს ყურადღებით. მათ პასუხებში გამოხატული მოსაზრებები, შესაძლებელია მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავებას მოიცავდეს. როდესაც მხარე არ უსმენს მსაჯულის მიერ გაცემულ პასუხს, ამას კანდიდატები ადვილად ხვდებიან და თავს აღარ იწუხებენ, რათა კარგად გააზრებული პასუხები გასცენ დასმულ კითხვებზე.[33]

მიაქციეთ ყურადღება არავერბალურ კომუნიკაციას – „სხეულის ენას“ და „საუბრის მანერას.“ მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რას ამბობს ნაფიცი მსაჯული,

[33] ვრცლად აღნიშნული საკითხის შესახებ იხილეთ ქვემოთ *„ინფორმაცია პოტენციურ ნაფიც მსაჯულთა შესახებ“*.

არამედ ისიც, თუ როგორ ამბობს ის ამას. მსაჯულის სხეულის მოძრაობა, ჟესტიკულაცია, გამომეტყველება და თვალის კონტაქტი, ის მნიშვნელოვანი ელემენტებია, რომლებიც მიგანიშნებთ მის აზრებსა და გრძნობებზე. ასევეა საუბრის მანერა, პაუზა პასუხის გაცემის დროს, ხმის ტემბრი, ტონი. ყურადსაღებია, მსაჯულის მონდომება – გადმოგცეთ უფრო მეტი ინფორმაცია თქვენ, ვიდრე მოწინააღმდეგე მხარეს. ეს ყველაფერი ერთობლიობაში დაგეხმარებათ შექმნათ სრული სურათი იმისა, თუ რას ფიქრობს და გრძნობს ნაფიცი მსაჯული.

არ არსებობს ისეთი მინიშნება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად და უტყუარად დაადასტურებდა მსაჯულის თვალთმაქცობას. კონკრეტული ჟესტიკულაცია და მოძრაობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით. ეს, საბოლოო ჯამში, საჭიროებს შეფასებას კანდიდატის ზოგად ქცევასა და ყველა მოქმედებებთან ერთად. მთავარი პრინციპი, რათა სწორად შევიცნოთ მსაჯულის სხეულის ენა, იმაში მდგომარეობს, რომ კარგად უნდა დავაკვირდეთ და შევაფასოთ მისი ქცევა სხვადასხვა სახის კითხვების დასმის დროს, იმის გათვალისწინებით, თუ ვინ დასვა ესა თუ ის კითხვა.

დააკვირდით, ხომ არ არიდებს პოტენციური მსაჯული თვალს ადვოკატს, ან ხომ არ უყურებს ის ბრალდებულს დაჟინებით, ისე თითქოს ის არარაობა ან რაიმე სახის ქვეწარმავალი იყოს. ან, პირიქით, ხომ არ უცინის ის გამუდმებით პროკურორს ან ბრალდებულს. ყველა ეს დეტალი მიანიშნებს პროკურორსა და ადვოკატს თუ რამდენად მისაღებია ესა თუ ის კანდიდატი მათი მხარისათვის.[34]

ასწავლეთ ნაფიც მსაჯულებს თქვენი საქმისათვის მნიშვნელოვანი საკითხები

მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე პროკურორმა/ადვოკატმა უნდა ასწავლოს ნაფიც მსაჯულებს თავისი საქმის მნიშვნელოვანი საკითხები და გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები. მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ გვინდა მსაჯულებს ესმოდეთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხები. უმეტეს შემთხვევაში კანდიდატები სასამართლოში არასწორი შეხედულებებით მოდიან, კანონების და მათი, როგორც მსაჯულის მოვალეობების მიმართ.

მსაჯულთა სწავლების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ ამაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადაამუშავებენ ისინი სასამართლო განხილვისას მიღებულ ინფორმაციას. თუკი მსაჯულებს არასწორი წარმოდგენა აქვთ მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ, ისინი სასამართლო განხილვის პროცესში მიღებულ ინფორმაციას სწორედ თავისი არასწორი შეხედულებების საფუძველზე გადაამუშავებენ. შესაბამისად, თუკი მათი შეხედულებები არ იქნა გამოსწორებული ადრეულ ეტაპზევე, შედეგად შეიძლება მივიღოთ მცდარი დასკვნები ან უგულებელყოფილი მნიშვნელოვანი მტკიცებულებანი.

სწავლების პროცესი პოტენციურ მსაჯულთა მოსაზრებების (მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ) გამოკითხვით იწყება. როდესაც არასწორი წარმოდგენები გამოაშკარავდება, პროკურორს/ ადვოკატს შეუძლიათ გამოიყენონ ღია დაბოლოების შეკითხვები, რათა დადგინდეს ადგილი აქვს მართლაც არასწორ შეხედულებას თუ სახეზეა მიკერძოება. თუ მსაჯულის შეხედულება უბრალოდ არასწორი მოსაზრებაა,

[34] იხილეთ ქვემოთ, პოტენციური ნაფიცი მსაჯულების არავერბალური კომუნიკაციების შესახებ თავი.

მაშინ დამატებითი კითხვების საშუალებით უნდა მიმოვიხილოთ ეს კონკრეტული სამართლებრივი საკითხი და გამოვკვეთოთ მონდომებულია თუ არა კანდიდატი დაემორჩილოს შესაბამის სამართლებრივ სტანდარტს. მაგალითად:

ადვოკატი: მიგაჩნიათ თუ არა, რომ ბრალდებული უნდა დაიკითხოს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით?

მსაჯული: დიახ. მგონი, ასეა, ვფიქრობდი, რომ ბრალდებული უნდა დაკითხულიყო. ყოველ შემთხვევაში მე, როგორც ტელეეკრანიდან მინახავს, ბრალდებულები ყოველთვის აძლევენ ჩვენებას.

ადვოკატი: თქვენ რა განწყობა დაგრჩებათ, თუკი ბრალდებული არ მისცემს ჩვენებას?

მსაჯული: ალბათ, რაღაც დამაკლდება, არასრულყოფილი იქნება (დამატებითი კითხვებით შეიძლება ამ საკითხის კიდევ უფრო ვრცლად გამოკვლევა).

ადვოკატი: ცოტა ხნის წინ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ საქმეში მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს აკისრია. რას ნიშნავს ეს განაცხადი თქვენთვის?

მსაჯული: ეს ნიშნავს, რომ პროკურორმა უნდა დაამტკიცოს ბრალდება, ანუ მან უნდა დაგვარწმუნოს ჩვენ, რომ ბრალდებული დამნაშავეა.

ადვოკატი: რას ნიშნავს ეს დაცვის მხარისათვის?

მსაჯული: ეს ნიშნავს, რომ ბრალდების მხარემ უნდა დაამტკიცოს ყველაფერი და არა დაცვამ.

ადვოკატი: მართალია! სისხლის სამართლის საქმის განხილვა საკმაოდ სერიოზული საკითხია. თუ სახელმწიფოს სურს, რომ დამნაშავედ ცნოს პირი და ციხეში ჩასვას იგი, მაშინ მან უნდა აიღოს ინიციატივა და დაამტკიცოს წარდგენილი ბრალდება. ახლა კი მითხარით, როგორ ესადაგება ეს პრინციპი ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემის საკითხს?

მსაჯული: ის არაა ვალდებული და არც უნდა იყოს ვალდებული მისცეს ჩვენება. ბრალდების დამტკიცება ხომ სახელმწიფოს საქმეა.

ადვოკატი: ბრალდებულს რომ ჩვენება არ მიეცა, ამას მის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდით?

მსაჯული: არა.

ადვოკატი: თქვენი ეს პოზიცია ზედაპირული გააზრების შედეგია?

მსაჯული: არა. ადრე მართლა არ მიფიქრია კარგად ამ საკითხზე. როგორც ნაფიცი მსაჯული, ჩემი მოვალეობაა დავიცვა კანონი და ეს კი კანონის მოთხოვნაა.

ადვოკატი: ხომ არ შეიკავებდით თავს აღნიშნულის გაკეთებისაგან?

მსაჯული: არა.

მსაჯულთა „სწავლების“ საწყის ეტაპზე უმჯობესი იქნება თავი შეიკავოთ ისეთი ფრაზებისაგან, როგორიცაა „კანონის თანახმად...“ „გესმით, რომ...“. მართალია, ზოგიერთი მოსამართლე ავალდებულებს მხარეებს გამოიყენონ ეს ფრაზები, თუმცა, თუკი მოგეცათ შესაძლებლობა, რომ არ იხმაროთ ისინი, აუცილებლად გამოიყენეთ ეს შანსი, რათა თავიდან აირიდოთ მსაჯულთა მხრიდან არასწორი პასუხები.

დარწმუნება/დათანხმება

მხარის ბოლო ამოცანას შერჩევის პროცესზე „დარწმუნება“ წარმოადგენს. ვინაიდან, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა, კანდიდატებსა და მხარეებს შორის, ინტერაქტივის სახით მიმდინარეობს, შესაბამისად, არსებობს გარკვეული წინასწარი განწყობის შექმნის პოტენციალიც. ეს საკითხი სწავლების პროცესისგან იმით განსხვავდება, რომ, როგორც წესი, ფარულად მიმდინარეობს და მიზნად ისახავს ზემოქმედების მოხდენას ნაფიც მსაჯულთა შეხედულებებზე, განსახილველი საქმიდან გამომდინარე. აღნიშნულის მისაღწევად არსებობს რამდენიმე საშუალება.

შექმენით წინასწარი განწყობა თქვენი საქმის შესახებ

დასმული კითხვების საშუალებით პროკურორს/ადვოკატს შეუძლია შექმნას თავისი საქმის შესახებ სასურველი განწყობა; ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განაწყოს მსაჯულები, რათა საქმეს შეხედონ მხარის პოზიციიდან. მაგალითად, პროკურორს შეუძლია შექმნას წინასწარი განწყობა შემდეგი კითხვების დასმით: *ხომ არ მოელით, რომ ბრალდების მხარემ უნდა დაამტკიცოს პირის ბრალეულობა ნებისმიერი ან ყველა ეჭვს მიღმა სტანდარტით? ალბათ ხვდებით, რომ თუ ეს ასე იქნებოდა, მაშინ ასეთ სტანდარტს მხარე ვერასოდეს დააკმაყოფილებდა?* ან, თუკი პროკურორი გეგმავს ირიბი მტკიცებულებების გამოყენებას ბრალდების დასამტკიცებლად, ის იკითხავს: *ხომ არ იქნებოდა თქვენთვის მიუღებელი ირიბი მტკიცებულებები?*

მოიგეთ ვერბალური ომი

სიტყვები, რომლებსაც ვიყენებთ მოვლენების აღწერის დროს, ზეგავლენას ახდენს მსაჯულთა მიერ ამ მოვლენების აღქმაზე. მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს ხერხი თავის სასარგებლოდ, თუ ისინი მუდმივად გამოიყენებენ სასურველ სიტყვებსა და ფრაზებს მთელი გამოკითხვის პროცესში (სასამართლო განხილვის დროსაც). მაგალითად, შევადაროთ ერთსა და იმავე თემაზე დასმული კითხვები, ერთი – პროკურორის და მეორე – ადვოკატის მიერ, მხოლოდ მცირედი განსხვავებით სიტყვებში:

პროკურორი მიმართავს მსაჯულს: *ეს საქმე ეხება მკვლელობას, რომელიც ჩადენილ იქნა ბრალდებულის ყოფილი საყვარლის დაყაჩაღებისას. ბრალდებულს ბრალად ედება მსხვერპლის დაყაჩაღება და მკვლელობა, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. გსმენიათ რაიმე ამ საქმის შესახებ?* შემდეგ პროკურორი დანარჩენ ნაფიც მსაჯულებს უმეორებს იმავე კითხვას და სთხოვს ასწიონ ხელი, თუ ვინმეს სმენია რაიმე აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

ადვოკატი მიმართავს მსაჯულს: *ამ საქმეზე, წარდგენილი ბრალდების თანახმად, აწ განსვენებული მოკლულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღიდან, რაც პროკურორის მტკიცებით, განხორციელდა ყაჩაღობის ჩადენის მომენტში. გარდაცვლილი და ბრალდებული ერთ დროს ერთმანეთს ხვდებოდნენ. გსმენიათ რაიმე ამ საქმის შესახებ?* შემდეგ კი ადვოკატი მიმართავს დანარჩენ ნაფიც მსაჯულებს: *გსმენიათ რაიმე აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით?*

განსხვავება ზემოაღნიშნულ განცხადებებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ პროკურორმა გამოიყენა სიტყვები: „მკვლელობა,“ „მსხვერპლი,“ „ყოფილი საყვარელი,“ მაშინ როცა დაცვა იყენებს: „წარდგენილი ბრალდება,“ „აწ განსვენებული,“ „პროკურორის მტკიცებით განხორციელდა ყაჩაღობის ჩადენის მომენტში,“ „ერთ დროს ერთმანეთს ხვდებოდნენ“. გარდა ამისა, პროკურორის ტერმინები, დაცვის მხარის მიერ გამოყენებულ ტერმინებთან შედარებით, უფრო პირდაპირია. ადვოკატი წარდგენილ ბრალდებებზე საუბრობს და არა ფაქტებზე. ბრალდების მხარე ხაზს უსვამს ბრალდებულისა და მსხვერპლის ახლო ურთიერთობებს, დაცვის მხარე კი ცდილობს მათ შორის დისტანცია გამოკვეთოს.

იურიდიული სტანდარტების შესახებ გაკეთებული განმარტებები, რომლებიც მათ უფრო მკაცრად ან უფრო მსუბუქად წარმოაჩენენ, განსაზღვრავენ, თუ როგორ გამოიყენებენ ამ სტანდარტებს ნაფიცი მსაჯულები მომავალში.

ის, თუ რა სიტყვებით გადმოვცემთ ამა თუ იმ ინფორმაციას, გავლენას ახდენს არა მარტო საქმის შინაარსზე, არამედ განსაზ- ღვრავს მსაჯულთა მიერ იურიდიული სტანდარტების გამოყენების პრინციპებს საქმის განხილვისას. მხარის მიერ იურიდიული სტანდარტების იმ სახით განმარტება, რომლებიც მათ უფრო მკაცრად ან უფრო მსუბუქად წარმოაჩენს, განსაზღვრავს, თუ როგორ გამოიყენებენ ამ სტანდარტებს ნაფიცი მსაჯულები. მაგალითად, პროკურორები ცდილობენ აჩვენონ უფრო დაბალი სტანდარტი მტკიცების ტვირთთან მიმართებაში, მაშინ როდესაც დაცვის მხარე მის ამაღლებას ცდილობს.

პროკურორი: *„ბრალდების მხარეს აკისრია მტკიცების ტვირთი, რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ მან უნდა აიღოს ინიციატივა პირველმა და წარმოადგინოს ბრალდებულის დამნაშავეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რათა დავარწმუნოთ თქვენ მის დამნაშავეობაში გონივრულ ეჭვს მიღმა. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ დაეთანხმოთ ამ კანონს?“* ან, *„ხომ არ ფიქრობთ, რომ პროკურორმა წარდგენილი ბრალდება ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვით უნდა დაამტკიცოს?“*

ადვოკატი: *„ბრალდებული არაა ვალდებული ამტკიცოს თავის უდანაშაულობა, ვინაიდან მტკიცების ტვირთი მთლიანად ბრალდების მხარეს აკისრია, რაც ნიშნავს, რომ პროკურორი ვალდებულია, გონივრულ ეჭვს მიღმა დაამტკიცოს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის მიერ დანაშაულის ჩადენა, მისი ყველა შემადგენელი ელემენტის გათვალისწინებით. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ დაეთანხმოთ ამ კანონს?“*

მოამზადეთ ყველაზე იდეალური და ყველაზე მიუღებელი ნაფიცი მსაჯულის პროფილი.

აღნიშნული ნიშნავს ისეთი სპეციალური მახასიათებლების მიხედვით მსაჯულთა დაჯგუფებას, რომლებიც განსაზღვრავენ თქვენი საქმისთვის ყველაზე სასურველ ან,

პირიქით, ყველაზე მიუღებელ ნაფიც მსაჯულს. ანუ, ვინ გინდათ, რომ იყოს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში და ვის აცილებას მოისურვებდით.

ვისი აცილება უნდა განხორციელდეს დასაბუთებული წესით?

გამომდინარე იქიდან, რომ კონკრეტული პოტენციური ნაფიცი მსაჯული შეიძლება არ იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი, თქვენ შესაძლოა დაგჭირდეთ მისი აცილება ან, პირიქით, თუ მსაჯული დადებითად არის განწყობილი თქვენი პოზიციისადმი – მისი ნაფიც მსაჯულად შერჩევა. ქვემოთ ჩამოთვლილია ის საკითხები, რომლებიც დაგეხმარებათ ზემოხსენებულის განსახორციელებლად:

1. იცის თუ არა პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულმა საქმის ირგვლივ არსებული ფაქტების შესახებ?
2. იცნობს თუ არა პოტენციური ნაფიცი მსაჯული დაზარალებულს, ბრალდებულს, ადვოკატს ან გამომძიებელს, ან საქმეში მონაწილე სხვა პირებს?
3. ხომ არ აქვს პოტენციურ ნაფიც მსაჯულს ჩამოყალიბებული რაიმე წინასწარი შეხედულება მას-მედიაში ამ საქმის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის შედეგად.
4. გააჩნია თუ არა პოტენციურ ნაფიც მსაჯულს საკუთარი შეხედულება საქმის შესახებ რაიმე სხვა მიზეზით?
5. არის თუ არა პოტენციური ნაფიცი მსაჯული ტენდენციური რომელიმე მხარის მიმართ?
6. არის თუ არა პოტენციური ნაფიცი მსაჯული ისეთი, რომელიც არ შეასრულებს კანონის მოთხოვნას?
7. არის თუ არა პოტენციური ნაფიცი მსაჯული ისეთი პიროვნება, რომელსაც არ შეუძლია განსაჯოს სხვა პირი და შესაბამისად, შეთანხმდეს ვერდიქტზე? ფიქრობს თუ არა პოტენციური ნაფიცი მსაჯული, რომ თუ პიროვნებას ბრალი აქვს წაყენებული, იგი აუცილებლად დამნაშავეა?
8. ფიქრობს თუ არა პოტენციური ნაფიცი მსაჯული, რომ ბრალდებულმა უნდა დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა და არა ბრალდების მხარემ?
9. გააჩნია თუ არა პოტენიურ ნაფიც მსაჯულს რაიმე სახის არაკეთილგანწყობა პოლიციის ან ბრალდების მხარის მიმართ?
10. ფიქრობს თუ არა პოტენციური ნაფიცი მსაჯული, რომ ბრალდებულის მიერ დუმილის უფლების გამოყენება, დაკავების დროს ან საქმის სასამართლოში განხილვისას, მიუთითებს მის დამნაშავეობაზე?
11. ყოფილა თუ არა პოტენციური ნაფიცი მსაჯული, მისი ახლო მეგობარი ან ოჯახის წევრი დანაშაულის მსხვერპლი, განსაკუთრებით მსგავსი დანაშაულისა?
12. თუ ეს ასეა, შეუძლია თუ არა პოტენციურ ნაფიც მსაჯულს დაივიწყოს მისი გამოცდილება?
13. მიუღია თუ არა პოტენციურ ნაფიც მსაჯულს მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად სხვა სისხლის სამართლის საქმეში?
14. შეუშლის თუ არა ზემოაღნიშნული გარემოება მას ხელს, რომ იყოს სამართლიანი ან მიუკერძოებელი მიმდინარე საქმის განხილვისას?
15. აქვს თუ არა პოტენციურ ნაფიც მსაჯულს რაიმე სახის ფიზიკური ნაკლი,

სმენის, მხედველობის ან ენასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც ხელს შეუშლის მას ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაში?

16. გააჩნია თუ არა პოტენციურ ნაფიც მსაჯულს განსაკუთრებული მიზეზი, რომელიც ხელს შეუშლის მას, რომ იყოს ნაფიცი მსაჯული?

17. არსებობს თუ არა რაიმე მიზეზი, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ პოტენციური ნაფიცი მსაჯული ვერ იქნება სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო განხილვისას?

თუ თქვენ ვერ გამონახავთ დასაბუთებული წესით აცილების საფუძველს, გამოიყენეთ დაუსაბუთებელი აცილების უფლება. დასაბუთებული და დაუსაბუთებელი აცილების საფუძვლები მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლში.

სსსკ-ის მუხლი 223. ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, აცილება და თვითაცილება

1. მხარე უფლებამოსილია დააყენოს მსაჯულობის კანდიდატის აცილების შესახებ შუამდგომლობა. აცილების უფლებას პირველად ახორციელებს ბრალდების მხარე, ხოლო შემდეგ – დაცვის მხარე.

თუმცა

სსსკ-ის მუხლი 223-ე მუხლის მე-6-ე ნაწილი დაუსაბუთებელი აცილება არ შეიძლება იმგვარად იყოს გამოყენებული, რომ მოხდეს მსაჯულობის კანდიდატთა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური შეხედულებების, რაიმე გაერთიანების წევრობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე.

სსსკ-ის მუხლი 223-ე მუხლის მე-10-ე ნაწილი თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას, მხარეს 12 დაუსაბუთებელი აცილების განაცხადის უფლება აქვს. დანარჩენ შემთხვევებში მხარე უფლებამოსილია განაცხადოს 6 დაუსაბუთებელი აცილება.

მზად იყავით მოსალოდნელი აცილებისათვის, რომლის საფუძვლებიც მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-6 პუნქტში.

გახსოვდეთ, რომ არც ერთი მხარე არ არის უფლებამოსილი, რომ გამოიყენოს დაუსაბუთებელი აცილება „რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური შეხედულებების, რაიმე გაერთიანების წევრობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, იყავით მზად, რათა დაასაბუთოთ, რომ კონკრეტული მსჯულის აცილება განხორციელდა სხვა საფუძვლით, რომელიც არ არის გათვალისწინებული სსსკ-ის 223-ე მუხლის მე-6 პუნქტში. ეს მოითხოვს ძალიან დიდ დაფიქრებას და უფრო რთულია საქართველოს რეალობაში, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, რადგან იმ მიზეზების ჩამონათვალი, რა დროსაც არ შეგიძლიათ მოახდინოთ ნაფიც მსჯულთა დაუსაბუთებელი წესით აცილება, გაცილებით დიდია. თუმცა იყავით მზად, რათა მოახდინოთ რეაგირება ბრალდების მხარის მიერ დაყენებულ დაუსაბუთებელ აცილებაზე, ზემოთ მოყვანილი რომელიმე საფუძვლის გამო.

აკონტროლეთ გამოყენებული დაუსაბუთებელი აცილებების რაოდენობა

თქვენ უნდა იცოდეთ, თუ რამდენი აცილების გამოყენების უფლება გაქვთ კონკრეტულ საქმეზე. მნიშვნელოვანია აკოტროლოთ, თუ რამდენი გამოიყენეთ და რამდენი დაგრჩათ. აგრეთვე რამდენი აცილების უფლება გამოიყენა თქვენმა ოპონენტმა და რამდენი დარჩა მას გამოსაყენებელი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 223-ე მუხლი, მე-10 და მე-11 პუნქტები

თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას, მხარეს 12 დაუსაბუთებელი აცილების განაცხადის უფლება აქვს. დანარჩენ შემთხვევებში მხარე უფლებამოსილია განაცხადოს 6 დაუსაბუთებელი აცილება. თუ საქმეში რამდენიმე ბრალდებულია, თითოეულ მათგანს დამატებით 3 კანდიდატის დაუსაბუთებელი აცილების განაცხადის უფლება ეძლევა. იგივე უფლება ეძლევა ბრალდების მხარეს. თუ რომელიმე ბრალდებული სრულად არ გამოიყენებს აცილების განაცხადის საკუთარ კვოტას, მისი გამოყენების უფლება ენიჭება იმავე საქმეში სხვა ბრალდებულს. ამ შემთხვევაში ბრალდების მხარე სარგებლობს იმდენივე დაუსაბუთებელი აცილების განაცხადის უფლებით, რამდენითაც ისარგებლა ყველა ბრალდებულმა საერთო ჯამში.

რა დროს უნდა მოხდეს დაუსაბუთებელი და დასაბუთებული აცილებების გამოყენება?

უნდა დაისვას კითხვა: ვინ გსურთ, რომ „გამორიცხოთ“ და ვინ გსურთ, რომ დაიტოვოთ ნაფიც მსჯულად?

ვინ არის თქვენთვის მისაღები ნაფიცი მსჯული და ვინ არის მიუღებელი?

ზემოაღნიშნულზე პასუხის გაცემა საკმაოდ პრობლემატურია. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ნაფიც მსჯულთა სასამართლოს ორასწლიანი გამოცდილება არსებობს, ამაზე ნათელი პასუხი ჯერაც არ არის. არსებობენ ე.წ. ექსპერტები, რომლებიც ეხმარებიან პროკურორებს/ადვოკატებს კონკრეტულ საქმეებზე ნაფიც მსჯულთა შერჩევისას. ისინი საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას იღებენ, თუმცა მათ მიერ მიცემული რჩევა ხშირად კვალიფიციურ წინასწარ დასკვნას ვერ ცდება .

საქართველოსთან მიმართებაში პასუხის გაცემა კიდევ უფრო რთულია განსხვავებული კულტურისა და განსხვავებული შეხედულებების გამო. ზოგადად ამერიკის

შეერთებულ შტატებში მენეჯერები, ხელმძღვანელი თანამდებობის პირები, ადამიანები, რომლებიც კონსერვატიულ პოლიტიკურ პარტიებს ეკუთვნიან, ბრალდების მხარის მიმართ არიან კეთილგანწყობილები. მაშინ, როცა პედაგოგები, ხელოვნების დარგის მუშაკები ან/და ადამიანები, რომლებიც „ლიბერალურ“ პოლიტიკურ პარტიებს ეკუთვნიან, შესაძლოა დაცვის მხარისადმი დადებითად იყვნენ განწყობილები. რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისები.

პროკურორმა/ადვოკატმა უნდა შეისწავლოს პოტენციური ნაფიცი მსაჯულების წარსული

უპირველეს ყოვლისა, ნაფიც მსაჯულთა შესახებ ინფორმაციას ვიღებთ მათი ბიოგრაფიიდან. იგი მოიცავს მთელ რიგ ინფორმაციას, როგორიცაა რასა, სქესი, სამუშაო გამოცდილება, განათლება და ორგანიზაციის წევრობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ფაქტორებს შესაძლოა მეორეხარისხოვანი როლი ჰქონდეთ მსაჯულის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე, ეს ინფორმაცია მაინც ახდენს გავლენას ამ პროცესზე. მაგალითად, ერთ-ერთი კვლევის თანახმად, მსაჯულთა სქესი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი მსაჯულთა მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას სექსუალური ძალადობის საქმეებზე – მდედრობითი სქესის ნაფიცი მსაჯულები უფრო დაზარალებულის (ბრალდების მხარის) მიმართ იყვნენ კეთილგანწყობილები, მაშინ როცა მამრობითი სქესის მსაჯულები დაცვის მხარისადმის გამოხატავდნენ სიმპათიას. როდესაც მხედველობაში მიიღება ნაფიც მსაჯულთა ბიოგრაფია, პროკურორმა/ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, თუ რამდენად სასარგებლოა ან საზიანო მხარის პოზიციისათვის ნაფიც მსაჯულთა შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე. **იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები:** ბიოგრაფიულმა მახასიათებლებმა შესაძლოა მოახდინოს პოტენციური ნაფიცი მსაჯულების იდენტიფიცირება მხარეების, მოწმეების ან მოვლენების მიმართ. აქვთ თუ არა მსაჯულებს ისეთი ბიოგრაფიული მონაცემები, რის გამოც, მათ რომელიმე მხარის წარმომადგენელი ან კონკრეტული მოწმე ნაკლებად მოეწონებათ. იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური მსაჯულები მიეკუთვნებიან მაღალ სოციალურ ან ეკონომიკურად შეძლებულ ფენას, ხომ არ გამოიწვევს ეს მათ მიერ ბიზნესისადმი მხარდამჭერ დამოკიდებულებას. ეს და სხვა კითხვები ნათელს მოჰფენს მსაჯულთა იდენტიფიცირების შესაძლებლობას მხარეების, მოწმეებისა და მოვლენების მიმართ.

სხვადასხვა ჯგუფებისადმი კუთვნილება: ამ ჯგუფებში მოიაზრება მრავალი ჯგუფი, რომელიც საზოგადოებაში არსებობს. მაგალითად: სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური, სამუშაო ადგილთან დაკავშირებული და დემოგრაფიული. ადამიანები ამ ჯგუფების წევრები სხვადასხვა გზით ხდებიან. წევრობა შესაძლოა იყოს ნებაყოფლობითი, სავალდებულო ან ბუნებრივი (ასაკი, სქესი ან რასა). აღნიშნული ჯგუფები საკმაოდ დიდ გავლენას ახდენენ ადამიანებზე. ისინი გვევლინებიან ერთგვარ სტანდარტად, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ერთმანეთს ვადარებთ ჩვენს შესაძლებლობებს, შეხედულებებსა და ღირებულებებს. რელიგიური ჯგუფებისა და პოლიტიკური ორგანიზაციებისადმი კუთვნილება, განსაზღვრავს ადამიანების გარკვეულ შეხედულე-

ბებს, ღირებულებებს და ქცევას.

ადამიანების დადებითი განწყობა რაიმე ჯგუფისადმი, ზეგავლენას ახდენს მათ კეთილგანწყობასა და ჰარმონიულობაზე ზოგადად ამ ჯგუფის წევრების მიმართ. ამასთან, მოწმე უფრო დამაჯერებლად გამოიყურება ნაფიცი მსაჯულის თვალში, თუ ეს მოწმე და ნაფიცი მსაჯული წარმოადგენენ ერთსა და იმავე ჯგუფს და იზიარებენ მსგავს შეხედულებებს. მაგალითად, მოწმეს, რომელიც არის გაერთიანების წევრი, ექნება მეტი ზეგავლენა იმ ნაფიც მსაჯულებზე, რომლებიც იმავე გაერთიანების წევრებს წარმოადგენენ, ვიდრე მათზე, რომლებიც არ არიან ამ გაერთიანების წევრები (ან სულაც ეწინააღმდეგებიან მას).

რომელიმე ჯგუფისადმი კუთვნილება ასევე ზეგავლენას ახდენს თვით ნაფიც მსაჯულთა დინამიკურობაზე.. მსაჯულებს, რომლებიც ერთი ჯგუფის წევრები არიან (მაგალითად, ერთი პოლიტიკური და სოციალური ორგანიზაციის ან ეთნიკური და რასობრივი ჯგუფის წევრები), შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ სხვა მსაჯულის პოზიციაზე. ამასთანავე, რაც უფრო რელევანტურია განსახილველ საქმესთან ჯგუფის წევრობა, მით უფრო დიდია ამ ჯგუფის წევრების გავლენა – როგორც მსაჯულებზე, ისე მოწმეებზე. ამასთან, ისინი შეიძლება უფრო დამაჯერებლად მსჯელობდნენ, ვიდრე ჩვეულებრივი (არაწევრი) ნაფიცი მსაჯულები (ზოგჯერ ამ ჯგუფის წევრები გამოდიან, როგორც ,,ექსპერტები“ ნაფიცი მსაჯულების თვალში).

გამოცდილება

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს გამოსაკვლევი ინფორმაციის მეორე წყარო არის მათი წარსული გამოცდილება. ეს გამოცდილება შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ ფაქტორებს: პირადი ტრავმა, სახლთან და სამსახურთან დაკავშირებული გამოცდილება, მიყენებული ზიანისა და დისკრიმინაციის ზემოქმედება, სამხედრო სამსახური, ჯანდაცვისა და სამართლებრივი სისტემის ზემოქმედება. ოჯახური ურთიერთობები და სხვ.

უმეტეს შემთხვევაში მსაჯულთა გამცდილებებს შედარებით ნაკლები ზეგავლენა აქვთ მათ ცხოვრებაზე. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ზოგიერთმა გამოცდილებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მათ რწმენასა და საქციელზე. მაგალითად, როდესაც პირი იყო გაუპატიურების ან სხვა სექსუალური შეურაცხყოფის მსხვერპლი, შესაძლოა ამ ფაქტმა ნაფიც მსაჯულებს შეაცვლევინოს წარმოდგენა ბრალდებულზე, რომელსაც ანალოგიური ბრალდება აქვს წაყენებული. ასევე, მძიმე ეკონომიკურ პირობებში აღზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს ნაფიც მსაჯულთა კეთილგანწყობა ღარიბი ადამიანის მიმართ და სხვ.

ნაფიც მსაჯულთა წარსული გამოცდილების შეფასების დროს კიდევ მრავალი ფაქტორი უნდა იქნეს გათვალისწინებული მხარის მიერ.

პირდაპირი და არაპირდაპირი გამოცდილება

პოტენციური ნაფიცი მსაჯულის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გამოცდილების ცოდნა, მნიშვნელოვანია იმის გაგებაში, თუ როგორ შეხედავენ მსაჯულები კონკრე-

ტულ საქმეს. პირდაპირი გამოცდილება ეხება ნაფიცი მსაჯულის პირადი შემთხვევის გამომჟღავნებას კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებში. ნაფიცი მსაჯულისათვის, რომელიც იყო დანაშაულის უშუალო მსხვერპლი და ჰქონდა პირდაპირი შეხება დანაშაულთან, გასაგებია ის მდგომარეობა, რომელშიც მსხვერპლი იმყოფება. არაპირდაპირი გამოცდილება კი გამომდინარეობს არა პირადად დაკავშირებული შემთხვევიდან. მაგალითად, ნაფიცი მსაჯულები შესაძლოა იცნობდნენ ადამიანს, რომელიც მსგავს სიტუაციაში ყოფილა, ან შესაძლებელია ჰქონდეთ მოსმენილი, ნანახი, წაკითხული ახალი ამბების, ინტერნეტის, მედიის, თუ სხვა წყაროს მეშვეობით ანალოგიური გარემოებების შესახებ.

თუ მსაჯულს გააჩნია მსგავს სიტუაციაში არსებობის უშუალო გამოცდილება, მნიშვნელოვანია ამ ფაქტის გამომჟღავნება. ნაფიცი მსაჯულები, რომლებსაც გააჩნიათ უშუალო, პირდაპირი გამოცდილება, უფრო მეტ თანაგრძნობას გამოხატავენ, ვიდრე ის ნაფიცი, მსაჯულები, რომლებსაც არაპირდაპირ ან საერთოდ არ გააჩნიათ განსახილველ საქმესთან მსგავსი გამოცდილება.

წარსული გამოცდილების ზეგავლენის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მრავალი გარემოება. ცალკეულ კითხვებზე გაცემული პასუხი დაგეხმარებათ იმის გამოვლენაში, თუ რა ზეგავლენა მოახდინა ამა თუ იმ გარემოებამ ამ კონკრეტულ მსაჯულზე. მაგალითად:

– რა სახის გამოცდილება იყო ეს?

– კონკრეტულად რა მოხდა ან რის შესახებ არის ეს გამოცდილება?

– თუ პოტენციური ნაფიცი მსაჯული გაძარცვეს, როგორ განხორციელდა ძარცვა? პოტენციურ ნაფიც მსაჯულს, რომელსაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ძარცვის დროს, ექნება განსხვავებული გამოცდილება იმ პირისაგან, რომელსაც საფულე მოპარეს ოფისის მაგიდიდან ან უჯრიდან. რამდენად შეესაბამება მსაჯულის გამოცდილება კონკრეტულ საქმეს?

რაც უფრო მეტია შესაბამისობა განსახილველ საქმესა და მსაჯულის გამოცდილებას შორის, მით უფრო დიდ როლს თამაშობს ეს ფაქტორი ნაფიც მსაჯულთა თათბირისა და მათ მიერ ვერდიქტის გამოტანის პროცესში. საქმის განხილვისას, ნაფიცი მსაჯულები ეყრდნობიან მათ გამოცდილებას და ცდილობენ სხვა მსაჯულები დაარწმუნონ მათი პოზიციის სისწორეში. გამოცდილებათა მსგავსება გადამწყვეტი ფაქტორია მათი შესაბამისობის განსაზღვრისას. რაც უფრო მეტი მსგავსი გამოცდილება არის საქმეში ფაქტთან მიმართებით, მით უფრო დიდია ვარაუდი იმისა, რომ ნაფიცი მსაჯულები გაითვალისწინებენ მას.

როგორ რეაგირებენ პოტენციური ნაფიცი მსაჯულები გამოცდილებაზე? – მათი რეაქცია სხვადასხვაგვარია.

არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ გამოცდილებამ მოახდინოს შთაბეჭდილება ერთ ნაფიც მსაჯულზე, ხოლო მეორეზე არა. როდესაც შეეკითხებიან ბინის გატეხვის თაობაზე, ერთმა მსაჯულმა შესაძლოა უპასუხოს, რომ მოხდა შემოჭრა, მაშინ როდესაც სხვა ნაფიცი მსაჯული შესაძლოა იყოს ოპტიმისტურად განწყობილი და განაცხადოს, რომ „მსგავსი ფაქტები ხდება ხოლმე“.

შეიცვალა თუ არა პოტენციური ნაფიცი მსაჯულის ყოფაქცევა გამოცდილების შედეგად? ამ კითხვაზე გაცემული პასუხი ფასეული ინფორმაციაა.

როგორ უნდა შეფასდეს ნაფიც მსაჯულთა გამოცდილება?

- როგორი იყო გამოცდილება?
- რამდენად შეესაბამება გამოცდილება მოცემულ სიტუაციას?
- როგორი იყო ნაფიცი მსაჯულის რეაქცია?
- შეიცვალა თუ არა პოტენციური ნაფიცი მსაჯულის ყოფაქცევა გამოცდილების შედეგად?
- რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ?
- როგორ უნდა იხელმძღვანელოს ნაფიცმა მსაჯულმა გამოცდილებაზე დაყრდნობით?

შემთხვევის ადგილის დათვალიერებით გამოწვეული ეფექტი

არაპირდაპირი გამოცდილების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა ე.წ. შემთხვევის ადგილის დათვალიერებით გამოწვეული ეფექტი, რომელიც მედიის ჩართულობით მიიღწევა. არსებობს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა მოლოდინზე შემთხვევის ადგილის ჩვენებამ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებას გააჩნია ორი მთავარი პოტენციური გავლენა ნაფიც მსაჯულთა აღქმაზე და მათ მიერ ვერდიქტის გამოტანაზე.

უახლოეს კვლევებში, ვერდიქტის გამოტანისას, შემთხვევის ადგილის დათვალიერებით გამოწვეული ეფექტის გავლენა ნაფიც მსაჯულებზე არ იქნა გამოკვლეული. მიუხედავად ამისა, შესაძლოა ნაფიც მსაჯულებზე არსებული ზეგავლენის შესახებ ზოგადი მოლოდინის განსაზღვრა. მაგალითად, ზოგიერთი კვლევის თანახმად დადგინდა, რომ, პირებმა, რომლებმაც ნახეს შემთხვევის ადგილი, უკეთ გაიგეს ექსპერტების მიერ განხორციელებული ქმედებები და უფრო კრიტიკულები იყვნენ სასამართლო მტკიცებულებების შეფასების დროს, ვიდრე ის პირები, რომლებსაც არ უნახავთ შემთხვევის ადგილი.

მიუხედავად იმისა, არის თუ არა აღნიშნული ეფექტი მნიშვნელოვანი, სისხლის სამართლის საქმის მხარეებისთვის იგი წარმოადგენს ფასეულ თემას ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს. ბრალდების მხარემ შესაძლოა გამოიყენოს ეს თემა ნაფიც მსაჯულთა ისეთი ინტერესების გამოსავლენად, როგორიცაა, მათი მოთხოვნა ექსპერტიზის ჩატარების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებზე (მაგალითად, დნმ-ის ანალიზი), რათა დამნაშავედ ცნონ პიროვნება. დაცვის მხარემაც შესაძლოა გამოიყენოს იგივე თემა, რათა გაიგოს, ანიჭებენ თუ არა ნაფიცი მსაჯულები დიდ მნიშვნელობას ცალკეული სახის მტკიცებულებებს.

ზოგადი მოსაზრებები და პირადი თვისებები

ნაფიც მსაჯულთა შეხედულებების განსაზღვრისათვის გამოსაკვლევი ინფორმაციის მესამე წყაროს წარმოადგნს ნაფიცი მსაჯულების ზოგადი მოსაზრებები და მათი პირადი თვისებები. მნიშვნელოვანია პოტენციური მსაჯულების რამდენიმე ზოგადი მოსაზრებისა და პირადი თვისებების გათვალისწინება. ჩვენ განვიხილავთ ორ მათგანს — ავტორიტარიზმსა და მიუკერძოებლობას. თუმცა, მნიშვნელოვანია გააცნობიეროთ, რომ ნაფიც მსაჯულთა ზოგადი მოსაზრებები და პირადი თვისებები არ წინასწარმეტყველებენ მათ მოქმედებებს დიდი სიზუსტით. მსაჯულების ზოგადი მოსაზრებები

და თვისებები მხოლოდ ქცევის ზოგად წესებს პროგნოზირებენ, მაგრამ შესაძლოა კონკრეტული ვერდიქტის პროგნოზირება ვერ მოახდინონ. ამ ხარვეზის მიუხედავად, ნაფიცი მსაჯულების ზოგადი მოსაზრებების და პირადი თვისებების ცოდნა მნიშვნელოვნად ეხმარება მხარეებს მსაჯულთა შერჩევის დროს სასურველი კანდიდატის გამოვლენაში.

ავტორიტარიზმი

ავტორიტარიზმი არის პირადი დამახასიათებელი თვისება, რომელიც გამოხატავს ინდივიდთა ანტიდემოკრატიულ ან ტოტალიტარულ ტენდენციას. ეს დამახასიათებელი თვისება ხშირად არის გათვალისწინებული ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეებზე. არსებობს ცხრა კომპონენტისაგან შემდგარი მოდელი, რომელიც დამახასიათებელია ავტორიტარული პიროვნებისათვის და რომელიც გვიქმნის ზოგად შთაბეჭდილებას ამ პიროვნების შესახებ. აღნიშნული კომპონენტებია:

1. კონვენციონალიზმი – საშუალო კლასებისათვის ნორმების მიღება და მათი ღირებულებების განმტკიცება;
2. ავტორიტარული დაქვემდებარება – მორჩილება ან დაქვემდებარება ძალაუფლების მქონე ადამიანების ბრძანებებისა და სურვილებისადმი;
3. ავტორიტარული აგრესია – სოციალური ღირებულებების ან ნორმის დამრღვევათა დასჯის სურვილი;
4. ხელის შეშლა – წარმოსახვითი და კრეატიული იდეების ან ქცევის ოპონირება;
5. ცრურწმენა და სტერეოტიპი – სტერეოტიპებისა და ცრუ შეხედულებისადმი ერთგულება, მაგალითად, ქსენოფობია და რასიზმი;
6. ძალაუფლება და სიმკაცრე – ძალაუფლებისა და სიმკაცრისადმი მიდრეკილება;
7. გამანადგურებლობა და ცინიზმი – ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობა;
8. პროგნოზირება – შეხედულება, რომ სხვებსაც იგივე გრძნობები, შეხედულებები და პერსპექტივები გააჩნიათ;
9. სექსუალურობა – გადაჭარბებული სექსუალური ღელვა.

ავტორიტარული პიროვნებისათვის დამახასიათებელი მოცემული კომპონენტები გვიხატავს სასარგებლო სურათს, თუ როგორები არიან ამგვარი ადამიანები. ავტორიტარული პიროვნებები, ხშირ შემთხვევაში, არიან პოლიტიკური თვალსაზრისით კონსერვატორები, რასისტები, მკაცრები და ძალაუფლების მოყვარული. სასამართლოში საქმის განხილვისას ავტორიტარული ნაფიცი მსაჯულები ხშირად დამნაშავედ ცნობენ ბრალდებულს, უფრო მეტად არიან ექსპერტი მოწმის ჩვენებისა და ნივთიერი მტკიცებულებების გავლენის ქვეშ. ამავდროულად, ამგვარი მსაჯულები უფრო შემწყნარებლები არიან იმ ბრალდებულის მიმართ, რომელთანაც ისინი მსგავსებას ხედავენ.

მნიშვნელოვანი დასკვნა, რაც შეიძლება გაკეთდეს, არის ის, რომ ავტორიტარული ნაფიცი მსაჯულები უმეტესად ბრალდების მხარისთვის არიან ხელსაყრელები. ისინი

წარმოადგენენ ბრალდების მხარის „ხერხემალს“. ამგვარი მსაჯულები ითავისებენ იმ ფაქტს, რომ პროკურორები წარმოადგენენ სახელმწიფოსა და ხალხის ლეგიტიმურ ძალაუფლებას – დასაჯოს კანონის დამრღვევი პირები. ადამიანები, რომლებიც ასოცირდებიან ბრალდების მხარესთან, არიან პოლიციისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები. ის ფაქტი, რომ მათ სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენს კანონის აღსრულება და საზოგადოების დაცვა, ამაღლებს ბრალდების მხარის პოზიციას ავტორიტარული ადამიანების თვალში. ამასთან, ავტორიტარული ნაფიცი მსაჯულები ნეგატიურად აღიქვამენ ბრალდებულს, რადგან მას ბრალი აქვს წაყენებული კანონის დარღვევისათვის და ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენს დაბალ სოციალურ-ეკონომიკურ ფენას და შესაბამისად, განსხვავებულია ნაფიც მსაჯულთა უმეტესობისაგან. უმეტეს შემთხვევაში ბრალდებულები არიან გარკვეული სექტის ან უმცირესობის წარმომადგენლები და ეს მახასიათებელი ავტორიტარებში იწვევს წინასწარ უარყოფით განწყობას ამგვარი პირების მიმართ.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში ავტორიტარული ნაფიცი მსაჯულები ბრალდების მხარის მიმართ არიან კეთილგანწყობილები, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამგვარი მსაჯულები ყოველთვის ბრალდების სასარგებლოდ იღებენ გადაწყვეტილებას. ადვოკატებმა ბრმად არ უნდა გაიზიარონ ის სტერეოტიპი, რომ ავტორიტარიზმი ნაფიც მსაჯულებს მათთვის არასასურველს ხდის. როგორც ცხრაკომპონენტიანი მოდელი ცხადყოფს, მისი შემადგენლობა რთულია. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ეს კომპლექსურობა, რათა განისაზღვროს რამდენად სასურველი ან არასასურველია ავტორიტარული ნაფიც მსაჯულთა კანდიდატები თქვენი პოზიციისათვის.

არსებობს გარკვეული გამონაკლისები ბრალდების მხარის მიმართ კეთილგანწყობილ ავტორიტარულ ნაფიც მსაჯულებს შორის. მაგალითად, ირანში, ოლივერ ნორფის საქმეზე („**crimes of obedience**“ – „უკანონო ან მორალურად გაუმართლებელი ქმედება ჩადენილი უფლებამოსილი პირებისადმი დაუმორჩილებლობის საპასუხოდ“), ბრალდებულმა მოიპოვა სიმპათია ავტორიტარულ ნაფიც მსაჯულთა შორის. ნორფის მოთხოვნის თანახმად, იგი ასრულებდა პრეზიდენტის დავალებას, რათა მიეწოდებინდა დახმრება ნიკარაგუას მოწინააღმდეგეებისათვის, რასაც მოჰყვა საპასუხო აკორდი ავტორიტარული ნაფიც მსაჯულების მხრიდან. ამასთან, ის ფაქტი, რომ იგი ასრულებდა მისი უშუალო ზედამხედველის მითითებებსა და ბრძანებებს ირანისათვის იარაღის მიყიდვის გასაიდუმლოების შესახებ, წარმოშვა უფრო მეტი სიმპათია ლეიტენანტ ქოლონელ ნორფის მიმართ პროკურორებთან შედარებით.

ისეთი საქმეები, რომლებიც შეეხება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან უსამართლო ქცევას (მაგალითად, გადაჭარბებული ძალის გამოყენებას ან პოლიციის მხრიდან უხეშობას), ხშირ შემთხვევაში, იწვევენ ავტორიტარული ნაფიცი მსაჯულების სიმპათიას ბრალდებულის მიმართ. ავტორიტარული ნაფიცი მსაჯულები გულდასმით იზიარებენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა განცხადებებს, რომ მათი მოქმედება იყო უბრალოდ პასუხი იმ ზომის ოდენობით, რაც აუცილებელი იყო კონკრეტულ სიტუაციაში. ის ფაქტი, რომ ბრალდებულები არიან პოლიციის წარმომადგენლები და პოლიციის სხვა თანამშრომლებს შეუძლიათ ჩვენების მიცემა ბრალდებულის სასარგებლოდ, ზრდის ნაფიც მსაჯულთა სიმპათიებს. ავტორიტარულ ნაფიც მსაჯულებს და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენ-

ლებს, ხშირ შემთხვევაში, გააჩნიათ მსგავსი შეხედულებები კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით. ეს მსგავსება ზრდის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ჩვენებებს ავტორიტარული ნაფიცი მსაჯულების თვალში.

ავტორიტარული ნაფიცი მსაჯულები ასევე იჭერენ ბრალდებულის სასარგებლო პოზიციას რასისტული მოტივით ჩადენილ დანაშაულებში (უმცირესობების მიმართ) და ზოგიერთ სექსუალური ხასიათის დანაშაულში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ავტორიტარული მსაჯულები არ უთანაგრძნობენ დანაშულის მსხვერპლს.. განსაკუთრებით მაშინ, როცა არსებობს მსხვერპლის თანხმობა ან თვითონ მსხვერპლი იყენებს საკუთარ თავს სარისკო სიტუაციაში, ავტორიტარული ნაფიცი მსაჯულები დაცვის მხარის სასარგებლო პოზიციას იზიარებენ. ზემოაღნიშნულ მაგალითებში პროკურორებს, რომლებიც ეყრდნობიან მათთვის სასარგებლო და მისაღებ ავტორიტარულ სტერეოტიპებს, შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი დაუსაბუთებელი აცილების უფლება.

პოტენციური ნაფიცი მსაჯულის ავტორიტარულობის ხარისხის გამოსავლენად, აუცილებელია ისეთი კითხვების დასმა, რომლებიც მიესადაგება ავტორიტარულ პიროვნებას. ისეთ შეკითხვებზე დადებითი პასუხები, როგორიცაა – „მიგაჩნიათ თუ არა, რომ მორჩილება და პატივისცემა ძალაუფლების მქონე ადამიანების მიმართ მთავარი ღირსებებია, რაც ბავშვებმა უნდა ისწავლონ?“ და „მიგაჩნიათ თუ არა, რომ უმჯობესია პოლიციას მიეცეს განუსაზღვრელი ძალაუფლება და უფლებამოსილება წესრიგის შენარჩუნების მიზნით?“ – არის ავტორიტარიზმის მაჩვენებელი. ამერიკაში, ზოგიერთი შტატის იურისდიქციაში სასამართლო არ აძლევს მხარეებს უფლებას, დასვან მსგავსი ზოგადი ხასიათის კითხვები. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია დაისვას ისეთი სახის კითხვები, როგორიც არის, *მაგალითად:*

„პოლიციელის ჩვენება უფრო სარწმუნო იქნება თქვენთვის სხვა მოწმეების ჩვენებებთან შედარებით?“

„მიგაჩნიათ თუ არა, რომ თუ ბრალდების მხარეს ექმნება პრობლემები სასამართლო პროცესზე მოწმის მოსაყვანად, ეს იმის მანიშნებელია, რომ ბრალდებული, სავარაუდოდ, დამნაშავეა?“

„მიგაჩნიათ თუ არა, რომ ბრალდებულმა უნდა მისცეს ჩვენება საკუთარი თავის დასაცავად?“

დაბოლოს, იურისტებმა, ნაფიც მსაჯულთა ავტორიტარიზმის გამოვლენისათვის უნდა შეადგინონ ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებიდან გამომდინარე სხვა კითხვებიც, რომელიც მიესადაგება მათ თეორიას.

სამართლიანობა

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ ადამიანთა ზოგადი შეხედულებები სამართლებრივ ურთიერთობებზე. სამართლიანობის თეორია გახლავთ ურთიერთობებში სამართლიანობის საკითხის ერთ-ერთი დამარეგულირებელი ფაქტორი. ის ეხება ადამიანების სამართლიან ურთიერთობებთან დაკავშირებულ მოსაზრებებს, კერძოდ, რას უნდა გასცემდნენ და რას უნდა იღებდნენ მხარეები ურთიერთობებიდან. სამართლიანობის თეორიის ფორმულირებით საერთო მახასიათებელია ის ფაქტი, რომ ადამიანებს არ უყვართ უსამართლობა და თუკი მიიჩნევენ, რომ ურთიერთობა უსამართლოა,

სამართლიანობის აღდგენის სურვილი უჩნდებათ.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევისას, მნიშვნელოვანია ვაღიაროთ, თუ რა ამოცანის გადაჭრა უხდებათ ნაფიც მსაჯულებს და როგორია მათი დამოკიდებულება სამართლიან ურთიერთობებთან, ან სამართლიანობასთან მიმართებაში. მხარეებს შორის სამართლიან ურთიერთობებთან დაკავშირებული შფოთვა აქტუალურია როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო საქმეების კონტექსტში, თუმცა სამოქალაქო სფეროში კიდევ უფრო თვალშისაცემია.

სისხლის სამართალში ნაფიცი მსაჯულები აფასებენ ნამდვილად ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა დანაშაული, რომელიც ბრალად წაუყენეს. შესაბამისად, ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა შეამოწმონ ურთიერთობები ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის. ნაფიცი მსაჯულები ხშირად შეშფოთებული არიან სამართლიანობის საკითხის გამო, მაგრამ მნიშვნელოვანია ვაღიაროთ კანონის მიერ დაწესებული შეზღუდვების ზეგავლენა. ჩვეულებრივ ნაფიც მსაჯულებს არ ეუბნებიან, რომ ისინი მოქმედებენ საზოგადოების სახელით და შესაბამისად, შეუძლიან სამართლიანობის საჭიროებიდან გამომდინარე გაამართლონ დამნაშავე ბრალდებული,– რასაც ნაფიც მსაჯულთა უუნარობას უწოდებენ. ზოგადად, ნაფიცი მსაჯულები ძლიერი ზეწოლის ქვეშ არიან, იმ შემთხვევაში, თუ მათი მოსაზრება სამართლიანობასთან დაკავშირებით და კანონის მოთხოვნა ურთიერთწინააღმდეგობრივია, ცხადია, თუკი სამართლიანობის საკითხები უკიდურესობამდე არ მიდის. დგება დილემა: ნაფიცი მსაჯული უნდა დაემორჩილოს კანონს თუ გადაწყვეტილება მიიღოს საკუთარი შეხედულებისამებრ.

ნაფიცი მსაჯულების შერჩევისას სამართლიანობის პრინციპის დაცვის შემთხვევაში 2 საკითხი წამოიწევს წინ. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, თუ როგორია ნაფიცი მსაჯულების განწყობა მოცემული მდგომარეობისადმი. მაგალითად, მიაჩნიათ თუ არა ნაფიც მსაჯულებს, რომ გაუპატიურების მსხვერპლთა ზოგიერთი ქმედება – მაგალითად, ბრალდებულის სახლში გაყოლა – ნიშნავს, რომ ის თავად დათანხმდა, ან გარკვეულწილად მან თავად შეუწყო ხელი, ან წინასწარ განსაზღვრა რისკი იმისა, რაც მოხდა? ნაფიც მსაჯულებს მიაჩნიათ, თუ არა ის ფაქტი, რომ ქალი თავად გაჰყვა ბრალდებულს სახლში, არ არის მის მიერ შეტანილი „წვლილი“ და არ ნიშნავდა ბრალდებულთან სექსუალური ურთიიერთობის დამყარებაზე თანხმობას?

მხარეთა „წვლილისა“ და მხარეთათვის „შედეგების“ შეფასება პოტენციური ნაფიცი მსაჯულების მხრიდან, გავლენას ახდენს იმაზე, თუ რას მიიჩნევენ სამართლიან, ან თანასწორ ურთიერთობებად. გაუპატიურების საქმის მაგალითში, პოტენციური ნაფიცი მსაჯული, რომელიც მიიჩნევს, რომ ბრალდებულის ბინაში ქალის ყოფნა მისი მხრიდან თანხმობას, ანდა რისკის შეფასებაზე მიუთითებს, სასარგებლო იქნება დაცვის მხარისათვის.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევასთან დაკავშირებული მეორე საკითხი უკავშირდება თავად პოტენციური ნაფიცი მსაჯულების მიერ სამართლიანი ურთიერთობების შეფასებას. როდესაც წინ არის წამოწეული თანასწორობის ან სამართლიანობის საკითხები, პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულებმა, რომელთათვისაც პრიორიტეტულია სამართლიანობა, შეიძლება განსხვავებული პასუხები გასცენ მათთან შედარებით, ვისთვისაც სამართლიანობა ნაკლებად მნიშვნელოვანია. ქვემოთ ჩამოთვლილი კითხვების დასმა შესაძლოა დაგეხმაროთ იმის გარკვევაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამართლიანობა პოტენციური ნაფიცი მსაჯულებისათვის.

რა უნდა გავითვალისწინოთ მსაჯულთა ზოგადი შეხედულებების განსაზღვრისას ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს:

- როგორია ნაფიც მსაჯულთა შეხედულება სამართლიანობისა და ავტორიტარიზმის შესახებ?როგორი იქნება ნაფიც მსაჯულთა რექაცია მოცემული საქმის გარემოებებზე?
- რა კითხვებით შეიძლება ნაფიც მსაჯულთა ამოცობა?
- რა კითხვების დასმა იქნება დასაშვები სასამართლოს მიერ?

კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული შეხედულებები

ინფორმაციის საბოლოო წყარო ეხება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებულ შეხედულებებს. კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული შეხედულებები განსხვავდება ზოგადი მოსაზრებებისაგან და ეს მოსაზრებები პირდაპირ უკავშირდება საქმის კონკრეტულ მახასიათებლებს. მაგალითად, საკითხებსა და თემებს, მხარეებს (პროკურორს/ადვოკატს), პოტენციურ მოწეებს, მტკიცებულებებს, არგუმენტებსა და მხარეთა ქცევის სტანდარტებს. კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული კითხვების ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მათი მეშვეობით უკეთესად შეიძლება ნაფიც მსაჯულთა ქმედებების წინასწარმეტყველება, ვიდრე ზოგად მოსაზრებებზე დაყრდნობით, ვინაიდან ისინი უფრო პირდაპირ უკავშირდებიან იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ.

კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული პოტენციურად გამოსადეგი მოსაზრებების განსაზღვრა საქმის დეტალური ანალიზის შედეგადაა შესაძლებელი. ანალიზი საშუალებას იძლევა მივიღოთ პასუხები შემდეგ კითხვებზე:

- რა არის საქმის თემა?
- რა ძირითად სამართლებრივ თუ ემოციურ პრობლემებთან ასოცირდება საქმე?
- საქმესთან დაკავშირებით წინასასამართლო ეტაპზე გაკეთებული პუბლიკაცია (თუ იყო ასეთი), მისი შინაარსი და თვალთახედვა?
- რა არის საქმის ძლიერი და სუსტი მხარეები?
- ვინ არიან მოწმეები, რომლებიც სასამართლო განხილვაში მიიღებენ მონაწილეობას?
- რა არის საქმის მონაწილე ორივე მხარის ძირითადი არგუმენტები?
- საჭიროა თუ არა, რომ შერჩევის სხდომის დროს დასმული შეკითხვები გამორიცხავდეს გარკვეული ფაქტების პოტენცირ უარყოფით ზეგავლენას?
- საქმის გარემოებებთან დაკავშირებით ხომ არ არსებობს რაიმე უჩვეულო, რაც საჭიროებს ნაფიც მსაჯულებთან ერთად ამ საკითხის განხილვას. მაგალითად როდესაც დიდი ფიზიკური აღნაგობის, შეიარაღებული მამაკაცი ირწმუნება, რომ შედარებით პატარა აღნაგობის, შეუიარაღებელი მამაკაცი თავდაცვის მიზნით მოკლა?

სისხლის სამართლის საქმეებში ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა კონკრეტული შეხედულებები შეიძლება გამომდინარეობდეს წინასასამართლო საჯაროობის ზეგავ-

ლენიდან. ასევე ეს შეზედულებები შეიძლება ეფუძნებოდეს თვითმხილველი მოწმის ჩვენების სანდოობას, სახელმწიფოს მიერ ოპერაციის შესასრულებლად „აგენტის“ გამოყენებას, ან და იმ მოწმეების სანდოობას, რომლებმაც აღიარეს იმავე საქმეში მონაწილეობა. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე სადემონსტრაციო კითხვა:

- „რაიმე ინფორმაცია ხომ არ მიგიღიათ საქმესთან დაკავშირებით რადიოს, ტელევიზიის, გაზეთის ან ინტერნეტის საშუალებით.“
- „მოკლედ გვიამბეთ ამ ინფორმაციის შესახებ.“
- „ხომ არ შეგექმნათ გარკვეული წორმოდგენა საქმის შესახებ თქვენს მეგობრებსა და თანამშრომლებთან საუბრის შედეგად? და რა წარმოდგენა შეგექმნათ?“

დაცვის მხარე: მიგაჩნიათ თუ არა, რომ თვითმხილველს შესაძლოა ზუსტად არ ახსოვდეს თუ რა მოხდა კონკრეტულ გარემოებებში? შეგიძლიათ მითხრათ, რა გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს თვითმხილველის მიერ გულწრფელი შეცდომის დაშვება ამბის გახსენებასთან დაკავშირებით?

ბრალდების მხარე: როგორი დამოკიდებულება გაქვთ დანაშაულის მონაწილე პირის დასაკავებლად „აგენტების“ გამოყენების მიმართ?

ბრალდების მხარე: სარწმუნო იქნება თუ არა თქვენთვის იმ მოწმის ჩვენება, რომელმაც აღიარებითი ჩვენება გააკეთა და დათანხმდა ჩვენება მიეცა იმავე საქმეში მონაწილე სხვა ბრლდებულების წინააღმდეგ?

სამართლებრივი მოსაზრებები

მოსახლეობის დიდ უმცირესობას გააჩნია მოსაზრებები, რომლებიც ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა სამართლებრივ და იურიდიულ პრინციპს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ გაიგოთ პოტენციური ნაფიცი მსაჯულების ცოდნა და მოსაზრებები ძირითადი სამართლებრივი პრინციპებისა და კანონების შესახებ. პოტენციური მსაჯულების სამართლებრივი მოსაზრებების გაცნობისას, საჭიროა დაადგინოთ ნებისმიერი არასწორი მოსაზრება უბრალოდ არასწორი გაგების შედეგია, თუ უფრო ღრმა რწმენას ეფუძნება. ეს უკანასკნელი შესაძლოა პოტენციური მსაჯულის მიერ სასამართლო მითითებების გაუთვალისწინებლობის მიზეზი გახდეს და შესაბამისად, პიროვნებამ მსჯელობა იმის მიხედვით გააგრძელოს, თუ, მისი აზრით, როგორი უნდა იყოს კანონი. პოტენციური მსაჯულების სამართლებრივი მოსაზრებების/ შეხედულებების შესახებ ინფორმაციის მიღება შესარჩევი სხდომის დროს სისტემური მიდგომის საშუალებითაა შესაძლებელი. ნაფიც მსაჯულთა სწავლება, იმისათვის, რათა უზრუნველვყოთ მათ მიერ სამართლებრივი სტანდარტების გათვალისწინება, უნდა განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი გამოავლენენ საკუთარ სამართლებრივ დამოკიდებულებებს. თუკი ვერ მოახერხებთ ნაფიც მსაჯულთა ნამდვილი მოსაზრებების გარკვევას მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხებებისა და ცნებების შესახებ, ეს შეიძლება გახდეს ნაფიცი მსაჯულის მიერ არაგულწრფელი ან პოლიტიკურად კორექტული პასუხის გაცემის საფუძველი და რეალურად არ გამოააშ-

კარაოს მათი საპირისპირო მოსაზრებები.

შესაბამისი სამართლებრივი პრინციპებისა და კანონების შესახებ ნაფიცი მსაჯულების შეხედულებების ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სისხლის სამართლის სფეროში მნიშვნელოვანია იცოდეთ პოტენციური მსაჯულების დამოკიდებულება ბრალდების მტკიცების ტვირთის, მტკიცების ხარისხის ან სტანდარტის შესახებ, ასევე უდანაშაულობის პრეზუმფციისა და ბრალდებულის ძირითადი უფლებების შესახებ. მაგალითად, დაცვის მხარის პოზიციიდან ბრალდებულის ჩვენებასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების გარკვევის მიზნით დასმული შეკითხვები შესაძლოა ასეთი შინაარსის იყოს:

- „მიგაჩნიათ თუ არა, რომ დანაშაულში ბრალდებულ პირს უნდა ჰქონდეს სურვილი გაგიზიაროთ მისი პოზიცია, თუ რა მოხდა?
- „როგორი დამოკიდებულება გექნებათ ბრალდებულის მიმართ, რომელმაც სასამართლოზე დუმილის უფლების გამოყენების გადაწყვეტილება მიიღო? ასეთ შემთხვევაში, ხომ არ ჩათვლით, რომ ბრალდებული რაღაცას მალავს?“

გაითვალისწინეთ, რომ ზემოთ მოყვანილი კითხვები არ გამოხატავს დაცვის პოზიციას, რომ ბრალდებულმა არ უნდა მისცეს ჩვენება, არამედ ისინი მიმართულია იმისკენ, რომ გაირკვეს პოტენციური ნაფიცი მსაჯულების რეაქცია ბრალდებულის მიმართ, რომელიც სარგებლობს დუმილის უფლებით.

ბრალდების მხარეს შესაძლოა აინტერესებდეს რას მიიჩნევენ ნაფიცი მსაჯულები მართებულად და რამდენად ფასეულია მათთვის ირიბი მტკიცებულება.

მაგალითად, „რაიმე პრობლემა ხომ არ გაქვთ იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდებული მხოლოდ ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე განსაჯოთ?“

როგორ გავარკვიოთ (გამოვავლინოთ) ნაფიცი მსაჯულების შეხედულებები სამართლებრივ საკითხებთან მიმართებაში:

- გამოავლინეთ შესაბამისი სამართლებრივი შეხედულებები.
- ნუ ეტყვით ნაფიც მსაჯულებს, რომელია მართებული სამართლებრივი მოსაზრება, ანდა პოზიცია.
- საშუალება მიეცით ნაფიც მსაჯულებს აღწერონ საკუთარი პოზიციები და მასთან დაკავშირებული წარმოდგენები.

პოტენციური ნაფიცი მსაჯულების შესახებ ხშირად მისი არავერბალური კომუნიაციის შესწავლით უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებთ, ვიდრე თავად კითხვებზე გაცემული პასუხებიდან.

ნაფიც მსაჯულთა არავერბალური კომუნიკაციის შესწავლა

მიზნები

- ნაფიცი მსაჯულების მიერ საკუთარი მოსაზრებებისა და მიდრეკილებების გამოვლენის შესწავლა არავერბალური ქცევის საფუძველზე.
- კომუნიკაციის ნორმალური ფორმებისაგან გადახვევების მნიშვნელობის გააზრება.
- ნაფიცი მსაჯულების შესარჩევად არავერბალური კომუნიკაციის ხერხების გამოყენების სტრატეგიების შემუშავება.

პოტენციური ნაფიცი მსაჯულების შეხედულებებისა და მიდრეკილებების შესაფასებლად, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რაზე მიგვანიშნებს ნაფიცი მსაჯული გარდა იმ პასუხებისა, რომელსაც შერჩევის სხდომის დროს ვისმენთ. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჩვეულებრივ, შერჩევის სხდომის წარმართვის ფორმა ნაფიცი მსაჯულების გულწრფელობასა და გულახდილობას აფერხებს. ამასთან, დამტკიცებულია, რომ პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულებმა შეიძლება სცადონ მოატყუონ მხარეები კითხვებზე გაცემული პასუხების მეშვეობით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შერჩევის პროცესი უმეტესწილად თავად ნაფიცი მსაჯულების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ემყარება, მხოლოდ პოტენციური მსაჯულების მიერ გაცემულმა პასუხებმა მათი ჭეშმარიტი გრძნობები და შეხედულებები შეიძლება არ გამოავლინოს.

არავერბალური კომუნიკაციის ტიპები

ადამიანებს შორის კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხერხი არ უკავშირდება მათი ნათქვამის შინაარსს, განსაკუთრებით, როდესაც საუბარია მათ შეხედულებებსა და ემოციებზე. კვლევების თანახმად, ადამიანთა მთლიანი კომუნიკაციის 60-65% ეგრეთ წოდებული არავერბალური კომუნიკაციის მეშვეობით მყარდება. ამ ტიპის კომუნიკაცია მოიცავს ჟესტებით, მიმიკებით გამოხატულ ქცევებს (არალინგვისტური სხეულის მოძრაობები) და პარალინგვისტურ ქცევებსა (საუბრის არაკონტექსტუალური ასპექტები). არავერბალურ კომუნიკაციაში ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ადამიანის მღელვარებას, განსაკუთრებით იმის დასადგენად, ტყუილს ამბობს თუ არა იგი. როდესაც ადამიანები ღელავენ საკითხის დელიკატურობის გამო, ზოგადად ნერვიულობენ, ანდა ცდილობენ მოიტყუონ, ამ დროს ისინი სხვადასხვა ტიპის ჟესტების, მიმიკებისა და პარალინგვისტური ქცევის ან მღელვარების სხვა სახით ამჟღავნებენ თავს.

ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების შერჩევის პროცესში ადვოკატებს/ პროკურორებს შეუძლიათ პოტენციური მსაჯულების შეხედულებები, გრძნობები და მიდრეკილებები არავერბალურ კომუნიკაციაში ნაგულისხმევი ინფორმაციის მეშვეობით ამოიცნონ. არსებობს ორი ტიპის არავერბალური ინდიკატორი, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა გრძნობებზე, ანდა მათ მიერ სიმართლის თქმის თავის არიდებაზე მიუთითებს: ვიზუალური ნიშნები (რასაც ვხედავთ) და სმენითი სიგნალები (რაც გვესმის). ვიზუალური და სმენითი ნიშნებისა და სიგნალების შესწავლისას რამდენიმე საკითხი უნდა გავით-

ვალისწინოთ. პირველ რიგში, არ არსებობს ე.წ. „პინოქიოს ეფექტი“ (ზღაპრულ გმირ პინოქიოს ტყუილის თქმისას ცხვირი ეზრდება), ერთი საყოველთაოდ ცნობილი ქცევა, რომელიც ასოცირდება მღელვარებასთან ან ტყუილის თქმასთან. მეორე, მართალია, განმარტებისათვის ამ ნიშნებსა და სიგნალებს ვითვალისწინებთ, მაგრამ რეალურად მსაჯულთა ქცევა ასე მარტივად გასაგები არა რის. არავერბალური ნიშნები ჩვეულებრივ სხვადასხვა ნიშნის კომბინაციისა და ერთობლიობის ფორმით მიუთითებს მოცემული ქცევის მნიშვნელობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ არც ერთ ეტაპზე პოტენციური მსაჯულის არავერბალური კომუნიკაციის ინტერპრეტაცია მხოლოდ ერთი მარტივი ნიშნის/ქცევის საფუძველზე არ განვახორციელოთ.

მესამე – ნაფიცმა მსაჯულებმა ინდივიდუალური ქცევები, ანდა ქცევათა ერთობლიობა სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება გამოავლინონ. მაგალითად, პოტენციური ნაფიცი მსაჯულის მიერ ხელების გულმკერდის არესთან გადაჯვარედინება შეიძლება მოსმენილისადმი მის არაკეთილგანწყობას გამოხატავდეს, ანდა უბრალოდ იმას, რომ კონდენციონერის გამო შესცივდა. პოტენციური ნაფიცი მსაჯულის ნამდვილი გრძნობების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად საჭიროა ყურადღებით დააკვირდეთ მთლიან პროცესს.

მეოთხე – როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, თუ რა უნდა მოვძებნოთ ნაფიცი მსაჯულის არავერბალურ კომუნიკაციაში, საჭიროა ყველაფერი თავიდან დავიწყოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა გავითვალისწინოთ პოტენციური ნაფიცი მსაჯულისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელი არავერბალური ქცევა. როგორ იქცევიან ნაფიცი მსაჯულები თავად შერჩევის სხდომის დროს? უშაუალოდ სხდომის დაწყებისას მათ ქცევაზე დაკვირვება ერთგვარ სახელმძღვანელო პრინციპად, ანდა ათვლის წერტილად შეიძლება გამოიყენოთ და მოახდინოთ მათ მომდევნო ქცევებთან შედარება. იცვლება თუ არა ნაფიც მსაჯულთა ქცევა იმის მიხედვით, თუ როგორ განვითარდება მოვლენები შერჩევის სხდომის დროს (რა კითხვებს უსვავენ, ანდა რა საკითხის განხილვა მიმდინარეობს სხდომაზე)? მაგალითად, ხომ არ ავლენს მსაჯული ნერვიულობის ნიშნებს, ანდა კითხვების დასმის დროს ხომ არ არის აჟიტირებული, ანდა ხომ არ ღელავს მხოლოდ მაშინ, როდესაც საუბრობენ რასობრივ ურთიერთობებზე, ანდა გარკვეულ რეფორმაზე? ხომ არ არის ნაფიცი მსაჯული რომელიმე მხარესთან უფრო კომუნიკაბელური, ვიდრე სხვებთან?

დაბოლოს, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მღელვარება და განზრახ მოტყუება შეიძლება ერთ ადამიანში სხვადასხვაგვარ რეაქციებს იწვევდეს. ნაფიცი მსაჯულების კანდიდატები შეიძლება მღელვარების ნიშნებს (მაგ., თვალის დახამხამების გახშირება, ან თვალის კონტაქტის არ დამყარება) მგრძნობიარე საკითხებთან მიმართებაში ავლენდნენ, მაგრამ, როდესაც საქმე ეხება კონკრეტულად შეცდომაში შემყვან ან მცდარ მოსაზრებებს, შესაძლოა უფრო მეტად შეეცადონ საკუთარი არავერბალური კომუნიკაციის კონტროლირებას (მაგ., წარმატებით შეინარჩუნონ თვალის კონტაქტი). ეს უკანასკნელი შეიძლება უკავშირდებოდეს ნაფიც მსაჯულთა სტერეოტიპებს მოტყუების წარმატებული ხერხების შესახებ, რადგან, მაგალითად, თვალის კონტაქტის დაკარგვა ტყუილის თქმასთან ასოცირდება. ნაფიც მსაჯულთა პასუხების ამოცნობის საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ განასხვაოთ მათი ქცევის

გადახვევები ტიპური ქცევიდან. სწორედ ტიპური ქცევიდან განსხვავებული ქცევა, ანდა ქცევათა ერთობლიობა ეხმარება პროკურორებს/ ადვოკატებს იმის გარკვევაში, რამდენად ემთხვევა ნაფიცი მსაჯულის ნათქვამი და მისი მოსაზრებები ერთმანეთს.

ვიზუალური ნიშნები: რას ვხედავთ

ნიშნების პირველი კატეგორია შედგება იმისაგან, რასაც პოტენციური ნაფიცი მსაჯულების ქცევაში ვხედავათ. მაგალითად, მათი მოძრაობა, პოზა და სახის გამომეტყველება. მნიშვნელოვანია 8 ტიპის ნიშანი:

- სხეულის მოძრაობა;
- სხეულის პოზა;
- სხეულის ორიენტაცია;
- უნებლიე ნიშნები;
- მხრების აჩეჩვა;
- თვალის კონტაქტი;
- სახის გამომეტყველება;
- თუნდაც უმნიშვნელო მიმიკა;

სხეულის მოძრაობა

ზოგადად, რაც უფრო ღელავს პოტენციური ნაფიცი მსაჯული, მით უფრო მეტ მოძრაობას აკეთებს. ეს მოძრაობები შესაძლოა მთელი სხეულის (მაგ., სხეულის პოზის შეცვლა) მოძრაობას, ანდა მხოლოდ ზოგიერთი ნაწილის მოძრაობას გულისხმობდეს (მაგ., წრიალი ანდა თითების ტკაცუნი). გაუჩერებელი მოძრაობა, რომელიც სხეულის მთელი მასის გადაადგილებას მოიცავს („ცქმუტვა“ ან „კრუნჩხვა“), მღელვარების, ან ნერვიულობის გამომხატველია და ერთგვარი ტრადიციული რეაქციაა „ცხელ სკამზე“ ჯდომისა.

ნერვული ენერგიის ან მღელვარების გაფანტვას ემსახურება უფრო სუსტი, შეუმჩნეველი მოძრაობები – ხელების ერთდროულად ხახუნი და სრესა, ანდა თითების გამუდმებით სკამის სახელურზე, წიგნზე, გაზეთზე, ან სხვა საგანზე კაკუნი. თითების ტკაცუნი და კაკუნი შესაძლოა ამავდროულად მოუთმენლობასაც გამოხატავდეს. სხეულის ამგვარი მოძრაობები ხშირად ტყუილის თქმის ინდიკატორია და პროკურორის/ადვოკატის მიერ დასმული შეკითხვებისადმი არადადებით დამოკიდებულებაზე მიუთითებს. ხელსახოცის, გულსაკიდის, სამაჯურის, საათის ანდა ბეჭდის წვალებასაც ანალოგიური ახსნა აქვს, თუმცა მღელვარების შედარებით მცირე მინიშნებაა.

მღელვარების სხვა ნიშნებია ე. წ. „ადაპტაციური“ მოძრაობები, როგორიცაა, მაგალითად, თავის მოქექვა, თმის მოქაჩვა ან დახვევა, ან უბრალოდ სახეზე ხელით შეხება. ხელით თმის ვარცხნა შესაძლოა ასევე მღელვარების გამომხატველი იყოს. აღელვებული ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები ხშირად ერთი ხელით უკან ივარცხნიან თმას, ანდა სწრაფი მოძრაობით გაიქნევენ თავს თმის გასწორების მიზნით. მღელვარების ნიადაგზე ხელით დავარცხნის მსგავსი მოძრაობების გაკეთებისას პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულებმა შესაძლოა ასევე დაიწყონ ტანსაცმლის „წვალება“,

ტანსაცმლიდან ნაცვეთის მოცილება ან უბრალოდ შეისწორონ ტანსაცმელი (კაბა, ქურთუკი, პერანგი ან ჰალსტუხი).

მაგრამ ზემოთ ხსენებული ყველა მოძრაობა აუცილებლად მღელვარების მანიშნებელი არ არის. მაგალითად, თავის მოქექვა შესაძლოა ასევე გაურკვევლობას, ყოყმანსაც ნიშნავდეს, განსაკუთრებით, თუკი ამ დროს თავი ერთ მხარეზე აქვს ადამიანს გადახრილი. ხელების მოჭერა თუ მღელვარებას გამოხატავს, ხელისგულების ერთმანეთზე წინ და უკან ხახუნი შესაძლოა თავდაჯერებულობის, ანდა რაღაც სასურველის მოლოდინის გამომხატველი იყოს. ხელისგულების შეერთება იმგვარად, რომ თითები ცისკენ იყოს მიმართული, მიანიშნებს საკუთარ პოზიციაში, ან/და ნათქვამში დაჯერებულობაზე. ამასთან, ექსპრესიული ჟესტები ან „ილუსტრაციური“ მოძრაობები, რომლებიც საუბრისას იქნა გამოყენებული, ზოგადად პროცესში მეტი ჩართულობის, ანდა მოხერხებულად გრძნობის გამომხატველია. ეს ნიშნები თუ ქცევები პოტენციური ნაფიცი მსაჯულების აღელვებულ რეაქციებში არ უნდა შეგვეშალოს.

სხეულის პოზა

ეს ნიშანი ინფორმაციის ორ წყაროს აერთიანებს – სხეულის სიმტკიცესა და ჟესტებს. ზოგადად, რაც უფრო მტკიცე სხეულის პოზიცია აქვს პოტენციურ მსაჯულს, მით უფრო მეტად ღელავს ის. სიმტკიცის ნიშნები მოიცავს გამართულ, გაშეშებულ პოზასა და დაძაბულ კუნთებს. ხელისა და თითების კუნთების დაძაბვის შედეგად, შეიძლება თითები გათეთრებულად გამოიყურებოდეს, როდესაც აღელვებული პირი ხელს სკამის სახელურებს ჰკიდებს, ანდა ხელებს გადააჯვარედინებს და მუხლებზე დაიდებს. მღელვარების შედარებით მცირე ნიშნებს წარმოადგენს სხეულის მცირე კუნთების ჯგუფის დაძაბვა, განსაკუთრებით სახის არეში.[35]

სიმტკიცე ასევე თვალშისაცემია, როდესაც შერჩევის სხდომისას კითხვების დასმის დროს თავისა და სხეულის ჩვეულებრივი მოძრაობების შესრულება არ ხდება. უმოძრაობა ასევე შეიძლება გამოიხატებოდეს ხელების, ფეხების გადაჯვარედინებით. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ ხსენებული ნიშნები პოტენციური ნაფიცი მსაჯულის არავერბალური კომუნიკაციის სხვა თვისებების ჭრილში განვიხილოთ. მაგალითად, გადაჯვარედინებული ხელები და თავდაჯერებული ღიმილი მოხერხებულობის, სიმშვიდის, ანდა თანხმობის მანიშნებელია. გადაჯვარედინებული ფეხები და ერთი ფეხის მცირედი მოძრაობა მოუთმენლობას, ანდა მობეზრებას გამოხატავს. ხელების ჯიბეებში ჩაწყობა, განსაკუთრებით მუშტებიანი ხელის, მღელვარებისა და ზოგჯერ დამალული მტრობის ამსახველია.

სხვადასხვა ჟესტის მეშვეობით შესაძლოა ასევე მივიღოთ ინფორმაცია პოტენციური ნაფიცი მსაჯულების გრძნობების შესახებ. თითების პირზე შეხება იმის მაუწყებელია, რომ ნაფიცი მსაჯული თავის ნამდვილ გრძნობებს მალავს, ანდა სურვილი არ

---

[35] ეს მოსაზრებები არა მარტო ნაფიც მსაჯულებზე, არამედ სხვა პირებზეც მოქმედებს. მაგალითად, ავიღოთ სამედიცინო გაუფრთხილებლობის მოტივით, საავადმყოფოს წინააღმდეგ წარმოებული საქმის განხილვა. დაიკითხა საავადმყოფოს ადმინისტრატორი, რომელმაც საავადმყოფოს სანდოობის და მიყენებული ზიანის მოცულობის შესახებ კითხვებზე მცირე, მაგრამ ინფორმაციული არავერბალური პასუხები გასცა. მისი პასუხები პირდაპირ მოსარჩელის საწინააღმდეგო არ იყო, მაგრამ პასუხისმგებლობისა და მიყენებული ზიანის საკითხების ხსენებისთანავე ის ყბის კუნთებს ძაბავდა, ხოლო, როდესაც კითხვები ნაკლებად მგრძნობიარე საკითხებსე ხებოდა, მაშინ ყბის ძარღვებს მოადუნებდა ხოლმე.

აქვს, რომ გამოავლინოს. პირზე მთლიანი ხელის მიფარება ნიშნავს, რომ მსაჯული ნათქვამში დარწმუნებილი არ არის, ანდა ნათქვამის გამო უხერხულად გრძნობს თავს. ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც თავს იქექავენ, შესაძლოა დასმული კითხვის შეფასებას ცდილობენ, ანდა ეჭვი ეპარებათ გაკეთებულ განცხადებაში (ტუჩების დაჭიმვა კიდევ უფრო გაძლიერებული რეაქციაა). ყელზე გახსნილი მტევნის მიდება გვიჩვენებს, რომ მსაჯული ამაღელვებელი სიტუაციიდან, საკითხისაგან ან პიროვნებისაგან, მაგალითად, დამნაშავე ბრალდებულისაგან თავის დაცვას საჭიროებს.

სხეულის პოზიციის უკანასკნელი ასპექტი „სარკის“ ეფექტის ცნებას ეხება. სარკის ეფექტი გულისხმობს, თუ რამდენად იმეორებენ ადამიანები მათ გარშემო მყოფი პირების (ანდა მოსაუბრის) სხეულის პოზიციებსა და მანერებს. სარკის ეფექტი ჩვეულებრივ მიანიშნებს დათანახმებას, დადებით რეაქციას მოსმენილზე, ან მოსაუბრე პირთან საკუთარი თავის იდენტიფიცირებას. პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულებმა შეიძლება გაიმეორენ პროკურორის/ ადვოკატის ან სხვა ნაფიცი მსაჯულის პოზა ან მანერა, თუკი ამ ადამიანის იდენტიფიცირებას ახდენენ, ანდა მათდამი დადებითად არიან განწყობილი. ნაფიც მსაჯულებს შორის ერთმანეთის ქცევის გამეორება შეიძლება მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ მათ შორის ურთიერთგაგებაა დამყარებული.ერთი მსაჯულის მიერ მეორის ქცევის გამეორება იმის მაუწყებელია, რომ, თუკი ერთად მოუხდებათ ნაფიც მსაჯულებად გამოსვლა, შესაძლოა მათ შორის ურთიერთთანამშრომლობა დამყარდეს.

მღელვარებისა და მოტყუების ვიზუალური ნიშნები	
წყარო	**ქცევათა ნიმუშები**
სხეულის მოძრაობა	პოზის ცვლილება, ხელების სრესა, ერთი და იგივე განმეორებითი მოძრაობები, ან „ადაპტაციური მოძრაობები“
სხეულის პოზა	უფრო მეტი სიმტკიცე და ნაკლები თავისა და სხეულის მოძრაობა
სხეულის ორიენტაცია	დაფარული ორიენტაცია, გადაჯვარედინებული ხელები და ფეხები, მომხსენებლისაგან უკან გადახრა
უნებლიე ნიშნები	შეკრული მუშტებით გადაჯვარედინებული ხელები, ანდა ფეხებზე დაწყობილი მოხრილი ხელები
მხრების აქაჩვა	მხრების აქაჩვა
თვალის კონტაქტი	ნაკლები ვიზუალური კონტაქტი და გახშირებული თვალის ხამხამი; გამონაკლისი: მტრული განწყობა და კულტურული ნორმებიდან გამომდინარე შემცირებული ვიზუალური კონტაქტი
სახის გამომეტყველება	შუბლის შეკვრა, სკეპტიკური გამომეტყველება, ხელოვნური ღიმილი („დაყენებული“ სიცილი)

თუნდაც უმნიშვნელო მიმიკა	სწრაფი (გაკვრითი) სახის გამომეტყველებები, რომლებიც ხშირად დომინანტურთან შეუთავსებელ გამომეტყველებას გამოხატავენ

სხეულის ორიენტაცია

მესამე ნიშანი ეხება პოტენციური ნაფიცი მსაჯულის სხეულის ორიენტაციას პროკურორის/ადვოკატის მიმართ. ზოგადად, სხეულის ორიენტაცია გულისხმობს მსმენელის სხეულის წინა ნაწილის მიმართებას მოსაუბრესთან. ღია ორიენტაციისას მსმენელის სხეული მოსაუბრისაკენ არის „მოხრილი“. ნაფიცი მსაჯულის ღია ორიენტაცია ჩვეულებრივ იმაზე მეტყველებს, რომ მსაჯული არ ღელავს, დადებითად არის განწყობილი მოსაუბრის მიმართ ან ეთანხმება მოსაუბრის პოზიციას. ძირითადად, ღია ორიენტაციისას მსმენელი თავისუფლად ზის, ისე როგორც იმ ადამიანების გარემოცვაში, ვისთანაც კომფორტულად გრძნობს თავს. აქედან გამომდინარე, მოსაუბრის მიმართ მსმენელის სხეულის გადახრის კუთხის ხარისხი მიუთითებს ურთიერთობის „დახურულ“ ხასიათზე, ანდა მოსაუბრის, ან მისი პოზიციის მიმართ წინააღმდეგობაზე. დახურული ორიენტაცია შესაძლოა განსაკუთრებით ინფორმატიული იყოს, როდესაც ერთი ან მეორე მხარის მიმართ ორიენტაციას ასახავს.

ორიენტაციის ამ მახასიათებელთან მიმართებაში ასევე მნიშვნელოვანია დაკვირვება ნაფიცი მსაჯული „დაცვით“ პოზიციაში ხომ არ ზის. კიდურების გადაჯვარედინება ორიენტაციასთან კომბინაციაში პროკურორის/ადვოკატის მიმართ დახურულ პოზიციაზე მიუთითებს. ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც ამგვარად გადაიჯვარედინებენ ხელებს, ამჟღავნებენ მხარის მიმართ წინააღმდეგობას ან მტრულ დამოკიდებულებას.

სარკისებური ეფექტის მსგავსად, სხეულის ორიენტაცია გვაწვდის ინფორმაციას პოტენციური ნაფიცი მსაჯულების ერთმანეთთან სავარაუდო ურთიერთობის შესახებ. პოტენციურ ნაფიც მსაჯულთა ქცევა დერეფანში, შესვენებებისა და შერჩევის სხდომის დროს, მათ ურთიერთობაზე მეტყველებს. როდესაც რამდენიმე ნაფიცი მსაჯული ჯგუფად დგას და სხეული ჯგუფის ცენტრისაკენ აქვთ მიმართული, ჯგუფი „დახურული“ ხასიათისაა. ეს ექსკლუზიური ურთიერთობა განსაკუთრებით შესამჩნევია, როდესაც ამ ჯგუფის მახლობლად სხვა პოტენციური ნაფიცი მსაჯულებიც დგანან, თუმცა ჯგუფში არ შედიან. პოტენციურ ნაფიც მსაჯულთა ორიენტაციით შესაძლებელია სხდომაზე მათი დამოკიდებულებები განვსაზღვროთ. როდესაც რამდენიმე პოტენციური ნაფიცი მსაჯული ერთად დგას, სხვა მსაჯულები ერთგვარად „თამაშგარე“ მდგომარეობაში არიან და მათი სხეულები ან პირდაპირ არის მიმართული, ანდა ამ პოტენციური ნაფიცი მსაჯულებისაგან განსხვავებულ მხარეს.

დაბოლოს, მოსაუბრის ან მის საწინააღმდეგოდ გადახრა გვიჩვენებს პროკურორის/ადვოკატის, ან დასაცავი პირის მიმართ მსმენელის ინტერესის ხარისხს. ზოგადად, ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც წინ არიან გადახრილი, ინტერესს ყურადღებას, ან თანხმობას გამოხატავენ, მაგრამ ეს პროკურორისათვის/ ადვოკატისათვის აუცილებლად დადებითი ნიშანი არ არის. მტრულად განწყობილი პოტენციური ნაფიცი მსაჯული, რომლის წინ გადახრილი პოზიცია მხარის მიმართ ყურადღებაზე

მიუთითებს, რეალურად შეიძლება უფრო საბრძოლო ინტერესს გამოხატავდეს და არა დადებით დამოკიდებულებას. მეორე მხრივ, ნაფიცი მსაჯულის უკან გადაწევა ჩვეულებრივ საკითხისადმი ნაკლებ ინტერესს ან საკითხის მიუღებლობას გამოხატავს. ეს უკანასკნელი ნიშანი შეიძლება ასევე ასახავდეს ნათქვამის ან მიღებული გადაწყვეტილების მიმართ კომფორტულ დამოკიდებულებას. მაგრამ ორივე შემთხვევა მაინც იმაზე მიუთითებს, რომ ნაფიცი მსაჯული ნაკლებად ყურადღებით არის განწყობილი.

უნებლიე ნიშნები (სიმბოლოები)

ნიშნები არის ჟესტები, რომლებიც სიტყვების ნაცვლად გამოიყენება. თავის დაქნევა (დასტურის ნიშნად) ან გაშლილი ხელის ყურის უკან მიდება (არ მესმის/ცოტა მაღალი ხმით თქვით) ადამიანს სიტყვების გარეშე საკუთარი განზრახვის გამოხატვაში ეხმარება. ისევე როგორც არსებობს „სიტყვის წამოცდენა“, შეიძლება არსებობდეს „უნებლიე ჟესტები“ ან „უნებლიე ნიშნები“.

„უნებლიე ნიშნებიდან“ ინფორმაციის მიღების მთავარი საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც წესი, ეს ნიშნები ჩვეულებრივ მხედველობის ვიწრო ფარგლებს გარეთ იჩენს თავს (და ხშირად მხოლოდ ნაწილობრივად). მაგალითად, ისეთი ნიშანი ან ჟესტი, როგორიცაა შეკუმშული მუშტი, ანდა აკანკალებული ხელი, ხშირად სხეულის წინ, ანდა სხეულისაგან მოშორებით ფიქსირდება და მტრული განწყობის, ანდა გაბრაზების გამოხატვაა. ჩვეულებრივ, მსგავსი ნიშნების გამოყენება შერჩევის სხდომისას არ არის მართებული. ამისგან განსხვავებით, იდაყვთან მიტანილი შეკუმშული მუშტი ნაკლებად შესამჩნევია, თუმცა ისიც ნაფიცი მსაჯულის ნამდვილ მტრულ დამოკიდებულებას გამოხატავს.

მხრების აქაჩვა

პასუხის გაცემისას მხრების აქაჩვა შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ (ტყუილის თქმით გამოწვეული) მღელვარების გამო მოპასუხე არ არის საკუთარ თავში დარწმუნებული, უხერხულად ან დაბნეულად გრძნობს თავს. მხრების აქაჩვა შესაძლოა ნაფიცი მსაჯულის მიერ დასმული შეკითხვის კვალიფიცირებას ასახავდეს. პოტენციური ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც ბრალდებულის სავარაუდო უდანაშაულობასთან ან მიყენებული ტკივილის, ან ტანჯვის კომპენსაციის კითხვაზე პასუხის გაცემის დროს ქაჩავენ მხრებს, ფაქტობრივად პროკურორებს/ადვოკატებს ეუბნებიან იმას, რომ ისინი დარწმუნებული არ არიან, ან არ ეთანხმებიან მათ ნათქვამს. ამ ინფორმაციის ცოდნა მნიშვნელოვანია, რათა შევაფასოთ რამდენად სასურველია კონკრეტული ნაფიცი მსაჯულის არჩევა.

ნაფიცი მსაჯულის მიერ მხრების აქაჩვა შეიძლება ასევე მიანიშნებდეს, რომ ის ვალდებული არ არის გაითვალისწინოს მოსმენილი. ამ პირობებში, პოტენციური ნაფიცი მსაჯული მხარეს ფაქტობრივად ეუბნება, რომ სიტყვიერად ეთანხმება მოსმენილს, თუმცა ამ თანხმობამ შეიძლება არანაირი გავლენა არ იქონიოს მის გადაწყვეტილებე-

ბზე. დაბოლოს, მხრების აქაჩვა შეიძლება ასევე საკითხის მიმართ ინდიფერენტული დამოკიდებულების გამოხატულება იყოს, როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ნაფიცი მსაჯული ამჩნევს, რომ პოლიცია ზოგჯერ აჭარბებს საკუთარ უფლებამოსილებას პოტენციურ სამართალდამრღვევებთან მიმართებაში.

ვიზუალური კონტაქტი

შერჩევის სხდომისას პოტენციური ნაფიცი მსაჯულის მცდელობა ან უნარი, დაამყაროს და შეინარჩუნოს ვიზუალური კონტაქტი, შესაძლებელია მისი მღელვარების დონის საზომი იყოს. თუკი პროკურორს/ადვოკატს და პოტენციურ ნაფიც მსაჯულს შორის ურთიერთობა დაძაბული ან მღელვარეა, დროთა განმავლობაში ეს დაძაბულობა კიდევ უფრო გაიზრდება. დაძაბულობის ზრდაზე პოტენციური ნაფიცი მსაჯულების რეაქცია კი ვიზუალური კონტაქტის დარღვევა (თვალის არიდების, ან დახამხამების ფორმით) იქნება. ვიზუალური კონტაქტის გაწყვეტის შემდეგ დაძაბულობის დონე დროებით შემცირდება და მოგვიანებით ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ კვლავ აღადგინონ თვალის კონტაქტი პროკურორთან/ ადვოკატთან. მღელვარების არარსებობის შემთხვევაში, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატს შეუძლია „შეინარჩუნოს საშუალოდან მაღალ დონემდე ვიზუალური კონტაქტი პროკურორთან/ადვოკატთან.. იგივე დამოკიდებულება ვრცელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ნაფიცი მსაჯულის კანდიდატი დადებითად არის განწყობილი მხარის მიმართ, ანდა აინტერესებს რის თქმას აპირებს იგი. თუმცა, როდესაც პოტენციური ნაფიცი მსაჯული აღელვებულია (შესაძლოა იმის გამო, რომ ტყუილს ამბობს), შეიძლება დავაფიქსიროთ ვიზუალური კავშირის შეწყვეტა და პოტენციური ნაფიცი მსაჯულის მიერ მნიშვნელოვან მომენტში თვალის არიდება ან/და დახამხამება.

ვიზუალურ კონტაქტსა და მღელვარებას შორის არსებული კავშირის ცოდნა პროკურორს/ადვოკატს საშუალებას აძლევს გაითვალისწინოს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. ინარჩუნებენ, თუ არა ვიზუალურ კონტაქტს პოტენციური ნაფიცი მსაჯულები პროკურორთან/ადვოკატთან კითხვებზე პასუხის გაცემის დროს, თუ მნიშვნელოვან მომენტში არიდებენ თვალს? მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეში, ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემისაგან თავის შეკავებაზე, ნაფიცი მსაჯულის პასუხია: „ამ ფაქტს ბრალდებულის საწინააღმდეგოდ არ გამოვიყენებ (ნაფიცი მსაჯული თვალს არიდებს ადვოკატს), თუკი ბრალდებული თავს იკავებს ჩვენების მიცემისაგან თავდაცვის მიზნით (და ამ დროს მსაჯული აღადგენს ვიზუალურ კონტაქტს)“, პასუხის ბოლოს თვალის არიდება ნაფიცი მსაჯულის მღელვარებაზე მეტყველებს. ხომ არ ახშირებს პოტენციური ნაფიცი მსაჯული თვალის დახამხამებას რომელიმე კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გაცემისას, ან როდესაც პროკურორი/ადვოკატი უსვამს რომელიმე კონკრეტულ შეკითხვას? შეუძლია, თუ არა პოტენციურ ნაფიც მსაჯულს შეინარჩუნოს ვიზუალური კონტაქტი გამოკითხვის პროცესში? თუკი პოტენციური ნაფიცი მსაჯული ვერ მოახერხებს ვიზუალური კონტაქტის შენარჩუნებას, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ მსაჯული მხარისათვის სასარგებლო/ სასურველი კანდიდატურა არ არის.

ვიზუალურ კონტაქტსა და მღელვარებას შორის არსებული ზემოთ ხსენებული

კავშირიდან 3 გამონაკლისი არსებობს: პირველი – მყარი ვიზუალური კავშირი ჩვეულებრივ ნაფიცი მსაჯულის საკუთარი თავის თავისუფლად გრძნობას ან დაინტერესებას მიანიშნებს, მაგრამ გადაჭარბებული კავშირი შესაძლოა მტრული დამოკიდებულების მაჩვენებელი იყოს. ამ ფენომენს უკავშირდება გამოთქმა „შეიცანი მტერი შენი“ (მაგ., „არ მომწონხარ და ამიტომ თვალს გადევნებ“). მეორე – გადამეტებული ვიზუალური კონტაქტი ასევე ასოცირდება მოტყუების ან ნამდვილი გრძნობების დაფარვის მცდელობასთან. როგორც წესი, როდესაც ნაფიცი მსაჯული მოტყუებას ან არასწორი ინფორმაციის გადმოცემას ცდილობს და მიაჩნია, რომ დაჟინებული მზერა მას უფრო სარწმუნოდ გამოაჩენს, ამის გამო მან შეიძლება განგებ გადამეტებული ვიზუალური კავშირი დაამყაროს. მესამე – სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვა დონის ვიზუალური კავშირია მიზანშეწონილი. მაგალითად, ესპანური და აზიური წარმომავლობის ნაფიცი მსაჯულების კანდიდატებმა შეიძლება ნაკლები ვიზუალური კავშირი დაამყარონ, რაც ძალიან მარტივად აიხსნება მათი კულტურული კუთვნილებით.ეს გამონაკლისები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ საჭიროა ყველა ვერბალური და არავერბალური ნიშანი ერთად განიხილოთ, რათა სწორედ შევაფასოთ ნაფიცი მსაჯულის კანდიდატის რეალური გრძნობები და შეხედულებები.

სახის გამომეტყველება

სახის გამომეტყველება, სავარაუდოდ, სწორედ ის ნიშანია, რომელსაც ადამიანები ყველაზე მეტად ენდობიან ურთიერთობისას. შუბლის შეჭმუხნა, გაღიმება, შეშფოთებული გამოხედვა, სკეპტიკური ან ეჭვიანი გამომეტყველება არსებული სიტუაციის, ან პიროვნების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. სახის გამომეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ სოციალიზაციის პროცესში, ადამიანები ყველაზე უკეთესად, სხვა არავერბალური კომუნიკაციის ასპექტებთან შედარებით, სწორედ სახის გამომეტყველების კონტროლირებას სწავლობენ. ნაფიცი მსაჯულის კანდიდატი შეიძლება იღიმებოდეს, ანდა დაინტერესებას გამოხატავდეს მაშინაც კი, როდესაც მისი გრძნობები არ შეესაბამება ამ გამომეტყველებას. თუმცა, თუკი ნაფიცი მსაჯულის კანდიდატი განსაკუთრებით დახელოვნებული არ არის არავერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებში, რეალურ გრძნობებსა და გამომეტყველებას შორის არსებულ შეუსაბამობას რაიმე ფორმით მაინც გამოავლენს ორ ასპექტში: თავად სახის გამომეტყველებასა და სხეულის სხვა ნიშნებთან შეუსაბამობაში.

პოტენციური ნაფიცი მსაჯულების სახის გამომეტყველებამ შეიძლება რამდენიმე გზით ამხილოს (გასცეს) მათი „დამალული“ გრძნობები. პირველ რიგში, სახის გამომეტყველების ხარისხით. მიუხედავად იმისა, რომ ტყუილის დადგენის რაიმე ძლიერი და სწრაფი წესები არ არსებობს, „დაყენებული“ (ხელოვნური) ღიმილი, რომელიც მოცემული სიტუაციისათვის შეუფერებელზე მეტხანს გრძელდება, ტყუილის ან შენიღბულობის გამოვლენაა. ნაფიცი მსაჯულები ხშირად იყენებენ ღიმილს ნამდვილი გრძნობების შესანიღბად. ხელოვნური ღიმილი უფრო ხანგრძლივია, გულწრფელი ღიმილი კი ბუნებრივად უჩინარდება სიტუაციის ან გრძნობების ცვლილების პარალე-

ლურად. ხელოვნური ღიმილი გვიჩვენებს, თუ რამდენად შეუძლია ნაფიც მსაჯულს საკუთარი თავის კონტროლირება და უემოციო, დაყენებული სახის შენარჩუნება, მაშინ როდესაც კონკრეტულ სიტუაციაში საწინააღმდეგო რეაქცია უნდა ჰქონდეს. მაგალითად, როდესაც პროკურორი/ადვოკატი შემთხვევით უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებს უარყოფითად განწყობილ ნაფიც მსაჯულს, ნაფიცმა მსაჯულმა შეიძლება ხელოვნური ღიმილის მეშვეობით დაფაროს მხარის მიმართ საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება.

ამასთან, არაგულწრფელი სახის გამომეტყველება ხშირად ასიმეტრიულია და გულწრფელი ღიმილისაგან განსხვავებით, მთელ სახეზე არ ვრცელდება. არსებობს გამოთქმა „მრუდი (ცალყბა) ღიმილი“. ასეთი ღიმილის დროს ტუჩები მხოლოდ ერთ ბოლოშია ერთად აზიდული მაღლა, ხოლო ტუჩების მეორე ბოლო უმოქმედოდ, ჰორიზონტალურ პოზიციაში, ანდა უმნიშვნელოდ დაბლაა დაწეული, შეჭმუხნილი.

დაბოლოს, რეალური გრძნობების გამოაშკარავება ნაფიცი მსაჯულის სხვა არავერბალური ნიშნების მეშვეობითაც ხდება. გამოაშკარავებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სახის გამომეტყველება სასურველ ეფექტს ასახავს, ხოლო სხეულის ნიშნები მის საპირისპირო გზავნილებს გვაწვდიან. მაგალითად, პროტენციური ნაფიცი მსაჯული შესაძლოა სიტყვიერად გამოხატავდეს მხარის მიმართ სამართლიანი მოპყრობის სურვილს, ხოლო სახის გამომეტყველება ნეიტრალური, ანდა დადებითი ჰქონდეს. ამავდროულად სხეულის ნიშნები შესაძლოა წინააღმდეგობას, ანდა მღელვარებას გამოხატავდეს გადავჯვარედინებული ხელებისა და დახურული ორიენტაციის მხრივ. როგორც მოგვიანებით განვიხილავთ, არავერბალური ნიშნების თავსებადობის ხარისხი ნაფიცი მსაჯულის ჭეშმარიტი გრძნობების გამოვლენის ძირითადი ფაქტორია.

არსებობს ერთი ტიპი პოტენციური ნაფიცი მსაჯულებისა, რომლებიც ყველაზე დიდ მნიშვნელობას სახის გამომეტყველებებს ანიჭებენ. „მოღიმარ“ ნაფიც მსაჯულს, შერჩევის სხდომის დროს, პროკურორის/ადვოკატის მიერ კითხვების დასმის პროცესშიც ღიმილი აქვს სახეზე და შთაბეჭდილებას ქმნის, რომ მხარის მიმართ დადებითად არის განწყობილი. მაგრამ რეალურად ეს ასე არ არის. შერჩევის შემდეგაც ეს ნაფიცი მსაჯული პროკურორს/ ადვოკატს სასამართლო განხილვაზე ღიმილით ეგებება და აგრძელებს ისეთი შთაბეჭდილების მოხდენას, თითქოს კვლავ დადებითად არის განწყობილი. მას შემდეგ, რაც ნაფიცი მსაჯულები კლიენტის საწინააღმდეგო ვერდიქტს გამოიტანენ, ნაფიცი მსაჯული კვლავაც გააგრძელებს ღიმილს (და მხოლოდ მოგვიანებით გაირკვევა, რომ კლიენტის საწინააღმდეგო პოზიცია ჰქონდა).

პოტენციური ნაფიცი მსაჯულის ხელოვნური ღიმილის გამოვლენის მთავარი გასაღები მისი არავერბალური ნიშნების ურთიერთთავსებადობის შემოწმებაში მდგომარეობს. ახლავს თუ არა ნაფიცი მსაჯულის ღიმილს თვალის გარე კუთხეებში ნაოჭები, ან სხვა ნიშნები, როგორც ეს გულწრფელი ღიმილის დროს უნდა იყოს? ხომ არ შეინიშნება თვალებში სისველე, როგორც ეს დადებითი გრძნობების შემთხვევაში უნდა იყოს ან, პირიქით, ხომ არ არის გამოხედვა ცივი? არის თუ არა ღიმილი ასიმეტრიული (მაგ., ტუჩების ერთი მხარე მაღლაა მიმართული, როდესაც მეორე მხარე უმოძრაოდ, დაბლაა დახრილი)? არის თუ არა ღიმილი სხვა არავერბალურ ნიშნებთან, როგორიცაა სხეულის ორიენტაცია და პოზა, თავსებადი? ყოველთვის უფრთხილდით პოტენციურ ნაფიც მსაჯულს, რომელიც იღიმება, მაგრამ სხეული სხვა მხარეს აქვს მიმართული და მტკიცე პოზას ინარჩუნებს!

სახის უმნიშვნელო მიმიკა

სახის გამომეტყველებების განსაკუთრებული კლასს ,,სახის უმნიშვნელო მიმიკად" მოიხსენიებენ. სახის უმნიშვნელო მიმიკა ძალიან ხანმოკლე და სწრაფია, იმდენად, რომ წამის მეასედებით იზომება. სახის უმნიშვნელო მიმიკა ასახავს უნივერსალურ ემოციებს, მათ შორის მოწყენას, ბედნიერებას, შიშს, გაბრაზებას, ზიზღს, თანხმობასა და გაკვირვებას. სახის უმნიშვნელო მიმიკა დომინანტურ გამომეტყველებებთან არათავსებადია და ინდივიდუალური პირის მიერ ამ გამომეტყველებების დათრგუნვას ასახავს. მაგალითად, თუკი შენელებულ რეჟიმში ვუყურებთ ჩანაწერს, რომელშიც ასახულია მოღიმარი ადამიანი, რომელიც ბედნიერი არ არის, სახის უმნიშვნელო მიმიკამ შეიძლება გამოავლინოს მოწყენილი ან გაბრაზებული გამომეტყველება, რომელიც დომინანტური მოღიმარი გამომეტყველების მიღმა იმალება. სახის უმნიშვნელო მიმიკის დადგენა რთულია მისი სწრაფი ხასიათის გამო, მაგრამ ითვლება, რომ სწავლების შედეგად შესაძლებელია ადამიანმა გაიუმჯობესოს ამგვარი გამომეტყველებების ამოცნობის უნარი. სახის უმნიშვნელო მიმიკამ შეიძლება ქვეცნობიერ დონეზეც იქონიოს გავლენა და პროკურორის/ადვოკატის მხრიდან ნაფიცი მსაჯულის მიმართ ინტუიტიური განწყობის ჩამოყალიბების წყარო გახდეს, მაშინ როდესაც პროკურორს/ადვოკატს დადებითი ან ნეგატიური რეაქცია აქვს ნაფიც მსაჯულზე, მაგრამ არ შეუძლია ამ გრძნობის ობიექტური საფუძველის ახსნა.

სმენითი ნიშნები: რა გვესმის

ნიშნების მეორე კატეგორია მოსმენილ ინფორმაციაზე, ანუ სმენით ნიშნებზე აკეთებს აქცენტს. ქვემოთ ჩამოთვლილია 8 სმენითი ნიშანი, რომლებიც მღელვარებაზე, ანდა ტყუილზე მიუთითებს:

- წყვეტილი საუბარი;
- შეყოვნებული საუბარი;
- აღმავალი ტონალობა;
- საუბრის მოცულობა;
- საუბრის სიჩქარე;
- ხმის ტონი;
- დაძაბული სიცილი;
- საუბრისას გამოყენებული სიტყვები (სიტყვების შერჩევა).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ნიშნების უმეტესობა მოცემულ სიტუაციაში პოტენციური ნაფიცი მსაჯულის ჩვეულებრივი ქცევისაგან განსხვავებულ ქცევას ასახავს.

წყვეტილი საუბარი

პოტენციური ნაფიცი მსაჯულის საუბრის ჩვეულებრივი მანერიდან გადახვევა და საუბრის წყვეტა შეიძლება მღელვარების მიმანიშნებელი იყოს. პოტენციური

ნაფიცი მსაჯულის მღელვარების ზრდასთან ერთად კი იზრდება საუბრის წყვეტის სიხშირე. შეწყვეტას შეიძლება შეჩერების ხასიათი ჰქონდეს და თან ახლდეს ისეთი ნიშნები, როგორიცაა: „მმმმმ“, „უუუფ“, „ისა“. მაგალითად, „თქვენი აზრით, შეძლებთ გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანას, თუკი პროკურორი ვერ შეძლებს იკისროს მტკიცების ტვირთი?“ ქვემოთ მოცემულ ორ პასუხში სხვადასხვა დონის მღელვარება გამოიხატება:

– *„ვფიქრობ, შევძლებ ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობას“* (უწყვეტი პასუხი).

– *„ვფიქრობ, მმმმმ... შევძლებ, მმმმმ..., ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობას“* (წყვეტილი პასუხი).

მეორე პასუხში წყვეტა იმის მაჩვენებელია, რომ მეორე პოტენციური ნაფიცი მსაჯული პირველთან შედარებით უფრო ღელავს. საუბრის წყვეტა შეიძლება ასევე გამოიხატებოდეს პასუხის დროს ერთი და იმავე სიტყვების გამეორებით, მაგალითად, *„ვფიქრობ, რომ (მცირე პაუზა), ვფიქრობ, შევძლებ ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობას“.*

დაბოლოს, პოტენციური ნაფიცი მსაჯულის საუბრის წყვეტა ან გავლენა შეიძლება გამოიხატოს დაუსრულებელი სიტყვების გამოყენებით და წინადადებების არდასრულებით. წინადადებების არდასრულება შეიძლება მღელვარებას გამოხატავდეს. მაგალითად, როდესაც ნაფიცი მსაჯულის სავარაუდო პასუხი ასეთია: „ვფიქრობ შევძლებ ბრალდებულის სამართლიანად განსჯას“, ეს ნიშნავს, რომ იგი არ ღელავს. ხოლო აღელვებული მსაჯულის პასუხი შეიძლება იყოს შემდეგი: „ვფიქრობ,შევძლებ...“ პაუზა და შემდეგ გაგრძლება „ბრალდებულის სამართლიანად განსჯას“. წყვეტა შეიძლება ასევე დაფიქსირდეს, როდესაც მსაჯული დაიწყებს წინადადებას, შეჩერდება და შემდეგ ახალი წინადადების თქმას დაიწყებს, როგორც პასუხში იყო: „ვფიქრობ, სამართლიანობა მნიშვნელოვანია“. დაუსრულებელი წინადადების ან ახალი წინადადების დაწყების გაგების მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, თუ როგორ დაასრულებს ნაფიცი მსაჯული წინადადებას. პროკურორი/ადვოკატი პოტენციური პრობლემების არსებობის შესახებ იმ შემთხვევაში უნდა დაფიქრდეს, თუკი მსაჯული თავს არიდებს გარკვეული სიტყვების გამოყენებას, ანდა პასუხის დასრულებამდე უცებ გაჩუმდება.

შეყოვნებული საუბარი

შეყოვნებული საუბარი არის პაუზები ნაფიცი მსაჯულის პასუხებში. საუბარში შეყოვნებები პოტენციური მსაჯულის მღელვარების მატების პარალელურად ხშირდება. პაუზას ასევე იყენებენ ტყუილის თქმის დროს, ტყუილის მოსაფიქრებლად და საკონტროლებლად. პაუზა შეიძლება საუბრის დაწყებამდე იყოს, მაგალითად, „(პაუზა) ჯარიმის დაკისრებას არ მოვერიდებოდი“. რაც შეეხება საუბრის წყვეტას, პაუზებს ან შეჩერებებს, შეიძლება ისინი პასუხის გაცემი დროს დაფიქსირდეს, მაგალითად, „არ მოვერიდებოდი (პაუზა).... ჯარიმის დაკისრებას“. ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მოვუსმინოთ და ყურადღება მიაქციოთ რაზე მიანიშნებს საუბრის შეყოვნება, რათა გამოვავლინოთ პოტენციური ნაფიცი მსაჯულის შეხედულებები.

ზოგიერთი შეკითხვა პოტენცირი ნაფიცი მსაჯულის მხრიდან პასუხის გაცემისას

ფიქრისათვის მინიმალურზე მეტ დროს მოითხოვს. პასუხის მოფიქრებისას ნაფიცმა მსაჯულმა შეიძლება არა მხოლოდ ნამდვილი შეგრძნებები გამოავლინოს, არამედ იფიქროს იმაზე, თუ რა ტიპის პასუხი წარმოაჩენდა მას უკეთესად. მაგალითად, ნაფიც მსაჯულს ეკითხებიან, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ბრალდებულთან, რომელმაც არ მისცა ჩვენება. ნაფიცი მსაჯული პაუზის შემდეგ პასუხობს: „როგორც ვიცი, მას აქვს ამის უფლება“, რაც შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ ის თავს იკავებს იმის ხმამაღლა აღიარებისაგან, რომ ბრალდებულის ამგვარი საქციელი შესაძლოა მის ბრალეულობაზე მეტყველებდეს.

აღმავალი ტონალობა

პოტენციური ნაფიცი მსაჯულის ხმის ტონალობა შეიძლება ასევე მიუთითებდეს მღელვარებაზე. მღელვარებისას ყელის კუნთი იძაბება და შედეგად, ხმის ტონალობა უფრო მაღალია. ნაფიცი მსაჯულის მიერ კონკრეტულ კითხვებზე სხვაზე მაღალი ტონალობით გაცემული პასუხი მის ამ საკითხებისადმი მღელვარებაზე მიუთითებს. ამ ნიშნის ყველაზე ნათელი მაგალითია, როდესაც ნაფიცი მსაჯული მღელვარების გამომწვევ კითხვას მოკლედ, მაღალი ტონალობით „დიახ“ ან „არას“ პასუხობს. აღმავალი ტონალობა შესაძლოა ასევე პასუხში დაურწმუნებლობას ასახავდეს. ამ შემთხვევაში, მართალია, თავად ნათქვამს მოხსენებითი ხასიათი აქვს, მაგრამ საუბრის ბოლოს აღმავალი ტონალობა მიგვანიშნებს, რომ ნაფიცი მსაჯული არ არის თავდაჯერებული საკუთარ ნათქვამში.

საუბრის მოცულობა

პროკურორის/ადვოკატის მიმართ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის დადებითი დამოკიდებულება შეიძლება გამოვლინდეს ნაფიცი მსაჯულის საუბრის მოცულობაში. დადებითად განწყობილი ნაფიცი მსაჯული მზად არის უფრო მეტი ესაუბროს პროკურორს/ ადვოკატს. იგივე შეიძლება ითქვას პოტენციურ ნაფიც მსაჯულზე, რომელიც კონკრეტული პროკურორის/ადვოკატის კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობს. მაგრამ, როდესაც ნაფიც მსაჯულს არ მოსწონს მხარე, მცირდება მისი სურვილი, რომ გულწრფელი პასუხები გასცეს კითხვებზე. ამგვარად, საუბრის მოცულობა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის პოტენციური ნაფიცი მსაჯულების მხარეების მიმართ დამოკიდებულებაზე.

მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ, თუ რამდენად მონდომებულია პოტენციური ნაფიცი მსაჯული, რომ სრული პასუხი გაგცეთ დასმულ კითხვაზე, ანდა დასმულ კითხვაზე პასუხთან ერთად მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია. პროკურორი/ ადვოკატი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ისეთ პოტენციურ ნაფიც მსაჯულს, რომელიც მის კითხვებს მოკლედ პასუხობს, ხოლო მოწინააღმდეგე მხარის კითხვებზე დეტალურ პასუხებს იძლევა. ფაქტობრივად ამგვარი განსხვავებული აქტიურობა შეიძლება იქამდეც მივიდეს, რომ პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულმა კეთილგანწყობილი პროკურორის/ადვოკატის მიერ სხვა პოტენციური ნაფიცი მსაჯულების გამოკითხვის პროცესი ჩაშალოს ამა თუ იმ საკითხებზე საკუთარი მოსაზ-

რებების გადაჭარბებული გათქმით.

ზოგადი წესის თანახმად, ბევრი საუბარი დადებითი დამოკიდებულების გამოხატულებაა. მაგრამ შინაარსის მიხედვით გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს შემთხვევები, როდესაც პასუხი შეუსაბამო ინფორმაციას ან კითხვაზე პასუხისაგან თავის არიდებას მოიცავს. ამ შემთხვევაში ბევრი საუბარი ტყუილისა და მღელვარების მანიშნებელია. პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულმა, რომელიც ღელავს ან პროკურორის/ადვოკატის მოტყუებას ცდილობს, შესანიღბად შესაძლოა არარელევანტური ინფორმაცია მოგვითხროს. ამ შემთხვევაში პოტენციური ნაფიცი მსაჯულის მიზანია თქვას ნებისმიერი რამ, რათა უპასუხოდ არ დატოვოს მხარის კითხვა და ამავდროულად, არ გამოავლინოს რეალური დამოკიდებულება. მაგალითად, როდესაც პოტენციურ ნაფიც მსაჯულს ეკითხებიან, თუ რამდენად შეძლებს ბრალდებულის სამართლიან განსჯას, პირდაპირი პასუხი იქნება „ბ-ნ ჯონსს სამართლიანად განვსჯი“, ხოლო თავის არიდების შემთხვევაში იტყვის: – „ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ სამართლიანობა ძალიან მნიშვნელოვანია“. ყურადღება მიაქციეთ, რომ მეორე პასუხს – ბრალდებულის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გაცხადებას, პოტენციური ნაფიცი მსაჯული შეგნებულად არიდებს თავს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს უბრალო დაუდევრობით, ანდა სურვილით, რომ არ გამოავლინოს საკუთარი დამოკიდებულება. დამატებითი კითხვები საშუალებას მოგვცემს შესაბამისად შევაფასოთ, თუ რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე – თავის არიდებასა თუ დაუდევრობასთან. ქვემოთ მოყვანილია ყოფილი ლეიტენანტის, კოლონელ ოლივერ ნორტის საქმის განხილვისათვის ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის დროს გამართული გამოკითხვა:

პროკურორი: ხომ არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც გაგიჭირდებათ ამ საქმეში ნაფიც მსაჯულად გამოსვლა?

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი: არა.

პროკურორი: ზოგჯერ ადამიანებს რელიგიური მოსაზრებებით უჭირთ ნაფის მსაჯულად გამოსვლა. თქვენი რელიგიური რწმენა ან მოსაზრებები ხელს ხომ არ შეგიშლით ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაში?

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი: იცით, მე ქრისტიანი ვარ, მაგრამ სიმართლის მჯერა, იმიტომ, რომ სიმართლე ღმერთის მეგობარია (ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტს, რომ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ფაქტობრივად ვერ პასუხობს დასმულ შეკითხვას).

პროკურორი: კარგით, მაგრამ თუკი სიმართლე, თქვენი გაგებით, და კანონი, როგორც მოსამართლისაგან მოისმინეთ – მოითხოვს, რომ ხმა მისცეთ გადაწყვეტილებას კოლონელ ნორთის დამნაშავედ ცნობის შესახებ, და გჯერათ რომ ეს ასეა, თქვენ ამას გააკეთებთ?

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი: არა, ამას ვერ გავაკეთებ, იმიტომ, რომ იქ არ ვიყავი და არ ვიცი, მან ჩაიდინა თუ არა ეს. წარმოიდგინეთ, ხმა რომ მივცე ამ გადაწყვეტილებას, გამოდის, რომ ფაქტობრივად მე მას სიცოცხლეს ვართმევ, ადამიანის სიცოცხლე კი ძვირფასია და მისი დამნაშავეობის გადაწყვეტილებას ხმას ვერ მივცემ.

პროკურორი: განურჩევლად იმისა, თუ რას გაიგებთ სასამართლო დარბაზში?

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი: დიახ.

პროკურორი: ანუ მაინც არ დაადანაშაულებდით მას?

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი: არა.
პროკურორი: ვაფასებ თქვენს გულწრფელობას, დიდი მადლობა, ქალბატონო.
ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი: გმადლობთ.
სასამართლო: დიდი მადლობა, თქვენ თავისუფალი ხართ (აცილებული ხართ).

როგორც წინამდებარე თავში განვიხილავთ, თუკი ვერ შეძლებთ არარელევანტური პასუხის გამოცნობას, შეიძლება მიიღოთ პოტენციურად დამანგრეველი შედეგები.

საუბრის სიჩქარე

მღელვარების კიდევ ერთი ნიშანია ის, თუ რამდენად სწრაფად პასუხობს პოტენციური ნაფიცი მსაჯული დასმულ შეკითხვას. ზოგჯერ აღელვებული ნაფიცი მსაჯული ცდილობს დაუყოვნებლივ და სწრაფად უპასუხოს შეკითხვას. სწრაფად საუბარი მღელვარების ხანგრძლივობას ამცირებს.

ხმის ტონი

პოტენციური ნაფიცი მსაჯულის ხმის ტონი შეიძლება ტყუილისა და უარყოფითი დამოკიდებულების მნიშვნელოვანი მინიშნება იყოს. ეს ნიშანი ადრე განხილულ ვიზუალურ ნიშნებთან შედარებით ტყუილის დადგენის უფრო ზუსტი საშუალებაა. ხმის ცივი ტონი ჩვეულებრივ ტყუილზე, გულგრილობაზე, ან პოტენციურ უარყოფით დამოკიდებულებაზე – არაკეთილგანწყობაზე მეტყველებს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უკიდურესად ფრთხილად მივუდგეთ პოტენციურ ნაფიც მსაჯულს, რომელიც შერჩევის პროცესში პროკურორს/ადვოკატს ცივი ხმით პასუხობს.

დაძაბული სიცილი

სიცილი ხანდახან დაძაბულობის გამოვლინებად ითვლება. პოტენციური ნაფიცი მსაჯული დაძაბულობა შეიძლება გამოაშკარავდეს მისი სიცილის ხარისხისა და მოცემულ სიტუაციათან ადეკვატურობის მიხედვით. როგორც წესი, დაძაბული სიცილი მოცემულ სიტუაციაში მისაღებზე ხმამაღალია. სიცილი შესაძლოა არსებულ სიტუაციაში მართებული იყოს, მაგრამ დაძაბულობის გამო, ნორმალურ სიცილთან შედარებით, გაცილებით ხმამაღალი იყოს. ამასთან, ნაფიცმა მსაჯულმა შეიძლება შეამოკლოს ან უცებ შეწყვიტოს დაძაბული სიცილი, როდესაც გაცინება რეალურად არ ჰქონდა განზრახული, ანდა მიხვდება, რომ მოცემულ სიტუაციაში სიცილი შეუფერებელია (უადგილოა).

დაბოლოს, დაძაბულობით პროვოცირებული სიცილის ამოცნობა შესაძლებელია იმაზე დაკვირვებით, თუ რამდენად მართებულია სიცილი შერჩევის სხდომაზე. დელიკატური თემების განხილვისას სიცილი უადგილოა და შესაძლოა პოტენციური ნაფიცი მსაჯულის მღელვარების შედეგი იყოს.

მღელვარებისა და მოტყუების სმენითი ნიშნები	
წყარო	**ქცევათა ნიმუშები**
წყვეტილი საუბარი შეყოვნებული საუბარი ტონალობა საუბრის მოცულობა საუბრის სიჩქარე ხმის ტონი დაძაბული სიცილი სიტყვების შერჩევა	არასრულყოფილი საუბარი, „მმმ“, „უფ“ და სიტყვის გამეორება პასუხის დაწყებამდე და პაუზები პასუხის დროს; აღმავალი ტონალობა, ცოტა საუბარი; გამონაკლისი: უადგილო საუბარი ან საუბარი თავის არიდების მიზნით, სწრაფი საუბარი, ცივი ტონი, უადგილო სიცილი ან ჩვეულებრივზე ხმამაღალი სიცილი მეტი ფსიქოლოგიური დისტანცია (მაგ., „ისინი“, „აფროამერიკელები“) და უარყოფის მაკავშირებლები

მოცემული მაგალითი ნათლად წარმოაჩენს დაძაბული ღიმილის ხასიათს (მნიშვნელობას). ერთ პატარა სამეზობლოში გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის გამო ექიმის წინააღმდეგ აღძრული საქმე განიხილებოდა. ერთი პოტენციური ნაფიცი მსაჯულის ბრალდებული ექიმის პაციენტი იყო. შერჩევის სხდომაზე პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულმა პროკურორის კითხვის საპასუხოდ დაადასტურა, რომ შეეძლო ყოფილიყო მიუკერძოებელი. „დიახ, მიუკერძოებელი ვიქნები, ჰაჰაჰა!“ – უპასუხა ქალბატონმა დაძაბული სიცილით. მოგვიანებით მას ჰკითხეს, ხომ არ იქნებოდა მისთვის რთული გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანა, თუკი ეს კანონისა და მტკიცებულებების საფუძველზე გახდებოდა საჭირო. მისი პასუხი იყო: „არა, ჰაჰაჰა“. მისი სიცილი არ იყო სარკასტული, მაგრამ არსებულ სიტუაციაში აშკარად უადგილო იყო. პოტენციური ნაფიცი მსაჯული შესაძლოა მსაჯულად გამოსვლის გამო მღელვარებას სხვა არავერბალური კომუნიკაციის დროსაც ავლენდა. თანდათან კი მისი მღელვარება ისეთ დაძაბულობაში გადაიზარდა, რომ მისი სიცილი ძალზედ ხელოვნური გახდა.

სიტყვების შერჩევა

წინა ნიშნებისაგან განსხვავებით, სმენითი ნიშნების ბოლო ელემენტი პოტენციური ნაფიცი მსაჯულის პასუხების შინაარს ეხება. სიტყვები (ტერმინები), რომლებსაც პოტენციური ნაფიცი მსაჯულები კითხვებზე პასუხის გაცემისას იყენებენ, შეიძლება ძალიან ინფორმაციული იყოს. შერჩეული სიტყვები ასახავს იმ ფსიქოლოგიურ და ლოგიკურ დისტანციას, რომელსაც პოტენციური ნაფიცი მსაჯული საკუთარ თავსა და მოსაუბრეს შორის აწესებს. ფსიქოლოგიური დისტანციის არსებობა მსაჯულის უარყოფითი განწყობის ან მღელვარების გამოხატულებაა. მაგალითად, ნაფიცი მსაჯული, რომელიც ბრალდებულს მოიხსენიებს ნაცვალსახელებით („ის“, „მან“ და ა.შ.), უფრო მეტ ფსიქოლოგიურ და ლოგიკურ დისტანციას აწესებს საკუთარ თავსა და ბრალდებულს შორის, ვიდრე სხვა მსაჯულები, რომლებიც მას სახელით მოიხსენიებენ.

ფსიქოლოგიური დისტანცია შეიძლება გარკვეული ჯგუფების მიმართ გარკვეული სტერეოტიპების არსებობაზეც მეტყველებდეს. პოტენციური ნაფიცი მსაჯული, რომელიც სხვა რასობრივი ან ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს მოიხსენიებს როგორც „ისინი“, ანდა „ისეთი ხალხი“, ნაცვლად შესაბამისი მიმართვისა (მაგ., „შავკანიანები“, „აფროამერიკელები“, „ესპანურენოვანი მოსახლეობა“, „ლათინოამერიკელები“), გამოხატავს მის სტერეოტიპულ მიდგომას, ანდა აღელვებულ დამოკიდებულებას. კომუნიკაციის პირდაპირობა, ანდა არაპირდაპირობა ასევე მეტყველებს არსებულ ფსიქოლოგიურ დისტანციაზე. ნაფიცმა მსაჯულმა, რომელიც უარყოფითად არის განწყობილი, ან არ არის გულახდილი, შეიძლება,მაგალითად,ასეთი რამ განაცხადოს: „მთლიანობაში მათ (იგულისხმება კორპორაცია, რომელიც საქმეში ფიგურირებს) მიმართ ცუდად არ ვარ განწყობილი (მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს)“, თუმცა რეალურად შეიძლება ფიქრობდეს, რომ ამ კორპორაციამ უსაფრთხოების საკითხების მართვას თავი სათანადოდ ვერ გაართვა.

სიტყვების შერჩევის პარალელურად, დამატებით გასათვალისწინებელია პოტენციური ნაფიცი მსაჯულის საუბრის სტილი. ნაფიცი მსაჯული, რომელიც იყენებს არამტკიცებით ან არადამაჯერებელი საუბრის სტილს, ნაკლებად სარწმუნოა, ვიდრე ის, ვინც საუბრის ძლიერ (დამაჯერებელ) სტილს ირჩევს. არადამაჯერებელი საუბრის სტილისთვის დამახასიათებელია პირდაპირი საუბრისაგან თავის არიდება (მაგ., „ვფიქრობ“, „დარწმუნებული ვარ“, ანდა „რაღაც მსგავსი“), გამაძლიერებლები (მაგ., „ასე რომ“, „ძალიან“, ან „ზედმეტად“), ყოყმანი (მაგ., „იცით რაა“, „უფ“, „რა ვიცი“, ან პაუზები), ზრდილობიანი ან ზედმეტად ფორმალური დიქცია (მაგ., „ბატონო“, „გეთაყვა“, ან „გმადლობ“), და კითხვითი ტონი (მაგ., საუბრის აღმავალი ტონი, რომელიც ასოცირდება კითხვების დასმასთან, თხრობით კონტექსტებშიც კი). საუბრის სტილი, ჩვენს მიერ პოტენციური ნაფიცი მსაჯულის კომუნიკაციის გაანალიზებაში ორი მიმართულებითაა მნიშვნელოვანი. პირველი, არადამაჯერებელი საუბრის სტილის რამდენიმე მახასიათებელი ზემოთ უკვე განხილულ ნიშნებს მოიცავს და მიგვანიშნებს იმაზე, რომ არადამაჯერებელი საუბრის სტილი ტყუილის ან მღელვარების გამოხატულებაა. მეორე, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის თვალსაზრისით, პოტენციური მსაჯულები, რომლებიც არადამაჯერებელი საუბრის სტილს იყენებენ, გაცილებით ნაკლებად სარწმუნონი არიან საკუთარი აზრების გადმოცემისას, ვიდრე ისინი, ვინც საუბრის ძლიერ სტილს იყენებენ. ამგვარად, საუბრის სტილი ფასეულ ინფორმაციას გვაძლევს იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენა ექნებათ ნაფიც მსაჯულებს უშუალოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

შერჩეული ტერმინოლოგია კიდევ ორ მნიშვნელოვან საკითხს ეხება. პირველი — უარყოფითი კავშირი „მაგრამ“-ის გამოყენება ორი წინადადების დასაკავშირებლად, შესაძლოა პირველი წინადადების გაქარწყლებას ემსახურებოდეს. მაგალითად, პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულმა შეიძლება ასეთი პასუხი გაგცეთ: „სამართლიანი ვიქნები, მაგრამ გაზეთში წავიკითხე, რომ ბრალდებულმა აღიარა მკვლელობა“, ეს მაღალი ალბათობით ნიშნავს იმას, რომ, პოტენციური მსაჯული რეალურად არ არის დარწმუნებული პირველ წინადადებაში გამოთქმულ აზრში („სამართლიანი ვიქნები“) და ფაქტობრივად, ადვოკატს ეუბნება ამის შესახებ მეორე წინადადების დროს („მაგრამ გაზეთში წავიკითხე, რომ ბრალდებულმა აღიარა მკვლელობა“). მეორე — ღია დაბოლოების კითხვები დაგეხმარებათ ნაფიცი მსაჯულის მიერ ტერმინოლოგიის შერჩევის

შეფასებაში. ეს არის ის კითხვები, რომლებიც პოტენციურ ნაფიც მსაჯულს პასუხის გაცემისას ფართო არჩევნის გაკეთების შესაძლებლობას აძლევს, მაგალითად: „რას ფიქრობთ განზრახ მკვლელობის შემთხვევაში სიკვდილის დასჯის გამოყენებასთან დაკავშირებით?“ – ყურადღება მიაქციეთ, რომ დასმული კითხვა ნაფიც მსაჯულს პირდაპირი პასუხის გაცემის საშუალებას არ უტოვებს. კითხვებს, რომლებიც პოტენციურ ნაფიც მსაჯულს შეზღუდული პასუხის გაცემისაკენ უბიძგებს, მიმანიშნებელ კითხვებსაც ეძახიან, მაგალითად: „მართებულად მიგაჩნიათ განზრახ მკვლელობის შემთხვევაში სიკვდილით დასჯის გამოყენება?“ ღია კითხვის ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ პასუხში ნაფიცი მსაჯული ინფორმაციას გაწვდით საკუთარი სიტყვებით და გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს.

როგორ შევაფასოთ პოტენციური ნაფიცი მსაჯულის არავერბალური კომუნიკაცია

ამ მომენტამდე ცალ-ცალკე განვიხილავდით სხვადასხვა ვიზუალურ და სმენით ნიშნებს. თუმცა, პოტენციური ნაფიცი მსაჯულის ქცევის სწორად შესაფასებლად ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია უნდა გავაერთიანოთ. პრაქტიკაში ამ ნიშნების გადარჩევა დამატებით დროს არ მოითხოვს, მაგრამ საჭიროა ყურადღებით დავაკვირდეთ ხელმისაწვდომ ინფორმაციას.

არავერბალური ნიშნების შეფასების მთავარი არსი მათ თანმიმდევრულობაში მდგომარეობას. საჭიროა თვალი მივადევნოთ არავერბალური კომუნიკაციის ნიმუშებს ან მათ ერთობლიობას (რომლებიც ნიშნების თანმიმდევრულობას გამოხატავს). იძლევა თუ არა ამ ნიშნების ერთობლიობა სრულ სურათს ნაფიცი მსაჯულის ქცევაზე (მაგ., მალავს სიმართლეს) ან დამოკიდებულებაზე (მაგ., თანაგრძნობა, უგულებელყოფა, ბრაზი)? ნიშნების არათანმიმდევრულობა პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ რაღაც არ არის წესრიგში. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რა არ არის წესრიგში. გამოყენებული არავერბალური ინფორმაცია თავად შეიძლება არ მოიცავდეს ამ კითხვაზე პასუხს, მაგრამ სამაგიეროდ არსებული სიტუაციის ამოხსნის საწყისი წერტილი იყოს.

სტანდარტული (საბაზისო) კრიტერიუმის განსაზღვრა (ტიპური ქცევის განსაზღვრა)

პოტენციური ნაფიცი მსაჯულის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის შეფასებისას მნიშვნელოვანია მსაჯულის ჩვეულებრივი (ტიპური) ქცევის ზოგადი სურათის შესწავლა. როგორც ამ თავის დასაწყისში აღვნიშნეთ, ამ პროცესის პირველი ეტაპი გულისხმობს ნაფიცი მსაჯულის მღელვარების ან ნერვიულობის სტანდარტული კრიტერიუმის განსაზღვრას შედარების გასაკეთებლად. მღელვარება „ვაკუუმში“ არ არსებობს. პოტენციური ნაფიცი მსაჯულის მღელვარება ან ნერვიულობა შეიძლება მხოლოდ იმით იყოს გამოწვეული, რომ ის სასამართლოშია და კითხვებს უსვამენ.

ნაფიცი მსაჯულის არავერბალური კომუნიკაციის განსაზღვრა:

- სტანდარტული კრიტერიუმის ან ტიპური ქცევის განსაზღვრა;
- ნაფიცი მსაჯულის პასუხებში არსებული ცვლილებების ან გადახრების შეფასება;
- მისთვის დამახასიათებელი და არათანმიმდევრული ქცევის განსაზღვრა;
- განმარტების მოპოვება;
- ის, თუ ვის უყურებს ნაფიცი მსაჯული გაურკვეველ სიტუაციაში;
- ნაფიც მსაჯულზე მუდმივი დაკვირვება.

ტიპური ქცევის დადგენის საუკეთესო გზა პოტენციური ნაფიცი მსაჯულის არავერბალურ კომუნიკაციაზე დაკვირვებაა იმ პერიოდში, როდესაც ისინი საკუთარი ბიოგრაფიის შესახებ დასმულ კითხვებს პასუხობენ. ასეთი კითხვები ყველაზე ნაკლებად იწვევს მღელვარებას. ამგვარად, შერჩევის სხდომა უნდა დაიწყოს და ჩვეულებრივ იწყება კიდეც მარტივი, არამგრძნობიარე შინაარსის კითხვებით. პოტენციური ნაფიცი მსაჯულის პასუხების მოდელი ავლენს, თუ რამდენად ღელავს ის შერჩევის სხდომაში მონაწილეობის გამო და როგორია ზოგადად მისი არავერბალური კომუნიკაციის სტილი.

ნაფიცი მსაჯულის პასუხებში ცვლილებების შეფასება

პოტენციური ნაფიცი მსაჯულის ტიპური მღელვარებისა და საქმიანობის განსაზღვრის შემდეგ, კეთდება შეფასება იმისა, თუ როგორ შეიცვალა პოტენციური ნაფიცი მსაჯულის შემდგომი ქცევა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცვლილებას, რომელიც გამოწვეულია იმით, თუ ვინ სვამდა შეკითხვებს და რა თემას ეხებოდა ეს კითხვები. მაგალითად, პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულმა ხომ არ დაიწყო უკან დახევა მას შემდეგ, რაც კითხვები მშრომელთა უსაფრთხოებაზე შეცვალა კითხვებმა ჯარიმის დაკისრების ან/და დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულის შესახებ? ასევე მნიშვნელოვანი დაკვირვება პოტენციური ნაფიცი მსაჯულის არავერბალურ კომუნიკაციაზე, როდესაც გამოკითხვას სხვა პროკურორები/ ადვოკატები ატარებენ. ხომ არ განსხვავდება პოტენციური ნაფიცი მსაჯულის პასუხები იმის მიხედვით, თუ ვინ უსვამს კითხვას – პროკურორი, ადვოკატი ან მოსამართლე? დაბოლოს, ნაფიცი მსაჯულის არავერბალური ქცევა ხომ არ განსხვავდება სხვა პოტენციური ნაფიცი მსაჯულების ქცევისაგან? მაგალითად, პოტენციური ნაფიცი მსაჯული ნერვიულად მოძრაობს სავარძელში, როდესაც დისკუსია ეხება რასობრივ ურთიერთობებს, მაშინ როცა სხვა პოტენციური ნაფიცი მსაჯულები ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე პასუხობენ დასმულ კითხვებს.

ტიპური ქცევა და არათანმიმდევრულობა

რამდენადაც რეალურ ცხოვრებაში „პინოქიოს ეფექტი“ არ არსებობს, საჭიროა თვალი გადავავლოთ პოტენციური ნაფიცი მსაჯულის არავერბალური ქცევის ჯგუფს. ქცევათა მსგავსი ჯგუფები შეიძლება იყოს ან კარგი ან ცუდი იმ კონტექსტიდან გამომდინარე, თუ სად ხორციელდება ეს ქცევა. ასევე მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, როდის და როგორ იცვლება ეს ქცევა.

დაზუსტება

მნიშვნელოვანი არავერბალური კომუნიკაციის გამვლენისას, მაგალითად, როგორიცაა ქცევის ნიშნების არათანმიმდევრულობა, საჭიროა დავაზუსტოთ, თუ რას ფიქრობს, ან რა განწყობა აქვს პოტენციურ ნაფიც მსაჯულს ამ დროს. დასვით დამაზუსტებელი კითხვები, რაც პოტენციურ ნაფიც მსაჯულს საუბრის საშუალებას მისცემს. მაგალითად: „შეგიძლიათ მითხრათ, უფრო კონკრეტულად, როგორი დამოკიდებულება გაქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით?“ მართალია, მნიშვნელოვანია, რომ პოტენციური ნაფიცი მსაჯული უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავაყენოთ, მაგრამ შესაძლებელია აღნიშნოთ, თუ რატომ გადაწყვიტეთ მოცემული საკითხის დაზუსტება („შევნიშნე, რომ ამ საკითხზე საუბარს ერიდებოდით. შეგიძლიათ ცოტა უფრო დეტალურად მიამბოთ ამ საკითხის შესახებ?“). თუმცა ნიშნების შესახებ დამაზუსტებელი კითხვები დიდი სიფრთხილით უნდა დაისვას. პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულმა შეიძლება ვერ გააცნობიეროს რატომ უსვამთ მოცემულ კითხვებს, რამაც შესაძლოა უარყოფითი რეაქცია გამოიწვიოს მასში თქვენ მიერ გარკვეულ ქცევებზე ყურადღების გამახვილებისას, განსაკუთრებით, თუკი ეს ქცევა პოტენციური ნაფიცი მსაჯულისათვის უცნობია (რაც ზოგჯერ ხდება ხოლმე), ანდა ნეგატიური ხასიათის მატარებელია. თუკი დარწმუნებილი არ ხართ, საკითხი კიდევ უფრო დეტალურად შეისწავლეთ ისე, რომ არ მიუთითოთ თანმდევ არავერბალურ კომუნიკაციაზე.

ყურადღება მიაქციეთ თუ ვის მოიაზრებს ნაფიცი მსაჯული მხარდამჭერად

პოტენციური ნაფიცი მსაჯულის ქცევაში ცვლილების გარდა, საჭიროა შევაფასოთ, თუ ვის მიმართავს ის „დახმარებისათვის“ გაურკვეველ სიტუაციებში. შერჩევის სხდომისას საკმაოდ ბევრი გაურკვეველი სიტუაციაა. ამიტომ მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ, თუ ვის მიმართავს „დახმარებისათვის“ პოტენციური ნაფიცი მსაჯული, როდესაც ისეთ კითხვას უსვამენ, რომლის პასუხშიც არ არის დარწმუნებული. საყურადღებოა, აგრძელებს თუ არა პოტენციური ნაფიცი მსაჯული ვიზუალური კონტაქტის შენარჩუნებას პროკურორთან/ადვოკატთან, რომელიც დამაბნეველ კითხვას სვამს, მოელის თუ არა მისგან მეტ განმარტებას, ანდა დახმარებას? ხომ არ უყურებს პოტენციური ნაფიცი მსაჯული ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარეს? მოსამართლეს უყურებს თუ მოსამართლის თანაშემწეს? გაურკვეველ სიტუაციებთან დაკავშირებით მსაჯულის პასუხი მიგვანიშნებს, თუ ვის შეიძლება მიმართოს ნაფიცმა მსაჯულმა „დახმარებისათვის“ პასუხის გაცემისას, ანდა, როდესაც მსგავსი დამაბნევე-

ლი კითხვები სასამართლო დარბაზში დაისმება. თუკი შესაძლებელია, უნდა აიცილოთ პოტენციური მსაჯული, რომელიც პასუხისათვის ან „დახმარებისათვის“ მოწინააღმდეგე მხარეს „მიმართავს“.

აწარმოეთ პოტენციურ მსაჯულზე მუდმივი დაკვირვება

ზემოთ ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყოს იმაზე, თუ რა რეაქცია ჰქონდათ დასმულ კითხვებზე პოტენციურ ნაფიც მსაჯულებს, თუმცა ინფორმაციის მოპოვება სხვა დროს (სხვა ხერხებითაც) შეიძლება. დაკვირვებულ პროკურორს/ადვოკატს შეუძლია ისარგებლოს ამ მდგომარეობით. პირველ რიგში, საჭიროა დაკვირვება პოტენციური ნაფიცი მსაჯულის რეაქციაზე, როდესაც მხარე კითხვას სვამს სხვა ნაფიცი მსაჯულების მისამართით და როდესაც ისინი ამ კითხვებს პასუხობენ. ხშირად პოტენციური ნაფიცი მსაჯულები თანხმობის ნიშნად თავს აქნევენ ან იღებენ სკეპტიკური, ან კრიტიკული სახის გამომეტყველებას, ანდა სხვა ნაფიცი მსაჯულისათვის დასმულ კითხვებზე საკუთარი აზრის და დამოკიდებულებების გამოთქმით, გამოსცემენ არავერბალურ ინდიკატორებს. დააკვირდით პოტენციური ნაფიცი მსაჯულების ქცევას, როდესაც ისინი ჯერ კიდევ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის როლში გვევლინებიან. პოტენციური ნაფიცი მსაჯულები კომფორტულად გრძნობენ თავს ამ დროს და არა მაშინ, როდესაც უკვე შერჩეულ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში არიან. შედეგად, ნაფიცი მსაჯულები ცდილობენ არ გამოავლინონ საკუთარი არავერბალური რექციები მსაჯულთა შერჩევის ეტაპზე. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე მოსამართლე ხშირად განსახილველი საქმის მოკლე აღწერილობას აკეთებს. სასურველმა თუ არასასურველმა პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულებმა საკუთარი თავი შეიძლება გამოავლინონ ამ აღწერილობის მოსმენისას დადებითი ან ნეგატიური არავერბალური კომუნიკაციის მეშვეობით. მაგალითად, მოსამართლის მიერ საქმის მოკლე შინაარსის გადმოცემისას, პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულმა შეიძლება თანაგრძნობის გამომხატველი, შეწუხებული ან არაკეთილგანწყობილი სახის გამომეტყველება მიიღოს. ამ დროს პოტენციური ნაფიცი მსაჯული შეიძლება ძალიან დრამატულად მოიქცეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ნაფიც მსაჯულებს, მაშინ როდესაც სასამართლო მხარეებს კამათისათვის მოიწვევს. ამ სიტუაციაში მნიშვნელოვანია, თუ საით არის მიმართული პოტენციური ნაფიცი მსაჯულის მზერა და როგორია მისი რეაქცია. ძალიან ბუნებრივია, როდესაც ნაფიცი მსაჯულის მზერა პრეზენტატორი მხარისკენაა მიმართული. ამ დროს ვიზუალური კონტაქტის არარსებობა, ანდა მოწინააღმდეგე მხარისკენ მზერის მიპყრობა, წარმოდგენილი მხარისადმი უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს. გარდა ამისა, ხშირად პოტენციურ მსაჯულს სახეზე თანაგრძნობის, შეშფოთების გამომხატველი გამომეტყველება აქვს. ეს რექციები ერთიანდება და ემატება ინფორმაციას, რომელიც, საბოლოო ჯამში, მხარის მიერ ამ კონკრეტული მსაჯულის სასურველად ან არასასურველად ჩათვლას უწყობს ხელს. დაბოლოს, გამოსადეგი იქნება, თუკი პოტენციურ ნაფიც მსაჯულს დავაკვირდებით შესვენებების დროს, დერეფანში ან სასადილოში. როგორც სხეულის ორიენტაციის ნიშნებზე საუბრისას ითქვა, პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულებმა შეიძლება ასევე ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულების ამსახველი ნიშნებიც გამოავლინონ. ვის ეს-

აუბრებიან ნაფიცი მსაჯულები? ვისთან ერთად სადილობენ? საუბრის დროს რომელი მსაჯული ან მსაჯულები ავლენენ ლიდერის თვისებებს? ამგვარი დაკვირვებები შეიძლება ფასეული იყოს იმის გასარკვევად, თუ როგორ იმოქმედებს კონკრეტული ნაფიცი მსაჯული ჯგუფში და როგორია სხვადასხვა ნაფიცი მსაჯულის ლიდერობის პოტენციალი.

დასკვნა

ყურადღება გაამახვილეთ შერჩევის სხდომის ოთხ მთავარ მიზანზე:

1. ინფორმაციის შეგროვება;
2. კეთილგანწყობის მოპოვება;
3. ნაფიც მსაჯულთა ინფორმაციის მიწოდება სამართლებრივ საკითხებზე;
4. დარწმუნება. ისარგებლეთ ამ მიზნების მიღწევის ტექნიკური და სტრატეგიული ხერხებით.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს გასათვალისწინებელი ზოგიერთი საკითხი[36]

სასამართლო პროცესის ამ ეტაპისთვის პროკურორს/ადვოკატს დაგეგმილი უნდა ჰქონდეს, თუ როგორ წარადგენს საქმეს, მან უნდა იცოდეს, თუ რა არის მისი საქმის თემა/თეორია. მეტიც, ის ფაქტობრივად მზად უნდა იყოს დასკვნითი სიტყვის წარმოსადგენად.

პროკურორს/ადვოკატს მხოლოდ მაშინ შეუძლია დაიწყოს ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების გამოკითხვის დაგეგმვა, როცა მას უკვე შედგენილი აქვს მთლიანი პროცესის გეგმა და შემუშავებული აქვს სტრატეგია.

1. ნაფიც მსაჯულთა შერჩევა მორგებული უნდა იყოს მხარის პოზიციაზე.

2. ნაფიც მსაჯულებად ისეთი კანდიდატები აირჩევა, რომელთა მიერ მხარის პოზიციის გაზიარების ალბათობა მაღალია.

დაგეგმეთ მსაჯულობის კანდიდატების შერჩევის პროცესი

გასათვალისწინებელია, რომ ყველა საქმეზე ერთი და იმავე ხასიათის გამოკითხვის ჩატარება არ იქნება ეფექტური. ყოველ კონკრეტულ საქმეზე ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი მორგებული უნდა იყოს მხარის თეორიაზე.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ჩატარების წესი

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის მიზანია მსაჯულთა ნდობის მოპოვება და თქვენსა, თქვენს კლიენტსა და პოტენციურ მსაჯულს შორის ურთიერთობის დამყარება. ასევე მნიშვნელოვანია:

1. მხარის მიმართ არსებული ეჭვის ეტაპობრივად გაფანტვა;

2. თავის წარმოჩენა, როგორც ლიდერის, რომელსაც ნაფიცი მსაჯულები შეიძლება ენდონ;

აუცილებელია დადებითი პიროვნებისა და კომპეტენტური იურისტის (პროკურორის/ადვოკატის)თვისებების გამოვლენა, როგორიცაა:

1. გულწრფელობა;
2. სამართლიანობა;
3. დახმარების გაწევისთვის მზაობა;
4. ყურადღებიანობა;
5. ჰუმანურობა;
6. ორიენტირება ადამიანებზე და არა ტექნიკურ საკითხებზე;
7. კომპეტენტურობა;

[36] „ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ მადლობას უხდის სტეფენ რენჩს – მოსამართლეთა სახელმძღვანელოს ავტორს, რომლის ნებართვითაც ვიყენებთ წინამდებარე მასალას. რედაქტირებული და მოდიფიცირებულია „ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (**ABA ROLI**) საქართველოს ოფისის მიერ ქართულ ენაზე.

8. საქმის ცოდნა;

9. სიმშვიდისა და ზომიერების შენარჩუნება, რათა მსაჯულებს არ გაუჩნდეთ აგრესია და თქვენთან ბრძოლის სურვილი; უმჯობესია, მეტი ემოცია გამოავლინოთ ჯვარედინი და დასკვნითი სიტყვების დროს.

ბრალდებულის პერსონიფიცირება
(თუ დაცვის მხარეს წარმოადგენთ, შეეცადეთ ნაფიცმა მსაჯულმა ბრალდებულში დაინახოს პიროვნება)

დადებითად განეწყვეთ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ და დაანახეთ ეს განწყობა ნაფიც მსაჯულებს:

1. ესაუბრეთ მას;
2. უსმინეთ;
3. შეეხეთ მას;
4. შესთავაზეთ წყალი;
5. უზრუნველყავით, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა ბრალდებული ოჯახის წევრების გარემოცვაში ნახონ.

ხშირად მიმართეთ მას სახელით. პერიოდულად მიმართეთ მას, როგორც „ბ-ნ გიორგის“. ეს მიუთითებს პატივისცემაზე ბრალდებულის მიმართ.

გაუზიარეთ ნაფიც მსაჯულებს რამე პირადი ინფორმაცია ბრალდებულის შესახებ, მაგალითად ის, რომ „გიორგი სკოლაში თბილისში, კეკელიძის ქუჩაზე დადიოდა“.

რამდენი კითხვა დავსვათ?

– არ დასვათ არც ერთი კითხვა კონკრეტული მიზნის გარეშე. არ შეგეშინდეთ იმის, რომ ძალიან მოკლე დროში ჩაატაროთ გამოკითხვა, რადგან მსაჯულები ადვილად კარგავენ ინტერესს და ყურადღებას. ზოგიერთს ჰგონია (ამერიკული სამუშაო ეთიკის ან სხვა მიზეზის გამო), რომ რაც მეტს ისაუბრებს, მით მეტად იმსახურებს გამარჯვებას – ეს არასწორი მიდგომაა. თქვენ მსაჯულების ნდობას მოიპოვებთ, თუ ისინი დაინახავენ, რომ როცა ფეხზე დგებით რამის სათქმელად, რაღაც მნიშვნელოვანს ამბობთ და თქვენს ადგილს უბრუნდებით.

– დასვით ყველა მნიშვნელოვანი და საჭირო კითხვა;

– გამოიყენეთ კითხვები, რომლებიც მიმართულია მსაჯულობის კანდიდატთა მთელი შემადგენლობისათვის;

– დაუსრულებლად ნუ გაიმეორებთ ერთსა და იმავეს. ნაცვლად ამისა, ხაზი გაუსვით მნიშვნელოვან საკითხებს.

ფსიქოლოგიური დაკვირვების მეთოდის გამოყენებით, თქვენ შეძლებთ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ტექნიკის გაუმჯობესებას.

უამბეთ მსაჯულებს თქვენი საქმისა და ძირეული პრინციპების შესახებ
თუ დაცვის მხარეს წარმოადგენთ:

ა. ახსენით ძირითადი პრინციპები და წარმოაჩინეთ ისინი არა როგორც ტექნიკური დეტალები, არამედ პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფს უსამართლო მსჯა-

ვრდების დაუშვებლობას.

ბ. განმარტეთ, რომ სისტემა, რომელიც იცავს უდანაშაულო პირს უკანონო მსჯავრდებისაგან, მოიცავს ისეთ ძირეულ პრინციპებს, როგორიცაა: – მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარისათვის დაკისრება, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მსაჯულთა მიერ ვერდიქტის ხმათა უმრავლესობით მიღება. ამ პრინციპების „გაცოცხლების“ ძირითადი პრობლემა არის ის, რომ ჩვენ მათ მხოლოდ ვახმოვანებთ.

გ. განუმარტეთ ნაფიც მსაჯულებს კანონი, რომელსაც თქვენ ეყრდნობით და აუხსენით, რომ იგი საღ აზრს ემყარება.

იმუშავეთ პრობლემურ საკითხებზე

ყოველ საქმეს თან ახლავს გარკვეული სირთულეები, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სამართლიანობის პრინციპის უზრუნველყოფას, მაგალითად, ისეთი საკითხები, როგორიცაა:

1. რასობრივი და ეთნიკური სტერეოტიპები.
2. დაცვის უფლების განხორციელების ხელის შეშლა (ბრალდებულის უფლებების დარღვევა ან ასეთი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობის პრობლემატიკა). (?)
3. დაცვის სტრატეგია – ბრალდებული შეურაცხადია და ამ საკითხისადმი არსებული უარყოფითი დამოკიდებულება.
4. ბრალდებულის მიერ ჩვენების მიუცემლობა.
5. სხვა საკითხები, რასაც თქვენი საქმის ანალიზის დროს გამოავლენთ.

ზოგჯერ უმჯობესია არ ახსენოთ პრობლემა, თუ თვლით, რომ შეძლებთ სხვა საკითხებზე გადაიტანოთ ყურადღება ისე, რომ ეს პრობლემა საერთოდ არ ამოტივტივდეს ნაფიც მსაჯულთა თათბირის დროს. თუ მოსალოდნელია, რომ ნაფიცი მსაჯულები თათბირის დროს განიხილავენ პრობლემურ საკითხს, უმჯობესია, თქვენ თვითონ წამოსწიოთ იგი და წინასწარ იმუშაოთ მის დასაძლევად. ალბათ ყველაზე სასარგებლო გადაწყვეტაა უთხრათ მსაჯულებს, რომ არსებობს გარკვეული პრობლემა, აუხსნათ რაში მდგომარეობს იგი და ასწავლოთ მისი გადაწყვეტის გზა. შემოქმედებითი მიდგომითა და სწორი დაგეგმვით შესაძლებელია მსაჯულთა განწყობა თქვენთვის სასიკეთოდ შემოაბრუნოთ.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიება

ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ მოვლენებს. ამ აღქმაზეა დამოკიდებული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, ყველაზე მნიშვნელოვანია თითოეული პოტენციური მსაჯულის განწყობის წინასწარ განჭვრეტა. თითოეული პოტენციური მსაჯულის განწყობის წინასწარ განსაჭვრეტად საჭიროა საკითხს დელიკატურად და შემოქმედებითად მივუდგეთ. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

1. შეიძლება პირდაპირ ვკითხოთ მსაჯულობის კანდიდატს ჩვენთვის რაიმე პრობლემატური და საინტერესო საკითხის შესახებ, მაგრამ ამას შესაძლოა არ მოჰყვეს

პირდაპირი და გულწრფელი პასუხი.

2. შესაძლებელია ზოგადი ხასიათი კითხვების დასმა, როგორიცაა მისი პრიორიტეტები პირად და სამსახურებრივ ცხოვრებაში, ის თუ საიდან ღებულობს ინფორმაციას, მისი ჰობი, ორგანიზაციები, რომელშიც გაწევრიანებულია, და ა.შ. და მიღებული ინფორმაციის მიხედვით განვსაზღვროთ მისი ხედვა ჩვენთვის საინტერესო ძირითად საკითხზე.

3. დააკვირდით არავერბალურ სიგნალებს, ხმის ტემბრს, უადგილო პაუზას, რომელიც ყოყმანზე მიუთითებს, ბრალდებულისთვის თვალის არიდებას, მხარდაჭერისთვის მოსამართლის ან პორკურორის ყურებას (ან პირიქით, პროკურორისათვის თვალის არიდებას და დაცვის მხარის მიმართ სიმპათიის გამოხატვას), სიტყვების შერჩევას, და ა.შ. ჟესტებს ხშირად სიტყვებზე მეტის თქმა შეუძლიათ.

მსაჯულობის კანდიდატების გამოკითხვა – სასარგებლო რჩევები

1. ნუ ჩარგავთ თავს ნაწერებში და ნუ მიჰყვებით ზედმიწევნით ფურცელზე ჩამოწერილ კითხვებს. შესაძლებელია იქონიოთ საკითხების ჩამონათვალი ფურცელზე, მაგრამ აუცილებელია მსაჯულობის კანდიდატებს ესაუბროთ. თუ თქვენ ერთ თემაზე საუბრობთ და მსაჯული გადავა სხვა საკითხზე, რომელიც მე-10 თემად გაქვთ მონიშნული, გადადით მასზე. მთავარია, სანამ დაასრულებთ, ყველა საჭირო საკითხზე ისაუბროთ. თუმცა, ყოველთვის პოზიტიურად დაამთავრეთ.

2. დააკვირდით არავერბალურ კომუნიკაციას. შესაძლოა არ გქონდეთ გავლილი სპეციალური კურსი არავერბალურ კომუნიკაციაში, მაგრამ ჩვენ ყველა ექსპერტები ვართ ამ სფეროში. არავერბალურ სიგნალებს მთელი ცხოვრების მანძილზე ვაკვირდებით და ვშიფრავთ. ენდეთ საკუთარ გრძნობებს.

კითხვების სახეები

1. მიმანიშნებელი კითხვები

ეს არის კითხვა, რომელიც თავის თავში მოიცავს პასუხს და პირისგან მხოლოდ დათანხმებას ან უარყოფას მოითხოვს. ასეთი სახის კითხვები თითქმის არ ტოვებს სხვა არჩევანს, გარდა პასუხისა „დიახ“ ან „არა“. ამგვარი კითხვები სასარგებლოა სამართლებრივ პრინციპებზე შეთანხმების მისაღწევად, მაგრამ ხელს არ უწყობს მსაჯულის მიერ საკუთარი აზრის გამოხატვას.

2. ღია დაბოლოების კითხვები

ეს არის კითხვა, რომელიც მსაჯულს შესაძლებლობას აძლევს გამოთქვას აზრი გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, „რას ფიქრობთ იმ ადამიანზე, ვისაც მკვლელობაში ედება ბრალი“?

პროკურორმა /ადვოკატმა უნდა გამოიმუშაოს უნარი დასვას ღია დაბოლოების კითხვები, თუ მას მართლა სურს გაიცნოს პოტენციური ნაფიცი მსაჯულები.

მსაჯულობის კანდიდატის დასაბუთებული აცილება

საფუძვლის გარეშე მსაჯულის დათხოვნის უფლება ძალიან ძვირფასი უფლებაა.

გარკვეულ დროს მსაჯულობის კანდიდატი იტყვის რაღაც ისეთს, რაც შესაძლებელს გახდის მის დასაბუთებულ აცილებას. ამის შემდეგ მოსამართლე და პროკურორი/ადვოკატი ხშირად ეკითხებიან ასეთ მსაჯულს, „მაგრამ თქვენ შეძლებთ იყოთ სამართლიანი და მიუკერძოებელი, ასე არ არის?“ რაზეც მსაჯული დადებითად პასუხობს.

ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა იმუშაოთ იმაზე, რომ გაამყაროთ (გამოკვეთოთ) მსაჯულის პოზიცია და ნათლად ათქმევინოთ მას საკუთარი აზრი. დათანხმების მიღება შესაძლებელია შემდეგი განცხადებების მეშვეობით:

1. ეს არ არის ზუსტად ის, რაც ახლახანს გაიფიქრეთ, ხომ ასეა? ეს საკითხი თქვენ ნამდვილად გაღელვებთ, ასე არ არის?

2. დარწმუნებული ვარ, რომ ვერავინ შეძლებს ამ საკითხზე აზრი შეგაცვლევინოთ. ეს იმისთვის კეთდება, რომ მსაჯულმა ვეღარ შეძლოს პოზიციის შერბილება მოსამართლისა და პროკურორის/ადვოკატის მიერ დაკითხვის დროს. ამ პროცედურის დაცვა უზრუნველყოფს მსაჯულის პოზიციის გამყარებას. მსაჯულის დასაბუთებული აცილებისთვის გამოიყენეთ ჯვარედინი დაკითხვის ტექნიკა.

რამდენიმე სასარგებლო ტაქტიკური რჩევა

1. ბრალდების მხარეს ჩამოაცილეთ „მმართველი ძალის“ აურა: – „გამოიჭირეთ“ პროკურორი კანონის არასწორად გადმოცემაში და დააყენეთ პროტესტი, რომელსაც დაგიკმაყოფილებთ მოსამართლე;

2. ადვოკატი მართლმსაჯულების სისტემის მონაწილეა, ისევე, როგორც პროკურორი;

3. ამ საქმეზე არავის დაუდგენია პირის ბრალეულობა ან არაბრალეულობა;

4. ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ მსაჯულთა პრეროგატივაა;

5. შეარჩიეთ კონკრეტული მსაჯულები კონკრეტული საკითხებისთვის;

6. გაამჟღავნეთ საქმის არახელსაყრელი ელემენტები, რათა შოკის ეფექტი აიცილოთ თავიდან. სისხლიან სურათს აღარ ექნება იმდენად დამანგრეველი ეფექტი, თუ მსაჯულები მომზადებული იქნებიან ამისთვის;

7. დააჯერეთ მსაჯულები, რომ წარდგენილი ბრალდება უმძიმესია;

8. შეძლებისდაგვარად დაამძიმეთ მსაჯულების პასუხისმგებლობა;

9. დაუპირისპირეთ მსაჯულობის ერთი კანდიდატი მეორეს.

განსახილველი სფეროების საკონტროლო ჩამონათვალი

1. ურთიერთობა ან ნაცნობობა სამართალდამცავებთან;

2. წარსულში იყო დანაშაულის მსხვერპლი; მსხვერპლის ახლო მეგობარი ან ნათესავი;

3. მსაჯულისა და მისი მეუღლის საქმიანობა;

4. სხვადასხვა ორგანიზაციაში წევრობა;
5. ურთიერთობა/ნაცნობობა საქმეში მონაწილე პირებთან;
6. საქმის ცოდნა;
7. საჯაროობა;
8. საქმის ვითარების (შემთხვევის ადგილის) ცოდნა;
9. კონკრეტული დანაშაულის სახე და მისი სპეციფიკა;
10. მსაჯულის ცოდნა/გამოცდილება, რომელიც ბრალდების/დაცვის პოზიციისთვის საზიანოა;
11. მოწმის სანდოობა;
12. პოლიციელის ჩვენების შეფასება;
13. მტკიცებულებებზე და არა ვარაუდებზე დაფუძნებული ვერდიქტი;
14. ინფორმაცია არ არის მტკიცებულება;
15. რასობრივი/ეთნიკური სტერეოტიპები;
16. საკითხი ადრე არ ყოფილა გადაწყვეტილი;
17. მძიმე პასუხისმგებლობა;
18. კანონი, რომელიც გამოიყენება ამ საქმეზე;
19. მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს;
20. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაკმაყოფილების საჭიროება;
21. უდანაშაულობის პრეზუმფცია;
22. ერთხმად მიღებული ვერდიქტის მოთხოვნა/მნიშვნელობა;
23. მსაჯულთა შერჩევასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხი.

მსაჯულთა შერჩევის შვიდი ოქროს წესი

1. პრიორიტეტი მიანიჭეთ პოტენციურ ლიდერებს. ლიდერები განსაზღვრავენ ვერდიქტს;
2. მიუდექით გამორიცხვის მეთოდით და აიცილეთ ის, ვინც ყველაზე ნაკლებად სასურველია თქვენთვის;
3. იყავით ძალიან ფრთხილი ბოლო ან თითქმის ბოლო დაუსაბუთებელი აცილების გამოყენებისას;
4. იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ დაჯგუფდებიან მსაჯულები და ყურადღებით შეაფასეთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები;
5. თუ თქვენი მიზანია მსაჯულები ვერ შეთანხმდნენ ვერდიქტზე (რასაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსდევს ხელახალი პროცესი), დააკვირდით და გამოარჩიეთ, ვინ დაუპირისპირდება ერთმანეთს;
6. ჰკითხეთ ბრალდებულს, თუ რას ფიქრობს მსაჯულზე, ვინაიდან განწყობა შესაძლოა ორმხრივი იყოს;
7. ძირითადი წესი მოითხოვს, რომ საკუთარი გრძნობების საფუძველზე გადაწყვიტოთ, თუ როგორ იქნება განწყობილი რომელიმე კონკრეტული მსაჯული თქვენი პოზიციის მიმართ.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა (მკვლელობის საქმეებზე)[37]

ქვემოთ მოყვანილი საკითხები ეფუძნება ამერიკის შეერთებული შტატების მართლმსაჯულებაში არსებულ პრაქტიკას და ქართველ მკითხველს შესაძლოა უცხოდ მოეჩვენოს ის უნარები და რეგულაციები, რაც განხილულია ხსენებულ მასალაში, თუმცა, სახელმძღვანელოს შემდგენელთა აზრით, მათი წარმატებით გამოყენება საქართველოში დღეს უკვე შესაძლებელია. უფრო მეტიც, მომავალში საქართველოში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შედეგად, ეს საკითხები უფრო მეტად აქტუალური გახდება ბრალდებისა და დაცვის მხარისთვის.

ნაფიცი მსაჯულების კანდიდატების შერჩევის სხდომის მიზანია სასამართლო განხილვაში მონაწილეობისათვის მათი მზაობის დადგენა. მზაობა გულისხმობს, რომ პოტენციური ნაფიცი მსაჯული არა მხოლოდ კანონით დადგენილ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, არამედ ემორჩილებოდეს მოსამართლის მითითებებს. ამასთან, პროცესის მონაწილე ნაფიცი მსაჯულები მინიმალურ სტანდარტებს მაინც უნდა აკმაყოფილებდნენ. ჩვეულებრივ მოსამართლე შერჩევის სხდომას სწორედ იმისთვის ატარებს, რომ უზრუნველყოს ნაფიცი მსაჯულების მიერ ამ სტანდარტების დაკმაყოფილება. ზოგიერთი სასამართლო, კონკრეტულად კი აშშ-ს ფედერალური სასამართლო მსაჯულთა შერჩევის სხდომის დროს მხარეებს კითხვების დასმის უფლებას საერთოდ არ აძლევს, ანდა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის კითხვების დასმის ნებას რთავს[38]. იმ სასამართლოში, სადაც დაშვებულია მსაჯულთა შერჩევის სხდომისას მხარის ნაფიც მსაჯულებთან გასაუბრება, სხდომა არა მხოლოდ ნაფიცი მსაჯულების მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვას ამოწმებს, არამედ ორ დამატებით მიზანსაც ემსახურება. პირველი დამატებითი მიზანი ნაფიცი მსაჯულებისათვის საქმის გაცნობა და ამ საქმის კანონისმიერი რეგულირების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა. ხოლო მეორე მიზანი მხარის მიერ ნაფიცი მსაჯულების კეთილგანწყობის მოპოვებაა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხარე ნაფიცი მსაჯულების ნდობის მოპოვებას ცდილობს. ამავდროულად მხარეს საშუალება ეძლევა დააკვირდეს რამდენად კეთილგანწყობილი, ანდა არაკეთილგანწყობილია პოტენციური ნაფიცი მსაჯული კონკრეტული პროკურო-

---

[37] „როგორ გამოვიძიოთ მკვლელობის საქმე“, მაიკლ დ. უიმსი, ჯეკ ბ. რაბინი და ჩარლზ ამბროსი, პირველად გამოიცა ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ. საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2011). თარგმანი, გამოცემა და გავრცელება განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ. თარგმნის საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2012). ყველა საავტორო უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის ტექსტის ნაწილობრივი ან მთლიანი შეცვლა ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლებებისა და გარიგებების განყოფილების წერილობითი თანხმობის გარეშე; მისამართი: 321 North Clark Street, Chicago, Illinois 60654, USA; el. fosta: copyright@abanet.org.

[38] ფედერალური სასამართლოს ცენტრის მიერ 1994 წელს ჩატარებული კვლევა. კვლევაში 150 პრაქტიკოსმა ფედერალურმა რაიონულმა მოსამართლემ მიიღო მონაწილეობა და შედეგად დადგინდა, რომ სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებაში, მოსამართლეების 75% დაცვის მხარეს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში მონაწილეობის უფლებას საერთოდ არ აძლევს, ანდა დიდი შეზღუდვით აძლევს. ადვოკატის მიერ შერჩევაში აქტიურად მონაწილეობის უფლებას მხოლოდ მოსამართლეთა 9% იძლევა. იხ. Fed. R. Crim. Pro. 24(a), სადაც გაცხადებულია, რომ სასამართლოს უფლება აქვს შეარჩიოს მსაჯულები, ანდა მისცეს ამის უფლება მხარეებს. თუკი შერჩევას სასამართლო ატარებს, მან მხარეებს მაინც უნდა მისცეს უფლება დასვან მართებული დამატებითი კითხვები, ანდა ეს კითხვები სასამართლოს გადასცენ, რათა თავად დასვას ეს შეკითხვები.

რის/ადვოკატის მიმართ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ გასაუბრების პროცესში არა მხოლოდ ადვოკატი/პროკურორი აკვირდება პოტენციურ ნაფიც მსაჯულებს და იქმნის შთაბეჭდილებას მათ შესახებ, არამედ თავად პოტენციური მსაჯულებიც აკვირდებიან ადვოკატს/პროკურორს და იქმნიან გარკვეულ წარმოდგენას მათზე. პროკურორს/ადვოკატს ასევე შესაძლებლობა აქვს დაასკვნას პოტენციური ნაფიცი მსაჯული რომელი პოზიციისაკენ უფრო მეტად იხრება ან რა კონკრეტული შეხედულებაა მისთვის მისაღები. თუკი მოსამართლე მსაჯულს ობიექტური მიკერძოებულობის შესახებ დაუსვამს კითხვას, ადვოკატმა/პროკურორმა უნდა გამოიკვლიოს ხომ არ არსებობს სუბიექტური მიკერძოების საფუძველი. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მსაჯულთა შესარჩევ სხდომას მთლიანად მოსამართლე ატარებს, ადვოკატის უმთავრესი ფუნქციაა დააკვირდეს და ჩაინიშნოს პოტენციური მსაჯულის რეაქციები დასმულ კითხვაზე და არა სინამდვილეში არა მხოლოდ კითხვაზე გაცემული პასუხი.

ადვოკატს/პროკურორს შეუძლია ასევე დააკვირდეს პოტენციური მსაჯულების დამოკიდებულებას სასჯელის შეფარდებასთან, თუკი ნაფიც მსაჯულებს სასჯელის შეფარდების გადაწყვეტილების მიღებაც ევალებათ. მკვლელობის საქმეებზე, სადაც სასჯელის შეფარდების გადაწყვეტილება ნაფიც მსაჯულებს გამოაქვთ (აშშ-ს პრაქტიკა), დაცვის მხარე შესაძლოა დადგეს დილემის წინაშე, თუ რა მოცულობით საუბარი იქნება საკმარისი პოტენციურ სასჯელთან დაკავშირებით მსაჯულთა შერჩევის დროს, რამდენადაც, რაც უფრო მეტ აქცენტს გააკეთებს ადვოკატი პოტენციურ სასჯელზე, მით უფრო მეტად შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ დაცვის მხარე ფაქტობრივად მოელის სასჯელის შეფარდებას. თუკი ბრალდებულს უწინაც აქვს ჩადენილი დანაშაული, განსაკუთრებით კი მკვლელობა, ფაქტობრივად ადვოკატი ვალდებულია შერჩევის სხდომისას განაცხადოს ამის შესახებ და გადაამოწმოს ნაფიცი მსაჯულების დამოკიდებულება. თუკი ბრალდებულს უწინ ჩადენილი ჰქონდა მკვლელობა, მაშინ, რამდენად მოსალოდნელია, რომ ნაფიცი მსაჯულები „ავტომატურად“ სიკვდილით დასჯას (აშშ-ს პრაქტიკა) დაუჭერენ მხარს, თუკი ბრალდებულს კვლავაც მკვლელობაში დამნაშავედ ცნობენ? ეს არის ძირითადი დილემა, რომლის წინაშეც დგას დაცვის მხარე მკვლელობის საქმეებთან მიმართებაში ნაფიც მსაჯულეთა შერჩევის სხდომისათვის მზადების პროცესში. იმ ადვოკატებისათვის, ვისაც შერჩევის სხდომის ჩატარების შესაძლებლობა აქვთ, ბევრი ნაშრომი არსებობს, რომელიც ნაფიცი მსაჯულების შერჩევის სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რჩევებს გვთავაზობს.[39]

39

სამოდელო კითხვები სისხლის სამართლის საქმეზე ნაფიც მსაჯულთა შერჩევისას[40]

წინამდებარე მასალა ეხება განსაზღვრულ საკითხებს, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა შერჩევისას არის საინტერესო. შეკითხვების უმრავლესობა ისეა ფორმულირებული, რომ კონკრეტულ პასუხს მოითხოვს (დიახ ან არა). აღნიშვნები „დ“ – (დაცვა) და „ბ“ – (ბრალდება) გულისხმობს შეკითხვებს, რომლებსაც, სავარაუდოდ, „დაცვა“ ან შესაბამისად „ბრალდება“ დასვამს.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე დოკუმენტში ზოგიერთი კითხვა მიესადაგება მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მართლმსაჯულებაში არსებულ დღევანდელ სინამდვილეს და ნაკლებად – ქართულს, თუმცა, სახელმძღვანელოს შემდგენელთა აზრით, მომავალში საქართველოში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შედეგად, ეს კითხვები აქტუალური გახდება ბრალდებია და დაცვის მხარისთვისაც.

უდანაშაულობის პრეზუმფცია

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ,რადგან სახელმწიფომ პირს ბრალი წაუყენა დანაშაულის ჩადენაში, იგი, სავარაუდოდ, დამნაშავეა?

[დ] ის ფაქტი, რომ ბრალდებულს დანაშაულის ჩადენაში სდებენ ბრალს, ხომ არ ტოვებს თქვენზე შთაბეჭდილებას, რომ იგი სავარაუდოდ დამნაშავეა?

[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ თუ ვინმეს ბრალად დანაშაულის ჩადენა ედება, მაშინ მას, სავარაუდოდ, რაიმე კანონდარღვევა აქვს ჩადენილი?

[დ] ახლა რომ ხმის მიცემა (ვერდიქტის გამოტანა) მოგიწიოთ, როგორი იქნებოდა თქვენი არჩევანი? (აცნობიერებთ თუ არა, რომ ბრალდებული უდანაშაულოა?).

[დ] რა იგრძენით, როდესაც გაიგეთ, რომ [ბრალდებულის სახელი] ამ დანაშაულის ჩადენისთვის დააპატიმრეს?

[დ] გქონდათ თუ არა ისეთი შეგრძნება, რომ სახელმწიფომ სწორედ პიროვნება დააპატიმრა?

---

[40] ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების შერჩევის სხდომის კითხვები – შესწორდა და ქართულ ენაზე ითარგმნა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ. კითხვები ამოღებულია ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ გამოცემული ჯეფრი თ. ფრედერიკის წიგნიდან „შერჩევის სხდომა“. საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2011). თარგმანის საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2012). ყველა საავტორო უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის ტექსტის ნაწილობრივი ან მთლიანი შეცვლა ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლებებისა და გარიგებების განყოფილების წერილობითი თანხმობის გარეშე; მისამართი; 321 North Clark Street, Chicago, Illinois 60654, USA; el. fosta: copyright@abanet.org

[დ] მიიჩნევთ თუ არა, რომ ზოგჯერ უდანაშაულო ადამიანებს დამნაშავეებად ცნობენ იმ დანაშაულისთვის, რომლებიც მათ არ ჩაუდენიათ?

მტკიცების ტვირთი

[დ] მართლმსაჯულების ჩვენს სისტემაში ბრალდებას ეკისრება დანაშაულის თითოეული ელემენტის გონივრულ ეჭვს მიღმა დამტკიცების ტვირთი. ანუ, ბრალდების მოვალეობაა, რომ თქვენ გონივრულ ეჭვს მიღმა დაგიმტკიცოთ, რომ ბრალდებულმა მისთვის წაყენებული დანაშაული ჩაიდინა. რაიმე პრობლემა ხომ არ შეგექმნებოდათ იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდებამ ეს ტვირთი უნდა გასწიოს?

[დ] გჯერათ თუ არა, რომ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულებმა მათი უდანაშაულობა უნდა ამტკიცონ? [დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ ბრალდებულმა ჩვენება უნდა მისცეს ან მტკიცებულებები წარმოადგინოს იმისათვის, რომ იგი უდანაშაულოდ ცნოთ? [დ] როგორი იქნება თქვენი დამოკიდებულება, თუ დაცვის მხარე არავითარ მტკიცებულებას არ წარმოადგენს?

[დ] თუ დაცვის მხარე არავითარ მტკიცებულებას არ წარადგენს, ამას ბრალდებულის საწინააღმდეგოდ ხომ არ აღიქვამთ? ანუ, ხომ არ იფიქრებთ, რომ ბრალდებული დამნაშავეა?

[დ] მოელით თუ არა, რომ დაცვის მხარემ ბრალდების პოზიციის მცდარობა უნდა დაამტკიცოს?

ირიბი მტკიცებულებები

[ბ] სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, კონკრეტული ფაქტის დადასტურების ორი გზა არსებობს. პირველი არის პირდაპირი მტკიცებულება, მტკიცებულება, რომელიც თავისთავად ადასტურებს ფაქტს, მაგალითად, თვითმხილველი მოწმის განცხადებები ან ნივთზე ვინმეს თითის ანაბეჭდები. ხოლო, კონკრეტული ფაქტის დადასტურების მეორე გზა ირიბი მტკიცებულებაა. ირიბი მტკიცებულებები მოიცავს ფაქტებს, რომელთა საფუძველზე თქვენ ასკვნით, რომ სხვა ფაქტს ჰქონდა ადგილი. საილუსტრაციოდ, თუ დილით გაიღვიძებთ და მიწაზე თოვლი იქნება, რომელიც წინა დღეს არ იყო, თქვენ დაასკვნით, რომ ღამე თოვდა. ახლა, ამ საქმეში არ იქნება არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომ ბრალდებულმა დაზარალებული მოკლა; საქმე ირიბ მტკიცებულებებზეა აგებული. თუ შეიძლება მითხარით, როგორია თქვენი დამოკიდებულება მხოლოდ ირიბი მტკიცებულებების განხილვასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც უნდა გადაწყდეს, მოკლა თუ არა ბრალდებულმა დაზარალებული?

[ბ] მიიჩნევთ თუ არა, რომ ირიბი მტკიცებულებები გარკვეულწილად დაბალი ხარისხის ან სუსტი მტკიცებულებებია?

[ბ] ფიქრობთ თუ არა, რომ მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებზე აგებული საქმე ყოველთვის დაგიტოვებთ გონივრულ ეჭვს ბრალდებულის ბრალეულობასთან დაკავშირებით?

[ბ] ფიქრობთ თუ არა, რომ მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებზე აგებული საქმე ყოველთვის დაგიტოვებთ რაიმე ეჭვს ბრალდებულის ბრალეულობასთან დაკავშირებით?

[ბ] თუ ჩვენ წარმოვადგენთ ირიბ მტკიცებულებებს, რომელთა საფუძველზე თქვენ გონივრულ ეჭვს მიღმა დაასკვნით, რომ ბრალდებული დამნაშავეა, შეიკავებდით თუ არა თავს რაიმეს გამო, ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანისგან?

[ბ] შეიკავებდით თუ არა თავს ბრალდებულის მძიმე დანაშაულის (როგორიცაა მკვლელობა) ჩადენაში დამნაშავედ ცნობისგან ისეთი მტკიცებულებების გარეშე, როგორიცაა „დნმ“, თითის ანაბეჭდები ან თვითმხილველი მოწმე?

[ბ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ მხოლოდ ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე ბრალდებული არ უნდა იყოს დამნაშავედ ცნობილი?

[დ] მოცემულ საქმეში ბრალდება, სავარაუდოდ, წარადგენს ირიბ მტკიცებულებებს და შეეცდება დაგარწმუნოთ, რომ, საერთო ჯამში, ეს მტკიცებულებები ბრალდებულის ბრალს გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს. ახლა, მოდით, ერთი წუთით განვიხილოთ ირიბი მტკიცებულებები, რადგან ზოგჯერ მათ უფრო ძლიერი ეფექტი აქვთ, ვიდრე ეს სინამდვილეშია. დავუშვათ, თქვენ შენობის უკან შეუხვიეთ და მიწაზე დაშავებული პიროვნება დაინახეთ. დაზარალებულის გვერდით დგას მამაკაცი, რომელსაც ხელში ჯოხი უჭირავს და რომელიც მისკენ არის გადახრილი. უამრავი ადამიანის პირველი შთაბეჭდილება იქნებოდა შემდეგი: „დაზარალებულის გვერდით თავდამსხმელი დგას.“ თუმცა, შეგიძლიათ თუ არა მოუძებნოთ სხვა ახსნა მამაკაცს, რომელიც ჯოხით ხელში დაინახეთ (მაგალითად, მამაკაცი სწორედ ახლა მოვიდა დანაშაულის ჩადენის ადგილას და მიწიდან ჯოხი აიღო)?

[დ] საერთო ჯამში, როგორია თქვენი შთაბეჭდილება ირიბ მტკიცებულებებთან დაკავშირებით?

[დ] პროკურორის მიერ აღწერილ თოვლის სცენარში, თქვენი პირველადი დასკვნა, რომ ღამე თოვდა, ხომ არ შეიცვლებოდა იმ შემთხვევაში, თუ დაინახავდით ხელოვნური თოვლის მოსაფრქვევ მანქანას ქუჩაში?

[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ ირიბი მტკიცებულებები დიდი სიფრთხილით უნდა იყოს განხილული, რადგან მათ შესაძლოა მცდარი შთაბეჭდილებები გამოიწვიონ?

მტკიცების სტანდარტი

[ბ] როგორც ამ საქმეზე მომუშავე პროკურორს, მე მევალება დავამტკიცო გონივრულ ეჭვს მიღმა, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, რისთვისაც მას ბრალი აქვს წაყენებული. მრავალ თქვენგანს დღემდე გაუგონია ფრაზა ,,გონივრულ ეჭვს მიღმა“ – შესაძლოა ტელევიზიიდან ან სასამართლო პროცესების შესახებ წაკითხული ლიტერატურიდან. ეს არის სისხლის სამართლის საქმეებზე, სასამართლოებში გამოყენებული მტკიცების სტანდარტი. როგორც თვითონ ფრაზა მიანიშნებს, ეს არის გონივრული სტანდარტი. ჩვენი საღი აზრიდან გამომდინარე, სრულიად გონივრულია, რომ ჩვენ გავიქარწყლოთ ნებისმიერი სერიოზული თუ გონივრული ეჭვი, რომელიც შეიძლება გვქონდეს ბრალდებულის ბრალთან დაკავშირებით. და ჩვენ ასეც მოვიქცევით. თუმცა, მსურს შეგახსენოთ, რომ სტანდარტი არ არის ,,არაგონივრულ ეჭვს მიღმა“. როგორც მოგვიანებით მოსამართლე აგიხსნით, ჩვენ არ უნდა გავაქარწყლოთ ყველა შესაძლო და უმნიშვნელო ეჭვიარამედ მხოლოდ ნებისმიერი საფუძვლიანი ან სერიოზული ეჭვი. რაიმეს გამო თავს ხომ არ შეიკავებდით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისგან, თუ ჩვენ ამ სტანდარტს დავიცავთ?

[ბ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჩათვლით, რომ ბრალდებულის ბრალეულობა გონივრულ ეჭვს მიღმაა დამტკიცებული, თქვენ რაიმე მიზეზის გამო არ მოისურვებდით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას?

[დ] მიიჩნევდით თუ არა, რომ გამამტყუნებელი განაჩენის არგამოტანის შემთხვევაში თქვენი სამუშაო გარკვეულწილად ვერ შესრულდა ან შეუსრულებელი დარჩა?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჩათვლით, რომ ბრალდებულის ბრალეულობა გონივრულ ეჭვს მიღმა არ არის დამტკიცებული, თქვენ რაიმე მიზეზის გამო არ მოისურვებდით გამამართლებელი განაჩენის გამოტანას?

სასამართლო განხილვამდე საქმესთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია

[ბ],[დ] ამ საქმესთან დაკავშირებით (ზუსტად გადაეცით საქმის აღწერილობა) ხომ არ გაგიგონიათ რაიმე რადიოში ან წაგიკითხავთ გაზეთში, გინახავთ ტელევიზორში, ინტერნეტში, ან გისაუბრიათ მეგობრებთან ან თანამშრომლებთან?

[ბ],[დ] თუ შეიძლება, მოკლედ მომიყევით თუ რა გახსენდებათ იქიდან, რაც გაიგონეთ, ნახეთ ან რის თაობაზეც ისაუბრეთ.

[ბ],[დ] რა აზრმა გაგიელვათ გონებაში, როდესაც წაიკითხეთ/ გაიგონეთ/ნახეთ ამბის [კონკრეტული მოვლენისა და შემდგომი მოვლენების/ ამბების] შესახებ?

[ბ] რა იფიქრეთ ბრალდებულის შესახებ, როდესაც ამ ამბების თაობაზე წაიკითხეთ/გაიგონეთ/შეიტყვეთ?

[დ] სანამ დღეს სასამართლოში მობრძანდებოდით, რას ფიქრობდით საქმის ან [ბრალდებულის სახელი] თაობაზე?

[ბ],[დ] შეგექმნათ თუ არა რაიმე შთაბეჭდილება იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდა?

[ბ],[დ] იქიდან გამომდინარე, თუ რა შეიტყვეთ ან რაზე ისაუბრეთ თქვენს მეგობრებთან ან თანამშრომლებთან, შეგექმნათ თუ არა რაიმე შთაბეჭდილებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდა?

[ბ],[დ] ეს კონკრეტულად რა შთაბეჭდილებებია?

მოტივი

[ბ] სახელმწიფომ ამ საქმეში არავითარი მოტივის არსებობა არ უნდა ამტკიცოს. მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენ მიერ ბრალდებულის დამნაშავედ ცნობამდე სახელმწიფომ თქვენ რაიმე მოტივის არსებობა უნდა დაგიმტკიცოთ?

[დ] ეწინააღმდეგება თუ არა ვინმე იმ მოსაზრებას, რომ მოტივის არარსებობა შეიძლება ბრალდებულის უდანაშაულობის განმსაზღვრელი ფაქტორი იყოს?

საქმის ხელახალი განხილვა (ვერდიქტის გამოტანის შეუძლებლობა ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტზე შეუთანხმებლობის გამო)

[ბ] თუ ბრალდებამ ბრალდებულს ბრალი წაუყენა და ვერდიქტი ვერ იქნა გამოტანილი ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტზე შეუთანხმებლობის გამო, ფიქრობთ თუ არა, რომ უსამართლო იქნებოდა, თუ ბრალდება მას ბრალს ხელმეორედ წაუყენებს?

[დ] თუ თავდაპირველ სასამართლო პროცესზე ვერდიქტი ვერ იქნა გამოტანილი ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტზე შეუთანხმებლობის გამო, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ამის გამო, სავარაუდოდ, ბრალდებული დამნაშავეა?

ბრალდებულის მიერ ჩვენების არმიცემა

[დ] მიიჩნევთ თუ არა, რომ სისხლის სამართლის საქმეში თავის დასაცავად ბრალდებულმა აუცილებლად უნდა მისცეს ჩვენება?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ ბრალდებული ვალდებულია მომხდართან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია განმარტოს?

[დ] გჯერათ თუ არა, რომ სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდებულები, რომლებიც თავის დასაცავად ჩვენებას არ აძლევენ, სავარაუდოდ, დამნაშავენი არიან?

[დ] თუ ბრალდებული ჩვენებას არ მისცემს, ჩათვლიდით თუ არა ამას ბრალდებულის სავარაუდო ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად?

[დ] როგორი შთაბეჭდილება შეგექმნებოდათ იმ ბრალდებულებზე, რომლებიც თავის დასაცავად ჩვენებას არ მისცემდნენ?

[დ] როგორი შთაბეჭდილება შეგექმნებოდათ ბრალდებულზე, რომელიც სასამართლო სხდომაზე ჩვენებას არ მისცემდა?

[დ] შეძლებდით თუ არა [ბრალდებულის სახელი] უდანაშაულოდ ცნობას [წაყენებული დანაშაულების ჩადენაში], თუ იგი ჩვენებას არ მისცემს მომხდართან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის განმარტების მიზნით?

[დ] იფიქრებდით თუ არა, რომ იგი რაიმეს დამალვას ცდილობდა?

ეთნიკური წარმომავლობა ან რასიზმი

[ბ],[დ] რას ნიშნავს თქვენთვის ფრაზა „ეთნიკური სტერეოტიპი“ ან „რასობრივი სტერეოტიპი“? [ბ],[დ] რას ფიქრობთ სხვადასხვა ეთნოსის ან რასის წარმომადგენელთა შორის ქორწინებაზე?

[ბ],[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ სხვა ეთნიკური ან რასობრივი ჯგუფის წარმომადგენლები უფრო მეტად ან ნაკლებად ჩაიდენენ დანაშაულს, ვიდრე ქართველები? რატომ?

[ბ],[დ] სწავლის ან სამუშაოს გარეთ, რამდენად გაქვთ სოციალური კონტაქტი განსხვავებული ეთნიკური ან რასობრივი წარმომავლობის ადამიანებთან?

[ბ],[დ] გრძნობთ თუ არა თავს არაკომფორტულად გარკვეული ეთნიკური ან რასობრივი ჯგუფების წარმომადგენლების გარემოში? განგიცდიათ თუ არა სხვა ეთნიკური ან რასობრივი ჯგუფის წარმომადგენლის შიში?

[ბ],[დ] რასობრივი ან ეთნიკური ცრუ შეხედულებები ზოგჯერ გამოიხატება იარლიყებში ან სტერეოტიპებში, რომლებიც გარკვეული რასობრივი ან ეთნიკური ჯგუფების აღწერის მიზნით გამოიყენება. რასობრივი ან ეთნიკური წარსულის გამო თქვენს, თქვენი ოჯახის წევრის ან ახლო მეგობრის მიმართ ოდესმე ხომ არ გამოუყენებიათ ასეთი სახის იარლიყები ან სტერეოტიპები?

[ბ],[დ] ზოგადად, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ჩვენი საზოგადოება ყველა ეთნიკურ და

რასობრივ ჯგუფს თანაბრად ეპყრობა?

[ბ],[დ] მიიჩნევთ თუ არა, რომ ზოგიერთი ეთნიკური ან რასობრივი ჯგუფი უფრო ძალმომრეობით ხასიათდება, ვიდრე სხვები?

[ბ],[დ] თქვენს ოჯახში, ფართო გაგებით, არიან თუ არა განსხვავებული რასის, ეთნიკურობის ან მრწამსის მქონე წევრები?

[ბ],[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ დაზარალებული ან დისკრიმინირებული ჯგუფები იმავე კანონიერი უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, როგორც სხვა ჯგუფები?

კრიმინალური დაჯგუფებები/კრიმინალური დაჯგუფებების საქმიანობა

(ქვემოთ მოცემული შეკითხვები კრიმინალური დაჯგუფებების შესახებ კანონიერ ქურდებსაც მოიცავს.)

[ბ],[დ] იცით თუ არა კრიმინალური დაჯგუფებების რაიმე საქმიანობის შესახებ თქვენს სამეზობლოში, ქალაქში, დაბაში ან სოფელში?

[ბ],[დ] გქონიათ თუ არა ოდესმე თქვენ ან თქვენს ახლობელ ადამიანს რაიმე პრობლემა რომელიმე კრიმინალურ დაჯგუფებასთან ან დაჯგუფების წევრებთან?

[ბ],[დ] ხომ არ გქონიათ რაიმე შეხება რომელიმე კრიმინალურ დაჯგუფებასთან ან ხომ არ ყოფილა თქვენი ნაცნობი/ოჯახის წევრი ასეთი დაჯგუფების წევრი ან მის საქმიანობაში ჩაბმული?

[ბ],[დ] ხომ არ განგიცდიათ თქვენ ან თქვენს ნაცნობს შიში სამართალდამცავებისთვის კრიმინალური დაჯგუფებების საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით?

[ბ] გახსენდებათ თუ არა რაიმე სიტუაცია, როდესაც პიროვნებამ არ მოისურვა სამართალდამცავებისთვის დანაშაულის თაობაზე სიმართლის თქმა სამაგიეროს მიზღვის ან რაიმე სხვა შიშის გამო? თუ დიახ, რა სახის სიტუაციები გაგახსენდათ?

ბრალდებულის/მოწმეების ქცევა (ძირითადად დაცვაზე ორიენტირებული შეკითხვები)

ცხოვრების სტილი

წარმოდგენილი იქნება მტკიცებულება, რომ [ბრალდებულის სახელი] ესწრებოდა წვეულებას, სადაც ნარკოტიკებს მოიხმარდნენ. ის ფაქტი, რომ იგი ამ წვეულებაზე იყო, ხომ არ გაფიქრებინებდათ, რომ მას რაიმე ცუდი უნდა ჩაედინა?

დაუშვებდით ამის გამო, რომ იგი დამნაშავეა?

ალკოჰოლიზმი/ნარკომანია

[ბ],[დ] სვამთ თუ არა ხანდახან რაიმე სახის ალკოჰოლურ სასმელს?

[ბ],[დ] ხომ არ გაქვთ რაიმე სახის რელიგიური ან მორალური შეხედულებები ალკოჰოლური სასმელების გამოყენების წინააღმდეგ?

[ბ],[დ] ხომ არ გაქვთ უარყოფითი დამოკიდებულება მათთან მიმართებაში, ვინც ალკოჰოლურ სასმელებს მოიხმარს?

[ბ],[დ] მიიჩნევთ თუ არა, რომ ალკოჰოლის (ნარკოტიკების) მოხმარებას პიროვნების აზროვნების დაქვეითება შეუძლია?

[ბ],[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ შეიძლება პიროვნებამ იმდენი ალკოჰოლი (ნარკოტიკები) მოიხმაროს, რომ აღარ იცოდეს, რას აკეთებს?

[ბ],[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ წლების განმავლობაში ალკოჰოლის (ნარკოტიკების) ინტენსიურმა მოხმარებამ შესაძლოა პიროვნების ტვინი დააზიანოს?

[ბ],[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ შეიძლება ადამიანები ალკოჰოლს (ნარკოტიკებს) იმის გასამართლებლად მოიხმარენ, რომ საკუთარ საქციელზე აღარ იყვნენ პასუხისმგებელნი?

[ბ],[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ შესაძლებელია პიროვნება განიცდიდეს ინტენსიურ თრობას, თუმცა არ იყოს გათიშული ან ვერ გონება არ ჰქონდეს დაკარგული და ამავე დროს, მან იცოდეს (ან უნდა იცოდეს) თუ რას აკეთებს?

[ბ],[დ] მიიჩნევთ თუ არა, რომ ალკოჰოლის (ნარკოტიკების) ინტენსიურმა მოხმარებამ შესაძლოა, სავარაუდოდ, პიროვნების არარაციონალური ქცევა გამოიწვიოს?

[ბ],[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ ალკოჰოლის (ნარკოტიკების) ინტენსიურმა მოხმარებამ შესაძლოა პიროვნებას ისეთი რამ გააკეთებინოს, რისი გაკეთებაც მას სინამდვილეში არ სურდა?

[ბ],[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ ალკოჰოლი მხოლოდ გარკვეულ შეზღუდვებს ხსნის და სინამდვილეში არარაციონალურ ქცევას არ იწვევს?
[ბ],[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ შეუძლებელია პიროვნებამ იმდენი ალკოჰოლი მოიხმაროს, რომ აღარ იცოდეს, რას აკეთებს?

[ბ],[დ] მიიჩნევთ თუ არა, რომ ფიზიკური დაუძლურების ნიშნები (მაგალითად, კოორდინაციის ნაკლებობა ან არეული მეტყველება) ერთადერთი საშუალებაა იმის დასადგენად, რომ პიროვნების აზროვნების უნარზე გავლენა ალკოჰოლის (ნარკოტიკების) მოხმარებამ იქონია? სხვა რომელი საშუალება გახსენდებათ?

[ბ],[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ ალკოჰოლიკის (ნარკომანის) მიერ წლების განმავლობაში ალკოჰოლის (ნარკოტიკების) ინტენსიურმა მოხმარებამ შესაძლოა მისი საღად აზროვნების უნარი დააქვეითოს?

[ბ],[დ] გჯერათ თუ არა, რომ პიროვნება, რომელიც ალკოჰოლს (ნარკოტიკებს) მოიხმარს, გარემოებებისდა მიუხედავად, პასუხს უნდა აგებდეს საკუთარ ქმედებებზე?

საპროცესო შეთანხმება. იმუნიტეტი. განსაკუთრებული მოპყრობა

[ბ],[დ] რას ფიქრობთ სახელმწიფოს მიერ იმ მოწმეების გამოყენებაზე, რომლებიც, სავარაუდოდ, ზოგიერთ წაყენებულ დანაშაულში მონაწილეობდნენ და რომლებმაც მათი თანამშრომლობის სანაცვლოდ სახელმწიფოსთან საპროცესო შეთანხმება გააფორმეს?

[დ] რას ფიქრობთ სახელმწიფოს მიერ იმ მოწმეების გამოყენებაზე, რომლებსაც ამ საქმეში ბრალი არ აქვთ წაყენებული, მაგრამ, რომლებმაც შესაძლოა სახელმწიფოსგან ხელსაყრელი პირობები მიიღონ საკუთარ სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებაში?

[დ] რას ფიქრობთ სახელმწიფოს პრაქტიკაზე, როდესაც ის გარკვეული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულებს სთავაზობს „საპროცესო შეთანხმების“ (შემცირებული სასჯელის შეთავაზება) გაფორმებას სასამართლოში ჩვენების მიცემის სანაცვლოდ, იმ სხვა ბრალდებულის წინააღმდეგ, რომელსაც იმავე დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი? [დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ, რადგან მოწმე სახელმწიფოს სასარგებლოდ აძლევს ჩვენებას, იგი სიმართლეს ამბობს?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ კრიმინალებმა შესაძლოა მოიტყუონ, რათა სახელმ-

წიფოსგან უკეთესი გარიგება (ან შემცირებული სასჯელი) მიიღონ?

[დ] როგორ ფიქრობთ, რამდენად სავარაუდოა, რომ ბრალდებულმა, რომელსაც მისი ჩვენების სანაცვლოდ საპროცესო შეთანხმებას უფორმებენ, მოტყუებით დაადანაშაულოს ვინმე დანაშაულის ჩადენაში, რათა საკუთარი სასჯელი შეიმციროს?

[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ, რადგან სახელმწიფო ხელსაყრელ პირობებს სთავაზობს კრიმინალს, რომელიც სხვა პიროვნების წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას, ასეთი ჩვენება ყოველთვის მართალი იქნება?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ, როდესაც ბრალდებული, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა და რომელსაც მისი ჩვენების სანაცვლოდ საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს, სხვა პიროვნებას იმავე დანაშაულში მონაწილეობას აბრალებს, ეს სხვა პიროვნება, სავარაუდოდ, დამნაშავეა?

[დ] თქვენი აზრით, რამდენად სანდოა იმ მოწმეების ჩვენება, რომლებმაც დანაშაულის ჩადენა აღიარეს და ბრალდებასთან საპროცესო შეთანხმებები გააფორმეს, რის საფუძველზეც მათი თანამშრომლობისა და ჩვენების სანაცვლოდ შესაძლოა სასჯელი შეიმსუბუქონ?

[დ] რას ფიქრობთ იმ მოწმეებზე, რომლებმაც ჩვენების სანაცვლოდ შესაძლოა ფული ან სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული პირობები მიიღონ მათი მხრიდან სიმართლის თქმის მზაობის შემთხვევაში?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ სახელმწიფო არ მოიყვანდა მოწმეს, თუ მისი სათქმელი სიმართლე არ იქნებოდა?

[ბ] ამ საქმეში შესაძლოა მოისმინოთ თანამშრომლობაზე წამოსული ბრალდებულების ჩვენებები, რომლებმაც ბრალდებასთან საპროცესო შეთანხმებები გააფორმეს. ბრალდებულის თანამშრომლობის მოსამართლისეული შეფასების შედეგად ბრალდებულმა შესაძლოა შემცირებული სასჯელი მიიღოს. მიგაჩნიათ თუ არა, რომ სახელმწიფოს მხრიდან არამართებულია საპროცესო შეთანხმების იმ მიზნით გაფორმება, რომ მოწმეს შეზღუდული ან შემცირებული სასჯელი შეუფარდონ?

[ბ] მიიჩნევთ თუ არა, რომ ავტომატურად არ დაუჯერებდით ან არ გაითვალისწინებდით ისეთი მოწმის ჩვენებას, რომელმაც ასეთი შეთანხმება გააფორმა? [დ] რას ფიქრობთ იმ ბრალდებულთა ჩვენებების შესახებ, რომლებიც მათი ჩვენებების სანაცვლოდ გარიგებებში შედიან?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ ბრალდებული მოიტყუებოდა სხვებთან დაკავშირებით იმ იმედით, რომ შემცირებული სასჯელი მიეღო?

[დ] მიიჩნევთ თუ არა, რომ, რადგან ბრალდება სასამართლო სხდომაზე ჰკითხავს

ბრალდებულს, რომელმაც საპროცესო შეთანხმება გააფორმა, ასეთი მოწმე (ანუ ეს ბრალდებული) სიმართლეს უნდა ამბობდეს?

[დ] გჯერათ თუ არა, რომ ბრალდებულს, რომელიც საპროცესო შეთანხმებას აფორმებს, აქვს საკმარისი მიზეზი თქვას ის, რისი გაგონებაც პროკურორს სურს?

დამნაშავეები/ინფორმატორები, რომლებიც სხვებს დანაშაულის ჩადენისკენ აქეზებენ

[ბ] რას ფიქრობთ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინფორმატორების გამოყენებაზე ჩვენს საზოგადოებაში დანაშაულებრივი საქმიანობის გამოაშკარავების მიზნით?

[ბ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ მხოლოდ იმის გამო, რომ პირი ჩართული იყო დანაშაულებრივ საქმიანობაში, ვერ იქნება სანდო მოწმე სხვათა დანაშაულებრივი საქმიანობის თაობაზე ჩვენების მიცემისას? [დ] ფიქრობთ თუ არა, რომ კრიმინალებმა შესაძლოა ვინმე უკანონო საქმიანობაში ჩაითრიონ, თუ შედეგად ეს კრიმინალები მეტ ფულს ან ნაკლებ საპატიმრო ვადას მიიღებენ?

[დ] გჯერათ თუ არა, რომ თუ კრიმინალებს ფულს უხდიან ან ისინი ხელსაყრელ პირობებს იღებენ, მათ აქვთ ნამდვილი წამახალისებელი მიზეზი უთხრან პოლიციას ის, რისი გაგონებაც პოლიციას სურს?

ბიზნესმენთა ან ოფისის მუშაკთა მიერ ჩადენილი ეკონომიკური დანაშაულები

[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ, თუ კომპანია და მისი მოწილეები დიდი რაოდენობით ფულს კარგავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ვინმემ დანაშაული ჩაიდინა?

[ბ] მიიჩნევთ თუ არა, რომ მსხვილი კორპორაციების ფინანსური და საბუღალტრო პრაქტიკის სახელმწიფოს მხრიდან რეგულირება ძალზე მკაცრია, არასაკმარისად მკაცრია თუ როგორიც საჭიროა, ზუსტად ისეთია?

[დ] ოდესმე ბიზნესგარიგების დროს ხომ არ მოუტყუებიხართ ან შეცდომაში შეუყვანიხართ ვინმეს?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ კომპანიის სხვა თანამშრომლების მიერ დანაშაულის აღიარება იმ ფაქტზე უთითებს, რომ, სავარაუდოდ, მთავარი აღმასრულებელი დირექტორიც ასევე დამნაშავეა?

[დ] მიიჩნევთ თუ არა, რომ თუ კომპანიის უფრო დაბალი რანგის თანამშრომ-

ლებისთვის ცნობილია გადაცდომის შესახებ, მაშინ, სავარაუდოდ, ამის შესახებ მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმაც იცის?

[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ კომპანიის აღმასრულებელი პირებისთვის კანონი პასუხისმგებლობის უფრო დიდ დონეს უნდა ითვალისწინებდეს სხვა თანამშრომლებთან შედარებით იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ კომპანიის აღმასრულებელი თანამდებობები უჭირავთ?

[დ] შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა, რომ კომპანიაში მნიშვნელოვანი დანაშაულებრივი საქმიანობა ხორციელდებოდეს და ამის შესახებ მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა არაფერი იცოდეს?

პოლიტიკური/საჯარო კორუფცია

[ბ] მიიჩნევთ თუ არა მნიშვნელოვან საკითხად კანონის დარღვევებს კომპანიების დაფინანსების შესახებ?

[ბ],[დ] რას ფიქრობთ პოლიტიკური მიზნებისთვის ფინანსების მოძიებაზე? [ბ] რაიმე უარყოფითი დამოკიდებულება ხომ არ გაქვთ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ საიდუმლო აგენტების გამოყენების მიმართ, როდესაც ისინი საჯარო თანამდებობის პირებს საჯარო კორუფციის საქმეების გამოძიებისას უკავშირდებიან?

[ბ] რას ფიქრობთ იმ პირებზე, რომლებიც პოლიტიკური კანდიდატების კამპანიებისთვის დიდი ოდენობის თანხების მობილიზებას ახდენენ?

[ბ] რას ფიქრობთ ბიზნეს სუბიექტების იმ პრაქტიკაზე, როდესაც ისინი სახელმწიფო თანამდებობის პირებთან სოციალური ან პოლიტიკური კავშირების მქონე პიროვნებებს ქირაობენ კანონებზე და/ან რეგულაციებზე გავლენის მოხდენის მიზნით?

[დ] მიიჩნევთ თუ არა ცხოვრებისეულ კანონად იმ ფაქტს, რომ ადამიანების წარმატებული კარიერა იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის იცნობენ ისინი?

[დ] არამართებულად მიგაჩნიათ თუ არა, როდესაც ადამიანები მათი პოლიტიკური, სოციალური ან ბიზნეს კავშირების თუ მეგობრობის შედეგად ფინანსურ სარგებელს იღებენ?

[დ] მართებულად მიგაჩნით თუ არა, როდესაც პიროვნება კომპანიის მიერ სახელმწიფოსთან კონტრაქტის წარმატებით დადებაში გაწეული დახმარებისთვის შესაბამის კომპენსაციას იღებს?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები

უფრო მაღალ მორალურ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდნენ, ვიდრე სხვა ადამიანები?

[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ საჯარო მოხელეები უფრო მაღალ მორალურ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდნენ, ვიდრე სხვა ადამიანები? [დ] საერთო ჯამში, რას ფიქრობთ პარლამენტის ან მთავრობის წევრთა ეთიკისა და პატიოსნების შესახებ?

[ბ],[დ] როგორია თქვენი შეხედულებები პოლიტიკოსთა და საჯარო მოხელეთა შესახებ?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ პოლიტიკოსები და საჯარო მოხელეები ზოგადად სანდო ან არასანდონი არიან?

პროკურორის/ადვოკატის მხრიდან პროტესტის გამოთქმა

[ბ],[დ] სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მე ზოგჯერ გამოვთქვამ პროტესტს პროცესუალურ საკითხებთან დაკავშირებით და სასამართლო გადაწყვეტს, რამდენად საფუძვლიანი იქნება გამოთქმული პროტესტი. ეს ჩემი სამუშაოს ნაწილია. რაიმე პრობლემა ხომ არ გექნებათ ამ გამოთქმულ პროტესტთან დაკავშირებით?

[ბ],[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ რაც ითქმება, თქვენს ყურადღებას დაიმსახურებს? [ბ],[დ] შეძლებთ თუ არა ეს საქმე გადაწყვიტოთ მხოლოდ იმის საფუძველზე, რასაც მოწმეები ჩვენების მიცემისას იტყვიან და არა იმაზე ფიქრით, თუ რატომ იყო პროტესტი გამოთქმული?

მკაცრი ჯვარედინი დაკითხვა

[ბ],[დ] ბრალდების/დაცვის მოწმეების მიერ ჩვენების მიცემისას მე მექნება შესაძლებლობა დავკითხო ეს მოწმეები, რათა მათგან მივიღო ის ინფორმაცია, რომელიც, ჩემი აზრით, თქვენ უნდა იცოდეთ. ზოგჯერ მომიწევს ვიყო საკმაოდ შეუპოვარი და დაჟინებული. შევეცდები ვიყო თავაზიანი მოწმეების მიმართ, მაგრამ შესაძლოა მომიწიოს ვიყო შემტევიც. რაიმე პრობლემას ხომ არ შეგიქმნიდათ ის ფაქტი, რომ მე შეიძლება მოწმე „შემტევი მანერით“ დავკითხო?

იურისტი ბრალდებული

[დ] უნდა აკმაყოფილებდეს თუ არა ბრალდებული, რომელიც იურისტია ან რომელსაც იურიდიული განათლება აქვს მიღებული, განსხვავებულ სამართლებრივ ან ეთიკურ სტანდარტებს სხვა ბრალდებულებთან შედარებით?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ პროკურორები/ადვოკატები უფრო მაღალ მორალურ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდნენ, ვიდრე სხვა ადამიანები?

[ბ],[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ, როდესაც ვინმემ შესაძლოა ამ სასამართლო პროცესის შედეგით იხეიროს, ეს ფაქტი გათვალისწინებული უნდა იყოს ამ პიროვნების მიერ სიმართლის თქმისათვის მზადყოფნის შეფასებისას?

[ბ],[დ] თქვენი აზრით, რომელი მნიშვნელოვანი ფაქტორები განსაზღვრავს, ჩვენების მიცემისას პიროვნება სიმართლეს ამბობს თუ არა?

[ბ],[დ] გაითვალისწინებდით თუ არა მოწმის ქცევის მანერას იმის შესაფასებლად, იგი სიმართლეს ამბობს თუ არა?

[ბ],[დ] მოწმის ჩვენების სიმართლის დადგენის მიზნით, გაითვალისწინებდით თუ არა იმას, თუ რა შეიძლება მან ჩვენების მიცემის სანაცვლოდ მიიღოს?

[ბ],[დ] მოწმის ჩვენების სანდოობის დადგენისას, რამდენად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მოწმეები ჩვენების მიცემის სანაცვლოდ რაიმე სარგებლის მიღებას ელიან?

[ბ] სხვა მოწმეებთან შედარებით უფრო მეტად თუ ნაკლებად დაუჯერებდით ისეთი მოწმის ჩვენებას, რომელმაც დანაშაული აღიარა და ახლა ჩვენებას აძლევს იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც იმავე მოვლენების საფუძველზე დანაშაულების ჩადენაში სდებენ ბრალს?

[დ] სხვა მოწმეებთან შედარებით უფრო მეტად თუ ნაკლებად დაუჯერებდით ისეთი მოწმის ჩვენებას, რომელსაც ბრალდების მხარე გამოიძახებს?

[დ] სხვა მოწმეებთან შედარებით უფრო მეტად თუ ნაკლებად დაუჯერებდით ისეთი მოწმის ჩვენებას, რომელსაც დაცვის მხარე გამოიძახებს?

ექსპერტი მოწმეები: ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სპეციალისტები

[ბ],[დ] რას ფიქრობთ ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სპეციალისტების შესაძლებლობაზე შეიცნონ ადამიანის გონება?

[ბ],[დ] მიიჩნევთ თუ არა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტების მოსაზრებები მხოლოდ სუბიექტური შეხედულებებია, რომლებიც სერიოზულ დონეზე გათვალისწინებას არ იმსახურებს?

რამდენიმე ბრალდებული

[დ] საქმეში რამდენიმე ბრალდებულის არსებობის შემთხვევაში, დაიჯერებდით თუ არა, რომ ერთ-ერთი ბრალდებულის დამნაშავეობის შემთხვევაში, ისინი ყველა დამნაშავეები უნდა იყვნენ?

[დ] შეძლებდით თუ არა გაგეთვალისწინებინათ მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც კონკრეტულ ბრალდებულს ეხება, და არა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც თითქოს ყველა ბრალდებულს ეხება?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ შეძლებთ თითოეული ბრალდებულის ცალ-ცალკე განხილვას და რომ მოსთხოვოთ პროკურორს თითოეული ბრალდებულის ბრალეულობის გონივრულ ეჭვს მიღმა ცალ-ცალკე დამტკიცება?

რამდენიმე ბრალდება

[დ] ის ფაქტი, რომ პიროვნებას შესაძლოა რამდენიმე ბრალდება ჰქონდეს წაყენებული, ხომ არ გაფიქრებინებთ, რომ იგი რაღაცაშია დამნაშავე?

სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების ქმედებები/გამოძიების ტექნიკა

[ბ] რას ფიქრობთ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული პირების გამოვლენის მიზნით სოციალურ გარემოში აგენტების ჩანერგვის ოპერაციების გამოყენებაზე?

[ბ] მოცემული პროცესის დროს თქვენ მოისმენთ პოლიციის ოფიცრის ჩვენებას, რომელიც ამ საქმეზე მტკიცებულებების მოპოვების მიზნით საიდუმლო აგენტის ფუნქციებს ახორციელებდა. გაქვთ თუ არა რაიმე პირადი შეხედულება ასეთი სახის საქმიანობასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც თავს შეიკავებდით ამ ჩვენების მიღებისგან მხოლოდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის საიდუმლო ოპერაციის შედეგად იყო მოპოვებული?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ პოლიციისთვის უფრო მნიშვნელოვანია ეძიოს სიმართლე, ვიდრე უბრალოდ ის, რომ შეეცადოს დამნაშავედ ცნოს ბრალდებული? [დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთმა თანამშრომელმა შესაძლოა განზრახ დამალოს მტკიცებულება, რათა ბრალდებულის დამნაშავედ ცნობას მიაღწიოს?

[დ] ასეთის არსებობის შემთხვევაში, თქვენი აზრით, რამდენად ხშირად შეიძლება სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთმა თანამშრომელმა განზრახ დამალოს მტკიცებულება, რათა ბრალდებულის დამნაშავედ ცნობას მიაღწიოს?

[დ] მიიჩნევთ თუ არა, რომ პოლიციის ოფიცერი შეეცდებოდა ხელი შეეშალა დაცვის მხარისთვის ღირებული მტკიცებულებების მოპოვებაში, რათა ბრალდებულის პოზიციისთვის დაბრკოლებები შეექმნა?

[დ] ყოფილხართ თუ არა ისეთი ინციდენტის მომსწრე, როდესაც პოლიციის ოფიცრებმა გამოიყენეს ძალა ვინმეს დაპატიმრების ან სხვაგვარად დაკავების მიზნით?

[დ] რა შთაბეჭდილება დატოვეს თქვენზე ინციდენტში მონაწილე პოლიციელებმა?

[ბ] გაქვთ თუ არა რაიმე პრობლემა იმ პოლიციელის სისხლისსამართლებრივ დევნასთან ან დასჯასთან დაკავშირებით, რომელსაც ბრალი დაპატიმრების მიზნით გამოყენებული ძალის გადამეტებაში ედება?

[დ] გაითვალისწინებდით თუ არა კონკრეტული სიტუაციის ყველა გარემოებას ერთობლივად მანამ, სანამ დაადგენდით, პოლიციის ოფიცრის ქმედებების მართებულობას?

[ბ] მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საზოგადოების დაცვაში, მიიჩნევთ თუ არა, რომ ისინი კანონის წინაშე უფრო მეტად არ არიან პრივილეგირებული, ვიდრე რიგითი მოქალაქეები, როდესაც ბრალი უკანონო გამოძიების ჩატარებაში ან ჩვენების მიცემაში ედებათ?

[ბ] ფიქრობთ თუ არა, რომ პროკურორები გამამტყუნებელი განაჩენის მოპოვებით უფრო არიან დაინტერესებული, ვიდრე იმის დადგენით, თუ რა მოხდა სინამდვილეში? [დ] ის ფაქტი, რომ დაპატიმრებულ პირს დაარტყეს, მიგანიშნებდათ თუ არა, რომ მის წინააღმდეგ ძალის გადამეტებას ჰქონდა ადგილი? [დ] თქვენი აზრით, რომელი ფაქტორების ცოდნა იქნებოდა მნიშვნელოვანი იმის დასადგენად, არის თუ არა პოლიციის ოფიცერი ძალის გადამეტებაში დამნაშავე?

თვითმხილველი მოწმის ჩვენება

[ბ] მოცემულ საქმეში ჩვენ წარმოგიდგენთ რამდენიმე თვითმხილველ მოწმეს, რომლებიც თქვენთვის ზუსტად აღწერენ იმას, რაც იმ დღეს საკუთარი თვალით ნახეს. რაიმე შეხედულება ხომ არ გაქვთ ჩამოყალიბებული თვითმხილველი მოწმეების ჩვენებასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც გაგირთულდებოდათ მათ მიერ ფიცის ქვეშ დადებული ჩვენების სათანადოდ გათვალისწინება?

[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ გარკვეულ გარემოებებში თვითმხილველი მოწმის მეხსიერება იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდა, შესაძლოა არ იყოს ზუსტი? შეგიძლიათ თუ არა მომიყვანოთ ზოგიერთი გარემოება, თუ როდის შეიძლება თვითმხილველმა მოწმემ დაუშვას გულწრფელი შეცდომა იმასთან მიმართებაში, რაც მომხდართან დაკავშირებით ახსოვს?

სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლების ჩვენება

[დ] პოლიციელის სიტყვას უფრო დაუჯერებდით თუ სხვა მოწმეების?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ ზოგიერთმა პოლიციელმა სასამართლოში ჩვენების

მიცემისას შესაძლოა იცრუოს ან სიმართლე დამალოს?

დ] სხვა მოწმეების ჩვენებებთან შედარებით, პოლიციელთა ჩვენებებს უფრო მეტად, ნაკლებად თუ თანაბრად დამაჯერებლად მიიჩნევთ.

განსახილველი მტკიცებულება

[ბ] სასამართლოზე წარმოდგენილი იქნება ფარული ჩანაწერები, რომლებიც ამ საქმეში ბრალდებულის საუბრებს (ამ საქმის კონკრეტულ ასპექტთან დაკავშირებით) ასახავს. რას ფიქრობთ ამ სახის სასამართლო პროცესზე საუბრების ჩანაწერების გამოყენებასთან დაკავშირებით?

[ბ] შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ბრალდებულის ფოტო ფიზიკური თვალთვალის, ისევე როგორც მისი სახლის და/ან სამსახურის ადგილის ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები. რას ფიქრობთ ასეთ თვალთვალთან ან კერძო საკუთრების ჩხრეკასთან დაკავშირებით?

[ბ] შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ჩამწერი მოწყობილობების მეშვეობით ჩაწერილი საუბრებიდან მოპოვებული მტკიცებულებები. რას ფიქრობთ სისხლის სამართლის საქმეებში კერძო საუბრების ასეთი ჩანაწერების გამოყენებასთან დაკავშირებით?

[ბ] შეიკავებდით თუ არა თავს რაიმეს გამო ასეთი მტკიცებულებების გათვალისწინებისგან, როდესაც ბრალდებულის დამნაშავეობასა თუ უდანაშაულობაზე იმსჯელებდით?

[ბ] რას ფიქრობთ დანაშაულებრივი საქმიანობის ფარული გამოძიებისას ფარული ვიდეო და აუდიოჩანაწერების გამოყენებასთან დაკავშირებით?

[დ] ბრალდების მხარე წარმოადგენს აუდიოჩანაწერებს, რომლებიც თითქოს [ბრალდებული]-ის მხრიდან გარკვეულ დანაშაულებრივ საქმიანობაზე უთითებს. თუ თქვენ ნაფიცი მსაჯული იქნებით, შეძლებთ თუ არა ყურადღებით მოუსმინოთ და გაითვალისწინოთ ზუსტად ის, თუ რა ითქმება ამ ჩანაწერებში, და არა უბრალოდ მიგეღოთ პროკურორის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, თუ რას ეხებოდა მოსმენილი საუბარი?

[ბ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ კერძო საუბრების ფარული ჩანაწერები პირად ცხოვრებაში ჩარევაა, რომელიც არ უნდა იყოს ნებადართული გარემოებების მიუხედავად?

[ბ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ თვალთვალი ან კერძო საკუთრების ჩხრეკა პირად ცხოვრებაში ჩარევაა, რომელიც არ უნდა იყოს ნებადართული გარემოებებისდა მიუხედავად?

[ბ] ზოგიერთი მტკიცებულება, რომლის შესახებაც ამ საქმეში შეიტყობთ, რამდენიმე წლის წინ არის მოპოვებული. ფიქრობთ თუ არა, რომ უფრო ძველი მტკიცებულებები ნაკლებად სანდოა, ვიდრე ბოლო დროს მოპოვებული მტკიცებულებები? რატომ?

შეხედულებები აბორტის თაობაზე

[ბ],[დ] როგორია თქვენი შეხედულება ჩვენს ქვეყანაში აბორტის კანონიერად ან უკანონოდ ცნობასთან დაკავშირებით?

[ბ],[დ] როგორია თქვენი პირადი, რელიგიური ან ფილოსოფიური შეხედულებები აბორტთან დაკავშირებით?

[ბ],[დ] მიიჩნევთ თუ არა, რომ აბორტის გარკვეული სახე შესაძლოა კანონიერი იყოს, და მაინც, ნებისმიერი აბორტი მორალურად მიუღებელია?

[ბ],[დ] ასეთის არსებობის შემთხვევაში, რა პირობებში/გარემოებებში ჩათვლიდით მართებულად ორსულად მყოფი ქალბატონის მიერ აბორტის მოთხოვნას?

[ბ],[დ] თუ გეცოდინებათ, რომ პიროვნებას აბორტი აქვს გაკეთებული, როგორი გრძნობები დაგეუფლებოდათ მის მიმართ?

[ბ],[დ] თუ ქალბატონი აბორტის გაკეთებას გადაწყვეტს და მისი მამა ამ გადაწყვეტილებას ეთანხმება, როგორი გრძნობები დაგეუფლებოდათ მისი მამის მიმართ?

ქორწინების გარეთ არსებული ურთიერთობები

[ბ],[დ] რას ფიქრობთ ქორწინების გარეშე არსებულ ურთიერთობებზე (სქესობრივ კავშირზე).

[ბ],[დ] თუ გეცოდინებათ, რომ პიროვნება ქორწინების გარეშე არსებულ ურთიერთობებში იმყოფება, როგორი გრძნობები დაგეუფლებოდათ მის მიმართ?

[ბ],[დ] როდესაც საქმე ქორწინების გარეშე არსებულ ურთიერთობებს ეხება, თქვენი შეხედულებები იმის მიხედვით ხომ არ განსხვავდება, ურთიერთობებში მამაკაცია ჩართული თუ ქალი?

[ბ],[დ] თუ ქორწინების გარეშე არსებული ურთიერთობები დაოჯახებულ და დაუოჯახებელ პირებს აქვთ, უფრო მეტად ვის დაადანაშაულებდით? დაოჯახებულ პიროვნებას? დაუოჯახებელ პიროვნებას? ორივე თანაბრად დამნაშავეა?

[ბ],[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ მამაკაცი, რომელიც ცოლს ღალატობს, სავარაუდოდ, რაიმე სხვა საეჭვო ქმედებებშიც იქნება გარეული?

[ბ],[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ ქალბატონი, რომელიც ქმარს ღალატობს, სავარაუდოდ, რაიმე სხვა საეჭვო ქმედებებშიც იქნება გარეული?

სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხები

[ბ],[დ] თქვენი აზრით, რა არის დანაშაულის გამომწვევი ძირითადი მიზეზები?

[დ] რას ფიქრობთ საქართველოში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მუშაობასთან დაკავშირებით?

[დ] თქვენი აზრით, რა ხდის პიროვნებას სახიფათოდ?

[დ] თქვენი აზრით, რა ხდის პიროვნებას მოძალადედ?

[დ] ზოგადად, როგორია თქვენი შთაბეჭდილება პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მიერ კრიმინალური გამოძიების ჩატარებასთან დაკავშირებით?

[დ] ძალადობით ჩადენილ დანაშაულებში მსჯავრდებულთათვის სასჯელის შეფარდებისას, თქვენი აზრით, რომელი მიზნის გათვალისწინება უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს – დასჯის, რეაბილიტაციის თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების?

[დ] ძალადობით ჩადენილ დანაშაულებში მსჯავრდებულთათვის სასჯელის შეფარდებისას, თქვენი აზრით, რომელი მიზანი უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ბრალდებულის დასჯა თუ რეაბილიტაცია?

[დ] როგორ ფიქრობთ, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა კრიმინალებს ძალზე მკაცრად, როგორც საჭიროა, თუ ძალზე მსუბუქად ეპყრობა?

[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ კანონი საკმარისზე მეტად ირჯება ბრალდებულთა დასაცავად და არასაკმარისად ირჯება დაზარალებულთა და მათი ოჯახების უფლებების დასაცავად?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ მდიდარი ადამიანები ნაკლებად აგებენ პასუხს საკუთარ ქმედებებზე, ვიდრე საშუალოდ მაცხოვრებელი ადამიანები?

[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ჩვენი სისტემა მდიდრებს და/ან ძალაუფლების მქონეთ უპირატესობას ანიჭებს?

[დ] თქვენი აზრით, რა არის უარესი, დამნაშავე პიროვნების გაშვება თუ უდანაშაულო პიროვნების დამნაშავედ ცნობა?

[დ] თქვენი აზრით, რა არის უარესი, დამნაშავე პიროვნების გაშვება თუ უდანაშაულო პიროვნების ციხეში გამომწყვდევა?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ ადამიანებს, რომელთაც ბევრი ფული აქვთ, სასამართლო სისტემა უკეთესად ეპყრობა, ვიდრე სხვა ადამიანებს?
[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ მდიდრებს ჩვენს საზოგადოებაში სასამართლო სისტემა უფრო მსუბუქად ეპყრობა, ვიდრე სხვა ადამიანებს?

[დ] გჯერათ თუ არა, რომ ზოგჯერ უდანაშაულო ადამიანებს დამნაშავედ ცნობენ იმ დანაშაულების ჩადენაში, რომლებიც მათ არ ჩაუდენიათ?

[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ სისხლის სამართლის სასამართლოებში ბრალდებულებმა უნდა ამტკიცონ, რომ ისინი უდანაშაულონი არიან?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ თუ ბრალდებული ჩვენებას არ მისცემს, ის, სავარაუდოდ, დამნაშავეა? [დ] მიიჩნევთ თუ არა, რომ ბრალდებულები ხშირად საქმის ტექნიკური დეტალების ხარჯზე სიტუაციიდან ძვრებიან?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა ადამიანებისთვის ბრალის წაყენებისას შესაძლოა შეცდომა დაუშვან?

[დ] როგორ ფიქრობთ, რა სიხშირით უშვებენ სამართალდამცავი ორგანოები შეცდომებს ადამიანებისთვის ბრალის წაყენებისას?

[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა შესაძლოა ადამიანებისთვის ბრალის წაყენებისას შეცდომები დაუშვან, მაგრამ, როდესაც საქმე სასამართლომდე მივა, ნებისმიერი შეცდომა უკვე გამოსწორებული იქნება?

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ, როდესაც საქმე საზოგადოებაში გახმაურებულია ან ის ცნობილ პიროვნებას ეხება, პოლიცია საჭიროზე სწრაფად მოქმედებს ბრალდებულის დაპატიმრების მიზნით?

[დ] მიგაჩნიათ თუ არა, რომ ზოგჯერ პოლიტიკის ან საზოგადოებრივი ზეწოლის შედეგად, პოლიციამ შესაძლოა საჭიროზე სწრაფად იმოქმედოს პიროვნების დაპატიმრების მიზნით?

[დ] მიიჩნევთ თუ არა, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფარგლებში დამნაშავე ადამიანები საკმარისზე ადვილად გაურბიან მართლმსაჯულებას და სასჯელს, რომლებსაც იმსახურებენ?

[დ] ზოგადად, რას ფიქრობთ სისხლის სამართლის სპეციალიზაციით მომუშავე ადვოკატებზე და მათ ეთიკასა და პატიოსნებაზე?

[ბ] მიიჩნევთ თუ არა, რომ ყველა კანონი მკაცრად უნდა შესრულდეს მათი შედეგების მიუხედავად?

[ბ] ფიქრობთ თუ არა, რომ ჩვენი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა უნდა შეიცვალოს, რათა ის უკეთესი გახდეს? თუ დიახ, რომელ ცვლილებებს გულისხმობთ?

დასკვნითი შეკითხვები

[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ მნიშვნელოვანია თქვენს შეხედულებას მიემხროთ? რატომ?

[დ] თუ თქვენ ნაფიცი მსაჯული იქნებოდით და მსაჯულები ერთსულოვან გადაწყვეტილებას ვერდიქტზე ვერ მიიღებდნენ – რა დამოკიდებულება გექნებოდათ ამასთან დაკავშირებით?

[დ] გექნებოდათ თუ არა „ჩავარდნის“ ან არასრულფასოვნების განცდა ვერდიქტზე შეთანხმების შეუძლებლობის გამო?

[დ] გექნებოდათ თუ არა იმის განცდა, რომ თქვენი, როგორც ნაფიცი მსაჯულის სამუშაო ვერ შეასრულეთ?

[დ] თუ იმის საფუძველზე, რაც სასამართლოში გაიგონეთ და ნახეთ, დარწმუნებული იქნებოდით, რომ ბრალდებამ ვერ შეძლო გონივრულ ეჭვს მიღმა [ბრალდებული]-ის ბრალეულობის დამტკიცება, მიემხრობოდით თუ არა მაინც თქვენს გადაწყვეტილებას მაშინაც კი, თუ სხვა ნაფიცი მსაჯულები განსხვავებულ აზრზე იქნებოდნენ?

[დ] თუ თქვენ ამ საქმეში ნაფიც მსაჯულად აგირჩევენ, რაიმე მნიშვნელობა ხომ არ ექნებოდა თქვენთვის გამოტანილ ვერდიქტზე სხვა პირის, მაგალითად, თქვენი ოჯახის წევრების, მეგობრების, მეზობლების თუ თანამშრომლების რეაქციას?

[ბ] რაიმე რელიგიური, მორალური ან ეთიკური შეხედულებები ხომ არ გაქვთ, რის საფუძველზეც გაგიძნელდებოდათ სისხლის სამართლის სასამართლოში სხვა პიროვნების განსჯა?

[ბ],[დ] ფიქრობთ თუ არა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კანონი, როგორც ამას მოსამართლე საქმის ბოლოს გეტყვით, თქვენს პირად შეხედულებებს ეწინააღმდეგება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა იყოს საქმეზე გამოტანილი, თქვენ ვერდიქტს მაინც საქმესთან დაკავშირებით თქვენს პირად შეხედულებებს დააფუძნებდით?

[დ] თქვენ რომ ყოფილიყავით ბრადებული მოცემულ საქმეში, არის თუ არა რაიმე

მიზეზი, რის გამოც საკუთარ თავს ამ საქმეში ნაფიც მსაჯულად არ ისურვებდით?

შენიშვნები: 1. ზოგიერთი ეს შეკითხვა აღებულია შემდეგი გამოცემიდან: „ნაფიც მსაჯულებთან მუშაობა: სისტემატური ტექნიკა (ნაფიც მსაჯულთა ეროვნული პროექტი, 2009.

შესავალი სიტყვა[41]

საქმის შესავალი სიტყვა – ეს არის სასამართლო პროცესის ის ეტაპი, როდესაც პროკურორი/ადვოკატი ახდენს პირველ შთაბეჭდილებას მოსამართლის წინაშე ან აძლიერებს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს უკვე მოპოვებულ შთაბეჭდილებას ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის წინაშე. გაითვალისწინეთ, რომ ამისათვის თქვენ მხოლოდ ერთი შანსი გაქვთ. შთაბეჭდილება, რომელსაც თქვენ შესავალი სიტყვის დროს მოახდენთ, მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს გაჰყვებათ მთელი სასამართლო პროცესის განმავლობაში. შესავალი სიტყვა ასევე, არის თქვენი პირველი შესაძლებლობა, უთხრათ მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს, თუ რას ეხება საქმე. ის სასამართლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და გულდასმით უნდა იყოს მომზადებული. სამწუხაროდ, შესავალ სიტყვას ხშირად არ აქცევენ სათანადო ყურადღებას, როგორც სასამართლო პროცესის ნაწილს, რადგან მას არ ახასიათებს დანარჩენი ოთხი ასპექტის მსგავსი მომხიბვლელობა. შესავალ სიტყვაში თქვენ განავითარებთ საქმის თემას, რომელსაც შემდგომ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას განაგრძობთ და დაამუშავებთ. თემაში თქვენ უნდა ჩააქსოვოთ შესაბამისი ფაქტები, რომლებიც თქვენს მხარეს სასურველ ვერდიქტს მოუტანს. შესავალი სიტყვა წარმოადგენს დიდ სურათს, რომელიც საშუალებას აძლევს მოსამართლეს და ნაფიც მსაჯულებს თქვენთვის სწორი პერსპექტივიდან დაინახონ მტკიცებულებები, როგორიცაა, მაგალითად, მოწმის ჩვენება. ამ ეტაპზე ერთი მნიშვნელოვანი რამ უნდა ვიცოდეთ. შესავალი სიტყვა არ უნდა შეიცავდეს რაიმე ყალბ ან შეცდომაში შემყვან განცხადებებს იმის შესახებ, თუ რას გვიჩვენებს ფაქტები. ასეთი პრაქტიკა არა მხოლოდ არაეთიკურია, არამედ, როდესაც სიმართლე გამოაშკარავდება, თქვენ მოსამართლის/ნაფიცი მსაჯულების თვალში დამაჯერებლობას დაკარგავთ. პროკურორის/ადვოკატის ყველაზე მნიშვნელოვანი ატრიბუტი მისი დამაჯერებლობაა და თუ ის იკარგება, მისი დაბრუნება შეიძლება შეუძლებელი აღმოჩნდეს. როდესაც თქვენ ცდილობთ ვინმე რაიმეში დაარწმუნოთ, ეს პიროვნება გადაწყვეტილების მიღებისას ძირითად ფაქტორად თქვენს დამაჯერებლობას შეაფასებს.

შესავალი სიტყვა სამი ასპექტისგან შედგება: (1) თემა, (2) ამბავი/თეორია და (3) ვერდიქტის მოთხოვნა.

თემა

თემა ეს არის ერთი ან ორი წინადადებისგან შემდგარი განცხადება, რომელიც აჯამებს იმას, თუ რას ეხება საქმე. თემა მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულებს უქმნის „ფსიქოლოგიურ საყრდენს“. მას პროკურორი/ადვოკატი მთელი სასამართლო პროცე-

[41] მომზადებულია დენიელ ლინჰარდტის მიერ „ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ საქართველოს ოფისისათვის. რედაქტირება და თარგმანი განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ.

სის განმავლობაში უბრუნდება. ის პირველად ნახსენები იქნება შესავალ სიტყვაში, შემდეგ მასზე ისაუბრებენ მოწმეები და საბოლოოდ მოექცევა დასკვნითი სიტყვის ყურადღების ცენტრში და შეკრავს მთლიან სასამართლო პროცესს. კარგი თემა საყოველთაო ჭეშმარიტებებს ეყრდნობა. ასეთი თემების წყაროებია: წმინდა წიგნები, წერილები, ლიტერატურა, პოპულარული გამონათქვამები და კულტურული გამოცდილება. ქვემოთ მოცემულია თემების მაგალითები:

– *„ეს არის საქმე შურისძიების შესახებ.“*

– *„მერაბი სიმდიდრესა და ბედნიერებაზე ოცნებობდა, როგორც მრავალი ჩვენგანი. და ეს არის ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ აქცია ბრალდებულმა ეს ოცნება კოშმარად.“*

–*„ფულის სიყვარული ყველანაირი სიბოროტის საფუძველია და ბრალდებული მოცემულ საქმეში ამ სიბოროტის განსახიერებაა.“*

– *„ეს არის საქმე შეცდომით ამოცნობისა და სხვა ადამიანისთვის ბრალდების წაყენების შესახებ.“*

– *„ამ საქმეში ნამდვილი დაზარალებული თვითონ ბრალდებულია.“*

პირველი შთაბეჭდილება დიდხანს ძლებს. შესავალი სიტყვის დასაწყისში მიწოდებული კარგი თემა მოსამართლის/ნაფიც მსაჯულთა გონებაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში რჩება. პროკურორი/ადვოკატი თემას კვლავაც გაიმეორებს დასკვნით სიტყვაში, რათა ის მოსამართლის/ნაფიცი მსაჯულების გონებაში შენარჩუნდეს,როდესაც ისინი გადაწყვეტილების მისაღებად იმსჯელებენ.

თემისა და შემდგომ ამბის გადმოცემისას, პროკურორმა/ადვოკატმა უნდა გამოავლინოს საკუთარი ენთუზიაზმი საქმის მიმართ. შესავალი სიტყვა წარმოთქმული უნდა იყოს დამაჯერებლად და ენერგიულად, რაც ყველას აუწყებს, რომ პროკურორის/ ადვოკატის პოზიცია არა მხოლოდ მართალია, არამედ მას საკუთარი პოზიციის სჯერა კიდეც. საუკეთესო ფაქტები და თემაც კი ვერ დაარწმუნებს მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს, თუ პროკურორი/ადვოკატი თავის საქმეში რწმენის დემონსტრირებას ვერ შეძლებს. კარგ პროკურორებს/ადვოკატებს ერთი კარგი დევიზი აქვთ: „ჩვენ ველით ამ საქმეში გამარჯვებას, რადგან ჩვენ მართალნი ვართ.“ მიუხედავად ამისა, გახსოვდეთ, რომ შესავალი სიტყვა არ არის არგუმენტაციის სტადია, რომლის დროც პროცესის ბოლოს დგება. გარდა ამასა, მართალია, თქვენი დევიზი უნდა იყოს ის, რომ თქვენი პოზიცია მართალია, მაგრამ რეალურად თქვენ არასოდეს უნდა თქვათ *„ვფიქრობ, ბრალდებული დამნაშავეა“* ან *„პირადად მე მიმაჩნია, რომ ბრალდებული უდანაშაულოა“*. თქვენს მოსაზრებებს მნიშვნელობა არ აქვს; მნიშვნელოვანია მტკიცებულებები. თქვენ შეგიძლიათ თქვათ: *„სასამართლო პროცესის დასასრულს მტკიცებულებებით დადასტურდება, რომ ბრალდებულს არ ჩაუდენია ის დანაშაული, რომლის ჩადენაშიც ბრალს სდებენ“* ან *„სასამართლო პროცესის დასასრულს მტკიცებულებებით დადასტურდება, რომ ყოველგვარ გონივრულ ეჭვს მიღმა ბრალდებულმა პეტრე ნემსაძე მოკლა“*.

ამბავი/თეორია

ამბავი – ეს უბრალოდ საქმის თეორიაა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, თქვენი მხარის ვერსია იმასთან დაკავშირებით, „თუ რა მოხდა სინამდვილეში“. ის უნდა

იყოს მარტივი, ლოგიკური და შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საქმეში არსებულ ფაქტებთან და სამართლებრივ მოთხოვნებთან. სასამართლო პროცესი რამდენიმე მცირე ამბისგან შედგება. არც ერთი მოწმე მთლიან ამბავს არ მოჰყვება, იგი მხოლოდ ამბის იმ ნაწილზე ისაუბრებს, რომელიც მისთვის არის ცნობილი. შესავალ სიტყვაში ადვოკატი წარმოთქვამს მთლიან ამბავს, რომელიც იმ მცირე ამბებს ეფუძნება, რომლებზეც მოწმეები ისაუბრებენ. შესავალი სიტყვა მოსამართლეს აძლევს საშუალებას აღიქვას მთლიანი სურათი და თითოეული მოწმის მცირე ამბავი კონტექსტუალურად გაიაზროს. ის, რომ შესავალი სიტყვის ამ ნაწილს ამბის მოყოლა ეწოდება, არ ნიშნავს, რომ ის ფაქტობრივად მცდარია. ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ პროკურორი/ადვოკატი საუბრობს იმაზე, თუ რა მოხდა და იმაზე – რასაც პროცესის განმავლობაში მოწმეები გადმოსცემენ. ის დიდად არ განსხვავდება ნებისმიერი სხვა ამბისგან, როდესაც პიროვნება მსმენელისთვის საინტერესოდ ჰყვება, თუ რა გაიგონა ან დაინახა. პროკურორი/ადვოკატი, რომელიც შესავალ სიტყვას წარმოთქვამს, არსებითად იგივეს აკეთებს. ფაქტობრივად, შესავალი სიტყვის წარმოთქმისას პროკურორი/ადვოკატი გადმოსცემს ამბავს ისე, თითქოს რუსთაველის გამზირზე ოპერასთან ახლოს დგას და საკუთარ მეგობრებს უყვება იმის შესახებ, რაც მას ჭეშმარიტად აინტერესებს, რაშიც მას სურს საკუთარი მეგობრები დაარწმუნოს და მათი მხარდაჭერა მოიპოვოს. კარგ ამბავს შესავალ სიტყვაში რამდენიმე ასპექტი აქვს. პირველ რიგში, ამბავში აქცენტი ადამიანებზე და არა პრობლემებზე უნდა იყოს გაკეთებული. მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებს ერთი რამ აქვთ საერთო: ისინი ადამიანები არიან და სხვა რაღაცებს სხვა ადამიანების მეშვეობით ხედავენ. აქ იგულისხმება, რომ წარმატებული პროკურორი/ადვოკატი საქმეს წარმოადგენს, როგორც საკუთარი თვალით დანახულს. პროკურორმა/ადვოკატმა უნდა მოახდინოს საკუთარი კლიენტის ან დაზარალებულის პერსონიფიცირება და იგი რეალურ პიროვნებად უნდა გახადოს. იგივე ეხება მოწმეებსაც. შესავალ სიტყვაში ამ ადამიანებს ხორცი უნდა შეესხათ, რათა, როდესაც ისინი ჩვენების მიცემას დაიწყებენ, უკვე დამაჯერებელნი იყვნენ. თითოეული მონაწილის პერსონიფიცირება საშუალებას აძლევს მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებს, რომ საკუთარი პერსპექტივიდან უკეთ აღიქვან სიტუაცია, როგორც ჩვეულებრივმა ადამიანებმა. ქვემოთ მოცემულია ორი მაგალითი:

„ეს არის ამბავი ელენეს შესახებ, რომელიც ყოველთვის თბილისში ცხოვრობდა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო და სამედიცინო ფაკულტეტზე ბეჯითად სწავლობდა. მაგრამ ყველაფერი 1 ივლისს შეიცვალა, როდესაც მას ის მანქანა დაეჯახა, რომელსაც ბრალდებული მართავდა. იგი სახლში მიდიოდა ჭავჭავაძის გამზირზე, საღამოს მეგობრებთან ერთად მეცადინეობის შემდეგ, როდესაც ბრალდებულის მანქანამ გზიდან გადაუხვია და მას დაეჯახა. მაშინ, როდესაც ელენე სწავლის დასრულების შემდგომ სვანეთში მუშაობაზე ფიქრობდა, ბრალდებული ალკოჰოლის ბოლო ჭიქას მიირთმევდა ხანგრძლივი დროსტარების შემდეგ. ეს ელენეს უკანასკნელი ნაბიჯები იყო, რამეთუ იგი ადგილზე გარდაიცვალა.“

„ირაკლისა და დათოს შორის პრობლემებს ჰქონდა ადგილი. 2010 წლის 14 ივლისის საღამოს, როდესაც ირაკლი მარკეტში მიდიოდა თავისი მეუღლისთვის დაბადების დღის საჩუქრის შესაძენად, დათო მას სახლის წინ დახვდა, ქუჩაში. დათო ირაკლის ოჯახს ემუქრებოდა და ირაკლის უფრო და უფრო უახლოვდებოდა. იგი იგი-

ნებოდა და ირაკლისა და მისი ოჯახის მიმართ მუქარას განავრძობდა. ირაკლიმ დათო თავიდან მოიშორა. ამის შემდეგ, დათომ ირაკლის მუშტი მოუქნია, ხოლო ირაკლიმ უბრალოდ თავი დაიცვა. მიუხედავად ამისა, ახლა ირაკლი აქ არის, სასამართლოში წარმოდგენილი ბრალდებულის სახით, იმის გამო, რომ თითქოს დათოს მიმართ ძალადობა განახორციელა.“

ფრთხილად იყავით და გახსოვდეთ აუდიტორია. თუ საქმეს მხოლოდ მოსამართლე იხილავს, მაშინ დრამატულობა უფრო ნაკლებად საჭიროა, ვიდრე ეს ნაფიც მსაჯულთა წინაშე იქნებოდა. მრავალ შემთხვევაში მოსამართლეებს არ უყვართ გადაჭარბებული დრამატულობა და ამან შესაძლოა თქვენი პოზიცია დააზარალოს. ამიტომ ეს ადვოკატის მხრიდან დაგეგმვასა და შემოქმედებით მომზადებას მოითხოვს. მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შემთხვევაში ადვოკატი ასევე უნდა შეეცადოს გაიგოს, თუ რა სახის პრეზენტაციები მოსწონს ან არ მოსწონს მოსამართლეს და საკუთარი გამოსვლაც შესაბამისად მოამზადოს. ნაფიც მსაჯულთა შემთხვევაში ყურადღებით უნდა მოუსმინოთ პოტენციური მსაჯულების პასუხებს და შესაძლოა თქვენი შესავალი სიტყვის შეცვლაც მოგიწიოთ იმის გათვალისწინებით, თუ რა თქვეს მსაჯულებად შერჩეულმა ადამიანებმა მათი შერჩევის დროს.

წარმატებული შესავალი სიტყვის მესამე ელემენტი იმაში მდგომარეობს, რომ ის მარტივად და ლოგიკურად უნდა იყოს ორგანიზებული. სავარაუდოდ, პრეზენტაციის ორგანიზების საუკეთესო გზა მისი ქრონოლოგიურად გადმოცემაა, რადგან ადამიანთა უმრავლესობა ამბის მოსმენას სწორედ ასე იცნობს და ამჯობინებს. ასეთი სახით წარმოდგენილი შესავალი სიტყვა უფრო მარტივია გადმოსაცემად (პროკურორისთვისაც/ადვოკატისთვისაც) და გასაგებად (მსმენელისთვისაც).

შესავალი სიტყვის შემდეგი ელემენტი მდგომარეობს მოსამართლის/ნაფიც მსაჯულთა გაფრთხილებაში, თუ რას უნდა ელოდონ ისინი შემდგომ. მოსამართლისთვის/ნაფიც მსაჯულთათვის მინიშნება იმის შესახებ, თუ რომელი ჩვენება იქნება მნიშვნელოვანი, აძლიერებს მსმენელთა მოლოდინს და ამახვილებს მათ ყურადღებას სასამართლო პროცესის ამ სტადიაზე. ქვემოთ მოცემულია ამის მაგალითი:

„ბრალდების მხარე ქეთევანს გამოიძახებს. ყურადღებით უსმინეთ მის ჩვენებას, რომ თითქოს მან ბანკის მძარცველში გიგა ამოიცნო. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმას, თუ დღის რა მონაკვეთი იყო და სად იდგა ქეთევანი.“

ზემოაღნიშნულის შედეგად მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს გაუჩნდათ მოლოდინი, რომ მოწმის მიერ ბანკის მძარცველში თქვენი კლიენტის ამოცნობა გარკვეულ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. ყურადღება მიაქციეთ იმასაც, რომ ადვოკატმა თავისი კლიენტი არა ბრალდებულად, არამედ მისი სახელით მოიხსენია. ბრალდების მხარე ყოველთვის შეეცდება მოახდინოს ბრალდებულის დეპერსონიზაცია მისი ბრალდებულად მოხსენიებით, მაშინ, როდესაც დაცვის მხარე ყოველთვის შეეცდება თავისი კლიენტის ჰუმანიზებას, როგორც წესი, მისი სახელის მოხსენიებით. ისევ და ისევ, გახსოვდეთ თქვენი დამაჯერებლობა, არ გააზვიადოთ ის, თუ რას იტყვიან თქვენი მოწმეები და როგორ მოახდენთ მოწინააღმდეგე მხარის მოწმეთა ჩვენებების იმპიჩმენტს.

ეფექტური შესავალი სიტყვა არ არის ძალიან გრძელი, მაგრამ ყველა არსებით ელემენტს შეიცავს. რეკომენდებულია შესავალი სიტყვა 15-30 წუთს არ აღემატებოდეს. ამაზე გრძელ შესავალ სიტყვას მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები არ მოუსმენენ და შესაბამისად, შესავალი სიტყვა არაეფექტური იქნება. გახსოვდეთ, რომ ეფექტური შესავალი სიტყვა ისე უნდა იქნეს გადმოცემული, თითქოს ადვოკატი ამ ამბავს თავის მეგობრებს ჭავჭავაძის გამზირზე უყვება. ცნობილია, რომ, თუ ამბის მოყოლა 30 წუთზე მეტხანს გრძელდება, ნებისმიერი მსმენელი ინტერესს კარგავს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა წარმოდგენილი იყოს განსხვავებული ხანგრძლივობის შესავალი სიტყვა. მაგალითად, ზოგიერთი საქმე ძალზე კომპლექსურია და მოითხოვს გრძელ შესავალ სიტყვას.

სტრატეგიულად გასათვალისწინებელი საკითხები შესავალი სიტყვის დროს

1. არ იკამათოთ საქმის შესახებ, ეს დასკვნითი სიტყვისთვის შემოინახეთ

შესავალი სიტყვა შეიცავს განცხადებებს იმის შესახებ, თუ რას ეხება საქმე, და ეს განცხადებები არ უნდა იყოს არგუმენტები. დასკვნით სიტყვებში ცხადდება ფაქტები, კეთდება დასკვნები, ფასდება მოწმეთა დამაჯერებლობა და საღი აზრი და სხვა საკითხები სასამართლო პროცესის განმავლობაში გამოვლენილი მტკიცებულებების საფუძველზე. შესავალი სიტყვა უნდა შემოიფარგლოს მტკიცებულებებით, რომლებიც, დაცვის მხარის აზრით, მოწმეთა ჩვენებებში იქნება მითითებული და საქმეში წარმოდგენილი ნივთიერი მტკიცებულებებით. შესაძლოა ეს წესი მარტივად მოგეჩვენოთ, მაგრამ მას ხშირად ყველაზე გამოცდილი პროკურორებიც/ადვოკატებიც კი არღვევენ. საუკეთესო საშუალებაა შესავალი სიტყვის წინასწარ დაგეგმვა, დაწერა და შემდეგ მისი გადახედვა იმის დასადგენად, კონკრეტული განცხადება არგუმენტია თუ უბრალოდ ფაქტი. ქვემოთ მოცემულია მისაღები და მიუღებელი შესავალი განცხადებების მაგალითები:

მისაღები	მიუღებელი
მანქანა 45-კილომეტრიან შეზღუდვის ზონაში დაახლოებით 80 კილომეტრით საათში სიჩქარით მოძრაობდა.	*იგი გიჟივით ატარებდა და მთელ სავალ გზას იკავებდა.*
ოფიცერი განაცხადებს, რომ ბრალდებული, რომელიც 60 კილოგრამს იწონის, თავს დაესხა და დააზიანა დაზარალებული, რომელიც 100 კილოგრამს იწონის.	*საღი აზრი გიკარნახებთ, რომ ოფიცრის მტკიცებას, თითქოს ბრალდებული დაზარალებულს თავს დაესხა, ადგილი არ ჰქონია.*

ამას დრო სჭირდება, მაგრამ გამოცდილი პროკურორი/ადვოკატი ადვილად მიხვდება, თუ რომელი არგუმენტი უნდა გააპროტესტოს შესავალ სიტყვაში და რა არის მისაღები. კვლავაც აღსანიშნავია, რომ შესავალ სიტყვაში პროკურორის/ადვოკატის პირადი შეხედულებების შესახებ საუბარი ყოველთვის მიუღებელია. შესავალ სიტყვაში მიუღებელია ისეთი ფრაზების გამოყენება, როგორიცაა: „მე მჯერა“, „ვფიქრობ“, „მე ვიცი“ ან „ჩვენ გვჯერა“. ამასთან, ეს არა მხოლოდ შესავალ სიტყვას, არამედ პროცესის ნებისმიერ სტადიასაც ეხება. ანალოგიურად, დასკვნითი სიტყვაც არ უნდა შეიცავდეს განცხადებებს პროკურორის/ადვოკატის შეხედულებების შესახებ. ადვოკატმა უნდა იკამათოს იმის შესახებ, თუ რაზე უთითებს მტკიცებულებები, და არა თავის პირად მოსაზრებებზე, რადგან მოსამართლეები და ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილებებს მტკიცებულებებზე დაყრდნობით იღებენ.

2. ნუ გააზვიადებთ მტკიცებულებების მნიშვნელობას

როგორც უკვე აღინიშნა, პროკურორის/ადვოკატის დამაჯერებლობა მისი ყველაზე ძვირფასი იარაღია. იმ შემთხვევაში, როდესაც თავის შესავალ სიტყვაში პროკურორი/ადვოკატი მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს ამცნობს, რომ მოყვანილი იქნება გარკვეული მტკიცებულებები და ამას პროცესის განმავლობაში ადგილი არ ექნება, იგი მათ თვალში დამაჯერებლობას კარგავს. ასევე, პროკურორმა/ ადვოკატმა უნდა იცოდეს, რომ მოწინააღმდეგე მხარე დასკვნით სიტყვაში შეახსენებს მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს, თუ რა იყო დაპირებული და სინამდვილეში კი, რას ჰქონდა ადგილი, რაც პროკურორის/ადვოკატის დამაჯერებლობას კიდევ უფრო ავნებს.

3. იფიქრეთ შესავალი სიტყვის დროს ნივთიერი მტკიცებულებების გამოყენებაზე

წინამდებარე სახელმძღვანელოს ერთ-ერთი თავი ეთმობა ნივთიერი მტკიცებულებების წარდგენას სასამართლო პროცესის დროს. მაგრამ ნივთმტკიცების მტკიცე-

ბულებად დაშვებამდეც კი ის შეიძლება შესავალი სიტყვის წარმოთქმის დროს იყოს გამოყენებული. შესაძლოა ეს იყოს დიაგრამა, ფოტო, ან თუნდაც რუკა, რომელიც შესავალი სიტყვის კონტექსტში ჯდება. ზოგიერთ შემთხვევაში ცხრილის ან დიაგრამის გამოყენებას არსებითი მნიშვნელობა აქვს პროკურორის/ადვოკატის პოზიციის ახსნისათვის. ამ მიზნით ნივთმტკიცების გამოყენება შესავალ სიტყვას აძლიერებს და კიდევ უფრო დასამახსოვრებელს ხდის მოსამართლისათვის/ნაფიცი მსაჯულებისთვის, რის შედეგადაც ისინი უკეთესად აღიქვამენ პროცესზე მიცემულ ჩვენებებს. დარწმუნდით, რომ თქვენი ნივთიერი მტკიცებულება ზუსტია. მცდარი ნივთიერი მტკიცებულება გაპროტესტების საგანი გახდება ან თქვენს პოზიციას დააზიანებს, თუ მტკიცებულებები თქვენს ნივთმტკიცებას მხარს ვერ აუბამს. შესავალი სიტყვის დროს გამოყენებული ნივთმტკიცება მტკიცებულებად არ დაიშვება და მას მსაჯულები დამნაშავეობის ან უდანაშაულობის განსაზღვრისას ვერ გაითვალისწინებენ. თუ გსურთ, რომ მოსამართლემ/ნაფიცმა მსაჯულებმა თქვენ მიერ შესავალი სიტყვის დროს გამოყენებული ნივთმტკიცება განიხილონ, თქვენ ის სასამართლო პროცესზე მოწმის მეშვეობით უნდა წარადგინოთ. თუ აპირებთ ნივთმტკიცების გამოყენებას შესავალი სიტყვის დროს, შეეცადეთ, მოწინააღმდეგე მხარესთან შეთანხმდეთ, რომ მტკიცებულებები, რომელთა გამოყენებასაც თქვენ აპირებთ, დასაშვებია. ასეთი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში იშუამდგომლეთ მოსამართლესთან, რათა მან გამოსცეს შესაბამისი განჩინება მტკიცებულების დასაშვებობის თაობაზე. გახსოვდეთ, რომ მტკიცებულების დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება. კერძოდ, გახსოვდეთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილი: „ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს.“

4. მზად იყავით საქმეში არსებული სისუსტეებისათვის

პროკურორი/ადვოკატი ნებაყოფლობით აღიარებს თუ არა საქმეში არსებულ სისუსტეებს, ეს, საბოლოო ჯამში, მისი სტრატეგიული გადაწყვეტილებაა, მაგრამ ამ ვარიანტის განხილვა, სულ მცირე, აუცილებელია. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა/ადვოკატმა უნდა გათვალოს, მისი აღიარების მიუხედავად მაინც გამომჟღავნდება თუ არა მისთვის არასასურველი მტკიცებულებები.

თუ არასასურველი მტკიცებულება ნებისმიერ შემთხვევაში გამომჟღავნდება, მაშინ პროკურორმა/ადვოკატმა ეს თავის შესავალ სიტყვაში უნდა აღნიშნოს. უკეთესია, თუ ცნობებს არასასურველი მტკიცებულების შესახებ თქვენგან გაიგებენ, ვიდრე ამას მოწინააღმდეგე მხარე გააკეთებს. სისუსტის აღიარება გეხმარებათ, რათა ის თქვენთვის სასურველი სახით და კონტექსტში წარმოაჩინოთ და მისი გავლენა მინიმუმამდე შეამციროთ. მაგალითად:

„დიახ, მერაბი 2009 წლის გამოშვების BMW-ს მართავდა, რომლის საბარგულშიც 50 კილოგრამი ჰეროინი იდო, მაგრამ ვერც ერთი მტკიცებულებით ვერ დადასტურდება, რომ მისთვის ამის შესახებ ცნობილი იყო.“

სისუსტის იმგვარად აღიარება, რომ მინიმუმამდე შემცირდეს მისი ზიანი და ამავდროულად აღიარებულ იქნეს მისი არსებობა, პროკურორის/ადვოკატის პოზიციის დამაჯერებლობას უწყობს ხელს. სისუსტის გამოტოვება და მისი არსებობის იგნორირება უბიძგებს მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს იფიქრონ, რომ პროკურორი/ადვოკატი გარკვეულ საკითხებს მალავს, ან რომ იგი თავის საქმეს მართებულ კონტექსტში ვერ ხედავს. შედეგად კი მოსამართლემ/ნაფიცმა მსაჯულებმა შეიძლება იფიქრონ, რომ პროკურორი/ადვოკატი არ არის სანდო.

მეორე მხრივ, შესაძლოა მეორე მხარე ვერ ათვითცნობიერებს, რომ სისუსტე არსებობს. სისუსტის აღიარებით თქვენ შესაძლოა მიუთითოთ ოპონენტს, თუ რა მიმართულებით წარიმართება სასამართლო პროცესი. თუ პროკურორი/ადვოკატი საქმეში სისუსტის აღიარებას გადაწყვეტს, ეს მისი შესავალი სიტყვის შუაში უნდა გაკეთდეს. სისუსტით დაწყება ან დასრულება მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს კარგად ამახსოვრდებათ, მაშინ როცა სისუსტეზე საუბარი, შესავალი სიტყვის შუაში მის გულწრფელობასაც უსვამს ხაზს და სისუსტით მიყენებულ ზიანსაც ამცირებს. ადამიანები შესავალი სიტყვის დასაწყისში ან ბოლოს გადმოცემულ საქმის პოზიტიურ ასპექტებს უფრო იმახსოვრებენ, ვიდრე სიტყვის შუაში ნახსენებ უარყოფით სისუსტეებს.

5. შესავალი სიტყვის შინაარსი

ქვემოთ მოცემული სტრუქტურული მოდელი პროკურორს/ადვოკატს შესავალი სიტყვის წარდგენაში დაეხმარება:

1. შესავალი (თემა);
2. წარადგინეთ საქმეში არსებული მხარეები;
3. წარმოადგინეთ საქმეში გათამაშებული სცენარი:

ა. სად მოხდა?

ბ. როდის (თარიღი)?

გ. რა დროს (დღის მონაკვეთი)?

დ. როგორი ამინდი იყო? (თუ ეს მნიშვნელოვანია)

4. მოჰყევით ამბავი;
5. რა საკითხი უნდა გადაწყვიტოს მოსამართლემ/ნაფიცმა მსაჯულებმა;
6. რომელია ბრალდებულის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის საფუძვლები.

ამ სქემის გამოყენება პროკურორს/ადვოკატს დაეხმარება ჩამოაყალიბოს შესავალი სიტყვა, რომელიც ეფექტურად გადმოსცემს ფაქტებს და მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს გააცნობს მტკიცებულებებს, რომლებიც მისი რწმენით უნდა იყოს დაშვებული.

6. უნდა წარმოთქვათ თუ არა შესავალი სიტყვა

ეს არ არის შეკითხვა ბრალდების მხარისათვის; ბრალდებამ შესავალი სიტყვა აუცილებლად უნდა წარმოთქვას. თუმცა, დაცვის მხარე არ არის ვალდებული იგივე გააკეთოს. ზოგადად, დაცვის მხარის მიერ შესავალი სიტყვის გამოტოვება კარგი აზრი არ არის. მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს არ ეცოდინებათ თქვენი საქმის თეორია და

შესაძლოა ვერ ჩასწვდნენ იმ საკითხებს, რომლებზეც თქვენ ბრალდების მოწმეების ჯვარედინი დაკითხვის დროს გაამახვილებთ ყურადღებას. ისინი ასევე, შესაძლოა ვერ ჩასწვდნენ იმ საკითხებსაც, რომლებზე აქცენტსაც თქვენი მოწმეების მეშვეობით გააკეთებთ. ერთადერთი მიზეზი, თუ რატომ შეიძლება ადვოკატმა შესავალი სიტყვა გამოტოვოს, არის ის, რომ მან არ იცის როგორი იქნება მისი დაცვის სტრატეგია და იმედოვნებს, რომ სტრატეგიის განვითარებას პროცესის მიმდინარეობისას შეძლებს. თუ იგი შესავალ სიტყვაში იტყვის, თუ როგორი იქნება დაცვის თეორია, ამ თეორიის შეცვლა დასკვნით სიტყვაში კიდევ უფრო გაძნელდება.

დასკვნითი შენიშვნები

შესავალი სიტყვა პროკურორის/ადვოკატის მიერ ნაფიც მსაჯულებზე მოხდენილი შთაბეჭდილებაა. პირველი შთაბეჭდილებები ხანგრძლივი ხასიათისაა. სასამართლო პროცესამდე საქმის ჯეროვანი მომზადება დაეხმარება პროკურორს/ადვოკატს წარმოთქვას შესავალი სიტყვა, რომელიც მოსამართლეზე/ნაფიც მსაჯულებზე უდიდეს შთაბეჭდილებას მოახდენს. ამ დევიზს წინამდებარე სახელმძღვანელოში მუდმივად გავიმეორებთ: „მომზადება წარმატების საწინდარია.“

შესავალი სიტყვა[42]
(მკვლელობის საქმეებზე)

ქვემოთ მოყვანილი საკითხები ეფუძნება ამერიკის შეერთებული შტატების მართლმსაჯულებაში არსებულ პრაქტიკას და ქართველ მკითხველს შესაძლოა უცხოდ მოეჩვენოს ის უნარები და რეგულაციები, რაც განხილულია ხსენებულ მასალაში, თუმცა, სახელმძღვანელოს შემდგენელთა აზრით, მათი წარმატებით გამოყენება საქართველოში დღეს უკვე შესაძლებელია. უფრო მეტიც, მომავალში საქართველოში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შედეგად, ეს საკითხები უფრო მეტად აქტუალური გახდება ბრალდებისა და დაცვის მხარისთვის.

ბრალდების მხარე

მკვლელობის საქმეების სასამართლო განხილვა თითქმის არ განსხვავდება სხვა სასამართლო განხილვებისაგან. პროკურორის შესავალი სიტყვა ისეთივე შთამბეჭდავი უნდა იყოს, როგორც ფილმის ანონსი (თრეილერი). ჩვეულებრივ საუკეთესო ანონსი პოტენციურ აუდიტორიას ფილმის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებს უჩვენებს, ყურადღებას იპყრობს და, საბოლოო ჯამში, მთლიანი ფილმის ნახვის სურვილს აღუძრავს.

ბრალდების მხარის შესავალი სიტყვა არ უნდა იწყებოდეს იმგვარად, რომ ნაფიც მსაჯულებს მომხსენებლის იგნორირებისაკენ უბიძგოს („ქალბატონებო და ბატონებო, რასაც ახლა მოგახსენებთ, მტკიცებულება არ არის, ეს გახლავთ საქმის მარტივი მონახაზი. პირველ რიგში ოფიცერ სმიტს მოვიწვევ, რომელიც მოგითხრობთ"...). თუკი მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს მიუთითებს, რომ შესავალი სიტყვა მტკიცებულება არ არის, მაშინ საჭირო აღარ არის იმავეს შეხსენება. პროკურორის ამოცანაა მიიპყროს ნაფიცი მსაჯულების ყურადღება, დაავიწყოს ახლახან მოსმენილი მითითებები და ფილმისათვის შეძლებისდაგვარად საინტერესო ანონსი მოამზადოს – ისეთი, რომელიც მსმენელს აიძულებს კინოს ბილეთის შეძენას და უბიძგებს გააკეთოს წინასწარი დასკვნები ფილმის შესახებ, რომლის ნახვის სურვილიც უკვე გაუჩნდა.

განვიხილოთ რეალური ცხოვრებისეული მაგალითი უახლესი ისტორიიდან და ერთმანეთს შევადაროთ ო. ჯ. სიმფსონის ორი სასამართლო პროცესის შესავალი სიტყვები – პირველ შემთხვევაში ბრალდების მხარემ წააგო პროცესი, ხოლო მეორე შემთხვევა სამოქალაქო საქმის (აშშ-ში ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართლის საქმეებს) მოგებით დასრულდა. მკვლელობის საქმის პროცესზე ბრალდებამ შესავალი სიტყვა ასე დაიწყო:

---

[42] „როგორ გამოვიძიოთ მკვლელობის საქმე", მაიკლ დ. უიმსი, ჯეკ ბ. რაბინი და ჩარლზ ამბროსი, პირველად გამოიცა ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ. საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2011). თარგმანი, გამოცემა და გავრცელება განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა" (**ABA ROLI**) საქართველოს ოფისის მიერ. თარგმნის საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2012). ყველა საავტორო უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის ტექსტის ნაწილობრივი ან მთლიანი შეცვლა ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლებებისა და გარიგებების განყოფილების წერილობითი თანხმობის გარეშე; მისამართი: **321 North Clark Street, Chicago, Illinois 60654, USA; el. fosta: copyright@abanet.org**.

„მოგესალმებით თქვენო ღირსებავ, მოსამართლე იტო, ბ-ნ. კოჩრან, ბ-ნ. შაპირო და დინ უელმენ, ძვირფასო კოლეგებო, საქმის მონაწილე მხარეებო, ბრაუნების ოჯახის წევრებო, გოლდმენების ოჯახის წევრებო, სიმფსონების ოჯახის წევრებო, ნაფიცო მსაჯულებო. ალბათ სამართლიანი იქნება, თუკი ვიტყვი, რომ დღეს მთელ ქალაქში ყველაზე რთული სამუშაო თქვენს შემდეგ სწორედ მე მაქვს. თქვენი დავალება ცოტა უფრო რთულია, მაგრამ ჩვენ ყველას ერთი მიზანი გვაქვს და ეს მიზანი მართლმსაჯულების აღსრულებაა. სასამართლო პროცესი ხანგრძლივი იქნება და მინდა გითხრათ, რომ ძალიან ვაფასებთ თქვენს მონაწილეობას პროცესში, მით უმეტეს, რომ კარგად გვესმის რამდენად რთული შეიძლება იყოს ეს თქვენთვის.“[43]

წარმოდგენილი შესავალი სიტყვის ნაწილში რამდენიმე მნიშვნელოვანი შეცდომაა დაშვებული. ის ზედმეტად გრძელი და აპოლოგეტიკურია და ფაქტობრივად ნაფიც მსაჯულებს მიუთითებს, რომ საქმის მოგება გაუჭირდება („ქალაქში ყველაზე რთული სამუშაო მე მაქვს“). შესავალი სიტყვა მხოლოდ ერთი ნაწილი იყო, ბრალდების გუნდის მიერ დაშვებული უხეში შეცდომების სერიიდან (დაწყებული იქიდან, რომ პოლიტიკური მოსაზრებებით სასამართლოს ადგილი შეცვალეს). ამ ყველაფრის საბოლოო შედეგი კი სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი ვერდიქტი იყო. ახლა კი ეს შესავალი სიტყვა შევადაროთ ო. ჯ. სიმფსონის წინააღმდეგ წარმატებული სამოქალაქო საქმეში მოსარჩელე ადვოკატის მიერ წარმოთქმულ შესავალ სიტყვას.

„1994 წლის 12 ივნისის საღამოს, ნიკოლ ბრაუნმა თავისი 10 წლის გოგონა სიდნი და 6 წლის ბიჭი ჯასტინი დააძინა თუ არა, აბაზანა წყლით აავსო, სანთლები აანთო და აბაზანის მისაღებად და განტვირთვისათვის მოემზადა.

9:40-ზე ტელეფონმა დარეკა და ნიკოლმა უპასუხა. დედა ურეკავდა იმის სათქმელად, რომ ახლომდებარე რეტორანში, ბრენტვუდში სათვალე დარჩა. 1 საათით ადრე სწორედ ამ რესტორანში აღნიშნა მთელმა ოჯახმა სიდნის ცეკვის კონცერტი. დედას აინტერესებდა შეეძლოო თუ არა ნიკოლს მეორე დღეს რესტორნიდან მისი სათვალის წამოღება. ნიკოლმა უპასუხა, რომ შეეძლო და ყურმილი დაკიდა. შემდეგ ნიკოლმა რესტორანში დარეკა და თავაზიან ახალგაზრდა მიმტანთან საუბარი ითხოვა. ნიკოლმა ახალგაზრდა მიმტანს სთხოვა დედამისის სათვალე გამოეყოლებინა. მიმტანმა უპასუხა, რომ სათვალეს სამსახურის შემდეგ მიუტანდა, გზად მარინა დელ რეისაკენ, სადაც თავის მეგობარს უნდა შეხვედროდა ახალგაზრდა მამაკაცს რონ გოლდმენი ერქვა და ის 25 წლის იყო. საღამოს 9:50-ზე რონი სათვალით ხელში რესტორნიდან იქვე მდებარე სახლში გადავიდა ტანსაცმლის გამოსაცვლელად“.[44]

შესავალი სიტყვის ანონსი კინოს ფორმატით დაიწყო, დაზარალებულთა პერსონალიზაციით, წინა საღამოს მათი, ნიკოლ სიმფსონისა და რონ გოლდმენის ცხოვრებაში განვითარებული მოვლენების აღწერით და თანდათანობით გადავიდა მკვლელთან მათი საბედისწერო შეხვედრის თხრობაზე. მოსარჩელის ადვოკატმა ამ შემთხვევაში ბრწყინვალედ ისარგებლა არსებული გარკვეული მდგომარეობით იმასთან დაკავშირებით, რაც *ნაფიცმა მსაჯულებმა უკვე იცოდნენ, და რის თქმასაც მოელოდნენ ადვოკატისაგან.* ამ დროისათვის სიმფსონების საქმე თვეების განმავლობაში გაზეთების პირველ გვერდზე

[43] *People of the State of California v. O.J. Simpson, (კალიფორნიის შტატის მოსახლეობა ო. ჯ. სიმფსონის წინააღმდეგ)* 1995 წლის 24 იანვრის სასამართლო სხდომის ოქმი იხილეთ შემდეგ ვებ. გვერდზე: http://walraven.org/simpson/jan

[44] ნაწყვეტები დანიელ პეტროჩელის შესავალი სიტყვიდან, რომელიც შეტანილია წიგნში Joel J. Seidermann, In the Interest of Justice, Great Opening and Closing Arguments of the Past 100 Years, *6-7 (2004).*

იხილებოდა და ყველა ამ ამბავზე საუბრობდა; იგივე იქნებოდა ადვოკატს „*ტიტანიკის*“ ამბავი რომ მოეყოლა, მაგრამ მის სიტყვაში არ იყო მობოდიშება, ანდა წუხილი იმის შესახებ, რომ მსაჯულების დარწმუნება რთული იქნებოდა, არც ზედმეტ საუბარს, ან ადვოკატისათვის დამახასიათებელ თხრობას მოიცავდა. ადვოკატმა ფილმის შესავალი დამაჯერებელი ხერხით წარმოადგინა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეულწილად მკვლელობის საქმეების განხილვა სხვა საქმეების განხილვისაგან განსხვავებულად ხორციელდება. ბრალდებულმა მსხვერპლს ან მსხვერპლებს ყველანაირი უფლება წაართვა. ამ დროს პროკურორი დიდი ცდუნების წინაშე დგას, დააყენოს ნაფიცი მსაჯულები დაზარალებულის ადგილას. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოები ამგვარ მიდგომას არამართებულად მიიჩნევენ ყველაზე მეტად თავად მკვლელის[45] პოზიციიდან გამომდინარე. ამგვარად, პროკურორი მუდმივი დილემის წინაშე დგება: როგორ წარმოთქვას ძალიან შთამბეჭდავი სიტყვა მისაღები ფორმით? პასუხი ამ შემთხვევაში იგივეა – გააკეთოს ფილმის ანონსი. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა და მისმა მკვლელმა ერთმანეთთან შეხვედრით ფაქტობრივად თავად შექმნეს ფილმის სცენარი, მკვლელობის ფილმის რეჟისორი მაინც პროკურორია. სცენარში ბოლო შესწორებებიც სწორედ პროკურორს შეაქვს, და არა მოსამართლეს ან ადვოკატს. პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ თუ როგორ, რა თანმიმდევრობით, ვინ დაწერს და მოჰყვება მიმზიდველად ფილმის ანონსს – შესავალ სიტყვას.

ახლა კი ამ თავის მეორე აბზაცში მოყვანილი ციტატა ქვემოთ მოცემულ მაგალითს შევადაროთ:

„მტკიცებულებები გვიჩვენებს (ეს ფრაზა ქვემოთ მოყვანილ ყველა მტკიცებულებას, თუკი ასეთი იქნება, დასაშვებს გახდის), რომ სიცოცხლის ბოლო დღეს, ბრენდა ევანსმა ჩვეულებისამებრ დილის 6 საათზე გაიღვიძა. სიცოცხლის ბოლო დილას, ჩვეულებისამებრ მანქანით გაემგზავრა რივერფრანტ პარკში სარბენად. სიცოცხლის უკანასკნელ დილას ბრენდამ მანქანა გააჩერა და ჩაკეტა, როგორც ჩვეულებრივ აკეთებდა ხოლმე. შემდეგ ჩვეულებისამებრ მობრუნდა, რომ სირბილი დაეწყო – მაგრამ ბრენდას სიცოცხლის ეს უკანასკნელი დილა ჩვეულებრივი არ იყო. იმ დილით ბრენდას პარკში ვილაც ელოდებოდა, იმიტომ, რომ ეს ადამიანი ბრენდას უთვალთვალებდა, დასდევდა და იწერდა ყველაფერს, რასაც ბრენდა ჩვეულებრივ დღის განმავლობაში აკეთებდა.

მანქანასთან მდგარ ბრენდას უკნიდან ვილაცამ თავზე მოჰკიდა ხელი. ხელში ქლოროფორმში დასველებული ნაჭერი ეჭირა. ბრენდა უცნობის ხელის მოცილებას ცდილობდა, ამ დროს ქლოროფორმი ჩაისუნთქა და გონება დაკარგა. ის 2003 წლის „ფორდ ტაურას“-ის მარკის ავტომანქანაში ჩატენეს და პარკიდან სამხრეთით, 17 მილის მოშორებით მდებარე თავლისაკენ წაიყვანეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ ბრენდა გონზე მოვიდა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ თავლაში საჯინიბოს მოაჯირზე იყო მიბმული.

მამაკაცი, რომელმაც ბრენდა პარკიდან მოიტაცა, მის გონზე მოსვლას ელოდებოდა, რადგან უნდოდა გონზე ყოფილიყო იმ დროს, რის გაკეთებასაც მერე აპირებდა.

[45] იხ. ილსონი სიმსონის წინააღმდეგ (Wilson v. Simmons, 536 F.3d 1064,1119(10th Cir. 2008). ამგვარი ქმედება ჩვეულებრივ ნაფიც მსაჯულებში თანაგრძნობის გამოწვევის არასწორ მიდგომად ითვლება. მკვლელობის საქმის წარმოდგენილი მაგალითი, რომელიც ფედერალურმა სასამართლომ 28 U.S.C. § 2254 განიხილა, შესანიშნავი მაგალითია როგორც პროკურორებისათვის, ასევე დაცვის მხარისათვის.

მამაკაცს უნდოდა ბრენდას სცოდნოდა, რომ ის გააუპატიურეს. მას შემდეგ, რაც კარგად მომზადებული გეგმის „ეს პუნქტი“ დაასრულა, კედლიდან ფიწალი ჩამოიღო და ბრენდას ყელზე მიაბჯინა. შემდეგ მან რამდენჯერმე გაუყარა ფიწალი ყელში, სანამ არ მოსწყინდა. სიცოცხლის უკანასკნელ დილას ბრენდა ევანსმა ბოლოს ბრალდებული – ჯერემი ლიი ტომასი დაინახა, რომელმაც ფიწალი ჩაურჭო ყელში.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი ფაქტიობრივად ზუსტად იმას აკეთებს, რაც თეორიულად აკრძალულია. ის უბიძგებს ნაფიც მსაჯულებს, რომ საკუთარი თავი წარმოიდგინონ მსხვერპლის ადგილას და დანაშაულს მისი პოზიციიდან შეხედონ, თუმცა თხრობისას გამოყენებული არ არის ტერმინები, რომელთაც სასამართლო კრძალავს. შესავალი სიტყვა ასე რომ დაწყებულიყო: „წარმოიდგინეთ საკუთარი თავი ბრენდას ადგილას“ ნაცვლად, ზემოთ გამოყენებული სიტყვებისა „მტკიცებულება გვიჩვენებს“ – სავარაუდოდ, წარმოდგენილი ფილმის დანარჩენ ნაწილს – პროკურორის სიტყვასა და ვერდიქტს – სააპელაციო სასამართლო პროკურორს უკან დაუბრუნებდა სტუდიაში გადასაკეთებლად არასწორი ქცევის მოტივით.

ენობრივი და მეთოდური აკრძალვები სხვადასხვა იურისდიქციაში სხვადასხვაგვარია და პროკურორი ვალდებულია კარგად იცნობდეს პრეცედენტულ სამართალს. რა იქნა ჩათვლილი შეცდომად. რა ჩაითვალა „იძულებად, მაგრამ სამართლიანად“ და მართებულად? როგორც ზემოთ წარმოდგენილი მაგალითი გვიჩვენებს, შესავალი სიტყვის კარგად დაგეგმვა თითქმის ყოველთვისაა შესაძლებელი, ისე რომ დასაშვებად წარმოადგინოთ ის, რაც სხვა შემთხვევაში დაუშვებელი იქნებოდა. თუმცა ამის გაკეთება შეუძლებელია, თუკი თამაშის წესები, ანდა სათამაშო მოედნის საზღვრები არ იცით. ამიტომ შესაბამისი კანონის ცოდნა აუცილებელია, განსაკუთრებით, თუკი პროკურორს უნდა რომ საზღვარს მისი გადაკვეთის გარეშე მიუახლოვდეს.

როგორც ამ წიგნში არაერთხელაა აღნიშნული, აუცილებელი არ არის მტკიცებულება ქრონოლოგიურად წარმოადგინოთ. კონკრეტული მოსაზრებებით, ანდა ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლოა მტკიცებულება არათანმიმდევრულად მიაწოდოთ ნაფიც მსაჯულებს. კიდევ უფრო დამაჯერებელი შესავალი სიტყვა არის რეტროსპექტიული ანონსი (სიცოცხლის უკანასკნელ დილას, ბრენდა ევანსმა წამლით გაბრუებული უგონო მდგომარეობიდან გამოიღვიძა და აღმოაჩინა, რომ თავლაში იყო დაბმული, სადაც უწინ არასოდეს ყოფილა. იქ როგორ მოხვდა არ იცოდა, მხოლოდ ის ახსოვდა, რომ იმ დილით პარკში სარბენად მანქანით გაემგზავრა....“).

სხვა შემთხვევებში, შესავალი სიტყვა შესაძლოა ამავე ფორმატში ერთგვარ „სატყუარას“ მოიცავდეს, უფრო კონკრეტულად კი, მიუთითებდეს მსაჯულებს, რომ პროკურორის საქმეში განსაკუთრებული ყურადღება „დენთის კვალიან პისტოლეტს“ მიაქციონ („ბრენდა მკვდარია, მაშ, საიდან უნდა გავიგოთ, რომ ის ბრალდებულმა მოკლა? გთხოვთ, ძალიან დიდი ყურადღება მიაქციოთ ტექნოლოგიების ექსპერტის, დოქტორ ბრუს მილერის ჩვენებას“). ეს განცხადება არ აიძულებს მსაჯულებს დაასკვნან, რომ დოქტორი მილერი ბრალდებულს მკვლელად ცნობს, ანდა ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის გარდა სხვა ალტერნატივა არ ექნება; ამის ნაცვლად უბიძგებს მსაჯულებს თავად გააკეთონ *საკუთარი* დასკვნები, რომლებიც შეიძლება უკვე გაკეთებულიც აქვთ. ამგვარად, მსაჯული ინტერესით დაელოდება ტექნოლოგიების ექსპერტის ჩვენებას და გონებაში გაუხარდება, როდესაც დოქტორი მილერის ჩვენება ფაქტობრივად დაადასტურებს მის *საკუთარ* დასკვნებს.

ზოგჯერ ყველაზე ეფექტურ გამოსვლებს მუსიკალურ *კრეშენდოს* ადარებენ, რომელიც თანდათანობით ზრდის ტონალობასა და ინტენსივობას შესავალი სიტყვიდან დასკვნით სიტყვამდე. კიდევ უფრო შესაფერისი ანალოგი შეიძლება იყოს *სფორცანდო*, სადაც თავდაპირველად მუსიკალურ ნოტზე ძლიერი აქცენტის გაკეთება ხდება, შემდეგ კი მისი შემცირება საბოლოო დასრულებამდე. შესავალი სიტყვაც სწორედ ნოტის ქუხილისებურ დასაწყისს ჰგავს. შემდეგ ბგერის (მტკიცებულების) ტონალობა მცირდება ტონის ცენტრისაკენ, ვიდრე საბოლოო ნოტამდე არ დაიწყებს ზრდას (დასკვნითი სიტყვა).

შესავალი სიტყვა ძალიან ფრთხილად, მხოლოდ ყველა მტკიცებულების დეტალური შესწავლის შემდეგ უნდა მოამზადოთ. ამასთან, შესავალი სიტყვა მხოლოდ დასკვნითი სიტყვის მომზადების *შემდეგ უნდა* მოამზადოთ. იმ საქმეებთან მიმართებაში, სადაც სასჯელს ნაფიცი მსაჯულები უფარდებენ, შესავალი სიტყვა სასჯელის სიტყვის მომზადების შემდეგ უნდა მოამზადოთ. თუკი ეს კონტრაინტუიტიურად მოგეჩვენებათ, გაითვალისწინეთ შემდეგი საკითხები:

- მაშინ, როდესაც ყველა ან უმეტესი დასკვნითი სიტყვებისა ძირითადად იმ მტკიცებულების დეტალურ მიმოხილვას უნდა მოიცავდეს, რომელსაც ეფუძნება მთავარი საკითხი (ბრალი ან შერაცხადობა), შესავალი სიტყვა *ზოგადი* უნდა იყოს და არა ყოვლისმომცველი ან კონკრეტული. იშვიათია, რომ ბრალდებამ *სრულყოფილად* მოამზადოს სიტყვა წინასწარ. უმეტესობა ეფუძნება მოწმის წყვეტილ მეხსიერებას, მოსამართლის უარს დასაშვებად ცნოს გარკვეული მტკიცებულება ან თუნდაც დაცვის დამაჯერებელ მოწმეს, რომლის ჩვენება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ბრალდების მხარის მოწმეთა მთლიანი ჩვენების უტყუარობას. მაშინ როცა პროკურორი ცდილობს მთლიანი საქმე დეტალურად წარმოადგინოს, მისი შესავალი სიტყვა დაცვის მხარეს სიტუაციის შეჯამების გაკეთების კარგ შესაძლებლობას აძლევს, ხაზს უსვავს რა, პროკურორის შესავალ სიტყვასა და მტკიცებულებებს შორის არსებულ შეუთავსებლობას (პროკურორმა გითხრათ, რომ ბ-ნ სმიტი მოგიყვებოდათ ა-ს, ბ-ს და გ-ს, მაგრამ ბ-ნ სმიტს ეს საერთოდ არ უთქვამს!" „პროკურორმა გითხრათ, რომ ფიწალთან დაკავშირებით სეროლოგიური ექსპერტიზის დასკვნას გაჩვენებდათ, მაგრამ მტკიცებულება მსგავს დოკუმენტს არ მოიცავს!). პროკურორი, რომელიც „ფილმის ანონსის" შეთავაზების ნაცვლად, ჰყვება ამბავს და მასში წარმოგიდგენთ მტკიცებულებას, ან ჩვენებას, რომელიც დაგეგმილისაგან განსხვავებით მტკიცებულებათა ნუსხაში არ მოხვდება, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოწინააღმდეგე მხარის თავდასხმას გაუმკლავდება.
- ფილმის ანონსის გამოყენების მიდგომა თავიდან აგვაცილებს მოსაწყენ *დასკვნით* სიტყვას, რომელიც შესავალი სიტყვის გამეორება იქნება. თუმცა, კარგად მომზადებული ბრალდების საქმე ყოველთვის მიმართული იქნება დასკვნით სიტყვაზე. დასკვნითი სიტყვა სამართალწარმოების პროცესის განსხვავებული ეტაპია და შესაბამისად, განსხვავებული დანიშნულება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ კარგად მომზადებულ შესავალ სიტყვას შეუძლია საქმე მოგაგებინოთ, თუკი მოახერხებთ ნაფიც მსაჯულთა დაარწმუნებას მტკიცებულებათა წარმოდგენამდე, მას მაინც არ შეუძლია მტკიცებულებათა წარმოდგენისას წამოჭრილი კამათისა და კითხვების მოგვარება.

ორნაწილიან სასამართლო პროცესზე (აშშ- პრაქტიკა), სადაც ნაფიცი მსა-

ჯულები ბრალდებულს სასჯელს უფარდებენ, დასკვნით სიტყვისთან დაკავშირებული იგივე მოსაზრებები ვრცელდება სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებულ საბოლოო სიტყვაზეც – ამას ეძახიან პროკურორის საბოლოო სიტყვას, ეს სიტყვა მოიცავს მითითებას იმის შესახებ, თუ რატომ უნდა იქნეს გამოყენებული მოცემული ბრალდების შემთხვევაში ესა თუ ის სასჯელი. იგი არ შეიძლება იყოს შესავალი სიტყვის გამეორება. გამეორება თითქმის ყოველთვის უინტერესო და არადამაჯერებელია. დასკვნითი სიტყვა, ისევე როგორც სასჯელის შეფარდების ეტაპზე გაკეთებული სიტყვა, ნაფიც მსაჯულებს დაფიქრებისაკენ უნდა უბიძგებდეს. ეს კი სასამართლო პროცესამდე მომზადებას, სხვადასხვა საკითხის გადანაწილებას და ნაფიც მსაჯულთა წინაშე მტკიცებულებების წარმოდგენას მოითხოვს.

დაცვის მხარე

დაცვის მხარეს ყოველთვის აქვს საპროცესო უფლება წარმოთქვას შესავალი სიტყვა. დაცვის მხარეს, ასევე უფლება აქვს არ გააკეთოს შესავალი სიტყვა იქამდე, ვიდრე არ მოისმენს ბრალდების მხარის გამოსვლას, ანდა საერთოდ არ ისარგებლოს სიტყვის თქმის უფლებით. ადვოკატების უმრავლესობას მიაჩნია, რომ შესავალის სიტყვის თქმის უფლებაზე უარის თქმა არ არის მართებული რამდენიმე მიზეზით. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილებას სწორედ შესავალი სიტყვის მოსმენის შემდეგ იღებენ და თუკი ეს სიმართლეა, მაშინ მნიშვნელოვანია, რომ დაუპირისპირდე ბრალდების მხარეს. თუმცა, არის შემთხვევები, ჩვეულებრივ იმ საქმეებში, სადაც რამდენიმე ბრალდებულია, როდესაც შესავალი სიტყვით გამოსვლისაგან თავის შეკავება შეიძლება ერთგვარი სტრატეგია იყოს იმისათვის, რომ თქვენი კლიენტი სხვა ბრალდებულებისაგან გამოარჩიოთ. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, დაცვის მხარე უნდა შეეცადოს, რომ ბრალდების მხარის გამოსვლის შემდეგ დაუყოვნებლივ დაამყაროს ნაფიც მსაჯულებთან კონტაქტი. თუნდაც კონკრეტული დაცვის მტკიცება არ არსებობდეს, დაცვის მხარემ უნდა ისარგებლოს ამ შესაძლებლობით, რათა ნაფიცი მსაჯულების კეთილგანწყობა და ნდობა მოიპოვოს.

შესავალი სიტყვა ასევე გახლავთ შესაძლებლობა იმისა, რომ ხაზი გაუსვათ ბრალდების პოზიციის სუსტ მხარეებს. თუკი აბსოლუტურად არ ხართ დარწმუნებული იმაში, რომ ბრალდებული ჩვენებას გააკეთებს, უმჯობესია ამაზე არ ისაუბროთ. თქვენი შესავალი სიტყვა შესაძლოა მისი ჩვენების სანაცვლოდ გამოდგეს. მართალია, შესავალი სიტყვა დაცვის მხარისათვის შესანიშნავი შესაძლებლობაა წარმოაჩინოს საკუთარი თავი სანდო ადვოკატად, მაგრამ გახსოვდეთ, რომ პოტენციური სირთულეები (მახეები) მაინც არსებობს.

- არასოდეს დადოთ პირობა, რომელსაც ვერ შეასრულებთ, რადგან ნაფიცი მსაჯულები ამას არასოდეს დაივიწყებენ და არც გაპატიებენ.
- ნუ დაიწყებთ საუბარს სამართლებრივ ტექნიკურ დეტალებსა და ტერმინებზე, რომლებზეც ნაფიც მსაჯულებს ჩამოეძინებათ.
- დაცვის მხარისათვის სასარგებლო მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გამოიყენეთ შესავალი სიტყვა ნაფიცი მსაჯულების შეხედულების ჩამოსაყალიბებლად.

ზოგიერთი იურისტის აზრით, კარგი იქნება თუკი შესავალი სიტყვა მთელი ის-

ტორიის მოყოლას დაეთმობა, მით უმეტეს, თუკი თხრობა თქვენი ერთ-ერთი ძლიერი მხარეა, აუცილებლად გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა. მეორე მხრივ, არ არის საჭირო კომუნიკაციის სტილის შეცვლა მხოლოდ იმისათვის, რომ მიბაძოთ სხვა წარმატებულ ადვოკატებს. როდესაც დაცვის მხარისათვის სასარგებლო მტკიცებულება არ არსებობს, ხშირად მტკიცების ტვირთი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და გონივრული ეჭვი სასარგებლო მექანიზმებია, თუკი მათ სათანადოდ გამოყენებას შეძლებთ. დაცვის მხარემ ნაფიც მსაჯულებს უნდა აუხსნას, რომ მხოლოდ უდანაშაულობის პრეზუმფცია საკმარისია გამამართლებელი ვერდიქტის/განაჩენის გამოსატანად. შესავალი სიტყვა ბრწყინვალე დროა ნაფიც მსაჯულებში გონივრული ეჭვის მარცვლების დასათესად.

ნაფიცი მსაჯულები ყველაზე დიდი ინტერესით შესავალ სიტყვას უსმენენ და თქვენს გამოსვლას მოუთმენლად ელიან. ამიტომ შესავალი სიტყვა უნდა იყოს ლაკონიური, დამაჯერებელი და ზუსტად პასუხობდეს თემას. რეკომენდებული არ არის ხანგრძლივი სიტყვის წარმოთქმა, რომელიც ვერ მიიპყრობს ნაფიცი მსაჯულების ინტერესს. მნიშვნელოვანია, რომ შესავალი სიტყვის რეპეტიცია წინასწარ გაიაროთ, რათა შემდეგ მისი წარმოთქმა ჩანაწერების მოშველიების გარეშე შეძლოთ. სწორედ ამ დროს უნდა აცნობოთ ნაფიც მსაჯულებს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია სიცოცხლისუნარიანი ცნებაა. მართალია, ნაფიცი მსაჯულები მოსამართლის მანტიაში არ არიან გამოწყობილი, მაგრამ ისინი არიან მოსამართლეები და მათზეა დამოკიდებული რამდენად „ცოცხალია“ პრეზუმფცია. აუცილებელია ნაფიც მსაჯულებს სთხოვოთ, რომ ყურადღებით მოუსმინონ მოსამართლის მითითებებს უდანაშაულობის პრეზუმფციისა და გონივრული ეჭვის შესახებ. ამის შემდეგ თქვენს ნათქვამს მოსამართლის მითითებები გაამყარებს. მსაჯულებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი არიან ერთადერთი მოსამართლეები და მათ უნდა გადაწყვიტონ თუ ვის დაუჯერონ და შესაბამისად, განსაზღვრონ მოწმეების სანდოობის ხარისხი.

უდანაშაულო ადამიანის დასჯა არც ერთ ნაფიც მსაჯულს არ უნდა. შესავალი სიტყვისას შესაძლებლობა გაქვთ აუხსნათ მსაჯულებს, თუ რატომ არის ბარლდებული უდანაშაულო და თუკი საჭიროა, გააკეთოთ შედარება მოწმეებს შორის. ბრალდებული ხშირად გათავისუფლებას თვეების განმავლობაში ელოდება; ნაფიც მსაჯულებს კი საშუალება აქვთ სახელმწიფოს შესაბამისი „გზავნილი“ მიაწოდონ. უამრავი მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს რეკომენდებული შესავალი სიტყვა[46].

[46] იხ. Peter Lagarias, Effective Closing Argument (1989) (რომელიც მიმოიხილავს დარწმუნების ხელოვნებას).

ნივთიერი მტკიცებულება[47]

ნივთიერი მტკიცებულებაა ის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს. კარგ ნივთმტკიცებას მოსამართლეზე/ნაფიც მსაჯულებზე უაღრესად ძლიერი ეფექტის მოხდენა შეუძლია. მას შეუძლია ისეთი სახით წარმოაჩინოს საკითხი, რაც უბრალოდ ჩვენების მიცემით შეუძლებელი იქნებოდა. მაგალითად, იმ პიროვნების ფოტო, ვინც სიკვდილამდე სცემეს, გაცილებით დრამატულია, ვიდრე მხოლოდ იმის აღწერა, თუ როგორ გამოიყურებოდა დაზარალებული. ცხრილი შესაძლოა შეიცავდეს ინფორმაციას, რომლის აღქმაც უფრო ადვილია, ვიდრე მოწმის მიერ ციფრების ან სახელების გრძელი სიის ჩამოთვლა. ისეთი დოკუმენტების შემთხვევაში, როგორიცაა წერილები, საბანკო ანგარიშები და ა.შ. მოწმესთან შედარებით დამაჯერებლობის ხარისხი გაცილებით დიდია, რადგან ისინი არ ცრუობენ და მათ არ აქვთ მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები, თუ რა თქმა უნდა, ისინი არ შეცვალეს. როგორც წესი, ნაფიცი მსაჯულები დოკუმენტებს უფრო ეყრდნობიან, ვიდრე მოწმის ჩვენებებს, თუ ორივე ერთსა და იმავე ინფორმაციას ეხება.

ნივთმტკიცებების უპირატესობა ასევე იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლის ან ნაფიცი მსაჯულების ყურადღება იმ საკითხზე ჩერდება, რომელზეც პროკურორი/ადვოკატი მსჯელობს, მაშინ, როდესაც ეს მოწმის ჩვენებით ძალიან იშვიათად მიიღწევა. ზეპირ ჩვენებასთან ერთად ნივთმტკიცების გამოყენება პროკურორს/ადვოკატს საშუალებას აძლევს ინფორმაცია ორი ფორმით გადასცეს. როგორც წინამდებარე სახელმძღვანელოში ზემოთ იყო აღნიშნული, ფსიქოლოგიურმა ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ ერთდროულად ყურებისა და სმენის კომბინირებული ეფექტით ინფორმაცია ორჯერ უფრო კარგად აღიქმება.

ნივთმტკიცებების გამოყენების ქვემოთ მოცემული მაგალითები აღებულია აშშ-ის ფედერალური საოლქო სასამართლოებიდან, რომლებიც ფედერალური სისტემის პირველი ინსტანციის სასამართლოებია და სადაც სასამართლო პროცესები ტარდება.

ნივთმტკიცების მტკიცებულებად დაშვება

ნივთმტკიცება ორი დანიშნულებით შეიძლება იყოს გამოყენებული. საუკეთესო შემთხვევაში ნივთმტკიცება მტკიცებულებად დაიშვება. მეორე შემთხვევაში, მისი მეშვეობით შესავალი ან დასკვნითი სიტყვების დროს მოსამართლისთვის/ნაფიცი მსაჯულებისათვის ბევრი რამ გაცილებით ნათელი ხდება. ორივე შემთხვევა თავისებურად სასარგებლოა. თუმცა, როდესაც საქმე გადაწყვეტილების მიღებამდე მიდის, მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ განიხილონ მხოლოდ ის ნივთმტკიცებები, რომლებიც მტკიცებულებებად იქნა დაშვებული. ამიტომ, სახელმძღვანელოს ეს ნაწილი სწორედ იმ ნივთმტკიცებებს დაეთმობა, რომელთა მტკიცებულებად დაშვება-

[47] მომზადებულია დენიელ ლინჰარდტის მიერ „ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ საქართველოს ოფისისათვის. რედაქტირება და თარგმანი განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ.

საც მხარე მოითხოვს.

სასამართლო პროცესის სხვა სტადიების მსგავსად, ნივთმტკიცების მტკიცებულებად დაშვებას სათანადო მომზადება ესაჭიროება. პროკურორმა/ადვოკატმა არა მხოლოდ ის უნდა განსაზღვროს, თუ რა სახის ნივთმტკიცებები დასჭირდება, არამედ ისიც, თუ რომელი მოწმეები დასჭირდება ამ ნივთმტკიცებების წარსადგენად. ბრწყინვალე ნივთმტკიცება, რომელიც მტკიცებულებად ვერ იქნება დაშვებული, მხოლოდ დროისა და ფულის ფუჭი ხარჯვაა. პროკურორმა/ადვოკატმა ასევე უნდა იფიქროს იმაზე, თუ პროცესის მიმდინარეობის რა ეტაპზე წარადგინოს ნივთმტკიცებები. დაბოლოს, პროკურორმა/ადვოკატმა უნდა მოამზადოს მოწმეები, რომელთა მეშვეობითაც ნივთმტკიცებების წარდგენა მოხდება და ნებისმიერი სხვა მოწმე, რომელიც ნივთმტკიცებას მოწმის მომზადებისას განიხილავს.

1. მონიშნეთ ნივთმტკიცება

აუცილებლად მონიშნეთ ნივთმტკიცებები. მაგალითად, „ბრალდების ნივთმტკიცება №1“. მნიშვნელობა არ აქვს, ციფრებს გამოიყენებთ თუ ასოებს, მთავარია, თქვენ, მოწინააღმდეგე მხარემ და მოსამართლემ იცოდეთ, რაზე საუბრობს მოწმე, როდესაც გარკვეულ ნივთმტკიცებაზე უთითებს. იდეალურ შემთხვევაში, მონიშვნა სასამართლო სხდომამდე უნდა განხორციელდეს. მაშინ ამის გაკეთება უფრო ადვილიც არის და მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ თქვენ მომზადებული ხართ. სასურველია, ნივთმტკიცებები იმ თანმიმდევრობით მოინიშნოს, რა თანმიმდევრობითაც, თქვენი აზრით, მათ პროცესზე წარადგენთ.

2. უჩვენეთ ნივთმტკიცება მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს

სასამართლო სხდომაზე პროკურორმა/ადვოკატმა წარმოდგენილი ნივთმტკიცება მოწინააღმდეგე მხარეს უნდა უჩვენოს, სანამ მისი მტკიცებულებად დაშვების პროცესს დაიწყებდეს. ეს თქვენს მოწინააღმდეგე მხარეს აძლევს საშუალებას სურვილის შემთხვევაში გამოთქვას ნებისმიერი სახის პროტესტი. ამის შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეს უნდა მისცეთ გონივრული ვადა ნივთმტკიცების შესასწავლად.

„მე ვუჩვენებ დაცვის ნივთმტკიცებას ––.“

3. სთხოვეთ მოსამართლეს მოწმესთან მიახლოების ნებართვა

საქმეთა უმრავლესობაში პროკურორმა/ადვოკატმა ნივთმტკიცება მოწმეს უნდა გადასცეს. თუ ეს აუცილებელია, მან მოსამართლისგან ნებართვა უნდა აიღოს, რათა მოწმეს მიუახლოვდეს. ეს არის თავაზიანობა, რომელიც მოსამართლის მიერ სასამართლო დარბაზის კონტროლს აღიარებს. ნებართვა შემდეგი სახით უნდა იყოს მოთხოვნილი:

„შეიძლება მოწმეს მივუახლოვდე? “

4. უჩვენეთ ნივთმტკიცება მოწმეს

ნაფიცი მსაჯულებისთვის ნივთმტკიცების ჩვენებამდე ის მტკიცებულებად უნდა იყოს დაშვებული. ნაფიცმა მსაჯულებმა არ უნდა ნახონ დაუშვებელი მტკიცებულებები. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს არ მოხდეს, სასამართლოს ნივთმტკიცება მტკიცებულებად დააშვებინეთ.

5. მოამზადეთ საფუძველი ნივთმტკიცებისთვის

ეს გულისხმობს იმის დადგენას, თუ რატომ უნდა იყოს განხილული და დაშვებული ნივთმტკიცება. ეს პროცესი ქვემოთ დეტალურად არის განხილული.

6. *მოითხოვეთ ნივთმტკიცების მტკიცებულებად დაშვება*

სანამ მოწმე ნივთმტკიცების განხილვას შეძლებს, ის მტკიცებულებად უნდა იყოს დაშვებული. ამ ეტაპზე პროკურორი/ადვოკატი მხოლოდ იმას ამბობს არსებითად, რომ მის მიერ წარმოდგენილი ნივთმტკიცება მტკიცებულებად დასაშვებობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს და მოსამართლის გადაწყვეტილებისთვის საფუძველს ქმნის. თუ მოწინააღმდეგე მხარეს რაიმე პროტესტის გამოთქმა სურს, ეს მისი ბოლო შესაძლებლობაა. თუ მოსამართლე პროტესტს დააკმაყოფილებს, მოწმეს ამ ნივთმტკიცების თაობაზე შეკითხვებს ვეღარ დაუსვამთ. თუ პროტესტი არ გამოთქმულა ან არ დაკმაყოფილდა, შეგიძლიათ ნივთმტკიცების ირგვლივ მოწმის დაკითხვა დაიწყოთ. მტკიცებულების დაშვების მოთხოვნა შემდეგნაირად ხდება: *„მოვითხოვ, მტკიცებულებად იქნეს დაშვებული ბრალდების ნივთმტკიცება №3.“*

მოსამართლე მოწინააღმდეგე მხარეს ეკითხება, ხომ არ სურს მას პროტესტის გამოთქმა. თუ პროტესტი არ გამოითქმება ან არ დაკმაყოფილდება მოსამართლის მიერ, მაშინ ნივთმტკიცება დაშვებულად ჩაითვლება.

საფუძვლის მომზადება

საფუძვლის მომზადება იმის დადგენას გულისხმობს, რომ ნივთმტკიცება ავთენტურია და რომ ის ჭეშმარიტად ის არის, რასაც მხარე ამტკიცებს. ამის შესასრულებლად სამი მოთხოვნა არსებობს.

(1) მოწმე კომპეტენტური უნდა იყოს, რათა ის განიხილოს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მოწმე ნივთმტკიცებას უნდა იცნობდეს და მასზე მსჯელობა შეეძლოს.

(2) როგორც ყველაფერი სხვა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, ის რელევანტური უნდა იყოს.

(3) ის ნამდვილი (უტყუარი) უნდა იყოს.

ქვემოთ მოცემულია საფუძვლის მომზადების მაგალითი. მომდევნო ქვეთავებში სახელმძღვანელო ნივთმტკიცებათა კონკრეტულ სახეობებს შეეხება.

კ: *ქ-ნო ეკატერინე, მე გიჩვენებთ დაცვის ნივთმტკიცებას №1, თქვენთვის ის ცნობილია?*

პ: *დიახ.*

კ: *რა არის ეს?*

პ: *ეს არის 2010 წლის 23 თებერვლით დათარიღებული წერილი, რომლის ავტორი დათო ხიდაშელია, ხოლო ადრესატი – თეიმურაზ ლომიძე.*

კ: *იცნობთ თუ არა ბ-ნ ხიდაშელის ხელმოწერას?*

პ: *დიახ.*

კ: *შეგიძლიათ მოსამართლეს უთხრათ, თუ საიდან იცნობთ მის ხელმოწერას?*

პ: *მე 10 წლის განმავლობაში მისი მდივანი ვიყავი და მის მიერ ხელმოწერილი უამრავი დოკუმენტი მაქვს ნანახი.*

კ: *დაცვის ნივთმტკიცება №1-ის ქვეშ ვისი ხელმოწერაა დასმული?*
პ: *ბ-ნი ხიდაშელის.*

ქმედებები, რომლებიც მხარემ გადადგა, ნივთმტკიცების იდენტიფიცირებას ემსახურებოდა (მისი შესაბამისობა დადგენილი იქნებოდა ადრეული ჩვენებით ან პროკურორის/ადვოკატის მხრიდან მტკიცების შეთავაზების შედეგად). პროკურორმა/ადვოკატმა დაადგინა მოწმის კომპეტენცია, თუ საიდან იცნობდა იგი ბ-ნი ხიდაშელის ხელმოწერას, და მხოლოდ ამის შემდეგ მისცა მოწმემ ჩვენება იმის შესახებ, თუ ვისი ხელმოწერა იყო დასმული წერილის ბოლოში.

მტკიცებულებების სახეები და მათი წარდგენის წესი

ყველა სახის მტკიცებულება ოთხ კატეგორიად იყოფა. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, თითოეული კატეგორიის მტკიცებულებად დაშვების პროცესი გარკვეულწილად განსხვავებულია.

1. ფიზიკური ნივთმტკიცება

ეს კატეგორია ისეთ ნივთებს მოიცავს, როგორიცაა იარაღები, ნარკოტიკები, ტანსაცმელი ან ნებისმიერი სხვა რამ, რაც ფიზიკური ნივთია.

2. საილუსტრაციო მტკიცებულება

ეს ისეთი ნივთმტკიცებაა, რომელიც რაიმე კონკრეტულ ნივთს გამოხატავს, მაგრამ თვითონ ეს ნივთი არ არის. ასეთი სახის მტკიცებულება დასაშვებია, როგორც არსებითი მტკიცებულება. მტკიცებულების ამ სახეობის მაგალითებია ფოტოები, მაკეტები, რუკები, პროფესიული ნახაზები ან კომპიუტერული გრაფიკა.

3. წერილობითი მტკიცებულებები

ეს არის დოკუმენტები, როგორიცაა წერილები, თამასუქები და კონტრაქტები. ამ დოკუმენტების დასაშვებად, როგორც ზემოთ მოცემულ მაგალითში იყო ნაჩვენები, უნდა დადგინდეს მათზე არსებული ხელმოწერების წყარო, რათა დოკუმენტების უტყუარობა დადასტურდეს.

4. ჩანაწერები

აქ საუბარია ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის დროს შექმნილ დოკუმენტაციაზე, როგორიცაა კორპორატიული ქაღალდები, საბანკო და სხვა სახის ჩანაწერები. ეს შეიძლება მოიცავდეს კომპანიების კორესპონდენციას, ანგარიშებსა და ფინანსურ ანგარიშებს, ანგარიშ-ფაქტურებსა და გზავნილებთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, სატელეფონო ამონაწერებს, ჩეკებს ან ნებისმიერ სხვა დოკუმენტს, რომელსაც კონკრეტული ბიზნესი აწარმოებს.

ნივთმტკიცების მტკიცებულებად დაშვება

ნივთმტკიცების ორი სახეობა არსებობს. პირველი არის რაიმე უნიკალური ნივთი,

როგორიცაა ნახატი, უჩვეულო ბეჭედი ან თოფი სერიული ნომრით. მეორე სახეობა შედგება გვაროვნული ნივთებისგან, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, რაც არ არის უნიკალური, მაგალითად, ნარკოტიკები, სისხლი. პირველი სახეობა უფრო მარტივია და მასთან მიმართებაში ქვემოთ მოცემულია მაგალითი:

კ: პოლიციის ოფიცერო გრიგოლ სარჯველაძე, თქვენ აღმოაჩინეთ თეა ტაბიძის ცხედარი?

პ: დიახ.

კ: როდესაც ცხედარი აღმოაჩინეთ, დაინახეთ თუ არა რაიმე, რასაც მკვლელობის იარაღად მიიჩნევდით?

პ: დიახ. მას ზურგში დანა ჰქონდა ჩარჭობილი.

მოწინააღმდეგე მხარისთვის ნივთმტკიცების ჩვენებისა და მოსამართლისგან მოწმესთან მიახლოების ნებართვის მოპოვების შემდეგ:

კ: მე ახლა გიჩვენებთ ბრალდების ნივთმტკიცებას №1. თქვენთვის ეს ცნობილია?

პ: დიახ, ეს არის დანა, რომელიც ქ-ნ ტაბიძეს ზურგში ჰქონდა ჩარჭობილი, და რომელიც პოლიეთილენის დალუქულ კონტეინერში ინახება. ლუქზე აღნიშნულია სახელი გრიგოლ სარჯველაძე.

კ: საიდან იცით, რომ ეს ზუსტად ის დანაა, რომელიც ქ-ნი ტაბიძის ზურგში ჩარჭობილი ნახეთ?

პ: დანას ძვლის ტარი აქვს, ხოლო მის პირს კი კბილანები. მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და რისი ნახვაც ტარზე შეგიძლიათ, მე ჩემი ინიციალები და თარიღი ამოვკაწრე.

კ: არის თუ არა დანა იმავე მდგომარეობაში, როგორც ის პირველად ნახეთ?

პ: ტარზე ჩემი ინიციალები და თარიღი არის, მაგრამ, როგორც ჩანს, ტარიდან და დანის პირიდან სისხლია მოშორებული.

კ: ამ გამონაკლისის გარდა, არის თუ არა დანა იმავე მდგომარეობაში?

პ: დიახ.

კ: მოვითხოვ მტკიცებულებად იქნეს დაშვებული ბრალდების ნივთმტკიცება №1.

ზემოთ მოცემულ ჩვენებაში შეგიძლიათ ნახოთ, თუ როგორ გაიარა პროკურორმა ყველა ის აუცილებელი ნაბიჯი ნივთმტკიცების მტკიცებულებად დასაშვებად. პირველ რიგში, მან მოახდინა შესაბამისობის დემონსტრირება და დაადგინა, რომ მოწმე კომპეტენტური იყო ჩვენების მისაცემად, რადგან ცხედარი სწორედ მან აღმოაჩინა. მან დაადგინა, რომ ნივთმტკიცება შესაბამისი იყო, რამეთუ მოწმის განცხადებით დაზარალებულს დანა ჰქონდა ჩარჭობილი. პროკურორმა მოწმეს მისცა იმის დემონსტრირების საშუალება, რომ მან იცოდა, თუ როგორ გამოიყურებოდა ნივთმტკიცება განსაზღვრულ დროს და რომ ის არსებითად იგივე იყო სასამართლო პროცესზე. მცირე განსხვავებას რაც შეეხება, მოწმემ ესეც განმარტა. ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ, სავარაუდოდ, ნივთმტკიცების მსგავსი კიდევ უამრავი დანა არსებობს. პოლიციელის ინიციალების ან რაიმე სხვა უნიკალური ნიშნის გარეშე დანა დაუშვებლად იქნებოდა ცნობილი, რადგან ოფიცერი სხვა დანებისგან მის გარჩევას

ანალოგიურად ვერ შეძლებდა. განმასხვავებელი ნიშნის არარსებობისას დაცვის მხარემ დანის მტკიცებულებად დაშვებასთან დაკავშირებით პროტესტი უნდა გამოთქვას, რასაც შემდეგ სხვა განვითარება, კერძოდ კი, დანაზე ჩატარებული ცდების გამოკვლევა მოჰყვება.

მომდევნო მაგალითში, რომელიც დანაზე არსებული სისხლის გამოკვლევას ეხება, ოფიცერი მოჰყვება, თუ რა მოიმოქმედა სისხლის მტკიცებულების შესანარჩუნებლად. ეს დანის დალუქულ მდგომარეობაში შენახვას მოიცავს. ეს ნაბიჯი მნიშვნელოვანია, რათა სისხლი არ დაბინძურდეს ან არ დაიკარგოს. თუმცა დანის დალუქულ მდგომარეობაში შენახვა კარგი პრაქტიკაა, მას არსებითი მნიშვნელობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ექნებოდა დანის მტკიცებულებად დასაშვებად იმდენად, რამდენადაც პოლიციელი მის ამოცნობას თავისი ინიციალებით ყოველთვის შეძლებდა. თუმცა, დალუქულ მდგომარეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა იმ მტკიცებულების დასაშვებად, თუ ვისი სისხლი იყო დანაზე.

ქვემოთ მოცემული ჩვენება დანაზე აღმოჩენილ სისხლს ეხება. როდესაც მხარე გვაროვნულ ნივთთან მუშაობს, როგორიცაა სისხლი ან ნარკოტიკები, მას იმის დემონსტრირება მოეთხოვება, რომ ჩვენების მიცემა წარმოებაში არსებულ ნივთთან დაკავშირებით ხდება. ნივთი გვაროვნულია, თუ მას რაიმე განმასხვავებელი ნიშნით სხვა ნივთებისგან ვერ გამოარჩევთ. მაგალითად, თითქმის ყველა თეთრი ფხვნილი ერთნაირად გამოიყურება. პროკურორმა/ადვოკატმა უნდა დაადგინოს, რომ თეთრი ფხვნილი, რომლის მტკიცებულებად დაშვებასაც ის ითხოვს, იგივე თეთრი ფხვნილია, რომელიც ბრალდებულისგან იყო ამოღებული. როდესაც გვაროვნულ ნივთზე ვინმე ცდას ატარებს, უნდა დადგინდეს, რომ ცდა ჩატარდა, მაგალითად, იმავე თეთრ ფხვნილზე, რომელიც ბრალდებულისგან ამოიღეს. როდესაც გვაროვნული ნივთის მტკიცებულებად დაშვების მოთხოვნა ხდება, ადვოკატმა „ნივთმტკიცებების უსაფრთხოდ გადაცემის სისტემა (ჯაჭვი)“ უნდა დაადასტუროს. ეს ჯაჭვი იმის დადასტურებას გულისხმობს, თუ სად იმყოფებოდა მთელი ეს დრო ნივთი და რა მდგომარეობაში იყო ის, რათა მოსამართლემ იცოდეს, ეს ორიგინალი ნივთია თავდაპირველ მდგომარეობაში თუ მან რაიმე ცვლილება განიცადა. ქვემოთ მოცემული ჩვენება ზემოთ მითითებული მკვლელობის საქმეს ეხება. გრძელდება პოლიციელის დაკითხვა, რომელიც უკვე ჩვენების მიცემის პროცესში იყო.

კ: *როდესაც დანაზე თქვენი ინიციალები დასვით, მერე რა მოიმოქმედეთ?*

პ: *მე ის პოლიეთილენის კონტეინერში ჩავდე და დავლუქე.*

კ: *შეგიძლიათ პლომბი აღწეროთ, რომელიც გამოიყენეთ?*

პ: *ეს სტანდარტული პლომბი იყო, რომელსაც დეპარტამენტი იყენებს. ჩვენი პლომბის გახსნა მისი გატეხვის გარეშე შეუძლებელია. მე ასევე პლომბზე ხელი მოვაწერე, რათა იმ შემთხვევაში, თუ მას ვინმე გახსნიდა, ჩემი ხელმოწერა არ შეეცვალათ.*

კ: *დალუქვის შემდეგ სად წაიღეთ?*

პ: *ის თბილისში, პოლიციის მთავარ სამმართველოში მივიტანე და სპეციალურ მაცივარში მოვათავსე, სადაც ისეთ ნივთმტკიცებებს ვინახავთ, რომლებიც გრილ ტემპერატურას მოითხოვს. მე იქ მყოფი მორიგე ოფიცრისგან ქვითარი მივიღე.*

კ: *და რატომ მაცივარში?*

პ: *იმიტომ, რომ ვიცოდი, დანაზე არსებულ სისხლზე ანალიზები უნდა ჩატარებულიყო და სისხლის ნიმუშები გრილ ტემპერატურაზე უნდა ინახებოდეს, რათა ანალიზები სრულფასოვნად ჩატარდეს.*

ამის შემდგომ პროკურორი პოლიციის ექსპერტ-ქიმიკოსს, ქ-ნ თამარ ჩიხლაძეს გამოიძახებს. მისი, როგორც სისხლზე ანალიზების ჩატარებაში სერტიფიცირებული ქიმიკოსის უფლებამოსილებისა და გამოცდილების დადასტურების შემდეგ, დაიწყება მისი დაკითხვა.

კ: *2010 წლის 6 ოქტომბერს იმყოფებოდით თუ არა პოლიციის მტკიცებულებათა ოთახში, თბილისში, პოლიციის მთავარ სამმართველოში?*

პ: *დიახ.*

კ: *იქ რატომ მიხვედით?*

პ: *მტკიცებულებების ოთახის გამგე ოფიცრისგან მივიღე სატელეფონო ზარი, რომ სისხლში ამოსვრილი დანა ახალი მიტანილი იყო და უნდოდათ, რომ ამ სისხლზე ანალიზი ჩამეტარებინა.*

კ: *როდესაც დანა ნახეთ, რა მდგომარეობაში იყო ის?*

პ: *ის შენახული იყო პოლიეთილენის დალუქულ კონტეინერში, რომელიც პლომბზე ხელმოწერილი იყო ვინმე გრიგოლ სარჯველაძის მიერ. დანის ტარიც და პირიც სისხლში იყო ამოსვრილი.*

კ: *რა მდგომარეობაში იყო კონტეინერი, რაიმე დაზიანების ნიშნები ხომ არ ეტყობოდა?*

პ: *არა.*

კ: *როდესაც კონტეინერი აიღეთ, სად წაიღეთ ის?*

პ: *პოლიციის ლაბორატორიაში.*

კ: *და ლაბორატორიაში მისვლის შემდეგ რა გააკეთეთ?*

პ: *მე პლომბი ავხსენი და დანის ტარისა და პირის სხვადასხვა ადგილიდან სისხლის ნიმუშები ავიღე.*

კ: *თითოეული ნიმუში ცალ-ცალკე დაახარისხეთ?*

პ: *დიახ, ზუსტად აღვნიშნე, თუ თითოეული ნიმუში დანის რა ადგილიდან იყო აღებული. ისინი ასევე დავნომრე 1-დან 10-მდე, რათა ათივე აღებული ნიმუში მეკონტროლებინა.*

კ: *სად წაიღეთ დანა მას შემდეგ, რაც ნიმუშები აიღეთ?*

პ: *მე ის პოლიეთილენის ახალ კონტეინერში მოვათავსე, დავლუქე და პლომბზე ხელი მოვაწერე.*

კ: *სისხლის ნიმუშებზე რა სახის ანალიზები ჩაატარეთ?*

პ: *თითოეული ნიმუში იმის დასადგენად გავსინჯე, სისხლის ერთსა და იმავე ჯგუფს შეიცავდა თუ არა.*

კ: *და რა დაადგინეთ?*

პ: *დავადგინე, რომ დანაზე სისხლის ჯგუფის ორი სახეობა იყო. ერთი იყო „ო“ დადებითი, ხოლო მეორე კი „აბ“ დადებითი.*

კ: *ანალიზის დასრულების შემდეგ ნიმუში სად წაიღეთ?*

პ: *თითოეული ნიმუში ცალკე პოლიეთილენის პარკში მოვათავსე, დავლუქე და*

პლომბზე ხელი მოაწერე.

კ: თქვენი ანალიზების ჩატარების დასრულების შემდეგ დანა და სისხლის ნიმუშები სად წაიღეთ?

პ: დანა პოლიციის მთავარი სამმართველოს მაცივარში დავაბრუნე, ხოლო სისხლის ნიმუშები პოლიციის ლაბორატორიის მაცივრის ერთ-ერთ განყოფილებაში შევინახე.

ამ მოწმის ჩვენება ზემოთ ხსენებულ ჯაჭვს ასრულებს. მან დაადასტურა, რომ თან ჰქონდა პოლიციელის მიერ კონტეინერში მოთავსებული დანა და როდესაც მან პროცედურა დაასრულა, დანა ახალ კონტეინერში ჩადო, დალუქა და პლომბზე ხელი მოაწერა. სასამართლო სხდომაზე ექსპერტ-ქიმიკოსმა ჩვენება მისცა პლომბზე არსებული ხელმოწერის თაობაზე. მან ასევე დაადასტურა, რომ ანალიზი იმ სისხლზე ჩაატარა, რომლის ნიმუშებიც დალუქულ კონტეინერში მოთავსებული დანიდან იყო აღებული. სავარაუდოდ, მოგვიანებით მიცემული ჩვენება ასევე შეეხებოდა მის მიერ მომზადებულ ანგარიშს ჩატარებული ანალიზებისა და დაზარალებულისა და სავარაუდო მკვლელის სისხლის ჯგუფების შესახებ. თუ, მაგალითად, სხვა პირი სისხლზე დამატებით ანალიზებს ჩაატარებდა დნმ-ის მტკიცებულების მიღების მიზნით, ეს პირი ჩვენების მიცემისას აღნიშნავდა, რომ ნიმუშები ამოიღო დალუქული კონტეინერებიდან, რომელზეც ხელს თამარ ჩიხლაძე აწერდა.

საილუსტრაციო მტკიცებულებები

სასამართლო პროცესებზე ყველაზე ხშირად გამოყენებული საილუსტრაციო სახის მტკიცებულება არის ფოტოსურათი. ქვემოთ მოცემულია იმის მაგალითი, თუ როგორ ხდება ფოტოსურათის მტკიცებულებად დაშვება.

კ: ნაცნობია თუ არა თქვენთვის ტერიტორია ჭავჭავაძის გამზირზე, ატენისა და რამიშვილის ქუჩებს შორის?

პ: დიახ, ნაცნობია.

კ: ამ ტერიტორიაზე რამდენად ხშირად იმყოფებით ხოლმე?

პ: ამ კვარტალს ყოველდღე ფეხით გავდივარ, როდესაც სამსახურში მივდივარ და უკან ვბრუნდები.

კ: რამდენი ხანია, რაც ამას აკეთებთ?

პ: უკანასკნელი 4 წელი.

კ: იცით თუ არა, როგორ გამოიყურებოდა ეს კვარტალი 2010 წლის 14 ივლისს?

პ: დიახ.

მოწინააღმდეგე მხარისთვის ნივთმტკიცების ჩვენებისა და მოსამართლისგან მოწმესთან მიახლოების ნებართვის მოპოვების შემდეგ:

კ: მე ახლა ამოცნობის მიზნით გიჩვენებთ დაცვის ნივთმტკიცებას №2. თუ შეიძლება ნივთმტკიცება №2 შეისწავლეთ და როდესაც დაასრულებთ, მოსამართლეს მოახსენეთ, რა არის ის.

პ: *ეს არის ჭავჭავაძის გამზირის ტერიტორიის ფოტოსურათი ატენისა და რამიშვილის ქუჩებს შორის.*

კ: *ზუსტად და ობიექტურად ასახავს თუ არა ეს ფოტოსურათი იმას, თუ როგორ გამოიყურებოდა ეს ტერიტორია 2010 წლის 14 ივლისს?*

პ: *დიახ.*

კ: *მოვითხოვ მტკიცებულებად იქნეს დაშვებული დაცვის ნივთმტკიცება №2.*

თქვენ შენიშნავდით სხვადასხვა ნაბიჯს, რომლებიც ადვოკატმა განახორციელა. პირველ რიგში, მან დაადგინა მოწმის კომპეტენცია, რომ მას შეეძლო ფოტოსურათზე აღბეჭდილ ადგილთან დაკავშირებით ჩვენების მიცემა. როდესაც ადვოკატმა მოწმეს ნივთმტკიცება პირველად უჩვენა, მას ის უკვე სათანადოდ მონიშნული ჰქონდა საკუთარი ამოცნობისა და სასამართლო ჩანაწერების მიზნებისთვის. ამის შემდეგ მან მოწმეს სთხოვა დაედასტურებინა, რომ ფოტოსურათი ზუსტად და ობიექტურად ასახავდა ტერიტორიის მდგომარეობას კონკრეტული თარიღისთვის. მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ ითხოვა ადვოკატმა ნივთმტკიცების მტკიცებულებად დაშვება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნივთმტკიცებებთან დაკავშირებით პროკურორმა/ადვოკატმა, პირველ რიგში დასაშვებობისთვის საფუძველი უნდა მოამზადოს, სანამ ნივთმტკიცების რომელიმე კონკრეტულ ნაწილთან დაკავშირებით შეკითხვებს დასვამს, მაგალითად, თუ სად იდგა მოწმე. საფუძვლის მომზადების შემდეგ პროკურორმა/ადვოკატმა მართებულად იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე მტკიცებულების დასაშვებად ცნობის თაობაზე და ამის შემდეგ დაიწყო დაკითხვა.

ნახაზის შემთხვევაში პროცესი იგივე იქნებოდა. უცილებელი არ არის, რომ ნახაზის ან ფოტოსურათის ავტორი მოწმე იყოს. მთავარია, რომ ის ზუსტად და ობიექტურად ასახავდეს კონკრეტულ თარიღზე არსებულ ადგილს, სადაც და რა დროსაც დანაშაული იყო ჩადენილი.

აუდიო და ვიდეოჩანაწერები

ზოგიერთ საქმეში წარმოდგენილი იქნება აუდიოჩანაწერები, როგორიცაა ფარული ჩანაწერი (აუდიო ან ვიდეო), სატელეფონო ჩანაწერი და ა.შ. არსებობს გარკვეული ქმედებები ასეთი სახის ჩანაწერების მტკიცებულების სახით დასაშვებად. სხვა შემთხვევაში ისინი დაუშვებლად იქნება ცნობილი. პროკურორმა/ადვოკატმა, რომელიც ჩანაწერის მტკიცებულებად დაშვებას ითხოვს, უნდა დაადგინოს, რომ ჩაწერის დროს ჩამწერი მოწყობილობა გამართულად მუშაობდა, რომ მას კომპეტენტური პირი ამუშავებდა, რომ ის მთლიანი საუბრის განმავლობაში გამართულად მუშაობდა, რომ მოწმემ გაიგონა ან დაინახა ყველაფერი, რაც ფირზე აღიბეჭდა, შემდეგ ჩანაწერი შემოწმდა იმის დასადასტურებლად, რომ ყველაფერი ზუსტად და სრულად იყო ჩაწერილი, შემდეგ ფირი სათანადოდ ინახებოდა, რათა გამორიცხული ყოფილიყო რაიმეს დამატება, შეცვლა ან წაშლა, და რომ მოწმეს შეუძლია ჩანაწერში მოსაუბრე პიროვნებების ხმებისა და ვიდეოფირზე აღბეჭდილი პიროვნებებისა და მდებარეობის იდენტიფიცირება. ზოგიერთ შემთხვევაში ჩანაწერის ავთენტურობის დადგენას შესაძლოა ერთზე მეტი მოწმე დასჭირდეს.

სასამართლო სხდომაზე მთლიანი ჩანაწერის გაშვება აუცილებელი არ არის

იმ პირობით, რომ მოწინააღმდეგე მხარეს ჩანაწერის სრული ვერსია გადაეცა და მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები ინფორმირებულნი არიან იმის შესახებ, რომ სხდომაზე შემოკლებული ვერსია იქნება გაშვებული. ასეთ შემთხვევებში, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია ფირის ის ნაწილები გაუშვას, რომლებიც გამოტოვებული იყო და რომლებიც, მისი აზრით, სასარგებლოა და ჩანაწერს სათანადო კონტექსტში წარმოაჩენს.

ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, გამოსაყენებელი სწორი მეთოდის სადემონსტრაციოდ ერთი მოწმე იქნება გამოყენებული.

კ: ოფიცერო ზვიად ლომიძე, შეხვდით თუ არა ბრალდებულს 2010 წლის 20 დეკემბერს?

პ: *დიახ.*

კ: ეს შეხვედრა ხომ არ ჩაგიწერიათ?

პ: *დიახ.*

კ: რა სახის ჩამწერი მოწყობილობა გამოიყენეთ?

პ: *„სონი 327“ მინიატურული ჩამწერი.*

კ: ბრალდებულთან შეხვედრამდე თუ გამოგიყენებიათ ოდესმე ასეთი მოწყობილობა?

პ: *დიახ, ბევრჯერ.*

კ: ამ მოწყობილობასთან დაკავშირებით ინსტრუქტაჟი ხომ არ მიგიღიათ?

პ: *დიახ, პოლიციის ტექნიკურმა პერსონალმა გაკვეთილები ჩამიტარა.*

კ: შეხვედრამდე ხომ არ გაგისინჯავთ გამოყენებული მოწყობილობა?

პ: *დიახ, ეს სტანდარტული პროცედურაა.*

კ: ის გამართულად მუშაობდა?

პ: *დიახ.*

კ: შეხვედრამდე რამდენი ხნით ადრე გასინჯეთ მოწყობილობა?

პ: *ორი საათით ადრე.*

კ: ბრალდებულთან შეხვედრამდე თქვენ პირადად აამოქმედეთ მოწყობილობა?

პ: *დიახ.*

კ: შეხვედრამდე რამდენი ხნით ადრე?

პ: *დაახლოებით 5 წუთით ადრე, მანქანიდან გადმოსვლამდე.*

კ: შეხვედრის დროს სად იყო მოწყობილობა მოთავსებული?

პ: *მე ის წებოვანი ლენტით მივიმაგრე გულმკერდის დაახლოებით შუა ადგილას.*

კ: ამ ადგილას მიმაგრებული მოწყობილობა მანამდე გაგისინჯავთ ან გამოგიყენებიათ?

პ: *დიახ, და ის ყველა საუბარს იწერდა.*

კ: ბრალდებულთან შეხვედრისას, რაიმე დროს ხომ არ გამოგირთავთ მოწყობილობა?

პ: *არა.*

კ: შეხვედრის შემდეგ რამდენი ხნის გასვლის მერე გამორთეთ მოწყობილობა?

პ: *ხუთი წუთის მერე, მას შემდეგ რაც მანქანაში დავბრუნდი.*

კ: მოუსმინეთ ჩანაწერს მისი ჩაწერის შემდეგ?

პ: *დიახ.*

კ: რამდენი ხნის შემდეგ?

პ: დავბრუნდი თუ არა პოლიციის განყოფილებაში, დაახლოებით 45 წუთის შემდეგ.

კ: როდესაც ჩანაწერს მოუსმინეთ, ზუსტად და ობიექტურად ასახავდა ის ყველაფერს, რაც იმ შეხვედრაზე ითქვა?

პ: დიახ.

კ: ჩანაწერის მოსმენის შემდეგ რა გააკეთეთ?

პ: მე ის მტკიცებულებების სპეციალურ ჩანთაში მოვათავსე, დავლუქე და პლომბზე ხელი მოვაწერე.

კ: ამის შემდეგ ჩანაწერი ისევ ამოიღეთ?

პ: დიახ.

კ: როდის?

პ: დაახლოებით ერთი თვის უკან, როდესაც თქვენთვის და დაცვის მხარისთვის ასლები დავამზადე.

კ: როდესაც ჩანაწერს იღებდით, ის ისევ დალუქული იყო და პლომბზე თქვენი ხელმოწერა ისევ მითითებული იყო?

პ: დიახ.

კ: ჩემთვის და დაცვის მხარისთვის დამზადებული ასლები ზუსტი და სრული იყო?

პ: დიახ.

კ: ჩანაწერის ასლების დამზადების შემდეგ რა გააკეთეთ?

პ: მე ის მტკიცებულების ჩანთაში დავაბრუნე, დავლუქე და პლომბზე ხელი მოვაწერე.

მოწინააღმდეგე მხარისთვის ნივთმტკიცების ჩვენებისა და მოსამართლისგან მოწმესთან მიახლოების ნებართვის მოპოვების შემდეგ:

კ: მე ახლა ამოცნობის მიზნით გიჩვენებთ ბრალდების ნივთმტკიცებას №5, თუ იცით რა არის ეს?

პ: ეს არის მტკიცებულების ჩანთაში მოთავსებული ორიგინალი ჩანაწერი პლომბზე ჩემი ხელმოწერით.

კ: მოვითხოვ, მტკიცებულებად იქნეს დაშვებული ბრალდების ნივთმტკიცება №5.

მოსამართლე: *დაცვის მხარე პროტესტს ხომ არ გამოთქვამს?*

არ გაპროტესტებულა, მტკიცებულებად დაშვებულია.

კ: ახლა კი ამოცნობის მიზნით გიჩვენებთ ბრალდების ნივთმტკიცებას №5ა, თუ იცით რა არის ეს?

პ: ეს არის რედაქტირებული ჩანაწერი. ის არ შეიცავს ორიგინალის ნაწილებს, რომლის წაშლაც თქვენ დამავალეთ.

კ: თუ შეიძლება უთხარით მოსამართლეს, ორიგინალი ჩანაწერის რომელი ნაწილებია წაშლილი?

პ: თქვენ მითხარით, წამეშალა ორიგინალის 5 წუთი, სანამ ბრალდებულს შევხვდებოდი და 5 წუთი უკვე შეხვედრის შემდეგ. თქვენ ასევე მითხარით წამეშალა ის დრო, როდესაც ოთახი სააბაზანოში გასასვლელად დავტოვე. მე ასევე წავშალე ბრალ-

დებულსა და ჩემს შორის დაახლოებით 20 წუთის მანძილზე გამართული დისკუსია მადრიდის რეალსა და ბარსელონას შორის გასამართი საფეხბურთო მატჩის შესახებ.

კ: თუ შეიძლება გაუშვით ნივთმტკიცება №5ა. ხმა, რომელიც ახლა გვესმის და რომელმაც პირველმა თქვა გამარჯობა, ვის ეკუთვნის ის?

პ: ბრალდებულს.

კ: და მეორე ხმა, რომელმაც ასევე გამარჯობით უპასუხა?

პ: ეს ჩემი ხმაა.

კ: ჩანაწერში სხვა ხმებსაც ხომ არ მოვისმენთ?

პ: დიახ, დაახლოებით შუა ადგილას თქვენ გაიგონებთ, თუ როგორ შემოვიდა ბრალდებულის მეულლე ოთახში და გვკითხა, ჩაის ხომ არ ვისურვებდით. ეს ერთადერთი განსხვავებული ხმა იქნება.

შეამჩნევდით, რომ №5ა ნივთმტკიცების მტკიცებულებად დაშვება მოთხოვნილი არ ყოფილა. ეს არის შემთხვევა, როდესაც ნივთმტკიცება სასამართლო სხდომაზე დროის დასაზოგად მომზადდა. ის მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს თავიდან აშორებს არაფრისმომცემ ჩანაწერებს შეხვედრამდე 5 წუთით ადრე, მას შემდეგ და საფეხბურთო მატჩის შესახებ. პროკურორმა/ადვოკატმა რედაქტირებული ჩანაწერიც კი შეუწყვეტლივ არ უნდა გაუშვას. თუ ჩანაწერში არის ადგილები, სადაც მხარეები, მაგალითად, კოდურ სიტყვებს იყენებენ, როგორიცაა 20კ, რაც 20 კილოგრამ ჰეროინს გულისხმობს, ჩანაწერი შესაძლოა შეჩერდეს და მოწმე დაიკითხოს იმის შესახებ, თუ რა იგულისხმებოდა კოდურ სიტყვაში. გარდა ამასა, საუბრის გარკვეული ნაწილების ხაზგასასმელად პროკურორმა/ადვოკატმა შესაძლოა დასვას დამატებითი შეკითხვები, როგორიცაა „*რატომ თქვით ეს?*“, რათა მოწმეს დამატებით ათქმევინოს იმის შესახებ, თუ იმ კონკრეტულ მომენტში რა ხდებოდა. დაბოლოს, ეს ასევე კარგი გზაა საუბრის კონკრეტულ მნიშვნელოვან სეგმენტზე ყურადღების გასამახვილებლად.

ჩანაწერები

ეს არის დოკუმენტები, რომელთა მტკიცებულებებად დაშვებაც პროკურორს/ადვოკატს სურს, და რომლებზეც მნიშვნელოვანი ხელნაწერებია გაკეთებული. ამ სახის დოკუმენტის მტკიცებულებად დაშვების მაგალითი მოცემული იყო ქვეთავში მტკიცებულებისთვის საფუძვლების მომზადების შესახებ.

საბუთები

როგორც წესი, საბუთები, რომელთა მტკიცებულებად დაშვებასაც პროკურორი/ადვოკატი სასამართლო სხდომაზე შეეცდება, საქმიანი საბუთებია. აშშ-ში ასეთ საბუთებზე ირიბი ჩვენების წესი არ ვრცელდება იმდენად, რამდენადაც კომპანია ამ საბუთებს ჩვეული საქმიანობის რეჟიმში აწარმოებს. ამის ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ ეს საბუთები ყოველგვარი გაყალბების მიზნის გარეშე შეიქმნა. თუ პროკურორი/ადვოკატი ფიქრობს, რომ ისინი ყალბია, მას შეუძლია მოსამართლისგან მოწმის ჯვარედინად დაკითხვის ნებართვა ითხოვოს, სანამ მოსამართლე ამ მტკიცებულების დასაშვებობის თაობაზე განჩინებას გამოიტანს. მოწინააღმდეგე მხარესაც შეუძლია მოგვიანებით მოწმე იმის დასადგენად დაჰკითხოს, რომ საბუთები არ არის ზუსტი. ასეთი საბუთების მტკიცებულებად დასაშვებად აუცილებელია, რომ ვინმემ მისცეს

ჩვენება იმის თაობაზე, რომ ეს კომპანიის ოფიციალური საბუთებია. ეს პიროვნება მეთვალყურეობას უნდა ახორციელებდეს საბუთებზე, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ისინი მისი შედგენილი იყოს. მართლაც, დიდ კომპანიაში დოკუმენტებს სხვადასხვა ადამიანი ადგენს. მან მხოლოდ ის უნდა განაცხადოს, რომ საბუთები ნამდვილად კომპანიის საბუთებია. ეს შესაძლოა შემდეგი სახით გაკეთდეს:

კ: ბ-ნო კახაბერ ვაშაკიძე, ვინ არის თქვენი დამქირავებელი?

პ: „საქართველოს ელექტროკომპანია.“

კ: იქ რა თანამდებობაზე მუშაობთ?

პ: მე ვიცე-პრეზიდენტის მესამე თანაშემწე ვარ.

კ: ამ თანამდებობაზე ყოფნისას გევალებათ თუ არა კომპანიის საბუთებზე მეთვალყურეობა?

პ: დიახ.

მოწინააღმდეგე მხარისთვის ნივთმტკიცების ჩვენებისა და მოსამართლისგან მოწმესთან მიახლოების ნებართვის მოპოვების შემდეგ:

კ: მე ახლა ამოცნობის მიზნით გიჩვენებთ დაცვის ნივთმტკიცებას №2, თუ იცით ეს რა არის?

პ: დიახ, ეს არის „საქართველოს ელექტროკომპანიის“ ფინანსური ტრანსაქციების მაჩვენებელი საბუთები.

კ: რომელი წლებისთვის?

პ: 2009-2010.

კ: ასეთ საბუთებს „საქართველოს ელექტროკომპანია“ საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში ინახავს?

პ: დიახ.

კ: მოვითხოვ მტკიცებულებად იქნეს დაშვებული დაცვის ნივთმტკიცება №2.

შემაჯამებელი მტკიცებულებები

წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილული ნივთმტკიცებების ბოლო კატეგორია შემაჯამებელი მტკიცებულებებია. მტკიცებულებების ერთი დიდი ჯგუფიდან მტკიცებულებათა სათითაოდ წარდგენას დიდი დრო სჭირდება და ეს დამაბნეველი და მოსაბეზრებელია (მაგალითად, დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გზავნილები, რამდენიმე საბანკო ანგარიშზე დეპოზიტები და ანგარიშებიდან თანხების გატანა). ზოგადად, პროკურორი/ადვოკატი დაინტერესებული უნდა იყოს შეჯამებული მონაცემების და არა ინდივიდუალური ტრანსაქციების წარდგენით. მტკიცებულებათა შესახებ აშშ-ის ფედერალური წესების 1006-ე წესის თანახმად, ინდივიდუალური ტრანსაქციების შეჯამება დასაშვებია იმდენად, რამდენადაც მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლო სხდომამდე გადაეცა ძირითადი მონაცემები. რადგან შემაჯამებელი მტკიცებულება შესაძლოა ჯვარედინ დაკითხვას დაექვემდებაროს, მოსამართლეს გადაწყვეტილების მისაღებად მართებული საფუძველი აქვს. ქვემოთ მოცემულია იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა იყოს მტკიცებულებად დაშვებული

შემაჯამებელი მტკიცებულებები.

კ: *თუ შეიძლება ამოცნობის მიზნით შეხედეთ დაცვის ნივთმტკიცებას №8.*

პ: *დიახ.*

კ: *რა არის დაცვის ნივთმტკიცება №8?*

პ: *ეს არის „საქართველოს ეროვნულ ბანკში“ „საქართველოს ელექტროკომპანიის“ საბანკო ანგარიშიდან 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელებული დეპოზიტებისა და გატანების შეჯამებული მონაცემი.*

კ: *ეს ნივთმტკიცება თქვენ მოამზადეთ?*

პ: *დიახ, მე მოვამზადე.*

კ: *თუ შეიძლება აგვიხსენით, რა იყო თქვენი პირველი ნაბიჯი ამ ნივთმტკიცების მომზადებისას?*

პ: *მე „საქართველოს პირველი ეროვნული ბანკიდან“ მოვიპოვე „საქართველოს ელექტროკომპანიის“ ყველა საბანკო ამონაწერი 2010 კალენდარული წლისთვის. შემდეგ ამონაწერებიდან ამოვწიე კომპანიის ანგარიშზე განხორციელებული ყველა დეპოზიტი და გატანა.*

კ: *როგორც ვხედავთ, №8 ნივთმტკიცებაზე ორი სვეტია გამოსახული, ერთის სათაურია დეპოზიტები, ხოლო მეორის – გატანები და მარცხნივ მითითებულია თითოეული თვის მონაცემი. თუ შეიძლება აგვიხსენით, რას გულისხმობს ეს სვეტები და როგორ განსაზღვრეთ შიგ რა ციფრები ჩაგეწერათ?*

პ: *თითოეული თვის დეპოზიტები სათითაოდ დავაჯამე და შემდეგ ნივთმტკიცების შესაბამისი სვეტის შესაბამისი თვის გასწვრივ ჩავწერე. იგივე გავაკეთე გატანებთან დაკავშირებითაც. ცხრილის ბოლოს მოცემული ციფრები ზემოთ არსებული ინდივიდუალური თანხების უბრალოდ დაჯამებული ოდენობებია.*

კ: *მოვითხოვ დაშვებულ იქნეს მტკიცებულებად დაცვის ნივთმტკიცება №8.*

როგორც ხედავთ, ადვოკატმა მოწმეს აახსნევინა, თუ რაში მდგომარეობდა ნივთმტკიცების არსი. შემდეგ მოწმემ ისაუბრა იქ მოცემული მონაცემების საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადვოკატმა ცხრილის დასაშვებად ცნობისთვის საფუძველი მოამზადა, სანამ მის შესახებ რაიმე შეკითხვებს დასვამდა. მან ასევე მოწმეს მოათხრობინა ცხრილში მოცემული კატეგორიების შესახებ, რათა ეს მოსამართლისთვის შეკითხვების დასმის გარეშეც ნათელი ყოფილიყო. მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია პროტესტი მაშინ გამოთქვას, როდესაც ცხრილის დასაშვებ მტკიცებულებად ცნობას ითხოვენ. მას ასევე შეუძლია სასამართლოს სთხოვოს გადაწყვეტილების მოგვიანებით მიღება, მას შემდეგ,რაც ის მტკიცებულების წარმომდგენი მხარის მოწმის ჯვარედინ დაკითხვას შეძლებს. სასამართლო ხშირად რთავს ნებას მხარეს ამ ეტაპზე მსგავსი ჯვარედინი დაკითხვის ჩასატარებლად და არ იცდის იმ მომენტამდე, როდესაც მოწმე ნივთმტკიცების შესახებ ჩვენების მიცემას დაასრულებს. მოწინააღმდეგე მხარის პერსპექტივიდან ეს უკეთესი სტრატეგიაა, რადგან თუ ის იმის დემონსტრირებას შეძლებს, რომ ნივთმტკიცება არ არის სანდო, მაშინ ამ მტკიცებულებიდან არასასურველი ჩვენების მიღებასაც აღუდგება წინ.

ამ შემთხვევაში ცხრილი პირდაპირი ციფრების უბრალო დაჯამებას ეფუძნება. თუ ის ექსპერტიზას დაქვემდებარებულ სფეროს შეიცავდა, როგორიცაა, მაგალითად,

იმის დადგენა, თუ რა უნდა იყოს აქტივებად და რა პასივებად კლასიფიცირებული, მაშინ ბუღალტრული გამოცდილების მქონე პიროვნების ჩვენების მიცემის საჭიროება დადგებოდა. ამასთან, მოწმეს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი კვალიფიკაციისა და უფლებამოსილების დადასტურება დასჭირდებოდა, სანამ იმას შეეხებოდა, თუ როგორ და რა პრინციპებზე დაყრდნობით დაამზადა ცხრილი.

დაუშვებელი მტკიცებულებები

არსებობს გარკვეული შემთხვევები, როდესაც პროკურორი/ადვოკატი გამოიყენებს ნივთმტკიცებას, რომლის დასაშვებ მტკიცებულებად ცნობის შესახებ მოთხოვნა არ არის აუცილებელი. ეს შესაძლოა იყოს ცხრილი ან დიაგრამა, რომელსაც მხარე შესავალი ან დასკვნითი სიტყვის დროს გამოიყენებს. მაგალითად, მან შესაძლოა მოვლენათა ქრონოლოგია წარმოადგინოს, რათა მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს იმის უკეთ აღქმაში დაეხმაროს, თუ გარკვეულ მოვლენებს როდის ჰქონდა ადგილი და მათი ყურადღებაც შესაბამისად ამ მოვლენაზე შეაჩეროს. ეს შესაძლოა იყოს დიაგრამა კრიმინალური საწარმოს შესახებ, სადაც ნაჩვენები იქნება ძირითად მოთამაშეთა სახელები და ბრძანებათა გაცემის იერარქია. ეს შესაძლოა იყოს გრაფიკული გამოხატულება, ფოტოსურათი, ან თქვენი უსაზღვრო ფანტაზიის ნაყოფი. თუ ეს ნივთმტკიცებები კარგად არის მომზადებული, მხარის აზრით, მნიშვნელოვანი საკითხები მოსამართლის/ნაფიცი მსაჯულების თვალში შესაძლოა საკმაოდ დამაჯერებლად გამოჩნდეს. ცხადია, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ცხრილები ან დიაგრამები ზუსტად იყოს შედგენილი, რამეთუ არაზუსტმა ნივთმტკიცებამ პროკურორის/ადვოკატის დამაჯერებლობა შესაძლოა სერიოზულად დააზიანოს. ამ გაფრთხილების გათვალისწინებით, პროკურორები/ადვოკატები შემოქმედებითად უნდა მიუდგნენ ნივთმტკიცებების შექმნას და მათ იმაზე უნდა იფიქრონ, თუ რომელი ნივთმტკიცებების გამოყენებაა შესაძლებელი სასამართლო პროცესისათვის მომზადების ეტაპზე.

პირდაპირი დაკითხვა[48]

პროკურორი/ადვოკატი ფაქტებს საკუთარი პერსპექტივიდან გადმოსცემს და შემდეგ ამ ფაქტებს თავის დასკვნით სიტყვაში კანონს შეუხამებს იმ მიზნით, რომ მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები გაიგებენ, მიიღებენ და დაიხსომებენ მოწმეთა ჩვენებებს.

პირდაპირი დაკითხვა სასამართლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტადიაა. პირდაპირი დაკითხვის დროს ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს არა პროკურორი/ადვოკატი, არამედ – მოწმე. პროკურორმა/ადვოკატმა მისი მოწმის პირდაპირი დაკითხვა ისე უნდა ჩაატაროს, რომ მოსამართლის/ნაფიცი მსაჯულების ყურადღება მოწმეზე იყოს მიპყრობილი. გახსოვდეთ, რომ მტკიცებულებები მოდის არა პროკურორისაგან/ადვოკატისაგან, არამედ მოწმეებისგან. ამასთან, თქვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები ყურადღებით უსმენენ ყველაფერს, რასაც თქვენი მოწმე ამბობს. თქვენს მოწმეს დაუჯერებენ და მის ჩვენებას დაიმახსოვრებენ არა იმიტომ, თუ როგორი ბრწყინვალე გამოსვლა გქონდათ თქვენ, არამედ მისი პასუხების ხასიათისა და შინაარსიდან გამომდინარე. სწორედ ამიტომ უნდა დახარჯოთ დრო სასამართლო პროცესზე თითოეული მოწმის მოსამზადებლად.

შემადგენელი ელემენტები

მოწმის პირდაპირი დაკითხვა გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალო შეკითხვა „*თუ შეიძლება მოახსენეთ მოსამართლეს, რა მოხდა 2010 წლის 14 ივლისის ღამეს.*“ თქვენ, როგორც პროკურორმა/ადვოკატმა უნდა გადაწყვიტოთ, თუ მოწმის ჩვენების რომელი ნაწილია მნიშვნელოვანი და რომელ ნაწილზე გსურთ ყურადღების გამახვილება. პროკურორმა/ადვოკატმა საკუთარი თავი მწერლად უნდა წარმოიდგინოს, და თუ როგორ შეუძლია მას, მიაწოდოს ამბავი მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს საუკეთესო გზით, რათა მათ შეძლონ იგრძნონ და დაინახონ, თუ რა მოხდა სინამდვილეში.

ეფექტურ პირდაპირ დაკითხვას აქვს გარკვეული ასპექტები, რომლებიც ყველა მოწმისთვის ერთია. კერძოდ:

შეინარჩუნეთ სიმარტივე

რეალურად ეს არის საკითხი, რომელიც თქვენ ყველა პრეზენტაციის დროს უნდა გაითვალისწინოთ. მოწმემ ბევრი რამ იცის, მაგრამ მნიშვნელოვანი მხოლოდ რამდენიმე მათგანია. მოწმის ჩვენებაში ყურადღება მნიშვნელოვან საკითხებზე უნდა გაამახვილოთ და ნაკლებად მნიშვნელოვანი გამოტოვოთ. თუ მოწმეს ყველაფერს ათქმევინებთ, რაც იცის, მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს შესაძლოა მობეზრდეთ ან შეიძლება ისინი სულაც დაიბნენ იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის მნიშვნელოვანი. მაგალითად, თაღლითობის შესახებ საქმეში, სავარაუდოდ, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება იმას, თუ ერთ-ერთ ადამიანს თეთრი პერანგი ეცვა თუ ლურჯი, ან მზიანი დღე იყო თუ წვიმდა. ეს ეხება თარიღესა და დროს, ზოგი მნიშვნელოვანია და ზოგი

[48] მომზადებულია დენიელ ლინჰარდტის მიერ „ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ საქართველოს ოფისისათვის. რედაქტირება და თარგმანი განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ.

– უმნიშვნელო. ასე რომ, მხოლოდ იმ საკითხებზე მოახდინეთ კონცენტრაცია, რაც მნიშვნელოვანია. ეს ჩვენებას ნაკლებად დამაბნეველს და უფრო ეფექტურს გახდის. არავის სურს უსმინოს ჩვენებას, რომელიც დაუსრულებლად გრძელდებოდა, რადგან მსმენელი ფიქრობს „ნეტავ როდის გადავა მნიშვნელოვან საკითხზე.“ ზოგადად, ადამიანის ყურადღება 15-30 წუთის შემდეგ იფანტება. მოწმის მომზადებისას უნდა შეძლოთ უსარგებლო მასალის გაცხრილვა და თქვენი შეკითხვების ისე ფორმულირება, რომ მხოლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყოს გადმოცემული.

მოწმის ჩვენების ორგანიზება

ზოგადად, სასურველია, თუ მოწმეებს მოვლენათა ქრონოლოგიური რიგის თანახმად დაჰკითხავთ. მოწმის ჩვენების დროსაც მოვლენები ზოგადად ქრონოლოგიური თანმიმდევრობით უნდა იყოს გადმოცემული, რადგან ადამიანთა უმრავლესობა ასე აზროვნებს და მოსამართლისათვისაც/ნაფიცი მსაჯულებისთვისაც ჩვენების გაგება და დამახსოვრება ასე გაცილებით ადვილია.

მოწმის მიერ ჩვენების მიცემისას ყველაზე მიღებული და ლოგიკური თანმიმდევრობა შემდეგია:

მოწმის პირადი მონაცემები

სხვაგვარად რომ ვთქვათ, რატომ არის ამ პიროვნების ჩვენება მნიშვნელოვანი? მოწმის პირადი მონაცემების წარდგენა სწრაფად უნდა მოხდეს. მაგალითად, მოწმის მიერ თავისი სახელის წარმოთქმისთანავე უნდა იყოს გაცხადებული, რომ იგი იმ დღეს რუსთაველის გამზირისა და ბესიკის ქუჩის კუთხეში იმყოფებოდა, როდესაც იმავე ადგილას ბანკი გაიძარცვა. აღსანიშნავია, რომ იმ მოწმესთან მიმართებაში, რომელიც მხოლოდ იმას ჰყვება, თუ რა დაინახა, სრულიად უმნიშვნელოა ისეთი საკითხების განხილვა, როგორიცაა დაოჯახებულია თუ არა ის, ჰყავს თუ არა შვილები და როგორია მათი მოსწრება სკოლაში. თუ მოწმე არის ექსპერტი, მაშინ მის კვალიფიკაციას უნდა გაესვას ხაზი. ექსპერტი მოწმის შემთხვევაში მის სწავლასა და გამოცდილებასაც უნდა შეეხოთ.

რეალურად, მოწმის წარდგენა მოწმის ტრიბუნასთან მის გამოცხადებამდე იწყება. იმის მიხედვით, თუ პიროვნება როგორ გამოიყურება, ადამიანებს მის შესახებ პირველი შთაბეჭდილებები მის მიერ პირველი სიტყვების წარმოთქმამდე ექმნებათ. თუ მოწმე სასამართლო დარბაზში ბინძური ტანსაცმლით შემოდის, თითქოს სულ ახლახან ადგა საწოლიდან, იგი ვერ იქნება ისეთივე დამაჯერებელი, როგორც სხვა, ვინც უკეთ გამოიყურება. მოწმე და ბრალდებული მათი პროფესიების შესაფერისად უნდა იყვნენ ჩაცმული. ბიზნესმენი შარვალ-კოსტიუმსა და ჰალსტუხში უნდა გამოცხადდეს. ამავე დროს, თუ ავტომექანიკოსს იმავე ტანსაცმელში გამოაწყობთ, ნათელი იქნება, რომ ეს სპეციალურად გააკეთეთ და ამით მოწმეს დისკრედიტაციას გაუწევთ. ავტომექანიკოსი სუფთა შარვალსა და პერანგში უნდა გამოცხადდეს. არ ენდოთ მოწმეს ან ბრალდებულს, რომ ისინი სათანადოდ ჩაცმული გამოცხადდებიან, თუ მხოლოდ ეტყვით: „სათანადოდ ჩაიცვით“; უთხარით, თუ რა ჩაიცვან.

აღწერეთ დანაშაულის ჩადენის ადგილი

სად იყო მოწმე, როდესაც იმას აკვირდებოდა, რის შესახებაც ჩვენებაში საუბრობს? მოწმემაც უნდა აღწეროს დანაშაულის ჩადენის ადგილი, დეტალებში ჩაღრმავების გარეშე, როგორიცაა ზუსტი მანძილი, დრო და ა.შ. ეს საკითხები ჯვარედინ დაკითხვაზე წამოიწევა, ხოლო პირდაპირი დაკითხვისას მხოლოდ ამბის გადმოცემას შეაფერხებს. ზოგიერთი პროკურორი/ადვოკატი ფოტოს ან სხვა ნივთმტკიცებებს იყენებს, რათა დანაშაულის ჩადენის ადგილი აღწეროს, მაშინ, როდესაც სხვებს მიაჩნიათ, რომ ამით ყურადღება იფანტება და ხსენებული მეთოდის გამოყენება ჩვენების ბოლოსკენ ჯობს, რადგან ის მოწმის ჩვენებას ავჯამებს. დანაშაულის ჩადენის ადგილის აღწერის მიზანია მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს მიეწოდოთ ადგილმდებარეობის სურათი, სანამ ჩვენების მოქმედების შესახებ ნაწილზე გადახვალთ. თუ ისეთ ნივთებს გამოიყენებთ, როგორიც არის ფოტო, სქემა, ნახაზი უზრუნველყავით, რომ მოწმემ თავად აღწეროს ისინი. მაგალითად, როდესაც იგი ადგილს აღწერს, თქვენ შეგიძლიათ მოწმეს სთხოვოთ ფოტოზე, სქემაზე, ნახაზზე ეს ადგილი გაჩვენოთ. ამით ნივთმტკიცება გაცილებით გასაგები, დამაჯერებელი და საინტერესო იქნება.

მოქმედება

მოქმედება მოწმის ჩვენების უმთავრესი ნაწილია. მაგალითად, მას შემდეგ, რაც მოწმის ადგილმდებარეობა დაადგინეთ დანაშაულის ჩადენის ადგილზე, შეგიძლიათ დაკითხვა განაგრძოთ შემდეგნაირად:

კ: *თქვენ თქვით, რომ 14 ივლისს ათ საათზე რუსთაველის გამზირისა და ბესიკის ქუჩის კუთხეში იყავით. რაიმე ხომ არ მოხდა იმ დღეს, რამაც თქვენი ყურადღება მიიპყრო?*

პ: *დიახ.*

კ: *რა იყო პირველი, რასაც ყურადღება მიაქციეთ?*

პ: *მე იარაღიდან სროლის ხმა გავიგონე.*

კ: *მიიხედეთ თუ არა იქითკენ, საიდანაც სროლის ხმა ისმოდა?*

პ: *დიახ, ხმა ბანკიდან მოდიოდა.*

კ: *და რა დაინახეთ?*

პ: *დავინახე, თუ როგორ მორბოდა ბანკიდან ორი მამაკაცი იარაღით ხელში.*

დაკითხვის ტემპის რეგულირებით პროკურორს/ადვოკატს შეუძლია მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს აგრძნობინოს, თუ რა ხდებოდა რეალურად. ეს ასევე მოწმის ჩვენების ის სეგმენტია, რომელზეც პროკურორმა/ადვოკატმა ყურადღება უნდა გაამახვილოს. უმნიშვნელოვანესი გარემოება, ანუ მოწმის მიერ ბანკის მძარცველების დანახვა, შესაძლოა სულ რამდენიმე წამი გრძელდებოდა, მაგრამ პროკურორმა/ადვოკატმა ეს სიტუაცია კონტროლის ქვეშ, შენელებულ მოქმედებაში უნდა წარმოაჩინოს. პროკურორმა/ადვოკატმა მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს უნდა მიაწოდოს თითოეული დეტალი და ხაზი გაუსვას მათ მნიშვნელობას საქმისათვის. ამის შემდეგ პროკურორმა/ადვოკატმა უნდა დასვას კითხვები თითოეული ბრალდებულის აღწერის მიზნით, იმის

შესახებ, აგრძელებდნენ თუ არა ისინი სროლას (თუ ასე იყო), რა მიმართულებით მირბოდნენ, ჩასხდნენ თუ არა მანქანაში და მოძრაობდა თუ არა ეს მანქანა რუსთაველის გამზირზე გადაჭარბებული სიჩქარით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროკურორმა/ადვოკატმა მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს უნდა დაანახოს, თუ რა მოხდა. ამ ტექნიკის ეფექტურად წარმოჩენისთვის აუცილებელია, რომ მოწმის სასამართლო პროცესისთვის მომზადებისას მას ხაზგასმით განვუმარტოთ, რომ კითხვებს უსმინოს და მხოლოდ იმას უპასუხოს, რის შესახებაც ეკითხებიან.

ისაუბრეთ მარტივი ენით

ეს გაფრთხილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ტარდება. თქვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ მათ გაიგონ თქვენი შეკითხვები და მოწმის პასუხები. ზოგიერთ პროკურორს/ადვოკატს და მოწმეს ჰგონია, რომ ისინი უბრალო და პირდაპირი სიტყვების ნაცვლად დიდი, რთული სიტყვების ან ფრაზების გამოყენებით ადამიანებზე შთაბეჭდილებას ახდენენ. ეს არ არის მართალი და მეტიც, ეს მსმენელს ყურადღებას აკარგვინებს. პროკურორმა/ადვოკატმა თავის მოწმეებს მათი მომზადების დროს უნდა მიუთითოს, რომ მათ მარტივი ენით ისაუბრონ და თავი შეიკავონ იურიდიული ჟარგონისაგან ან ტექნიკური ტერმინოლოგიისგან, თუ ამის საჭიროება არ დგას. თუ მოწმემ უნდა გამოიყენოს ტექნიკური ტერმინები, რათა, მაგალითად, მეცნიერული ექსპერიმენტის შედეგები აღწეროს, დარწმუნდით, რომ ტერმინების განმარტება მათი გამოყენებისთანავე მოხდეს. არც ერთ მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულს არ სურს უხერხულად იგრძნოს თავი იმის გამო, რომ არ ესმის თუ რაზე საუბრობს მოწმე, და ეს მათ აღიზიანებს. მეტიც, პროკურორი/ადვოკატი ჩვენებით ვერაფერს დაამტკიცებს, თუ მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს არაფერი ესმით. ქვემოთ მოცემულია მაგალითები იმისა, თუ რა უნდა გავაკეთოთ და რა – არა.

ცუდია. „გისარგებლიათ თუ არა შემთხვევით, რათა მასთან გესაუბრათ?“
კარგია. „ოდესმე გისაუბრიათ მასთან?“
ცუდია. „რამდენი ხანია, რაც ასეთი საქმიანობით ხართ დაკავებული?“
კარგია. „რამდენი ხანია, რაც ავტომექანიკოსი ბრძანდებით?“
ცუდია, როგორც პასუხი. „მე ჩემი მანქანის გამოსასვლელით ვისარგებლე და შემდეგ ბრალდებულს მივუახლოვდი.“
კარგია. „ჩემი მანქანიდან გადმოვედი და ბრალდებულთან მივედი.“
ცუდია. „არა ბრალდებულმა, არამედ მერაბმა მოახდინა ანგარიშის დამატებით დებეტირება.“
კარგია. „არა ბრალდებულმა, არამედ მერაბმა გამოიტანა ფული სპეციალური ანგარიშიდან.“

ღია დაბოლოების შეკითხვების გამოყენება

ქართული და ამერიკული სამართლის თანახმად, მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა მოწმეთა პირდაპირი დაკითხვის დროს დაუშვებელია. შეკითხვა მიმანიშნებელია,

როდესაც კითხვა კონკრეტულ პასუხს მოიცავს. მაგალითად, *„მართალია თუ არა, რომ ბანკის ერთ-ერთი მძარცველი 175 სმ. სიმაღლის იყო?“* ან *„ბანკი, რომლიდანაც ისინი გამორბოდნენ, საქართველოს ბანკი იყო, მართალია?“* პირდაპირ დაკითხვაზე ეს შეკითხვები ასე უნდა დასმულიყო: *„რა სიმაღლის იყვნენ ბანკის მძარცველები?“* და *„რომელი ბანკიდან გამორბოდნენ ისინი?“* მეორე მაგალითად მოცემული შეკითხვა დასაშვებია, თუ მოწმემ უკვე განაცხადა, რომ მან დაინახა ბანკიდან გამოქცეული მძარცველები. თუ შეკითხვაში იმას შეეხებით, რაზეც მოწმემ უკვე ჩვენების მიცემისას ისაუბრა, ეს მიმანიშნებელ კომპონენტად არ ჩაითვლება. მართლაც, უმჯობესია, თუ მოწმეს შემდეგ შეკითხვას მიცემული ჩვენების გათვალისწინებით დავუსვამთ და არა უბრალოდ მუდმივად ჰკითხავთ: *„და შემდგომ რა მოხდა?“* ეს შეკითხვა დასაშვებია, თუ მას ძალიან ხშირად არ გამოიყენებთ. მისი მუდმივად გამოყენება ჩვენებას მოსაბეზრებელს ხდის. მოწმის მიერ უკვე მიცემულ ჩვენებაზე მომდევნო შეკითხვების აგება მართლაც კარგი ტექნიკაა, რადგან ეს იმის გამეორების შესაძლებლობას გაძლევთ, რაც განსაკუთრებით სასარგებლოა თქვენთვის. მაგალითად, *„თქვენ თქვით, რომ ბანკის მძარცველები თავის მანქანაში ჩასხდნენ და ისეთი სისწრაფით გაქანდნენ, რომ ქუჩაში კინაღამ ორ მოხუც ქალბატონს დაეჯახნენ. რომელი მიმართულებით მოძრაობდნენ ისინი?“* შეკითხვის პირველ ნაწილში თქვენ მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს შეახსენეთ, რომ ბანკის მძარცველები კინაღამ ორ მოხუც ქალბატონს დაეჯახნენ.

მიეცით მოწმეს ახსნის შესაძლებლობა

თუ მოწმე იტყვის რაიმეს, რაც გაუგებარია, ან გამოიყენებს ტერმინს, რომლის მნიშვნელობაც, თქვენი აზრით, მოსამართლემ/ნაფიცმა მსაჯულებმა შესაძლოა არ იცოდნენ, თქვენ მას პასუხი უნდა აახსნევინოთ. ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ მოწმეს არ შერცხვეს ან ისე არ გამოჩნდეს, თითქოს მან არ იცოდა რაზე საუბრობდა, რათა მისი დამაჯერებლობა ეჭვქვეშ არ დადგეს. მაგალითად, დამაბნეველი პასუხის შემდეგ შეგიძლიათ იკითხოთ: *„უკაცრავად, პასუხის ეს ნაწილი ვერ გავიგე, თუ შეიძლება ამიხსენით.“* ან, ტექნიკური ტერმინის გამოყენების შემთხვევაში, *„თქვენ გამოიყენეთ აბრევიატურა „დნმ“, რა იგულისხმება მასში?“* მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები მადლიერნი იქნებიან იმისათვის, რომ ნებისმიერი გაუგებრობა აღმოიფხვრას და ტექნიკური ტერმინი განიმარტოს.

გამოიყენეთ ნივთიერი მტკიცებულებები ფაქტების შეჯამების მიზნით

ზოგიერთ ფაქტზე მუშაობისას პროკურორმა/ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს ნივთიერი მტკიცებულებების, მათ შორის, ცხრილების, სქემების ნახაზების გამოყენება. ეს განსაკუთრებით ეხება შემთხვევებს, როდესაც საქმეში დიდი რაოდენობის სახელები ან ციფრები ფიგურირებს, რაც შესაძლოა დამაბნეველი და მოსაბეზრებელი. ანალოგიურად, დანაშაულის ჩადენის ადგილის აღწერისას უფრო მიღებულია დიაგრამის გამოყენება, რომელზეც მითითებული იქნება სხვადასხვა ადგილი. აღნიშნული ნივთმტკიცებების გამოყენება მოწმის ამბავს გაცილებით აღქმადს გახდის.

ჩვენს მაგალითზე, დიაგრამაზე ასახული უნდა იყოს ქუჩა, რომელზეც ბანკი იყო განთავსებული, ადგილი, სადაც მოწმე იდგა, მიმართულება, საითკენაც მძარცველები გაიქცნენ და ა.შ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნივთიერი მტკიცებულებების, ცხრილებისა და დიაგრამების გამოყენებისას მოწმემ უნდა ახსნას, თუ რა კავშირი აქვს მოცემულ ნივთმტკიცებასთან. კერძოდ, მოწმემ ამ ნივთმტკიცების გამოყენებით უნდა მიუთითოს ფაქტებზე და ახსნას დეტალები საქმის ირგვლივ.

დიდ ციფრებთან ურთიერთობისას, მაგალითად, თაღლითობის საქმეზე, გამოიყენეთ ნივთმტკიცება, რომელიც სხვადასხვა საკითხს ავჯამს, როგორიცაა ანგარიშიდან თანხის გატანა ან თანხის შეტანა. ასეთი სახის საქმეებში ზოგადად მნიშვნელოვანია დავჯამებული თანხები და არა ინდივიდუალური შენატანები ან გატანები. ეს მეთოდი მოსამართლისათვის/ნაფიცი მსაჯულებისათვის აღსაქმელად უფრო ადვილია.

მოუსმინეთ პასუხებს

სახელმძღვანელოს ავტორი არაერთხელ შესწრებია პროცესზე შემთხვევას, როდესაც პროკურორი/ადვოკატი კითხვებს უსვამს მოწმეს წინასწარ მომზადებული თანმიმდევრობით. ამ დროს, პროკურორი/ადვოკატი არ აქცევს ყურადღებას, რომ მოწმის პასუხი ის არ არის, რასაც იგი მოელოდა, და რომ საჭიროა დამატებითი შეკითხვები მოწმის პასუხის ასახსნელად. ქვემოთ მოცემულია რეალური მაგალითი, თუ რა შეიძლება მოხდეს, როდესაც ადვოკატი მოწმის პასუხებს არ უსმენს.

კითხვა: რამდენი შვილი გყავთ?

პასუხი: სამი.

კითხვა: აქედან ბიჭი რამდენია?

პასუხი: არც ერთი.

კითხვა: გოგოები გყავთ?

დაბოლოს, დაკითხვის დროს მოწმესთან დაამყარეთ ვიზუალური კონტაქტი. ეს მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს დაანახვებს, რომ თქვენ გაინტერესებთ პასუხები და ეს ინტერესი მათაც გადაეცემათ. ეს ასევე ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოწმე უბრალოდ წინასწარ მომზადებული სცენარის მიხედვით არ მოქმედებს.

მოამზადეთ მოწმე (ები)

მართალია, მოწმის მომზადების ზოგიერთი საკითხი უკვე მიმოვიხილეთ, მაგალითად, როგორიც არის მოწმის ჩაცმულობა. თუმცა, არსებობს მოწმის მომზადების კიდევ სხვა ასპექტები, რომლებსაც უნდა შევეხოთ.

ბევრი მოწმე სასამართლო დარბაზში არასოდეს ყოფილა და ამიტომ ისინი გარკვეულწილად, შეშინებულნი არიან. პროკურორმა/ადვოკატმა მოწმეს უნდა აუხსნას მის გამოსვლასთან დაკავშირებული პროცედურა. უნდა დაიწყოთ იმით, თუ სად უნდა მივიდეს მოწმე; სად უნდა მოიცადოს, სანამ ჩვენების მისაცემად გამოიძახებენ და რა მოხდება მას შემდეგ, რაც იგი სასამართლო დარბაზში შევა. ამაში იგულისხმება ისიც, თუ სად დგას მოწმის ტრიბუნა, როდის ხდება ფიცის მიცემა და ა.შ. აც-

ნობეთ მოწმეს, რომ მას შემდეგ, რაც კითხვების დასმას დაამთავრებთ, მას ჯვარედინი წესით დაჰკითხავენ. აუხსენით, რა არის ჯვარედინი დაკითხვა და თქვენი აზრით, რომელია მოსალოდნელი კითხვები, რომელთაც მას დაუსვამენ ჯვარედინი დაკითხვის ეტაპზე. მოწმემ ასევე უნდა იცოდეს, რომ არაფერია ცუდი იმაში, თუ სასამართლო პროცესამდე იგი პროკურორს/ადვოკატს შეხვდება მის ჩვენებასთან დაკავშირებით, და რომ თუ მას ჯვარედინ დაკითხვაზე ასეთი შეხვედრის თაობაზე შეეკითხებიან, მან ის უნდა აღიაროს.

გარკვეული სასარგებლო მინიშნებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქცეოდეს მოწმე. ეს გულისხმობს არა იმას, თუ რა უნდა თქვას მან, არამედ იმას, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი მოწმის ტრიბუნასთან. ამ მინიშნებების მიზანია, რომ მოწმემ სასამართლო დარბაზში თავი გაცილებით კომფორტულად იგრძნოს და ზუსტად გადმოგვცეს ის ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილია განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. წარმოგიდგენთ სასარგებლო მინიშნების რამდენიმე მაგალითს:

1. თქვით სიმართლე, ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პასუხი უხერხულია თქვენთვის ან მხარისთვის, რომელმაც მოწმედ გამოგიძახათ, მაინც სიმართლე უნდა თქვათ.

2. თუ შეკითხვას ვერ გაიგებთ, მიუხედავად იმისა, თუ ვინ დასვა ის (მოსამართლემ, პროკურორმა, ადვოკატმა), აუცილებლად გაამეორებინეთ.

3. თუ შეკითხვას ვერ გაიგებთ, მიუხედავად იმისა, თუ ვინ დასვა ის (მოსამართლემ, პროკურორმა, ადვოკატმა), აუცილებლად აახსნევინეთ. ამ გაფრთხილებების ერთერთი მიზეზი ის არის, რომ თუ მოწმე ორჭოფობს იმის შესახებ, თუ რას ეხებოდა შეკითხვა, იგი შეიძლება შეცდეს. შემდგომ ისე ჩანს, თითქოს მოწმემ შეკითხვას თავი აარიდა, მაშინ როდესაც მან შეკითხვა უბრალოდ ვერ გაიგო.

4. თუ დაგისვეს შეკითხვა, რომლის შემდეგ მხარეებმა ერთმანეთში იკამათეს (რომელიმე მხარემ დააყენა პროტესტი) და ამ კამათის გამო დაგავიწყდათ შეკითხვის არსი, აუცილებლად გაამეორებინეთ.

5. არ იმარჩიელოთ! თუ პასუხი არ გაქვთ, უბრალოდ თქვით „არ ვიცი“.

6. თუ რაიმე ინფორმაცია დაგავიწყდათ, უბრალოდ თქვით, რომ დაგავიწყდათ. ნებისმიერ ადამიანს შეიძლება დაავიწყდეს რაღაც, რაც ოდესღაც იცოდა.

7. ყოველთვის იყავით ზრდილობიანი და პატივისცემით გამსჭვალული ყველას, მათ შორის მეორე მხარის მიმართ.

8. უსმინეთ, თუ რას გეკითხებიან და უპასუხეთ მხოლოდ იმაზე, რასაც გეკითხებიან; ნებაყოფლობით არ გასცეთ ის ინფორმაცია, რასაც არ გეკითხებიან.

9. ჯვარედინ დაკითხვაზე მზად იყავით, რათა პროკურორს/ადვოკატს არ დაეთანხმოთ. თუ ის, რასაც იგი ამბობს, მცდარია, თქვით ამის შესახებ და გაეცით მართალი ინფორმაცია, მხოლოდ ეცადეთ, ეს ზრდილობიანი ფორმით გააკეთოთ.

10. შეკითხვას თავი არ აარიდოთ ან არ ეცადოთ მას არ უპასუხოთ. მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები სავარაუდოდ დაუშვებენ, რომ მართალი პასუხი კიდევ უფრო უარესია, ვიდრე ის რეალურად არის.

11. თუ რაიმე უხერხულის შესახებ გეკითხებიან, კითხვაზე მაინც პირდაპირ უნდა უპასუხოთ. თუ ამას არ იზამთ, პროკურორი/ადვოკატი გააგრძელებს იმავე საკითხზე კითხვების დასმას და გამოჩნდება, რომ თქვენ არა მხოლოდ თავს არიდებთ პასუხის

გაცემას, არამედ ამ საკითხს აზვიადებთ და მას კიდევ უფრო უხერხულს ხდით.

12. თუ გაჩვენებენ დოკუმენტს, რომელიც ბოლო დროს ან მანამდე არ გინახავთ, დაუთმეთ დრო მის წაკითხვას, სანამ მის შესახებ კითხვებს უპასუხებთ. თქვენ გაქვთ ამის უფლება. თუ პროკურორი/ადვოკატი გეკითხებათ დოკუმენტის/ნაწილის შესახებ, რომელსაც ვერ იხსენებთ დოკუმენტების/დოკუმენტის წაკითხვის შემდეგ, სთხოვეთ მიგითითოთ კონკრეტულ დოკუმენტზე ან დოკუმენტის ნაწილზე, რომელზეც კითხვას გისვამთ.

13. თქვენ არ ხართ ვალდებული დაეთანხმოთ დოკუმენტის მხარისეულ ინტერპრეტაციას. თუ არ ეთანხმებით, თქვით, რომ თქვენ მას ასე არ განმარტავთ და თქვით, თუ რას გულისხმობს, თქვენი აზრით, კონკრეტული დოკუმენტი.

14. თუ გესაჭიროებათ დოკუმენტის ნახვა, რათა მისი შინაარსი გაიხსენოთ, მოითხოვეთ ის. არავის აქვს იმის მოლოდინი, რომ ყოველ დოკუმენტს ზეპირად შეისწავლით.

15. თუ მე ან ჩემი მოწინააღმდეგე მხარე კითხვას გავაპროტესტებთ, არ უპასუხოთ მას მანამ, სანამ მოსამართლე საკითხს არ გადაწყვეტს. თუ მოსამართლე პროტესტს დააკმაყოფილებს, არ უპასუხოთ კითხვას, მიუხედავად იმისა, ის მე დავსვი თუ მოწინააღმდეგე მხარემ. თუ მოსამართლე პროტესტს არ დააკმაყოფილებს, კითხვას უნდა უპასუხოთ.

16. კითხვაზე პასუხის გაცემისას დახმარებისთვის მოსამართლეს ან მე ნუ მოგვმართავთ.

17. თუ გკითხეს, განიხილეთ თუ არა პროკურორთან/ადვოკატთან ერთად სასამართლო პროცესამდე თქვენი ჩვენება, დადებითად უპასუხეთ – რომ თქვენ საქმეში არსებული ფაქტები განიხილეთ და გითხრეს ყოველთვის სიმართლე გეთქვათ.

18. როდესაც ჩვენების მიცემის შემდეგ მოწმის ტრიბუნას დატოვებთ, იყავით თავდაჯერებული და არა გულდამძიმებული.

19. დაბოლოს, პროკურორმა/ადვოკატმა უნდა ჰკითხოს მოწმეს, შეიძლება თუ არა სასამართლო პროცესზე თავი იჩინოს რაიმემ, რაც უხერხული იქნება მოწმისთვის ან მხარის პოზიციისთვის. თუ ასეთი რამ არსებობს, პროკურორს/ადვოკატს შეუძლია ამის შესახებ მოწმეს პირდაპირ დაკითხვაზე შეეკითხოს და მოწმეს მისცეს შესაძლებლობა, რათა პოტენციურად უხერხული ინფორმაცია ახსნას.

ზემოთ მოცემული სია არ არის ამომწურავი. მეტ გამოცდილებასთან ერთად პროკურორი/ადვოკატი დაინახავს სხვა პრობლემებს, რომლებსაც შესაძლოა მოწმეები წააწყდნენ. თუ ერთ მოწმეს აქვს რაიმე პრობლემა, არსებობს დიდი ალბათობა, რომ მომავალში სხვა მოწმეც იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს. ეს სია არის უბრალოდ საშუალება, რათა მოწმეებთან დაკავშირებულ მომავალ პრობლემებს წარსული გამოცდილების საფუძველზე გავუმკლავდეთ.

სასამართლო პროცესამდე პროკურორმა/ადვოკატმა თითოეულ მოწმესთან ერთად უნდა განიხილოს, თუ რა იქნება მისი ჩვენების არსებითი ნაწილი. პროკურორმა/ადვოკატმა უნდა გადახედოს მოწმის მიერ მანამდე გაკეთებულ ყველა განცხადებას და ჰკითხოს მოწმეს, არსებობს თუ არა კიდევ რაიმე ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილია. პროკურორმა/ადვოკატმა უნდა გაიაროს მოწმესთან ყველა კითხვა, რომელსაც იგი პროცესზე დასვამს, რათა ნახოს, არის თუ არა პასუხები ისეთი, რასაც იგი

ელოდა. უჩვეულო არ არის, რომ მოწმემ ვერ გაიგოს პროკურორის/ადვოკატის მიერ დასმული შეკითხვა. მოწმის მომზადება სწორედ ის ეტაპია, როდესაც ეს საკითხი უნდა გაირკვეს. კითხვა ისე უნდა იყოს ხელახლა ფორმულირებული, რომ სასამართლო პროცესზე მოწმემ გაიგოს, თუ რა ინფორმაციის მიღებას ელის პროკურორი/ ადვოკატი.

საქმეში არსებული სუსტი მხარის აღიარება

თუ მოწმემ იცის ისეთი რამ, ან წარსულში ადგილი ჰქონდა ისეთ მოვლენას, რამაც შესაძლოა მოწმის დამაჯერებლობა დააზიანოს, ეს იმ მხარემ უნდა გამოააშკარაოს, რომელიც მოწმის პირდაპირ დაკითხვას ატარებს. ეს მოწმის პრობლემას სასურველი სახით წარმოაჩენს და იმ შთაბეჭდილებას აქარწყლებს, თითქოს პროკურორი/ ადვოკატი რაიმეს დამალვას ცდილობს. საქმეში არსებული სუსტი მხარის გამოაშკარავება პროკურორისთვის/ადვოკატისთვის სტრატეგიული საკითხია. მან უნდა განსაზღვროს, წამოსწევს თუ არა მოწინააღმდეგე მხარე ამ ფაქტს ჯვარედინი დაკითხვის დროს. პროკურორმა/ადვოკატმა უნდა შეაფასოს სისუსტის გამოაშკარავების რისკი იმასთან მიმართებაში, რაც მოწინააღმდეგე მხარემ არ იცის, ან რაც შესაძლოა ჯვარედინი დაკითხვის დროს გამოაშკარავდეს. ქვემოთ მოცემულია პოტენციურ პრობლემებთან გამკლავების ორი მაგალითი:

კითხვა: *ფოტოების დათვალიერების დროს თქვენ ამოიცანით ბრალდებული ფოტოზე?*

პასუხი: *არა.*

კითხვა: *რატომ, არა?*

პასუხი: *როგორც ჩანს, ჩემ მიერ ნანახი ფოტოს შემდეგ იგი საგრძნობლად გასუქდა.*

ან

კითხვა: *ბ-ნო დავით, მიიჩქაროდით თუ არა რუსთაველის გამზირზე 14 ივლისს, დაახლოებით 10 საათზე?*

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: *რატომ?*

პასუხი: *ექიმთან ვიზიტზე მაგვიანდებოდა.*

თუ გადაწყვიტავთ საქმეში არსებული სუსტი მხარის აღიარებას, ეს უნდა გააკეთოთ მოწმის ჩვენების შუაში, რაც ნაკლებ შთაბეჭდილებას ტოვებს მოსამართლეზე/ ნაფიც მსაჯულებზე, ვიდრე მათი გამოაშკარავება ჩვენების დასაწყისში ან დასასრულს.

დასკვნა

მოწმის პირდაპირი დაკითხვა უნდა დასრულდეს შთამბეჭდავად. მაგალითად, თუ მოწმე ბრალდებულია, მაშინ ბოლო კითხვა უნდა იყოს:

კითხვა: დაბოლოს, ბ-ნო დავით, თქვენ გაძარცვეთ ბანკი, რის ჩადენაშიც ბრალი გედებათ?

პასუხი: *არავითარ შემთხვევაში!*

ან

კითხვა: დაბოლოს, ქ-ნო მოწმევ, სრულიად დარწმუნებული ხართ, რომ ვინც თქვენ 2010 წლის 14 ივლისს დაინახეთ ბანკიდან გაქცეული იარაღით ხელში, ბრალდებული იყო?

პასუხი: *დიახ, დარწმუნებული ვარ.*

მნიშვნელოვანი საკითხები ექსპერტის მოწმედ მოწვევის თაობაზე[49]

საკანონმდებლო ბაზა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლით, ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა, ასევე თუ სხეულს ან ინფორმაციის შემცველ ობიექტს აჩნევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, ნიშანი ან თავისებურება, რომლის სწორად გაგება და აღქმა სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია, ტარდება ექსპერტიზა“. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დადგენილებაში და დაცვის მხარის მიმართვაში აღინიშნება ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები, საექსპერტო დაწესებულების დასახელება ან იმ პირის გვარი, რომელსაც დაევალა ექსპერტიზის ჩატარება“.

ექსპერტის პირდაპირი დაკითხვა

პირდაპირი დაკითხვა შეიძლება და უნდა იყოს ისეთივე შთამბეჭდავი, როგორც სასამართლო პროცესის სხვა შემადგენელი ნაწილები. ნაფიცი მსაჯულების ყურადღების შესანარჩუნებლად თქვენ პირდაპირ უნდა გადახვიდეთ ძირითად საკითხებზე და მიუთითოთ ექსპერტის ყველაზე რელევანტურ კვალიფიკაციებზე. ექსპერტის დასკვნის შესახებ ყველა კითხვა წინასწარ უნდა განისაზღვროს და ექსპერტის გამოცდილება და ექსპერტიზა აღინიშნოს სათანადო ფორმით.

ექსპერტის დასკვნები დამაჯერებლად უნდა აიხსნას და ამ დასკვნების საფუძვლები განიმარტოს ნათლად და მარტივად, გასაგები ფორმით. თუკი შესაძლებელია, გრაფიკები, დიაგრამები და სხვა დამხმარე სადემონტრაციო საშუალებები უნდა იყოს გამოყენებული პრეზენტაციების უფრო საინტერესოდ წარმოსადგენად. განსაკუთრებით სასარგებლო იქნება, თუ ჩვენების ბოლოს, გარკვეული სახის შემაჯამებელი გრაფიკი იქნება გამოყენებული ნაფიცი მსაჯულებისთვის ექსპერტის დასკვნების შესახსენებლად.

---

[49] მოცემული მასალა გამოყენებულია სესილ კუჰნე III-ს (Cecil C. Kuhne III) სახელმძღვანელოდან „პროცესის მონაწილეთა სახელმძღვანელო ექსპერტი მოწმეების თაობაზე“, ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლება, 2006. ეს მასალები გამოყენებულია ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლებებისა და გარიგებების განყოფილების ნებართვით, მისამართი: copyright@abanet.org. იგი შეიქმნა პირველწყაროს რედაქტირებისა და გადამუშავების შედეგად, ქართულ კანონმდებლობასთან და პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და ქართულად თარგმანისთვის ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA ROLI) მიერ და ეს ცვლილებები არ ასახავს პირველწყაროს ავტორის, სესილ კუჰნე III-ის და არც ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოსაზრებებს. წინამდებარე მასალა მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკებისა და სამართალდამცავი ორგანოების საკითხთა ბიუროს (INL) დაფინანსებით.

ექსპერტის პირდაპირ დაკითხვას, რა თქმა უნდა, აქვს ფაქტების დამდგენის თქვენი კლიენტის სასარგებლოდ დარწმუნების მიზანი. მაგრამ ამ მიზნის ქვეშ თქვენ ყოველთვის უნდა მოიაზრებდეთ კონკრეტული ექსპერტის მხრიდან თქვენთვის ჩვენების მიცემის მოთხოვნას მტკიცებულების შესაქმნელად.

თუკი სამეცნიერო, ტექნიკური და სხვა სპეციალიზებული ცოდნა დაეხმარება ფაქტების შემფასებელს მტკიცებულების გაგებაში ან ფაქტების განსაზღვრაში, ექსპერტად კვალიფიცირებულმა მოწმემ, ცოდნის, უნარების, გამოცდილების, მომზადების ან განათლების საფუძველზე, შეიძლება ჩვენება მისცეს დასკვნის ან სხვა სახით, თუ (1) ჩვენება სათანადო ფაქტებსა და მონაცემებს ემყარება, (2) ჩვენება სარწმუნო პრინციპებისა და მეთოდების შედეგია და (3) მოწმემ გამოიყენა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისი პრინციპები და მეთოდები.

აუცილებელია, რომ ექსპერტს ჰქონდეს დასკვნის მისაღებად საჭირო ადეკვატური საფუძვლები, რომლის შესახებაც მან ჩვენება უნდა მისცეს. სამეცნიერო ჩვენებისთვის, ეს შესაძლოა მოიცავდეს იმის დადასტურებას, რომ ექსპერტი ფლობს ადეკვატურ ცოდნას კონკრეტულ სფეროში ან განახორციელა კვლევა ამ სფეროში.

არასამეცნიერო ჩვენებისთვის თქვენ უნდა მოახდინოთ იმის დემონსტრირება, რომ ექსპერტს აქვს საკმარისი გამოცდილება ან კონკრეტული საკითხის საკმარისი ცოდნა.

ექსპერტმა თავისი დასკვნა უნდა მოამზადოს შესწავლილი ფაქტების ან მონაცემების საფუძველზე. მაშინაც კი, როდესაც ექსპერტს აქვს შესაბამისი ცოდნა ან გამოცდილება მისი ჩვენების საგანთან დაკავშირებით, მან ასევე უნდა გამოიყენოს სანდო მეთოდოლოგია ამ დასკვნის მისაღებად. ექსპერტის დასკვნები უნდა იყოს პროცესისა და დამხმარე ფაქტორების გონივრული შედეგი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შესაძლოა ყოველთვის არ იყოს საჭირო, პირდაპირმა დამკითხავმა ექსპერტისგან უნდა მოიპოვოს ყველა ის ფაქტი, რომლებიც საფუძვლად უდევს ექსპერტის დასკვნას. ჯვარედინ დამკითხავზეა ასევე მოწინააღმდეგე მხარის დასკვნაში პრობლემებისა და წინააღმდეგობების აღმოჩენის ტვირთი.

თქვენი ექსპერტის მომზადება პირდაპირი დაკითხვისთვის

მოწმე ექსპერტებმა უნდა გააცნობიერონ, მიუხედავად იმისა, რომ მხარისათვის სასარგებლო ჩვენება სასურველია, მათ არ უნდა შეითავსონ ადვოკატის როლი. გამოკვეთილად მიკერძოებული ჩვენება მალე კარგავს თავის ეფექტს და ძალიან სუსტი ხდება ჯვარედინი დაკითხვის შემთხვევაში.

თავიდანვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს თუ რა განსხვავებები არსებობს თქვენს ექსპერტსა და ოპონენტს შორის და თუ ასეთი არსებობს, დააკომპენსიროთ ის კვალიფიკაციებით. თქვესა და თქვენი ოპონენტის ექსპერტებს შორის ნებისმიერი განსხვავება, იქნება ეს ტიტულში, მიდგომებსა და სტილში, უნდა აღნიშნოთ. თუ თქვენმა ექპსერტმა აირჩია მეთოდოლოგია, რომელიც სხვა ექსპერტს არ აქვს და შემდეგ მიუთითა ამაზე. დარწმუნდით, რომ თქვენი ექსპერტი მაქსიმალურად გამომხატველობითია, იყენებს საინტერესო გრაფიკებს და საუბრობს ჩვეულებრივი სასაუბრო ლექსიკით.

ჩვენების შინაარსი

თქვენი ექსპერტის პირდაპირი დაკითხვის მოსამზადებლად რამდენიმე მომენტი უნდა გაითვალისწინოთ:

– თქვენ ექსპერტს აუცილებლად უნდა გააცნოთ მისი დაკითხვის გეგმა, რათა მან იცოდეს, თუ რა საკითხებს მოიცავს, რა ფაქტები დადგინდება და რა სიგნალებს გამოიყენებთ ჩვენების მიმართულების სამართავად.

– ექსპერტი უნდა დაიკითხოს იმიტირებულ გარემოში იმავე სტილით, რასაც ის გამოიყენებს სასამართლოში. კითხვები უნდა დალაგდეს იმავე თანმიმდევრობით, როგორც წარმოდგენილი იქნება სასამართლო განხილვისას, მაგრამ უნდა გადმოიცეს სხვაგვარი ტექსტით, ისე რომ საუბარს სპონტანური სახე ჰქონდეს.

– ექსპერტს უნდა შეეძლოს ახსნას და განმარტოს ნებისმიერი ტექნიკური ტერმინი, რომელსაც გამოიყენებს სასამართლოში. ეს ცნებები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ ლექსიკონებსა და სხვა მითითებით მასალებს.

– თქვენ უნდა განიხილოთ ექსპერტის თეორიები დეტალურად და წარმოადგინოთ ყოველი კუთხით. ექსპერტის თეორიები არ უნდა იყოს მხოლოდ სიცოცხლისუნარიანი, არამედ შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებზე თავისი გულწრფელობითა და ერთიანი მიდგომით.

– თქვენ უნდა მოამზადოთ ექსპერტი, რათა მან შეძლოს მის კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

– თქვენ ასევე უნდა განუმარტოთ ექსპერტს, რამდენად დეტალური უნდა იყოს მისი პასუხები.

– ნებისმიერი რეალური და სადემონსტრაციო მტკიცებულებები დეტალურად უნდა იქნეს განხილული, ასევე ის კითხვებიც, რომლებიც თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ დასადასტურებლად.

გადმოცემის სტილი

ექსპერტს ეფექტურად უნდა ჰქონდეს კონტაქტი მოსამართლესთან და ნაფიც მსაჯულებთან. წარმოგიდგენთ რამდენიმე რჩევას.

ექსპერტი:

– უნდა წარმოდგეს სტენდთან კომფორტულად და არა გაშეშებული;

– ფრთხილად უნდა იყოს, რომ არ გამოვიდეს მფარველის როლში;

– უნდა ეცადოს, ისაუბროს პირდაპირ, ნათელი და მარტივი ტერმინებით;

– უნდა ეცადოს იყოს პოზიტიური და მტკიცე, მაგრამ არა ზედმეტად თავდაჯერებული;

– უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ქცევა, ნერვიული მანერების გარეშე;

– უნდა ჩაიცვას აკურატულად და სიტუაციის შესაფერისად;

– უნდა მიმართოს მოსამართლეს და ნაფიც მსაჯულებს და საკმარისად ხმამაღლა იმისთვის, რომ მათ გაიგონ ნათქვამი.

თქვენი ექსპერტის პირდაპირი დაკითხვა

კვალიფიკაციის დამტკიცება

თქვენი ექსპერტის კვალიფიკაციის დამტკიცების ორი ძირითადი სტრატეგია არსებობს — ტრადიციული მიდგომა და კუმულატიური მიდგომა.

ტრადიციული მიდგომა

ტრადიციული მიდგომა ითვალისწინებს ისეთი ჩვენების წარმოდგენას, რომელიც აღწერს ყველა დიპლომს, სერტიფიკატს, ლიცენზიას, პუბლიკაციას, პროფესიულ წევრობასა და საკვალიფიკაციო გამოცდილებას, რომელიც ექსპერტს ოდესმე მიუღია. თავიდანვე კვალიფიკაციების ჩამოთვლის ეს მეთოდი ყველაზე უსაფრთხოა და, როგორც წესი, უნდა გამოიყენოთ, თუკი ექსპერტის კვალიფიკაციის გასაჩივრების რეალური შანსი არსებობს.

როდესაც ირჩევთ ტრადიციულ სტრატეგიას ან ამას სასამართლო მოითხოვს, სასამართლოს დისკრეციაშია დაგრთოთ ნება, წაიკითხოთ ბიოგრაფია და შემდეგ უშუალოდ ექსპერტთან დააზუსტოთ არის თუ არა რელევანტური კვალიფიკაციები. ამ ტექნიკის საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ ნაფიცი მსაჯულების ყურადღება შეიძლება გაიფანტოს. ნაფიცმა მსაჯულებმა შესაძლოა მარტივად დაივიწყონ კონკრეტული კვალიფიკაციები, რომლებიც ექსპერტის დასკვნების მთავარი საფუძველია.

პრაქტიკული მინიშნება

ექსპერტის განათლების შესახებ დეტალების წარმოდგენისას, იკითხეთ „ზუსტად ასახავს ეს თქვენ განათლებასა და კვალიფიკაციას?“ მას შემდეგ რაც მოწმე დაგეთანხმებათ, თქვენ შეგიძლიათ განაგრძოთ შემდეგი ფრაზით, „მოდით, ახლა გადავიდეთ თქვენს სამუშაო გამოცდილებაზე“.

შემდეგ წაიკითხეთ ექსპერტის სამუშაო გამოცდილების აღწერა, მათ შორის ფუნქციები და მოვალეობები კონკრეტული პოზიციისთვის და დაასრულეთ შემდეგი კითხვით, „ჩემ მიერ წაკითხული ნუსხა დეტალურად ასახავს თუ არა თქვენს პროფესიულ გამოცდილებას?“

თქვენ შემდეგ შეგიძლიათ განაგრძოთ იმავე სტილში სხვადასხვა კატეგორიის გამოცდილებასთან მიმართებით, რომელსაც ეფუძნება ექსპერტის კვალიფიკაცია. თითოეული კატეგორიის წარმოდგენის შემდეგ მოწმის ჩართვა არღვევს მთელი ავტობიოგრაფიის კითხვის მონოტონურობას.

ამ მიდგომის კიდევ ერთი უპირატესობაა ის, რომ თქვენ ზრდით ექსპერტის ჩვენების ზეგავლენას იმის განსაზღვრით, რომ ექსპერტი კვალიფიცირდება კონკრეტულ საკითხებზე დასკვნის მომზადებაში.

კუმულატიური მიდგომა

კუმულატიური მიდგომა მოიცავს ექსპერტის კვალიფიკაციების თავდაპირველ მიმოხილვას, რომელიც შემდეგ ივსება დამატებითი დეტალებით, რადგანაც ჩვენება ვითარდება ძირითად საკითხთან დაკავშირებით. მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები აფასებენ ამ მიდგომას, რადგანაც ამით იზოგება დრო და ამასთან, შენარჩუნებულია

ინტერესი. ავტობიოგრაფიის კითხვის მონოტონურობა შესაძლოა შემცირდეს კვალიფიკაციის სხვადასხვა კატეგორიის წაკითხვით და მოწმისგან გარკვეული ჩართვების წარმართვით.

კუმულატიური მიდგომის სტრატეგიაა, თავიდან აცილებულ იქნეს გრძელი, გაწელილი გამოსვლა ექსპერტის კვალიფიკაციის დეტალებთან დაკავშირებით და ნაცვლად ამისა, ექსპერტის კონკრეტულ დასკვნასთან დაკავშირებით მტკიცებულებები იქნეს წარმოდგენილი. ეს სტრატეგია უფრო დამაჯერებელია, რადგანაც ექსპერტის კვალიფიკაცია კონკრეტულ საკითხთან მიმართებით დგინდება ამა თუ იმ საკითხზე კონკრეტული დასკვნის წარმოდგენამდე.

ექსპერტის კვალიფიკაციების ჩამოთვლა

დროის დაზოგვის მიზნით, ადვოკატები ხშირად უბრალოდ განმარტავენ, რომ მოწინააღმდეგე ექსპერტი კვალიფიციურია. მაგრამ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი იშვიათად იღებს ასეთ განცხადებას, რადგანაც რაც უფრო მეტ ინფორმაციას იღებენ ნაფიცი მსაჯულები ექსპერტის კვალიფიკაციაზე, მით მეტად დამაჯერებელი ხდება მათი ჩვენება.

თქვენ მომზადებული უნდა იყოთ იმისთვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოთ დროის დაზოგვის ამ სტრატეგიას. გთავაზობთ პასუხს, ,,ვაფასებ რა ადვოკატის მხრიდან ჩემი ექსპერტის აღიარებას, ვთვლი, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა მეტი უნდა გაიგონ ჩვენი ექსპერტის კვალიფიკაციაზე, რათა სათანადოდ შეაფასონ დასკვნის სანდოობა. მაგრამ ვიცი თუ რამდენად მნიშვნელოვანია დროის დაზოგვა, მოკლედ მოგახსენებთ".

ექსპერტის ძირითადი კვალიფიკაციის შეჯამებები შეიძლება წაუკითხოთ ნაფიც მსაჯულებს ნაცვლად ავტობიოგრაფიასთან დაკავშირებული ძირითადი კითხვებისა. თქვენ ასევე შეგიძლიათ ექსპერტის მხრიდან მოკლე ჩართვები უზრუნველყოთ მოწმის კვალიფიკაციის ყოველი კატეგორიის წაკითხვის შემდეგ.

მოკლედ გადმოცემა

როგორც წესი, პირდაპირი დაკითხვის საუკეთესო სტრატეგიაა საკითხზე სწრაფი გადასვლა. ექსპერტის კვალიფიკაციის დადგენის შემდეგ თქვენ უნდა განაგრძოთ კითხვებით იმის წარმოსაჩენად, თუ რატომ მოიწვიეთ ეს ექსპერტი.

კ: ექიმო სმიტ, განიხილავთ თქვენს თავს პათოლოგიის ექსპერტად?

პ: დიახ, ასეა.

კ: ჩვენ გვინდა თქვენი დასკვნა მოვისმინოთ ამ საქმესთან დაკავშირებით. მოგვაწვდით თქვენ დასკვნას გონივრული სამედიცინო ალბათობით?

პ: რა თქმა უნდა.

კ: სანამ თქვენ დასკვნაზე გადავალთ. მსურს, მოკლედ გესაუბროთ თქვენი განათლებისა და მომზადების თაობაზე. ხომ მოგვაწოდეთ თქვენი ავტობიოგრაფია, ეს ასეა?

ეცადეთ თქვენი გამოსვლა იყოს მოკლე, ნათელი და სწრაფი, იმის გამოტოვების გარეშე, რაც შესაძლოა გამოდგეს ექსპერტის დასკვნის საფუძვლების განსამარტად. მოკლედ გადმოცემა აუცილებელია, რადგანაც თქვენმა ექსპერტმა გავლენა უნდა მოახდინოს და თქვენ არ უნდა გსურდეთ ამ გავლენის შემცირება ზედმეტი დეტალების

მიწოდებით. ზედმეტობა შესაძლოა მოსაწყენი იყოს ნაფიცი მსაჯულებისთვის და წამოჭრას საკითხები, რომლებიც არ იქნება ხელმისაწვდომი ჯვარედინი დაკითხვისას. უფრო მეტიც, სხვა დეტალები, რომლებსაც ემყარება თქვენი ექსპერტის დასკვნები, უფრო შთამბეჭდავი იქნება ჯვარედინი დაკითხვისას კითხვებზე პასუხის სახით.

დასკვნასთან დაკავშირებული კითხვების კონტროლითა და ჩართვებით თქვენ ნაკლებად განაპირობებთ პროტესტს იმასთან დაკავშირებით, რომ მართავთ მოწმეს. უფრო მეტიც, მომდევნო კითხვები კითხვებისა და პასუხების ეტაპს წარმოადგენს ნაკლებად რეპეტიციის ფორმით.

თავმდაბლობა

ექსპერტის მხრიდან მცირე თავმდაბლობა კვალიფიკაციების აღწერისას კარგად მოქმედებს ნაფიც მსაჯულებზე:

კ: თქვენ სიკვდილის მიზეზების დამდგენი ექსპერტი ხართ?

პ: რადგანაც ცოტა არ იყოს ზედმეტობაა ვთქვა აქ და აცხადებდე, რომ ექსპერტი ხარ, ნება მიბოძეთ განვიმარტოთ, თუ რას ვგულისხმობ ექსპერტში. ვგულისხმობ ადამიანს სპეციალური გამოცდილებითა და ცოდნით. როგორც აღვნიშნე, მედიცინის დოქტორი ვარ. სპეციალური მომზადება გავიარე საექსპერტო პათოლოგიაში და ამ სფეროში ვმუშაობ ოც წელზე მეტია. ჩავატარე ორი ათასზე მეტი ავტოფსია სიკვდილის მიზეზებისა და ფორმის დასადგენად და გამოვაქვეყნე 16 პუბლიკაცია, რომლებიც დაიბეჭდა სამეცნიერო ჟურნალებში სამი სახელმძღვანელოს დამატების სახით. ამ გავებით ექსპერტი გახლავართ.

კ: თქვენ სისხლის კომპონენტების ექსპერტი ხართ?

პ: რადგანაც ცოტა არ იყოს ზედმეტობაა ვთქვა აქ და აცხადებდე, რომ ექსპერტი ხარ, ნება მიბოძეთ გითხრათ, თუ რას ვგულისხმობ ექსპერტში. მე ვგულისხმობ ადამიანს სპეციალური გამოცდილებითა და ცოდნით.

როგორც აღვნიშნე, ვმონაწილეობდი კლინიკურ განხილვებში, რასაც მოჰყვა მთავრობის მხრიდან სისხლის კომპონენტების დამტკიცება. ამ თვალსაზრისით მე ექსპერტი ვარ.

თუ თქვენ საუბრობთ ადამიანზე, ვინც მუშაობს ლაბორატორიაში და საცდელ ჭურჭელთან, მე ნამდვილად არ გახლავართ ეს ადამიანი.

ნაფიცი მსაჯულების განათლება

ექსპერტის ერთ-ერთი უდიდესი წვლილი ნაფიცი მსაჯულების ინფორმირებაში მდგომარეობს. რაც უფრო მეტი კონკრეტიკა შეაქვს ექსპერტს საკითხთან დაკავშირებით, მით უფრო დამაჯერებელი ხდება ის:

კ: ხომ ვერ განუმარტავდით ნაფიც მსაჯულებს: რა არის პათოლოგია?

პ: პათოლოგია დაავადების კვლევაა. ის, როგორც წესი, ორ ვრცელ კატეგორიად იყოფა. ანატომიური პათოლოგია, რომელიც მოიცავს ავტოფსიის პათოლოგიასა და ქირურგიულ პათოლოგიას. და ასევე ციტოპათოლოგია, რომელიც უჯრედის დეტალებს შეისწავლის.

კ: შესაძლებელია ბატონი ჰოლდერსის კორონალური არტერიის სლაიდების ხილვა?

პ: დიახ.

კ: გვაქვს სასამართლო დარბაზში მიკროსკოპი?

პ: დიახ, გვაქვს.

კ: განგვიმარტეთ, რას ვხედავთ ამ სლაიდებზე. კომპლექსური საკითხის განხილვისას ანალოგიები საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია.

კ: აღწერეთ რისგან შედგება სისხლის კოლტი.

პ: კოლტის ორი ძირითადი კომპონენტი არსებობს. ტრომბოციტები ინდივიდუალური შემადგენელი ნაწილებია და შეიძლება აღიწეროს როგორც აგურები აგურის კედელში. სისხლის კოლტის თხევადი ნაწილი, რომელიც შედგება ქიმიური ნივთიერებებისგან, ბადისგან. ეს იქნება, როგორც აგურების დუღაბი. ის თავდაპირველად სითხეა, მაგრამ შემდეგ მყარდება და ქმნის დუღაბს, რომელსაც ფიბრინი ეწოდება.

კ: შეგიძიათ განუმარტოთ ნაფიც მსაჯულებს, რა არის საექსპერტო პათოლოგია?

პ: საექსპერტო პათოლოგია პათოლოგიის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც სიკვდილის გამომწვევ მიზეზებს იკვლევს გვამების შესწავლით. ავტოფსიას ატარებს ექსპერტ-პათოლოგი სახელმწიფოს ან ოჯახის მოთხოვნით, როგორც წესი, სისხლის სამართლის საქმეებზე და ზოგიერთ სამართლებრივ სისტემებში სამოქალაქო სამართლის საქმეებზეც. ექსპერტ-პათოლოგებს სთხოვენ ასევე გვამის იდენტიფიცირებას.

*სიტყვა საექსპერტო (*Forensics*) მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან ფორენსის, რაც ფორუმს ნიშნავს.*

კ: რა არის საექსპერტო პათოლოგი?

პ: ექსპერტ-პათოლოგი მედიცინის დოქტორია, რომელმაც მომზადება გაიარა ანატომიურ პათოლოგიაში და სპეციალიზაცია – საექსპერტო პათოლოგიაში.

„სრულად კვალიფიციური“, ექსპერტ-პათოლოგისთვის არსებული მოთხოვნები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ექსპერტ-პათოლოგი, როგორც წესი, ატარებს ავტოპსიას/სიკვდილის შემდგომ გამოკვლევას სიკვდილის მიზეზების დასადგენად. ავტოპსიის შესახებ ანგარიში მოიცავს დასკვნებს შემდეგ საკითხებზე: პათოლოგიური პროცესი, დაზიანება ან დაავადება, რომელიც პირდაპირ იწვევს ან პროვოცირებას უწევს მთელ რიგ მოვლენებს, რაც თავის მხრივ სიკვდილს განაპირობებს (ასევე სიკვდილის მექანიზმად წოდებული), როგორიცაა ტყვიით მიყენებული ჭრილობა თავში, სისხლდენა დარტყმითი ჭრილობის შედეგად, კორონარული არტერიის ავადმყოფობით გამოწვეული მიოკარდიული ინფარქტი და სხვა) და სიკვდილის ფორმა, სიკვდილთან დაკავშირებული გარემოებები, რომლებიც სამართლებრივ სისტემათა უმრავლესობაში შემდეგია:

- მკვლელობა;
- სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით;
- ბუნებრივი სიკვდილი;
- თვითმკვლელობა;
- აფეთქება.

ავტოფსია ასევე სიკვდილით გამოწვეული სხვა საკითხების გარკვევის საშუალებაა, როგორიცაა კვალის მტკიცებულებების შეგროვება ან დაავადებულის იდენტობის დადგენა. იკვლევს და დოკუმენტურად აფიქსირებს ჭრილობებს და დაზიანებებს, ავტოფსიისას და კლინიკურ პირობებში გამოკვლევისას. აგროვებს და მიკროსკოპულად იკვლევს ქსოვილის ნიმუშებს (ჰისტოლოგია) ბუნებრივი დაავადების არსებობის ან

არარსებობის დასადგენად და სხვა მიკროსკოპიული აღმოჩენებისთვის, როგორიცაა აზბესტური სხეულები ფილტვებში ან ასაფეთქებელი ნივთიერების კვალი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის ირგვლივ.

აგროვებს და განმარტავს სხეულის ქსოვილებისა და ფლუიდების ტოქსიკოლოგიურ ანალიზს შემთხვევით დოზის გადამეტების ან განზრახი მოწამვლის ქიმიური მიზეზების დასადგენად.

ექსპერტის დასკვნა

დაბოლოს, ექსპერტის დასკვნის მთავარი ნაწილის. თქვენ, პირველ ყოვლისა, უნდა ჰკითხო ექსპერტს, აქვს თუ არა მას დასკვნა და თუ დადებითად გიპასუხებთ, თქვენ უნდა ჰკითხოთ დასკვნის შინაარსი:

კ: თქვენ მომზადებაზე, გამოცდილებაზე, კველავაზე და ამ საქმესთან დაკავშირებით თქვენი მიმოხილვის ჩანაწერებზე დაყრდნობით გაქვთ თუ არა დასკვნა დაზარალებულის სიკვდილის მიზეზთან დაკავშირებით?

პ: დიახ, მაქვს.

კ: რა დასკვნა გაქვთ?

პ: გონივრული სამედიცინო ვარაუდის ფარგლებში ვფიქრობ, რომ ის გრდაიცვალა ვენტრიკულარული ფიბრილაციით. ეს რითმი ჩანდა კარდიოგრამაზე. და ეს გამოწვეული იყო მისი კორონარული არტერიის მძიმე დაავადებით, რაც კარგად აღწერეს პათოლოგიაში. მას აღენიშნებოდა მძიმე კორონარული ათეროსკლეროზი ორ არტერიაში, მათ შორის სასიცოცხლო არტერიაში. მას, სავარაუდოდ, ჰქონდა გამოკვეთილი იშემია, რომელიც ავტოფსიისას ფიბროზით დადასტურდა და ამ იშემიამ გამოიწვია სიცოცხლისათვის საშიში არითმია.

კ: გინახავთ თუ არა თქვენი კარიერის განმავლობაში ამგვარი სიკვდილის მაგალითები?

პ: ფაქტობრივად ყოველთვის ამას ვხედავ. სამწუხაროდ, ჩვენ ამას ვხვდებით იმ ადამიანებში, რომლებმაც იციან, რომ აქვთ მძიმე კორონარული დაავადება და მათ ემართებათ იშემია და იღუპებიან. და ჩვენ ამას ვხვდებით პაციენტებში მოულოდნელი მძიმე ათეროსკლეროზით.

ექსპერტი ეყრდნობა ფაქტების და მონაცემებს, რომლებიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა სასამართლო განხილვამდე. უფრო მეტიც, ექსპერტი შეიძლება დაეყრდნოს დაუშვებელ ფაქტებს ან მონაცემებს, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი გონივრულად გასათვალისწინებელია დასაყრდნობი დასკვნების მომზადებისას და ექსპერტის მხრიდან ამ სფეროში ჩარევისას.

თუმცა კანონის ძალა სცილდება დოკუმენტური მტკიცებულების ფარგლებს. ის საშუალებას აძლევს ექსპერტს თავიანთი დასკვნები დაამყარონ, მაგალითად, აღუნუსხავი ექსპერიმენტების შედეგებს, რომელთა შესახებაც მათ გაიგეს სხვა ექსპერტებთან საკითხის განხილვისას. სასამართლოები ფართო დისკრეციას იტოვებენ ამ სფეროში, მაგრამ ისინი ხშირად განსხვავდება ექსპერტის გადაწყვეტილებისგან წყაროს სანდოობის შესახებ, რომელზეც ისინი თავიანთ დასკვნებს აფუძნებენ.

ამ წესის თანახმად, სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც

გამოირიცხა როგორც ჭორი, შესაძლოა მტკიცებულებად იქნეს დაშვებული ექსპერტის დასკვნის საფუძვლის დემონსტრირების მიზნით. ფაქტებისა და მონაცემების ფარგლების გაფართოების ტენდენციამ, რასაც ექსპერტები ეყრდნობიან, შეამცირა მრავალი ტექნიკური საჩივარი სასამართლო განხილვისას.

თქვენ უფრო მარტივად შეგიძლიათ განამტკიცოთ თქვენი ექსპერტის დასკვნა გამოქვეყნებული და პრივატულად გავრცელებული დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოდგენით, იმ პირობით, რომ თქვენი ექსპერტის დასკვნას იზიარებენ ამ სფეროს გამორჩეული სპეციალისტები. ამ წესის თანახმად (და აღნიშნული გამონაკლისებით ცნობილ ტრაქტატებზე), ექსპერტმა უნდა მოიძიოს ტექნიკური ლიტერატურა ჩვენებისთვის მტკიცებულებების შესათანხმებლად.

რა განიხილა ექსპერტმა

პირდაპირი დაკითხვისას მნიშვნელოვანია ინფორმაციის ყველა იმ წყაროს შეჯამება, რომლებიც თქვენმა ექსპერტმა განიხილა დასკვნის გამოტანამდე. მნიშვნელოვანია დარწმუნდეთ, რომ თქვენ ექსპერტს ყველა ხელმისაწვდომი ჩანაწერი გადაეცით და არც ერთი არ დარჩენილა გადადებული ან დამალული. ეს ასევე მიუთითებს იმაზე, რომ ექსპერტი კეთილსინდისიერია და დასკვნამდე მივიდა ხანგრძლივი განხილვისა და ძალისხმევის შედეგად:

კ: მოდით, ახლა ვისაუბროთ იმ კონკრეტულ მასალებზე, რაც თქვენ განიხილეთ ამ საქმესთან დაკავშირებით. ყველა ჩანაწერს გაეცანით, რაც ხელმისაწვდომი იყო მსხვერპლთან მიმართებით?

პ: მე ყველა იმ ჩანაწერს გავეცანი, რაც გადმომეცა. ვფიქრობ, რომ ყველა ხელმისაწვდომი მასალა გადმომეცა.

კ: გადახედეთ ავტოფსიის დასკვნას?

პ: დიახ.

კ: გადახედეთ სამედიცინო კვლევის სამსახურის ჩანაწერებს?

პ: დიახ.

კ: გადახედეთ კარდიოგრამას?

პ: დიახ.

კ: გადახედეთ პოლიციისა და გამომძებლის ჩანაწერებს?

პ: დიახ.

კ: გადახედეთ მსხვერპლის სამედიცინო ანკეტას?

პ: დიახ.

კ: გადახედეთ ექიმ მედეა მათიაშვილის ჩვენებას?

პ: დიახ.

კ: გადახედეთ ექიმ გიორგი მდივანის ჩვენებას?

პ: დიახ.

კ: ხელმისაწვდომი ჩანაწერების საფუძველზე გვითხარით, თუ შეიძლება, მსხვერპლისა და მისი სამედიცინო ისტორიის შესახებ.

ჰიპოთეტური კითხვების დასმა

თქვენ შეიძლება გსურდეთ, რომ ექსპერტმა თავისი დასკვნა დაამყაროს ან პირად ცოდნაზე, ან ჰიპოთეტურ კითხვებში ასახულ ფაქტებზე. ამ იურისდიქციაში ზოგადი წესი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა არსებობდეს საკმარისი ფაქტები, უკვე ასახული მტკიცებულებაში ან მოწმის მიერ გამჟღავნებული, მისი დაკითხვის შედეგად მიხვედრებითა და გაანალიზებით.

ჰიპოთეტური კითხვები ტაქტიკურად მნიშვნელოვანია სასამართლო განხილვისთვის, იმ იურისდიქციაშიც (როგორიც ფედერალური სასამართლოებია), სადაც ეს აღარ მოითხოვება. ჰიპოთეტური კითხვები შესაძლებლობას იძლევა ეფექტურად შეჯამდეს და ნაფიც მსაჯულებს წარედგინოს ფაქტები, რომლებიც თქვენს პოზიციას უჭერს მხარს. ზოგადად აუცილებელია, რომ არსებობს საკმარისი ფაქტები იმ მტკიცებულებებში, რომლებიც ამყარებს ვარაუდებს, რომლებსაც ჰიპოთეტური კითხვები ემყარება. ჰიპოთეტური კითხვა არ უნდა მოიცავდეს ისეთ ფაქტს, რომელიც არ არის მტკიცებულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დასაბუთებული გარანტია არსებობს იმისა, რომ ეს ფაქტები წარმოდგენილი იქნება მოგვიანებით შემდგომ სტადიებზე.

ფაქტები, რომლებიც ჰიპოთეტურად არის ნავარაუდევი, არ არის უდავო. თქვენთვის დასაშვებია ივარაუდოთ ფაქტების მდგომარეობა, რომლებიც თქვენ გამართლებულად მიგაჩნიათ მტკიცებულების დონეზე და რომელიც მოწმეს საშუალებას აძლევს მოამზადოს დასაბუთებული პასუხი.

ჰიპოთეტური კითხვები ყოველთვის სასამართლო განხილვამდე უნდა მომზადდეს, მანამდე აღმოჩენილ ფაქტებზე დაყრდნობით. ეს ფაქტები შეიძლება შეივსოს სასამართლო განხილვისას, თუ დამატებითი მტკიცებულებები და დაშვებები გაამყარებს. თქვენ უნდა გქონდეთ ჰიპოთეტური სიტუაციების ანალოგები, იმისათვის, რომ მოსამართლემ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა და თქვენმა მოწმე ექსპერტმა შეძლოს მიდევნება, როდესაც თქვენ გაახმოვანებთ ჰიპოთეტურ ფაქტებს.

მას შემდეგ, რაც მოწმე დაეთანხმება ჰიპოთეტურ კითხვებზე პასუხის გაცემას, თქვენ უნდა აღწეროთ მოვლენების განვითარება ნათელი და ლოგიკური გზით, მყარი ფაქტობრივი მტკიცებულებებით. გასაჩივრებისა და შეწყვეტის თავიდან ასარიდებლად თქვენ დოკუმენტურად უნდა დაამტკიცოთ თითოეული ფაქტი, მაგალითად, მიუთითოთ წერილობითი ჩვენების კონკრეტული გვერდი.

ყოველთვის, როცა თქვენ სთხოვთ ექსპერტს კონკრეტული ფაქტის განხილვას, რომელიც კონკრეტული დოკუმენტით დასტურდება, ის უნდა გამოქვეყნდეს და მოხსენიებულ იქნეს შესაბამისი თვალსაჩინოების ნომერზე მითითებით. თუკი ფაქტი წერილობითი ჩვენებიდან არის, მიუთითეთ ჩვენების მიმცემის სახელი, ჩვენების მიცემის თარიღი და წერილობითი ჩანაწერის შესაბამისი გვერდი. ეს უზრუნველყოფს მტკიცებულებით საფუძველს თითოეული ფაქტისთვის, რომელსაც დაემყარება ექსპერტის დასკვნა, ნაფიცი მსაჯულებისთვის უკვე წარდგენილი მტკიცებულებების შეხსენებისას.

ვარაუდები, რასაც ჰიპოთეტური კითხვები ემყარება, უფრო მეტად დამაჯერებელი იქნება, თუ სადავო ფაქტები აღრეულია არასადავო ფაქტებთან. ყოველთვის არის არასადავო ფაქტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ჰიპოთეტური კითხვების ფორმულირებისას. სადავო და არასადავო ფაქტების აღრევის მიზანია ის, რომ

ნაფიცი მსაჯულები გადაიხარონ იმისკენ, რომ მიიღონ თქვენი ინტერპრეტაცია სადავო ფაქტებთან დაკავშირებით, როდესაც ხედავენ თუ როგორ ესადაგება ეს ფაქტები უდავო ფაქტებს.

დასკვნის მიღება შემაჯამებელ საკითხზე

პირდაპირი დაკითხვისას თქვენ შეიძლება მოწმეს შემდეგი კითხვა დაუსვათ: „იმ ფაქტის გათვალისწინებით, რაც ახლა მე თქვენ აგიღწერეთ და თქვენი ექსპერტული გამოცდილების საფუძველზე, გაქვთ თუ არა დასკვნა დასაბუთებული მეცნიერული ვარაუდით, რომ ამ პროდუქტის დიზაინმა განაპირობა მომჩივანის დაზიანებები?“ როდესაც თქვენი ექსპერტი დადებით პასუხს გაგცემთ, თქვენ უნდა ჰკითხოთ, „რაში მდგომარეობს თქვენი დასკვნა?“ და შემდეგ, რა თქმა უნდა, მოითხოვოთ ამ დასკვნის მხარდამჭერი მიზეზების განმარტება.

წინა ჩვენებების გამოყენება

იმის ჩვენება, რომ ექსპერტს ჩვენება მიუცია ორივე მხარეს, საუკეთესო გზაა მიკერძოების ეჭვის შესამცირებლად:

კ: მიგიციათ ჩვენება დაცვის მხარეს სისხლის სამართლის საქმეებზე?
პ: დიახ, მიმიცია.
კ: მიგიციათ ჩვენება სახელმწიფოს მხარეს სისხლის სამართლის საქმეზე?
პ: დიახ, მიმიცია, მე ხშირად მიწვევენ ეროვნული საექსპერტო ბიუროს კონსულტანტად.

თუკი თქვენ გაქვთ მოლოდინი, რომ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი მიუთითებს თქვენი ექსპერტის მიერ დაცვის ან მომჩივანის მხარეს მოწმედ გამოსვლის რაოდენობაზე, თქვენ უნდა მოახერხოთ ამ მითითების თქვენს სასარგებლოდ გამოყენება ექსპერტის კვალიფიკაციაზე მითითებით. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ „თქვენი მრავალი გამოძიებისა და შეფასების საფუძველზე, გიწვევდნენ თუ არა მთელი ქვეყნის მასშტაბით დასკვნების მოსამზადებლად?“

ასევე საუკეთესო იქნება, თუ დაადგენთ, რომ ექსპერტის კონსულტაციის საზღაური ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, ის მოიწვია მომჩივანმა თუ დაცვის მხარემ.

ერთი სტრატეგია, რომელმაც უნდა გააქარწყლოს დაცვის მხარის მცდელობა, დაახასიათონ მომჩივანი მხარე როგორც „დაქირავებული იარაღი“, არის იმ ჩვენების მოპოვება, რომელიც განსაზღვრავს ექსპერტის ასოციაციებს ადვოკატთან ან მწარმოებელთან. იშვიათად ხდება ისე, რომ კვალიფიციურ ექსპერტს არ ჰქონდეს ასოციაციები დაცვის ადვოკატთან ან მწარმოებელთან. ექსპერტთა უმრავლესობას ექნება მცირე გამოცდილება მაინც პროფესიული ჯგუფების წინაშე ლექციების წაკითხვისა, მათ შორის მწარმოებელთა წინაშე და ყველაზე პოპულარული ნაშრომები ქვეყნდება ბიზნეს საზოგადოებაში პოპულარულ ჟურნალებში.

მაშინაც კი, თუ თქვენ ექსპერტს მხოლოდ ერთ მხარის ექსპერტად პროცესში მონაწილეობის გამოცდილება აქვს, მას აუცილებლად დაუკავშირდებობდნენ მეორე

მხარის წარმომადგენლები. ასეთი ინფორმაციის თქვენს სასარგებლოდ გამოსაყენებლად თქვენ უნდა ჰკითხოთ ექსპერტს, დაუკავშირდა თუ არა მას მომჩივანი მხარის წარმომადგენელი. შემდეგ თქვენ შეგიძლიათ ჰკითხოთ, „მას შემდეგ რაც თქვენ გადაეცით მათ თქვენი დასკვნა და ანალიზი, დაგიკავშირდნენ ისინი როგორც ექსპერტს?“ როდესაც მოწმე პასუხობს არას, ნაფიცი მსაჯულებისთვის ეს გზავნილია იმის თაობაზე, რომ ადვოკატებს არ მოეწონათ ექსპერტის დასკვნა, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებენ მის ექსპერტიზას. თქვენ უნდა აჩვენოთ, რომ თქვენი ექსპერტი მოწინააღმდეგის ექსპერტზე კვალიფიციურია. ეს შესაძლოა ტაქტიანად განხორციელდეს:

კ: შეგიძლიათ ნაფიც მსაჯულებს განუმატოთ, რით განსხვავდება თქვენი კვალიფიკაცია და გამოცდილება ექიმი აბაშიძისაგან.

პ: ექიმი აბაშიძე ეროვნული საექსპერტო ბიუროს თანამშრომელია სრულ სტაჟზე. ის მთელ თავის დროს სათავო ოფისში ატარებს. ის მხოლოდ ხუთი წელია, რაც ექსპერტ-პათოლოგად მუშაობს. მე გახლავართ ექსპერტი პათოლოგი უკვე ოცი წელია, ვასწავლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ვახორციელებ ავტოფსიას ბევრ საქმეზე, სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო პირების დაკვეთით ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან და ყველაზე რთულ შემთხვევებში.

კ: აქ წარმოდგენილი იყო ექიმი აბაშიძის ჩვენება იმის თაობაზე, რომ მსხვერპლის სიკვდილის მიზეზი იყო დახრჩობა.

პ: არ მაქვს ვინმეს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის განზრახვა, მაგრამ ეს გაუაზრებელი დასკვნაა რამდენიმე მიზეზის გამო.

კ: განაგრძეთ და აგვიხსენით.

თქვენი მოწმის გამოყენებით იმის შეჯამება, თუ რა მარცხი განიცადა მოწინააღმდეგე მხარემ შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენისას, შესაძლოა წამგებიანი იყოს:

კ: დახრჩობით სიკვდილი არის თუ არა ის, რასაც თქვენ ვარაუდობთ, თუ თქვენ გჭირდებათ ამის მტკიცებულება?

პ: დახრჩობის სიკვდილის დიაგნოზი არ არის გამორიცხვის დიაგნოზი. თქვენ უნდა გქონდეთ მტკიცებულება.

კ: ვნახოთ, წარმოადგინა თუ არა დაცვის მხარემ მსგავსი მტკიცებულება. მოდით, დავიწყოთ კლინიკურით. წარმოადგინა თუ არა ბრალდებამ საკმარისი მტკიცებულება იმის დასამტკიცებლად, რომ მსხვერპლი გარდაიცვალა დახრჩობის შედეგად?

პ: არა.

კ: წარმოადგინეს თუ არა მათ იმის მტკიცებულება, რომ კისერზე აღინიშნებოდა დაზიანებები, ნაკაწრები, გადაყვლეფილი და ნაჭდევები, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს მსხვერპლის ფრჩხილებით თავდაცვითი მანევრის შედეგად, ან როგორც მსხვერპლისა და თავდამსხმელის ფრჩხილებით გამოწვეული დაზიანება.

კ: რას იტყვით, დაზიანებებიდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ თავდამსხმელი სარგებლობდა ერთი თუ ორივე ხელით, ახრჩობდა თუ არა ის მსხვერპლს უკნიდან ან წინიდან, ფრჩხილების კანში ჩაჭერის შედეგად გაჩენილი ჭრილობები მძიმის თუ ნახევარ-რკალის ფორმისაა?

პ: არა.

კ: თქვენ გამორიცხავთ სხვა დაზიანებების აღმოჩენას?

პ: ნიკაპის დაზიანებები დამახასიათებელია ხელით დახრჩობილთათვის. მსხვერპლი ინსტინქტურად თავს დაბლა ხრიდა ყელის დასაცავად და ამ დროს დაიზიანა ნიკაპის თავდამსხელის ხელზე.

კ: დაზიანებები სახეზეა?

პ: არა.

კ: განვიხილოთ პათოლოგია. რა მტკიცებულება შეგიძლიათ წარმოგვიდგინოთ იმაზე დამატებით, რაც უკვე წარმოგვიდგინეთ?

პ: მცირე ზომის წითელი ლაქები დამახასიათებელია მრავალი შემთხვევისთვის. ისინი გამოწვეულია კაპილარების (უმცირესი სისხლძარღვები სხეულში) გაწყვეტით. ისინი აღინიშნება თვალების ირგვლივ, ქუთუთოებთან, სახესა და კისერზე, მოჭერის ადგილის ირგვლივ. ჩაწითლებული თვალები გამოწვეულია თვალის თეთრ გარსში კაპილარების გაწყვეტით. ეს მოვლენა მიუთითებს მსხვერპლსა და თავდამსხმელს შორის ფიზიკურ ბრძოლაზე.

კ: მსხვერპლს აღენიშნებოდა მცირე ზომის ლაქები?

პ: არა.

კ: კიდევ რა შეიძლება იყოს?

პ: ხშირად აღინიშნება სასუნთქი გზების ფიზიკური დაზიანება.

კ: რა მდგომარეობაში ჰქონდა მსხვერპლს სასუნთქი გზები?

პ: მთელი და დაუზიანებელი იყო.

კ: დახრჩობის მიკროსკოპული მტკიცებულება ხომ არ არსებობს?

პ: არა.

კ: არსებობს რაიმე კლინიკური მტკიცებულება იმისა, რომ მსხვერპლი დაახრჩვეს? არსებობს რაიმე პათოლოგიური მტკიცებულება იმისა, რომ მსხვერპლი დაახრჩვეს?

პ: არა.

ჯვარედინი დაკითხვა[50]

კინოფილმებში ჯვარედინი დაკითხვა სასამართლო პროცესის მომხიბლავი ნაწილია. ეს ის ადგილია, როდესაც პროკურორი/ადვოკატი ბრწყინვალედ გამოიჭერს მეორე მხარის ძირითად მოწმეს, რომელიც აღიარებს, რომ იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში ცრუობდა და მხოლოდ ახლა იტყვის სიმართლეს. დაივიწყეთ, რამეთუ ეს არ მოხდება. არასოდეს მინახავს ეს მომხდარიყო და არც არავის ვიცნობ, ვისაც უნახავს. როგორც წინამდებარე თავში მოგვიანებით დეტალურად იქნება განხილული, ჯვარედინი დაკითხვა ორი მიზნით ტარდება: (1) თქვენი საქმის თეორიისათვის სასარგებლო ჩვენების მიღება; და (2) მოწმის ან მისი ჩვენების დისკრედიტაცია.

როგორც სასამართლო პროცესის ყველა სხვა ეტაპისათვის, ასევე ჯვარედინი დაკითხვისათვის პროკურორი/ადვოკატი წინასწარ უნდა მოემზადოს. პროკურორმა/ადვოკატმა ყურადღებით უნდა გადახედოს თითოეული მოწმის მანამდე მიცემულ ჩვენებას ან გაკეთებულ განცხადებებს და უნდა გაეცნოს ნებისმიერი სახის მტკიცებულებას. მომზადების გარეშე პროკურორი/ადვოკატი ვერ შეძლებს მოწმის იმპიჩმენტის წარმატებით განხორციელებას შეუსაბამო განცხადებების ან იმ ჩვენების საფუძველზე, რომელსაც სხვა მტკიცებულება ეწინააღმდეგება, როგორიცაა ბიზნეს ან საბანკო დოკუმენტაცია, ექსპერტთა ანგარიშები, ა.შ.

უნდა ჩაატაროთ თუ არა ჯვარედინი დაკითხვა

ეს შეკითხვა ამ კომპონენტში ყველაზე არსებითი მნიშვნელობისაა. უამრავი პროკურორი/ადვოკატი ატარებს ჯვარედინ დაკითხვას იმიტომ, რომ, მათი აზრით, ეს ევალებათ. ისინი ცდებიან. არასწორმა ჯვარედინმა დაკითხვამ პროკურორის/ადვოკატის პოზიციას შესაძლოა ზიანი მიაყენოს, ან საუკეთესო შემთხვევაში მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები გააღიზიანოს იმ შეკითხვების დასმით, რომლებიც საქმეს არაფერს მატებენ. ჯვარედინი დაკითხვის ჩატარებამდე უნდა ჰკითხოთ საკუთარ თავს, რეალურად რის მიღწევას ფიქრობთ. შეძლებთ ისეთი მინიშნებების გაკეთებას, რომელიც მეორე მხარის საქმის თეორიას დააზიანებს? შეძლებთ მოწმის დამაჯერებლობისათვის ზიანის მიყენებას? შეძლებთ ისეთი ჩვენების მიღებას, რომელიც თქვენი საქმის თეორიას გაამყარებს?

პროკურორის/ადვოკატის მიერ მოწმის ჯვარედინი დაკითხვის ვალდებულება არ არსებობს. ზოგიერთი გამოუცდელი პროკურორი/ ადვოკატი ფიქრობს, რომ მოწმის ჯვარედინ დაკითხვაზე უარის თქმის შედეგად მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები იფიქრებენ, რომ მოწმემ პროკურორის/ადვოკატის პოზიცია დააზიანა. ეს მცდარი შეხედულებაა. მოსამართლისთვის/ნაფიცი მსაჯულებისთვის უბრალოდ იმის შეტყობინება, რომ მოწმის ჯვარედინი წესით დაკითხვა არ გსურთ, ხშირად თქვენს თავდაჯერებულობაზე მეტყველებს. მართლაც, შემდეგ დასკვნით სიტყვაში შეგიძლიათ ახსნათ კიდეც, თუ რატომ არ გადაწყვიტეთ კონკრეტული მოწმის ჯვარედინად დაკითხვა.

---

[50] მომზადებულია დენიელ ლინჰარდტის მიერ „ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ საქართველოს ოფისისათვის. რედაქტირება და თარგმანი განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ.

ჯვარედინი დაკითხვის ჩატარებამდე თითოეულმა პროკურორმა/ადვოკატმა საკუთარ თავს შემდეგი ექვსი შეკითხვა უნდა დაუსვას.

(1) მიაყენა მოწმემ ზიანი თქვენს პოზიციას?

ყველა მოწმე ერთნაირად მნიშვნელოვანი არ არის. ზოგიერთ მოწმეს მხოლოდ იმიტომ იძახებენ, რომ ტექნიკური ელემენტი ან დოკუმენტის ავთენტურობა დაადგინონ. მაგალითად, მოწმე შესაძლოა გამოიძახონ, რათა დაადასტუროს, რომ საჯარო შეტყობინება გაზეთში იყო გამოქვეყნებული, ან გარკვეული საბანკო ჩანაწერები ავთენტურია. თუ რაიმე მიზეზი არ გაქვთ მოწმეში ეჭვი შეიტანოთ, მის ჯვარედინად დაკითხვას აზრი არ აქვს.

(2) არის მოწმე მნიშვნელოვანი?

მოწმემ შეიძლება დაადასტუროს ისეთი რამ, რაც თქვენთვის არ არის მნიშვნელოვანი. მაგალითად, ნარკოტიკების საქმეზე დაცვა შესაძლოა ამტკიცებდეს არა იმას, რომ ამოღებული ნარკოტიკები კოკაინი არ იყო, არამედ იმას, რომ ისინი ბრალდებულს არ ჰქონია. ამდენად, თქვენ ჯვარედინად არ უნდა დაჰკითხოთ ქიმიკოსი, რომელიც დაადასტურებს, რომ ნარკოტიკები კოკაინი იყო. შეგიძლიათ მას ერთადერთი რამ ათქმევინოთ – რომ მოწმეს წარმოდგენა არ აქვს, თუ ვინ ფლობდა ნარკოტიკებს. როდესაც მოწმე მნიშვნელოვანია, პროკურორი/ადვოკატი, როგორც წესი, მას ჯვარედინად დაჰკითხავს, რადგან მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები ამას მოელიან. როგორც ზემოაღნიშნულ მაგალითშია მოცემული, ჯვარედინი დაკითხვის ფარგლები შეიძლება ასახავდეს კონკრეტული მოწმის მნიშვნელობას ან უმნიშვნელობას მხარის პოზიციისთვის.

(3) იყო მოწმის ჩვენება დამაჯერებელი?

ზოგიერთი მოწმე სრულიად დაუჯერებელ რამეს იტყვის. მაგალითად, მოწმემ ჩვენების მიცემისას განაცხადა, რომ 3 მეტრის სიმაღლის ღობეს გადაახტა, რათა მძარცველებს გაქცეოდა. სხვა დროს მოწმის ჩვენებას შეიძლება დაუპირისპირდეს იმავე პროკურორის/ადვოკატის სხვა მოწმეთა ჩვენებები. ასეთ სიტუაციებში ჩვენება უკვე იმდენად ცუდია, რომ არაფრის გაკეთება აღარ არის საჭირო. თუ თქვენ შეკითხვებს დასვამთ, მოწმეს შესაძლოა მიეცეს თავისი ჩვენების გამოსწორების საშუალება, ასე რომ, არ მისცეთ მას ეს შანსი. მაგალითად, თუ პროკურორი/ადვოკატი დასვამს კითხვას, მართლა 3 მეტრის სიმაღლის იყო თუ არა ღობე, მოწმე შეიძლება მიხვდეს, რომ მისი განცხადება სასაცილოდ ჟღერდა და ჩვენების გამოსწორების მიზნით განაცხადოს, რომ მას წამოსცდა და სინამდვილეში ღობე მხოლოდ მეტრ-ნახევარი იყო სიმაღლეში. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, თუ მოწმის ჩვენება თქვენთვის სასარგებლოა, დაანებეთ მას თავი და დასკვნით სიტყვაში აღნიშნეთ, თუ რა სასაცილო იყო მისი პასუხი.

(4) პირდაპირი დაკითხვისას მოწმემ თქვა, თუ არა იმაზე ნაკლები, ვიდრე მოსალოდნელი იყო?

ზოგჯერ (გაცილებით ხშირად, ვიდრე გგონიათ) სასამართლო პროცესისათვის არასათანადო მომზადების ან მოწმის შეცდომის შედეგად, რომელსაც პროკურორმა/

ადვოკატმა ყურადღება არ მიაქცია, მოწმე გამოტოვებს (ან პროკურორს/ადვოკატს ავიწყდება სწორი კითხვის დასმა) თავისი ჩვენების მნიშვნელოვან ნაწილს. ბევრი გამოუცდელი პროკურორი/ადვოკატი ჯვარედინ დაკითხვას სწორედ გამოტოვებული ნაწილით იწყებს. ამის შედეგად კი მოხდება მხოლოდ ის, რომ მოწმეს მიეცემა შესაძლებლობა გამოტოვებული მასალა დაამატოს ან თავის მხარეს მისცეს საშუალება ეს მასალა ხელახალ პირდაპირ დაკითხვაზე გაიაროს.

ზოგჯერ კი მოწმე ან პროკურორი/ადვოკატი, როგორც გამარჯვების ტაქტიკის ნაწილი, განზრახ გამოტოვებს რაიმეს იმ იმედით, რომ მოწინააღმდეგე მხარე მას ჯვარედინ დაკითხვაზე წამოსწევს. როდესაც ეს ხდება, ჩვენება კიდევ უფრო საზიანოა, რადგან პროკურორი/ადვოკატი დასკვნით სიტყვაში აღნიშნავს, რომ საზიანო ჩვენება არა მისი, არამედ მოწინააღმდეგე მხარის მიერ დასმული კითხვების შედეგად იყო მიღებული. თუ მოწინააღმდეგე მხარე შეცდომას დაუშვებს და მნიშვნელოვან მასალას გამოტოვებს, არ დაეხმაროთ მას ისე, რომ ამ მასალაზე თქვენ თვითონ ისაუბროთ.

(5) რეალურად რისი დემონსტრირება შეგიძლიათ ჯვარედინ დაკითხვაზე?

სასამართლო პროცესამდე თქვენი მომზადების ეტაპზე, ჰკითხეთ საკუთარ თავს, გაქვთ თუ არა რაიმე კარგი იარაღი მოწმის წინააღმდეგ. გაქვთ თუ არა მოწმის ადრინდელი განცხადებები, რომლებიც პროცესზე მის მიერ მიცემულ ჩვენებას ეწინააღმდეგება? გაქვთ თუ არა რაიმე დოკუმენტი, როგორიცაა საბანკო ან სატელეფონო ჩანაწერები მოწმესთან დასაპირისპირებლად? თუ მოწმემ დამაჯერებელი შთაბეჭდილება დატოვა და მას ვერაფრით შეეწინააღმდეგებით, შესაძლოა ჯვარედინი დაკითხვა არ ჩაატაროთ ან ჩაატაროთ მოკლე დაკითხვა უმნიშვნელო საკითხთან დაკავშირებით იმის საჩვენებლად, რომ მოწმე ჯვარედინად დაჰკითხეთ. მისი ჩვენების ყველა საკითხს არ შეეხოთ, თუ არ ფიქრობთ, რომ რაიმე მნიშვნელოვანს მიაღწევთ. თუ პირველად მისი ჩვენება თქვენთვის საზიანო იყო, მისი გამეორება კიდევ უფრო უარესი იქნება.

(6) რომელ რისკზე წასასვლელად ხართ მზად?

იმ საკითხის გადაწყვეტა, ჩაატარებთ, თუ არა ჯვარედინ დაკითხვას და რა ფარგლებში, დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, თუ რამდენად ძლიერად მიგაჩნიათ თქვენი პოზიცია. თუ თქვენი პოზიცია ძლიერია და რეალურად მიგაჩნიათ, რომ გაიმარჯვებთ, მაშინ შესაძლოა ჯვარედინ დაკითხვაზე უფრო კონსერვატიულიც იყოთ და თქვენი რისკები მინიმუმამდე შეამციროთ. თუმცა, თუ თქვენი პოზიცია სუსტია, შესაძლოა გარისკოთ და ჩაატაროთ ჯვარედინი დაკითხვა, რადგან დასაკარგი ისედაც ბევრი არაფერი გაქვთ. ზოგჯერ სარისკო ჯვარედინი დაკითხვის შედეგად პროკურორს/ადვოკატს უმართლებს და წაგებულ საქმეს მოგებულად აქცევს.

ჯვარედინი დაკითხვის საფუძვლები

ჯვარედინ დაკითხვას გააჩნია ზოგიერთი ელემენტი, რომელიც უმეტესად ჯვარედინი დაკითხვების წარმოებისას იჩენს თავს. ისინი ქვემოთ არის მოცემული. თუმცა, როგორც წინამდებარე სახელმძღვანელოს ყველა სხვა საკითხთან მიმართებაში, ქვემოთ მოცემული მითითებები, სასამართლო პროცესამდე მომზადების ეტაპის გარდა,

თვალდახუჭული არ უნდა შესრულდეს. გახსოვდეთ, რომ თითოეული საქმე განსხვავებულია და არსებობს საკითხები, რომლებიც კონკრეტული საქმიდან გამომდინარე უნდა იყოს განხილული და გადაწყვეტილი.

ზოგადად ჯვარედინ დაკითხვაზე იფიქრეთ, როგორც პარტიზანული ომის შეტევაზე. შევარდით მოქმედების ადგილზე, ესროლეთ ზოგიერთ ადამიანს და გაიქეცით.

(1) დაკითხვისას შემოიფარგლეთ მხოლოდ რამდენიმე საკითხით

პროკურორი/ადვოკატი ვერ იქნება ეფექტური, თუ მოწმის ჯვარედინი დაკითხვისას ყველა საკითხზე გაამახვილებს ყურადღებას. რეკომენდებულია მოწმის ჯვარედინი დაკითხვისას შემოიფარგლოთ სამი ან ოთხი მნიშვნელოვანი საკითხით, რათა შეინარჩუნოთ ეფექტურობა. ეს არის სფეროები, სადაც შეგიძლიათ მოწმის მეშვეობით თქვენი საქმის თეორიის გამყარება ან მოწმის დამაჯერებლობის დაზიანება, მისი დისკრედიტაცია. მეტიც, თუ უამრავი საკითხი გაქვთ მომზადებული, მხოლოდ უძლიერეს საკითხებზე უნდა შეჩერდეთ. თუ საკითხი, რომელსაც იხილავთ არ არის ის, რომელსაც თქვენს დასკვნით სიტყვაშიც მოიხსენიებთ, მაშინ, სავარაუდოდ, მისი განხილვა დაკითხვების ეტაპზე არც ღირს. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც სახეზეა მეორე მხარის მნიშვნელოვანი მოწმე და ჯვარედინ დაკითხვაზე რაიმე მნიშვნელოვანი საკითხები არ გაქვთ, მაგრამ გრძნობთ, რომ რაღაც უნდა გააკეთოთ. ასეთ შემთხვევებში შესაძლოა განიხილოთ უმნიშვნელო საკითხიც, რათა აჩვენოთ, რომ მოწმე არ იყო უზადო.

(2) დაიწყეთ და დაასრულეთ ძლიერად

როგორც სასამართლო პროცესის ყველა სხვა სტადიაზე, დაწყებული შესავალი სიტყვით და დამთავრებული დასკვნითი სიტყვით, ჯვარედინი დაკითხვაც დაიწყეთ და დაასრულეთ ძლიერად. თქვენი პირველი შეკითხვა ან შეკითხვების სერია ძლიერ საკითხთან დაკავშირებულ თემას უნდა ეხებოდეს. იგივე ეხება ჯვარედინი დაკითხვის დასასრულს. გახსოვდეთ, ადამიანებს პირველადი შთაბეჭდილებები დასაწყისში ექმნებათ და კარგად იმახსოვრებენ იმას, რასაც თავში და ბოლოში ისმენენ.

(3) არ გაიმეოროთ პირდაპირი დაკითხვის თანმიმდევრობა

მოწმე, როგორც ადამიანთა უმეტესობა, სავარაუდოდ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იაზროვნებს. თქვენ შესაძლოა იგი კალაპოტიდან ამოაგდოთ, თუ თქვენს ჯვარედინ დაკითხვას მოწმის ჩვენების დასაწყისიდან არ დაიწყებთ. ეს ტექნიკა ასევე გულისხმობს, რომ მოწმე ვერ შეძლებს თქვენი მომდევნო შეკითხვების განსაზღვრას. მან შესაძლოა ასევე არ იცოდეს, თუ რას ამტკიცებთ, სანამ ამას რეალურად გააკეთებთ. თუმცა, საკითხები ძალიან ხშირად არ უნდა ცვალოთ, რადგან ამან შესაძლოა მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები დააბნიოს.

(4) შეეცადეთ არ დაიწყოთ კონფრონტაციულ რეჟიმში

ზოგიერთი მოწმის შემთხვევაში შესაძლოა სჯობდეს მათ თავიდანვე შეუტიოთ, რათა ისინი დააბნიოთ. მაგრამ ბევრთან მიმართებაში უმჯობესია ისინი მოჩვენებითი უსაფრთხოების გარემოში შეიტყუოთ. შეგიძლიათ დაიწყოთ რამდენიმე იოლი შეკითხვით, რომელთა დასმის დროს შეგიძლიათ გაიღიმოთ კიდეც. მოწმე მოეშვება და

კონცენტრაციას დაკარგავს. მას კი მოგვიანებით შეუტევთ. გახსოვდეთ, შეგიძლიათ სასიამოვნოდან უსიამოვნოდ იქცეთ, მაგრამ არასოდეს პირიქით.

(5) შეეცადეთ მოწმემ შეცდომა დაუშვას

არის შემთხვევები, როდესაც შეძლებთ მოწმე გაცილებით მეტ საკითხზე ასაუბროთ, ვიდრე მან პირდაპირი დაკითხვის დროს თავად ისაუბრა. შეგიძლიათ სცადოთ მოწმემ კიდევ უფრო მტკიცედ დაადასტუროს გარკვეული ფაქტები, ვიდრე ამას პირდაპირ დაკითხვაზე აკეთებდა. თუმცა, ამ ტაქტიკას მხოლოდ მაშინ გამოიყენებთ, როდესაც გაქვთ რაიმე ხელმოსაჭიდი, რაც სრულიად დაუპირისპირდება მას. მაგალითად, ათქმევინეთ მოწმეს, რომ სამსახურის შემდეგ იგი ყოველთვის რომელიმე კონკრეტულ რესტორანში მიდიოდა მაშინ, როდესაც გყავთ თქვენი მოწმე, რომელიც იტყვის, რომ მოწმე მის კაფეში ყოველ ხუთშაბათს დადიოდა. შეგიძლიათ იგივე გააკეთოთ დოკუმენტების შემთხვევაშიც, რომლებიც მოწმეს დაუპირისპირდება. მაგალითად, თუ პირდაპირ დაკითხვაზე მოწმემ განაცხადა, რომ კომპანიიდან არასოდეს გადაურიცხავს ფული, ჯვარედინი დაკითხვა შეიძლება ასე წარიმართოს:

კითხვა: პირდაპირ დაკითხვაზე თქვენ განაცხადეთ, რომ კომპანიის საბანკო ანგარიშიდან ფული არასოდეს გადაგირიცხავთ.

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: შესაძლებლობაც კი არ არის, რომ ეს ერთხელ ან ორჯერ გაგეკეთებინათ?

პასუხი: *არა.*

კითხვა: და ამის მიზეზი ის იქნებოდა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება, რომ ეს ქურდობაა?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: და თქვენ ქურდი არ ხართ?

პასუხი: *არა.*

კითხვა: ახლა გიჩვენებთ თქვენი საბანკო ანგარიშის ასლს საქართველოს ეროვნული ბანკიდან, რომელიც აღნიშნულია, როგორც დაცვის მხარის ნივთმტკიცება „ა“; ეს თქვენი საბანკო ანგარიშია, ასე არ არის?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: ანგარიშის მეორე გვერდზე გადადით, აქ მითითებულია, რომ კომპანიის ანგარიშიდან თქვენს ანგარიშზე თანხა სამჯერ იყო გადარიცხული, ასეა?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: ასე რომ, საბანკო ანგარიში თქვენს ჩვენებას ეწინააღმდეგება, არა?

როგორც ზემოაღნიშნულ მაგალითშია მოცემული, ალბათ უმჯობესია, თუ მოწმეს ტყუილში პირდაპირ არ დაადანაშაულებთ. მან შესაძლოა ახსნა-განმარტება მოძებნოს. დასკვნით სიტყვაში შეგიძლიათ იკამათოთ, რომ მოწმემ იცრუა.

(6) არ გაიმეოროთ პირდაპირი დაკითხვა

ბევრი პროკურორი/ადვოკატი მოწმეს ამეორებინებს პირდაპირ დაკითხვაზე მის მიერ მიცემულ ჩვენებას იმ უსაფუძვლო თეორიის გამო, თითქოს გამეორების შედეგად ჩვენება ჩამოიშლება. ეს ასე არ მოხდება იმ იშვიათი შემთხვევის გარდა, როდე-

საც მოწმეს თავისი ჩვენება დაზეპირებული აქვს და გამეორების დროს გარკვეული ადგილები დაავიწყდება. ამის იმედზე ნუ იქნებით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თუ პირველად ჩვენება თქვენთვის საზიანო იყო, მეორედ მისი მოსმენა კიდევ უფრო უარესი იქნება.

ჯვარედინი დაკითხვის წესები

(1) ყოველთვის გამოიყენეთ მიმანიშნებელი კითხვები

კითხვა მიმანიშნებელია, როდესაც კითხვის პასუხს თქვენვე სთავაზობთ კითხვაში. ჯვარედინ დაკითხვაზე თქვენ მოწმის პასუხებზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება და დაითანხმოთ იგი იმ საკითხზე, რომლის დამტკიცებასაც ცდილობთ. მაგალითად, როდესაც ცდილობთ დაუმტკიცოთ მოწმეს, რომ მან პიროვნება შეცდომით ამოიცნო, დაკითხვა შემდეგი სახით წარმართეთ:

კითხვა: *მართალია თუ არა, რომ 2011 წლის 14 ივლისის ღამეს კაფე „ანტრეში“ ბრძანდებოდით?*

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: *და იქ ყოფნისას 5 ჭიქა არაყი მიირთვით, არა?*

პასუხი: *4 ან 5.*

კითხვა: *და იქ მხოლოდ 45 წუთი ბრძანდებოდით?*

პასუხი: *დაახლოებით, შესაძლოა ოდნავ უფრო დიდი ხანი.*

კითხვა: *და სწორედ ამის შემდეგ მისეირნობდით რუსთაველის გამზირზე და დაინახეთ, რომ ბანკს ძარცვავდნენ?*

პასუხი: *დიახ, გარკვეული მცირე დროის შემდეგ.*

კითხვა: *„ანტრედან“ ბანკამდე ორი წუთის ფეხით სასიარულო მანძილია, არა?*

პასუხი: *მგონი.*

კითხვა: *და ამ დროს ამტკიცებთ თქვენ, რომ ბ-ნი დავითი დაინახეთ, რომელიც ბანკიდან გამორბოდა?*

პასუხი: *დიახ.*

ბოლო მაგალითში მოცემული მიზეზებისა და იმ მიზეზების გამო, რომლებიც მოგვიანებით იქნება გარჩეული, უმჯობესი, თუ ამ ეტაპზე ჯვარედინ დაკითხვას დაასრულებთ.

პირდაპირი დაკითხვისგან განსხვავებით, ჯვარედინ დაკითხვაზე ყურადღების ცენტრში პროკურორი/ადვოკატი ექცევა. მიმანიშნებელი კითხვების გამოყენება ერთ-ერთი გზაა, რითიც პროკურორი/ ადვოკატი ყურადღებას იქცევს და საკუთარი განცხადებების მნიშვნელობას უსვამს ხაზს. მიმანიშნებელი კითხვები ასევე მოსამართლის/ ნაფიცი მსაჯულების ყურადღებას ამახვილებს პროკურორის/ ადვოკატის თეორიაზე, ანუ ამ შემთხვევაში იმ მოსაზრებზე, რომ მოწმე ძალიან მთვრალი იყო იმისთვის, რომ ბრალდებული სწორად ამოეცნო. პროკურორი/ადვოკატი ფაქტის შესახებ განცხადებას აკეთებს და მის თაობაზე მოწმეს ითანხმებს.

ჯვარედინი დაკითხვის დროს პროკურორმა/ადვოკატმა ძირითად საკითხზე გადასვლამდე მოკლე, ფაქტობრივი განცხადებებით უნდა გაიკვალოს გზა, ასე რომ, არ შეეცადოთ ძირითადი საკითხი ერთი შეკითხვით დაფაროთ. დაკითხვის მიზანია

მოწმის ჩიხში მიმწყვდევა, სადაც მას სხვა გზა არ ექნება, გარდა იმისა, რომ თქვენს ძირითად საკითხს დაეთანხმოს ან ისე გამოჩნდეს, რომ ცრუობს.

თუ მის ჩიხში მომწყვდევას პირველივე შეკითხვით შეეცდებით, მოწმე მიგიხვდებათ, თუ საითკენ მიდიხართ და თავს აარიდებს იმ პასუხის გაცემას, რომელსაც მოელით. ქვემოთ მოცემულ მაგალითში ბრალდებულს მკვლელობის ჩადენაში ედება ბრალი. ადვოკატს სურს დაამტკიცოს, რომ მოწმეს საერთოდ არ დაუნახავს, თუ რა მოხდა. თუ ადვოკატი იკითხავს: *„თქვენ არ დაგინახავთ მამაკაცი, რომელსაც თითქოს ბ-მა ჭელიძემ ესროლა, ასეა თუ არა?“*, მოწმე დაიწყებს მტკიცებას, რომ დაინახა. თუმცა, თუ ადვოკატი საკითხს ნელ-ნელა, მოკლე შეკითხვების სერიით მიუდგება და დადებით პასუხებს მიიღებს, მოწმე ადვოკატს მისთვის სასურველ პასუხს გასცემს.

კითხვა: თქვენთვის ცნობილია თუ არა ჭავჭავაძის გამზირზე არსებული გადაკვეთის შესახებ, ატენისა და რამიშვილის ქუჩებს შორის?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: თქვენ ამ უბანში მრავალჯერ გისეირნიათ, ასე არ არის?

პასუხი: *მგონი.*

კითხვა: გარდა ამისა, თქვენ ამ მონაკვეთს ყოველდღე გადიხართ სამსახურში როდესაც მიდიხართ და იქიდან ბრუნდებით?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: თქვენ მანამდე იქ მოკლული არავინ გინახავთ, არა?

პასუხი: *არა.*

კითხვა: 14 ნოემბერი ჩვეულებრივი დღე იყო, არა, უბრალოდ დილით და საღამოს ოდნავ უფრო ციოდა?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: ჭავჭავაძეზე ავტომანქანების საცობი საღამოს 5 საათზე ჩვეულებრივ გამოიყურებოდა?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: ხდებოდა თუ არა რაიმე ისეთი, რაც თქვენს ყურადღებას მიიპყრობდა და განსხვავებული იქნებოდა, ვიდრე თქვენი სხვა უამრავი სეირნობის დროს ტროტუარის ამ მონაკვეთზე?

პასუხი: *არა.*

კითხვა: თქვენ სამსახურიდან სახლში ბრუნდებოდით, არა?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: სამსახურში კარგი დღე გქონდათ?

პასუხი: *მგონი, ჩვეულებრივ რამდენიმე პრობლემა მქონდა, მაგრამ არაფერი სერიოზული.*

კითხვა: ასე რომ, თქვენ ფიქრობდით იმის შესახებ, თუ რა მოხდა დღის განმავლობაში და როგორ გადაგეჭრათ ზოგიერთი ეს პრობლემა?

პასუხი: *შესაძლოა, თუმცა ზუსტად ვერ ვიხსენებ.*

კითხვა: ასე რომ, პირველი უჩვეულო რამ, რაც შენიშნეთ, ეს გასროლის ხმა იყო, არა?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: და ეს მაშინ მოხდა, როდესაც ვიღაცას ესროლეს, არა?

პასუხი: *დიახ.*

თითქოსდა არაფრისმთქმელი შეკითხვების გამოყენებით ადვოკატმა მოწმე იმ მომენტამდე მიიყვანა, როდესაც მან აღიარა, რომ რეალური გასროლა არ დაუნახავს და მაშასადამე, მისი მანამდე მიცემული ნებისმიერი ჩვენება იმის შესახებ, თუ რა მოხდა და როგორ ჰქონდა ადგილი სასიკვდილო გასროლას, დაუშვებლად იქნება ცნობილი.

(2) ერთი შეკითხვაც შეიძლება ზედმეტი იყოს

ასევე შენიშნავდით, რომ როგორც ბანკის ძარცვის ზემოთ მოცემულ მაგალითში იყო მითითებული, ბოლო შეკითხვა იმის შესახებ, რომ მოწმეს სროლა არ დაუნახავს, დასმული არ ყოფილა. ამ შეკითხვის დასმის შემთხვევაში მოწმე დადებითი პასუხის გაცემით შეეცდებოდა საკუთარი თავის რეაბილიტაცია მოეხდინა და ახსნა-განმარტებები გაეკეთებინა. ბოლო შეკითხვის დასმის აუცილებლობა არ იყო, რადგან ადვოკატმა სასურველი პასუხი უკვე მოიპოვა და მოწმეს აღარ აქვს ჩიხიდან გამოსვლის შესაძლებლობა. დასკვნით სიტყვაში ადვოკატი მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს შეახსენებს, რომ მოწმის ჩვენების თანახმად, მას გასროლა არ დაუნახავს, რადგან, როდესაც მან პირველად რაიმე უჩვეულო შენიშნა, ეს გასროლის ხმა იყო, და ეს კი მხოლოდ გასროლის შემდეგ შეიძლებოდა მომხდარიყო. ბანკის ძარცვის საქმეში ადვოკატმა უკვე დაამტკიცა, რომ მოწმე უაღრესად მთვრალი იყო და ამოცნობას უშეცდომოდ ვერ მოახერხებდა. თუ დაისმებოდა შეკითხვა იმის თაობაზე, შეეძლო თუ არა მას მძარცველის ამოცნობა, მოწმეს მიეცემოდა შესაძლებლობა რაიმე მიზეზი მოეგონა, თუ რატომ შეძლებდა ამას. არ მისცეთ მოწმეებს ასეთი შესაძლებლობა.

ამ სწავლების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ, როდესაც მოწმისგან საკმარისს ამოიღებთ, უნდა გაჩერდეთ. არ არის საჭირო შეეცადოთ, მოწმემ აღიაროს, რომ იცრუა. ამაზე მტკიცებულებები ისედაც მეტყველებს. ძალიან ბევრ პროკურორს/ადვოკატს ჰქონია ყველაფერი, რაც მოწმისგან იყო საჭირო, და მხოლოდ ერთ ზედმეტ შეკითხვას მოწმე პრობლემისგან დაუხსნია.

(3) აკონტროლეთ მოწმე

პროკურორი/ადვოკატი მოწმეს იმით აკონტროლებს, რომ უსვამს ზუსტ კითხვებს, რომელთა პასუხებია: დიახ ან არა. თუ მოწმე პასუხების განვრცობას იწყებს, პროკურორმა/ადვოკატმა უნდა სთხოვოს მოსამართლეს, რომ მოწმემ შეწყვიტოს ისეთი პასუხების გაცემა, რომლებიც არაადეკვატურია. იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმე არ პასუხობს თქვენ მიერ დასმულ კითხვას, არამედ ცდილობს უპასუხოს კითხვას, რომელიც მისთვის უფრო მისაღებია, პროკურორმა/ადვოკატმა მას ამის საშუალება არ უნდა მისცეს. პროკურორმა/ადვოკატმა ხელახლა უნდა დასვას იგივე კითხვა და მიუთითოს მოწმეს იმის თაობაზე, რომ კითხვა იმიტომ მეორდება, რომ მოწმემ პასუხს თავი აარიდა. ამგვარად, პროკურორი/ადვოკატი მოწმეს აცნობებს, რომ ის თავს ვერ დააღწევს იმ კითხვებზე პასუხების გაცემას, რომლებსაც პროკურორი/ ადვოკატი დასვამს. ეს ასევე აჩვენებს მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს, რომ მოწმე ცდილობს პასუხებს თავი აარიდოს, რაც მოწმის დამაჯერებლობას აზიანებს.

(4) პროკურორის/ადვოკატის ემოციები

კარგი პროკურორი/ადვოკატი გარკვეულ დონეზე მსახიობიც უნდა იყოს. თუ პირდაპირ ან ჯვარედინ დაკითხვაზე მოწმე იტყვის რაიმე ისეთს, რაც პროკურორის/

ადვოკატის პოზიციას აზიანებს, მან ამასთან დაკავშირებით რაიმე ემოცია არ უნდა გამოხატოს. თუ თქვენ ემოციურად აჩვენებთ, რომ თქვენი პოზიცია დაზიანდა, ამით ჩვენებას კიდევ უფრო საზიანოს ხდით. მეორე მხრივ, თუ არავითარ რეაქციას არ გამოავლენთ, მოსამართლემ/ნაფიცმა მსაჯულებმა შესაძლოა იფიქრონ, რომ ჩვენება არცთუ ისე საზიანო იყო.

როდესაც მოწმე აშკარად ცრუობს, პროკურორი/ადვოკატი სხვების დასანახად უნდა გაღიზიანდეს. ამით მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს აჩვენებთ, თუ რაოდენ უკმაყოფილო ხართ, რომ თქვენ და მათ ატყუებენ. ეს მათ აშკარად დაარწმუნებს იმაში, რომ, თქვენი აზრით, მოწმე ცრუობს. ამ შემთხვევაში ემოციის დამალვამ შესაძლოა მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს აფიქრებინოს, რომ, თქვენი აზრით, მოწმე არ ცრუობდა.

(5) არასოდეს დასვათ ღია დაბოლოების კითხვები

ჯვარედინი დაკითხვის დროს პროკურორი/ადვოკატი ცდილობს დაამტკიცოს გარკვეული ვიწრო მნიშვნელობის საკითხები. თუ პროკურორი/ადვოკატი მოწმეს რაიმეს ახსნას სთხოვს, ამით იგი მოწმის ჩვენებას „ხსნის“ და მოწმეზე კონტროლს კარგავს. არ არის საჭირო იმის თქმა, თუ რას მოიმოქმედებს მოწმე, თუ რაიმეს ახსნის შესაძლებლობა მიეცა. უნდა შეეცადოთ, რომ თქვენ მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის სახით მიიღოთ მხოლოდ „დიახ“ ან „არა“. შესაბამისად, არასოდეს უნდა გამოიყენოთ „რატომ“, „როგორ“, „რა“ და „აგვიხსენით“ კითხვები.

(6) უსმინეთ მოწმის პასუხებს

პირდაპირი დაკითხვის მსგავსად, ზოგიერთ პროკურორს/ადვოკატს წინასწარ აქვს გარკვეული თანმიმდევრობით ჩამოწერილი კითხვები, რომლებიც უნდა დასვას. შემდგომ ისინი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ კითხვების დასმას და ვერ ახერხებენ პასუხებისთვის ყურის დაგდებას. ყურადღება მიაქციეთ მოწმის პასუხებს, რადგან მან შესაძლოა ისეთი რამ თქვას, რაც პროკურორმა/ადვოკატმა აუცილებლად უნდა განავრცოს.

(7) არ დასვათ კითხვები, რომლებზეც პასუხები წინასწარ არ იცით

პროკურორმა/ადვოკატმა კითხვების დასმამდე ამ კითხვებზე პასუხები უნდა იცოდეს. როდესაც პროკურორმა/ადვოკატმა არ იცის პასუხი ან სულ მცირე, არ აქვს კარგი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა იქნება პასუხი, მისი პოზიცია მოწმის პასუხით შესაძლოა ძალიან დაზიანდეს. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევებში ხდება, როდესაც პროკურორს/ადვოკატს მოწმის იმპიჩმენტისათვის ხელმოსაკიდი ჩვენებაში არაფერი აქვს. ასეთ შემთხვევებში იგი უბრალოდ ცუდი პასუხით უნდა დაკმაყოფილდეს.

ეს წესი ასევე პირდაპირ დაკითხვაზეც ვრცელდება. მართლაც, ცუდი პასუხი შეიძლება უარყოფითად აისახოს პირდაპირ დაკითხვაზე. პროკურორმა/ადვოკატმა გამოიძახა მოწმე, რომელიც სასამართლო სხდომაზე აცხადებს, რომ პროკურორმა/ადვოკატმა ეს მოწმე იმიტომ გამოიძახა, რომ მოწმის სწორი ჩვენება მის პოზიციებს გაამყარებს. ამის შედეგად, როდესაც პროკურორი/ადვოკატი იძულებული ხდება საკუთარი მოწმის დისკრედიტაცია მოახდინოს, ეს მოსამართლეზე/ნაფიც მსაჯულებზე

უარყოფით შთაბეჭდილებას დატოვებს. ამასთან, ამ შემთხვევას კარგი ოპონენტი ყოველთვის წარმატებულად გამოიყენებს დასკვით სიტყვაში. წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული წესების მიმართ გარკვეული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. წესებმა შესაძლოა ყოველთვის არ იმუშაოს. ამ წესთან მიმართებაში, მაგალითად, თუ პროკურორი/ადვოკატი სასოწარკვეთილია და მას დასაკარგი არაფერი აქვს, მან გამართლების იმედით შესაძლოა დასვას კითხვა, რომელზეც პასუხი წინასწარ არ იცის.

(7) გასათვალისწინებელი საკითხები ჯვარედინი დაკითხვის წარმოებისას

სასურველი ჩვენების მოპოვება

პროკურორს/ადვოკატს ყოველთვის არ სურს მოწინააღმდეგე მხარის მოწმეებისთვის ზიანის მიყენება. არის შემთხვევები, როდესაც მოწინააღმდეგე მხარის მოწმეებს შეუძლიათ მისი პოზიცია გაამყარონ. საქმის მასალების გაცნობის შედეგად თქვენ შეიძლება იცოდეთ მოწინააღმდეგე მხარის მოწმის ისეთი განცხადების შესახებ, რომელიც თქვენს პოზიციას გაამყარებს და რომელზეც ჯვარედინი დაკითხვის დროს უნდა ისაუბროთ. მაგალითად, თუ გამოძიების სტადიაზე ჩვენების მიცემისას მოწმემ განაცხადა, რომ ძარცვის ღამეს ბანკის წინ ქუჩის განათება გამორთული იყო, ადვოკატმა ეს უნდა წარმოაჩინოს. მნიშვნელოვანია დასკვნითი სიტყვის დროს პროკურორმა/ადვოკატმა მიუთითოს მისთვის სასარგებლო ჩვენებაზე და აღნიშნოს, რომ ის მოწინააღმდეგე მოწმისგან იყო მიღებული.

როდესაც პროკურორს/ადვოკატს გააჩნია მოწმის მიერ ადრე გაკეთებული განცხადებები ან გარკვეული დოკუმენტი, მოწინააღმდეგე მხარის მოწმისთვის კითხვების დასმა უკვე გარკვეულწილად უსაფრთხოა. თუ მოწმე ჩვენებას შეცვლის ან ავთენტური დოკუმენტის საწინააღმდეგოდ ისაუბრებს, ეს მისი იმპიჩმენტის საფუძველი იქნება და მთელი მისი ჩვენება ეჭვქვეშ დადგება.

იმპიჩმენტი არის მოწმის ჯვარედინი დაკითხვის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმატების შემთხვევაში მოწმის ჩვენებაში ეჭვს შეიტანს. ამის მისაღწევად რამდენიმე გზა არსებობს, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული. რამდენადაც ამ ეტაპზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მტკიცებულებებთან დაკავშირებით ძალიან მცირე რაოდენობის მუხლები არსებობს, წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული მაგალითები ამერიკული სასამართლო პრაქტიკიდან იქნება აღებული.

იმ შემთხვევაში, როდესაც არ გაქვთ ადრე გაკეთებული განცხადება ან რაიმე დოკუმენტი, მაგრამ საღი აზრის, ლოგიკის ან მოსალოდნელობის საფუძველზე ვარაუდობთ, რომ მოწმემ გარკვეული განცხადება უნდა გააკეთოს, მართალია, ეს პირველი კატეგორიის მსგავსად უსაფრთხო არ იქნება, მაგრამ ალბათ ცდა მაინც ღირს. მაგალითად, თუ ბანკის ძარცვის საქმეში ბრალდების ერთ-ერთი მოწმე არის პირი, რომელიც მძარცველების ბანკში ყოფნის დროს ბანკში იმყოფებოდა როგორც კლიენტი, სავარაუდოდ, შეგიძლიათ აღიარებინოთ, რომ შეშინებული იყო, როდესაც მძარცველებმა ბანკში იარაღიდან გაისროლეს. როგორც ადვოკატი, თქვენ ცდილობთ წარმოაჩინოთ, რომ იგი საკმარისად შეშინებული იყო იმისათვის, რომ ზუსტი ამოცნობა განეხორციელებინა. თუ იგი ამას უარყოფს, მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები,

სავარაუდოდ, არ დაიჯერებენ მისი ჩვენების ამ ნაწილს და მის დანარჩენ ჩვენებასაც უფრო დიდი ეჭვის თვალით შეხედავენ.

არასასურველი ჩვენების მიღების მინიმუმამდე დაყვანა

ეს ჯვარედინი დაკითხვის ის ნაწილია, როდესაც პროკურორი/ ადვოკატი ცდილობს მოწინააღმდეგე მხარის მოწმის ჩვენება დააზიანოს. არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებზეც პროკურორმა/ადვოკატმა ყურადღება უნდა გაამახვილოს საქმის შინაარსიდან გამომდინარე.

აღქმა

ამ დროს პროკურორი/ადვოკატი ამოწმებს მოწმის შესაძლებლობას დაინახოს, გაიგონოს, იყნოსოს ან გამოიყენოს მისი აღქმის სხვა უნარი, რომელსაც მისი ჩვენება ეყრდნობა. ზემოთ მოცემული შემთხვევები მკვლელობისა და ბანკის ძარცვის შესახებ ამის ორი მაგალითია. კიდევ ერთი მაგალითი შესაძლოა ეხებოდეს იმას, თუ რა მანძილით იყო დანაშაულის ადგილიდან მოწმე დაშორებული ან როგორი განათება იყო დანაშაულის ადგილას. როგორც წინა ქვეთავში იყო აღნიშნული, პროკურორი/ადვოკატი პირდაპირ იმ საკითხზე უნდა გადავიდეს, რომლის დამტკიცებაც სურს. წარმოგიდგენთ ადვოკატის მიერ ბრალდების მოწმის ჯვარედინი დაკითხვის მაგალითს:

კითხვა: თქვენ თქვით, რომ საღამოს 8 საათზე ჭავჭავაძის გამზირზე მიდიოდით, მართალია?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: და ეს 27 იანვარს ხდებოდა?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: გარეთ ბნელოდა?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: თქვენ ჭავჭავაძეზე იდექით, ატენის ქუჩასთან ახლოს, ასეა?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: ამ ადგილას ჭავჭავაძეზე ოთხი შესახვევი შედის თითოეული მიმართულებით, ასეა?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: ასე რომ, თქვენ სულ მცირე 25 მეტრის დაშორებით იყავით იმ ადგილიდან, საიდანაც მძარცველები ბანკიდან გამოიქცნენ.

პასუხი: *მგონი. მასეთი დაშორებით, დიახ.*

კითხვა: და ჭავჭავაძის მეორე მხარეს ქუჩის განათება განთავსებულია კუთხეში, სადაც ჭავჭავაძე და ატენი იკვეთება?

პასუხი: *მგონი.*

კითხვა: და ეს დაახლოებით 7 თუ 8 მეტრით არის დაშორებული ბანკის შესასვლელიდან?

პასუხი: *არ ვიცი, შესაძლოა.*

კითხვა: და როდესაც მძარცველები ბანკიდან გამოიქცნენ, ისინი ჭავჭავაძეზე ატენისგან და შესაბამისად თქვენი პოზიციისგან დაშორებით გაიქცნენ, ასეა?

პასუხი: *დიახ.*

ამ დროს ადვოკატმა მოწმის ჯვარედინი დაკითხვა უნდა შეაჩეროს. მოწმე, სავარაუდოდ, მაინც შეეცდება ამტკიცოს, რომ მის მიერ გაკეთებული ამოცნობა ზუსტი იყო, ასე რომ, აზრი არ აქვს ეცადოთ მას აღიარებინოთ, რომ მას არავის ამოცნობა არ შეეძლო. ყურადღება მიაქციეთ, თუ როგორ მიიწევდა წინ ადვოკატი იმ კითხვების გამოყენებით, რომლებიც თითქოსდა მოწმეს არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა. ეს ისეთი კითხვებია, რომლებთანაც მოწმე პაექრობას ვერ დაიწყებს. თუ მოწმეს სურს ერთი ან ორი მეტრის დისტანციასთან დაკავშირებით იკამათოს, ადვოკატმა შესაძლოა ეს საკუთარი პოზიციის დაზიანებისა და მოწმის თავდაცვითი პოზიციის წარმოჩენის გარეშეც დათმოს. ადვოკატმა ასევე უკვე დაადგინა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მძარცველები ქუჩის სხვა განათებისკენ მირბოდნენ, ისინი მოწმისკენ ზურგით იქნებოდნენ, რაც ამოცნობას შეუძლებელს გახდიდა.

მეხსიერება

პროკურორმა/ადვოკატმა უნდა აჩვენოს, რომ მოწმე ვერ იხსენებს მოვლენას ან მოწმეს იმდენად ცუდად ახსოვს მოვლენა, რომ მის ჩვენებაზე დაყრდნობა არ შეიძლება. ქვემოთ მოცემულია მაგალითი, რომელშიც ბრალდებულის დაცვის თანახმად ბრალდებული არა დანაშაულის ჩადენის ადგილას, არამედ სხვაგან იმყოფებოდა, და გამოძახებულია მოწმე, რომლის ჩვენების თანახმად ბრალდებული მის რესტორანში იმყოფებოდა.

წარმოგიდგენთ პროკურორის მიერ დაცვის მოწმის ჯვარედინი დაკითხვის მაგალითს:

კითხვა: *ქ-ნო თამარ, რამდენი ხანია, რაც რესტორან „მეტეხის ჩრდილში“ მუშაობთ?*

პასუხი: *10 წელი.*

კითხვა: *რესტორანი კარგად მუშაობს, არა?*

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: *ასე რომ, დღეში სულ მცირე 200 კლიენტი გყავთ?*

პასუხი: *დაახლოებით, ზოგჯერ ნაკლები, ზოგჯერ მეტი.*

კითხვა: *დარწმუნებული ვარ კარგი თანამშრომელი ხართ და როგორც ვხვდები, თქვენ ძალიან დაკავებული უნდა იყოთ კლიენტების შეკვეთების მომსახურებით?*

პასუხი: *დიახ, ეს რთული სამუშაოა.*

კითხვა: *ასე რომ, კვირის განმავლობაში 1000-ზე მეტი კლიენტის ნახვა გიწევთ?*

პასუხი: *სულ მცირე მავდენის.*

კითხვა: *და ისინი, სავარაუდოდ, ყველანაირი ტიპის ადამიანები არიან?*

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: *პირდაპირ დაკითხვაზე თქვენ განაცხადეთ, რომ ბრალდებულს არ იცნობდით, ასეა?*

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: *და თქვენი ჩვენების თანახმად, იგი ზრდილობიანი იყო და როგორც მისი ჩაცმულობა აღწერეთ, მას ისევე ეცვა, როგორც თბილისში უამრავი სხვა ადამიანი იცვამს, არა?*

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: მეტი შეკითხვა არ მაქვს, გმადლობთ.

პროკურორმა დაადგინა, რომ მოწმე ბრალდებულს არ იცნობდა, რომ მასთან დაკავშირებით არაფერ განსაკუთრებულს ადგილი არ ჰქონია და რომ კვირის განმავლობაში იგი 1000-ზე მეტ კლიენტს ნახულობდა. ნაკლებად დამაჯერებელია, რომ იგი ამ ერთ პიროვნებას დაიმახსოვრებდა. პროკურორმა არ უნდა დასვას ბოლო შეკითხვა, თუ რატომ ახსოვს მას ბრალდებული, რადგან მას შესაძლოა პასუხი მზად ჰქონდეს. ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოწმემ აღიაროს, რომ იცრუა, როდესაც განაცხადა, რომ ბრალდებული ახსოვდა. დასკვნით სიტყვაში პროკურორი იკამათებს იმის შესახებ, რომ უბრალოდ დაუჯერებელია, რომ მას ბრალდებული დაემახსოვრებინა.

შენიშვნა: თუ ზემოთ აღწერილ შემთხვევაში ადვოკატი დაჰკითხავს თავის მოწმეს, პირდაპირ დაკითხვაზე მან აუცილებლად უნდა ჰკითხოს მას, თუ რატომ დაამახსოვრდა მოწმეს ბრალდებულის რესტორანში ყოფნა.

ჯვარედინი დაკითხვისას მეხსიერების საკითხის წარმოჭრის დროს მნიშვნელოვანია დეტალებში ჩაღრმავება. ბანკის ძარცვის საქმის მაგალითზე, დასასმელი შეკითხვები იქნებოდა: რა ფერის პერანგი ეცვა მძარცველს? რა სისწრაფით მირბოდა იგი? ისევე, როგორც რამდენი ხანი დასჭირდა მას, რათა თავის მანქანამდე მისულიყო? თუ პოლიციამ დაადგინა, სად იდგა მანქანა, დაცვის მხარეს შეუძლია აზომვა განახორციელოს იმის დასადგენად, სწორად აღწერა თუ არა მოწმემ მანძილი. დაცვის მხარეს ასევე შეუძლია ვინმეს დაავალოს მანძილის გარბენა და დროის ჩანიშვნა. თუ მოწმის ჩვენებასა და რეალურ ფაქტებს შორის შეუსაბამობა დადგინდა, ადვოკატს შეუძლია მოწმედ გამოიძახოს პირი, რომელმაც აზომვები ჩაატარა. ამით დადგინდება, რომ ბრალდების მოწმემ კარგად ვერ გაიხსენა, რაც დაინახა, ან კარგად ვერ აღწერა დანაშაულის ჩადენის ადგილი და შესაბამისად,მისი ჩვენების სხვა ნაწილიც შესაძლოა არ იყოს ზუსტი.

აქ პროკურორი/ადვოკატი მოწმის ან მისი ჩვენების დისკრედიტაციას ახდენს, რაც შესაძლოა ჯვარედინი დაკითხვის ყველაზე დრამატული ადგილი იყოს. აშშ-ს პრაქტიკის კლასიკური მაგალითის თანახმად, პროკურორი/ადვოკატი იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ მოწმის ადრინდელი განცხადებები სასამართლო პროცესზე მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ეწინააღმდეგება. თუ ძალიან დიდ შეუსაბამობას აქვს ადგილი, ჩვენებაში ცვლილებების დადგენის შემდეგ პროკურორს/ადვოკატს შეუძლია მოწმეს ჰკითხოს: „*მაშინ ცრუობდით თუ ახლა ცრუობთ?*“ ალტერნატივის სახით, თუ ადრინდელი განცხადება თქვენი მხარისთვის უკეთესია, შეგიძლიათ მოწმეს ჰკითხოთ, დაგეთანხმებოდათ თუ არა, რომ ადრინდელი განცხადება მაშინ გაკეთდა, როდესაც მოვლენები გაცილებით უკეთ ახსოვდა. ამ მიდგომით თქვენ ხაზს არ უსვამთ იმ გარემოებას, რომ მოწმე ცრუობს, არამედ მხოლოდ იმას, რომ ისე კარგად აღარ ახსოვს მოვლენის შესახებ, როდესაც მის შესახებ პირველი განცხადებები გააკეთა.

როდესაც ადრინდელი შეუსაბამო განცხადების საფუძველზე მოწმის იმპიჩმენტს ახორციელებთ, პირველ რიგში. მოწმეს უნდა დაადასტურებინოთ, რომ მან სასამართლო პროცესზე მართლაც ასეთი ჩვენება მისცა. შემდეგ სთხოვეთ მას გაიხსენოს გარკვეულ დროს და ადგილზე მიცემული ჩვენება, სადაც შეუსაბამო განცხადება გაკეთდა. მან შესაძლოა ზუსტი დრო ვერ გაიხსენოს, მაგრამ პროკურორმა/ადვოკატმა უნდა შეძლოს მას დაადასტურებინოს, რომ ადრინდელი განცხადება მას ეკუთვნის. შემდეგ მას ეს განცხადება გადაეცით. ქვემოთ მოცემულია ამ ტექნიკის გამოყენების მაგალითი. ყურადღება მიაქციეთ, თუ როგორ ადასტურებინებს ადვოკატი მოწმეს ადრინდელი ჩვენების მიცემას, შეახსენებს მას ამ განცხადებას და შემდეგ უკვე „აბამს მახეში“.

კითხვა: პირდაპირ დაკითხვაზე ჩვენების მიცემისას თქვენ განაცხადეთ, რომ ბრალდებულისგან 5 მეტრის დაშორებით იმყოფებოდით, მართალია?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: და ეს ჩვენება ზუსტი იყო?

პასუხი: *რა თქმა უნდა.*

კითხვა: და რადგან ასე ახლოს იყავით, ამიტომ ხართ ასე დარწმუნებული თქვენ მიერ მის ამოცნობაში, ასეა?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: ძარცვის დღეს თქვენ ოფიცერმა ნანამ დაგკითხათ?

პასუხი: *სახელი არ მახსოვს, მაგრამ დიახ, მე ქალბატონ პოლიციელს ვესაუბრე.*

კითხვა: და ეს ძარცვიდან მცირე დროის შემდეგ მოხდა?

პასუხი: *დიახ.*

(ამ დროს ადვოკატმა მოწინააღმდეგე მხარეს უნდა გადასცეს ჩვენების ასლი, რომლის გამოყენებასაც აპირებს და მოსამართლისგან მოითხოვოს ნებართვა, რათა მოწმეს მიუახლოვდეს).

კითხვა: მე გიჩვენებთ ოფიცერ ნანას მიერ აღებულ მოწმის ჩვენებას, რომელიც მსურს აღნიშნული იყოს დაცვის მხარის „ა“ ნივთმტკიცებად. ანგარიშის თავში თქვენი სახელია მითითებული, არა?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: და ბოლოში კი თქვენი ხელმოწერაა, არა?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: *თუ შეიძლება ხმამაღლა წაიკითხეთ ჩვენების გაყვითლებული ნაწილი.*

პასუხი: *იმ ადგილიდან, სადაც მამაკაცი დაჭრეს, დაახლოებით 15 მეტრის დაშორებით ვიდექი.*

კითხვა: *მეტი შეკითხვა არ მაქვს.*

თუმცა, ადრეული შეუსაბამო განცხადების საფუძველზე მოწმისათვის იმპიჩმენტის ჩატარებამდე, პროკურორმა/ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევებში აქვს პროკურორს/ადვოკატს ნება დართული სასამართლო სხდომაზე მოწმის დეპონირებული ჩვენების (მიცემული პოლიციისათვის საქმის გამოძიების დროს) წაკითხვის უფლება. თუ იმპიჩმენტის ამ იარაღის გამოყენებას საქართველოში რომელიმე სასამართლოში გადაწყვეტთ, შემოქმედებითად მიუდექით საკითხს, გადახედეთ მოსამართლეთა სახელმძღვანელო პრინციპებს, ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციებს (ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემთხვევაში[51]) და გაითვალისწინეთ არგუმენტების გამოყენება თქვენი პოზიციის გასამყარებლად. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად:

„1. გამოძიების დროს მოწმის დეპონირებული ჩვენების სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, ასევე მისი ჩვენების აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) დასაშვებია, თუ მოწმე გარდაიცვალა, არ იმყოფება საქართველოში, მისი ადგილსამყოფელი უცნობია ან ამოწურულია მისი სასამართლოში წარმოდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა და ჩვენება მიცემული ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოწმე აიძულეს, დაემუქრნენ, დააშინეს ან მოისყიდეს და მიცემულ ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობაა, მხარეს უფლება აქვს, დააყენოს შუამდგომლობა მოწმის ჩვენების საჯაროდ წაკითხვის, ასევე მისი აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენის (დემონსტრირების) თაობაზე ამ მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნის დაუცველად ...“ იმპიჩმენტის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს მოწმის მიკერძოების ან წინასწარი შეხედულებების წარმოჩენა. მაგალითად:

კითხვა: თქვენ ბრალდებულის დედა ბრძანდებით, არა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: და თქვენ, რა თქმა უნდა, თქვენი შვილი გიყვართ, ხომ ასეა?

პასუხი: დიახ.

ისევ და ისევ, პროკურორმა/ადვოკატმა აღარ უნდა იკითხოს, მოიტყუებოდა თუ არა მოწმე თავისი შვილის დასაცავად, რადგან იგი იტყვის, რომ არა. პროკურორი/ადვოკატი ამ შეკითხვაზე პასუხს დასკვნით სიტყვაში გასცემს.

ქვემოთ მოცემულია ნეგატიური მიკერძოების მაგალითი:

კითხვა: თქვენ და ბ-მა მელაძემ გასულ წელს იჩხუბეთ, არა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: და ამ ჩხუბში ბ-მა მელაძემ ხელი მოგტეხათ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ასე რომ, თქვენ ბ-ნ მელაძესთან კარგი დამოკიდებულება არ გაქვთ, ხომ ასეა?

---

[51] სასამართლოს სახელმძღვანელო; ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სახელმძღვანელო პრინციპები; დამტკიცებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ; გამოცემული ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის მიერ 2010 წელი.

ზემოთ მოცემულ მაგალითში ადვოკატმა იმის დემონსტრირება მოახდინა, თუ რატომ იხრება მოწმის ჩვენება ბრალდებულის წინააღმდეგ. კიდევ ერთ სფეროს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც მოწმე სასამართლო პროცესის შედეგით არის დაინტერესებული. ხშირად დაზარალებულს შეაქვს სამოქალაქო სარჩელი, რომელიც მსჯავრდების შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება დაკმაყოფილდეს. დაზარალებულს შემდეგი რამ შეიძლება ვკითხოთ: „*თუ ბ-ნი მელაძე დამნაშავედ იქნა ცნობილი, თქვენ დიდ თანხას მიიღებთ, არა?*“

ასეთი სახის შეკითხვები შეიძლება იმ შემთხვევაშიც დაისვას, როდესაც ერთერთ მხარეს ექსპერტი ჰყავს დაქირავებული. ქვემოთ მოცემულია აშშ-ში ჯვარედინი დაკითხვის ტიპური მაგალითი:

კითხვა: ბ-ნო ექსპერტო, თქვენ ამ საქმეში დაცვის მხარემ დაგიქირავათ, მართალია?

პასუხი: *დიახ.*

კითხვა: დღეს აქ ჩვენების მისაცემად რამდენს გიხდიან?

პასუხი: *მე მაქვს გაფორმებული კონტრაქტი 20000 აშშ დოლარზე პირდაპირ დაკითხვაზე ჩვენების მისაცემად.*

მოწმის აღქმის უნარის შემოწმების მარტივი მაგალითია შემთხვევა, როდესაც მოწმე ბრალდებულს ამოიცნობს და ამტკიცებს, რომ მან საკუთარი ბინიდან დაინახა, თუ როგორ გამორბოდა ბრალდებული ბანკიდან ძარცვის შემდეგ, ხოლო მისი ბინა კი ბანკის შესასვლელიდან 100 მეტრით არის დაშორებული. მოგვიანებით ირკვევა, რომ მას აქვს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემა, მაგალითად, ცუდი მხედველობა (ფიზიკური ნაკლი) და როგორც წესი, სათვალეს ატარებს, რომელსაც სწორედ იმ დროს არ ატარებდა, როდესაც ამტკიცებს, რომ ბანკის ძარცვის დღეს ბრალდებული დაინახა. ამდენად, ფაქტი ადასტურებს, რომ მოწმეს არ შეეძლო მძარცველის ზუსტად და სწორად აღქმა და ამოცნობა, რის შედეგადაც იქმნება მტკიცებულების (მოწმის ჩვენების) დაუშვებლად ცნობის თაობაზე შუამდგომლობის დაყენების საფუძველი. ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოიყენოთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები:

„1. მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მოწმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.

2. თუ მოწმის ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობაა, მხარეს უფლება აქვს, მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ჩვენების (ჩვენებების) დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე.“

საპროცესო შეთანხმება

ეს ის შემთხვევაა, როდესაც მოწმე პროკურორს ურიგდება უფრო მსუბუქი ბრალდების ან ბრალდებასთან თანამშრომლობის საფუძველზე ბრალდების მოხსნის სანაცვლოდ. ადვოკატმა შეთანხმება უნდა გამოააშკარაოს და ამტკიცოს, რომ მოწმემ პროკურორისთვის სასურველი ჩვენების მიცემის სანაცვლოდ საპროცესო შეთანხმება გაიფორმა. ამის ადეკვატურად გასაკეთებლად ადვოკატმა სასამართლო სხდომამდე უნდა მოიპოვოს ბრალდებასა და ბრალდების ყველა მოწმეს შორის შესაძლო არსებული საპროცესო შეთანხმების ასლები. ეს ადვოკატს მისცემს დამატებით საშუალებას მოახდინოს მოწმის იმპიჩმენტი, თუ მოწმის ჩვენება მისი საპროცესო შეთანხმების პირობების თაობაზე მოპოვებული წერილობითი შეთანხმებისგან განსხვავდება. მაგალითი:

კითხვა: ბ-ნო პაატა, 2 თვის უკან თქვენ დამნაშავედ გცნეს ყაჩაღობაში, ასეა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: და ამ მსჯავრდების შედეგად თქვენ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მოგესაჯათ, მართალია?

პასუხი: დიახ.

კითხვა: 5 წელი დიდი დროა, არა?

პასუხი: არც ისე.

კითხვა: თუმცა, იმდენად დიდი, რომ შეთანხმება გააფორმეთ პროკურორთან, რის შედეგად ეს დრო 3 წლამდე ჩამოვიდა, არა?

პასუხი: მე შეთანხმებას მივაღწიე.

კითხვა: და ამ შეთანხმების ფარგლებში თქვენ დღეს სასამართლოში უნდა მოსულიყავით და გეთქვათ, რომ ჩემი კლიენტი, ბ-ნი მელაძე ნარკოტიკების კონტრაბანდისტია, ასეა?

პასუხი: ჩემი შეთანხმების ფარგლებში უნდა მეთქვა სიმართლე იმის შესახებ, რაც მელაძეზე ვიცოდი.

კითხვა: ბ-ნო პაატა, მე გიჩვენებთ დოკუმენტს, რომელსაც აღვნიშნავ, როგორც დაცვის მხარის ნივთმტკიცებას №5, თუ შეიძლება ამ დოკუმენტს გადახედეთ.

პასუხი: კი, ბატონო.

კითხვა: ამ დოკუმენტის ბოლოში თქვენი ხელმოწერაა, არა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: და ეს დოკუმენტი არის წერილობითი საპროცესო შეთანხმება, რომელსაც თქვენ ხელი მოაწერეთ, არა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: და ამ საპროცესო შეთანხმების თანახმად, თქვენი ჩვენების სანაცვლოდ პროკურორი იშუამდგომლებს თქვენი თავდაპირველი სასჯელის ორი წლით შემცირების თაობაზე, ასეა?

პასუხი: ჩემი მართალი ჩვენების სანაცვლოდ, დიახ.

კითხვა: და თქვენი დღევანდელი ჩვენების საფუძველზე თქვენ ციხეში ორი წლით ნაკლებს გაატარებთ, არა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: და იმის თქმის გარეშე, რაც დღეს აქ თქვით, ციხეში კიდევ 2 წელი იჯდებოდით, არა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: რადგან პროკურორმა უნდა გადაწყვიტოს, მოეწონა თუ არა თქვენი ჩვენება იმდენად, რომ სასჯელის შემცირება მოითხოვოს, არა?

პასუხი: არ ვიცი, ჩემს ადვოკატს შეეკითხეთ.

იმპიჩმენტის სხვა სფეროებიც არსებობს. მაგალითად, როდესაც მოწმის მიკერძოების საჩვენებლად პროკურორს/ადვოკატს შეუძლია იმის დემონსტრირება, რომ წარსულში მოწმემ იცრუა, მსჯავრდებული იყო, რომ ჩამოყალიბებული ჰქონდა წინასწარი ცრუ შეხედულებები, მაგალითად, იმ ეთნიკური ჯგუფის, რელიგიის, რასის ან პოლიტიკური პარტიის მიმართ, რომელსაც ბრალდებული ეკუთვნის და სხვა.

სახელმძღვანელოში მოცემული იყო მოწმის ჯვარედინი დაკითხვის ზოგიერთი მეთოდი. როგორც სხვა შემთხვევებში, ეს ამომწურავი სია არ არის. სახელმძღვანელოში ჯვარედინი დაკითხვის მეთოდებია მოცემული, მაგრამ კარგი პროკურორი/ადვოკატი სხვა მეთოდებსაც მოიფიქრებს. ცხადია, ჯვარედინი დაკითხვის ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ასპექტის გამოყენება ყოველი მოწმის წინააღმდეგ ყოველთვის ვერ მოხერხდება, და ზოგიერთ შემთხვევაში კი შესაძლოა ვერც ერთი ზემოთ მოცემული მაგალითი ვერ გამოიყენოთ.

ის, თუ როგორ და როდის ჩავატაროთ მოწმის ჯვარედინი დაკითხვა, არის უნარ-ჩვევა, რომლის განვითარებასაც დრო და პრაქტიკა ესაჭიროება. კარგი პროკურორი/ადვოკატი ჯვარედინი დაკითხვისთვის მზადებისას მოიპოვებს ყველა სახის ინფორმაციას მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების შესახებ. პროკურორმა/ადვოკატმა უნდა სცადოს მოიპოვოს ყველა დოკუმენტი, რათა მოწმის მიერ სიმართლისთვის თავის არიდების შემთხვევაში მისი იმპიჩმენტი შეძლოს. თუ ამას არ გავაკეთებთ, მაშინ პროკურორს/ადვოკატს მოწმის პასუხებთან გამკლავება მოუწევს.

ექსპერტი მოწმის ჯვარედინი დაკითხვა[52]

მოწმე ექსპერტის ჩვენების სქემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჯვარედინ დაკითხვას ექსპერტის დასკვნის საფუძვლად აღებული ფაქტებისა და ვარაუდების გამოსაკვლევად.

ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილმა და თვალსაჩინო ადვოკატმა გერი სპენსმა ერთი მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა ექსპერტების ჯვარედინი დაკითხვის რისკთან დაკავშირებით:

„საქმესთან დაკავშირებული ფაქტებითა და მეცნიერებით მდიდარ გონებაზე უფრო მეტი სიმდიდრე არ არსებობს. მაგრამ მე ექსპერტს გალიაში გამომწყვდეულ ლომს შევადარებ. ჩვენ შეგვიძლია შევიდეთ ამ გალიაში და შევეჯიდოთ ლომს. მაგრამ ის გადავგვყლაპავს. ჩვენ შეგვიძლია ვიდაოთ მთელი დღე და ღამე და მიუხედავად ჩვენი უპირატესი აკადემიური ცოდნისა, ის მოგვიგებს დავას, რადგანაც ეს არის დავა იურისტსა და მეცნიერ ექსპერტს შორის.“

ბატონმა სპენსერმა განაგრძო ჯვარედინი დაკითხვის დროს წარმოშობილი დილემების აღწერით:

„ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა გადაწყვიტონ, თუ ვის დაუჯერონ – ადვოკატს, რომელიც სამართლის ექსპერტია, თუ მოწმეს, რომელიც თავის სამეცნიერო სფეროშია ექსპერტი. გამარჯვებული წინასწარ არის განსაზღვრული. ჩვენ ვამტკიცებთ და ეს დავას ჰგავს. ჩვენ ვაპროტესტებთ და ვყვირით და ეს ასეც ჟღერს – და გამარჯვებული მაინც ექსპერტია. ექსპერტის ცოდნის დაკნინების თანდაყოლილი მიდგომა არსებობს, ჩვენ მიერ ახლახან შეძენილი ცოდნის ჩვენებით“ (მოიგეთ თქვენი საქმე [წმ. მარტინი, 2005]).

ჯვარედინი დაკითხვის ჩატარება წინასწარი მომზადების გარეშე, საკმაოდ სახიფათოა, მაგრამ ზოგადად სიტუაცია რთულდება, როდესაც მოწმე ექსპერტია. ექსპერტი განათლებული ადამიანია, რომელიც გამოცდილია თავისი იდეების დამაჯერებლად გამოხატვაში და ვინც უდავოდ უფრო ერკვევა კონკრეტულ სფეროში, ვიდრე შენ. სიტუაციის გასართულებლად ექსპერტის ჩვენებას შესაბამისი ძალა ენიჭება ნაფიცი მსაჯულების მიერ.

თუმცა არსებობს მიზეზები, თუ რატომ შეიძლება ექსპერტი იყოს ყველაზე დაუცველი მოწმე სასამართლო განხილვისას. პირველ ყოვლისა, ნაფიცი მსაჯულებს

[52] მოცემული მასალა გამოყენებულია სესილ კუჰნე III-ს (*Cecil C. KuhneIII*) სახელმძღვანელოდან „პროცესის მონაწილეთა სახელმძღვანელო ექსპერტი მოწმეების თაობაზე“, ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლება, 2006. ეს მასალები გამოყენებულია ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლებებისა და გარიგებების განყოფილების ნებართვით, მისამართი: *copyright@abanet.org*. იგი შეიქმნა პირველწყაროს რედაქტირებისა და გადამუშავების შედეგად, ქართულ კანონმდებლობასთან და პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და ქართულად თარგმანისთვის ამერიკის იურისტთა ასოციაციის *(ABA ROLI)* მიერ და ეს ცვლილებები არ ასახავს პირველწყაროს ავტორის, სესილ კუჰნე III-ის და არც ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოსაზრებებს. წინამდებარე მასალა მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკებისა და სამართალდამცავი ორგანოების საკითხთა ბიუროს *(INL)* დაფინანსებით.

ყოველთვის პირადად არ აქვთ ურთიერთობა ექსპერტთან, რომელიც უფრო განყენებულია. და კარგად მომზადებულმა ადვოკატმა შესაძლოა საკმარისი ცოდნა მიიღოს ექსპერტის სფეროში და შეეწინააღმდეგოს მის ჩვენებას.

ექსპერტის სანდოობის დადასტურება

მოსამართლემ უნდა განსაზღვროს ის, რომ ექსპერტის ჩვენებას სანდო საფუძველი აქვს განსახილველი მიმართულებით ცოდნისა და გამოცდილების სახით და რომ ჩვენება შეესაბამება წარმოდგენილ ფაქტებს. რადგანაც სასამართლოებს ფართო დისკრეცია აქვთ დაცვით ფუნქციასთან მიმართებით, ექსპერტის ჩვენება შესწავლილ უნდა იქნეს რელევანტურობასა და სანდოობასთან მიმართებით. ექსპერტიზის სფეროები, რომლებიც დასაშვები იყო წარსულში, დაექვემდებარება ყურადღებით შესწავლას, იმაში დასარწმუნებლად, რომ დასკვნა სარწმუნო მეთოდოლოგიას ემყარება. მეთოდოლოგიასა და მის გამოყენებაზე მითითება, ნაცვლად ექსპერტიზის სფეროზე მითითებისა, არსებითი მნიშვნელობისაა.

ჯვარედინი დაკითხვისთვის მომზადება

თქვენ უნდა ისარგებლოთ აღმოჩენისა და საკუთარი კვლევის უპირატესობებით — უნდა მოიპოვოთ თანასწორი საწყისები მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტთან. ექსპერტის ჯვარედინი დაკითხვისთვის თქვენ ძალიან კარგად უნდა გაეცნოთ არა მარტო მტკიცებულებას, არამედ ასევე მოწმის კვალიფიკაციებს.

დაიწყეთ იმის განსაზღვრით, არის თუ არა ეს ექსპერტი კეთილსინდისიერი ან უბრალოდ თავისი სფეროს პროფესიონალი. მოიპოვეთ ექსპერტის თითოეული წიგნის, სტატიის, სამეცნიერო ნაშრომის, თეზისის, დისერტაციისა და მოხსენების ასლები. მოიპოვეთ იმ სასამართლო განხილვების ჩანაწერები, სადაც ექსპერტმა ჩვენება მისცა. მოიძიეთ ექსპერტის სახელი სხვადასხვა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. შეისწავლეთ სასარჩელო განცხადებების ინდექსი შესაბამის სფეროებში. გადაამოწმეთ ექსპერტის პროფესიული სტატუსი შესაბამის ლიცენზიის გამცემ ორგანოებში.

შესაბამის სფეროში მოქმედ ექსპერტებთან კონსულტაციის გავლა არსებითი მნიშვნელობისაა ჯვარედინი დაკითხვისთვის. მოწმე ექსპერტის ფსიქოლოგიური უპირატესობა მნიშვნელოვნად მცირდება, როდესაც თქვენ ისევე ერკვევით იმავე სფეროში. რომელიმე ექსპერტის ან მისი კოლეგების მიერ დაწერილი წიგნების ან სამეცნიერო ნაშრომების გამოყენებით, რომლებიც ეწინააღმდეგება ექსპერტის დასკვნას, თქვენ შეგიძლიათ შეასუსტოთ ექსპერტის პროფესიული იმიჯი.

გამოწვევები ჯვარედინი დაკითხვის წარმმართველისთვის

შეჯიბრებითი სისტემა დიდწილად დამოკიდებულია ჯვარედინი დაკითხვის განმახორციელებელ ადვოკატზე, რომელმაც უნდა გამოააშკარაოს ის ფარგლები, რომლებშიც მისი ჩვენება ჩამოყალიბდა იმ მხარის მიერ, ვინც ის დაიქირავა. ნაფის მსაჯულებს აქვთ უფლება იცოდნენ რეალურად ვინ გასცემს ჩვენებას და ეს მათ რეალურად უნდა გაიგონ ჯვარედინი დაკითხვისას. თქვენ უნდა ეცადოთ, გამოააშკარაოთ ექსპერტის შეცდომები, კვლევასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც ძირითად ხაზად გასდევს ექსპერტის დასკვნას და ექსპერტის განცხადებასა და მის ხელთ არსებული ფაქტების შესაბამისობის ხარვეზი.

მაშინაც კი, როდესაც მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტი გამოიძახეს ექსპერტის სამუშაოში სამეცნიერო ან სხვა ტექნიკური ხარვეზების აღმოსაჩენად, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მიუთითოთ მომწვევის ადვოკატის კონტროლზე, როგორც ამ ხარვეზების განმაპირობებელზე. ნაფიცი მსაჯულებისთვის სასარგებლოა ჰქონდეთ იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენების მიმცემი ექსპერტების წინააღმდეგობრივი ჩვენებებია. თუ თქვენ დაამტკიცებთ, რომ მოწინაღმდეგე მხარის ადვოკატმა ისარგებლა გადაჭარბებული კონტროლით ექსპერტზე, ნაფიც მსაჯულებს ექნებათ არა მარტო ხარვეზების მტკიცებულება, არამედ ასევე ამ ხარვეზების მიზეზების მტკიცებულებები. შედეგები არყევს ექსპერტის კეთილსინდისიერებას.

სარწმუნოობის გონივრული ხარისხი

არ უნდა არსებობდეს ექსპერტის ჩვენების აბსოლუტური დამაჯერებლობის მოთხოვნა. თუმცა, ექსპერტის მხრიდან ახსნის თეორიამ უნდა დააკმაყოფილოს ,,სარწმუნოობის გონივრული ხარისხის'' სტანდარტი. შესაბამისად, თქვენ შეგიძლიათ ჯვარედინი დაკითხვისას ექსპერტს ჰკითხოთ, აქვს თუ არა მის დასკვნას სამეცნიერო, სამედიცინო ან სხვა ტექნიკური დამაჯერებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტანდარტი ვერ ადგენს კონკრეტულ ცნებას, სტანდარტი მოუწოდებს ამ სფეროში ზოგადად აღიარებულ განმარტებით თეორიასთან შესაბამისობისკენ. ექსპერტის მხრიდან დასკვნის დარწმუნებით გადმოცემის შეუძლებლობა არ იმოქმედებს მის დასაშვებობაზე, მაგრამ შეასუსტებს მისი მოქმედების ძალას.

დასკვნის საფუძველი

რადგანაც მტკიცებულება ,,გონივრულად სანდოა'', ექსპერტის დასკვნა შეიძლება გავანდოთ ნაფიც მსაჯულებს. ხშირად ამის განსაზღვრა მოსამართლეებისთვის ძალიან რთულია. ეს მოითხოვს მოსამართლეებისგან შეაფასონ მონაცემი, რომელსაც ისინი არ იცნობენ და ის სფეროები, რომელშიც ისინი არ არიან ექსპერტები. ზოგი სასამართლო ისეთი ლიბერალური იყო ამ სტანდარტთან მიმართებით, რომ ექსპერტს შეეძლო ნებისმიერ საკითხზე ჩვენების მიცემა, თუკი ეს ნაფიც მსაჯულებს დაეხმარებოდა.

ჯვარედინი დაკითხვისას თქვენ შეგიძლიათ ეჭვქვეშ დააყენოთ იმ მონაცემების ვალიდურობა, რომლებსაც ექსპერტი დაეყრდნო. თქვენ შეგიძლიათ ეს გააკეთოთ იმ დოკუმენტური მტკიცებულებების ჩვენებით, რომლებიც ადგენს, რომ ექსპერტის დასკვნებს არ იზიარებენ ამ სფეროს ცნობილი წარმომადგენლები.

თქვენი, როგორც ჯვარედინი დაკითხვის განმახორციელებელი პირის ამოცანაა, განსაზღვროთ, თუ რომელი ფაქტები და რისკები იყო ექსპერტის დასკვნაში ყველაზე მნიშვნელოვანი და შემდეგ ეჭვქვეშ დააყენოთ ჩვენება იმის აღნიშვნით, რომ დასკვნები განსხვავებული იქნება, თუ ფაქტები შეიცვლება ან დამატებითი ფაქტები იქნება ნავარაუდევი. სასამართლომ, მაგალითად, შეიძლება არ დაუშვას ჩვენება თუ არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც გაამყარებდა ჰიპოთეტური კითხვების საფუძველს, რომელსაც ექსპერტი პასუხობდა. და სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ვერდიქტი, თუკი არსებითი ფაქტები, რომელზეც ექსპერტი თავის ჩვენებას ამყარებდა, ეწინააღმდეგებოდა ამ საქმესთან მიმართებით დამტკიცებულ ფაქტებს.

მოწმის დისკრედიტაცია

ჯვარედინი დაკითხვის წარმმართველმა, პირველ რიგში, შესაძლოა მოახდინოს მოწმის დისკრედიტაცია იმის ჩვენებით, რომ ექსპერტი არ არის საკმარისად კვალიფიციური ჩვენების მისაცემად; მაგალითად, ექსპერტს არ გააჩნია სათანადო ცოდნა, უნარი, გამოცდილება, მომზადება ან განათლება. ექსპერტის მოქმედების ზუსტი სფეროს მითითებით თქვენ შეგიძლიათ წარმოაჩინოთ, რომ ესა თუ ის სფერო პირდაპირ შესაბამისობაში არ არის იმ საკითხებთან, რაზეც ექსპერტმა ჩვენება მისცა. ამის წარმოჩენით დასტურდება, რომ მოწმე არ არის საკმარისად კვალიფიციური იმისთვის, რომ როგორც ექსპერტმა ჩვენება მისცეს ამ საკითხზე, ჩვენება შესაძლოა გამოირიცხოს სრულად და სულ მცირე, თქვენ შეამცირებთ მოწმის სანდოობას.

მოწმის დისკრედიტაციის კიდევ ერთი ეფექტური საშუალებაა ექსპერტის დასკვნაში არააკურატულობის მტკიცებულების ან ყალბი ვარაუდები და არაზუსტი ფაქტები, რომლებსაც ეფუძნება დასკვნა. ასევე შესაძლოა სასარგებლო იყოს ამ საკითხების დრამატიზების მთავარი თემა. მაგალითად, შესაძლოა გამანადგურებელი იყოს იმის ჩვენება, რომ ექსპერტი თავის კვლევაში ფოკუსირდა მხოლოდ ერთ სპეციალიზებულ სფეროზე, რომ ექსპერტს ჩვენება აქვს მიცემული მხოლოდ ერთი მხარის სახელით, ან ის, რომ ექსპერტი პროფესიონალი მოწმეა, მაგრამ არა პრაქტიკოსი.

თქვენი საკუთარი ექსპერტი შესაძლოა ძალიან სასარგებლო იყოს მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტის მიერ დასკვნის საფუძვლად გამოყენებული არგუმენტების ან თეორიის არასწორი მომენტების აღნიშვნა და დახმარება ეფექტური ჯვარედინი დაკითხვის მომზადებაში. არ არსებობს მოწინააღმდეგე მხარის ჯვარედინი დაკითხვის მზადების ჩანაცვლების საშუალება.

ეფექტიანი ჯვარედინი დაკითხვის სტილი

სასამართლოს შეუძლია არ დაუშვას ექსპერტის ჩვენება, თუკი ეს ჩვენება არ ეხმარება ფაქტების მკვლევარს. ჩვენებას არ აქვს დამხმარე ფუნქცია, თუ ის კუმულატიურია, ჰიპოთეტურია, სპეკულაციურია ან ნაფიცი მსაჯულების ზოგად ცოდნას ეფუძნება. ჩვენებას არ აქვს დამხმარე ხასიათი ფაქტების დამდგენისთვის, თუკი ის არ ეხმარება ნაფიც მსაჯულებს წინააღმდეგობრივი საკითხის გადაჭრაში.

ყველაზე ეფექტიანი ჯვარედინი დაკითხვა შემოიფარგლება იმ საკითხებით, რაც გამოტოვებულ იქნა პირდაპირი დაკითხვისას. თქვენი ამოცანაა აჩვენოთ, რომ ექსპერტმა გააკეთა შეუსაბამო განცხადებები ან მიკერძოებულია. თქვენ შეგიძლიათ საკმარისი ინფორმაცია მიიღოთ მოწმის მიერ განსამარტავ საკითხზე, რათა უპირატესობაში აღმოჩნდეთ შეუსაბამობასთან, მაგრამ ერიდეთ ექსპერტთან დისკუსიაში შესვლას მის მიერ წამოჭრილ საკითხზე. თქვენი ბრძოლის არენაა სასამართლო დარბაზი — ჩაეჭიდეთ თქვენს უპირატესობებს.

ჯვარედინი დაკითხვის ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია თქვენს პერსპექტივაზე, შეიგრძნოთ მოწმის განწყობები და რეაქცია. თქვენ მკვეთრ უპირატესობას უნდა ფლობდეთ კითხვების დასმისას, ისე რომ მოწმემ ვერ შეძლოს ისეთი ვრცელი ახსნა-განმარტების გაკეთება, რომელიც თქვენ კონტროლს არ დაექვემდებარება. კიდევ ერთი ტაქტიკაა, ეცადოთ დაკითხვის ადრეულ სტადიაზევე ექსპერტისგან „კი“ ან „არა“ პასუხების მიღებას. პასუხებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, როგორც არაამომწურავებისთვის კიდევ ერთი გზაა საზიანო პასუხების თავიდან ასაცილებლად.

სუბიექტური გადაწყვეტილება

თქვენ ასევე უნდა ეცადოთ ექსპერტისგან მოიპოვოთ იმის აღიარება, რომ დასკვნა შეიცავს ზოგიერთ სუბიექტურ შეფასებებს. ნებისმიერ დარგში, რომელიც ითვალისწინებს გადაწყვეტილებების მიღებას, ყოველთვის ჰკითხეთ ექსპერტს ხომ არ ცდება ის, ან არის თუ არა სხვაგვარი ინტერპრეტაცია თანაბრად სანდო. აღიარებების მოპოვებისას, ეცადეთ, გამოიყენოთ ისეთი ფრაზები, როგორიცაა:

„როგორც გონიერი ადამიანი, შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ“... უნდა იყოთ მტკიცე, მაგრამ პატივს სცემდეთ:

კ: თქვენი ღღევანდელი ჩვენება ცდება თქვენი ექსპერტიზის სფეროს, არ მეთანხმებით?

პ: არა, ეს არ შეესაბამება სიმართლეს.

კ: მალე უფრო ვრცლად განვიხილავთ ამ საკითხს, მაგრამ არ მეთანხმებით, რომ თქვენ აბუქებთ გარემოებებს, როდესაც ამტკიცებთ, რომ სიკვდილის მიზეზი დახრჩობაა?

პ: არა, მცირედითაც კი არა.

კ: შესაძლებელია, რომ თქვენ დაეყრდენით იმას, რაც პოლიციის გამომძიებლებმა განგიცხადეს, ნაცვლად იმისა, რომ სამედიცინო დასკვნას დაყრდნობოდით?

პრაქტიკული მინიშნებები ჯვარედინი დაკითხვისთვის

- გამოიყენეთ ბოლო კურსელი სტუდენტების გამოყენების შესაძლებლობა ექსპერტის კვალიფიკაციის, გამოცემების ან წინა ჩვენებების შესწავლის მიზნით. მათ ესმით ეს სფერო და ნაკლებ ძვირად ღირებულები არიან, ვიდრე უკვე პროფესიონალები.
- გაარკვიეთ აქვს თუ არა ექსპერტს რეკლამა და თუ კი, არის თუ არა ეს რეკლამა ვულგარულად ცალმხრივი.
- ჰკითხეთ თქვენს ექსპერტს, რომელიც ჩვენებას არ იძლევა, ამ ექსპერტის შესახებ და თუ საჭიროა, მოიძიეთ დამატებით ინფორმაცია ამ ექსპერტის შესახებ.
- ესაუბრეთ ადვოკატებს, რომელიც წინა საქმეებში ამ ექსპერტის მოწინააღმდეგე მხარეს იყო.
- ეცადეთ გამოიყენოთ თვალსაჩინოებები, რომლებიც გამოიყენეს ექსპერტის ჩვენებისას წინა საქმეებში.

კონსტრუქციული დაკითხვა დესტრუქციული დაკითხვის პირისპირ

კონსტრუქციულ ჯვარედინ დაკითხვას უპირატესობა უნდა ჰქონდეს დესტრუქციულ ჯვარედინ დაკითხვასთან მიმართებით. უფრო გონივრულია გამოყოთ ის საკითხები, რომლებიც ამყარებს თქვენს არგუმენტებს, სანამ ექსპერტის სანდოობის საკითხს დააყენებთ.

გამოკვეთეთ, ხომ არ ეთანხმება ჯვარედინი დაკითხვის ადრესატი ექსპერტი თქვენს ექსპერტს. კონკრეტულად კი, წარმოადგინეთ თქვენი ექსპერტის მიერ გამოყენებული მონაცემები და სხვა საფუძვლები და ჰკითხეთ მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტს, თანაბრად აღიარებენ და ეთანხმებიან თუ არა მას და თქვენს ექსპერტს ამ სფეროს ექსპერტები. დაადგინეთ ექსპერტისთვის დადგენილი შეზღუდვები სასამართ-

ლო განხილვის მოთხოვნებიდან გამომდინარე. თუ ექსპერტს არ სურს დაეთანხმოს საკითხს კონსტრუქციული ჯვარედინი დაკითხვისას, გადადეთ ამ საკითხის განხილვა დესტრუქციული ჯვარედინი დაკითხვისთვის.

ეცადეთ,დასვათ დახურული კითხვები იმისათვის, რომ ექსპერტმა გიპასუხოთ „კი“ ან „არა“ და არ ჰქონდეს საკუთარი პასუხის შემდგომი განვრცობის შესაძლებლობა. თუ კითხვა ნათელი და სამართლიანია, მოწმის მხრიდან განმარტება შესაძლოა ამ არგუმენტისგან გაქცევას დაემსგავსოს. თუკი საკითხი ნაკლებად მნიშვნელოვანია, თქვენ შეგიძლიათ კვლავ სთხოვოთ მოწმეს შემოიფარგლოს პასუხით „კი“ ან „არა“.

შესაბამისი ტონის შესარჩევად, დაიწყეთ საშუალო მნიშვნელობის საკითხით, რასთან დაკავშირებითაც თქვენ საკონტროლო მასალა გაქვთ, როგორიცაა წერილობითი ჩვენება. იმისათვის, რომ მოსამართლემ და ნაფიცმა მსაჯულებმა დააფასონ ის თუ რა ინფორმაციას აწვდით მათ, მიუთითეთ იმ ფაქტებზე, რომლებიც ექსპერტმა არ აღნიშნა თავის ანალიზში. გააკრიტიკეთ და განაგრძეთ. გამოიყენეთ მოკლე კითხვები, ნაცვლად გრძელი, დასკვნითი კითხვებისა.

ექსპერტს არ მისცეთ საშუალება დატოვოს მოწმის სკამი და მიმართოს თვალსაჩინოებებს. თქვენთვის არასასურველია, რომ ექსპერტი წარდგეს საინტერესოდ და დამარწმუნებლად.

ექსპერტის კვალიფიკაციის ეჭვქვეშ დაყენება

დაიწყეთ იმის ჩვენებით, რომ ექსპერტი არ არის კვალიფიციური:

კ: ნება მიბოძეთ დავრწმუნდე, რომ სწორად გავიგე ეს. პირველ რიგში, თქვენ არ ხართ მედიცინის დარგის მეცნიერი, სწორია?

პ: დიახ, მართალია.

კ: მეორე, თქვენ არ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია იმისთვის, რომ განმარტოთ თუ რას გვეუბნება კვლევა?

პ: მართალია.

კ: ანუ თქვენ ეყრდნობით ექიმ მგელაძეს, რომელმაც განმარტა თუ რას ვიგებთ მეცნიერული კვლევიდან?

პ: დიახ.

მტკიცებულებად დაშვებული ინფორმაცია

ექსპერტს შეუძლია თავისი მოსაზრება დაამყაროს ფაქტებს, რომლებთან დაკავშირებითაც მოწმეებმა ჩვენება მისცეს სასამართლო პროცესზე. ეს მოიცავს დოკუმენტებს, თვალსაჩინოებებს, ფაქტებს, მონაცემებსა და დასკვნებს, რომლებიც მოპოვებულია სხვა მოწმეებისგან. ექსპერტმა შეიძლება თავისი დასკვნა დაამყაროს კონკრეტულ ვარაუდებს ან ფაქტებს, რომლებიც სასამართლო განხილვაზე გამოვლინდა ჰიპოთეტური კითხვებით, ან ექსპერტმა გაიგო სასამართლო სხდომაზე დასწრებისას.

თქვენ აუცილებლად უნდა მიუთითოთ თუ რომელ ფაქტებს დაეყრდნო ექსპერტი და რომელი ფაქტები არ გაითვალისწინა დასკვნის გამოტანისას. თქვენ ასევე შეგი-

ძლიათ არ დაეთანხმოთ ექსპერტის დასკვნას არასწორი ან არაადეკვატური ფაქტობრივი ვარაუდების გამოვლენით, ან იმის ჩვენებით, რომ ექსპერტი დასკვნის გამოტანისას დაეყრდნო არასწორ და არაადეკვატურ საფუძვლებს.

როგორც ჯვარედინი დაკითხვის წარმმართველმა, თქვენ უნდა შეცვალოთ ფაქტობრივი გარემოებები იმის განსასაზღვრად, შეიცვლება თუ არა მისი დასკვნა ამ ცვლილების შესაბამისად. თქვენ შეგიძლიათ ჰკითხოთ, მაგალითად, „რას დაასკვნით, თუ X ვარაუდი არ გამართლდა?“. თქვენ ასევე შეგიძლიათ თქვენი ჰიპოთეზა შესთავაზოთ, რომლის სწორად ფორმულირების შემთხვევაში შესაძლებელია თქვენი სასარგებლო განმარტება მიიღოთ.

მაგალითად:

კ:ხომ არ ფიქრობთ, რომ უფრო გონივრული იქნებოდა ნაფიცის მოსამართლეებისთვის თქვენი დასკვნის წარდგენამდე საკუთარი კვლევის ჩატარება, ნაცვლად იმისა, რომ ბრალმდებელს დაყრდნობოდით?

ინფორმაცია, რომელიც არ მიიღეს მტკიცებულებად

ექსპერტები ხშირად აფუძნებენ თავიანთ დასკვნას ისეთ ინფორმაციას, რომელიც სასამართლო დარბაზის გარეთ მიიღეთ ან თუნდაც თქვენ ვარაუდსა და მსჯელობას არ ეფუძნება. უმრავლეს იურისდიქციათა მტკიცებულებითი წესის თანახმად, ეს სხვაგვარად დაუშვებელი მტკიცებულება დაიშვება, თუ ინფორმაცია ისეთია, რომელსაც ამ სფეროში მოქმედი ექსპერტები, როგორც წესი, ეყრდნობიან. ეს კატეგორია მოიცავს ისეთი ტიპის ინფორმაციას, რომელსაც ექსპერტები პროფესიულად ეყრდნობიან დასკვნის ფორმირებისას. მეორე მხრივ, ექსპერტს შეუძლია არ დააფუძნოს საკუთარი დასკვნა სტატისტიკას, რომელიც მომზადდა სასამართლო განხილვისთვის, მაგრამ არ წარმოადგენს დამოუკიდებელი კვლევის ნაწილს; წერილობით ჩვენებას, რომელიც ემყარება დაუსაბუთებელ ვარაუდებს; ან მხარეებისა და მოწმეების ჩვენებას.

თუ სასამართლო აღმოაჩენს, რომ ამ სფეროს ექსპერტები ამ ექსპერტის მიერ გამოყენებულ მტკიცებულებებს ეყრდნობიან ზოგადად, თქვენ მაინც შეგიძლიათ სცადოთ დაადგინოთ, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, დასკვნა არ არის სანდო. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თერაპევტისთვის შეიძლება დასაბუთებული იყოს მისი პაციენტის განცხადებაზე დაყრდნობა, თქვენ, როგორც ჯვარედინი დაკითხვის წარმმართველმა, შესაძლოა ეს განცხადება დაახასიათონ, როგორც არასარწმუნო.

შესწავლილი სამეცნიერო ნაშრომები

სასამართლომ შესაძლოა დასაშვებად მიიჩნიოს შესწავლილ სამეცნიერო ნაშრომებში მოცემული განცხადებები: თუკი ეს ნაშრომი მიჩნეული იქნება სანდო ავტორიტეტად ექსპერტის ჩვენების საფუძველზე, რომელსაც თქვენ ჯვარედინად დაჰკითხავთ, მაშინ ჩანაწერის შესაბამისი ნაწილები შეიძლება მიჩნეულ იქნეს არსებით მტკიცებულებად. ამტკიცეთ, რომ: (1) ექსპერტმა უნდა დაამტკიცოს, რომ სამეცნიერო ნაშრომს აქვს სანდო ავტორიტეტი; (2) სამეცნიერო ნაშრომზე მოწმე ექსპერტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ჯვარედინი დაკითხვისას; და (3) შესაბამისი ნაწყვეტები მას შემდეგ,რაც დასაშვებად მიიჩნევა, შეიძლება გამოქვეყნდეს მტკიცებულებად, მაგრამ არა როგორც თვალსაჩინოება.

როდესაც მოწმე ავტორიტეტულ სამეცნიერო ნაშრომს ეყრდნობა თავისი დასკვ-

ნის ფორმირებისას, თქვენ შეგიძლიათ გამოიკვლიოთ მოწმისთვის ხელმისაწვდომი წყაროები, რომლებიც გამოიყენეს დასკვნისთვის და ასევე ისინი, რომლებიც უარყვეს. თუკი ექსპერტი სამეცნიერო ნაშრომს ავტორიტეტულად აღიარებს, თქვენ შეგიძლიათ ის გამოიყენოთ მოწმისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, მიუხედავად იმისა, მოწმე დაეყრდნო მას თუ არა.

პირადი მიკერძოებისა და ინტერესის გამოაშკარავება

ექსპერტის დისკრედიტაციის გავრცელებული გზაა მიკერძოების, ან პირადი ინტერესის დადგენა იმ მხარესთან მიმართებით, რომელმაც ექსპერტი მოიწვია. მართალია, თქვენ იცით, რომ ექსპერტი დაქირავებული იარაღია, მაგრამ შესაძლოა ნაფიცმა მსაჯულებმა ეს არ იცოდნენ. ამიტომ თქვენ უნდა გამოიკვლიოთ მისთვის გადახდილი საზღაურის შესახებ ინფორმაცია, გადაიხადეს თუ არა საზღაური და ამ ექსპერტის მიერ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ჩვენების მიცემის სიხშირე. თუკი ექსპერტი მუშაობს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, თქვენ შეგიძლიათ მიუთითოთ მიკერძოებაზე ზედმეტი ჩაძიების გარეშეც:

კ: თქვენ ეროვნულ საექსპერტო ბიუროში მუშაობთ, არა?

პ: ნამდვილად.

კ: ეს ბიურო სამთავრობო დაწესებულებაა, არა?

პ: დიახ. რეალურად ეს ბიურო იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

კ: ანუ ყველა, ვინც ბიუროში მუშაობს, იუსტიციის სამინისტროსთვის მუშაობს, არა?

პ: დიახ.

კ: თქვენი ზემდგომი იუსტიციის სამინისტროსთვის მუშაობს?

პ: დიახ.

კ: ვინ არის იუსტიციის მინისტრი?

პ: ...

კ: პროკურორებიც იუსტიციის სამინისტროსთვის მუშაობენ?

პ: დიახ.

კ: ანუ თქვენ და პროკურორებს ერთი ხელმძღვანელი გყავთ?

პ: დიახ.

ექსპერტის მიერ განხილული მასალების გამოქვეყნება

ჯვარედინი დაკითხვის მოხერხებულ ჩამტარებელს შეუძლია აღმოაჩინოს ექსპერტის მიერ შესწავლილი მასალების არასაკმარისობა:

კ: თუკი ფართოდ გადავავლებთ თვალს იმ მასალებს, რომლებიც პროკურორმა გადმოგცათ განსახილველად და იმ მასალებს, რომლებიც თქვენ თვითონ აღმოაჩინეთ, ჩვენ გვექნება მხოლოდ ორი შეკვრა, მართალია?

თქვენი ექსპერტის მომზადება ჯვარედინი დაკითხვისთვის

ახლა როლები იცვლება და თქვენ უნდა დაიცვათ თქვენი ექსპერტი მოწინააღმდეგე ადვოკატის მხარიდან ჯვარედინი დაკითხვისას. მიუხედავად ამისა, თქვენმა ექსპერტმა უნდა შეძლოს სანდო და დამოუკიდებელი მოწმის იმიჯის შენარჩუნება, ვისაც საქმის შედგებთან მიმართებით არანაირი ინტერესი არ გააჩნია. თქვენი ამოცანაა, დაეხმაროთ ექსპერტს გაიაროს ჯვარედინი დაკითხვა მოთმინების დაკარგვის, დასკვნების შეცვლის, თავდაცვით პოზიციაში გადასვლისა და საკუთარი მოსაზრებების გადაფასების გარეშე.

შემდეგი საკითხები უნდა გაითვალისწინოს თქვენმა ექსპერტმა იმისათვის, რომ გაიაზროს ძირითადი წესები და მინიშნებები თქვენი ჩვენების დამარწმუნებელი გავლენის გასაძლიერებლად.

თქვენ უნდა ურჩიოთ ექსპერტს:

- თუ ჰკითხავენ, ესაუბრა თუ არა ადვოკატს საქმესთან დაკავშირებით, მან უნდა უპასუხოს, რომ მათ, რა თქმა უნდა, ისაუბრეს.
- არ წარმოადგინოს დასკვნები იმ სფეროში, რაშიც მას ექსპერტული ცოდნა არ გააჩნია და თავისუფლად გააცნობიეროს თავისი ექსპერტიზის ფარგლები.
- არ დაიწყოს გამოცნობა, არ გადააჭარბოს დასკვნებს და არ შეეშინდეს იმის აღიარება, რომ რაღაც კითხვაზე არ აქვს პასუხი.
- მოამზადოს პასუხები სანამ საუბარს დაიწყებს, გადაამოწმოს თავისი პასუხები იმ ნებისმიერ ჩანაწერთან მიმართებით, რაც მისი ჩვენების შესახებ არსებობს და პასუხის გაცემამდე გააკეთოს პაუზა იმისთვის, რომ თქვენ მოგცეთ პროტესტის გამოხატვის საშუალება.
- არ მისცეს საკუთარ თავს საშუალება კითხვებს გასცეს „კი“ ან „არა“ პასუხები, თუკი ჭეშმარიტების დასადგენად კვალიფიციური პასუხია საჭირო.
- მზად იყოს იმისთვის, რომ ახსნას თავისი ანალიზის თითოეული ნაბიჯი და რა ვადა დასჭირდა თითოეული მოქმედებისთვის.
- მოემზადოს იმისთვის, რომ ახსნას, თუ რატომ არ გამოიყენა შემოწმების კონკრეტული მეთოდოლოგია.
- მზად იყოს იმისთვის, რომ ახსნას, რატომ არ ეთანხმება ამ სფეროში მოქმედ სხვა ავტორიტეტებს.
- თავი აარიდოს რომელიმე წყაროზე როგორც ავტორიტეტულზე მითითებას, არამედ მიუთითოს ამ წყაროზე, როგორც სასარგებლოზე ზოგ სფეროში.
- მზად იყოს მისი საზღაურის განხილვისთვის თავის არიდების გარეშე.

დამაბნეველი კითხვები

თქვენი მოწმე შესაძლოა ელოდოს იმას, რომ მრავალ ჩამჭრელ და დამაბნეველ კითხვას დაუსვამენ.

ეს მოიცავს შემდეგს:

- შერწყმული კითხვები: თუკი ერთი კითხვა მეორე კითხვაში იმალება, მოწმემ უნდა სთხოვოს ადვოკატს ამ კითხვების განცალკევება, სანამ ის პასუხს გასცემს.

- ორმაგი უარყოფა: დაბნევის ალბათობა აშკარაა.
- არასწორი ციტირება ან არასწორი დახასიათება: ეს განსაკუთრებით საზიანოა თუ მოიცავს თავად ამ ექსპერტის წინა ჩვენებას ან გამოცემას. ექსპერტმა უნდა გაასწოროს მცირე შეცდომებიც კი.
- ჩარევა ან დამოუკიდებლად საკმარისი მიზეზები: გავრცელებული ხრიკი კითხვებში შეიძლება მოიცავდეს ჩარევას ან დამოუკიდებლად საკმარის მიზეზს ჰიპოთეტურ კითხვაში. თუკი ზოგი წაყენებული პირობა მნიშვნელოვნად ცდება ფაქტს, ექსპერტმა ეს ადვოკატის ყურადღების ქვეშ უნდა მოაქციოს.
- არასათანადო ჰიპოთეტური კითხვები: ჯვარედინი დაკითხვისას დასმული ჰიპოთეტური კითხვები ხშირად არ შეიცავს საკმარის ინფორმაციას ან ზუსტ ინფორმაციას დასკვნის გასამყარებლად. ექსპერტმა უნდა განაცხადოს, რა აკლია ან ამ ფორმით დასმულ კითხვას ვერ უპასუხებს.
- ზოგადი, ფართო კითხვები: მოწმემ პასუხი უნდა გასცეს ზუსტად, დამაჯერებლად და რაც შეიძლება ლაკონიურად.

პრაქტიკული რჩევები ჯვარედინი დაკითხვისთვის

- რამდენიმე საკითხია, რომლებსაც როგორც კითხვებს პასუხი უნდა გასცეს ექსპერტმა. ექსპერტს უნდა შეახსენოთ, რომ:
- არ არის აუცილებელი, რომ ყველა კითხვას უპასუხოთ და არ იქნება პრობლემა, თუ აღიარებთ, რომ კითხვაზე პასუხი არ გაქვთ.
- ყურადღებით უნდა მოუსმინოთ კითხვას და არ უპასუხოთ, სანამ არ დარწმუნდებით, რომ კარგად გაიგეთ კითხვა.
- არ უპასუხოთ კითხვას, თუ არ ეთანხმებით, სანამ მოსამართლე არ მიიღებს ამის შესახებ გადაწყვეტილებას.
- ნებაყოფლობით არ უნდა გაამჟღავნოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ მოუთხოვიათ.
- უნდა დააკონკრეტოთ მათი კითხვა იმისათვის, რომ გასცეთ ზუსტი და დამაჯერებელი პასუხი.
- კითხვის პასუხად უნდა გასცეთ ფაქტობრივი ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იცით ფაქტები.
- უნდა უპასუხოთ ყველა კითხვას დამაჯერებლად.
- არ უნდა გააზვიადოთ.
- უნდა იყოთ ობიექტური და მიუკერძოებელი.
- არ უნდა მოიტყუოთ.
- არ უნდა გააყალბოთ.
- უნდა იყოთ გონივრული და სამართლიანი.

სიმულაცია სასამართლო განხილვისთვის

ექსპერტისთვის ჯვარედინ დაკითხვასთან დაკავშირებით ნერვიულობის მოსახსნელად თქვენ უნდა ჩაატაროთ ჯვარედინი დაკითხვი სიმულაცია. სიმულაცია წესითაც

და შინაარსითაც უნდა შეესაბამებოდეს იმ წესებსა და მტკიცებულებებს, რომელსაც სასამართლო განხილვისას გამოიყენებენ. თქვენ მაქსიმალურად უნდა ეცადოთ მოწინააღმდეგე მხარის მიმიკების სიმულაციას.

კითხვებიც უნდა დასვათ მაქსიმალურად იმავე სტილში, რასაც მოწინააღმდეგე მხარე იყენებს. ამან შეიძლება თავიდან აგაცილო კითხვის არასწორად გაგების ზოგადი პრობლემები. თქვენ და ექსპერტმა უნდა განიხილოთ ის გზები, რომლითაც მას შეეძლება შეეწინააღმდეგოს კითხვებს პირდაპირი დაკითხვისთვის ნაკლები ზიანის მიყენებით.

ყველა სავარჯიშო ჯვარედინ დაკითხვაში უნდა იყოს „სატყუარა" კითხვები, როგორიცაა, გადაუხადეს თუ არა მოწმეს ჩვენების მიცემისთვის და ხომ არ უსაყვედურა ადვოკატს მოწმისთვის ჩვენების მიცემამდე. თქვენ უნდა შეეცადოთ მოწმის დაბნევასა და აღელვებას ისევე, როგორც ამას შეეცდება მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი სასამართლო განხილვისას.

თქვენ ასევე უნდა მიუთითოთ იმ სფეროზე, რომლებშიც ექსპერტი და მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტი თანხმდებიან. ექსპერტი უნდა გააფრთხილოთ, რომ არ უნდა ელოდოს ხრიკს ყველა კითხვაში და რომ მისაღებია მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან დათანხმება შესაბამის გარემოებებში. ექსპერტმა უნდა აკონტროლოს მღელვარება. თუ ჯვარედინი დაკითხვის განმახორციელებელმა ადვოკატმა შეძლო სიბრაზისა და სარკაზმის წარმოჩენის პროვოცირება, მაშინ მან წარმატებით მოახდინა ექსპერტის ჩვენების დისკრედიტაცია. ექსპერტმა არ უნდა გამოავლინოს გაღიზიანება, მოწყენა, დაღლილობა ან გაოცება. ექსპერტის ამოცანაა გამოავლინოს პროფესიონალიზმი და გონივრული დამჯერებლობა, რომელიც ნაფიც მსაჯულებს დაარწმუნებს იმაში, რომ მან იცის, თუ რაზე ლაპარაკობს.

კონტროლის შენარჩუნება

ექსპერტმა ჯვარედინი დაკითხვის წარმმართველს არ უნდა მისცეს იმის საშუალება, რომ მან „სიტყვები ჩაუდოს პირში", როგორც ამას ეს გამოცდილი ექსპერტი აკეთებს:

კ: არსებობს კარგი არგუმენტი იმის დასადასტურებლად, თუ რატომ არ ჩნდება ეს პირობა თქვენი ძილის დროს, ასეა?

პ: მე არ ვეთანხმები თქვენს დახასიათებას, რომ ეს არ ხდება ხშირად თქვენი ძილის დროს.

ექსპერტმა არ უნდა დაუშვას მისი მთავარი არგუმენტის დაკარგვა:

პ: ფაქტია, რომ მსხვერპლი ეწეოდა ოცდაათი წლის განმავლობაში. და, საბოლოო ჯამში, რისკის გათვლა არ იყო ზუსტი, რადგანაც ბატონი დავითი ებრძოდა მძიმე ათეროსკლეროზს. ეს არის მნიშვნელოვანი ფაქტი ამ საქმეში, მიუხედავად იმისა, თუ რას მივიჩნევთ ჩვენ რისკის მაჩვენებლად.

ჯვარედინი დაკითხვის წარმმართველის კონკრეტულად მიმართულ ენაზე მითითება ეფექტიანი ტექნიკაა:

კ: საიდან დაასკვნით, რომ მსოფლიოში ყველა მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ ხანგრძლივი მწეველობა იწვევს უეცარ სიკვდილს გულის შეტევით?

პ: იმედი მაქვს ნაფიცმა მსაჯულებმა გაიგეს ფრაზა, „მსოფლიოში არ არსებობს

მტკიცებულებები“.

მე არ მითქვამს რომ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. მაგრამ, ვფიქრობ, რომ თუ თქვენ გადახედავთ მტკიცებულებებს ერთიანად, არსებობს დამაჯერებელი კვლევები, რომლებიც მიუთითებს, რომ გრძელვადიანი მწეველობის შედეგები ზრდის მოულოდნელი გულის შეტევით სიკვდილის ალბათობას.

ექსპერტს შეუძლია წარმოაჩინოს საკითხის სირთულე:

კ: არ ვფიქრობ, რომ თქვენი განმარტება ზუსტად ასახავს კვლევას.

პ: ვფიქრობ, რომ ეს ისეთი სახის კვლევაა, რომლის შედეგების ინტერპრეტაცია რთულია.

ზოგადად, ექსპერტი შეიძლება ძალიან ხისტიც იყოს:

პ: თქვენ არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებთ ჩემს ჩვენებას.

ნაფიცმა მსაჯულებმა ძალიან ყურადღებით უნდა მოუსმინონ ამ განმარტებას. მე ვლაპარაკობ გულის შეტევით უეცარ სიკვდილზე და თქვენ საუბრობთ ყველა კარდიოლოგიურ მოვლენაზე. შემაჯამებელი კითხვები ექსპერტს კარგ შესავალს უქმნის პასუხისთვის:

კ: არ მეთანხმებით, რომ მსხვერპლი გარდაიცვალა იმ მიზეზით, რომ მის გულს არ მიეწოდებოდა საკმარისი ჟანგბადით გაჯერებული სისხლი? და შესაბამისად ის დააზრჩვეს?

პ: არა. მე ჩემი სიტყვებით უნდა ავხსნა. მე ამ სიტყვებსაც გამოვიყენებ. ვფიქრობ, რომ ბატონ დავითს ჰქონდა მწვავე ათეროსკლეროზი. ასევე ვფიქრობ, რომ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ მას ჰქონდა ქრონიკული იშემია. ავტოფსიამ აჩვენა, რომ მას ჰქონდა ფიბროზი და გულის მიოკარდიული ინფარქტი, ამიტომაც გარდაიცვალა.

მიკერძოების შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა

ჯვარედინი დაკითხვის განმახორციელებელი ყოველთვის შეეცდება მიკერძოების ჩვენებას. წარმოგიდგენთ კარგ პასუხებს:

კ: თქვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მუშაობთ, არა?

პ: დიახ.

კ: დასაცავი პირი ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მუშაობს, მართალია?

პ: მართალია. მე საექსპერტო პათოლოგიის პროფესორი ვარ უნივერსიტეტში და დასაცავი პირი სამეურნეო ნაწილში მუშაობს, მე მხოლოდ ერთხელ შევხვდი მას, როდესაც ის მოვიდა სალექციო დარბაზში ნათურის შესაცვლელად.

სამეცნიერო ნაშრომების შესახებ კითხვებზე პასუხის გაცემა

მნიშვნელოვანია, რომ თქვენ არასდროს აღიაროთ სამეცნიერო ნაშრომის ავტორიტეტულობა, მიუხედავად ჯვარედინი დაკითხვის განმახორციელებლის მხრიდან ზეწოლისა:

კ: რუბინი პათოლოგიის შესახებ თქვენს სფეროში ბიბლიად ითვლება, ეს ასეა?

პ: ეს პათოლოგიის სახელმძღვანელოა და ფართოდ არის გავრცელებული და აღიარებული.

კ: ეს სახელმძღვანელო აშკარად ავტორიტეტულია, არა?

პ: არა.

კ: თქვენ მას არ მიიჩნევთ ავტორიტეტად.

პ: არა. ყველა სახელმძღვანელო ლიტერატურის შეჯამება და ანალიზია. ესენი ავტორთა მოსაზრებებია. რაღაც საკითხები სწორად არის წარმოდგენილი, სხვები არასწორად.

საზღაურთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემა

იმის აღიარება, რომ საზღაური გადაგიხადეს, ეფექტურია.

კ: თქვენ გადაგიხადეს დაცვის მხარისთვის გაწეული კონსულტაციისთვის, არა?
პ: კი, ასე იყო.

წარმოგიდგენთ შემოსავალთან დაკავშირებულ კითხვაზე კარგი პასუხის ვერსიას:

პ: ჩემი ერთიანი შემოსავალი ნათლად არის წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებზე. არ არის სასიამოვნო პირად შემოსავლების საჯაროდ განხილვა, რადგანაც ადამიანები ამას პირად ინფორმაციად განიხილავენ. ძალიან გამიმართლა, რომ ასეთი სამსახური მაქვს და ეს არის ჩემი შემოსავალი, რომლის მისაღებადაც ძალიან ბევრს ვშრომობ.

სასამართლო განხილვა
(მკვლელობის საქმეებზე)[53]

ქვემოთ მოყვანილი საკითხები ეფუძნება ამერიკის შეერთებული შტატების მართლმსაჯულებაში არსებულ პრაქტიკას და ქართველ მკითხველს შესაძლოა უცხოდ მოეჩვენოს ის უნარები და რეგულაციები, რაც განხილულია ხსენებულ მასალაში, თუმცა, სახელმძღვანელოს შემდგენელთა აზრით, მათი წარმატებით გამოყენება საქართველოში დღეს უკვე შესაძლებელია. უფრო მეტიც, მომავალში საქართველოში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შედეგად, ეს საკითხები უფრო მეტად აქტუალური გახდება ბრალდებისა და დაცვის მხარისთვის.

მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა შესაძლოა უფრო ხანგრძლივად გაგრძელდეს, მეტი გამოხმაურება მოჰყვეს და უფრო მეტი მოწმე იყოს ჩართული, ვიდრე სისხლის სამართლის სხვა სახის საქმეთა შემთხვევაში. თუმცა სისხლის სამართლის სხვა სახის საქმეთა სასამართლო განხილვების ძირითადი პრაქტიკა თითქმის ერთგვაროვანია. მაგრამ მაინც არის რამდენიმე საკითხი, რომელიც განხილვას საჭიროებს.

სასამართლო პათანატომია

პათანატომიის ექსპერტი არის ექიმი, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა სიკვდილის (გარდაცვალების) პროცესებთან დაკავშირებით. სასამართლო პათანატომიის ექსპერტს დამატებითი ცოდნა გააჩნია სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებითაც. სასამართლო პათანატომიის იმ ექსპერტებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან იმუშაონ შტატის იურისდიქციის დონის ფარგლებში, ხშირად სამედიცინო ექსპერტებსაც ეძახიან, თუმცა ტერმინოლოგია სხვადასხვა იურისდიქციაში განსხვავებულია. იშვიათად სამედიცინო ექსპერტს სპეციალიზებულ გამომძიებელს ეძახიან[54], თუმცა ბევრ იურისდიქციაში არსებობენ გამომძიებლები, რომლებიც არჩეული თანამდებობის პირები არიან და არა ექიმები. მეორე მხრივ, ჩვეულებრივ (მაგრამ არა ყოველთვის) სამედიცინო ექსპერტები სასამართლო პათანატომიური ექსპერტიზის სპეციალისტები არიან.

სასამართლო პათანატომიის ექსპერტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სიკვდილის მიზეზის დადგენაში, იკვლევენ დანაშაულით ან სხვა კანონდარღვევის შედეგად გამოწვეულ დაზიანებებს, ასევე სხეულისა და მატერიალური ქსოვილის ნაწილებს ისეთი დანაშაულების შემთხვევაში, როგორიცაა გაუპატიურება. სამედიცინო ექსპერტი ატარებს ავტოფსიას (გვამის გაკვეთას) სახელმწიფოს სახელით და ხშირად უწევს სასამართლოზე ჩვენების მიცემა სიკვდილის მიზეზების შესახებ. იურისდიქციათა

[53] „როგორ გამოვიძიოთ მკვლელობის საქმე“, მაიკლ დ. უიმსი, ჯეკ ბ. რაბინი და ჩარლზ ამბროსი, პირველად გამოიცა ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ. საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2011). თარგმანი, გამოცემა და გავრცელება განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ *(ABA ROLI)* საქართველოს ოფისის მიერ. თარგმნის საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2012). ყველა საავტორო უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის ტექსტის ნაწილობრივი, ან მთლიანი შეცვლა ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლებებისა და გარიგებების განყოფილების წერილობითი თანხმობის გარეშე; მისამართი: 321 *North Clark Street, Chicago, Illinois 60654, USA; el. fosta: copyright@abanet.org.*

[54] ტერმინ „იურისდიქციაში“ მოვიაზრებთ შეიარაღებული ძალების პათალოგიების ინსტიტუტს.

უმეტესობაში განიხილავენ სიკვდილის გამომწვევი მიზეზების ხუთ კატეგორიას:

მკვლელობა, უბედური შემთხვევა, ბუნებრივი გარდაცვალება, თვითმკვლელობა და დაუდგენელი მიზეზი[55]. სასამართლო პათანატომიის ექსპერტებს შეუძლიათ გამოთქვან საკუთარი მოსაზრება ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა სიკვდილის დრო; ხომ არ ჰქონია ადგილი გვამის გადაადგილებას შესაბამისი ორგანოების (ან სხვა პირების) მიერ მის აღმოჩენამდე; რომელი დაზიანება იქნა მიყენებული თავდაპირველად; დაზიანებები სიკვდილამდე იქნა მიყენებული, თუ სიკვდილის შემდეგ; ასევე გამოყენებულ იარაღთან დაკავშირებით.

ჩვეულებრივ სამედიცინო ექსპერტიზის ოფისში გამომძიებლებიც ჰყავთ, რომლებიც მტკიცებულებების მოპოვებაზე/შეგროვებაზე მუშაობენ[56].

მომეტებული საფრთხის მქონე იარაღები

სასამართლო განხილვაზე მარტივი პრინციპი მოქმედებს მომეტებული საფრთხის მქონე იარაღის წარმოდგენასთან/დემონსტრირებასთან დაკავშირებით. მაგალითად, როგორიცაა ცეცხლსასროლი იარაღი. მასთან მოპყრობისას სწორედ ისე იმოქმედეთ, როგორც ზოგადად სახიფათო ნივთს უნდა მოეპყრათ. რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? როდესაც პროკურორი წარადგენს ასეთ ნივთს სასამართლოზე, მისი პოზიციისთვის მნიშვნელოვანია, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა გაათვითცნობიერონ, რომ ეს ნამდვილად სახიფათო იარაღია და შესაძლებელია გამხდარიყო და გახდა კიდეც ადამიანის სიკვდილის მიზეზი. ხოლო დაცვის მხარის პოზიციიდან, თქვენს ინტერესშია, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა არასერიოზულ ადამიანად არ აღგიქვან, და ის, რომ მოსამართლისაგან უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო გაფრთხილება არ მიიღოთ. ამასთან, ნაფიც მსაჯულებს შორის შეიძლება იყვნენ პირები, რომელთაც თავადაც აქვთ ცეცხლსასრული იარაღი, იციან მასთან მოპყრობის წესები და შესაბამისად, არასწორი მოპყრობა მათ აღშფოთებას გამოიწვევს[57].

პროკურორს შეუძლია, რომ ავთენტურობაზე პასუხისმგებლ სამართალდამცავ ორგანოს ოფიცერს სთხოვოს იარაღის შემოწმება, რათა დარწმუნდეს, რომ იარაღი უსაფრთხო რეჟიმშია. ეს პროცედურა სასამართლო განხილვამდე შესრულებულიც რომ იყოს, შესაძლებელია გადამოწმების მიზნით, კიდევ მოითხოვოთ იმავეს შესრულება სასამართლო დარბაზში. შესაბამისად, ოფიცერს შეუძლია დაგიდასტუროთ, რომ სასხლეტი ჩაკეტილია, ანდა ჩამკეტი გააქტიურებულია და სხვ. ეს მოქმედება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ცეცხლსასროლი იარაღის სახიფათოობას. თუკი იარაღის ხელში აღებას აპირებთ, არასოდეს მიმართოთ ის კონკრეტული პიროვნებისაკენ. შესაძლოა უკეთესი იყოს, თუკი იარაღს თავად საერთოდ არ შეეხებით და ამის ნაცვლად

---

[55] ამ საკითხების შესახებ რეკომენდებული საკითხავი ლიტერატურა: Forensic Pathology in Criminal Cases (MICHIE, 3D ED. 2006); Randy L. Hanzlick, et al., Forensic Pathology in Criminal Cases (LEXIS 2000).

[56] Nat'l Inst, of Justice, Death Investigation: A Guide for the Scene Investigator (1999). (თავდაპირველად 1997 წელს დაიბეჭდა სახელწოდებით „სიკვდილის გამოძახების ეროვნული პაიდლაინი").

[57] ზოგიერთი სასამართლოს წესებით სასამართლო დარბაზში იარაღთან მოპყობის უფლება მხოლოდ კანონაღმსრულებელს, მოწმეებსა და ნაფიც მსაჯულებს აქვთ. მსგავს იურისდიქციებში ნივთს მოწმეს ან ნაფიც მსაჯულებს მანდატური უჩვენებს.

შესაბამის მოწმეს სთხოვთ, რომ გაჩვენოთ იარაღის დეტალი, ანდა როგორ მუშაობს კონკრეტული მექანიზმი.

თუკი მნიშვნელოვანია საბრძოლო მასალის კალიბრის გარკვევა, იზრუნეთ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ექსპერტმა მოახდინოს სხვადასხვა კალიბრის პრეზენტაცია. თუკი იარაღი განადგურებულია, მაგრამ ცნობილია მისი მწარმოებელი და მოდელი, მაშინ პროკურორმა იმავე წარმოებისა და მოდელის იარაღის სასამართლო დარბაზში საჩვენებლად მოტანა უნდა უზრუნველყოს.

დაცვის მხარემ უნდა შეისწავლოს იარაღი, განსაკუთრებით კი ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე უნდა იცოდეს განსხვავება რევოლვერსა და ნახევრად ავტომატურ პისტოლეტს, სანადირო (გლუვლულიან) თოფსა და შაშხანას შორის. ასევე გაარკვიეთ რა რაოდენობის ტყვია-წამლის მარაგია მჭიდში. რომელ იარაღს ეძახიან ნაჭდევიან თოფს, რომელს „რევოლვერს“ და რომელს – სანადირო „გლუვლულიან თოფს“. ეს ტერმინები სინონიმები არ არის. ნაფიც მსაჯულთა შორის შესაძლოა აღმოჩნდნენ პირები, რომლებმაც იციან განსხვავება ამ ტერმინებს შორის, შესაბამისად, თუკი ადვოკატი მათ არასწორად გამოიყენებს, მსაჯულების ნდობას დაკარგავს. ამ ტერმინებში გასარკვევად ნებისმიერი ცეცხლსასროლი იარაღის ექსპერტი, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოს ოფიცრების უმეტესობა შეძლებს თქვენს დახმარებას.

ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის არსებობის შემთხვევაში, შეიძლება დაგჭირდეთ ისეთი დამატებითი ცნებების შესწავლა, როგორიცაა: სასხლეტის მოქაჩვის ძალა, ტყვიის გასროლის სიჩქარე (რაც შეიძლება აბსოლუტურად განსხვავებული იყოს თოფისა და ცეცლხლსასროლი იარაღის შემთხვევებში), ნატყვიარის ზომა, ტყვიის კალიბრი და სხვ. ეს პარამეტრები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორივე მხარისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია იარაღის თავდაცვის მიზნით გამოყენებაზე. ასეთი ხასიათის მტკიცებულება შეიძლება ექსპერტი მოწმის გარდა სხვა მოწმემაც მოგაწოდოთ. მაგალითად, ხშირად სამედიცინო ექსპერტები იძლევიან ხოლმე ჩვენებას ტყვიის მიერ გავლილი გზის შესახებ, კუთხეებისა და თვით კალიბრის, ან სიჩქარის შესახებ. ხშირად პათანატომიის სპეციალისტისა და ცეცხლსასროლი იარაღის ექსპერტის ჩვენებათა კომბინაცია საკმაოდ კარგ სურათს ქმნის იმის შესახებ, თუ რა ტიპის იარაღიდან მოხდა გასროლა, ასევე სროლის კუთხის, ჭრილობასა და იარაღს შორის არსებული დაშორების შესახებ.

მოწმეების თანმიმდევრობა

ნაფიცი მსაჯულები მოწმეების სანდოობის ხარისხს აფასებენ. ჩვეულებრივ ამგვარ დასკვნას იმის მიხედვით აკეთებენ, თუ რამდენად ზუსტად გადმოსცემს მოწმე ფაქტებს (სხვა მტკიცებულებებთან მიმართებაში) და რამდენად მზადაა თქვას სიმართლე. დაცვის მხარემ ჩვენებები უფრო შთამბეჭდავი რომ გახადოს, შეუძლია თავად განსაზღვროს რა თანმიმდევრობით გამოიძახოს მოწმეები, ანუ განსაზღვროს მოწმეთა მიერ ჩვენების მიცემის რიგითობა.

თავდაპირველად წარმოგიდგენთ სასამართლო ადვოკატირების ზოგად პრინციპებს მოწმეთა გამოძახების თანმიმდევრობასთან მიმართებაში. ყველაზე ძლიერი მოწმეები დასაწყისში და ბოლოს გამოიძახეთ. ნაკლებად საინტერესო და ნაკლებად გავლენიანი

მოწმეები შუალედში დაჰკითხეთ. თუკი მსგავს საკითხებზე ორი მოწმის ჩვენება უნდა მოისმინოთ, პირველად ძლიერი გამოიძახეთ და ბოლოს სუსტი[58]. მაგალითად, ავიღოთ გაუპატიურების ორი მსხვერპლი. პირველმა დაზარალებულმა მესამედ შეიტანა სარჩელი გააუპატიურების მოტივით, თუმცა პირველ ორ შემთხვევაში გამამართლებელი განაჩენი დადგა. მეორე დაზარალებულს კი უწინ მსგავსი საჩივარი არ აღუძრავს და არსებობს არსებითი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მის ჩვენებას. უმჯობესია, რომ თავდაპირველად მეორე მოწმე გამოიძახოთ. წარმოგიდგენთ კიდევ ერთ მაგალითს: სასჯელის დანიშვნის სხდომაზე დაცვის მხარეს მოწვეული ჰყავს ეკლესიის ორი მსახური, რომლებიც ადასტურებენ, რომ ბრალდებული რეაბილიტაციაზე გასაგზავნად შესაბამისი კანდიდატია, რადგან ამ მიმართულებით უკვე ბევრი ნაბიჯი გადადგა და რომ რეაბილიტაცია ყველაზე კარგად ციხის გარეთ არსებულ პირობებში განხორციელდება. ერთ-ერთი ეკლესიის მსახური სასჯელაღსრულების სისტემაში 15 წლის განმავლობაში მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. შესაბამისად, წარმოდგენილი ორი მოწმიდან უმჯობესია,პირველ რიგში,სწორედ ის გამოიძახოთ, რომელსაც ციხეებში მუშაობის რეალური გამოცდილება აქვს. ასევე კარგია, თუკი სასამართლო განხილვის ყოველ დილას და შუადღეს ძლიერი მოწმის წარდგენით დაიწყებთ. უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატს თავად ჩვენების მიცემის პროცესის კონტროლირება ნაკლებად შეუძლია. კარგია ასევე, თუკი არა მხოლოდ კვირის რომელიმე კონკრეტულ დღეს, არამედ თვითონ კვირასაც საინტერესო და ძლიერი მოწმეებით დაიწყებთ და დაასრულებთ. ამგვარად, მსაჯულს შეეძლება მთელი შაბათ-კვირა იფიქროს ბოლო მოწმეზე, რომელსაც პარასკევს მოუსმინა.

მოწმეების გამოსვლის რიგითობის განსაზღვრისას, კარგი იქნება, თუკი მოიფიქრებთ ნაფიცი მსაჯულების წინაშე გამოსვლის ალტერნატიულ მიდგომებს, იმისათვის, რათა მსაჯულებისათვის უფრო საინტერესო გახადოთ თქვენი პრეზენტაცია. მაგალითად, პროკურორს შეუძლია მოწმეები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გამოიძახოს: რა მოხდა თავიდან, რა მოჰყვა ამას, რა მოხდა მეორე დღეს და სხვ. ცოტა განსხვავებული მიდგომაა, როდესაც საქმეს გამოძიების რიგითობით წარმოადგენთ. ეს ბოლო მიდგომა ძალიან ხშირად გამოიყენება სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმის მოთხრობისას, მაგალითად, პრინციპი „ვინ ჩაიდინა დანაშაული?“ ამ უკანასკნელში ნაფიც მსაჯულს საშუალება აქვს მიჰყვეს მოვლენათა იმ განვითარებას, რომლის თანახმადაც იძიებდა საქმეს გამომძიებელი და ნახოს ძიების დროს ვინ გამოირიცხა, როგორც დამნაშავე. მას შემდეგ, რაც დამნაშავე დადგინდება, პროკურორს შეუძლია წარმოადგინოს დამატებითი მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული.

რა უნდა გავაკეთოთ იმ შემთხვევაში, თუკი სახეზეა ორი მოწმე, რომელთა ჩვენებებიც ურთიერთსაწინააღმდეგოა? ეს საკითხი შესავალ სიტყვაში უნდა ახსენოთ და ასევე უნდა განსაზღვროთ, თუ როგორ მოექცეთ მოწმეს, რომელიც თქვენი პოზიციის საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა. გამოიძახებთ თუ არა მოწინააღმდეგე მხარის მოწმეს, თუ დაელოდებით მოწინააღმდეგე მხარის მიერ ამ მოწმის გამოძახებას. არსებობს ტაქტიკური გადაწყვეტილებები, მაგრამ ასევე არსებობენ ადვოკატები, რომ-

[58] გაფრთხილება: თუკი ორი მოწმე თანაბრად სანდოა, მაგრამ მათი ჩვენებები ერთი კონკრეტული დეტალის გამო არათანმიმდევრულია, თქვენთვის უფრო მისაღები პოზიციის მქონე მოწმე ბოლოს გამოიძახეთ, შესაბამისად, ამ უკანასკნელის ჩვენება წინა მოწმის (შესაძლო შეცდომის) ჩვენების გამოსწორება იქნება.

ლებიც საწინააღმდეგო პოზიციის მქონე მოწმეებს განზრახ იბარებენ პირველ რიგში, შემდეგ კი საკუთარ მოწმეს იძახებენ, რათა პირველის ჩვენებას დაუპირისპირონ.[59]

ყურმოკრული ინფორმაცია (ირიბი ჩვენება) და მოწმეები, რომელთა გამოცხადება სასამართლო განხილვაზე შეუძლებელია

მტკიცებულებათა ფედერალური წესის 804-ე (ბ)მე-(6) მუხლი – „სამართალდარღვევის (დანაშაულის) გამო უფლების ჩამორთმევის შესახებ“ განსაზღვრავს: „განცხადების გაკეთება იმ მხარის წინააღმდეგ, რომელიც მონაწილეობდა, ან დათანხმდა პროცესუალური წესის დარღვევაზე, რაც მიზნად ისახავდა, და რამაც გამოიწვია პოტენციური მოწმის/განმცხადებლის სასამართლოზე მოწმის სახით გამოცხადების შეუძლებლობა, „ყურმოკრული ინფორმაციის შესახებ“ წესის მიხედვით, დაშვებული იქნება და არ გამოირიცხება მტკიცებულების სახით, თუკი პოტენციური მოწმე / განმცხადებელი არ არის ხელმისაწვდომი დაიკითხოს სასამართლოზე მოწმის სახით“.

ბრალდებული, რომელიც კანონდარღვევით, განზრახ ცდილობს ხელი შეუშალოს ჩვენების მისაცემად მოწმის სასამართლოში გამოსვლას, კარგავს შესაძლებლობას დაუპირისპირდეს ამ მოწმეს.[60] საქმეზე აშშ ემერის წინააღმდეგ,[61] სასამართლომ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: „ცნობილია, რომ ბრალდებულის არაკანონიერმა ქცევამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დაპირისპირების კონსტიტუციური უფლების ჩამორთმევა და დაპირისპირების უფლება ჩამოერთმევა ნებისმიერ მოწმესთან, ან პოტენციურ მოწმესთან მიმართებაში, ვისი სასამართლო პროცესზე ყოფნის შეუძლებლობაც ბრალდებულმა არაკანონიერი გზით უზრუნველყო.....უფლების ჩამორთმევის იგივე წესი ვრცელდება ყურმოკრული ინფორმაციის შემთხვევაში (წესი 804 (ბ) (6)).“[62] ემერის საქმეში ბრალდებული ამტკიცებდა, რომ ეს წესები მხოლოდ მაშინ უნდა გავრცელებულიყო, როდესაც საქმე ეხებოდა ისეთ დანაშაულს, რომლის შემთხვევაშიც ბრალდებული დარწმუნებული იქნებოდა, რომ დაზარალებული ჩვენებას მისცემდა. სასამართლომ გადაჭრით უარყო ეს არგუმენტი შემდეგი მოტივით:

„კანონი არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვას განცხადებების შინაარსთან დაკავშირებით, რაც გამორიცხავდა აკრძალვას ყურმოკრული ინფორმაციის მტკიცებულების

[59] ეს გახლავთ შედეგობრივი პრინციპი იმ პრინციპისა, რომელიც ზემოთ იყო გამოყენებული. იხ *Elaine McArdel, Balancing Life and Practice, Law. Wkly. USA, Nov. 2003* (კიდევ ერთი სტრატეგია, რომლის გამოყენებაც სიარცის უყვარს, არის, როდესაც მოწმეების დაკითხვას პირველად მისი პოზიციის საწინააღმდეგო ჩვენების მქონე მოწმის გამოძახებით იწყებს.... „ისმის კითხვა, როდესაც 2 ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მოწმე გვყავს – ერთი, რომელიც თქვენს პოზიციას ამყარებს და მეორე, რომელიც, პირიქით, აუარესებს, როგორ უნდა მოიქცეთ? უმჯობესია, რომ გამოიძახოთ თქვენთვის სასარგებლო მოწმე, ხოლო მეორის გამოძახების საშუალება ბრალდებულს მისცეთ? ანდა ხომ არ ჯობია, რომ მოწმე რომელიც თქვენს პოზიციას აუარესებს, პირველ რიგში დაიბაროთ და შემდეგ გამოიძახოთ მეორე, რათა მან გადაფაროს თქვენთვის არასასარგებლო ჩვენება? სიარსი უპირატესობას მეორე მიდგომას ანიჭებს“) (ადვოკატი ქრისტიან სეარსის ციტირება).

[60] *United States v. Thevis, 665 F.2d 616, 630 (5th Cir. 1982), cert, denied, 459 U.S. 825 (1982); United States v. Emery, 186 F.2d 921, 926 (8th Cir. 1999), cert, denied, 528 U.S. 1130 (2000); Black v. Woods, 651 F.2d 528 (8th Cir.), cert, denied, 454 U.S. 847(1981); United States v. Carlson, 547 F.2d 1346,1359 (8th Cir. 1976), cert, denied, 431 U.S. 914 (1977).*

[61] *Emery, 186 F.2d 921*

[62] იხ. ზემოთ 926 (citata Illinois v. Allen, 397 U.S. 337, 343 (1970)).

სახით გამოყენების შესახებ. ამის ნაცვლად კანონი მოიცავს ზოგად წესს, რომლის თანახმადაც ბრალდებულს არ აქვს უფლება ისარგებლოს ამ უფლებით იმისათვის, რომ დანაშაულებრივი გზით შეაჩეროს მოწმე, ან პოტენციური მოწმე მომავალი ჩვენების მიცემისაგან. ბ-ნ ემერის პოზიციაზე დათანხმება კი სწორედ ამის გაკეთების საშუალებას მისცემდა მას.[63]“

ემერის საქმეზე სასამართლომ ასევე უარყო ბრალდებულის წინადადება იმასთან დაკავშირებით, რომ მანამ, სანამ დაზარალებულის ჩვენებები მტკიცებულების სახით იქნებოდა დაშვებული, უნდა გამართულიყო წინასწარი მოსმენა, რომელიც ტარდება ნაფიცი მსაჯულების დასწრების გარეშე, და სასამართლოს ზუსტი და დამაჯერებელი მტკიცების სტანდარტი უნდა გამოეყენებინა იმის გასარკვევად, ადგილი ჰქონდა თუ არა მისი მხრიდან მოწმის გამოუცხადებლობის ხელშეწყობას. ამის სანაცვლოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ სასამართლოს მიერ მტკიცებულების აღიარება წესის დაცვით განხორციელდა სასამართლო განხილვაზე ნაფიცი მსაჯულების თანდასწრებით, მტკიცების პირობების თანახმად – უფრო ფასეული მტკიცებულების არსებობით – რომ ემერიმ მოკლა ინფორმაციის მომწოდებელი. სასამართლომ მიუთითა, რომ მსგავსი პრაქტიკა იქნა გამოყენებული დანაშაულის თანამონაწილის ჩვენებების აღიარებასთან დაკავშირებით აშშ ბელის წინააღმდეგ საქმეში.[64]

ზოგიერთს მიაჩნია, რომ საქმეში კროუფორდი ვაშინგტონის წინააღმდეგ[65] დაირღვა ემერის აშშ-ს კონსტიტუციით გათვალისწინებული დაპირისპირების უფლება. თუმცა არსებობს ამ მოსაზრების საწინააღმდეგო 2 არგუმენტი: პირველი, კროუფორდმა უარი თქვა გარკვეული ყურმოკრული ინფორმაციის დასაშვებობისათვის „სანდოობის“ ტესტის ჩატარებაზე, რომელიც სასამართლომ „ჩვენების“ ხასიათის ინფორმაციად დაასახელა (როგორიცაა გამოძიების პროცესში პოლიციის ოფიცერთან გაკეთებული განცხადებები). ემერის საქმის შემთხვევაში გაკეთებული განცხადებები – დაზარალებულის მიერ მეგობრისათვის მონათხრობი ამბები – არ შეესაბამება ამ განმარტებას და არ ჩაითვლება „მტკიცებულებად“.[66] მეორე – კროუფორდი დაეყრდნო დოქტრინას „სამართალდარღვევის გამო უფლების ჩამოთმევა“.[67] ასეთი გადაწყვეტილება მიიღო აშშ უზენაესმა სასამართლომ და საოლქო სასამართლოებმა, რომლებიც იხილავდნენ კროუფორდის საქმის ზეგავლენას ამ დოქტრინაზე.[68]

---

[63] იხ. ზემოთ.

[64] იხ. (ციტატა საქმიდან აშშ ბელის წინააღმდეგ – United States v. Bell, 573F.2d 1040,1044 (8th Cir. 1978)).

[65] 541 აშშ. 36 (2004) (ოჰაიო რობერტსის წინააღმდეგ სანდოობის ტესტის მიღების გაუქმება გარკვეული ფორმის ყურმოკრულ ინფორმაციასთან დაკავშირებით უფრო შეზღუდული ყურმოკრული ინფორმაციის ფორმის აკრძალვის სასარგებლოდ).

[66] იხ. ზემოთ.

[67] იხ. 62 გვ.

[68] Davis v. Washington (დევისი ვაშინგტონის წინააღმდეგ) 547 აშშ. 813, 833 (2006) („ვიმეორებთ იგივეს, რაც კროუფორდის საქმესთან მიმართებაში განვიხილეთ..... პირი, რომელიც მოწმის გამოცხადებას ხელს შეუშლის დანაშაულებრივი უფლებით, კარგავს დაპირისპირების კონსტიტუციურ უფლებას“); United States v. Carson, (აშშ კარსონის წინააღმდეგ) 455 F.3d 336,362-66 (D.C. Cir. 2006), c*ert, denied,* 127 შ. Ct. 1351 (2007); nited States v. Montague, 421 F.3d 1099, 1102 (10th Cir. 2005); United States v. Rodriguez- Marrero, 390 F.3d 1,17 (1st Cir. 2004).

დასკვნითი სიტყვა[69]

დასკვნითი სიტყვა ადვოკატის მიერ მოსამართლეზე/ნაფიც მსაჯულებზე შთაბეჭდილების მოხდენის ბოლო შესაძლებლობაა. ამის გამო არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ პროკურორმა/ ადვოკატმა მისი არგუმენტები ლოგიკურად და დამაჯერებლად წარმოადგინოს. პროკურორმა/ადვოკატმა მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს უნდა აუხსნას, თუ რატომ ამყარებს სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი მტკიცებულებები მის მიერ მოთხოვნილ ვერდიქტს.

როგორც პროცესის ყველა სხვა სტადიის შემთხვევაში, დასკვნით სიტყვასაც მომზადება სჭირდება. მართლაც, სასამართლო პროცესის დაწყებამდეც კი პროკურორი/ადვოკატი ჩამოყალიბებული უნდა იყოს იმის თაობაზე, თუ როგორი იქნება მისი დასკვნითი სიტყვა. პროცესის განმავლობაში პროკურორი/ადვოკატი ადგენს მტკიცებულებებს, რომლებიც მის მიერ წინასწარ დაგეგმილ დასკვნით სიტყვას გაამყარებს. ცხადია, თუ სასამართლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად არ წარიმართა, რაც იშვიათად ხდება, პროკურორს/ ადვოკატს დასკვნით სიტყვაში ცვლილებების შეტანა მოუწევს.

თუ პროკურორისთვის/ადვოკატისთვის ყველაფერი კარგად წარიმართა, დასკვნითი სიტყვის მომზადებისას იგი იმავე თემას დაეყრდნობა, რომელიც შესავალ სიტყვაში ჰქონდა გადმოცემული.

თემა

დასკვნითი სიტყვის პირველი ორი წუთის განმავლობაში, როდესაც მოსამართლის/ნაფიცი მსაჯულების ყურადღება მთლიანად თქვენზეა მოპყრობილი, პროკურორმა/ადვოკატმა უნდა წარმოთქვას მისი თემა *(„The Hook“)*. ამ პირველი თუ ორი წუთის განმავლობაში ისე უნდა მიიპყროთ მოსამართლის/ნაფიცი მსაჯულების ყურადღება, რომ მათ თქვენი მოსმენა განაგრძონ. როგორც პროცესის სხვა სტადიებზე აღვნიშნეთ, პირველადი შთაბეჭდილებები ყველაზე ხანგრძლივი დროით რჩება ადამიანის გონებაში. დასკვნითი სიტყვის დაწყება ეფექტური თემის გაჟღერებით წარმოადგენს ძლიერი დაწყების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი:

„შეცდომით ამოცნობა. ეს არის საქმე იმის შესახებ, თუ როგორ ამოიცნო მოწმემ, რომელიც კარგად ვერ ხედავდა, თუ რა მოხდა 14 ივლისის ღამეს, ბრალდებული, რომელსაც ახლა ციხეში ჯდომა ემუქრება იმ დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩაუდენია.“

ან იმავე თეორიის გამოხატვის კიდევ ერთი საშუალება:

„შეცდომით ამოცნობილი ადამიანი. რამდენჯერ ყოფილა, რომ ნაცნობი გვგონებია ვინმე, ხელი დაგვიქნევია და აღმოჩენილა, რომ ვცდებოდით? ეს არის საქმე, სადაც

[69] მომზადებულია დენიელ ლინჰარდტის მიერ „ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ საქართველოს ოფისისათვის. რედაქტირება და თარგმანი განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ.

მოწმეს ეგონა, რომ ვიღაც დაინახა, მაგრამ სინამდვილეში შეცდა, რადგან უდანაშაულო ადამიანი დაადანაშაულა.“

ან სხვა საქმეზე:

„ეს არის საქმე შურისძიების შესახებ. ბრალდებულმა მკვლელობა იმის გამო ჩაიდინა, რასაც მტკიცებულებები ნათლად ადასტურებს.“

„სიძულვილი საშინელი რამ არის; მას პიროვნების დაბრმავება შეუძლია, რის შედეგადაც იგი საშინელ ქმედებებს სჩადის. ამ საქმეში სიძულვილმა ბრალდებულს უდანაშაულო კაცი, ბატონი დავითი მოაკვლევინა იმის გამო, რაც, მისი აზრით, დავითმა მის წინააღმდეგ ჩაიდინა.“

სასამართლო პროცესის სხვა სტადიების მსგავსად, როგორც ხედავთ, „თემის“ გამოყენების დადგენილი წესი არ არსებობს, ასე რომ, პროცესს შემოქმედებითად მიუდექით.

წარსულში ბევრმა პროკურორმა/ადვოკატმა დასკვნითი სიტყვის პირველი წუთები მოსამართლის/ნაფიცი მსაჯულებისთვის მადლობების გადახდაში დაკარგა. ეს ტენდენცია ნელ-ნელა ქრება, რადგან უფრო და უფრო მეტი პროკურორი/ადვოკატი ხვდება, რომ ეს მოსამართლეზე/ნაფიც მსაჯულებზე შთაბეჭდილებას არ ახდენს და ამით ისინი მხოლოდ და მხოლოდ „ძვირფას“ პირველ წუთებს კარგავენ.

იდავეთ!

დასკვნითი სიტყვა არის კამათი. მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს არ სურთ მოისმინონ თითოეული მოწმის ცარიელი ციტირებები, რადგან ისინი უკვე ჩვენების მიცემისას მოისმინეს. დასკვნითი სიტყვის მიზანია ყველა მოწმის ჩვენების ერთმანეთთან დაკავშირება იმის საჩვენებლად, თუ როგორ გამყარდა პროკურორის/ადვოკატის მიერ შემოთავაზებული თეორია. უნდა ახსენოთ მოწმის სახელი, როდესაც მისი ჩვენების იმ ნაწილზე მიუთითებთ, რომელიც თქვენს თეორიას ამყარებს. თუ პროკურორი/ადვოკატი მხოლოდ იმას გადმოსცემს, თუ რა თქვა თითოეულმა მოწმემ, მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს მობეზრდებათ და ისინი შეურაცხყოფილად იგრძნობენ თავს, რადგან მათ უკვე მოუსმინეს აღნიშნულ ჩვენებს. თქვენი ამოცანაა იმის წარმოჩენა, თუ როგორ უკავშირდება ჩვენებების სხვადასხვა ნაწილი ერთმანეთს თქვენი შეხედულებების მხარდასაჭერად. ალტერნატივის სახით, როგორც დაცვის მხარის ადვოკატმა, რომელსაც მტკიცების ტვირთი არ აქვს, თქვენ შესაძლოა უბრალოდ აჩვენოთ, თუ როგორ არ უკავშირდება ერთმანეთს მოწმეთა ჩვენებები პროკურორის თეორიის გასამყარებლად. ეს ისეთი ძლიერი სტრატეგია არ არის, როგორც იმის ჩვენება, რომ ბრალდებული უდანაშაულოა, მაგრამ ხშირად ეს ერთადერთი რამ არის, რისი გაკეთებაც ადვოკატს შეუძლია.

ეფექტურობა

ზოგიერთი პროკურორი/ადვოკატი თავის დასკვნით სიტყვაში საათობით საუბრობს, რის შედეგადაც მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს ძილის განწყობა ექმნებათ. ამის გამო, თუ, საერთო ჯამში, პროკურორი/ადვოკატი ძლიერ განაცხადს გააკეთებს, ის

მაინც ყურადღების მიღმა დარჩება. თუ საქმე უაღრესად რთული არ არის, დასკვნითი სიტყვა 40 წუთზე მეტს არ უნდა გრძელდებოდეს. ამისთვის საჭიროა, რომ დაცვამ სიტყვა ისე მოამზადოს, რომ ყურადღება მნიშვნელოვან საკითხებზე გაამახვილოს. მეტიც, არ გადატვირთოთ მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები საქმეში არსებული უმნიშვნელო დეტალებით, მათ ისინი არ გაახსენდებათ და თქვენ კი რისკზე მიდიხართ, რომ ამ უმნიშვნელო ფაქტების განხილვისას თქვენთვის უმთავრესი არგუმენტები დაიკარგოს.

სტრატეგიულად გასათვალისწინებელი საკითხები

გადახედეთ თქვენ შესავალ სიტყვას. თქვენ მასში გარკვეული აღნიშვნები და თემები გამოიყენეთ. გაიმეორეთ ისინი. თუ თემა ბრალდებულის შეცდომით ამოცნობა იყო, მაშინ ეს თემა უნდა გაიმეოროთ. მართლაც, შეგიძლიათ მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს შეახსენოთ კიდეც, თუ როგორ თქვით შესავალ სიტყვაში, რომ ამას მტკიცებულებები დაადასტურებდა. მაგალითად, „როგორც შესავალ სიტყვაში მოგახსენეთ, ეს არის საქმე შეცდომით ამოცნობის შესახებ. ბ-ნი მელაძე არაკვალიფიციური გამოძიების მსხვერპლია, რადგან ცხადია, რომ სახეზე გვაქვს არადამაჯერებელი ამოცნობა. სამწუხაროდ, პოლიცია საქმის დახურვით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე მისი სწორი გზით გამოძიებით.“

ან სხვა საქმე ბრალდების პერსპექტივიდან, კორუმპირებულ მოხელესთან დაკავშირებით:

„ეს არის საქმე მოხელის შესახებ, რომელსაც საკუთარი ხელი გამოწვდილი ჰქონდა არა ხელის ჩამორთმევის, არამედ სხვების ჯიბეებში ჩაყოფის მიზნით.“

იკამათეთ თქვენი საქმის თეორიაზე

თქვენს შესავალ სიტყვაში მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს თქვენი თეორიის შესახებ მოახსენეთ. ახლა დადგა იმის ახსნის დრო, თუ რატომ დამტკიცდა თქვენი თეორია პროცესზე განხილული მტკიცებულებების მეშვეობით. კონკრეტულ ჩვენებებზე და/ან ნივთმტკიცებებზე მითითებით ჩამოაყალიბეთ ამბავი, რომელიც წარმოაჩენს, რომ თქვენს შესავალ სიტყვაში მოცემული თემა პროცესის მიმდინარეობისას დადასტურდა. ეს მოიცავს სხვადასხვა მოწმის ჩვენებებიდან კონკრეტული ნაწილების მოყვანას. ქვემოთ მოცემულია ამის განხორციელების მოკლე მაგალითი.

კორუმპირებული მოხელის საქმეზე:

„სასამართლომ მოისმინა რამდენიმე მოწმის ჩვენება და ნახა ნივთმტკიცებები, რომლებიც აშკარად ადასტურებენ, რომ მელაძე კორუმპირებულია. სასამართლომ მოისმინა ქ-ნი ნანას ჩვენება იმის შესახებ, თუ როგორ უხდიდა იგი ქრთამს ბრალდებულს რესტორნის გასახსნელად ნებართვის მისაღებად. მან დეტალურად ისაუბრა, თუ როგორ უთხრეს ნებართვის ასაღებად მისვლისას, რომ ბრალდებულისთვის 20000 ლარი უნდა გადაეხადა, თორემ საჭირო ნებართვას ვერასოდეს მიიღებდა. მან სასამართლოს მოახსენა, რომ ეს რესტორანი მისი ცხოვრების ოცნება იყო. მისი განცხადებით, მას შეეძლო ამ თანხის გადახდა, რადგან მისი ბიძა აშშ-ში გარდაიცვალა და გარკვეული თანხა უანდერძა. მისი ჩვენების გასამყარებლად ბრალდებამ წარმოადგინა ნანას საბანკო ჩანაწერები, სადაც ჩანს, თუ როგორ არის 2010 წლის 26 აპრილს 20000 ლარი გატანილი.

ნანას თქმით, მან ბრალდებულს თანხა ნაღდ ფულად გადაუხადა. თქვენ ასევე გიჩვენეს ბრალდებულის საბანკო ანგარიშები, რომლებიც ასახავს 2010 წლის 29 აპრილს 10000 ლარის შეტანის ფაქტს, და როგორც ბანკის წარმომადგენელმა მოწმემ განაცხადა, მისი ბალანსი 1000 ლარს არასოდეს აღემატებოდა.

ბრალდებამ ასევე წარმოადგინა რამდენიმე მოწმის ჩვენება, რომლებმაც ისაუბრეს ბრალდებულის მიერ 2010 წლის აპრილის ბოლოს მათგან განხორციელებული შესყიდვების თაობაზე. ამ შესყიდვების მთლიანი თანხა 9300 ლარი იყო.

სასამართლომ ასევე მოისმინა ლალი ჩალაძის ჩვენება, რომელიც გახლავთ იმ დაწესებულების ბუღალტერი, სადაც ბრალდებული მუშაობდა. მისი განცხადებით, ბრალდებულის თვიური ხელფასი 400 ლარი იყო და მან მისი განცხადების დასტურად დაწესებულების ჩანაწერები წარმოადგინა.

საიდან ჰქონდა ბრალდებულს ამდენი ფული? თუმცა მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს აწევს, ბრალდებულმა, რომელმაც ჩვენება მისცა, ვერავითარი ახსნა-განმარტება ვერ მოიტანა, რაც რაიმე სახის დოკუმენტაციით გადამოწმდებოდა.“

არავის აინტერესებს თქვენი პირადი მოსაზრებები

თქვენი პირადი მოსაზრებები მტკიცებულება არ არის. მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები საქმეს იმის მიხედვით არ გადაწყვეტენ, რომ ერთი ან მეორე მხარე მიიჩნევს, რომ ის მართალია. მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები საქმეს მტკიცებულებების საფუძველზე გადაწყვეტენ. მხარემ უნდა თქვას, რომ მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ბრალდებული ბანკიდან გამოქცეული მძარცველი იყო, ან რომ მტკიცებულებების თანახმად მოწმე ვერ შეძლებდა იმ პირის ამოცნობას, ვინც ბანკიდან გამორბოდა.

გამოიყენეთ ნივთიერი მტკიცებულებები

ადამიანების უმრავლესობა ინფორმაციას თვალებისა და ყურების მეშვეობით აღიქვამს. ფსიქოლოგიური ექსპერიმენტებით დამტკიცებულია, რომ ადამიანები ორჯერ უფრო მეტ ინფორმაციას იმახსოვრებენ, თუ ამ ინფორმაციას ერთდროულად როგორც სმენის, ისე დანახვის გზით იღებენ. თქვენ უნდა გამოიყენოთ პროცესის განმავლობაში მტკიცებულებებად დაშვებული ნივთმტკიცებები დასკვნითი სიტყვის დროს. თუმცა, პროცესზე დაუშვებლად ცნობილი ნივთმტკიცებების, ან იმ ნივთმტკიცებების გამოყენება, რომელიც არ იქნა გამოკვლეული სასამართლო გამოძიების დროს, ვერდიქტის საფუძველი ვერ იქნება.

ვიზუალური მტკიცებულებების გამოყენება უფრო საინტერესოს ხდის პროკურორის/ადვოკატის გამოსვლას მოსამართლის/ნაფიცი მსაჯულების თვალში. ნივთმტკიცებების გამოყენება შესაძლებელია მოვლენათა ქრონოლოგიის, ძირითადი ფაქტების, ფულის მოძრაობის კალკულაციების წარმოჩენისა და მრავალი სხვა დანიშნულებით, რომლის მნიშვნელობის ხაზგასმაც პროკურორს/ადვოკატს სურს მოსამართლის/ნაფიცი მსაჯულებისთვის.

როდესაც ნივთმტკიცებებზე ისაუბრებთ, ყურადღება მათკენ უნდა გქონდეთ მიპყრობილი. თუ ნივთმტკიცებებს მათი განხილვის შემდეგ ან მანამდე გამოამჟღავნებთ, თქვენ აღარ მოგისმენენ, რადგან მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები ყურადღებას ნივთმტკიცებებზე გადაიტანენ. დაფარეთ ნივთმტკიცებები მანამ, სანამ მათზე საუბარს დაიწყებთ, ხოლო მათი გამოყენების დასრულებისთანავე თვალთახედვის არეს მოაცილეთ.

დასვით რიტორიკული კითხვები

რიტორიკულია კითხვა, რომელსაც პიროვნება სვამს, მაგრამ მასზე პასუხს არ მოელის. მსმენელისთვის პასუხი კითხვიდან გამომდინარე ნათელი უნდა იყოს. ასეთი სახის კითხვები შესაძლოა გამოყენებული იყოს თქვენ მიერ მოწინააღმდეგე მხარის პოზიციაში ძირითად ნაკლოვანებებზე ყურადღების გასამახვილებლად. მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები ამ კითხვებს სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას პასუხს ვერ გასცემენ, მაგრამ პროკურორის/ ადვოკატის მიზანია ისინი მათ მეხსიერებაში დარჩეს. ქვემოთ მოცემულია ორი მაგალითი, ერთი ბრალდების, ხოლო მეორე დაცვის მხარის პერსპექტივიდან.

„ამ საქმეში ბრალდებულმა ღამის 2 საათზე მანქანით გაიარა იქ, სადაც ორი კვარტალის იქით პოლიციამ დააპატიმრა ერთი მამაკაცი, რომელსაც 20 კილოგრამის წონის 5 შეკვრა ჰეროინი აღმოაჩნდა. ბრალდებული კალატოზია, მაგრამ თავის მანქანაში აღმოაჩნდა კონვერტი, რომელშიც 20000 აშშ დოლარი იდო. საიდან აქვს კალატოზს ამხელა თანხა დროის ამ პერიოდში? რატომ იქნებოდა ამავე კაცის მანქანის უკანა სავარძელზე ჰეროინის კვალი აღმოჩენილი, თუ იგი ნარკოტიკების ბიზნესში არ იქნებოდა ჩართული და გაყიდვაც სულ ახალი განხორციელებული არ ექნებოდა?“

„სად არის მკვლელობის იარაღი? თუ ბრალდების თანახმად ბ-მა მელაძემ მართლაც მოკლა ნანა, ვერ შეძლებდა პოლიცია იარაღის პოვნას მის სახლში, მანქანაში ან სადმე სხვაგან, სადაც იგი იმყოფებოდა? ჰკითხეთ საკუთარ თავს, თუ რატომ ვერ მოიყვანა ბრალდებამ ერთი მოწმეც კი, რომელიც იტყოდა, რომ ბ-ნი მელაძე იმავე ოთახში იმყოფებოდა, სადაც ნანა მოკლეს. როდიდან გახდა დანაშაულის ჩადენის მიდამოებში ყოფნა დანაშაული?“

გამოიყენეთ ანალოგიები ან ამბები

ზოგჯერ საქმეში დანაშაულის პირდაპირი მტკიცებულებები არ არსებობს. პირდაპირია მტკიცებულება, როდესაც ვინმეს შეუძლია განაცხადოს, რომ დაინახა ბრალდებული, თუ როგორ ტოვებდა იგი მოწმის სახლს მისი (მოწმის) ნივთებით. ზოგჯერ მხოლოდ ისეთი მტკიცებულებები არსებობს, რომლებსაც ირიბი მტკიცებულებები ეწოდება. ირიბია მტკიცებულება, როდესაც სახეზეა ფაქტები, რომლისგანაც მოსამართლემ/ნაფიცმა მსაჯულებმა დასკვნა უნდა გამოიტანონ. მაგალითად, ქურდობის მსხვერპლს განსაკუთრებულად უჩვეულო ქურთუკი ჰქონდა და იგი სახლში დიდი რაოდენობით ნაღდ ფულს ინახავდა. ერეკლეს, რომელიც წლების განმავლობაში უმუშევარი იყო, დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი. იგი ქურდობიდან მეორე დღეს დაინახეს, თუ როგორ ხარჯავდა უამრავ ფულს და როგორ იყო გამოწყობილი დაზარალებულის ქურთუკში.

მოსამართლის/ნაფიცი მსაჯულებისთვის იმის საჩვენებლად, თუ რაოდენ ძლიერი მტკიცებულებები არსებობს საქმეში, პროკურორმა შესაძლოა ანალოგია გამოიყენოს და განაცხადოს:

„ეს საქმე იმ სიტუაციას წააგავს, როდესაც დაძინების დროს ცა მოწმენდილი იყო და დღეების განმავლობაში არ უწვიმია. დილით გაღვიძებისას კი აღმოაჩენთ, რომ ირგვლივ ყველაფერი სველია და ხეებიდანაც კი წყალი წვეთავს. თქვენ არ გინახავთ როგორ გაწვიმდა, მაგრამ სრულიად დარწმუნებული ხართ, რომ ღამის განმავლობაში იწვიმა.“

ამტკიცეთ თქვენი ძლიერი მხარეები

ეს ბრალდებისა და დაცვის მხარეს თანაბრად ეხება. ცხადია, რომ პროკურორის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მას აკისრია და მან უნდა ამტკიცოს ბრალდებულის დამნაშავეობა და არა ის, რომ ბრალდებულის ახსნა-განმარტებები საღ აზრს არის მოკლებული. ორივე მხარესთან მიმართებაში გაცილებით დამაჯერებელია, თუ აჩვენებთ, რატომ ხართ მართალი, ვიდრე იმაზე მიუთითებთ, რომ მეორე მხარე ცდება. როდესაც ყურადღებას მხოლოდ მეორე მხარის სისუსტეზე ამახვილებთ, იმის შთაბეჭდილებას ქმნით, რომ თქვენი მხარე სუსტია. ადვოკატს ამის გაკეთება მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლია, როდესაც მას არავითარი დამადასტურებელი მტკიცებულება არ აქვს. ამ შემთხვევაში იგი აღნიშნავს, რომ, როგორც ბრალდებულის წარმომადგენელს, მას არაფრის მტკიცება არ სჭირდება, და რომ მტკიცების ტვირთი ბრალდებას აკისრია. ეს არის სუსტი დაცვის პოზიციიდან თავის დაძვრენის გზა. გახსოვდეთ, როგორც წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა წესებთან მიმართებაში, ადვოკატმა უნდა გადაწყვიტოს, როდის უნდა გამოიყენოს ისინი და როდის არა.

გაუმკლავდით სისუსტეებს

არ იფიქროთ, რომ თქვენს პოზიციაში არსებულ სისუსტეებს გაექცევით. თქვენი მოწინააღმდეგე მხარე მათზე ნამდვილად გაამახვილებს ყურადღებას. ორი ძირითადი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ უნდა მოახდინოთ რეაგირება თქვენს სისუსტეებზე: პირველ რიგში, მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები პრობლემას თქვენთვის მისაღები პერსპექტივიდან აღიქვამენ. ამას პოლიტიკოსები „თქვენთვის სასურველი კუთხით დანახვას“ უწოდებენ.

ეს წესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროკურორების შემთხვევაში, რადგან ისინი პირველები გამოდიან და როდესაც დაცვის მხარე ამ საკითხებს თავის დასკვნით სიტყვაში შეეხება, მათ მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს ეს საკითხები საკუთარი თვალით უნდა დაანახონ. თუმცა, სისუსტეებს დაცვის მხარეც უნდა გაუმკლავდეს. ადვოკატის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივი მისი დამაჯერებლობაა. სისუსტის აღიარებით ადვოკატი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ იგი გულწრფელი ადამიანია, რომლის ნდობაცა და დაჯერებაც შეიძლება. თუ მოსამართლე/ნაფიცი მსაჯულები ფიქრობენ, რომ თქვენი ნდობა შეიძლება, იმედია ისინი მოვლენათა განვითარების თქვენს ვერსიასაც გაიზიარებენ. მაგალითად,

„მართალია, რომ ბ-ნი გელაშვილი იმ მანქანას მართავდა, სადაც ნარკოტიკები აღმოაჩინეს, მაგრამ თქვენ მისგან მოისმინეთ, რომ იგი გულკეთილი ადამიანია, რომელიც თავის მანქანას ხშირად სხვებს ათხოვებს ხოლმე. ნარკოტიკები მანქანის საბარგულში იყო და ვინ იცის, რამდენი ხანი? ადამიანები საბარგულს არ ამოწმებენ, სანამ მანქანაში ჩასხდებიან. ნარკოტიკები იქ ვიღაც სხვამ ჩადო, რომელიც ბ-ნი გელაშვილის მანქანის თხოვებასა და ნარკოტიკების დანიშნულების ადგილზე მიტანას მოგვიანებით გეგმავდა. ამავე დროს,ამ პიროვნებამ იცოდა, რომ ნარკოტიკებთან ერთად ვერ დაიჭერდნენ.“

თუ თქვენს პოზიციაში ძლიერი მხარეებიც არსებობს, თქვენი სისუსტის ახსნა-განმარტება დასკვნითი სიტყვის შუაში უნდა გაკეთდეს. როგორც სასამართლო პრო-

ცესის სხვა სტადიებზე, თქვენი დასკვნითი სიტყვა უნდა დაიწყოთ და დაასრულოთ ძლიერად!

ამტკიცეთ კანონის ნორმები და დაუკავშირეთ ფაქტები როგორც არგუმენტებს, ისე ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციებს

ამტკიცეთ კანონის ნორმები, რომლებიც თქვენს პოზიციას ეხმარება და ამ პროცესს ფაქტები დაუკავშირეთ. ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები ხშირად კანონის ყველაზე ნათელი განმარტებებია, რომელთაც მოსამართლე ნაფიც მსაჯულთათვის გააკეთებს და რომელთაც შესაბამისად უდიდესი წონა და ავტორიტეტი აქვს. მოახდინეთ მათი ციტირება და გამოხატეთ ისინი სხვა სიტყვებით. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეთა უმრავლესობა ნებას არ დაგრთავთ ინსტრუქციის ზუსტი ტექსტის შემცველი სლაიდი ან ცხრილი წარადგინოთ, შექმენით „ფაუერ ფოინთის“ სლაიდები ან ცხრილები ნაფიცი მსაჯულებისათვის დასკვნით სიტყვაში განსახილველად, რომლებიც თქვენი არგუმენტებისა და პოზიციის მხარდამჭერი ინსტრუქციების ზუსტ „პერიფრაზირებას“ მოახდენს.

დასკვნითი სიტყვის ორგანიზება

დასკვნითი სიტყვა ზოგადად გარკვეულ ორგანიზებას ექვემდებარება, თუმცა ეს შესაძლოა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე იცვლებოდეს.

ა. თემა.

ბ. საკითხი (რა უნდა დამტკიცდეს მოქმედი კანონების შესაბამისად, რათა ბრალდებული დამნაშავედ იყოს ცნობილი).

გ. რა მოხდა სინამდვილეში და მტკიცებულებები, რომლებიც თქვენს თეორიას ამყარებს. ეს უნდა მოიცავდეს თქვენი მოწმეების ჩვენებას, ნივთმტკიცებებს, მოწინააღმდეგე მხარის მოწმეთა აღიარებებს და საღ აზრსა და შესაძლებლობებზე მითითებებს.

დ. ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, თუ რატომ არის მეორე მხარის პოზიცია სუსტი. მაგალითად, აჩვენეთ, თუ სად ვერ შეძლეს მტკიცებულებებმა ბრალდებულის ბრალის წარმოჩენა. ეს მოიცავს მეორე მხარის მოწმეების ჩვენებებზე იერიშის მიტანას და სავარაუდოდ, რიტორიკული შეკითხვების გამოყენებას. სიტყვის ამ ნაწილის დასაწყისში თქვენი პოზიციის სუსტ მხარეზეც ისაუბრეთ. თუ ბრალდებულს დაცვის პოზიცია არ წარმოუდგენია, პროკურორს ამის კომენტირება არ შეუძლია, რადგან ასეთი კომენტარი პროცესუალური დარღვევა იქნება. ბრალდებულს სასამართლო პროცესზე არასოდეს არაფრის გაკეთება არ ევალება, რადგან მისი ბრალის დამტკიცება მხოლოდ და მხოლოდ პროკურორის მტკიცების ტვირთია.

ე. განიხილეთ მტკიცების ტვირთი და ის, თუ როგორ გასწია ან ვერ გასწია ის ბრალდებამ (ნარკოტიკების ზემოთ მოცემული საქმის მაგალითზე ამტკიცეთ, რომ ბრალდებას უნდა დაემტკიცებინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკებს შეცნობით ფლობდა, თუმცა ბრალდებამ ეს ვერ შეძლო). მიუთითეთ, რომ პროკურორმა უნდა დაამტკიცოს დანაშაულის ყოველი ელემენტი და დამნაშავის ვინაობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, და თუ რატომ ვერ გასწია მან ეს ტვირთი ყოველ ფაქტთან მიმართებაში, ან რომ ვერ დაამტკიცა თქვენი კლიენტის ბრალეულობა.

ვ. მოითხოვეთ თქვენთვის სასურველი ვერდიქტი. პროკურორის შემთხვევაში ეს

იქნებოდა ბრალდებულის ყველა პუნქტით დამნაშავედ ცნობა. ადვოკატს შეუძლია მოითხოვოს ყველა პუნქტით უდანაშაულოდ ცნობა. თუმცა, ადვოკატს სხვა ვარიანტებიც აქვს, როგორიცაა უდანაშაულოდ ცნობა ზოგიერთ პუნქტთან მიმართებაში, ან დამნაშავედ ცნობა უფრო მსუბუქი ბრალდებით. მაგალითად, ეს შესაძლოა მოხდეს საქმეში, სადაც ნათელია, რომ ბრალდებულმა დაზარალებული მოკლა, მაგრამ დაცვის მტკიცებით ეს იყო არა განზრახ მკვლელობა, არამედ აფექტურ მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაული, როდესაც ბრალდებულმა დაზარალებული ბრალდებულის მეუღლესთან ერთად დაინახა.

ზ. საბოლოო დასკვნითი სიტყვის დროს თქვენ უკანასკნელად გეძლევათ შესაძლებლობა მიმართოთ სასამართლოს/ნაფიც მსაჯულებს. დახარჯეთ დრო გასაგები, მოკლე და გონივრული პრეზენტაციის მოსამზადებლად, რადგან სწორედ მომზადებაზეა დამოკიდებული თქვენი წარმატება.

დასკვნითი სიტყვა[70]
(მკვლელობის საქმეებზე)

ქვემოთ მოყვანილი საკითხები ეფუძნება ამერიკის შეერთებული შტატების მართლმსაჯულებაში არსებულ პრაქტიკას და ქართველ მკითხველს შესაძლოა უცხოდ მოეჩვენოს ის უნარები და რეგულაციები, რაც განხილულია ხსენებულ მასალაში, თუმცა, სახელმძღვანელოს შემდგენელთა აზრით, მათი წარმატებით გამოყენება საქართველოში დღეს უკვე შესაძლებელია. უფრო მეტიც, მომავალში საქართველოში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შედეგად, ეს საკითხები უფრო მეტად აქტუალური გახდება ბრალდებისა და დაცვის მხარისთვის.

ამ ეტაპამდე მოსასვლელად დასაწყისიდან დასასრულამდე სანდოობის საკითხი უკვე ყველაფერი გააკეთეთ. წინასწარ მოამზადეთ ყველაფერი და განსაზღვრეთ, თუ რა შუამდგომლობების დაყენება იქნება საჭირო. დაწერეთ დამაჯერებელი პასუხები მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებზე. წინასწარ განსაზღვრეთ მოწინააღმდეგე მხარის სავარაუდო თავდასხმის სამიზნე საკითხები და მოამზადეთ მტკიცებულებები და არგუმენტები ამ თავდასხმების საპასუხოდ. ამავდროულად, ყურადღებით მოამზადეთ მოწმეები და წინასწარ იცოდით, თუ რას და როგორ იტყოდა სასამართლოზე თითოეული მოწმე. მოხერხებულად აირიდეთ თავიდან პრობლემატური ნაფიცი მსაჯულები. ოსტატურად მოამზადეთ და წარმოადგინეთ შესავალი სიტყვა, რომელიც არ მოიცავდა იმაზე მეტ დაპირებას, ვიდრე რეალურად შეგეძლოთ გაგეკეთებინათ. მოწმეების გამოძახების თანამიმდევრობა იმგვარად განსაზღვრეთ, რომ ნაფიცი მსაჯულების ინტერესი გამოგეწვიათ. თვალნათლივ წარმოადგინეთ თქვენი პოზიცია. გაანალიზეთ რა თქვენი პოციზიის სუსტი მხარეები, შეეცადეთ აგეხსნათ ნაფიცი მსაჯულებისათვის, თუ რატომ იყო ისინი უმნიშვნელო. თქვენ მიერ ჩატარებული ჯვარედინი დაკითხვა გამანადგურებელი იყო. საბოლოო ჯამში, ნაფიცი მსაჯულები დარწმუნდნენ, რომ თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაცია სიმართლე იყო. სასამართლო განხილვის განმავლობაში ყოველთვის პირდაპირი და სანდო იყავით და ნაფიცი მსაჯულები აბსოლუტურად სანდო პირად აღგიქვავენ. ახლა კი დროა, მთელი ამ ხნის განმავლობაში გაწეული სამუშაო ლოგიკურ შეჯამებამდე მიიყვანოთ დასკვნით სიტყვაში. დასკვნითი სიტყვა არ იქმნება ცარიელ ადგილას. ეს არის შეჯამება ყველაფერი იმისა, რაც აქამდე ხდებოდა საქმესთან დაკავშირებით. „დასკვნითი სიტყვის მეშვეობით შეიძლება მოიგოთ ისეთი საქმე, რომელიც თავიდანვე არ იყო წაგებული. თუმცა მეორე მხრივ, კარგად წარმართული საქმე შეიძლება სწორედ იმ ფატალურ ბოლო წუთებში წააგოთ“.[71]

[70] „როგორ გამოვიძიოთ მკვლელობის საქმე“ მაიკლ დ. უიმსი, ჯეკ ბ. რაბინი და ჩარლზ ამბროსი, პირველად გამოიცა ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ. საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2011). თარგმანი, გამოცემა და გავრცელება განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ. თარგმნის საავტორო უფლება ეკუთვნის ამერიკის იურისტთა ასოციაციას (აშშ. 2012). ყველა საავტორო უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის ტექსტის ნაწილობრივი, ან მთლიანი შეცვლა ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლებებისა და გარიგებების განყოფილების წერილობითი თანხმობის გარეშე; მისამართი: 321 North Clark Street, Chicago, Illinois 60654, USA; ელ. ფოსტა: copyright@abanet.org.

[71] Gerry Spence, Win Your Case 224 (St. Martin's 2005).

მკვლელობის საქმეებში, დასკვნითი სიტყვის დროს გამოყენებული სასამართლო უნარ-ჩვევების პრინციპები თითქმის იგივეა, რაც ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე. ფაქტობრივად დასკვნითი სიტყვის მთავარი პრინციპები თითქმის იდენტურია სამოქალაქო საქმეებში გამოყენებული პრინციპებისა (აშშ პრაქტიკა). როგორი უნდა იყოს დასკვნითი სიტყვა:

- საინტერესო;
- ლოგიკური;
- კარგად დაგეგმილი;
- ვიზუალურად თვალსაჩინო (გამოყენებულ იქნეს სურათები და სხვა თვალსაჩინო მასალა);
- დამაჯერებელი;
- არ იყენებს სიტყვას „მე“;
- იყენებს სიტყვას „ჩვენ“ ან „მტკიცებულება“;
- შესავალი სიტყვისა და საქმის მასალების შესაბამისი;
- აქვს თემა;
- განმარტავს თქვენს სუსტ მხარეებს;
- მომზადებულია/გადმოცემულია მარტივი ენით (მოერიდეთ სამართლებრივი ტერმინების ხმარებას);
- მოიცავს მითითებებს ნაფიცი მსაჯულებისთვის;
- ხაზს უსვამს მოწინააღმდეგე მხარის სუსტ მხარეებს;
- აგებულია გონივრულად და ემოციურად;
- ლაკონიური;
- შეიცავს ბუნებრივ მოძრაობებსა და ჟესტებს;
- გულწრფელი;
- თავდაჯერებული;
- პასუხობს ნაფიცი მსაჯულების ნებისმიერ კითხვას (მაგალითად უპასუხეთ თქვენს საკუთარ რიტორიკულ კითხვებს);
- გულისხმობს ბრალდებულის ჩართულობას (პროკურორს შეუძალია მიუთითოს ბრალდებულზე, დაცვის მხარეს შეუძლია შეეხოს მას);
- დამაჯერებელი;
- სრულდება ძლიერი არგუმენტის ხაზგასმით.

სხვა სახის სისხლის სამართლის საქმეებში გამოყენებული კარგი დასკვნითი სიტყვის ტექნიკა თითქმის ყოველთვის ვრცელდება მკვლელობის საქმეებზეც. რა თქმა უნდა, არსებობს სტანდარტული სიტყვები, რომლებიც ზოგჯერ ცოტა განსხვავებულია.

განსხვავებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- მითითება იმის შესახებ, რომ თქვენი მოწმეების ჩვენებები გამყარებულია დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი მტკიცებულებებით (ნივთიერი ან დოკუმენტური მტკიცებულებებით, ან სხვა მიუკერძოებელი თვითმხილველის მეშვეობით);
- ხაზგასმულია თქვენი ოპონენტის მოწმეების მიერ ფაქტების შეთხზვის (გაყალბების) მოტივები;

• (ბრალდების მხარისათვის) განმარტება იმის შესახებ, თუ რატომ არის ირიბი მტკიცებულება სანდო და მიუკერძოებელი;

• (დაცვის მხარისათვის) განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის ირიბი მტკიცებულება არასწორი ინტერპრეტაციის საგანი;

• დანაშაულის ჩადენის მოტივის არსებობის ან არარსებობის ხაზგასმა;

• თქვენი ექსპერტი მოწმეების ნამუშევრის ხაზგასმა და თქვენი ოპონენტის ექსპერტი მოწმეების ცოდნის, მეთოდების, ან დასკვნების ხარვეზების წარმოჩენა/ხაზგასმა;

• შეახსენეთ ნაფიც მსაჯულებს „დენთის კვალიანი იარაღის“ მომენტები, რომლებიც შესაძლოა დაფიქსირდა სასამართლო განხილვისას (თქვენი ოპონენტის განცხადებები, რომლებიც არ იყო დასაბუთებული, ანდა ეწინააღმდეგებოდა მტკიცებულებებს;

• ჯვარედინი დაკითხვის დროს გამოვლინდა, რომ მოწმე ტყუილს ამბობდა და სხვა);

• (ბრალდების მხარისათვის) იყენებს ყველა შესაძლებლობას შეახსენოს ნაფიც მსაჯულებს (დაწესებული საზღვრების ფარგლებში) დაზარალებულის, ადამიანის გარდაცვალების, დანაშაულის სიმძიმის შესახებ;

• (დაცვის მხარისათვის) იყენებს ყველა შესაძლებლობას, რათა ბრალდებული არ წარმოაჩინოს, როგორც სახიფათო ადამიანი.

შესავალი სიტყვისაგან განსხვავებით, დასკვნით სიტყვაში უნდა გაკეთდეს მნიშვნელოვანი მტკიცებულების ღრმა და დეტალური მიმოხილვა და ანალიზი. მას შემდეგ, რაც აუდიტორიამ ფილმის ანონსსა და ძირითად ნაწილებს უყურა, თქვენი ამოცანაა დაარწმუნოთ ისინი, რათა მოამზადონ ფილმის შინაარსის შესაბამისი დასკვნა. თუკი ამ მომენტამდე თქვენი პრეზენტაციები ოსტატურად/კარგად იყო მომზადებული, პრაქტიკულად შეიძლება ითქვას, რომ დასკვნითი სიტყვა უკვე მზად გაქვთ. ნაფიცი მსაჯულები უკვე მოუთმენლად ელიან ფილმის დასასრულს, მართლმსაჯულების განხორციელებას და შესაბამისი დასკვნის მომზადებას. თქვენი მიზანია დაარწმუნოთ ნაფიცი მსაჯულები. დარწმუნება უფრო რთული იქნება, თუკი ნაფიცი მსაჯულები უსამართლოდ უხეშად ან უტაქტოდ ჩაგთვლიან. არსებობს ორი მიზეზი, რის გამოც შეიძლება ადვოკატს გააწყვეტინონ სიტყვა, ანდა მისცენ დისციპლინური გაფრთხილება. ესენია: ფაქტების ან დამნაშავეობის, ან უდანაშაულობის შესახებ პირადი აზრის გამოხატვა („მე ვფიქრობ....“) და მოწინააღმდეგე მხარეზე პიროვნული თავდასხმის განხორციელება. აშშ-ს უზენაესი სასამართლო იხილავდა საქმეს, რომლის დროსაც პროკურორი და ადვოკატი დასკვნითი სიტყვის დროს არასწორად მოიქცნენ.[72] დაცვის მხარემ დასკვნებისა და შეჯამების გაკეთება ასე დაიწყო: „ბრალდების მხარემ საქმე არასამართლიანად წარმოადგინა. დასაწყისიდან ამ მომენტამდე ბრალდების მხარის განცხადებები მიმართული იყო თქვენი გონების არასწორი მიმართულებით მოწამვლაზე. ბრალდების მხარემ განზრახ დამალა გამამართლებელი მტკიცებულება და „უღირსად“ „მოიქცა“. ამასთან, დაცვის მხარემ პირდაპირ გააკეთა მინიშნება პროკურორის მაგიდაზე და განაცხადა: „გარწმუნებთ, რომ ამ სასამართლო დარბაზში არავის, მათ შორის, არც ამ მაგიდასთან მსხდომ ბატონებს სჯერათ, რომ ბილი იანგს აპკოს მოტყუება ჰქონდა განზრახული“. პროკურორმა დაცვის მხარის ამგვარ შეჯ-

[72] United States v. Young, 470 U.S. 1 (1985). (აშშ იანგის წინააღმდეგ).

ამებაზე პროტესტი არ გამოთქვა (აშშ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, დასკვნითი სიტყვები შემდეგი რიგითობით წარმოითქმება: ბრალდება – დაცვა – ბრალდება), მაგრამ საპასუხო სიტყვაში გამოეხმაურა დაცვის მხარის ბრალდებას იმის შესახებ, თითქოს ბრალდების მხარე თავად არ იყო დარწმუნებული საკუთარ პოზიციაში: „დაცვის მხარემ განაცხადა, რომ სასამართლო დარბაზში დამსწრე საზოგადოებიდან არავის ჰგონია, რომ ბ-ნ იანგს აპკოს მოტყუება ჰქონდა განზრახული. მოგახსენებთ, რომ დარბაზში მეც ვიყავი და მე... მჯერა, რომ მას განზრახული ჰქონდა აპკოს მოტყუება. თუკი პირად შთაბეჭდილებებზე საუბარი ნებადართულია, მაშინ თქვენ თავად მთხოვეთ გამომეთქვა ჩემი აზრი“. ამ მომენტში კამათში სასამართლო ჩაერთო: „ნათელია, რომ ორივე მხარე ვალდებულია ნაფიცი მსაჯულების წინაშე კამათი შესაბამისი საზღვრების ფარგლებში გამართონ. მხარეების ქცევა შეზღუდულია. „მოსამართლეების მიერ სასამართლო დარბაზში კონტროლის შენარჩუნება საზოგადოების ინტერესს წარმოადგენს და ეს ინტერესი არ უნდა დაირღვეს მხარეთა მიერ ქცევის წესების დარღვევის გამო.“ დაცვის მხარემ, პროკურორის მსგავსად, თავი უნდა შეიკავოს პირადი მოსაზრებების გამოთქმისაგან საქმის წარმოდგენის პროცესში. მხარეთა ასეთი ქცევა სასამართლო დარბაზში შეუფერებელი და დაუშვებელია. მოსამართლემ რომელიმე მხარის მიერ ქცევის წესების დარღვევაზე დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს რეაგირება... უნდა გავითვალისწინოთ, რომ პროკურორი და ადვოკატი კამათისას თანაბრად ექვემდებარებიან ზოგად შეზღუდვებს.... პროკურორზე პირადი თავდასხმების აკრძალვა, მხოლოდ ნაწილია იმ დიდი ვალდებულებისა, რომელიც დაცვის მხარეს გააჩნია. ის ვალდებულია მოერიდოს „ღვარძლიანობას“ მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობაში, სასამართლო პროცესის დროს და კამათისას შემოიფარგლოს არსებული მტკიცებულებებით. მკაცრად არის მიღებული, რომ ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს მოწინააღმდეგე მხარის პირად მახასიათებლებსა და თავისებურებებზე მითითებისაგან. პროკურორის მიერ დაცვის მხარეზე თავდასხმა არამართებულია და ამგვარი თავდასხმისაგან თავის შეკავება ერთმნიშვნელოვნად ვრცელდება მასზეც.[73]

[73] იხ. იგივე 9-10 გვ.

პროტესტი[74]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან ნათელი არ არის, რა სახის პროტესტის დაყენებაა დასაშვები და როდის არის ეს შესაძლებელი. ამიტომ, წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილული იქნება ამერიკულ სასამართლოებში აპრობირებული პროტესტის სახეობები. ასევე გაანალიზებული იქნება თითოეული პროტესტის არსიც, რათა პროკურორმა/ადვოკატმა შეძლოს მოსამართლეს აუხსნას, თუ რატომ უნდა დაკმაყოფილდეს მისი პროტესტი.

უნდა გავაპროტესტოთ თუ არა?

რაიმეს გაპროტესტებამდე პროკურორმა/ადვოკატმა უნდა გადაწყვიტოს, საჭიროა თუ არა პროტესტის დაყენება. პროტესტის ხშირად გამოთქმამ შესაძლოა შექმნას შთაბეჭდილება, რომ თქვენ რაიმეს დამალვას ცდილობთ ან სიმართლის გამოაშკარავებას უშლით ხელს. ასევე შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ შეკითხვა პროტესტს ექვემდებარებოდეს, მაგრამ თქვენ თავი შეიკავოთ. არის თუ არა ინფორმაცია, რომლის მისაღებადაც შეკითხვა დაისვა, აზრს მოკლებული? თუ, მაგალითად, მოწინააღმდეგე მხარე მოწმეს ეკითხება მისი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის ან მსგავსი ფაქტების შესახებ და თუ ამ ფაქტების შესახებ მხარეები არ დავობენ, პასუხი ნებისმიერ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, სწორედ იქნება დასმული შეკითხვა თუ არა, მაინც გამჟღავნდება. მაგალითად, თუ ადვოკატი მოწმეს ეკითხება: „თქვენ ცხოვრობთ ფალიაშვილის ქუჩის №34-ში მეოთხე სართულზე, ხომ ასეა?“ შეკითხვა არასწორად არის დასმული, ის მიმანიშნებელი და რთულია. რა თქმა უნდა, თქვენ შეგიძლიათ გააპროტესტოთ ამ საფუძვლით, თუმცა ასეთ პროტესტს დიდი შედეგი არ მოჰყვება, რადგან, საბოლოო ჯამში, თქვენი მოწინააღმდეგე მხარე შეცვლის შეკითხვის ფორმას და მაინც მიიღებს პასუხს დასმულ კითხვაზე. ამასთან, მოცემული ინფორმაცია არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მისი გაპროტესტება ღირდეს.

გაპროტესტების დრო

მნიშვნელოვანია, რომ პროკურორმა/ადვოკატმა არასწორი შეკითხვა მანამდე გააპროტესტოს, სანამ მას მოწმე უპასუხებს. მართალია, არასწორ შეკითხვაზე პასუხი შესაძლოა მოიხსნას და ნაფიც მსაჯულებს განემარტოთ, რომ ეს პასუხი არ გაითვალისწინონ, მაგრამ ნაფიცი მსაჯულების მიერ მოსმენილი არასასურველი ინფომაცია შესაძლოა მაინც საზიანო იყოს მხარისათვის. როგორც კი ადვოკატი მიიჩნევს, რომ შეკითხვა არასწორია, იგი უნდა წამოდგეს და თქვას „ვაპროტესტებ“, რათა მოსამართლე დარწმუნდეს, რომ ადვოკატის აზრით შეკითხვა არასწორია. ამის შემდეგ ადვოკატმა პროტესტის სამართლებრივი საფუძველი უნდა მიუთითოს. გაპროტესტების შემდეგ მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, პროტესტი საფუძვლიანი იყო თუ არა. თუ ის საფუძვლიანი იყო, მაშინ მოწმე ასეთი ფორმულირების შეკითხვას ვერ უპასუხებს. თუ პროტესტთან დაკავშირებით დამატებითი არგუმენტების წამოყენებაა საჭირო, მოსამართლეს მიუახლოვდით და არგუმენტები იქ წარადგინეთ ისე,

---

[74] მომზადებულია დენიელ ლინჰარდტის მიერ „ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ საქართველოს ოფისისათვის. რედაქტირება და თარგმანი განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ.

რომ ნაფიცმა მსაჯულებმა ეს არგუმენტები ვერ გაიგონონ. ჩაინიშნეთ არგუმენტები და მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველი, თუ მისი გასაჩივრება დაგჭირდათ. ცხადია, ოფიციალურ ჩანაწერს სასამართლო სხდომის მდივანი განახორციელებს.

შეკითხვების გაპროტესტება

1. ირიბი ჩვენება — ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება

ეს არის შემთხვევა, როდესაც მოწმეს სთხოვენ ჩვენება მისცეს ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რის შესახებაც მას უშუალო ცოდნა არ აქვს. მაგალითად, ბანკის ძარცვის ჩვენს საქმეში, თუ მოწმე არ განაცხადებს, რომ 14 ივლისს იგი ჭავჭავაძის გამზირზე იმყოფებოდა, მაშინ ეს პროტესტს ექვემდებარება. თუ მოწმე ამ თარიღზე და ძარცვის დროს იქ არ იმყოფებოდა, მაშინ მას ჩვენების მიცემა მხოლოდ იმასთან დაკავშირებით შეუძლია, რაც სხვამ უთხრა. ნებისმიერ დროს, როდესაც მოწმეს შეკითხვას დაუსვამენ და დადგინდება, რომ მას ფაქტის უშუალო ცოდნა არ აქვს, ირიბი ჩვენება უნდა გაპროტესტდეს.

ამ პროტესტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოწმის პასუხის სიმართლის გადამოწმება ჯვარედინ დაკითხვაზე შეუძლებელია. მაგალითად, თუ მოწმის ჩვენების თანახმად, დათომ მას უთხრა, რომ გიორგიმ ბანკი გაძარცვა, როგორ შეძლებს დაცვის მხარე ისეთი ფაქტების დადგენას, თუ სად იდგა დათო, რამდენად შორს იდგა იგი, როგორი იყო განათება, უშლიდა თუ არა რაიმე მის მხედველობის არეს, იყო თუ არა დათო ახლომხედველი და ა.შ.

ამ შემთხვევაში ადვოკატი წამოდგება და ამბობს: *„ვაპროტესტებ. შეკითხვა ირიბ ჩვენებას შეიცავს.“*

საქართველოში ირიბი ჩვენება დასაშვებია. თუმცა, ეს მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც ასეთ ჩვენებას სხვა მტკიცებულება ამყარებს. თუ არა, მაშინ ირიბი ჩვენების შემცველი ჩვენება უნდა გაპროტესტდეს. თუ ირიბი ჩვენების შემცველ ჩვენებას სხვა მტკიცებულება ამყარებს, მოწმის პასუხის ირიბი ჩვენების საფუძველზე გაპროტესტებას სასამართლო არ დააკმაყოფილებს. ამ სახელმძღვანელოს აუცილებელი რეკომენდაციაა, რომ ჯვარედინ დაკითხვაზე ადვოკატმა დაუყოვნებლივ გამოარკვიოს ირიბი ჩვენების საფუძველი. თუ ეს არის საქმე, რომელშიც არსებული ჩვენების თანახმად, ვიღაცამ, თითქოსდა, რაღაც დაინახა, შეტევა ისეთ საკითხებზე უნდა ამახვილებდეს ყურადღებას, როგორიცაა პიროვნების ზუსტი ადგილმდებარეობა დანახვის მომენტში, განათების პირობები, მხედველობის არის შეზღუდვა და ა.შ. გაიარეს თუ არა მანქანებმა, ავტობუსებმა და სატვირთოებმა მოწმესა და სუბიექტს შორის და დაფარეს თუ არა მათ მოწმის მხედველობის არე? თუ ასეა, რა სიხშირით და რა ხანგრძლივობით? სუბიექტი ჩრდილში ხომ არ იმყოფებოდა? როგორია პიროვნების მხედველობა — შორსმხედველია, ახლომხედველი, ასტიგმატიზმი ხომ არ აწუხებს, დალტონიკი ხომ არ არის, ჩვეულებრივ ატარებს თუ არა სათვალეს, რომელ მხარეს იყო მზე ან ქუჩის განათება? მუშაობდა თუ არა ქუჩის ყველა განათება? ჩაუტარდა თუ არა მას თვალებზე გამოკვლევა და რა იყო ამ გამოკვლევის შედეგი? რას აკეთებდა პიროვნება ზუსტად იმ მომენტამდე, როდესაც, მისი მტკიცებით, ინციდენტი დაინახა? რა ხნის განმავლობაში გრძელდებოდა ინციდენტი? ინციდენტის მერე რამდენი ხნის გასვლის შემდეგ მიიღო მოწმემ ინფორმაცია? დალია თუ არა მოწმემ რაიმე ინცი-

დენტამდე, რა დალია, რამდენი და ინციდენტამდე რამდენი ხნით ადრე? იღებდა თუ არა მოწმე რაიმე მედიკამენტს, რას, რა დოზით და რისთვის? მოიხმარდა თუ არა მოწმე ნარკოტიკებს, რომელს, რა რაოდენობით და როდის? წინა ღამით რამდენი ხნის განმავლობაში ეძინა მოწმეს? რას აკეთებდა მოწმე თითქოსდა ინციდენტის დანახვამდე და სხვა რამით ხომ არ იყო დაკავებული? რა ასაკის არის მოწმე და როგორია მისი ფიზიკური მდგომარეობა? თავი ხომ არ სტკიოდა, გაციებული ხომ არ იყო, თვალები წყლიანი ხომ არ ჰქონდა ან სიცხე ხომ არ აწუხებდა? თუ ლაპარაკია შემთხვევაზე, რომელშიც პიროვნებამ, სავარაუდოდ, რაღაც გაიგონა, ზემოთ ჩამოთვლილის გარდა შეკითხვები უნდა ეხებოდეს იმას, თუ მოლაპარაკე სუბიექტისგან რა დაშორებით იდგა იგი, ხომ არ აწუხებს მას სმენასთან დაკავშირებული პრობლემები, გამოკვლეულა თუ არა ოდესმე მისი სმენა და რა იყო ამ გამოკვლევის შედეგები, როგორი იყო გარშემო არსებული ხმაურის დონე? იმ პერიოდში, როდესაც, პიროვნების მტკიცებით, მან რაღაც გაიგონა, რაიმე ხელის შემშლელ ხმაურს ხომ არ ჰქონია ადგილი, როგორიცაა სატვირთო მანქანების გავლა, გამვლელთა მხრიდან ყვირილი? საუბრის გარკვეული ეპიზოდები ჩურჩულით ხომ არ წარიმართა ისე, რომ იგი საუბრის ამ ეპიზოდებს ვერ გაიგებდა? როგორი იყო საუბარში ჩაბმული მონაწილეების სახის გამომეტყველება? როგორი იყო საუბრის ტონი? იცვლებოდა თუ არა საუბრის ტონი და თუ კი, რა დროს და როგორ?

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები არ არის ამომწურავი. ადვოკატი ამ შემთხვევაში მოწმეს ეკითხება იმ პატარა დეტალების თაობაზე, რომლებთან დაკავშირებითაც ჯვარედინ დაკითხვაზე ის პიროვნება უნდა დაეკითხა, რომელმაც თითქოსდა ინციდენტი დაინახა ან გაიგონა. იმის შანსი, რომ ირიბი ჩვენების მიმცემმა მოწმემ ამ შეკითხვებზე ყველა ან უმეტესობა პასუხებისა იცოდეს, ძალზე მცირეა. მოწმეს ასევე უნდა ჰკითხოთ, ვინმე სხვისგან ხომ არ გაიგონა, რასაც ჰყვება, თუ უშუალოდ თვითონ ამ პიროვნებისგან მოისმინა ყველაფერი. ეს შესაძლოა სამმაგი ან ოთხმაგი ირიბი ჩვენების შემთხვევა იყოს. ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა დამატებითი კითხვები ამ სხვა პიროვნებებთან და მათ დამაჯერებლობასთან დაკავშირებით. პროკურორმა/ადვოკატმა შესაძლოა ექსპერტიც კი გამოიძახოს ამბის რამდენიმე პირის მიერ ხელახალ მოყოლასთან დაკავშირებული პრობლემების და შესაბამისად, შესაძლო შეცდომების დაშვების განსახილველად. მართლაც, თუ სასამართლო პროცესზე გამოცხადებულ მოწმეს ყველა შეკითხვაზე პასუხი აქვს, ეს თავისთავად ძალზე საეჭვოა და იმაზე უთითებს, რომ მთავარი მოწმე არასოდეს აპირებდა სასამართლო პროცესზე ჩვენების მისაცემად გამოცხადებას. ჯვარედინი დაკითხვის დასასრულს პროკურორმა/ადვოკატმა სასამართლოს უნდა სთხოვოს ირიბი ჩვენების შემცველი მოწმის ჩვენების დაუშვებლად ცნობა, თუ მის მიერ გაცემული პასუხების შედეგად ირკვევა, რომ ინფორმაცია, რომელსაც მოწმე გვაწოდებს, არადამაჯერებელია.

არსებობს ამერიკის უზენაესი სასამართლოს საქმე *კროუფორდი ვაშინგტონის* წინააღმდეგ (124 S.Ct. 1354). *კროუფორდის* საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ, როდესაც საქმე არა ჩვენების ტიპის მტკიცებულებებს (ისეთი მტკიცებულებები, როგორიცაა თითის ანაბეჭდები, დნმ, ა.შ.) ეხება, დაპირისპირების დებულების შესახებ აშშს კონსტიტუციის შესწორების საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება ასეთი მტკიცებულებების სანდოობის დასადგენად. ,,თუმცა, როდესაც განხილვის საკითხი მოწმეთა ჩვენებებია, მეექვსე შესწორება იმავეს

მოითხოვს, რასაც საერთო სამართალი – ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობას. ეს სანდოობის ერთადერთი მახასიათებელი, რომელსაც კონსტიტუციური მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლია, რადგან თვითონ კონსტიტუციით გათვალისწინებული ისეთი საშუალებაა, რასაც დაპირისპირება ჰქვია.“ საქართველოს კონსტიტუციაში დაპირისპირების დებულების მსგავსი არაფერია. თუმცა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალდებულს გარანტირებული აქვს სამართლიანი სასამართლო და ყოველთვის შეიძლება იმის მტკიცება, რომ მთავარ მოწმესთან დაპირისპირებისა და მისი ჯვარედინი დაკითხვის უფლების გარეშე სასამართლო პროცესი არ შეიძლება იყოს სამართლიანი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, ყველას აქვს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (მუხლი მე-6 – სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება – 1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნოობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს).

2. ბუნდოვანება

ეს არის პროტესტის სახეობა, რომელსაც, როგორც წესი, ჯვარედინი დაკითხვის დროს ვხვდებით. მას ჩვეულებრივ ის პროკურორი/ადვოკატი გამოთქვამს, რომელმაც მოწმე პირდაპირ დაკითხვაზე დაჰკითხა. მისი მიზანია მოწმის დაცვა, რათა არ გამოჩნდეს, რომ მან არ იცის რაზე საუბრობს, ან რომ მას შეცდომაში შეჰყავს ვინმე. ამ სიტუაციაში პროტესტის საფუძველი უნდა იყოს შემდეგი: შეკითხვა საკმაოდ ბუნდოვანია, მოწმეს გაუჭირდება პასუხი გასცეს მას. მაგალითად, „მძარცველი მაღალი იყო?“ მაღალი შედარებითი ცნებაა, რადგან ვინმე ერთი პიროვნებისთვის შესაძლოა მაღალი იყოს, და მეორესთვის – კი არა. სხვა სახის ბუნდოვანი შეკითხვები: იყო თუ არა პიროვნება მდიდარი, დაბალი, მსუქანი, ლამაზი, სწრაფად მორბენალი ან ნელა მოსიარულე, იყო თუ არა იქ ბევრი ფული, იყო თუ არა ის შენობა დიდი, სახლი პატარა, დიდი ძაღლი და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი შეკითხვა, რომლის პასუხზეც ადამიანებს შეიძლება განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეთ. ჯვარედინ დაკითხვაზე კითხვა შემდეგი სახით უნდა დაისვას: „იყო თუ არა მძარცველი 1 მეტრისა და 62 სანტიმეტრის სიმაღლის?“ ან თუნდაც ღია დაბოლოების: „რა სიმაღლის იყო მამაკაცი, რომელიც თქვენი განცხადებით ბანკის მძარცველია?“

პროკურორმა/ადვოკატმა ბუნდოვანი შეკითხვა აუცილებლად უნდა გააპროტესტოს, რადგან ასეთი სახის კითხვაზე მოწმემ, თავისი აზრით, შესაძლოა სწორი პასუხი გასცეს, მაგრამ სინამდვილეში ჯვარედინ დაკითხვაზე გამოჩნდეს, რომ იგი

არაზუსტ ინფორმაციას იძლევა/ცრუობს. მაგალითად:

კ: ბანკის მძარცველი მაღალი იყო?

პ: დიახ.

გამოძახებულია მოწმე, რომელმაც ბრალდებული გაზომა და მისი ჩვენების თანახმად, ბრალდებულის სიმაღლე 1 მეტრი და 58 სანტიმეტრია. თუ მოწმე დაბალი პიროვნება იყო, შესაძლოა მას მოსჩვენებოდა, რომ 1 მეტრი და 58 სანტიმეტრი მაღალია. მეორე მხრივ, თუ მოწმე კალათბურთელი იყო, მაშინ 1 მეტრსა და 58 სანტიმეტრს დაბალ სიმაღლედ ჩათვლიდა. ამ შეკითხვის დასმის ნებართვის შემთხვევაში შესაძლოა ჩამოყალიბდეს მცდარი შთაბეჭდილება, რომ მოწმემ მამაკაცი შეცდომით ამოიცნო.

კიდევ ერთი მაგალითი:

კ: ძარცვიდან მეორე დღეს ბ-მა პეტრიაშვილმა თქვენს რესტორანში დიდი ოდენობით ფული დახარჯა, არა?

პ: დიახ.

კ: თუმცა, იმ დღეს ბ-მა პეტრიაშვილმა თქვენს დაწესებულებაში მხოლოდ 20 ლარი დახარჯა, არა?

პ: დიახ.

კ: მაგრამ თქვენ თქვით, რომ მან დიდი ოდენობით ფული დახარჯა. ხომ არ ეუბნებით მოსამართლეს, რომ 20 ლარი დიდი ოდენობის თანხაა?

პ: მეგონა, იყო.

ეს შესაძლოა ისე გამოჩნდეს, თითქოს მოწმე ცდილობს თავის ჩვენებაში შეცდომა დამალოს. სინამდვილეში იგი შეიძლება მართლა ფიქრობდეს, რომ 20 ლარი დიდი ოდენობის თანხაა, მაგრამ მოსამართლემ ან ნაფიცმა მსაჯულებმა შესაძლოა არ დაიჯერონ, რომ ეს ასეა და შედეგად მის დამაჯერებლობაში ეჭვი შეიტანონ.

პროკურორი/ადვოკატი ყოველთვის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მის მოწმეს ესმოდეს, თუ რას ეკითხებიან. ზემოთ მოცემულ მაგალითში პროკურორს პირველი შეკითხვა შემდეგი სახით უნდა გაეპროტესტებინა: „ვაპროტესტებ. შეკითხვა ბუნდოვანია.“

თუ მოსამართლემ ვერ გაიგო, რა არის ბუნდოვანი, პროკურორმა/ადვოკატმა უნდა მიუთითოს ფრაზაზე „დიდი ოდენობით ფული“. სხვათა შორის, შეკითხვის სიზუსტეს პირდაპირ დაკითხვაზეც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუ თქვენ ზემოთ მოცემულ მაგალითში პირველი შეკითხვის მსგავს შეკითხვას დასვამთ, დაცვის მხარის ადვოკატს ეცოდინება რა, რომ ბრალდებულმა მხოლოდ 20 ლარი დახარჯა, გაპროტესტების გარეშე მოიცდის და თქვენი უხეში შეცდომის შედეგად ჯვარედინ დაკითხვაზე, სავარაუდოდ, მოწმეს გაანადგურებს.

როდესაც ჯვარედინ დაკითხვაზე ბუნდოვან შეკითხვას სვამენ, მისი გაპროტესტება თუ არგაპროტესტება სტრატეგიული გადაწყვეტილებაა. მოწინააღმდეგე მხარე შესაძლოა ფიქრობდეს, რომ მოწმის პასუხი მოწმეს დააზიანებს ჯვარედინ დაკითხვაზე. მეორე მხრივ, მოწმის პასუხს შესაძლოა მოელოდნენ და ის საზიანოც კი იყოს.

3. შემხებლობა

როდესაც პროკურორი/ადვოკატი სვამს შეკითხვას, რომელიც საქმესთან უშუალო კავშირში არ არის, ეს გაპროტესტებას ექვემდებარება იმ საფუძვლით, რომ შეკითხვა

შემხებლობაში არ არის საკითხთან. მაგალითად, თუ ბანკის ძარცვის მაგალითზე ვინმე იკითხავდა, თუ რა მიირთვა საუზმეზე ბრალდებულმა. თითქოსდა, მსგავსი შეკითხვაა: ჰყავდა თუ არა ბრალდებულს მეგობარი გოგონა. ერთი შეხედვით, ეს შეკითხვა შეუსაბამოა. თუმცა, მხარე შესაძლოა იმის დემონსტრირებას ცდილობდეს, რომ მეგობარ გოგონას სურდა რაიმე ნივთი საჩუქრად, ის ითხოვდა ბრალდებულისაგან ძვირფას ნივთებს და ამიტომ შეკითხვა შემხებლობაშია საქმესთან, რადგან ის დანაშაულის მოტივს უკავშირდება.

მტკიცების შეთავაზება

ეს ის შემთხვევაა, როდესაც მას მერე, რაც მოსამართლე გადაწყვეტს, რომ შეკითხვა შეუსაბამოა, პროკურორი/ადვოკატი მოსამართლეს უხსნის, თუ რატომ არის შეკითხვა შესაბამისი და რატომ უნდა დართონ მას შეკითხვის დასმის უფლება. მოსამართლემ შესაძლოა თავისი გადაწყვეტილება შეცვალოს. მოსამართლემ ეს რომ არ გააკეთოს, პროკურორი/ადვოკატი ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპელაციის დროს შეძლებს. მას შეუძლია სააპელაციო სასამართლოს წინაშე ამტკიცოს, რომ მოსამართლემ მას შეცდომით არ დართო შეკითხვის დასმის ნება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობის ჩვენება მოჰყვებოდა და რომელიც სასამართლო ვერდიქტს შეცვლიდა. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მტკიცების შეთავაზებისას პროკურორმა/ადვოკატმა დეტალურად ახსნას, თუ რატომ არის შეკითხვა შესაბამისი და რატომ უნდა იყოს ის ნებადართული. მტკიცების შეთავაზების შემთხვევაში პროკურორი/ადვოკატი აუწყებს მოსამართლეს, თუ რა ჩვენებას მისცემს მოწმე, თუ მას ჩვენების მიცემის ნებას დართავენ. ასევე მხარემ შესაძლოა უთხრას მოსამართლეს კითხვების რიგითობა, რათა დაარწმუნოს იგი ამა თუ იმ კითხვის დასმის აუცილებლობაში.

1. მოწმის არასაკმარისი კომპეტენტურობა

პროტესტის ამ სახეობის საფუძველია შემთხვევა, როდესაც გასარკვევია, არის თუ არა მოწმე კომპეტენტური მისცეს ის ჩვენება, რის შესახებაც ეკითხებიან. მაგალითად, თუ ნარკოტიკების საქმეზე მოწმის ტრიბუნასთან პოლიციელი დგას და მას ეკითხებიან: „რა არის თქვენ მიერ ამოღებული ნივთიერება?“ თუ მან ნარკოტიკები თვითონ არ მოიხმარა ან არ არის კვალიფიცირებული ასეთი ცდა ჩაატაროს, იგი არ არის კომპეტენტური ამ ნივთიერებაზე ისაუბროს. მას შეუძლია მხოლოდ ის თქვას, რომ ბრალდებულისგან ამოიღო თეთრი ფხვნილი, რადგან იმის დადგენას, თუ რა არის ეს ფხვნილი, ქიმიური ანალიზი სჭირდება. ამდენად, თუ თეთრი ფხვნილი ვინმემ შესაბამისი ცდით არ შეამოწმა, პოლიციელს არ ეცოდინებოდა, თუ რა ნივთიერებაზე იყო საუბარი. თუ საქართველოში პოლიციელი განაცხადებს, რომ თეთრი ფხვნილი ჰეროინი იყო, რადგან პოლიციის ქიმიკოსმა ის შეამოწმა, ეს დასაშვები ირიბი ჩვენება იქნება, რადგან ცდა მას თვითონ არ ჩაუტარებია და მისი ჩვენება მხოლოდ იმის ანგარიშია, თუ სხვამ რა გააკეთა. შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარების შემთხვევაში ეს ჩვენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დასაშვებია. მრავალ სფეროში, რომელიც ექსპერტიზის გარკვეულ დონეს საჭიროებს, არაექსპერტი მოწმე, სავარაუდოდ, არ იქნება კომპეტენტური ჩვენების მისაცემად. მართლაც, პროტეს-

ტის ეს სახეობა შესაძლებელია მაშინაც კი იყოს გამოყენებული, როდესაც ჩვენებას ექსპერტი აძლევს, მაგრამ იგი კონკრეტულ საქმეში მოცემულ საკითხში ვერ ერკვევა. მაგალითად, ელექტრიკოსს შესაძლოა არ ჰქონდეს საკმარისი ექსპერტიზა, რათა ქიმიურ სფეროსთან დაკავშირებით მისცეს ექსპერტული ჩვენება.

ანალოგიურად, თუ პოლიციელი შეეცდება მისცეს ჩვენება იმის თაობაზე, თუ რა იყო ჩხრეკის შედეგად ამოღებული, მაგრამ იგი არ არის პიროვნება, რომელმაც კონტრაბანდა იპოვნა, იგი არ არის კომპეტენტური განაცხადოს, თუ სად იყო კონტრაბანდა ნაპოვნი, რადგან მას ის არ აღმოუჩენია. ამ შემთხვევაში გაპროტესტება შემდეგი სახით მოხდებოდა: „ვაპროტესტებ. შეკითხვა ეხება ინფორმაციას, რომელიც ამ მოწმის კომპეტენციის მიღმაა.“

2. მიმანიშნებელი შეკითხვები

ჩვენ უკვე შევეხეთ იმას, თუ რა იგულისხმება მიმანიშნებელ შეკითხვაში. თუ მიმანიშნებელი შეკითხვა პირდაპირი დაკითხვის დროს დაისმება, ეს მოწინააღმდეგე მხარეს შემდეგნაირად შეუძლია გააპროტესტოს: „ვაპროტესტებ. შეკითხვა მიმანიშნებელია.“

3. რთული (შედგენილი) შეკითხვა

შეკითხვა რთულია (შედგენილია), როდესაც ის რეალურად ორი ან მეტი შეკითხვისგან შედგება. მაგალითად, „დაინახეთ თუ არა ბანკიდან გამოქცეული ბრალდებული და ეჭირა თუ არა მას ხელში იარაღი?“ „არა.“ რაზე უპასუხა მოწმემ „არა“? იმაზე, რომ ბრალდებულს იარაღი არ სჭერია თუ იმაზე, რომ ბანკიდან გამოქცეული ბრალდებული არ დაუნახავს? რთული (შედგენილი) შეკითხვის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ არავინ იცის, თუ მოწმის პასუხი რას ეხება. ზემოთ მოცემული შეკითხვა ორ ცალკეულ შეკითხვად უნდა გაიყოს. ამ საფუძველზე გაპროტესტება შემდეგი სახით მოხდებოდა: „ვაპროტესტებ. შეკითხვა რთულია (შედგენილია).“

4. მოწმისგან სპეკულირების (ვარაუდის გამოთქმის) მოთხოვნა

ეს არის შეკითხვა, რომელიც მოწმეს სთხოვს ივარაუდოს იმის შესახებ, რის თაობაზეც პასუხი მან არ შეიძლება იცოდეს. ზოგადად ამ ტიპის შეკითხვები ეხება იმას, თუ რას ფიქრობდა სხვა პიროვნება ან როგორი იყო მისი განზრახვა. მაგალითად, „რას ფიქრობდა ბრალდებული, როდესაც იარაღი ამოიღო? “ ან „აპირებდა ბრალდებული შეთანხმების შესრულებას? “ სპეკულირების მომთხოვნ შეკითხვაზე გაპროტესტება შემდეგი სახით უნდა მოხდეს: „ვაპროტესტებ. შეკითხვა მოწმისგან სპეკულირებას მოითხოვს.“

5. დამაბნეველი ან გაუგებარი შეკითხვები

არის შემთხვევები, როდესაც მოწინააღმდეგე მხარე სვამს შეკითხვას, რომელიც ყოველგვარ აზრს არის მოკლებული და ძალიან დამაბნეველია. თუ თქვენ არ გესმით, თუ რას კითხულობს მოწინააღმდეგე მხარე, მაშინ არსებობს იმის დიდი ალბათობაც, რომ მოწმესაც არაფერი ესმოდეს. განსაკუთრებით ჯვარედინ დაკითხვაზე პროკურორმა/ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისი მოწმეები არ დაიბნენ, რადგან

ეს მათ ნაკლებად დამაჯერებლად წარმოაჩენს. მომზადების პროცესში პროკურორმა/ადვოკატმა თავისი მოწმეები უნდა გააფრთხილოს, რომ თუ მას შეკითხვა არ ესმის, მისი ახსნა უნდა მოითხოვოს. თუმცა, პროკურორი/ადვოკატი მხოლოდ ამას არ უნდა დაეყრდნოს. მოწმემ შეიძლება არ მოისურვოს თქვას, რომ შეკითხვა ვერ გაიგო. ამიტომ, ეს პროკურორის/ადვოკატის მოვალეობაა, რომ გაპროტესტებით თავისი მოწმე დაიცვას და მოწინააღმდეგე მხარეს შეკითხვის „პერიფრაზირება“ მოსთხოვოს. ეს შემდეგი სახით უნდა გაკეთდეს: „ვაპროტესტებ. შეკითხვა დამაბნეველია.“ ან თუნდაც: „ვაპროტესტებ. გაუგებარია მხარე რას გულისხმობს.“ უკანასკნელი მეთოდი შეიძლება დაეხმაროს მოწმეს, რომელსაც შესაძლოა რცხვენოდა იმის აღიარება, რომ შეკითხვა ვერ გაიგო. მოწმეც თავს უკეთ იგრძნობს, თუ შეკითხვა ადვოკატმაც ვერ გაიგო. თუ თქვენი პროტესტის შემდეგ მოსამართლე ჰკითხავს მოწმეს, გაიგო თუ არა მან რის შესახებ ეკითხებიან, ის, სავარაუდოდ, უფრო აღიარებს, რომ შეკითხვა ვერ გაიგო.

6. შეკითხვები, რომლებიც მტკიცებულებებს მიღმა არსებულ ფაქტებს გულისხმობს

ამ შემთხვევაში შეკითხვა ისეთ რამეს ეხება, რაც სასამართლო პროცესზე დადგენილი არ ყოფილა. მაგალითად, თუ ბანკის ძარცვის საქმეში ბანკის ძარცვის, იქ მოწმის ყოფნისა და მის მიერ რაღაცის დანახვის ფაქტების დადგენამდე, მოწმეს ჰკითხავენ, თუ რა მიმართულებით გაიქცა მძარცველი, ამას ადვოკატი შემდეგი სახით გააპროტესტებდა: „ვაპროტესტებ. შეკითხვა მტკიცებულებებს მიღმა არსებულ ფაქტებს გულისხმობს.“

ამ პროტესტის, ისევე როგორც საფუძვლიანობის ნაკლებობის შედეგად გამოთქმული პროტესტის თავიდან აცილების მიზნით, პირდაპირ დაკითხვაზე ადვოკატმა თითოეული მოწმის ჩვენების საფუძველი ნელ-ნელა, გამოზომილი ნაბიჯებით უნდა შექმნას.

7. საკამათო

სასამართლო პროცესზე პროკურორებმა/ადვოკატებმა მოწმეებს შეკითხვები უნდა დაუსვან და არა – ეკამათონ მათ. თუ შეკითხვის დანიშნულება უბრალოდ მოწმესთან კამათია, ეს გაპროტესტების საფუძველია: „ვაპროტესტებ. შეკითხვა მოწმესთან კამათს ემსახურება.“

8. საფუძვლიანობის ნაკლებობა

ამ მოტივით გაპროტესტება ყველაზე ხშირად მაშინ ხდება, როდესაც მოწმეს ეკითხებიან იმ დოკუმენტის შესახებ, რომლის ავთენტურობის დადგენაც არ მომხდარა. რაიმეს ავთენტურობის დადგენა მისი ნამდვილობის დადგენას გულისხმობს. იმისათვის, რომ მოწმემ ანგარიშის, გამოკვლევის, დღიურის, ფოტოს ან ნებისმიერი სხვა წერილობითი ან ფოტომასალის შინაარსზე იმსჯელოს, მას ავთენტური დოკუმენტი ან ფოტო უნდა უჩვენონ. მაგალითად, სანამ მოწმე რაიმეს უპასუხებს იმის შესახებ, თუ რა არის ფოტოზე ასახული, უნდა დადგინდეს, რომ ფოტო კონკრეტულ ადგილს ზუსტად ასახავს. აუდიოჩანაწერის შემთხვევაში უნდა დადგინდეს, რომ ჩანაწერი ნამდვილია და მასში არაფერია ჩამატებული ან შეცვლილი (ამოღებული).

თუ მაგალითად, მოწმეს ვინმეს მიერ დაწერილ რაიმეს უჩვენებენ, ადვოკატმა უნდა დაადგინოს, რომ ეს ბრალდებულის, დაზარალებულის, თუ ვინც იქნება, მის მიერ არის დაწერილი. შესაბამისად, თუ ვინმეს სთხოვენ აღწეროს, თუ რა არის ფოტოზე ასახული, მაშინ ვინმეს და, სავარაუდოდ, თვითონ მოწმეს უნდა ჰქონდეს მიცემული ჩვენება იმის თაობაზე, რომ ეს განხილული ადგილის ზუსტი აღწერილობაა. თუ ამას ადგილი არ ჰქონია, მაშინ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა შეკითხვა იმაზე დაყრდნობით უნდა გააპროტესტოს, რომ ჩვენებისთვის საფუძველი არ მომზადებულა.

9. დაცული ინფორმაცია

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

მუხლი 15. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება

არავინ არის ვალდებული, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან სხვა პირთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც განისაზღვრება ამ კოდექსით.

მუხლი 38. ბრალდებულის უფლება-მოვალეობანი

4. ბრალდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

მუხლი 43. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობის კონფიდენციალურობა

1. ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან კონფიდენციალური და თავისუფალია.

2. კონფიდენციალურია ასევე პირის ბრალდებულად ცნობამდე მისი ურთიერთობა მის შესაძლო ადვოკატთან.

მუხლი 74. ბრალდებულის ჩვენება

1. ბრალდებულის ჩვენება არის მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ.

2. ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა.

3. ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

4. ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოთ მოცემული მუხლების საფუძველზე შესაძლებელია იმ შეკითხვის გაპროტესტება, რომელიც ბრალდებულისგან დაცულ ინფორმაციას ითხოვს, ისევე როგორც იმ საფუძვლით, რომ ასეთი ინფორმაციის მოთხოვნა ბრალდებულის უფლებას ან პრივილეგიას ლახავს. თუ პასუხი მანამდე იქნება გაცემული, სანამ პროტესტი დაკმაყოფილდება, მოითხოვეთ პასუხის

ჩვენებიდან მოხსნა და სთხოვეთ მოსამართლეს აუხსნას ნაფიც მსაჯულებს ამ ყოველივეს მნიშვნელობა.

10. კითხვა, რომელიც პასუხად თხრობას მოითხოვს

ექსპერტების გარდა, მოწმეებს კონკრეტული სახის შეკითხვები უნდა დაუსვათ. შესაბამისად, არ შეიძლება მოწმეს ჰკითხოთ: „თუ შეიძლება მოახსენეთ სასამართლოს, რა გადაგხდათ თავს 2010 წლის 14 ივლისის ღამეს.“ ამ შეზღუდვის მიზეზი ის არის, რომ თუ მოწმე თავისი ჩვენებას თავისუფალი თხრობით მოგვიყვება და არა კითხვა-პასუხის გზით გადმოგვცემს, მაშინ, ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება ირიბი ჩვენებების, სპეკულაციების, მოწმის კომპეტენციის მიღმა საკითხების დადგენა და მათი თავიდან აცილება.

მოწმის პასუხები

მართალია, პროკურორთა/ადვოკატთა მიერ გამოთქმული პროტესტის უმრავლესობა მხარის მიერ მოწმეებისთვის დასმულ შეკითხვებს ეხება, მაგრამ სასამართლო პროცესზე შესაძლოა მოწმის პასუხმაც გამოიწვიოს პროტესტი.

მაგალითად, როდესაც მოწმე არამართებულ პასუხს წარმოთქვამს, პროკურორმა/ადვოკატმა ეს უნდა გააპროტესტოს. მისი პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროკურორმა/ადვოკატმა მოსამართლეს უნდა სთხოვოს პასუხის ოქმიდან ამოშლა და ნაფიც მსაჯულთათვის იმის განმარტება, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ეს პასუხი მხედველობაში არ მიიღონ (ან ნაფიც მსაჯულთა გარეშე სასამართლოს შემთხვევაში სთხოვოს მოსამართლეს, რომ მან პასუხი გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინოს). თუ მოგვიანებით მოსამართლე თავის ვერდიქტს საფუძვლად ამ პასუხს დაუდებს, დაუშვებელი მტკიცებულების გამოყენება შესაძლოა წარმატებული გასაჩივრების საფუძველი გახდეს.

1. ირიბი ჩვენება

მაგალითად, პროკურორმა მოწმეს შემდეგი შეკითხვით მიმართა: „იმყოფება თუ არა დღეს სასამართლო დარბაზში პიროვნება, რომელმაც 2010 წლის 14 ივლისს ჭავჭავაძის გამზირზე ბანკი გაძარცვა?“ მოწმემ კი შემდეგი პასუხი გასცა: „დიახ, როგორც ჩემმა მეგობარმა ირაკლიმ მითხრა, ეს მერაბმა გააკეთა და იგი აქ ზის.“ პასუხი აშკარად ირიბ ჩვენებას შეიცავს, რომელსაც სასამართლო პროცესზე უკვე წარმოდგენილი ვერავითარი არსებითი მტკიცებულებები ვერ ამყარებს. ადვოკატმა ეს უნდა გააპროტესტოს და პასუხის ოქმიდან მოხსნის თაობაზე შუამდგომლობა დააყენოს: „ვაპროტესტებ. პასუხი ირიბ ჩვენებას შეიცავს, რომელიც სხვა მტკიცებულებით არ მყარდება.“ თუ მოსამართლე პროტესტს დააკმაყოფილებს, მაშინ დაცვის მხარის ადვოკატმა უნდა თქვას: „ვშუამდგომლობ, რათა პასუხი ოქმიდან მოიხსნას და ნაფიც მსაჯულებს განემარტოთ, რომ ეს კონკრეტული ჩვენება მხედველობაში არ მიიღონ.“ იგივე ეხება ნაფიც მსაჯულთა გარეშე სასამართლოსაც.

2. შეუსაბამო პასუხები

შეუსაბამოა პასუხი, როდესაც მოწმის პასუხი შეკითხვის არსს არ ეხება. პასუხი შესაძლოა მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსაბამო იყოს. როდესაც პასუხი მთლიანო-

ბაში შეუსაბამოა, მხარემ მთლიანი პასუხი უნდა გააპროტესტოს. ნაწილობრივ შეუსაბამო პასუხის შემთხვევაში პასუხი ნაწილობრივ უნდა გაპროტესტდეს. მაგალითად: „დაინახეთ თუ არა, რომ 2010 წლის 14 ივლისს ბ-ნი ზურაბი მწვანე BMW-ს მართავდა?“ პასუხი: „არა, მე ბ-ნ ზურაბს წლებია, რაც ვიცნობ და მას არაერთხელ აქვს ჩემთვის ნათქვამი, რომ BMW-ს მარკის ავტომობილი არ მოსწონს და მას არასოდეს მართავდა.“ სიტყვა „არა“ პასუხის ერთადერთი ნაწილია, რომელიც შეკითხვას ეხმიანება. მოწინააღმდეგე მხარემ შემდეგი სახის პროტესტი უნდა გამოთქვას: „ვაპროტესტებ მთლიან პასუხს სიტყვა „არას“ გამოკლებით.“ თუ მოსამართლე პროტესტს დააკმაყოფილებს, შემდეგ მხარე იშუამდგომლებს პასუხის დაუშვებელი ნაწილის მოხსნისა და ნაფიც მსაჯულთა მიერ მისი გაუთვალისწინებლობის თაობაზე.

გასაკვირია, მაგრამ ბევრი პროკურორი/ადვოკატი აღარ ცვლის გაპროტესტებულ კითხვას, რათა პასუხის ოქმიდან მოხსნილი ნაწილი მოწმის ჩვენებაში მიაბრუნოს. ცხადია, მხარეს აქვს უფლება, გაპროტესტების შემთხვევაში, შეცვალოს კითხვის ფორმულირება ან მთლიანად კითხვა და ხელახლა სწორი ფორმით დასვას შეკითხვა ან უზრუნველყოს მოწმის მიერ პასუხის მართებულად გაცემის შესაძლებლობა.

3. საფუძველს მოკლებული ჩვენება

არსებობს გარკვეული შემთხვევები, როდესაც მოწმის პასუხი ამ საფუძვლით უნდა გაპროტესტდეს. მაგალითად: „2010 წლის 14 ივლისს მიდიოდით თუ არა ჭავჭავაძის გამზირზე?“ პასუხი: „ეს ის დღე იყო, როდესაც იქ მერაბმა ბანკი გაძარცვა.“ შეკითხვა კარგი იყო, რადგან პროკურორი ცდილობდა საფუძვლის მომზადებას ძარცვის სცენის აღწერისათვის. პასუხი კი საფუძველს მოკლებულია, რადგან მოწმის ჩვენების ამ ეტაპზე არაფერია დადგენილი იმის თაობაზე, რომ იგი ჭავჭავაძეზე სწორედ იმ ადგილას და დროს იმყოფებოდა, რაიმე დაინახა და რაიმეს დანახვის პოზიციაში იყო. ყველას თვალში ისე ჩანს, თითქოს მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის წყარო მისი მეგობარი ლიაა და სასამართლო პროცესზე არსებითი მტკიცებულებები ჯერ გამოკვლეული არ ყოფილა.

კიდევ ერთი მაგალითი ექსპერტიზას ეხება: „გსმენიათ თუ არა ხანძრის შესახებ, რომელიც 2010 წლის 30 აგვისტოს ჭავჭავაძის გამზირის №19-ში გაჩნდა?“ პასუხი: „დიახ, ეს ცეცხლის განზრახ წაკიდება იყო, რის შედეგადაც სახლი ბოლომდე დაიწვა.“ მხარე „დიახ“ სიტყვის შემდეგ ყველაფრის ჩვენებიდან მოხსნაზე იშუამდგომლებდა საფუძვლიანობის ნაკლებობის მოტივით. ამ ეტაპზე ჯერ არაფრით ყოფილა დადასტურებული, რომ მოწმეს ჰქონდა იმის შესაძლებლობა სცოდნოდა, ცეცხლი განზრახ იყო წაკიდებული თუ არა. მართლაც, ჯერ ისიც კი არ იყო დადგენილი, რომ მან სახლი ნახა. ისევე, როგორც ნებისმიერ სხვას, მოწმესაც შეეძლო ხანძრის შესახებ გაზეთში წაეკითხა, საიდანაც ასევე გაიგებდა, რომ ვიღაცის თქმით ეს ცეცხლის განზრახ წაკიდებით მოხდა. „დიახ“ სიტყვის შემდეგ პასუხი ასევე დაუშვებელია და შეუსაბამო.

4. პირადი მოსაზრებები

ექსპერტებისგან განსხვავებით, ყველა სხვა მოწმე ფაქტებთან დაკავშირებით ჩვენების მისაცემად არის გამოძახებული. ასე, მაგალითად, თუ არაექსპერტ მოწმეს ეკითხებიან, თუ რას აკეთებდა გარკვეული პიროვნება იმ ბანკის გარეთ, რომელიც

გაძარცვეს, შეკითხვა კარგია იმდენად, რამდენადაც ის კონკრეტულ დროს, თარიღს და ადგილს ეხება. თუმცა, თუ მოწმე პასუხობს „დიახ, იგი ისე იქცეოდა, როგორც საგუშაგოზე მყოფი“, პასუხი მოწმის პირადი შეხედულებაა იმის თაობაზე, თუ რას აკეთებდა მამაკაცი. მართებული პასუხი მხოლოდ ფაქტებს უნდა ეყრდნობოდეს, მაგალითად, „იგი გამუდმებით აქეთ-იქით იყურებოდა. იგი ბანკის წინ მიდიოდა და ორივე მხარეს იხედებოდა, შემდეგ უკან ბრუნდებოდა და იგივეს იმეორებდა.“ მეორე მხრივ, თუ მოწმე გამოცდილი პოლიციის ოფიცერია, რომლის კვალიფიკაციის შესახებ პროკურორმა საფუძველი მოამზადა, მას შეუძლია საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოთქვას მოსაზრება, რომ მამაკაცი რაღაცას ყარაულობდა.

მას შემდეგ, რაც მათი, როგორც ექსპერტების უფლებამოსილება დადგინდება, ან როდესაც მათ უფლებამოსილებას სასამართლო მათი დანიშვნისას დაადგენს, ექსპერტებს შეუძლიათ საკუთარი მოსაზრებები თავისი ექსპერტიზის სფეროში გამოთქვან. ჩვენება, რომელიც დასკვნებს შეიცავს, იგივეა, რაც მოსაზრება. აქედან გამომდინარე, პოლიციელს შეუძლია თქვას, რომ დაზარალებულს ესროლეს, მაგრამ მხოლოდ სამედიცინო ექსპერტს შეუძლია დაადასტუროს დასკვნით, რომ დაზარალებული ამ გასროლისგან გარდაიცვალა.

ბრალდებულის უფლებების დაცვა სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას[75]

(მოცემულ თავში ასახული მასალა, ისევე როგორც წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სხვა მასალათა ნაწილი, დაფუძნებულია აშშ-ში არსებულ საუკეთესო პრაქტიკაზე)

პროკურორთა უმეტესობა იცავს დადგენილ წესებს და სამართლიანად წარმოადგენს საქმეს სასამართლოში. ზოგიერთი მათგანი კი არღვევს დადგენილ წესებს, უშვებს შეცდომებს, ან საკუთარი პოზიციის მტკიცების პროცესში მოჭარბებული ენთუზიაზმის გამო არღვევს ბრალდებულის უფლებებს.

წესი

მნიშვნელოვანია, რომ პროტესტი გაცხადდეს დაუყოვნებლივ, როგორც კი პროკურორი გააკეთებს მიუღებელ განცხადებას, დასვამს პრობლემურ შეკითხვას, ან მოუხმობს შეუსაბამო არგუმენტაციას შესავალი ან დასკვნითი სიტყვის წარდგენისას. პროტესტის დროულად დაყენებას და მის სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაშიც. აშშ-ში საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას გაცილებით მეტი ძალისხმევა სჭირდება იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი დროულად არ განაცხადებს პროტესტს. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ადვოკატმა მოსამართლეს უნდა სთხოვოს, რათა მან მიუთითოს ნაფიც მსაჯულებს პროკურორის მიერ გაკეთებული მიუღებელი განცხადების შესახებ და აუხსნას მათ, რომ არ გაითვალისწინონ ეს განცხადება. თუ პროკურორის განცხადება იმდენად საზიანოა, რომ მოსამართლის მიერ მხოლოდ მითითების მიცემა ვერ გამოასწორებს მიყენებულ ზიანს, აშშ-ში მოქმედი პრაქტიკის თანახმად, ადვოკატმა უნდა სთხოვოს მოსამართლეს პროცესის ჩაშლილად გამოცხადება. საქართველოშიც შესაძლებელია ამ თხოვნით მიმართვა სასამართლოსთვის, თუმცა ამ ეტაპზე, კანონში არ არსებობს კონკრეტული ნორმა, რომელიც პირდაპირ მოაწესრიგებდა ამ საკითხს.

ზოგადი წესი

ადვოკატს ყოველთვის შეუძლია იდავოს, რომ პროკურორის განცხადება არღვევს საქართველოს კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით აღიარებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ადვოკატს ასევე, შეუძლია აქცენტი გააკეთოს იმ გარემოებაზე, რომ პროკურორის განცხადება არ არის კავშირში კონკრეტული საქმის ფაქტებთან და გარემოებებთან, და რომ მსაჯულებს განსახილველ საქმეზე ევალებათ, მხოლოდ ბრალდებულის დამნაშავეობა/უდანაშაულობის

[75]ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის პროგრამა მადლობას უხდის ვაშინგტონის საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს ამ ნაწილში გამოყენებული მასალებისთვის.

საკითხის გადაწყვეტა. თუ პროკურორის განცხადება უსამართლოა, მაგრამ ადვოკატი ვერ აყალიბებს პროტესტის დასასაბუთებელ რაიმე კონკრეტულ მიზეზს, მას უბრალოდ შეუძლია იდავოს, რომ პროკურორი უსამართლოდ ცდილობს მსაჯულთა გრძნობებისა და წინასწარგანწყობების გამძაფრებას[76].

ადვოკატს შეუძლია დაიცადოს, სანამ პროკურორი დაასრულებს სათქმელს და მერე დააყენოს პროტესტი; თუმცა მაღალია ამგვარი პროტესტის არდაკმაყოფილების ალბათობა, ვინაიდან სასამრთლო ვერ შეძლებს უკვე მიყენებული ზიანის გამოსწორებას. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა შესაძლოა მოცდა ამჯობინოს, რათა კიდევ უფრო მეტი ყურადღება არ იქნეს გამახვილებული დისკრიმინაციულ/უსამართლო განცხადებებზე. თუ ადვოკატი ამ მიზეზის გამო მოცდას ამჯობინებს, მან უნდა იცოდეს, რომ აკეთებს არჩევანს შეცდომის ხაზგასმასა და პროტესტის დაყენებაზე უარის თქმას შორის. პროკურორის შეცდომის მნიშვნელობის ხაზგასასმელად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა მოითხოვოს სასამართლო პროცესის ჩაშლილად გამოცხადება.

ქვემოთ მითეთებულია საქართველოს კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში არსებული ნორმები, ამერიკული სასამართლო პრაქტიკა და ამერიკის იურისტთა ასოციაციის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები, რომლებიც დაეხმარება ადვოკატს, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში გაცხადებული პროტესტისა და შესაბამისი არგუმენტაციის ჩამოყალიბებაში.

არგუმენტები კონკრეტული კონსტიტუციური უფლებების შელახვის თაობაზე:

როცა საქმე ეხება ბრალდებულის კონსტიტუციით ან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებულ უფლებებს, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს პროკურორის მიერ ამ უფლებათა შელახვა. „პროკურორის განცხადება არ უნდა იწვევდეს ბრალდებულის იმგვარი კონკრეტული უფლებების შელახვას, როგორიც არის დაცვის უფლება და დუმილის უფლება.“[77]

კომენტარები იმის თაობაზე, რომ დაკავების შემდეგ ბრალდებულმა ისარგებლა დუმილის უფლებით

სისხლის სამართლის საქმეზე ვერავის აიძულებ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ. ეს უფლება კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არის გარანტირებული.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 15. ***ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება.***

„არავინ არ არის ვალდებული ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან სხვა პირთა

---

[76] იხილეთ, *მაგ.: მაკგრიფი აშშ-ს წინააღმდეგ* (*McGriffv.UnitedStates, 705A.2d282, 288-89 (D.C.1997)).*

[77] *დარდენი უაინრაით წინააღმდეგ*; (*Darden v. Wainwright, 477U.S.168, 182(1986))*

წინააღმდეგ, რომელთა წრეც განისაზღვრება ამ კოდექსით.“

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38 ბრალდებულის უფლება-მოვალეობანი.

ნაწილი 4: „ბრალდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.“

მაგალითები:

როდესაც პროკურორი ხაზს უსვამს და ნაფიც მსაჯულებს სთხოვს ბრალდებულის საწინააღმდეგო დასკვნების გაკეთებას, იმ ფაქტზე აპელირებით, რომ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, საქმე გვაქვს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან თავის შეკავების უფლების უხეშ შელახვასთან.“

პროკურორის კომენტარი, დაკავების შემდეგ ბრალდებულის მიერ დუმილის უფლებით სარგებლობაზე, თუნდაც ეს „იმპიჩმენტის“ პორცესში მოხდეს, არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. პროკურორის მიერ ჯვარედინი დაკითხვისას გაკეთებული მითითება ან/და შესავალი/დასკვნითი სიტყვის წარმოთქმის დროს გაკეთებული კომენტარი იმის თაობაზე, რომ ბრალდებულს პოლიციისთვის არ უთქვამს ალიბის შესახებ დაკავებისთანავე – ასევე წარმოადგენს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 38 მუხლის II ნაწილი: „დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი, რასაც ის იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.“

ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები – ბრალდების მხარის პროფესიულ ქმედებათა სტანდარტები.

სტანდარტი 3-5.6(ბ): „პროკურორმა წინასწარი შეცნობით და მოსამართლის ან მსაჯულთა ყურადღების დაუშვებელ საკითხზე გამახვილების მიზნით, არ უნდა გააკეთოს დაუშვებელი განცხადება ან კომენტარი მოსამართლის ან მსაჯულთა წინაშე.“

სტანდარტი 3-5.8(დ): „პროკურორმა არ უნდა გააკეთოს იმგვარი განცხადება, რომელიც ხელს შეუშლის მსაჯულებს საკუთარი ვალდებულების შესრულებაში, კერძოდ, – საქმეზე გადაწყვეტილების, მხოლოდ, მტკიცებულებათა საფუძველზე მიღებაში;“

სტანდარტი 3-5.9: „როგორც პირველი ინსტანციით, ისე აპელაციის წესით საქმის განხილვის დროს, პროკურორმა განზრახ არ უნდა მიუთითოს ან იდავოს ისეთ ფაქტებზე, რომელიც სცილდება საქმის მასალებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი ფაქტები საყოველთაოდ ცნობილია ჩვეულებრივი ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე ან ეხება ისეთ საკითხებს, რასაც მხარეები საეჭვოდ არ ხდიან.“

პირდაპირი მითითება იმის თაობაზე, რომ ბრალდებული არ იძლევა ჩვენებას

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, *მუხლი 15. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება.*

„არავინ არ არის ვალდებული ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან სხვა პირთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც განისაზღვრება ამ კოდექსით.“

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, *მუხლი 38 IV ნაწილი:* „ბრალდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.“

საქმე: *კარტერი კენტუკის წინააღმდეგ, 450 450U.S.288, 301(1981)*[78] „ბრალდებული სასამართლოს მიერ არ უნდა დაისავჯოს საკუთარი კონსტიტუციური უფლებით სარგებლობის გამო.“

საქმე: *ბაქსტერი პალმიჯანოს წინააღმდეგ, 425U.S.308, 319(1976)*[79], „საქმეში: *გრიფინი კალიფორნიის წინააღმდეგ,* მოსამართლესა და პროკურორს აეკრძალა მიუთითონ ნაფიც მსაჯულებს იმის შესახებ, რომ ბრალდებულის დუმილი შეუძლიათ ჩათვალონ მისი დამნაშავეობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.“

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.6(ბ) და 3-5.9.*

არაპირდაპირი მითითება იმაზე, რომ ბრალდებული არ იძლევა ჩვენებას

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, *38 მუხლის IV ნაწილი:* „ბრალდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.“

საქმე: *უაითი აშშ-ს წინააღმდეგ, 248A.2d825, 825&826n. 2 (D.C.1969)*[80], პროკურორის არამართებული ქცევა იმაში გამოიხატა, რომ მან მიუთითა „პოლიციის ოფიცრების მიერ მიცემულ **ჩვენებათა მსგავსებაზე მაშინ**, როდესაც შემთხვევის ადგილზე, პოლიციის აღნიშნული ოფიცრებისა და აპელანტის გარდა სხვა არავინ იმყოფებოდა.“

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.6(ბ) და 3-5.9.*

---

[78] *კარტერი კენტუკის წინააღმდეგ* (*Carter v. Kentucky, 450U.S.288, 301(1981)*).
[79] *ბაქსტერი პალმიჯანოს წინააღმდეგ* (*Baxter v. Palmigiano, 425U.S.308, 319(1976)*).
[80] *უაითი აშშ-ს წინააღმდეგ* (*White v. United States, 248A.2d825, 825&826n. 2 (D.C.1969)*).

მითითება იმაზე, თუ როგორ იქცევა ბრალდებული ს.ს. საქმის სასამართლო განხილვისას

საქმე: *აშშ რაითის წინააღმდეგ, 489F.2d1181,1186 (D.C.Cir.1973)*[81], პროკურორის მიერ იმაზე მითითება, რომ ბრალდებული არ იძლევა ჩვენებას, არღვევს სამართლიანი სასამართლოს (პროცესის) უფლებას, ვინაიდან ის არარელევანტურია ბრალის საკითხის გადაწყვეტისთვის.

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.6(ბ); 3-5.8(დ); 3-5.9.*

მითითება იმაზე, რომ ბრალდებულის მონაწილეობა სასამართლო პროცესში საშუალებას აძლევს მას შეთხზას საკუთარი დაცვის პოზიცია

აშშ-ს კონსტიტუციის VI შესწორების თანახმად – „სისხლის სამართლის ყველა საქმეზე, ბრალდებულს უფლება აქვს დაუპირისპირდეს ყველა იმ მოწმეს, ვინც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას.“

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ასევე ანიჭებს ბრალდებულს უფლებას დაუპირისპირდეს მოწმეებს, რომლებიც მის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას. შესაბამისად, ბრალდებულის უფლება – დაუპირისპირდეს მოწინააღმდეგე მხარის მოწმეებს, გარანტირებულია ამ საერთაშორისო კონვენციით, რომლის მონაწილეც არის საქართველო. ***ს.ს.ს. კოდექსის 38-ე მუხლის მე-16 ნაწილის თანახმად***, მოცემულ მუხლში მოყვანილი უფლებების ჩამონათვალი, არ ზღუდავს ბრალდებულს ისარგებლოს სხვა უფლებებით, რომელიც მას გარანტირებული აქვს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო შეთანხმებებით.

საქმე: *მიტჩელი აშშ-ს წინააღმდეგ (569A.2d177,183 (D.C.1990)*[82] – პროკურორის კომენტარი იმის თაობაზე, რომ ბრალდებულის მონაწილეობამ საქმის განხილვაში ხელი შეუწყო მას სხვა მოწმეთა ჩვენებებთან შეთანხმებული დაცვა წარმოედგინა, არღვევს ბრალდებულის უფლებას დაუპირისპირდეს მოწინააღმდეგე მხარის მოწმეებს.

საქმე: *კორეასი აშშ-ს წინააღმდეგ* (*564A.2d594, 604(D.C.1989)*[83] – პროკურორის არამართებულ ქცევად ჩაითვალა მისი მითითება მსაჯულებისადმი, უარყოფითად შეეფასებინათ ის ფაქტი, რომ ბრალდებული სარგებლობდა მოწმეებთან დაპირისპირების უფლებით.

---

[81] *აშშ რაითის წინააღმდეგ* (*United States-v. Wright, 489F.2d1181,1186 (D.C.Cir.1973)*).

[82] *მიტჩელი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Mitchell v. United States* (*569A.2d177,183 (D.C.1990)).*

[83] *კორეასი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Coreasv.United States* (*564A.2d594, 604(D.C.1989)).*

მითითება იმაზე, რომ ბრალდებული არ იყო თანახმა ჩხრეკაზე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 112 ***სასამართლოს განჩინებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება (ნაწილი I)***

„საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. მოსამართლე შუამდგომლობისა და მისი განხილვისთვის საჭირო ინფორმაციის შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს შუამდგომლობის დამყენებელი მხარის მონაწილეობით. ამ შემთხვევაში შუამდგომლობის განხილვისას გამოიყენება ამ კოდექსის 206-ე მუხლით გათვალისწინებული წესი. თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად.“

აშშ-ს კონსტიტუციის IV შესწორების თანახმად, „ადამიანის პირადი ცხოვრება, საცხოვრებელი, დოკუმენტაცია და სხვა, დაცულია დაუსაბუთებელი ჩხრეკისა და ამოღებისგან. დაუშვებელია შესაბამისი ნებართვის გაცემა ფიცით ან მტკიცებით დადასტურებული სავარაუდო მიზეზისა და ჩხრეკის ჩატარების ადგილისა და ამოსაღები ნივთების დეტალური მითითების გარეშე.“

საქმე: *აშშ პრესკოტის წინააღმდეგ, (581F.2d1343, 1350-51 (9thCir.1978)*[84], პროკურორის მითითება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ბრალდებულმა გამოიყენა კონსტიტუციის IV შესწორებით გარანტირებული უფლება მაშინ, როდესაც პოლიცია ჩხრეკის ორდერის გარეშე ცდილობდა მის ბინაში ჩხრეკის ჩატარებას, ჩაითვალა ბრალდების მხარის უსამართლო ტაქტიკად და ისეთ შეცდომად, რომელიც არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და შეიძლება იყოს გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველი.

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.6(ბ); 3-5.8(დ); 3-5.9.*

მითითება იმაზე, რომ ბრალდებულს ჰყავს ან მოითხოვა დამცველი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ***მუხლი 38 ნაწილი V:*** „ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია – უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისთვის. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია. აკრძალულია ბრალდებულისა და მისი ადვო-

[84] *აშშ პრესკოტის წინააღმდეგ*, (*United States v. Prescott (581F.2d1343, 1350-51 (9thCir.1978)).*

კატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას.“

საქმე: *დაიაზი აშშ-ს წინააღმდეგ, 716A.2d173(D.C.1998)*[85], პროკურორის განცხადება იმის თაობაზე, რომ ბრალდებულმა და მისმა ადვოკატმა „შეთხზეს ერთი პატარა ლამაზი ამბავი“, ჩაითვალა არამართებულ/არაეთიკურ ქცევად, ვინაიდან ეს განცხადება უბიძგებდა მსაჯულებს გაეკეთებინათ ბრალდებულის საწინააღმდეგო დასკვნა მის მიერ დაცვის უფლებით სარგებლობის გამო.

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.6(ბ); 3-5.8(დ); 3-5.9.*

ადვოკატის დამცირება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, *მუხლი 38 ნაწილი V:* „ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია – უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისთვის. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია. აკრძალულია ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას.“

საქმე: *ჯონსონი აშშ-ს წინააღმდეგ (671A.2d428, 437(D.C.1995)*[86], პროკურორის კომენტარი – „გრცხვენოდეს“ ადვოკატის მიმართ, რომელმაც განაცხადა, რომ ბრალდების მოწმემ იცრუა, იყო „სრულიად მიუღებელი“ და არაეთიკური.

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.6; 3-5.8(დ); 3-5.9(ბ).*

რაიონული პროკურორების ეროვნული ასოციაცია, საპროკურორო საქმიანობის ეროვნული სტანდარტები; წესი 6.5(ბ) „მხარემ, საკუთარი შეხედულების მიუხედავად, თავი უნდა შეიკავოს პირადი უარყოფითი დამოკიდებულების გამოვლენისგან მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის მიმართ.“

ადვოკატის შეძება

საქმე: *აშშ ფრედერიკის წინააღმდეგ, 78F.3d1370,1380 (9thCir.1996)*[87], პროკუ-

[85] *დაიაზი აშშ-ს წინააღმდეგ*, (*Diazv.UnitedStates 716A.2d173(D.C.1998)).*
[86] *ჯონსონი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Johnson v.United States (671A.2d428, 437(D.C.1995)).*
[87] *აშშ ფრედერიკის წინააღმდეგ*, (*United States v. Frederick 78F.3d1370,1380 (9thCir.1996)).*

რორის მხრიდან მიუღებელია ისეთი კომენტარის გაკეთება, როგორიცაა, „ადვოკატის საქმეა ბრალდების მიერ მოწვეული მოწმეების ჯვარედინი წესით დაკითხვა საკუთარი კლიენტის ინტერესების დასაცავად. და თქვენ გაქვთ უფლება მოხიბლული იყოთ [ადვოკატით], რომელიც თავისი საქმის ოსტატია“ და „მინდა შევაქო იგი, ვინაიდან მან კარგად მოახერხა თავგზა აერია [მოწმისთვის]”. ასეთი კომენტარი მიუღებელია იმდენად, რამდენადაც მიანიშნებს, რომ დაცვის მეთოდები თითქოს მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლას ემსახურება.“

იხლეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.6(ბ); 3-5.8(დ); 3-5.9.4.*

მითითება დაცვის ღირებულებაზე

იხილეთ: **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, *მუხლი 38 ნაწილი V*.**

საქმე: *აკე აკე ოკლაჰომას წინააღმდეგ, 470U.S.68, 70(1985)*[88], „კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ უქონელ ბრალდებულს ხელი მიუწვდებოდეს ფსიქიატრიულ გამოკვლევაზე და საკუთარი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ეფექტური დაცვის მომზადებისთვის საჭირო დახმარებაზე.“

საქმე: *გიდეონი უეინრაითის წინააღმდეგ, 372U.S.335, 359(1963)*[89], სოციალურად დაუცველ ბრალდებულს უფლება აქვს ისარგებლოს სახელმწიფოს მიერ დანიშნული დამცველის მომსახურებით.

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.6(ბ); 3-5.8(დ); 3-5.9.*

პირადი მოსაზრების გამოთქმა ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ

პროკურორის პირადი მოსაზრება ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ არის მიუღებელი და ლახავს ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

საქმე: *აშშ იანგის წინააღმდეგ, 470U.S.1,17 (1985)*[90], არამართებულია პროკურორის მიერ პირადი აზრის გამოთქმა ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით.

საქმე: *ფინჩი აშშ-ს წინააღმდეგ, 867A.2d222,227 (D.C.2005)*[91], არამართებულია პროკურორის დაუსაბუთებელი კომენტარი იმის თაობაზე, რომ ჩვენების მიცემის

[88] *აკე აკე ოკლაჰომას წინააღმდეგ* (*AkeAke v. Oklahoma,470U.S.68, 70(1985)).*
[89] *გიდეონი უეინრაითის წინააღმდეგ*, (*Gideon v. Wainwright 372U.S.335, 359(1963)).*
[90] *აშშ იანგის წინააღმდეგ* (*United States v.Young 470U.S.1,17 (1985)).*
[91] *ფინჩი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Finch v. Unites States 867A.2d222,227 (D.C.2005)).*

დროს ბრალდებულმა იცრუა, დანაშაულის აღიარების თავიდან აცილების მიზნით.

ვაშინგტონის იურისტთა ასოციაცია, წესი 3.4(ე) – სასამართლო პროცესზე იურისტებმა (ადვოკატი/პროკურორი) არ უნდა გამოთქვან პირადი მოსაზრება მოწმის სანდოობასთან დაკავშირებით.

ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.8(ბ) – პროკურორმა არ უნდა გამოთქვას საკუთარი აზრი ან რწმენა ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით.

მოწმის სანდოობის თავდებად დადგომა ან პირადი მოსაზრების გამოთქმა მტკიცებულებასთან დაკავშირებით

აშშ-ში მრავალ საქმეზე დადგინდა, რომ მოწმის სანდოობის თავდებად დადგომა პროკურორის ან ადვოკატის მიერ არამართებული საქციელია. მოწმის სანდოობასთან დაკავშირებით მხარის მიერ მისი პირადი შეხედულების გამოთქმა მიუღებელია საქმის განხილვისას.

საქმე: *აშშ იანგის წინააღმდეგ, 470U.S.1,17 (1985)*[92], პროკურორის მიერ მოწმის სანდოობის თავდებად დადგომა და საკუთარი მოსაზრების გამოთქმა ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით ორ საფრთხეს შეიცავს: (1) ასეთი კომენტარი ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს მტკიცებულებები, რომლებიც არ იქნა განხილული მსაჯულთა მონაწილეობით, მაგრამ ცნობილია პროკურორისთვის, ამყარებს ბრალდებულის მიმართ წარდგენილ ბრალდებას და შესაბამისად, არღვევს ბრალდებულის უფლებას, რათა მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა მიერ გადაწყდეს მხოლოდ სასამართლოზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე; და (2) პროკურორის მოსაზრება, არის რა „სახელმწიფოს“ მოსაზრება, შესაძლოა უფრო სარწმუნოდ იქნეს მიჩნეული მსაჯულების მიერ, ვიდრე მტკიცებულებათა საკუთარი შეფასებით გამოტანილი დასკვნები.

საქმე: *ფინჩი აშშ-ს წინააღმდეგ, 867A.2d222,227 (D.C.2005)*[93], მიუღებელია პროკურორის მიერ მოსაზრების გამოთქმა იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდების მოწმეების ჩვენება „საოცრად გულწრფელი“ იყო.

საქმე: *უესტი აშშ-ს წინააღმდეგ, 866A.2d74, 80(D.C.2005)*[94] _ პროკურორის კომენტარი, რომ დაცვის არგუმენტი „სასაცილოა,“ არამართებულია იმ შემთხვევაში, თუ ეს პირადი მოსაზრების გამოხატულებაა.

ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტან-

---

[92] *აშშ იანგის წინააღმდეგ, (United States v. Young, 470U.S.1,17 (1985)).*

[93] *ფინჩი აშშ-ს წინააღმდეგ, (Finch v. Unites States,867A.2d222,227 (D.C.2005)).*

[94] *უესტი აშშ-ს წინააღმდეგ, (West v. United States, 866A.2d74, 80(D.C.2005)).*

დარტები; სტანდარტი: 3-5.8(ბ) – „პროკურორმა არ უნდა გამოთქვას საკუთარი აზრი ან რწმენა რომელიმე ჩვენების ან მტკიცებულების სანდოობის ან სიყალბის შესახებ...“

ფაქტების დამახინჯება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 8 სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება (ნაწილი I)

„ბრალდებულს (მსჯავრდებულს, გამართლებულს) აქვს სამართლიანი პროცესის უფლება.“

პროკურორის მიერ ფაქტების დამახინჯება ბრალდებულს უსპობს როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ასევე მის წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებებთან და მოწმეებთან დაპირისპირების კანონით გარანტირებულ უფლებას.

საქმე: *დონელი დეკრისტოფოროს წინააღმდეგ, 416U.S.637, 645(1974)*[95], „სრულიად არამართებულია პროკურორის მხრიდან ფაქტების დამახინჯება.“

ვაშინგტონის იურისტთა ასოციაცია, პროფესიული ქცევის წესები. წესი 3.4 (ი): მხარემ არ უნდა „წამოჭრას საკითხი, თუ მას საფუძვლიანი რწმენა არ აქვს, რომ ეს საკითხი მოცემულ საქმესთან მიმართებაში არის რელევანტური და თუ იგი არ იქნება გამყარებული საქმეში არსებული დასაშვები მტკიცებულებით.“

ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი 3-5.8(ა) – „პროკურორმა განზრახ არ უნდა დაამახინჯოს მტკიცებულება და შეგნებულად არ უნდა უბიძგოს მსაჯულებს არასწორი დასკვნების გაკეთებისაკენ.“

ისეთი ფაქტების ხსენება, რომელიც არ არის საქმეში

საქმეში არარსებული ფაქტების ხსენება დაუშვებელია და ეწინააღმდეგება ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციას. ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარემ პროტესტი უნდა დააყენოს და მოსამართლეს უნდა სთხოვოს, შენიშვნა მისცეს დამრღვევს, ხოლო მსაჯულებს – ხელახლა წაუკითხოს მტკიცებულების განმარტება კანონის შესაბამისად.

საქმე: *დონელი დეკრისტოფოროს წინააღმდეგ, 416U.S.637, 645(1974)*[96], არამართებულად იქნა ცნობილი პროკურორის მიერ დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას მსაჯულთა ყურადღების გამახვილება იმ ფაქტზე, რომ ამავე საქმეზე, ყოფილი თანაბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი.

---

[95] *დონელი დეკრისტოფოროს წინააღმდეგ* (*Donnelly v. DeChristoforo 416U.S.637, 645(1974)).*
[96] *დონელი დეკრისტოფოროს წინააღმდეგ* (*Donnelly v. DeChristoforo 416U.S.637, 645(1974)).*

საპროკურორო საქმიანობის ეროვნული სტანდარტები, წესი 76.2 – ბრალდების მხარემ არ უნდა ახსენოს მტკიცებულება, თუ არ არსებობს ამ მტკიცებულების სასამართლო პროცესზე წარმოდგენისა და დასაშვებად ცნობის გონივრული საფუძველი (მაღალი ალბათობა).

ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი 3-5.9 – „როგორც პირველი ინსტანციით, ისე აპელაციის წესით საქმის განხილვის დროს, პროკურორმა განზრახ არ უნდა მიუთითოს ან იდავოს ისეთ ფაქტებზე, რომელიც სცილდება საქმის მასალებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი ფაქტები საყოველთაოდ ცნობილია ჩვეულებრივი ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე ან ეხება ისეთ საკითხებს, რასაც მხარეები საეჭვოდ არ ხდიან."

სტანდარტი 3-5.8(დ) –„პროკურორმა არ უნდა გააკეთოს იმგვარი განცხადება, რომელიც ხელს შეუშლის მსაჯულებს საკუთარი ვალდებულების შესრულებაში, კერძოდ – საქმეზე გადაწყვეტილების, მხოლოდ, მტკიცებულებათა საფუძველზე მიღებაში."

სხვა ქმედებები, რაც არღვევს ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლებას

ნორმის არასწორად გადმოცემა

უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებული ნორმების დამახინჯება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 5: უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმცია (ნაწილი I)

„პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით."

საქმე: *პორტერი აშშ-ს წინააღმდეგ*, *826 A.2d 398, 407 (D.C. 2003)*[97] – „როდესაც პროკურორი ამტკიცებს, რომ ყველა ბრალდებულს აქვს უფლება თავი მაქსიმალურად კარგად დაიცვას, საქმე გვაქვს პროკურორის მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის არასწორ გადმოცემასთან."

ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი 3-5.8(ა) – პროკურორმა არ უნდა უბიძგოს მსაჯულებს არასწორი დასკვნების გაკეთებისკენ.

---

[97] *პორტერი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Porter v. United States 826 A.2d 398, 407 (D.C. 2003)*).

კანონის ნორმის არასწორი ინტერპრეტაცია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის თაობაზე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ***მუხლი 13, ნაწილი II:*** „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას.“

თუ პროკურორი ამტკიცებს, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე ეს რეალურად კანონითაა დადგენილი, უნდა დადგეს პროტესტი და მოსამართლეს უნდა ეთხოვოს შესაბამისი ინსტრუქცია წაუკითხოს ნაფიც მსაჯულებს.

საქმე: *სალივანი ლუიზიანას წინააღმდეგ, 508 U.S. 275, 278 (1993)*[98] – გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის თაობაზე კანონის არასწორი განმარტება იმდენად საზიანოა, რომ ის ვერასდროს იქნება აღქმული უწყინარ შეცდომად.

მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული კანონის ნორმის არასწორი ინტერპრეტაცია

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ***მუხლი 5: უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმცია***

1. „პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.“

2. „არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ბრალდებელს უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე.“

საქმე: *მულანი ვილბურის წინააღმდეგ, 421 U.S. 684, 702 (1975)*[99], ბრალმდებლის მიერ ნებისმიერი მინიშნება, რომ დაცვამ თითქოს ბრალდებასთან ერთად უნდა გაინაწილოს მტკიცების ტვირთი, ან, რომ ბრალდებული არ უნდა იქნას მიჩნეული უდანაშაულოდ სასამართლო განხილვის მსვლელობისას, წარმოადგენს შეცდომას/დარღვევას, რაც ლახავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები;* სტანდარტი: 3-5.8(ა).

---

[98] *სალივანი ლუიზიანას წინააღმდეგ,* (*Sullivan v. Louisiana 508 U.S. 275, 278 (19930)).*

[99] *მულანი ვილბურის წინააღმდეგ,* (*Mullaney v. Wilbur 421 U.S. 684, 702 (1975)).*

კანონის არასწორი განმარტება განზრახვის ცნებასთან მიმართებაში

საქმე: *ფრანცისი ფრანკლინის წინააღმდეგ, 471 U.S. 307, 317 (1985)*[100], მსაჯულებისადმი მიცემული განმარტება, რომელსაც მტკიცების ტვირთი, განზრახვის ელემენტთან დაკავშირებით, გადააქვს ბრალდებულზე – უხეშად არღვევს კანონს.

იხილეთ: ამერიკის იურისტთა ასოციაცია, *სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები;* სტანდარტი: 3-5.8(ა).

მტკიცებულების არასწორი დახასიათება

დაიაზი აშშ-ს წინაღმდეგ, 716A.2d173(D.C.1998)[101], მიუღებელია პროკურორის მხრიდან ისეთი განცხადების შეგნებულად გაკეთება, რომელიც შექმნის არასწორ შთაბეჭდილებას, თითქოს ბრალდებულმა იცრუა, როდესაც თქვა, რომ ვერ გაიგო ინგლისურ ენაზე მიცემული ჩვენების შინაარსი.

ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი 3-5.8(ა) – „პროკურორმა არ უნდა უბიძგოს მსაჯულებს არასწორი დასკვნების გაკეთებისკენ.“

სტანდარტი: 3-5.8(დ) –„პროკურორმა არ უნდა გააკეთოს იმგვარი განცხადება, რომელიც ხელს შეუშლის მსაჯულებს საკუთარი ვალდებულების შესრულებაში, კერძოდ – საქმეზე გადაწყვეტილების, მხოლოდ, მტკიცებულებათა საფუძველზე მიღებაში.“

კომენტარების გაკეთება ბრალდებულის შესახებ

ბრალდებულის დაცინვა ან მისი დამცირება

თუ პროკურორი ბრალდებულთან დაკავშირებით აკეთებს პირადი ხასიათის კომენტარს/განცხადებას, ამ შემთხვევაში პროტესტის საფუძველი გახლავთ ის, რომ ამგვარი საკითხები არ არის კავშირში ბრალდებულის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენა-არჩადენასთან, ართმევს ბრალდებულს სამართლიანი პროცესის უფლებას და ემსახურება, მხოლოდ მსაჯულთა ემოციების გაცხოველებას.

საქმე: *სეტტლსი აშშ-ს წინააღმდეგ, 615 A.2d 1105, 1113 (D.C. 1992)*[102], არაამართებულად ჩაითვალა პროკურორის მიმართვა ბრალდებულისადმი – „მშიშარა ეგოისტი.“

ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტან-

---

[100] *ფრანცისი ფრანკლინის წინააღმდეგ* (*Francis v. Franklin, 471 U.S. 307, 317 (1985)).*
[101] *დაიაზი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Diaz v. United States 716A.2d173(D.C.1998)).*
[102] *სეტტლსი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Settles v. United States 615 A.2d 1105, 1113 (D.C. 1992)).*

დარტები; სტანდარტი 3-5.8(ბ) – „პროკურორმა არ უნდა გააკეთოს დაუშვებელი განცხადება ან კომენტარი მოსამართლის ან მსაჯულთა წინაშე, შეგნებულად, მათი ყურადღების დაუშვებელ საკითხზე გამახვილების მიზნით.“ *სტანდარტი 3-5.8(გ)* – პროკურორმა არ უნდა გააკეთოს ისეთი განცხადება, რომელიც გათვლილია მსაჯულთა წინასწარგანწყობაზე/დამოკიდებულებებზე ზემომოქმედებისათვის. *სტანდარტი 3-5.8(დ)* – პროკურორმა არ უნდა გააკეთოს იმგვარი განცხადება, რომელიც ხელს შეუშლის მსაჯულებს საკუთარი ვალდებულების შესრულებაში, კერძოდ მხოლოდ განხილული მტკიცებულებების საფუძველზე საქმის გადაწყვეტაში.

ბრალდებულის გარკვეული ეპითეტით მოხსენიება

საქმე: *სეტელსი აშშ-ს წინააღმდეგ, 615 A.2d 1105, 1113 (D.C. 1992)*[103], არაამართებულად ჩაითვალა პროკურორის მიმართვა ბრალდებულისადმი – „მშიშარა ეგოისტი“ და „რვაფეხა.“ (რვაფეხა იმიტომ, რომ „როცა რვაფეხას ეშინია ის წყალში შავ მელანს უშვებს.“).

საქმე: *დოი აშშ-ს წინააღმდეგ, 583 A.2d 670, 676 (D.C. 1990)*[104], არაეთიკურია პროკურორის მიერ ბრალდებულის „ცუდ პიროვნებად“ მოხსენიება.

ბრალდებულის ცნობილ ადამიანებთან შედარება

საქმე: *მატისი აშშ-ს წინააღმდეგ, 513 A.2d 1344, 1348 (D.C. 1986),*[105] პროკურორის მიერ ბრალდებულის „ნათლიმამასთან“ შედარებამ გადაწყვეტილების გაუქმება გამოიწვია, ვინაიდან დაირღვა სამართლიანი სასამართლოს უფლება.

საქმე: *ჰარისი აშშ-ს წინააღმდეგ, 430 A.2d 536, 540-41 (D.C. 1981)*[106], არაეთიკურია პროკურორის მიერ ბრალდებულის შედარება „მაფიის ნათლიმამასთან.“

ბრალდებულის „პროფესიონალ კრიმინალად“ მოხსენიება

საქმე: *ფინჩი აშშ-ს წინააღმდეგ, 867A.2d222,227 (D.C.2005)*[107], მიუღებელია პროკურორის მიერ ნასამართლობის მქონე ბრალდებულის ჩვენების დახასიათება – „ქურდობაში და ნარკოტიკებით ვაჭრობაში მსჯავრდებული ადამიანის სიტყვები.“

იხილეთ: ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.8(გ) და 305.8(დ).

[103] *სეტელსი აშშ-ს წინააღმდეგ (Settles v. United States 615 A.2d 1105, 1113 (D.C. 1992)).*
[104] *დოი აშშ-ს წინააღმდეგ (Doe v. United States 583 A.2d 670, 676 (D.C. 1990)).*
[105] *მატისი აშშ-ს წინააღმდეგ (Mathis v. United States 513 A.2d 1344, 1348 (D.C. 1986)).*
[106] *ჰარისი აშშ-ს წინააღმდეგ (Harris v. United States 430 A.2d 536, 540-41 (D.C. 1981)).*
[107] *ფინჩი აშშ-ს წინააღმდეგ (Finch v. Unites States 867A.2d222,227 (D.C.2005)).*

განცხადება, რომ ბრალდებული საშიშია საზოგადოებისთვის

საქმე: *დარდენი უეინრაითის წინააღმდეგ, 477 U.S. 168, 180 (1986)*[108], არაეთიკურია პროკურორის მიერ განცხადების გაკეთება, რომ მხოლოდ ბრალდებულის სიკვდილით დასჯა უზრუნველყოფს მსგავსი დანაშაულის აღკვეთას.

იხილეთ: ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.8(გ) და 305.8(დ).

მითითება ბრალდებულის წარსულში ნასამართლობაზე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 238: ბრალდებულის ნასამართლობა

„ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ (თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი ან/და გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად), აგრეთვე ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან.“

საქმე: *ფინჩი აშშ-ს წინააღმდეგ, 867A.2d222,227 (D.C.2005)*[109], მიუღებელია პროკურორის მიერ ნასამართლობის მქონე ბრალდებულის ჩვენების დახასიათება – „ქურდობაში და ნარკოტიკებით ვაჭრობაში მსჯავრდებული ადამიანის სიტყვები.“

საქმე: ლიი აშშ-ს წინააღმდეგ, 562 A.2d 1202, 1205 (D.C. 1989)[110], მიუღებელია პროკურორის განცხადება: „უფრო მეტად სავარაუდოა ბრალდებულმა, როგორც პიროვნებამ, ვისაც შეუძლია სხვისი ნივთების მოპარვა, არ თქვას სიმართლე“ – ვინაიდან ეს განცხადება გულისხმობს ბრალდებულის მიდრეკილების მის წინააღმდეგ მტკიცებულებად გამოყენებას.

იხილეთ: ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.8(გ) და 305.8(დ).

ჯგუფურ ცრურწმენებზე/წინასწარგანწყობებზე აპელირება

საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებში დამკვიდრებულ ცრურწმენებზე აპელირება მიუღებელია, ვინაიდან ასეთი ქმედება არ არის რელევანტური სასამართლო პროცესის კანონიერ მიზნებთან მიმართებაში, ბრალდებულს უსპობს სამართლიანი სასამართლოს უფლებას

---

[108] *დარდენი უეინრაითის წინააღმდეგ (Darden v. Wainwright 477 U.S. 168, 180 (1986)).*
[109] *ფინჩი აშშ-ს წინააღმდეგ (Finch v. Unites States 867A.2d222,227 (D.C.2005)).*
[110] *ლიი აშშ-ს წინააღმდეგ (Lee v. United States, 562 A.2d 1202, 1205 (D.C. 1989)).*

და მიმართულია მსაჯულთა ემოციებზე არამართებული ზეგავლენის მოხდენისაკენ.

მითითება რასობრივ კუთვნილებაზე

საქმე: *ბეიტსი აშშ-ს წინააღმდეგ, 766 A.2d 500, 508 (D.C. 2000)*[111], მიუღებელია პროკურორის მიერ ადვოკატის რასისტად მოხსენიება ან რაიმე კომენტარის გაკეთება დამცველის რასობრივი კუთვნილების შესახებ.

ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი 3-5.8(დ) – „პროკურორმა არ უნდა გააკეთოს იმგვარი განცხადება, რომელიც ხელს შეუშლის მსაჯულებს საკუთარი ვალდებულების შესრულებაში, კერძოდ მხოლოდ განხილული მტკიცებულებების საფუძველზე საქმის გადაწყვეტაში.“ იხილეთ აგრეთვე, *სტანდარტი 3-5.8(გ)* – „პროკურორმა არ უნდა გააკეთოს დაუშვებელი განცხადება ან კომენტარი მოსამართლის ან მსაჯულთა წინაშე, შეგნებულად, მათი ყურადღების დაუშვებელ საკითხზე გამახვილების მიზნით.“

გენდერულ დისკრიმინაციაზე ან ჰომოფობიაზე აპელირება

საქმე: *ჯონსი აშშ-ს წინააღმდეგ, 625 A.2d 281, 284 (D.C. 1993)*[112], პროკურორის არაერთგზისი მითითება ისეთ საკითხზე, როგორიც იყო ბრალდებულებს შორის სავარაუდო ჰომოსექსუალური ურთიერობა, ჩაითვალა შეცდომად/დარღვევად, რომელიც არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და შეიძლება გადაწყვეტილების შეცვლას დაედოს საფუძვლად.

საქმე: *ლიი ბენეტის წინააღმდეგ, 927 F. Supp. 97, 104-05 (S.D.N.Y. 1996)*[113], მიუღებელად ჩაითვალა პროკურორის მიერ აქცენტის გაკეთება გენდერულ დისკრიმინაციაზე, კერძოდ, მისი კომენტარი იმის თაობაზე, რომ დაცვის მოწმეთა ჩვენებები ხსნის იმ მიზეზებს, თუ „რატომ არ აღირიცხება ქვეყანაში ჩადენილი გაუპატიურების მრავალი შემთხვევა.“

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.8(დ) და 305.8(გ).*

---

[111] *ბეიტსი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Bates v. United States 766 A.2d 500, 508 (D.C. 2000)).*
[112] *ჯონსი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Jones v. United States 625 A.2d 281, 284 (D.C. 1993)).*
[113] *ლიი ბენეტის წინააღმდეგ* (*Lee v. Bennett 927 F. Supp. 97, 104-05 (S.D.N.Y. 1996)).*

აპელირება კლასობრივ დისკრიმინაციაზე

საქმე: *აშშ „Socony-Vacuum Oil Co"-ს წინააღმდეგ, 310 U.S. 150,239 (1940)*[114], მიუღებელია ნებისმიერი სახით მინიშნება კლასობრივ დისკრიმინაციაზე. ამგვარად, სასამართლო მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს, რათა არ მოხდეს ხსენებული დისკრიმინაციის შემთხვევები საქმის განხილვისას.

საქმე: *ბრაუნი აშშ-ს წინააღმდეგ, 766 A.2d 530, 548 (D.C. 2001)*[115], პროკურორის მიერ ბრალდებულთა მოხსენიება მდიდარ, ძალაუფლების მქონე და ქედმაღალ ექიმებად, ჩაითვალა იმგვარ განცხადებად, რომელიც არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და შეიძლება საფუძვლად დაედოს საქმის ხელახლა განხილვას.

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.8(დ) და 305.8(გ).*

კომენტარი რეგიონთან დაკავშირებით

საქმე: *პაუელი აშშ-ს წინააღმდეგ, 455 A.2d 405,410 (D.C. 1983)*[116], არამართებულად ჩაითვალა პროკურორის განცხადება – „ამ ქვეყანაში მსაჯულები წყვეტენ...," ვინაიდან იგი ჩაითვალა, როგორც მსაჯულებში ეროვნული გრძნობებისა და განცდების გაღვივების მცდელობა.

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.8(დ) და 305.8(გ).*

რელიგიური ხასიათის კომენტარები

საქმე: *მაილსი აშშ-ს წინააღმდეგ, 374 A.2d 278, 283-84 (D.C. 1977)*[117], არამართებულად ჩაითვალა პროკურორის მიერ დასკვნით სიტყვაში ბენედიქტ არნოლდსა და იუდა ისკარიოტელზე მითითება.

საქმე: *ვილაკრესი აშშ-ს წინააღმდეგ, 357 A.2d 423, 428 (D.C. 1976)*[118], პროკურორის მიერ დაზარალებულის „სიკვდილით დასჯასა" და იესოს ჯვარცმას შორის პარალელის გაკეთება ჩაითვალა იმგვარ ქმედებად, რომელიც არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და შეიძლება საფუძვლად დაედოს საქმის ხელახლა განხილვას.

---

[114] *აშშ "Socony-Vacuum Oil Co"-ს წინააღმდეგ* (*United States v. Socony-Vacuum Oil Co 310 U.S. 150,239 (1940)*).
[115] *ბრაუნი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Brown v. United States 766 A.2d 530, 548 (D.C. 2001)*).
[116] *პაუელი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Powell v. United States 455 A.2d 405,410 (D.C. 1983)*).
[117] *მაილსი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Miles v. United States 374 A.2d 278, 283-84 (D.C. 1977)*).
[118] *ვილაკრესი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Villacres v. United States 357 A.2d 423, 428 (D.C. 1976)*).

დაცვის თეორიის დაცინვა ან დაკნინება

საქმე: *ჯონსონი აშშ-ს წინააღმდეგ, 671 A.2d 428, 436 (D.C. 1995)*[119], მიუღებელად ჩაითვალა პროკურორის მიმართვა ადვოკატისადმი – „სირცხვილი თქვენი.“

საქმე: *კური აშშ-ს წინააღმდეგ, 520 A.2d 255, 267 (D.C. 1987)*[120], არამართებულად ჩაითვალა პროკურორის მიერ სასამართლოზე გაკეთებული განცხადება, რომ როდესაც ადვოკატი საუბარს მტკიცებულებათა ფალსიფიკაციაზე იწყებს, ეს მიანიშნებს, რომ მას სხვა ხელმოსაჭიდი არგუმენტი განსახილველ საქმეზე არ გააჩნია.

საქმე: *პაუელი აშშ-ს წინააღმდეგ, 455 A.2d 405,410 (D.C. 1983)*[121], არამართებულად ჩაითვალა და გადაწყვეტილების გადახედვა გამოიწვია პროკურორის მიერ პროცესზე გაკეთებულმა კომენტარმა იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატსაც არ სჯერა საკუთარი კლიენტის.

საქმე: *ბეიტსი აშშ-ს წინააღმდეგ, 403 A.2d 1159, 1163 (D.C. 1979)*[122], მიუღებელია პროკურორის მიერ იმაზე აპელირება, რომ ადვოკატსაც არ სჯერა საკუთარი კლიენტისა და დაცვის პოზიციის.

საქმე: *ბეიტსი ბელის წინააღმდეგ, 2005 WL 659069, *9 (6th Cir. 2005)*[123], პროკურორის კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რომ, მისი აზრით, თვით ადვოკატებსაც არ სჯეროდათ საკუთარი მოწმეების ჩაითვალა იმგვარ შეცდომად, რომელიც არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გადახედვას.

მოწმის შესახებ მიუღებელი განცხადების გაკეთება

მოწმის „მატყუარად“ მოხსენიება

საქმე: *კორეასი აშშ-ს წინააღმდეგ, 565 A.2d 594, 604 (D.C. 1989)*[124], მიუღებელია პროკურორის მიერ მოწმის ჩვენების „სიცრუედ“ მოხსენიება.

საქმე: *ჯონსონი აშშ-ს წინააღმდეგ, 512 A.2d 253,257 (D.C. 1986)*[125], მიუღებელია პროკურორის შემდეგი განცხადება: „ბრალდებული ფიქრობდა, რომ მას ტყუილი გაუვიდოდა.“

---

[119] *ჯონსონი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Johnson v. United States 671 A.2d 428, 436 (D.C. 1995)).*
[120] *კური აშშ-ს წინააღმდეგ* (*Curry v. United States 520 A.2d 255, 267 (D.C. 1987)).*
[121] *პაუელი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Powell v. United States 455 A.2d 405,410 (D.C. 1983)).*
[122] *ბეიტსი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Bates v. United States 403 A.2d 1159, 1163 (D.C. 1979)).*
[123] *ბეიტსი ბელის წინააღმდეგ* (*Bates v. Bell 2005 WL 659069, *9 (6th Cir. 2005)).*
[124] *კორეასი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Coreas v. United States 565 A.2d 594, 604 (D.C. 1989)).*
[125] *ჯონსი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Jones v. United States 512 A.2d 253,257 (D.C. 1986)).*

იხილეთ: *საპროკურორო საქმიანობის ეროვნული სტანდარტები; წესი: 6.5(ვ), 77.1, 77.6.*

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.7(ა).*

მითითება იმაზე, რომ ურთიერთობის სპეციალური ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია მოწმის დაკითხვა

სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 50: პირი, რომელიც არ არის ვალდებული, იყოს მოწმე

1. „მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება:

a) ადვოკატს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

b) ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე, – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით;

გ) სასულიერო პირს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად;

დ) ბრალდებულის ახლო ნათესავს;

ე) სახალხო დამცველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს;

ვ) საქართველოს პარლამენტის წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს;

ზ) მოსამართლეს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც სასამართლოს თათბირის საიდუმლოებაა;

თ) ჟურნალისტს – პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით;

ი) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში;

კ) საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას, თუ იგი არ დათანხმდება, მისცეს ჩვენება.“

ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.7(გ) „მიუღებელია პროკურორის მიერ მოწმედ ისეთი პირის გამოძახება, ვინც არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება მოცემულ საქმეზე და პროკურორის ქმედება განპირობებულია მხოლოდ იმ მიზნით, რათა მსაჯულებმა დაინახონ, რომ ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათის გამო, მოწმე სარგებლობს ხსენებული კანონიერი უფლებამოსილებით.“

მსხვერპლზე/დაზარალებულზე აპელირება

მიუღებელია მსხვერპლის/დაზარალებულის პიროვნებაზე აპელირება, ვინაიდან ასეთი ქმედება არ არის რელევანტური სასამართლო პროცესის კანონიერ მიზნებთან მიმართებაში, ბრალდებულს უსპობს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და მიმართულია მსაჯულთა ემოციებზე არამართებული ზეგავლენის მოხდენისაკენ.

მსაჯულთა დაზარალებულის ადგილზე დაყენება

საქმე: *სეტტელსი აშშ-ს წინააღმდეგ, 615 A.2d 1105, 1113 (D.C. 1992)*[126], მიუღებელად ჩაითვალა, პროკურორის მოწოდება მსაჯულებისადმი, რათა დაფიქრებულიყვნენ, თუ რა ნათელი მომავალი ექნებოდა 12 წლის გარდაცვლილს.

საქმე: *მილსი აშშ-ს წინააღმდეგ, 599 A.2d 775, 787 (D.C. 1991)*[127], მიუღებელად ჩაითვალა, პროკურორის მოწოდება მსაჯულებისადმი, რათა დაფიქრებულიყვნენ, თუ რა ტკივილსა და ტანჯვას განიცდიდა გაუპატიურების მსხვერპლი.

საქმე: *დიქსონი აშშ-ს წინააღმდეგ, 565 A.2d 72, 76 (D.C. 1989)*[128], მიუღებელია პროკურორის თხოვნა მსაჯულებისადმი,რათა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ გარდაცვლილის შვილები მამის გარეშე უნდა გაიზარდონ.

საქმე: *კლარკი აშშ-ს წინააღმდეგ, 256 A.2d 782, 787 (D.C. 1969)*[129], მიუღებელია პროკურორმა მსაჯულებს სთხოვოს, საკუთარი თავის მსხვერპლის ადგილზე წარმოდგენა.

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები; სტანდარტი: 3-5.6(ბ), 3-5.8(დ) და 3-5.9.*

დღესასწაულებზე აპელირება მსაჯულთა ემოციებზე ზემოქმედებისათვის

საქმე: *აშშ პეინის წინააღმდეგ, 2 F.3d 706 (6th Cir. 1993)*[130], მიუღებელია პროკურორის მიერ შობის დღესასწაულზე აპელირება „იმ გათვლით, რომ დაზარალებულის მიმართ მსაჯულების ძლიერი თანაგრძნობა გამოიწვიოს.“

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები. სტანდარტი: 3-5.6(ბ), 3-5.8(დ) და 305.9.*

---

[126] *სეტტელსი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Settles v. United States 615 A.2d 1105, 1113 (D.C. 1992)*).
[127] *მილსი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Mills v. United States 599 A.2d 775, 787 (D.C. 1991)*).
[128] *დიქსონი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Dixon v. United States 565 A.2d 72, 76 (D.C. 1989)*).
[129] *კლარკი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Clarke v. United States 256 A.2d 782, 787 (D.C. 1969)*).
[130] *აშშ პეინის წინააღმდეგ* (*United States v. Payne 2 F.3d 706 (6th Cir. 1993)*).

სახელმწიფო ბრალდების პოზიციის გაიგივება დაზარალებულთან

საქმე: *ჰოტორნი აშშ-ს წინააღმდეგ, 476 A.2d 164, 172 (D.C. 1984)*[131], პროკურორის მიერ, გარდაცვლილის პოზიციიდან მოვლენების აღწერა, შემთხვევამდე და შემთხვევის შემდეგ, ჩაითვალა ჩაითვალა იმგვარ შეცდომად, რომელიც არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გადახედვას.

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები. სტანდარტი: 3-5.6(ბ), 3-5.8(დ) და 3-5.9.*

დაზარალებულისა და ბრალდებულის უფლებების შედარება

საქმე: *კანინგემი ზანტის წინააღმდეგ, 928 F.2d 1006, 1019-20 (11th Cir. 1991)*[132], მიუღებელია პროკურორის მხრიდან იმგვარი განცხადების გაკეთება, რომ ის შეურაცხყოფილია ბრალდებულის უფლებით – გასამართლებულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა მიერ.

საქმე: *ბრუკსი კემპის წინააღმდეგ, 762 F.2d 1383, 1411 (11th Cir. 1985)*[133], მიუღებელია პროკურორის მიერ განცხადების გაკეთება ბრალდებულის კონსტიტუციური უფლებით სარგებლობის თაობაზე და მითითება, რომ დაზარალებული არ ყოფილა თანაბრად დაცული კანონის მიერ.

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები. სტანდარტი: 3-5.6(ბ), 3-5.8(დ) და 3-5.9.*

მითითება იმაზე, რომ მოსამართლე და ბრალდება (სახელმწიფო) ერთ მიზანს ემსახურებიან

საქმე: *აშშ ფრედერიკის წინააღმდეგ, 78 F.3d 1370, 1380 (9th Cir. 1996)*[134], პროკურორის მიმართვა მსაჯულებისადმი, რომ ,,სახელმწიფო ბრალდება და მოსამართლე მოუწოდებენ მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაითვალისწინონ ყველა მტკიცებულება“ (ანუ, მოსამართლისა და ბრალდების მხარის ერთ კონტექსტში ხსენება), ჩაითვალა იმგვარ შეცდომად, რომელიც არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გადახედვას.

იხილეთ: *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები. სტანდარტი: 3-5.6(ბ), 3-5.8(დ) და 3-5.9.*

---

[131] *ჰოტორნი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Hawthorne v. United States 476 A.2d 164, 172 (D.C. 1984).*
[132] *კანინგემი ზანტის წინააღმდეგ* (*Cunningham v. Zant 928 F.2d 1006, 1019-20 (11th Cir. 1991)).*
[133] ბრუკსი კემპის წინააღმდეგ (*Brooks v. Kemp 762 F.2d 1383, 1411 (11th Cir. 1985)).*
[134] *აშშ ფრედერიკის წინააღმდეგ* (*United States v. Frederick 78 F.3d 1370, 1380 (9th Cir. 1996)).*

ზეწოლა ცალკეულ მსაჯულზე ან მსაჯულთა შემადგენლობაზე

მსაჯულთა მოწოდება „შეასრულონ მათზე დაკისრებული ფუნქცია," გასწიონ სამსახური, შეასრულონ საზოგადოების სინდისის ფუნქცია, ან გამოასწორონ საზოგადოებაში არსებული უკანონობა

საქმე: *სიმონსი სამხრეთ კაროლინას წინააღმდეგ, 512 U.S. 154, 163 (1994)*[135], მიუღებელია პროკურორის მიერ, ბრალდებულის საზოგადოებრივ საშიშროებაზე მითითება, სასამართლოში მისი ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტის ეტაპზე.

საქმე: *აშშ იანგის წინააღმდეგ, 470 U.S. 1, 5-7 (1985)*[136], მიუღებლად იქნა მიჩნეული პროკურორის შემდეგი მიმართვა მსაჯულებისადმი: „თქვენი უფლებაა გაამართლოთ ბრალდებული, მაგრამ მე არა მგონია თქვენი, როგორც მსაჯულების საქმე, კანონის საწინააღმდეგო ფაქტების მოძიება იყოს."

საქმე: *ვიერეკი აშშ-ს წინააღმდეგ, 318 U.S. 236, 247 (1943)*[137], მიუღებელია პროკურორის მიმართვა მსაჯულებისადმი: „ამერიკელ ხალს თქვენი იმედი აქვს ქალბატონებო და ბატონებო, რომ დაიცავთ მათ მსგავსი დანაშაულებისგან. ჩვენ ომში ვართ. თქვენ ვალდებული ხართ იმოქმედოთ."

საქმე: *პლამერი აშშ-ს წინააღმდეგ, 813 A.2d 182, 191(D.C. 2002)*[138], მიუღებელია პროკურორის მიერ დასკვნით სიტყვაში „საზოგადოების სინდისზე მითითება."

საქმე: *ბეტლი აშშ-ს წინააღმდეგ, 754 A.2d 312, 321 (D.C. 2000)*[139], მიუღებელია პროკურორის მიმართვა მსაჯულებისადმი, რომ ვინაიდან სახელმწიფო ბრალდების მიერ მოწვეული მოწმეები შიშის ქვეშ იძლეოდნენ ჩვენებებს, მსაჯულებმა გამამტყუნებელი ვერდიქტის მიღებით უნდა აღასრულონ მართლმსაჯულება.

საქმე: *ვიერეკი აშშ-ს წინააღმდეგ, 318 U.S. 236, 247 (1943)*[140], მიუღებელია პროკურორის განცხადება მსაჯულებისადმი, რომ – „ეს არის ომი. ეს არის მკაცრი, სასტიკი, სისხლიანი ომი."

<u>რეპლიკის უფლებით ბოროტად სარგებლობა</u>

საქმე: *ჩატომი აშშ-ს წინააღმდეგ, 801 A.2d 92,101 (D.C. 2002)*[141], განსაკუთრებით

[135] *სიმონსი სამხრეთ კაროლინას წინააღმდეგ* (*Simmons v. South Carolina 512 U.S. 154, 163 (1994)*).
[136] *აშშ იანგის წინააღმდეგ* (*United States v. Young 470 U.S. 1, 5-7 (1985)*).
[137] *ვიერეკი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Viereck v. United States 318 U.S. 236, 247 (1943)*)..
[138] *პლამერი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Plummer v. United States 813 A.2d 182, 191(D.C. 2002)*).
[139] *ბეტლი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Battle v. United States 754 A.2d 312, 321 (D.C. 2000)*).
[140] *ვიერეკი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Viereck v. United States 318 U.S. 236, 247 (1943)*).
[141] *ჩატომი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Chatmon v. United States 801 A.2d 92,101 (D.C. 2002)*).

მიუღებელია პროკურორის არაეთიკური კომენტარები რეპლიკის უფლებით სარგებლობის დროს.

საქმე: *პორტერი აშშ-ს წინააღმდეგ, 826 A.2d 398, 409 (D.C. 2003)*[142], მიუღებელია პროკურორის მიერ საქმის ახალი სამართლებრივი თეორიის (მაგალითად, როგორიცაა დანაშაულში თანამონაწილეობა) პირველად წამოყენება, რეპლიკის უფლებით სარგებლობის დროს.

საქმე: *კორეასი აშშ-ს წინააღმდეგ, 565 A.2d 594, 600 (D.C. 1989)*[143], პროკურორის მიერ რეპლიკის უფლებით სარგებლობის დროს, საქმის ახალი თეორიის პირველად გაჟღერება, რომელიც ახალ ფაქტობრივ გარემოებებს ეყრდნობოდა, ჩაითვალა იმგვარ შეცდომად, რომელიც არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გადახედვას.

წინასასამართლო შუამდგომლობა

წინასასამართლო შუამდგომლობის დაყენება, ბრალდებულის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, აშშ-ში მიღებული პრაქტიკაა. დაცვის მხარეს, წინასასამართლო სხდომაზე, უფლება აქვს დააყენოს შუამდგომლობა მოსამართლის წინაშე, პროკურორისთვის ბრალდებულის უფლებების და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის აკრძალვის მოთხოვნით (პროკურორის მიუღებელი ქცევა/ბრალდების მხარის უსამართლო ტაქტიკა), როგორც შესავალი/დასკვნითი სიტყვების წარმოდგენის დროს, ასევე სასამართლოში საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

ქვემოთ მოცემულია ზემოხსენებული შუამდგომლობის დასასაბუთებლად საჭირო არგუმენტაცია, სხვადასხვა შემთხვევის გათვალისწინებით და აშშ-ის კანონმდებლობისა და პრეცედენტების გამოყენებით. წინამდებარე ქვეთავში, ასევე ჩართულია საქართველოს კანონმდებლობიდან ამოკრებილი ის ნორმები, რომლებიც შეესაბამება მოცემულ შუამდგომლობაში განხილულ საკითხებს და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, ანალოგიური სახის შუამდგომლობების დასასაბუთებლად, საქართველოს სასამართლოებში.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42, ნაწილი I ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38: ბრალდებულის უფლება-მოვალეობანი; ნაწილი 14. ბრალდებულს აქვს შუამდგომლობის დაყენების უფლება. **ნაწილი 16** – ამ მუხლში მოყვანილი ჩამონათვალი არ ზღუდავს ბრალდებულის უფლებას, განახორციელოს ყველა სხვა უფლება, რომელიც მას საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებით აქვს მინიჭებული.

---

[142] პორტერი აშშ-ს წინააღმდეგ (*Porter v. United States 826 A.2d 398, 409 (D.C. 2003)).*
[143] *კორეასი აშშ-ს წინააღმდეგ (Coreas v. United States 565 A.2d 594, 600 (D.C. 1989)).*

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 19 სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების ორგანო; ნაწილი II – მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა დაუშვებელია. სასამართლო ვალდებულია ამ კოდექსით დადგენილი წესით, განსჯადობის მიხედვით განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, შუამდგომლობა და საჩივარი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 219 წინასასამართლო სხდომა; ნაწილი IV – წინასასამართლო სხდომის მოსამართლე:

a) განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე;

b) განიხილავს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ;

g) განიხილავს შუამდგომლობას საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის მიზნით;

d) *განიხილავს მხარეთა სხვა შუამდგომლობებს;*

e) წყვეტს არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის საკითხს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 93 შუამდგომლობის დაყენების უფლება და წესი; ნაწილი I – მხარეებმა შუამდგომლობა შეიძლება დააყენონ ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. **ნაწილი II** – შუამდგომლობა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. წერილობითი შუამდგომლობა უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს. ზეპირი შუამდგომლობა შეტანილ უნდა იქნეს ოქმში. **ნაწილი 6** – სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობის დასაყენებლად და დასაბუთებლად სასამართლო მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. **ნაწილი 7** – სასამართლოში საქმის განხილვისას დაყენებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით პოზიციის გამოსახატავად სასამართლო მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.

ბრალდებულის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილება თავიდან აგვაცილებს სახელმწიფო ბრალდების მხრიდან მიუღებელი არგუმენტების მოშველიების ან/და მოწმის მიუღებელი სახით დაკითხვის ფაქტებს.

აშშ-ის მეცხრე ოლქის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზემოხსენებული წინასასამართლო შუამდგომლობის „არსი იმაში მდგომარეობს, რომ არ იქნეს დაშვებული ოპონენტი მხარის მიერ ისეთი კითხვის დასმა ან იმგვარი კომენტარის გაჟღერება სასამართლოში საქმის განხილვის, მათ შორის, შესავალი/დასკვნითი სიტყვის წარმოდგენის დროს (ან, სხვაგვარად მსაჯულებისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდება), რომლის ხსენებაც კი, შუამდგომლობის ავტორის აზრით, საზიანო იქნება საქმის შედეგისათვის“. *(Barnd v. City of Tacoma, 664 F.2d 1339, 1343 (9th Cir. 1982).*[144] ამის მსგავსად (*McCormick on Evidence* §52, *at 74 (4th ed. 1992)*) აშშ-ის სხვა სასამართლო აღნიშნავს, რომ „ამგვარი შუამდგომლობის მიზანია, დაიცვას ნაფიცი მსაჯულები საზიანო და დაუშვებელი მტკიცებულებების მიწოდებისაგან,

[144] ბარნდი ქალაქ ტაკომას წინააღმდეგ (*Barnd v. City of Tacoma, 664 F.2d 1339, 1343 (9th Cir. 1982)).*

ან შექმნას საფუძველი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად.“ როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, სასამართლო განხილვის დროს, ბრალმდებლის მიერ საპროკურორო ეთიკის დარღვევა (უსამართლო ტაქტიკის გამოყენება), როგორც წესი, იწვევს კონსტიტუციით გარანტირებული ბრალდებულის უფლებების უხეშ დარღვევას და ნაფიცი მსაჯულების უარყოფითად განწყობას ბრალდებულის მიმართ. ამ თავში განხილული შუამდგომლობის წინასასამართლო სხდომაზე დაყენება კი, მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში დაგვეხმარება, რათა თავიდან ავიცილოთ ბრალდებულის კანონიერი უფლებების დარღვევის ფაქტი, სახელმწიფო ბრალმდებელისათვის მიუღებელი/დაუშვებელი განცხადების გაკეთების და/ან არგუმენტის მოყვანის აკრძალვის გზით.

ამგვარი წინასასამართლო შუამდგომლობის დაყენების მიზანი, იგივეა რაც მოსამართლის როლი სასამართლო პროცესზე, კერძოდ, ის უზრუნველყოფს ბრალდებულის კონსტიტუციური უფლებების დაცვას სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესში. აშშ-ი სასამართლოები დიდი ხანია მიუთითებენ, რომ მოსამართლეებს აკისრიათ პასუხისმგებლობა – არ დაუშვან პროკურორის არაეთიკური/მიუღებელი საქციელი საქმის განხილვისას. საქმეზე *აშშ იანგის წინააღმდეგ,*[145] აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, “ხაზს ვუსვამთ, რომ მოსამართლეა პასუხისმგებელი უზრუნველყოს დადგენილი ნორმების/ წესების დაცვა სასამართლო პროცესზე. იგი არ არის მხოლოდ სასამართლო სხდომის წამყვანი (მოდერატორი), არამედ მისი მმართველია, იმდენად, რამდენადაც პასუხისმგებელია მის სათანადოდ ჩატარებაზე.” აგრეთვე, საინტერესო გადაწყვეტილება იქნა მიღებული საქმეზე, *მაჰორნი უოლმანის წინააღმდეგ,*[146] სადაც ზემდგომმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სანაცვლოდ, რითიც პრაქტიკულად ოფიციალური მხარდაჭერა გამოუცხადა ბრალდების მხარის არამართებულ არგუმენტაციას, მოსამართლეს უნდა ემოქმედა მის აღსაკვეთად. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ აგრეთვე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ,,პროკურორის არამართებულმა ქცევამ შესაძლოა, სასამართლო იმდენად დააინფიციროს ,,უსამართლობით,“ რომ შედეგად, საქმეზე მიღებული გამამტყუნებელი გადაწყვეტილება აშკარად შეუსაბამო აღმოჩნდეს სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებთან.“[147]

აშშ-ის ფედერალური სასამართლოების მსგავსად, კოლუმბიის ოლქის სააპელაციო სასამართლოც დიდი ხანია აღიარებს და ხაზს უსვამს მოსამართლის როლს – აღკვეთოს პროკურორის მხრიდან არამართებული განცხადების გაკეთების ყველა შემთხვევა. საქმეში *თომასი აშშ-ს წინააღმდეგ,*[148] სააპელაციო სასამართლომ დაგმო პირველი ინსტანციით საქმის განმხილველი მოსამართლის არასათანადო (რბილი) რეაქცია პროკურორის არამართებული საქციელის მიმართ და ხაზი გაუსვა, ასეთ შემთხვევებში სწრაფად და გადაჭრით მოქმედების აუცილებლობას. ამის მსგავსად, აშშ-ში სხვადასხვა შტატის სასამართლოებსაც არაერთხელ გაუმახვილებიათ ყურადღება იმაზე, რომ ,,პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს კარგი შესაძლებლობა აქვს სათანადოდ აკონტროლოს მთლიანად პროცესის მიმდინარეობა. მას

[145] აშშ იანგის წინააღმდეგ (*United States v. Young, 470 U.S. 1, 10 (1985)).*
[146] მაჰორნი უოლმანის წინააღმდეგ (*Mahorney v. Wallman, 917 F.2d 469, 473 (1Oth Cir. 1990)).*
[147] გრიერი მილერის წინააღმდეგ (*Greer v. Miller, 483, U.S. 756, 765 (1987)).*
[148] თომასი აშშ-ს წინააღმდეგ (*Thomas v. United States, 557 A.2d 1296, 1304 (D.C. 1989)).*

შეუძლია მოსთხოვოს მხარეებს შეწყვიტონ არამართებული განცხადების გაკეთება, ხოლო ნაფიც მსაჯულებს მისცეს იმგვარი მითითება, რომელიც გამოასწორებს მიუღებელი განცხადების შედეგად გამოწვეულ ზიანს.“[149] საქმეში – *სახელმწიფო მოსის წინააღმდეგ*[150], ნათქვამია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ შეცდომა დაუშვა, არ იმოქმედა რა „*sua sponte*~ (ლათ. **„საკუთარი ინიციატივით“** – *აღნიშნავს მოსამართლის ქმედებას საკუთარი ინიციატივით, მხარეების შუამდგომლობის გარეშე*) არასათანადო განცხადებით გამოწვეული შედეგის გამოსასწორებლად. *ამერიკის იურისტთა ასოციაციის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტებში* კი, პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ „პირველი ინსტანციის სასამართლოა პასუხისმგებელი, რათა უზრუნველყოს, რომ ნაფიცი მსაჯულების წინაშე წარმოდგენილი დასკვნითი სიტყვა არ გასცდეს სათანადო, მისაღებ ფარგლებს.“[151]

ბრალდების მხარე, კანონის საფუძველზე ვერ გააპროტესტებს წინასასამართლო შუამდგომლობას, რომელიც მას მოუწოდებს – გაკეთებული განცხადებები და მოყვანილი არგუმენტები შეუსაბამოს კანონის მოთხოვნებს.

იმ განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით, რასაც პროკურატურა ასრულებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, სახელმწიფო ბრალდება ვერ წავა კანონის მოთხოვნათა დაცვით დაყენებული წინასასამართლო შუამდგომლობის წინააღმდეგ და შესაბამისად, ვერ გააპროტესტებს მისი დაკმაყოფილების ფაქტს. საქართველოს კანონმდებლობა არათუ უკრძალავს ბრალდების მხარეს, ისეთი არამართებული/მიუღებელი ქმედების განხორციელებას, რომელზეც წინა თავში გვქონდა საუბარი, არამედ ავალდებულებს მას უზრუნველყოს ბრალდებულის კონსტიტუციური უფლებების დაცვა. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურორი არის არა მხოლოდ ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარის, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელიც, რომლის ვალდებულება – მართოს მიუკერძოებლად, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფო მართვის ზოგადი ვალდებულება; შესაბამისად, მისი ინტერესია არა პროცესის მოგება, არამედ მართლმსაჯულების განხორციელება.[152] აშშ-ის მეცხრე ოლქის სასამართლომ გადაწყვეტილებაში, საქმეზე – *ჩრდილოეთ მარიანას კუნძულების თანამეგობრობა მენდიოლას წინააღმდეგ*[153] (რომელიც გაუქმდა სხვა მიზეზების გამო[154]), დაადგინა, რომ “პროკურორის ვალდებულებაა უზრუნველყოს ბრალდებული სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო პროცესით.” საინტერესოა აგრეთვე, გადაწყვეტილებები საქმეებზე: *ჰოტორნი აშშ-ს წინააღმდეგ*[155] და *ბრაუნი ბორგის წინააღმდეგ*[156], სადაც ნათქვამია, რომ პროკურორის

[149] იატესი აშშ-ს წინააღმდეგ (*Yates v. State, 103 Nev. 200, 205-206, 734 P.2d 1252, 1256 (1987)).*

[150] *სახელმწიფო მოსის წინააღმდეგ* (*State v. Moss, 376 S.E.2d 569, 574 (W.Va.1988)).*

[151] *ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები (ABA Standards for Criminal Justice), პროკურატურის ფუნქციებთან დაკავშირებული სტანდარტები, სტანდარტი: 3-5.8 .*

[152] ბერგერი აშშ-ს წინააღმდეგ (*Berger v. United States, 295 U.S. 78, 88 (1935)).*

[153] *ჩრდილოეთ მარიანას კუნძულების თანამეგობრობა მენდიოლას წინააღმდეგ (Commonwealth of the Northern Mariana Islands v.Mendiola, 976 F.2d 475, 486 (9th Cir. 1992)).*

[154] ჯორჯი კამაჩოს წინააღმდეგ (*George v. Camacho, 119 F.3d 1393 (9th Cir.1997)).*

[155] *ჰოტორნი აშშ-ს წინააღმდეგ* (*Hawthorne v. United States, 476 A.2d 164, 173 (D.C. 1984)).*

[156] *ბრაუნი ბორგის წინააღმდეგ* (*Brown v. Borg, 951 F.2d 1011, 1015 (9th Cir. 1991)).*

როლი არის არა ის, რომ მსჯავრი დასდოს პირს, არამედ – მიაღწიოს ბრალდებულის სამართლიან მსჯავრდებას. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, პროკურორი ვალდებულია პატივი სცეს ბრალდებულის უფლებებს და ხელი შეუწყოს მათ რეალიზაციაში, სახელმწიფო ბრალდებას არ აქვს კანონიერი საფუძველი გაასაჩივროს ან წინააღმდეგი იყოს, დაცვის მხარის მიერ დაყენებული, ამგვარი წინასასამართლო შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა. ბრალდების მხარე რა თქმა უნდა, ვერ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ პროკურორებს აქვთ უფლება ჩაიდინონ მიუღებელი საქციელი; სახელმწიფო ბრალდება ვერც იმას იდავებს, რომ სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს შუამდგომლობა, რომელიც შეესაბამება კანონს და რომლის შესრულებაც სავალდებულოა პროკურორისათვის. ასევე, სასამართლო, თავის მხრივ ვერ ჩათვლის, რომ პროკურორები დაიცავენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს ამ მიმართულებით და ვერ გაიზიარებს სახელმწიფო ბრალდების არგუმენტს იმის თაობაზე, რომ წინასასამართლო შუამდგომლობის დაკმაყოფილება არ არის საჭირო, რამეთუ პროკურორებმა კარგად იციან საკუთარი **ეთიკური ვალდებულებების** შესახებ.

მოქმედებები, რომელთა განხორციელება მოეთხოვება სასამართლოს საქმის განხილვის ეტაპზე, ბრალდების მხარის მიერ ბრალდებულის უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

თუ სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის პროცესში, ბრალდების მხარე დაარღვევს ბრალდებულის უფლებებს, პროკურორის სასამართლოსადმი უპატივცემულობაში დადანაშაულების გარდა, ბრალდებული ასევე, უფლებამოსილია მოსთხოვოს სასამართლოს შემდეგი ქმედებების განხორციელება:

იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი დაარღვევს ბრალდებულის უფლებებს და ჩაიდენს იმგვარ არამართებულ საქციელს, რომელსაც გარკვეულწილად, შევეხეთ წინა თავში მოყვანილი სასამართლო გადაწყვეტილებებით, საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია მოახდინოს ადეკვატური რეაგირება ბრალდებულის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით და ნაფიც მსაჯულებს მისცეს სათანადო ინსტრუქციები, რათა მოხდეს ბრალმდებლის არამართებული ქცევით გამოწვეული ზიანის გამოსწორება. სასამართლოს მიერ მხოლოდ იმაზე მითითება, რომ მსაჯულებმა არ გაითვალისწინონ პროკურორის არამართებული საქციელი (განცხადება), ვერ იქნება მიჩნეული ადეკვატურ რეაგირებად და შესაძლოა უფრო მეტადაც კი დაამძიმოს პროკურორის არამართებული ქცევით მიყენებული ზიანი. არასასურველი შედეგის თავიდან აცილების მიზნით, მოსამართლემ მინიმუმ, გარკვევით უნდა აუხსნას ნაფიც მსაჯულებს, თუ რა ფაქტს ჰქონდა ადგილი სასამართლო პროცესზე და რა სახის დარღვევა ჩაიდინა პროკურორმა. ეს ნიშნავს, რომ მან უნდა გასაგებად განუმარტოს მსაჯულებს, რომ პროკურორი შეეცადა მათზე ზემოქმედების მოხდენას დაუშვებელი და არაკანონიერი მეთოდით და შესაბამისად, მათ მიერ ამგვარი არამართებული ქცევის შედეგად მიღებული ინფორმაციის, რაიმე ფორმით გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პორცესში, გამოიწვევს – ნაფიცი მსაჯულის, კანონით გათვალისწინებული მოვალეობის უხეშ დარღვევას.

ამრიგად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მას ძალუძს გამოასწოროს პროკუ-

რორის არამართებული ქცევის შედეგად მიყენებული ზიანი მსაჯულებისთვის ახსნა-განმარტებითი მითითების მიცემის გზით, მან დაუყოვნებლივ უნდა ,,გააკეთოს განცხადება მსაჯულების მისამართით, რომელიც სრულიად დააბალანსებს ბრალდებულის ინტერესებისათვის პროკურორის განცხადებით მიყენებულ ზიანს.“[157]მაგალითად, საქმეზე: *ხალხი ბოლტონის წინააღმდეგ*[158], პროკურორის დასკვნით სიტყვაში გაიჟღერა მინიშნებამ ბრალდებულის წარსულში ნასამართლობასთან დაკავშირებით, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ ამ შემთხვევაში მიიჩნია რა, რომ ამ დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის გამოსწორება შესაძლებელი იყო შესაბამისი ახსნა-განმარტების მიცემის გზით, მან ნაფიც მსაჯულებს შემდეგი შინაარსის სიტყვით მიმართა:

,,ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემულო მსაჯულებო, პროკურორმა ეს-ეს არის გააკეთა გარკვეული მიუღებელი მინიშნებები ბრალდებულის თაობაზე. მინდა იცოდეთ, რომ ბრალმდებელს არ გააჩნია არავითარი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მის მიერ მინიშნებული ფაქტის ჭეშმარიტებას. პროკურორის ეს მიუღებელი განცხადება, უთანაბრდება მცდელობას, რათა უარყოფითად განგაწყოთ ბრალდებულის მიმართ. თუ თქვენ გაიზიარებდით ამ დაუსაბუთებელ ინსინუაციებს (მონაჭორი) და ამის საფუძველზე გაამტყუნებდით ბრალდებულს, მოგვიწევდა არშემდგარი სასამართლო პროცესის გამოცხადება. შესაბამისად, მოგიწოდებთ, რომ თქვენ უნდა უგულებელყოთ ეს მიუღებელი და დაუსაბუთებელი განცხადებები.“

დასკვნა

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, პროკურორთა უმეტესობა იცავს დადგენილ წესებს და სამართლიანად წარმოადგენს საქმეს სასამართლოში, თუმცა პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ბრალდების მხარის მიერ ხდება დადგენილი წესების დარღვევა დაშვებული შეცდომების თუ საკუთარი პოზიციის მტკიცების პროცესში მოჭარბებული ენთუზიაზმის გამო. ხშირ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ბრალდებულის უფლებების იმგვარ დარღვევებთან, რომლებიც ხელს უშლიან ნაფიც მსაჯულთა მიერ სამართლიანი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებას. წინამდებარე თავის პირველ ნაწილში განხილულ იქნა აშშ-ის სასამართლო პრაქტიკა, სადაც ასახულია ის კონკრეტული შემთხვევები, როდესაც პროკურორის ესა თუ ის ქცევა, მოსამართლის მიერ მიჩნეულ იქნა მიუღებლად და ბრალდებულის უფლებების უხეშ დარღვევად. აღნიშნული დაგეხმარებათ, შეიქმნათ ზოგადი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს პროკურორის მხრიდან ბრალდებულის უფლებების იმგვარ დარღვევად, რომელმაც შესაძლოა თქვენთვის, როგორც დაცვის მხარისთვის, არასასურველი შედეგი გამოიწვიოს.

ისმის კითხვა: *როგორ ავიცილოთ თავიდან პროკურორის მიუღებელი საქციელით გამოწვეული არასასურველი შედეგი?*

---

[157] ხალხი ბოლტონის წინააღმდეგ (*People v. Bolton, 23 Cal. 3d 208, 589 P.2d 396, 400 n. 5 (1970)).*

[158] ხალხი ბოლტონის წინააღმდეგ (*People v. Bolton, 23 Cal. 3d 208, 589 P.2d 396, 400 n. 5 (1970)).*

აშშ-ის საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, ამგვარი შედეგის თავიდან აცილების ყველაზე ეფექტური საშუალებაა: ***ა) წინასასამართლო სხდომაზე აღძრული შუამდგომლობის საფუძველზე მოიპოვოთ მოსამართლის განჩინება, რომელიც წინასწარ გააფრთხილებს პროკურორს, რათა არ მოხდეს ბრალდებულის უფლებებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა საქმის განხილვის მიმდინარეობისას;*** **ბ)** ***იყოთ სრულ მზადყოფნაში, რათა შესაბამისი დარღვევის დაფიქსირებისთანავე, მოახდინოთ რეაგირება და დროულად განაცხადოთ პროტესტი.*** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარ მოპოვებული განჩინების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იზრდება თქვენ მიერ გაცხადებული პროტესტის დაკმაყოფილების შანსები, რის შემდგომაც თქვენ საშუალება მოგეცემათ სთხოვოთ მოსამართლეს მისცეს სათანადო განმარტებები და შესაბამისი ინსტრუქციები წაუკითხოს ნაფიც მსაჯულთა მთელ შემადგენლობას.

ᲨᲜᲐᲠ-ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲖᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ

როგორ ვსწავლობთ[159]

ადამიანები უპირატესად სწავლობენ ვიზუალური აღქმისა და სმენის, ან მათი კომბინაციური შეთანხმების საშუალებით. მეცნიერები გვთავაზობენ მრავალ ნაშრომს იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობენ ადამიანები. ეს ნაშრომები ამტკიცებენ, რომ ჩვენ ვსწავლობთ და ვიმახსოვრებთ უპირველესად ჩვენ მიერ ვიზუალურად აღქმული ობიექტების, ხოლო შემდეგ მოსმენილი ინფორმაციის მეშვეობით. როდესაც ვინმეს ვიზუალურად ვაჩვენებთ რაიმეს და ამავდროულად სიტყვიერად ვუხსნით წარმოდგენილ ობიექტს, იგი ბევრად ეფექტურად აღიქვამს და იმახსოვრებს ჩვენს ნათქვამს.

რატომ უნდა გამოვიყენოთ ვიზუალური ეფექტი სასამართლო პროცესზე?[160]

ვიზუალური ეფექტის სასამართლო პროცესზე გამოსაყენებლად არსებობს ორი მიზეზი. ***პირველი*** – ვიზუალური პრეზენტაცია მოწმეთა დაკითხვის პარალელურად, რაც ეხმარება ფაქტების დამდგენს (მოსამართლე/მსაჯულები) წარმოდგენილი ფაქტების შეფასებაში. ***მეორე*** – ვიზუალური ეფექტი შესაძლებელს ხდის ფაქტების დამდგენის წარმოსახვაში შეიქმნას ზუსტად იმდაგვარი სურათი, რომელიც ჩვენეული სცენარით არის გათვალისწინებული (წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს რეალური საშიშროება, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა მოსმენილი ჩვენების საფუძველზე, თავიანთ წარმოსახვაში განავითარონ ჩვენი სცენარისგან სრულიად განსხვავებული სურათი).

სახელმძღვანელოს წინამდებარე თავი უპირატესად უკავშირდება ვიზუალური დემონსტრირების სხვადასხვა ხერხს, რომლებიც სასამართლო პროცესზე მტკიცებულებათა ეფექტურად წარმოდგენის საუკეთესო საშუალებას მიეკუთვნებიან. მიუხედავად ამისა, კრეატიულმა ადვოკატმა, თუკი კონკრეტული განსახილველი საქმე ამის საშუალებას იძლევა, უნდა გაითვალისწინოს და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ნაფიც მსაჯულთა აღქმის ყველა შესაძლო საშუალება. მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სთხოვოთ მსაჯულებს შეიგრძნონ გარკვეული არომატი, ან თუნდაც ფიზიკურად გასინჯონ ესა თუ ის ობიექტი, თუკი ეს მნიშვნელოვანი იქნება სასამართლო პროცესზე განსახილველი კონკრეტული შემთხვევისათვის.

კომუნიკაცია ვიზუალური ეფექტის გამოყენებით[161]

ნაფიც მსაჯულებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარების მიზნით, საუკეთესო საშუალებას ვიზუალური ეფექტის გამოყენება წარმოადგენს. ვიზუალური ეფექტის გამოყენებისას მსაჯულებს საშუალება ეძლევათ ნათლად „დაინახონ," თუ რაზე გაქვთ კონკრეტულად საუბარი. ამგვარი ეფექტების გამოყენება დაეხმარება როგორც ნაფიც

---

[159] ვიზუალური ეფექტები პროკურორებისათვის, *Ronald E. Bowers,* თავი *I:* ვიზუალური ეფექტების გამოყენების საფუძვლები, რატომ არის საჭირო მათი გამოყენება? *p. 1-2;* აშშ, *2001.*

[160] სამხრეთის სახალხო დამცველის ტრეინინგ ცენტრი, ტრეინინგის სახელმძღვანელო, *Jonathan Rapping,* თავი *XIX; 2010.*

[161] ვიზუალური ეფექტები პროკურორებისათვის, *Ronald E. Bowers,* თავი *I:* ვიზუალური ეფექტების გამოყენების საფუძვლები, რატომ არის საჭირო მათი გამოყენება? *p. 1-2;* აშშ, *2001.*

მსაჯულებს – სათანადოდ გაერკვნენ განსახილველი საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და გამოსაყენებელ კანონში, ასევე თქვენ, რათა მოახდინოთ შესაბამისი გავლენა მათ მიერ თქვენთვის სასურველი ვერდიქტის გამოტანაზე. ეჭვგარეშეა, რომ ვიზუალური ეფექტების გამოყენებით ნებისმიერი პრეზენტაცია უფრო ადვილად დასამახსოვრებელი ხდება და შესაბამისად, გეხმარებათ ნაფიც მსაჯულებზე იმგვარი ეფექტის მოხდენაში, რომელიც გესაჭიროებათ თქვენი კლიენტის სასარგებლო ვერდიქტის მოსაპოვებლად.

ვიზუალური ეფექტი დაეხმარება ფაქტების მაძიებელს (მოსამართლე/მსაჯულები) ჩვენების კარგად აღქმასა და დამახსოვრებაში.[162]

რაც შეეხება ვიზუალური ეფექტის სასამართლო პროცესზე გამოყენების ზემოხსენებულ პირველ მიზეზს: სამეცნიერო კვლევებმა ცხადყო, რომ ადამიანებს შეუძლიათ გადმოცემული ინფორმაციის უფრო დიდი ხნით დამახსოვრება, როდესაც ზეპირ პრეზენტაციას თან ახლავს ვიზუალური ეფექტიც. ნაფიცი მსაჯულები სასამართლო განხილვის პროცესში, როგორც წესი, არაერთი მოწმის ჩვენებას ისმენენ. სასამართლო პროცესი, თავის მხრივ, არის დავა მხარეთა მიერ წარმოდგენილი ვერსიების სარწმუნოობის შესახებ. მხარისათვის მნიშვნელოვანია, მისი ვერსიის (საქმის თეორიის) გასამყარებლად დაკითხული ყოველი მოწმის ჩვენება. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ადვოკატისათვის პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ადამიანებს გააჩნიათ ყურადღების მოკლე დიაპაზონი. არც ერთ მსაჯულს არ შესწევს უნარი, დაიმახსოვროს ყოველი სიტყვა, რომელიც მან პროცესზე მოისმინა. ხშირად, სასამართლო სხდომის დასრულებისას, მოსმენილი ჩვენების შინაარსს მსაჯულები სხვადასხვანაირად იმახსოვრებენ. მიუხედავად ამისა, შემოქმედებითი მიდგომის შედეგად მომზადებული და წარმოდგენილი ინფორმაციის დავიწყების ალბათობა ბევრად უფრო ნაკლებია. არის შემთხვევები, როდესაც ნაფიც მსაჯულებს საშუალება ეძლევათ ვიზუალური ეფექტისათვის მომზადებული მასალა სათათბირო ოთახშიც გამოიყენონ. მაშინაც კი, როდესაც ნებადართული არაა მსაჯულთა მიერ ზემოხსენებული მასალის გამოყენება თათბირის მსვლელობისას, სასამართლო სხდომაზე ვიზუალური ეფექტებით გამოწვეული შთაბეჭდილება გაცილებით უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე მხოლოდ მოწმის ჩვენების მოსმენის შემთხვევაში.

ვიზუალური ეფექტი გეხმარებათ, უკეთ მიაწოდოთ ფაქტის მაძიებელს (მოსამართლე/მსაჯულები) ჩვენების თქვენეული ინტერპრეტაცია.

სამეცნიერო კვლევებმა ცხადყო, რომ ადამიანების დიდი უმრავლესობა სწავლობს ვიზუალური აღქმის მეშვეობით. ეს კი გულისხმობს, რომ პრეზენტაციის დროს მსმენელს გაცილებით უკეთ მიეწოდება სასურველი ინფორმაცია, როდესაც პრეზენტაცია ვიზუალური ეფექტების საშუალებითაა წარმოდგენილი. აღნიშნული, როგორც წესი, გარკვეულ სირთულეებს უქმნის იურისტებს, რადგან ჩვენ მიჩვეული ვართ, საქმესთან დაკავშირებული ფაქტების მხოლოდ სიტყვიერ წარმოდგენას. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ გვსურს გავზარდოთ და მაქსიმალურად ეფექტური გავხადოთ ჩვენი

[162] სამხრეთის სახალხო დამცველის ტრეინინგ ცენტრი, ტრეინინგის სახელმძღვანელო, *Jonathan Rapping,* თავი XIX*; 2010.*

დამაჯერებლობა ფაქტის მაძიებლის თვალში, უმჯობესია, დავივიწყოთ ძველი მეთოდები და გამოვიყენოთ მსმენელთათვის ინფორმაციის მიწოდების ახალი და მეცნიერულად აღიარებული ხერხები.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ კონკრეტული საქმის შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ, სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი ფაქტები, როგორ იქნება აღქმული ნაფიც მსაჯულთა მიერ. ჩვენ გაგვაჩნია გარკვეული სტერეოტიპები, რომლებიც თავისთავად ყალიბდება საადვოკატო პრაქტიკის მანძილზე მიღებული გამოცდილების შედეგად. ასევე, უნდა გვახსოვდეს, რომ სასამართლო პროცესის დასაწყისიდანვე ჩვენ უკვე მთლიანად გაანალიზებული, შეჯამებული და დამუშავებული გვაქვს განსახილველი საქმე, ხოლო ნაფიცი მსაჯულები კი, მას სასამართლო დარბაზში პირველად ისმენენ.

ყველა ადამიანი განსხვავებულია. ყოველ ჩვენგანს გააჩნია საკუთარი მიკერძოებული აზრი და მცდარი შეხედულება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. თითოეულ ჩვენგანს გვაქვს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება. გარდა ამისა, ყველას აქვს განსხვავებული კულტურული და ისტორიული შეხედულებები, რაც გავლენას ახდენს ადამიანთა წარმოდგენებზე. ეს და კიდევ სხვა მრავალი ფაქტორი საბოლოოდ აყალიბებს კონკრეტულ ადამიანთა ცნობიერებას, რომლის საშუალებითაც ხდება მიღებული ინფორმაციის აღქმა და შესაბამისად გადამუშავება. რაც უფრო ბუნდოვანია წარმოდგენილი ინფორმაცია, მით უფრო მაღალია ალბათობა, მსმენელების მიერ ბევრი, ერთმანეთისაგან განსხვავებული დასკვნის გამოტანისა. შესაბამისად, როდესაც ინფორმაცია მსმენელისათვის მარტივად და დეტალურადაა მიწოდებული, ბევრად ნაკლებია შესაძლებლობა, რომ (პიროვნულად გაანალიზების შედეგად) მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული დასკვნა იქნება გამოტანილი.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ადვოკატი კონკრეტულ საქმეზე ხანგრძლივად მუშაობის გამო, ზედმეტად თავდაჯერებული ხდება მის მიერ შემუშავებული ვერსიის სისწორეში. ასეთ დროს არსებობს საშიშროება, რომ ჩვენეული ვერსია ავტომატურად ჩავთვალოთ ყველასთვის მისაღებად. უნდა გვახსოვდეს, რომ ნაფიცი მსაჯულები სასამართლო დარბაზში შემოსვლისას არ ფლობენ რაიმე წინასწარ ინფორმაციას განსახილველი საქმის შესახებ, თუმცა კი, გააჩნიათ პირადი მიკერძოებული აზრები და მცდარი შეხედულებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. ჩვენი მოვალეობა ამ შემთხვევაში არის ის, რომ მსაჯულებმა საქმისათვის მნიშვნელოვანი საკითხები დაინახონ ჩვენთვის სასურველი კუთხით. აღნიშნული შედეგის მისაღებად, საუკეთესო საშუალებას ვიზუალური ეფექტის გამოყენება წარმოადგენს, ვინაიდან, იგი ეხმარება ნაფიც მსაჯულებს ერთნაირი სურათის წარმოსახვაში. შედეგად კი, იზრდება ალბათობა იმისა, რომ ისინი სწორედ იმგვარ ერთობლივ დასკვნას გამოიტანენ, როგორსაც ჩვენ ვისურვებდით.

რა იგულისხმება „ვიზუალურ ეფექტში“?

ვიზუალურ ეფექტში იგულისხმება ყველაფერი, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას სასამართლო პროცესზე და რომლის მიზანია, ნაფიცმა მსაჯულებმა ვიზუალურად აღიქვან იმ მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი, რომელიც მათ დაარწმუნებს ჩვენი საქმის თეორიის სისწორეში. როდესაც ვსაუბრობთ *ვიზუალურ ეფექტებზე,* ვგუ-

ლისხმობთ მტკიცებულებათა ზოგიერთ კატეგორიებს. ვიზუალური ეფექტების დაყოფა განმასხვავებელი თავისებურებების მიხედვით, ძირითადად ხდება ე.წ. *„ნამდვილ“* და *„სადემონსტრაციო“* მტკიცებულებებად *(ზოგიერთი მეცნიერი ყველა ვიზუალურ ეფექტს მიაკუთვნებს „სადემონსტრაციო“ მტკიცებულებათა კატეგორიას და სამაგიეროდ ერთმანეთისაგან განასხვავებს „ნამდვილ“ და „საილუსტრაციო“ მტკიცებულებებს. თუმცა, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რას დაარქმევთ მათ, მთავარია იცოდეთ განსხვავება და ის, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული მტკიცებულება სასამართლო პროცესზე). პირველი* წარმოადგენს მტკიცებულებას, რომელიც ისტორიულად არის დაკავშირებული განსახილველ საქმესთან. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი ნარკოტიკული ნივთიერება, ან გასროლილი ტყვიის მასრა. *მეორე – „სადემონსტრაციო“* მტკიცებულება კი, წარმოადგენს მტკიცებულების სახეობას, რომელიც არ არის ისტორიულად დაკავშირებული განსახილველ საქმესთან, მაგრამ ეხმარება ნაფიც მსაჯულებს მოსმენილის უკეთ გაგებაში. მაგალითად, შემთხვევის ადგილის რუკა ან სქემა ან დანის ასლი (რეპროდუქცია), რომელიც აღწერილი იქნა მოწმეების მიერ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს *ვიზუალურ მტკიცებულებასა* და *ვიზუალურ ეფექტს* შორის. **ვიზუალური მტკიცებულება** შესაძლოა იყოს როგორც *„ნამდვილი,“* აგრეთვე *„სადემონსტრაციო“* მტკიცებულება და იგი, როგორც წესი, ხელმისაწვდომია ნაფიცი მსაჯულებისათვის სათათბირო ოთახშიც. **ვიზუალურ ეფექტებს** წარმოადგენს გარკვეული საგნები, რომლებიც გამოიყენება სასამართლო პროცესზე საქმის განხილვისას, თუმცა, არ მიეკუთვნება მტკიცებულებათა კატეგორიას და დაუშვებელია მათი შეტანა მსაჯულთა სათათბირო ოთახში.

პირველ რიგში, თქვენ უნდა მოამზადოთ მყარი საფუძველი, რათა გამოიყენოთ ვიზუალური ეფექტები ნაფიც მსაჯულთა წინაშე. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში შესაძლებელია იყოს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ვიზუალური ეფექტების გამოყენება ყოველგვარი მყარი საფუძვლის მომზადების გარეშე იქნება შესაძლებელი. მაგალითად, თუ თქვენ სთხოვთ მოწმეს გამოიყენოს ფანქარი იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ეჭირა დანა ყაჩაღს.

აქედან გამომდინარე, უპრიანი იქნება, თუ ვიზუალურ ეფექტებს დავყოფთ შემდეგ ოთხ კატეგორიად:

1. ***რეალური ან ფიზიკური მტკიცებულება*** **(ვიზუალური მტკიცებულება)** – ეს არის მტკიცებულება, რომელიც ისტორიულად არის დაკავშირებული განსახილველ საქმესთან და იგი, როგორც წესი, ხელმისაწვდომია ნაფიცი მსაჯულებისათვის სათათბირო ოთახშიც.

2. **სადემონსტრაციო ან საილუსტრაციო მტკიცებულება, თუკი იგი მიღებულია მტკიცებულების სახით (ვიზუალური მტკიცებულება)** – ამგვარი მტკიცებულება შესაძლოა იყოს რუკა ან სქემა, რომელიც ხელსაყრელია ჩვენების საილუსტრაციოდ და ნაფიც მსაჯულებს, თუკი საჭიროდ ჩათვლიან, შეუძლიათ თან იქონიონ თათბირის მსვლელობის დროსაც.

3. **ვიზუალური ეფექტი, რომელიც მიღებულია მხოლოდ სადემონსტრაციო ან საი-**

ულუსტრაციო მიზნებისათვის – ეს არის სადემონსტრაციო ან საილუსტრაციო საგანი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ სასამართლო სხდომის დარბაზში, ჩვენების შინაარსის განმარტების მიზნით და არაა დაშვებული მსაჯულთა სათათბირო ოთახში.

4. **ვიზუალური ეფექტი, რომელიც არ არის მტკიცებულება** – აღნიშნულ კატეგორიას მიეკუთვნება ყველა ის მოქმედება ან საგანი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა აღქმის გაუმჯობესების მიზნით. ასეთი ვიზუალური ეფექტი, თავის მხრივ, არ წარმოადგენს მტკიცებულებას სისხლის სამართლის საქმეზე.

როგორ გამოვიყენოთ ვიზუალური ეფექტი სასამართლო პროცესზე?

ყველაზე მარტივ ფორმას ზემოხსენებული ოთხი კატეგორიიდან ბოლო კატეგორია წარმოადგენს, შესაბამისად, დავიწყოთ მეოთხე კატეგორიის განხილვით. ყოველთვის, როდესაც თქვენ გსურთ, რომ მოწმე ჩამოვიდეს დასაკითხი ტრიბუნიდან (ან დარჩეს ტრიბუნაზე) და მოახდინოს რაიმეს დემონსტრირება, თქვენ იყენებთ ვიზუალურ ეფექტს. თუ თქვენ, დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას, ახდენთ მონათხრობის რომელიმე კონკრეტული ნაწილის დემონსტრირებას, თქვენ იყენებთ ვიზუალურ ეფექტს. ყოველთვის, როცა სასამართლო დარბაზში მიმართავთ რაიმე ხერხს მონათხრობის საილუსტრაციოდ და ეს არ არის მიჩნეული მტკიცებულებად განსახილველ საქმეზე – თქვენ იყენებთ ვიზუალურ ეფექტს. არის შემთხვევებიც, როდესაც თქვენ ამას, სასამართლო პროცესის მსვლელობისას, ბუნებრივად აკეთებთ. ზემოაღნიშნული ვიზუალური ეფექტები ტექნიკური თვალსაზრისით არ წარმოადგენენ „მტკიცებულებას," თუმცა გვეხმარება მტკიცებულებათა უკეთ აღქმასა და გაანალიზებაში.

სასამართლო განხილვისას, ვიზუალური ეფექტის დანარჩენი სამი კატეგორიის გამოყენების მიზნით, თქვენ უნდა მოამზადოთ სათანადო საფუძველი. ამ ვიზუალურ ეფექტთა მტკიცებულებად ქცევა სამეტაპიან პროცესს წარმოადგენს. **პირველი** – თქვენ გესაჭიროებათ ჩვენება, რომელიც მიუთითებს ამ კონკრეტული ვიზუალური ეფექტის რელევანტურობაზე; **მეორე** – თქვენ მოწმეს უნდა წარუდგინოთ შესაბამისი ნივთი/საგანი და **მესამე** – ამზადებთ საფუძველს, რათა წარდგენილი ნივთი/საგანი მიჩნეულ იქნეს მტკიცებულებად.

ეტაპი 1: ჩვენება რელევანტურობის წარმოჩენის მიზნით

ვიზუალური ეფექტი გვეხმარება შესაბამისი ჩვენების უკეთ აღქმასა და გაანალიზებაში. სწორედ ამიტომ, სანამ ვიზუალური ეფექტის პროცესზე გამოყენება იქნება დაშვებული, ის ჯერ უნდა იქნეს მითითებული ჩვენებაში, რათა გამოიკვეთოს მისი საჭიროება. ასე რომ, პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს იმ შესაბამისი მოწმის გამოძახება, ვინც მისცემს (ან ჯვარედინი დაკითხვის მეშვეობით გამოავლენს) ჩვენებას, რომელიც უფრო უკეთ იქნება აღქმული და განმარტებული ვიზუალური ეფექტის დახმარებით.

ეტაპი 2: ნივთის/საგნის მოწმისათვის წარმოდგენა

ყოველთვის, როდესაც ადვოკატს სურს წარუდგინოს მოწმეს ესა თუ ის ნივთი, რათა მოამზადოს ვიზუალური ეფექტის დასაშვებობის საფუძვლები, მან უნდა გაიაროს ოთხი ძირითადი ეტაპი, კერძოდ:

ა. მონიშნოს ობიექტი – იდენტიფიკაციის მოხდენის მიზნით. აშშ-ში ზოგიერთი სასამართლო მოითხოვს, რომ ყველა მტკიცებულება წინასწარ იქნეს იდენტიფიცირებული, თუმცა არის სასამართლოები, რომლებიც ნებართვას აძლევენ ადვოკატს, ობიექტი მაშინ მონიშნოს, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს.

ბ. წარუდგინოს ობიექტი მოწინააღმდეგე მხარეს. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოწინააღმდეგე მხარეს მიეცეს საშუალება, სათანადოდ დაათვალიეროს საიდენტიფიკაციოდ წარსადგენი ნივთი/საგანი.

გ. აიღოს მოწმესთან მიახლოების ნებართვა – იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე არ ეტყვის ადვოკატს, რომ არ არის საჭირო სპეციალური ნებართვა, რათა მიუახლოვდეს მოწმეს, ამისათვის მან ყოველთვის უნდა ითხოვოს ნებართვა.

დ. წარუდგინოს მოწმეს შესაბამისი ნივთი/საგანი.

ეტაპი 3: საფუძვლის მომზადება

მას შემდეგ, რაც ადვოკატი მოწმეს წარუდგენს შესაბამის ნივთს/საგანს, მოწმემ უნდა მოახდინოს ამ საგნის როგორც იდენტიფიკაცია, აგრეთვე მისი ავთენტიფიკაცია.

ა. საგნის იდენტიფიკაცია – მოწმეს უნდა ვკითხოთ, ნაცნობია თუ არა მისთვის წარმოდგენილი საგანი, რუკა, სქემა, და სხვ. ამავე დროს, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა ახსნას იგი ან მასზე გამოსახული სურათი.

[*შენიშვნა:* თქვენ შეგიძლიათ მისცეთ მინიშნებები მოწმეს, თუ საგნის იდენტიფიკაცია ჯვარედინი დაკითხვის პროცესში ხდება.]

ბ. საგნის ავთენტიფიკაცია – მოწმემ უნდა შეძლოს განმარტოს, ქვემოთ აღნიშნული ორი საკითხიდან ერთ-ერთი:

ა. თუ საგანი წარმოადგენს „რეალურ“ ან „ნამდვილ“ ნივთმტკიცებას, მოწმეს უნდა შეეძლოს განმარტოს, საიდან არის მისთვის ცნობილი, რომ წარმოდგენილი საგანი არის სწორედ ის კონკრეტული მტკიცებულება, რომელიც განსახილველ საქმესთან არის კავშირში. აღნიშნული შეიძლება შემდეგნაირად განხორციელდეს:

I. მოწმე ასაბუთებს, რომ საგანი „ადვილად ამოსაცნობია“. ეს შესაძლოა მოხდეს მაშინ, როდესაც საგანს გააჩნია განსაკუთრებული განმასხვავებელი თვისებები, სერიული ნომრის ან რაიმე ნიშნის სახით, ან იმ ინიციალების მიხედვით, რომელიც განთავსებულ იქნა წარმოდგენილ ნივთზე მისი ამოღების დროს.

II. მტკიცებულებათა ჯაჭვი. მოწმეს უნდა შეეძლოს განსაზღვროს ნივთმტკიცებების ადგილსამყოფელი, მათი ამოღების მომენტიდან სასამართლოში წარდგენამდე. ამისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს რამდენიმე მოწმის გამოძახება.

ბ. ან, თუ წარმოდგენილია „დემონსტრაიცული“ ან „საილუსტრაციო“ მტკიცებულება, მოწმეს უნდა შეეძლოს დაასაბუთოს, რომ საგანი/სქემა/რუკა/და სხვა, ნამდვილად და ზუსტად ასახავს/მიუთითებს წარმოდგენილი საგნის ფორმას (მასშტაბს), ზომებსა და კონტურებს. ამასთან, არაა სავალდებულო, რომ მოწმე იყოს სწორედ ის

პიროვნება, რომელმაც შექმნა მტკიცებულება ან აღბეჭდა იგი ფოტოსურათზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეს აქვს დისკრეციული უფლება, თავად განსაზღვროს, დაუშვას თუ არა სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი საილუსტრაციო მტკიცებულება.

იმ შემთხვევებში, როდესაც მტკიცებულება წარმოდგენილია მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის, მოსამართლეს შეუძლია არ მოითხოვოს, რომ მტკიცებულების საგნის ფორმა, ზომები ან კონტურები იყოს ზედმიწევნით ზუსტად მითითებული. თუმცა, მოსამართლემ ამ დროს უნდა უზრუნველყოს, რათა არ მოხდეს ნაფიც მსაჯულთა შეცდომაში შეყვანა.

პრაქტიკული რჩევა:

იქნება შემთხვევები, როდესაც ბრალდების მხარე შეეცდება გამოიყენოს ვიზუალური ეფექტები, რათა დაამტკიცოს წარდგენილი ბრალდება ჩვენი კლიენტის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ვიზრუნოთ იმაზე, რომ არ დავუშვათ სასამართლო პროცესზე ვიზუალური ეფექტების გამოყენება მოწინააღმდეგე მხარის მიერ. თუკი პროკურორი ვერ შექმნის სათანადო საფუძვლებს ვიზუალური ეფექტის გამოყენების უფლების მოსაპოვებლად, ეს გამოიწვევს სასამართლოს მიერ ვიზუალური ეფექტის დაუშვებლად ცნობას ადვოკატის სათანადო რეაგირების შედეგად.

გაითვალისწინეთ, რომ ყველა ვიზუალური მტკიცებულება და ეფექტი უნდა იყოს:

ა. რელევანტური – იგი კავშირშია სასამართლო პროცესზე განსახილველ საკითხთან.

ბ. მატერიალური – იგი გვეხმარება რელევანტური საკითხის ილუსტრირებაში.

გ. სარწმუნო – იგი სანდოა და არ შევყავართ შეცდომაში.

დ. უფრო დამაჯერებელი, ვიდრე საეჭვო – სხვა მტკიცებულებების მსგავსად, ვიზუალურმა ეფექტმაც უნდა გაიაროს ეს დამატებითი ბალანსირების ტესტი.

ქვემოთ მაგალითისათვის მოცემულია სხვადასხვა დამხმარე ვიზუალურ ეფექტთა სია, რომლებსაც, როგორც წესი, პროკურორები იყენებენ აშშ-ის სასამართლოებში მათი საქმეების წარმოდგენის დროს. [163]

[163] ვიზუალური ეფექტები პროკურორებისათვის, *Ronald E. Bowers,* თავი *I:* ვიზუალური ეფექტების გამოყენების საფუძვლები, რატომ არის საჭირო მათი გამოყენება? *p. 1-4; აშშ, 2001.*

- ***სქემები/ცხრილები***

  ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები
  სამართლებრივი კონცეფცია
  საქმის მოკლე მიმოხილვა
  წარდგენილი ბრალდებები
  მოწმეთა სია
  მხარეთა ურთიერთდამოკიდებულება
  ქრონოლოგია
  კალენდარი/თარიღები
  ინფორმაცია საქმის განვითარების შესახებ
  მსგავსებები
  ექსპერტი მოწმე
  გამამტყუნებელი მტკიცებულებების ნუსხა
  ასაწყობი სქემები – მოზაიკა, პირამიდა, საინფორმაციო დაფა
  დაცვის პოზიციის კრიტიკა
  შედარება
  სარწმუნოობა/დამაჯერებლობა

- ***რუკები***

დანაშაულის ჩადენის ადგილი
კავშირი რუკაზე აღნიშნულ პუნქტებს შორის
ჩატარებული სამძებრო ღონისძიებები

- ***დიაგრამები***

ინტერიერი
ექსტერიერი
გადაკვეთის წერტილები
მიმდებარე ტერიტორიები
სატრანსპორტო საშუალებები

- ***ფოტომასალა***

დანაშაულის ჩადენის ადგილი
ადგილმდებარეობები
მხარეები
მტკიცებულება

- ***მტკიცებულებები***

პოლიციის ანგარიში
სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტი
ამოცნობის ოქმები
ფოტოები

- ***საექსპერტო მტკიცებულებები***

დნმ
ბალისტიკა
თითის ანაბეჭდები

დამხმარე ვიზუალური ეფექტის ფორმატი

არსებობს ხუთი ძირითადი სახის ვიზუალური ეფექტი, რომელიც მოიცავს: *ხელით შედგენილ ვიზუალურ მასალას, კომპიუტერული წესით დამზადებულ პოსტერებს, დაბეჭდილი მასალის პროექტორით გაშუქებას*, დოკუმენტალური *მასალის გაშუქებას თხევადკრისტალური ეკრანის მქონე პროექტორით ან სპეციალური კამერით* და *სლაიდშოუს ჩვენებას თხევადკრისტალური პროექტორით დიდ ეკრანზე ან ტელევიზორის საშუალებით სასამართლო სხდომის დარბაზში.*

1. ***ხელით შედგენილი ვიზუალური მასალა***

აშშ-ში ზოგიერთი იურისტი სასამართლოებში დღემდე იყენებს საკუთარი ხელით შედგენილ სქემებსა და პოსტერებს. მათ ჰგონიათ, რომ ნაფიცი მსაჯულები ასეთ მასალას აღიქვამენ, როგორც ნიშანს იმისა, რომ ადვოკატი დარწმუნებულია საქმის მისეული ვერსიის სისწორეში და მართლაც გულისყურით უდგება საქმეს. ადვოკატთა ერთი ნაწილი კი, იმასაც ჩივის, რომ დროისა და სახსრების უქონლობის გამო იძულებულნი არიან, გამოიყენონ საკუთარი ხელით შედგენილი ვიზუალური მასალა.

ხელით შედგენილი ვიზუალური მასალის მიმოხილვა

- ხელით შედგენილი ვიზუალური მასალის (სქემები, დიაგრამები, პოსტერები და სხვა) ერთადერთი უპირატესობა ის გახლავთ, რომ მათი შექმნა ადვილია და საამისოდ განკუთვნილი მასალაც იოლადაა ხელმისაწვდომი.
- ამგვარად მომზადებულ ვიზუალურ მასალას უარყოფითი მხარეებიც გააჩნია, კერძოდ, მათ მომზადებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება – დრო, რომელიც ადვოკატს შეუძლია გამოიყენოს თავისი საქმის უკეთ მომზადებაში; და ძირითადად, ასეთი მასალები არ გამოირჩევა პროფესიული იერსახით, რაოდენ კარგადაც არ უნდა იყოს მათი ვიზუალური მხარე შესრულებული.

- *არ გამოიყენოთ თქვენი ხელით მომზადებული ვიზუალური მასალა, თუ ეს არ წარმოადგენს აუცილებლობას.*

2. ***კომპიუტერული წესით დამზადებული პოსტერები***

ვიზუალური ეფექტის ამგვარი ფორმა ითვალისწინებს კომპუტერის გამოყენებას სქემების, რუკებისა და დიაგრამების დასამზადებლად, რომლებიც შემდგომ იბეჭდება პლაკატის ზომაზე დიდი, ფერადი ან შავ-თეთრი პრინტერის საშუალებით.

კომპიუტერული წესით დამზადებული პოსტერების მიმოხილვა

- კომპიუტერული წესით დამზადებული ვიზუალური ეფექტების უპირატესობა გახლავთ ის, რომ პლაკატის ზომის სქემები, დიაგრამები და რუკები შესაძლოა დაშვებულ იქნეს მტკიცებულებად განსახილველ საქმეზე და აგრეთვე, გამოყენებულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა მიერ სათათბირო ოთახში. ამასთან, კომპიუტერის საშუალებით მათი დამზადება ხდება სწრაფად და არ არის დაკავშირებული ზედმეტ სირთულეებთან. უმთავრესი უპირატესობა ასეთი მასალების გამოყენებისა კი არის ის, რომ მათი დამზადების შემდეგ ფაქტობრივად აღარ არსებობს არანაირი ტექნიკური პრობლემა, რაც ხელს შეუშლიდა მათ შემდგომ მოხმარებას სასამართლო პროცესზე.

• კომპიუტერული წესით დამზადებული პოსტერების ნაკლი კი გახლავთ ის, რომ ყველა ნაფიცმა მსაჯულმა შესაძლოა გარკვევით ვერ ამოიკითხოს პოსტერზე განთავსებული ინფორმაცია. ამასთან, ნაფიცი მსაჯულები, როგორც წესი, ამჯობინებენ წინასწარ წაიკითხონ პოსტერზე ასახული მთელი ინფორმაცია სრულად, რის გამოც, ადვოკატის მიერ სიტყვიერად გაკეთებულ განმარტებებს ვეღარ უთმობენ სათანადო ყურადღებას. ხშირ შემთხვევაში ასევე, შესაძლოა საჭირო გახდეს მოულოდნელი ცვლილებების განხორციელება ბოლო მომენტში, ხოლო ნაბეჭდი ვიზუალური მასალის შეცვლა ან გადაკეთება არაერთ სირთულეს უკავშირდება.

• უმეტესწილად, ადვოკატები უპირატესობას სწორედ კომპიუტერულ პოსტერებს ანიჭებენ, რაც ვიზუალური ეფექტის ამ ფორმის სანდოობითა და მოხმარების სიმარტივით არის განპირობებული.

•

3. ***დაბეჭდილი მასალის პროექტორით გაშუქება***

ვიზუალური ეფექტის ეს სახეობა საჭიროებს ქსეროასლების გადამღებ დანადგარს ან კომპიუტერის პრინტერს, რათა მოხდეს ნებისმიერი პატარა ზომის ქაღალდის ან სტანდარტული ზომის კომპიუტერული წესით შექმნილი დოკუმენტის დაბეჭდვა. ადვოკატს ამ შემთხვევაში, მხოლოდ, ამობეჭდილი დოკუმენტის პროექტორში მოთავსება ევალება და ეს დოკუმენტი დაუყოვნებლივ იქნება გამოსახული დიდ ეკრანზე.

დაბეჭდილი მასალის პროექტორით გაშუქების მიმოხილვა

• აღნიშნული ვიზუალური ეფექტის მოხმარების უდიდესი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ გასაშუქებელი მასალის დამზადება ძალიან ადვილია, არ არის დაკავშირებული დიდ ხარჯებთან და ეკრანზე გამოსახული ინფორმაციის წაკითხვა იოლადაა შესაძლებელი. აგრეთვე, ადვილია ამგვარი პროექტორის მოხმარება და მცირეა ტექნიკური გაუმართაობის საშიშროებაც. ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოხდეს, არის პროექტორის ნათურის გადაწვა, თუმცა, პროექტორების უმეტესობას ასეთი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით აქვთ სათადარიგო ნათურაც.

• პროექტორის გამოყენების უარყოფითი მხარე ის არის, რომ იგი წარმოადგენს მოძველებულ ტექნოლოგიას და შესაძლოა პრეზენტაციის ყურება მოსაბეზრებელი გახდეს ზოგიერთი ნაფიცი მსაჯულისათვის. ამასთან, ეკრანის განათება არის მკვეთრი, ხოლო პროექტორი ეკრანთან საკმაოდ ახლოს უნდა იყოს განთავსებული, რამაც შეიძლება კონცენტრაციაში ხელი შეუშალოს პრეზენტაციის მაყურებელს.

• ამგვარი პროექტორი არ წარმოადგენს „მაღალი დონის სასურველ ტექნიკას“ სასამართლო სხდომის დიდ დარბაზში გამოყენებისათვის, თუმცა, შესაძლებელია პატარა აუდიტორიის პირობებში მისი უკეთ გამოყენება.

4. **დოკუმენტალური მასალის გაშუქება თხევადკრისტალური ეკრანის მქონე პროექტორით ან სპეციალური კამერით**

ამგვარი დანადგარი გამოიყენება ძირითადად მტკიცებულებების, განსაკუთრებით კი, დოკუმენტების გასაშუქებლად. ადვოკატმა უნდა მოათავსოს საჩვენებელი საგანი ან დოკუმენტი სპეციალურ მოწყობილობაში, ხოლო კამერა თავის მხრივ, კითხულობს ამ დოკუმენტს და თხევადკრისტალური პროექტორის მეშვეობით გადმოსცემს მას დიდ ეკრანზე ან ე.წ. „დოკუმენტური კამერის“ მეშვეობით – ტელემონიტორზე.

დოკუმენტური კამერის მიმოხილვა

• ამგვარი კამერები ძირითადად გამოიყენება მტკიცებულებების დიდ ეკრანზე გამოსახვის მიზნით ნაფიც მსაჯულთა მიერ გნსახილველ საქმეებზე. თუმცა, ზოგიერთი ადვოკატი მას იყენებს, როგორც ჩვენის მიერ ზემოთ განხილულ პროექტორს (№3), რომელშიც განათავსებს მის მიერ წინასწარ დაბეჭდილ სიტყვას, რაც შემდეგ გამოისახება დიდ ეკრანზე. ეს ადვოკატს გარკვეულწილად მეტი მოქნილობის საშუალებას აძლევს, რადგან მას შეუძლია წარმოდგენილ სიტყვასთან ერთად გააშუქოს საჭირო ფოტომასალა ან სხვა მტკიცებულებები.

• სამწუხაროდ, ვიზუალური ეფექტის აღნიშნულ სახეობასაც გააჩნია თავისი ნეგატიური მხარეები. ისევე, როგორც კომპიუტერული პოსტერების შემთხვევაში, შესაძლებელია ნაფიცი მსაჯულები არ დაელოდონ ადვოკატის პარალელურ განმარტებებს და წინასწარ სრულად წაიკითხონ გამოსახული ინფორმაცია. ვიზუალური მასალის ამგვარი სახით წარმოდგენა აგრეთვე მოითხოვს რთულ ტექნიკურ აღჭურვილობას, რაც დამატებითი ტექნიკური პრობლემების წყაროდ შეიძლება იქცეს.

• მიუხედავად იმისა, რომ თქვენ გიწევთ საკმაოდ რთული აპარატურის გამოყენება, საბოლოო ჯამში, თქვენ მიერ გაკეთებული პრეზენტაცია ვერ გამოიწვევს იმგვარ ეფექტს, რაც თანამედროვე ტექნიკის მოხმარების შედეგადაა შესაძლებელი. შესაბამისად, აღნიშნული მეთოდი ძალზედ იშვიათად გამოიყენება თანამედროვე ადვოკატების მიერ.

5. **„სლაიდშოუს“ ჩვენება დიდ ეკრანზე**

ვიზუალური მასალის ამგვარი სახით პრეზენტაცია საჭიროებს „ნოუთბუქს,“ რომელიც აწვდის სიგნალს თხევადკრისტალურ პროექტორს და ამ უკანასკნელის მეშვეობით ხდება წინასწარ შედგენილი სლაიდების დიდ ეკრანზე გამოსახვა. „სლაიდშოუს“ მომზადება ხდება კომპიუტერის საშუალებით და მოიცავს ცალკეული სლაიდების ნაკრებს, რომლებიც შესაძლებელია შეიცავდნენ დაბეჭდილ ინფორმაციას, სქემებს, რუკებს, დიაგრამებს, ფოტოებს და/ან სხვა ნებისმიერ გამოსახულებას, რომლის სკანერის მეშვეობით კომპიუტერში შეტანაც იქნება შესაძლებელი.

„სლაიდშოუს“ მიმოხილვა

• ვიზუალური ეფექტის ამ ფორმატს მრავალი უპირატესობა გააჩნია. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „სლაიდშოუს“ გამოყენების საშუალებით თქვენი პრეზენტაცია საკმაოდ ეფექტური იქნება, რაც მას უფრო დასამახსოვრებელს გახდის. ამასთან, ნაფიცი მსაჯულებისათვის, როგორც წესი, ნაცნობია ასეთი სახის პრეზენტაციები სასწავლებლებიდან, სამსახურებრივი ტრენინგებიდან, ან თუნდაც სხვადასხვა სარეკლამო პრეზენტაციიდან. გარდა ამისა, სლაიდებზე ასახული ტექსტის ამოკითხვა საკმაოდ ადვილი და საინტერესოა მაყურებლისათვის/მსმენელისათვის, განსაკუთრებით კი, როცა მათი გადმოცემა დიდ ეკრანზე მიმდინარეობს.

• აგრეთვე, „სლაიდშოუში“ ანიმაციური და ინფორმაციის თანმიმდევრულად გამოსახვის ეფექტების გამოყენებით თქვენ შეგიძლიათ, თავიდან აიცილოთ ნაფიც მსაჯულთა მიერ თქვენი სიტყვიერი განმარტებების გარეშე გამოსახული ინფორმაციის წინასწარ წაკითხვის ფაქტი. ასეთი ეფექტების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია, ნაფიც მსაჯულთა ყურადღების იმ კონკრეტულ საკითხზე კონცენტრირების კუთხით,

რომელზეც თქვენ პრეზენტაციის პარალელურად საუბრობთ. ბოლოს კი, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ფორმატით მომზადებულ პრეზენტაციაში ძალიან ადვილია გაუთვალისწინებელი ცვლილებების სწრაფად გაკეთება. აღნიშნული კი საშუალებას მოგცემთ, მოწინააღმდეგე მხარის მიერ გაჟღერებული ახალი არგუმენტის ან სხვა აქამდე უცნობი გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში, მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება და შეიტანოთ საჭირო შესწორებები უკვე მზა პრეზენტაციაში.

• სლაიდების ჩვენებას უარყოფითი მხარეებიც გააჩნია, კერძოდ, იგი საჭიროებს გარკვეულ ტექნიკურ აღჭურვილობას, რომელმაც შესაძლებელია არ იმუშაოს გამართულად. ამასთან, ,,სლაიდშოუს“ შესაქმნელად საჭიროა კომპიუტერთან მუშაობის შესაბამისი ცოდნა. ადვოკატებს, რომლებიც სათანადოდ ვერ ერკვევიან კომპიუტერულ ტექნიკაში, შესაძლოა დასჭირდეთ საკმაოდ დიდი დრო და შრომა სლაიდების შესაქმნელად და პრეზენტაციის მოსამზადებლად.

„სლაიდშოუს“ ჩვენება ტელევიზორში

ვიზუალური მასალის ამგვარი სახით პრეზენტაცია, ასევე, საჭიროებს ,,ნოუთბუქის“ გამოყენებას, რომელიც სპეციალური სადენების საშუალებით აგზავნის სიგნალს და გვაძლევს გამოსახულებას წინასწარ მომზადებულ ტელემონიტორზე. ამ შემთხვევაში, სასამართლო დარბაზში ხდება რამდენიმე ტელემონიტორის განთავსება: ნაფიც მსაჯულთათვის განკუთვნილი ადგილის წინ, მოსამართლის მაგიდასთან, მხარეების სამუშაო მერხებთან, მოწმის დასაკითხ სტენდთან (თუ ამას საჭიროება მოითხოვს) და ხანდახან სასამართლო სხდომის მდივანთანაც კი.

მიმოხილვა

• ვიზუალური ეფექტების წარმოდგენის ზემოთ ხსენებულ სახეობებს შორის, აშშ-ში ყველაზე დიდი უპირატესობით ტელემონიტორის საშუალებით გამოსახული ,,სლაიდშოუ“ სარგებლობს.

• თუმცა, მონიტორის საშუალებით წარმოდგენილ ,,სლაიდშოუსაც“ გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეები. პირველი ყველაზე მნიშვნელოვნი გარემოება ამ კუთხით გახლავთ ის, რომ ტელემონიტორზე გამოსახული პრეზენტაციის ყურება ბევრად უფრო არაეფექტურია, ვიდრე დიდ ეკრანზე; და მეორე, ნაფიც მსაჯულთა მზერა ამ შემთხვევაში მთლიანად გადატანილია მონიტორზე და ადვოკატს არ გააჩნია შესაბამისი ვიზუალური კონტაქტი.

ვიზუალური ეფექტების გამოყენების წესები

ვიზუალური ეფექტი უნდა იყოს წაკითხვადი

• როდესაც ვახდენთ ვიზუალური ეფექტის დემონსტრირებას, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ყველა ნაფიცი მსაჯული სათანადოდ უნდა ხედავდეს მასზე გამოსახულ ინფორმაციას. ეს ნიშნავს იმას, რომ ვიზუალური ეფექტის შინაარსი უნდა იყოს ადვილად წაკითხვადი ყველაზე შორს მჯდომი ნაფიცი მსაჯულისთვისაც კი. ვინაიდან ადვოკატის მოვალეობაა, დაარწმუნოს ყოველი ნაფიცი მსაჯული თავისი საქმის თეორიის მართებულობაში, აუცილებელია არ გამოვიწვიოთ მათი უკმაყოფილება იმ ფაქტით, რომ რომელიმე მათგანმა ვერ შეძლო ვიზუალურ ეფექტზე გამოსახული ინფორმაციის წაკითხვა.

• თუკი ვიზუალური მასალის წაკითხვა შეუძლებელია ნაფიცი მსაჯულისათვის, ეს ფაქტორი მასში, გარდა დისკომფორტისა, ყურადღების გაფანტვასაც იწვევს; ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულის ყურადღება მთლიანად გადატანილია ვიზუალურ ეფექტზე გამოსახულ ტექსტში სიტყვების გარჩევაზე (მისი რთული ხილვადობის გამო), ავტომატურად ხდება თქვენ მიერ მოყვანილი ზეპირი არგუმენტების უგულებელყოფა.

„ნაკლები – მეტია“

• სამწუხაროდ ადვოკატები, როგორც წესი, სიტყვაუხვობით გამოვირჩევით. შეგვიძლია ერთსა წინადადება მარტივად გადავაქციოთ ხუთ აბზაცად, რომელიც უბრალოდ იმეორებს ერთი და იმავეს. ვიზუალური ეფექტების გამოყენებით პრეზენტაციის მომზადებისას, ჩვენ უნდა დავივიწყოთ ეს ჩვეულება და ვეცადოთ, რომ ვიზუალურ მასალაზე ასახული ინფორმაცია იყოს მაქსიმალურად მოკლე და გასაგები. შესაბამისად, ეცადეთ, გამოიყენოთ საკვანძო სიტყვები და ფრაზები და არ მისცეთ თქვენს წერილობით პრეზენტაციას მონოლოგის სახე. ვიზუალური მასალა უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ კარკასს, რომელსაც თქვენ შეავსებთ ზეპირი არგუმენტების საშუალებით.

• გახსოვდეთ, რომ თქვენი მიზანია გაამარტივოთ საკითხები და არ გამოიწვიოთ მსმენელის დაბნევა. მაშინაც კი, როდესაც სახეზე გვაქვს საკმაოდ რთული საქმის ფაქტობრივი გარემოებები ან კანონის ტექსტი, გამოცდილი ადვოკატის მოვალეობაა, მაქსიმალურად მარტივად და გასაგები ენით გადასცეს ნაფიც მსაჯულებს ის შინაარსი, რომელიც დაეხმარება მათ დაცვის მხარისათვის სასარგებლო დასკვნების გამოტანაში.

ფოკუსირება

• იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ მინიმუმამდე დაიყვანთ ვიზუალურ მასალაში გამოყენებული სიტყვების რაოდენობას, მაინც შესაძლებელია, რომ საბოლოო პროდუქტი საკმაოდ გადატვირთული აღმოჩნდეს ასახული ინფორმაციით. იმისათვის, რათა მოახდინოთ ნაფიც მსაჯულთა ყურადღების ძირითად საკვანძო საკითხებზე კონცენტრაცია, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა დამატებითი საშუალებები. მაგალითად, სიტყვები/ფრაზები, რომლებზეც გსურთ აქცენტის გაკეთება, შეიძლება წარმოადგინოთ დახრილად, გასმული ხაზით, მუქად, ფერადად ან სულაც – უფრო დიდი ზომის შრიფტით.

• მნიშვნელოვანია, რომ ვიზუალური მასალა არ იყოს მხოლოდ ერთფეროვანი ტექსტის ფორმატში წარმოდგენილი. ძირითადი საკვანძო საკითხები აუცილებლად გამოკვეთილი უნდა იყოს ერთიან ტექსტში, რაც ხელს შეუწყობს ნაფიც მსაჯულთა ყურადღების გამახვილებას ჩვენთვის სასურველ ინფორმაციაზე.

ვიზუალური ეფექტი უნდა იყოს ადვილად დასამახსოვრებელი

• მართალია, მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა ერთიანი ტექსტიდან თავისთავად ხელს უწყობს, რომ ვიზუალური მასალა ადვილად დასამახსოვრებელი გახდეს, თუმცა, ბევრია დამოკიდებული იმაზეც, თუ როგორ მოვახდენთ ამ საკვანძო პუნქტების წარმოჩენას. იყავით შემოქმედებითი. გამოიყენეთ სხვადასხვა ფონტი, ტე-

ქსტის უკანა ფონი, კონტრასტი, სათაურები და სხვა დამხმარე საშუალებები, რათა თქვენი პრეზენტაცია გამოვიდეს მარტივი, ეფექტური და იოლად დასამახსოვრებელი.

• საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ ვიზუალური მასალა გახადოთ ადვილად დასამახსოვრებელი, გახლავთ, წარმოდგენილი ტექსტის გამდიდრება ფოტოებით, სხვადასხვა მტკიცებულებითა და ცხრილებით. ნაფიცი მსაჯულები უფრო ადვილად იმახსოვრებენ მიწოდებულ ინფორმაციას, როდესაც ტექსტთან ერთად ნაჩვენებია ზემოთ ხსენებული ვიზუალური მასალა.

ვიზუალური ეფექტის გამოყენება

არ არსებობს მზა რეცეპტი იმისა, თუ როდის, რა და როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული ვიზუალურ ეფექტად. ვინაიდან, ყოველი შემთხვევა განსხვავდება ერთმანეთისაგან, ადვოკატი თავად განსაზღვრავს, თუ როგორ გამოიყენოს ვიზუალური ეფექტები კონკრეტული საქმის განხილვისას. თუმცა, გამოცდილი ადვოკატები ერთხმად აღიარებენ, რომ ვიზუალურ ეფექტებს გააჩნიათ განსაკუთრებული მნიშვნელობა საქმეზე სასურველი გადაწყვეტილების მიღებისა და მისი წარმატებით დასრულების კუთხით.

ხშირად, ადვოკატს სურს გამოიყენოს ვიზუალური ეფექტი, თუმცა მან არ იცის, თუ რომელი კონკრეტული სახეობა შეიძლება იყოს მისი საქმისთვის ყველაზე წარმატებული.

ქვემოთ განხილულია სასამართლო პროცესის სხვადასხვა ეტაპი და ვიზუალური ეფექტის ის სახეობები, რომლებიც ყველაზე ეფექტურად შეიძლება იქნეს გამოყენებული სასამართლო განხილვის თითოეულ სტადიაზე. ვიზუალური ეფექტების მოშველიება შესაძლებელია როგორც შესავალი, აგრეთვე დასკვნითი სიტყვის წარმოდგენის დროს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომა

ვიზულური ეფექტის საშუალებების უკეთ გაანალიზებისთვის უმჯობესი იქნება, თუ სასამართლო განხილვის პროცესს დავყოფთ შემდეგ ოთხ ძირითად ეტაპად:

• ***ორიენტაცია*** – ეს ეტაპი მოიცავს შესავალ სიტყვას, თუმცა შეიძლება ასევე მოიცვას წინასასამართლო ან ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა.

• ***სასამართლო განხილვა*** – ამ ეტაპზე ვიზუალური ეფექტის სახით შეიძლება მოშველიებულ იქნეს სქემები, რუკები, ფოტოები, აგრეთვე სადემონსტრაციო ან საილუსტრაციო მტკიცებულებები და ექსპერტი მოწმის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები/საშუალებები.

• **არგუმენტი** – ეს მოიცავს სქემებს/ცხრილებს/სლაიდებს, რომლის საშუალებითაც დაარწმუნებთ ნაფიც მსაჯულებს, რომ პროკურატურამ ვერ შეძლო წარდგენილი ბრალდების დამტკიცება.

• **კონტრარგუმენტები** – ამ ეტაპზე გამოიყენება ვიზუალური მასალის სპეციალური სახეობა (სქემები/სლაიდები), რომელიც უპასუხებს/გააბათილებს ბრალდების მხარის მიერ გაჟღერებულ არგუმენტაციას.

ორიენტაციის ფაზა

არასოდეს არ არის ადრე, მივაპყროთ ნაფიც მსაჯულთა ყურადღება ჩვენი საქმის

კონკრეტულ ფაქტებსა და გამოსაყენებელ კანონზე. ზოგიერთი ადვოკატი თავისი საქმის არსებითი განხილვისთვის საფუძვლების მომზადებას ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომიდანვე იწყებს. თუმცა, ყველაზე ხელსაყრელ ეტაპს, რათა მოვახდინოთ ნაფიც მსაჯულთა ჩვენს საქმეზე ორიენტირება, შესავალი სიტყვა წარმოადგენს.

სასამართლო განხილვის საწყის („საორიენტაციო“) ეტაპზე ადვოკატის ძირითადი მოვალეობაა, სათანადოდ გააცნოს ნაფიც მსაჯულებს განსახილველი საქმის ძირითადი/მნიშვნელოვანი საკითხები. უმეტესწილად, ადვოკატი კარგად იცნობს საქმის გარემოებებსა და ფაქტებს. ნაფიცი მსაჯულებისათვის კი, ამ ეტაპზე ცნობილია მხოლოდ ის ზოგადი ინფორმაცია, რომელიც მოსამართლემ მათ გააცნო სასამართლო სხდომის გახსნისას, მაგალითად: წარდგენილი ბრალდებები, ბრალდებულის ვინაობა, პოტენციური მოწმეები და ა. შ. სამწუხაროდ, ზოგიერთი ადვოკატი უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ ნაფიცი მსაჯულები საქმის შესახებ ისევე კარგად არიან ინფორმირებულნი, როგორც თავად დამცველი, რაც შეცდომაა.

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი საწყის ეტაპზევე არ მოახდენს ნაფიც მსაჯულთა სათანადოდ ორიენტირებას საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტებსა და გარემოებებზე, მაშინ მსაჯულები აღმოჩნდებიან იმგვარ ინფორმაციულ ვაკუუმში, რომელიც გამოიწვევს მათ დაბნევას მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში (მაგალითად, ვინ არიან სხდომაზე წარმოდგენილი მოწმეები, რა ინფორმაცია უნდა იქნეს მოპოვებული მათი საშუალებით, რა არის მათ ჩვენებებში არსებული ძირითადი წინააღმდეგობები ან პირიქით და ა. შ.). იმისათვის, რომ მსაჯულებმა სწორად აღიქვან და დაიმახსოვრონ ესა თუ ის მტკიცებულება, ადვოკატმა უნდა მოახდინოს ფაქტების თანმიმდევრულად და ორგანიზებულად მიწოდება. აღნიშნული შესაძლოა არ იყოს იმდენად მნიშვნელოვანი ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებულ მარტივ ს.ს. საქმეზე (სადაც არ იქნება წარმოდგენილი მრავალი მოწმე და მტკიცებულება), მაგრამ უმეტეს შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნაფიცი მსაჯული წინასწარ იყოს სათანადოდ ინფორმირებული განსახილველი საქმის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

ორიენტაციის ეტაპზე, ბრალდებულის ადვოკატმა თავად უნდა გასცეს პასუხი ნაფიც მსაჯულთათვის საინტერესო იმგვარ კითხვებს, რომლებიც დადებითად განაწყობს მათ დაცვის თეორიის მიმართ.

ვიზუალური ეფექტები ნაფიც მსაჯულთა ორიენტირებისათვის

ადვოკატს შეუძლია უბრალოდ ფეხზე წამოდგეს და მხოლოდ სიტყვიერად გასცეს პასუხი ნაფიც მსაჯულთათვის საინტერესო ზემოხსენებულ კითხვებს. თუმცა ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოვახდინოთ მსაჯულთა ყურადღების სათანადო კონცენტრირება. სასურველი შედეგის მისაღებად ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ვიზუალური ეფექტები ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას. ვიზუალური ეფექტები შემდეგ მიზნებს ემსახურება: მათი გამოყენება ადვოკატს ანიჭებს ორგანიზებულობის იმიჯს; და ვიზუალური მასალა უფრო ნათლად აღქმადს ხდის და დამაჯერებლობას მატებს ადვოკატის მიერ სიტყვიერად მიწოდებულ ინფორმაციას.

ქვემოთ ჩამოთვლილია ვიზუალურ მასალათა სახეები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სასამართლო პროცესზე ნაფიცი მსაჯულების ორიენტირების მიზნით. ამგვარი მასალა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს „სლაიდშოუს“ საშუალებით. თუმცა, არ არის რეკომენდებული ყველა ამ ვიზუალური მასალის თითოეულ ს.ს.

საქმეზე გამოყენება. განსახილველი საქმის კონკრეტული ფაქტები და წარდგენილი ბრალდებები განსაზღვრავენ, თუ რომელი ვიზუალური მასალის გამოყენება იქნება მიზანშეწონილი ამა თუ იმ შემთხვევაში.

საქმის მოკლე შინაარსის ამსახველი ვიზუალური მასალა – ეს არის ერთ სლაიდზე ან პოსტერზე წარმოდგენილი თქვენი საქმის მოკლე მიმოხილვა. ამგვარი ვიზუალური მასალის გამოყენების მიზანია ის, რომ ყველაზე რთული საქმის შინაარსიც კი, რაც შეიძლება მარტივ და გასაგებ ენაზე წარმოვადგინოთ.

ბრალდებების საილუსტრაციო ვიზუალური მასალა – იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიმართ წარდგენილია ხუთზე მეტი ბრალდება, უმჯობესია, მათ საილუსტრაციოდ ვიზუალური მასალის (პოსტერი/სლაიდი) გამოყენება. იგი ეხმარება ნაფიც მსაჯულებს უკეთ გააცნობიერონ, თუ რას ეხება განსახილველი ს.ს. საქმე და რაზე მოუწევთ მათ მსჯელობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ვიზუალური მასალა მოწმეების შესახებ – ეს არის ყველაზე მარტივი საშუალება, რათა პოსტერის/სლაიდის საშუალებით გავაცნოთ ნაფიც მსაჯულებს საქმეზე დასაკითხი მოწმეების ვინაობა. ეს ვიზუალური მასალა, აგრეთვე, უნდა ასახავდეს ამ მოწმეთა ჩვენებების მოკლე აღწერილობასაც. აღნიშნული ვიზუალური ეფექტის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მსაჯულები წინასწარ ეცნობიან დასაკითხ მოწმეებს და იმას, თუ რას უნდა მოელოდნენ ზოგადად ამა თუ იმ ჩვენების მიმცემი პირისაგან.

მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი ვიზუალური მასალა – ვიზუალური ეფექტის ეს სახეობა საუკეთესო საშუალებაა, რათა თავიდანვე გავაცნოთ ნაფიც მსაჯულებს საქმის მთავარი მოქმედი გმირები და მათ შორის არსებული ურთიერთობები. ამგვარი ინფორმაციის ამსახველი პოსტერის/სლაიდის საშუალებით მსაჯულები ადვილად დაიმახსოვრებენ, თუ ვინ არიან განსახილველი საქმის მხარეები და როგორ დამოკიდებულებაში არიან ისინი ერთმანეთთან. მართალია, მარტივ ს.ს. საქმეებზე ამგვარი ვიზუალური მასალის წარმოდგენა შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი, მაგრამ, როდესაც საქმეში ფიგურირებს არაერთი ბრალდებული ან/და რამდენიმე დაზარალებული, ზემოაღნიშნული ვიზუალური ეფექტი დაგეხმარებათ ერთიანი სურათის ჩამოყალიბებაში.

ქრონოლოგიის ამსახველი ვიზუალური მასალა – როდესაც საქმესთან დაკავშირებული ფაქტები გარკვეული პერიოდის მანძილზე ვითარდებოდა, მათი ქრონოლოგიის ამსახველი ვიზუალური მასალა (პოსტერი/სლაიდი) უადვილებს ნაფიც მსაჯულებს, ზუსტად აღიქვან ამ მოვლენების განვითარების დრო და თანმიმდევრობა.

საქმის კალენდარი – ამგვარი ვიზუალური მასალა საშუალებას აძლევს ნაფიც მსაჯულებს, ზუსტი თარიღების მითითებით, მოვლენების განვითარების ამსახველი ვიზუალური ეფექტის მეშვეობით დაინახონ, თუ კონკრეტულად, როდის დაფიქსირდა ესა თუ ის ფაქტი. ე.წ. კალენდრის უპირატესობა ქრონოლოგიის ამსახველ პოსტერებთან/სლაიდებთან მიმართებაში გახლავთ ის, რომ იგი ეხმარება ნაფიც მსაჯულებს მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებული ზუსტი თარიღების დადგენაში.

ვიზუალური მასალა საქმეზე მოვლენათა განვითარების შესახებ – არსებობს შემთხვევები, როდესაც უცნობია, თუ კონკრეტულად როდის ჰქონდა ამა თუ იმ ფაქტს ადგილი. კალენდრის ან ქრონოლოგიის ამსახველი ვიზუალური ეფექტის გამოყენების შემთხვევაში, საჭიროა ვიცოდეთ საქმესთან დაკავშრიებული თითოეული მოვლენის

ზუსტი თარიღი. ხოლო, როდესაც ეს თარიღები საქმეში არ არის ზუსტად დადგენილი, მაშინ შესაძლებელია უბრალოდ გამოვიყენოთ *საქმეზე მოვლენათა განვითარების* იმგვარი ვიზუალური მასალა (პოსტერი/სლაიდი), რომელშიც საქმესთან დაკავშირებული ფაქტები და მოვლენები წარმოდგენილი იქნება მათი ლოგიკური თანმიმდევრობის მიხედვით.

სატელეფონო ჩანაწერების ამსახველი ვიზუალური მასალა – უმეტეს შემთხვევაში სატელეფონო ჩანაწერები გადამწყვეტ როლს თამაშობ სისხლის სამართლის საქმეებზე, განსაკუთრებით, თუ ეს ეხება გატაცების, ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებულ და თაღლითობის საქმეებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევებში კარგად უნდა იქნეს გამიჯნული საქმისათვის მნიშვნელოვანი ჩანაწერები სხვა არარელევანტური სატელეფონო საუბრებისაგან, რათა არ მოხდეს ნაფიც მსაჯულთა დაბნევა და შესაძლებელ იქნეს მტკიცებულების სათანადო გაანალიზება. შესაბამისად, *სატელეფონო ჩანაწერების ამსახველი* – ვიზუალური ეფექტების გამოყენება, წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას, რათა მოვახდინოთ მსაჯულთა ყურადღების კონცენტრირება, მხოლოდ საქმისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

სქემები/დიაგრამები – სქემები ეხმარება ნაფიც მსაჯულებს იმის გარკვევაში, თუ სად განხორციელდა კონკრეტულად ესა, თუ ის მოქმედება შემთხვევის ადგილზე. სქემის საშუალებით აგრეთვე შესაძლებელია დავაზუსტოთ სხვადასხვა მოწმის მიერ მითითებული ადგილმდებარეობა (მაგალითად, სად იდგა მოწმე კონკრეტულად, როდესაც მისივე განცხადებით, თვალნათლივ უცქერდა ბრალდებულის მოქმედებებს), ან გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების აღმოჩენის ზუსტი ადგილი. სქემაზე შეიძლება ასახულ იქნეს შენობის ინტერიერი ან ექსტერიერი, ან ქუჩები მათი გადაკვეთის წერტილებითურთ და ა. შ.

რუკები – ისევე როგორც სქემები, რუკები ეხმარება ნაფიც მსაჯულებს ორიენტაციაში. მათი საშუალებით შესაძლებელია ვაჩვენოთ მსაჯულებს, თუ სად დაფიქსირდა ესა თუ ის კონკრეტული შემთხვევა და ამავდროულად მივუთითოთ ზუსტ მანძილზე შესაბამის პუნქტებს შორის. რუკების მეშვეობით, ასევე შეგვიძლია დანაშაულის ჩადენის ადგილის იდენტიფიცირება ან ბრალდებულის/დაზარალებულის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის ილუსტრირება.

ფოტომასალა – არ არის აუცილებელი, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა „იმარჩიელონ“ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ, მაგალითად, თუ, როგორ გამოიყურებოდა დანაშაულის ადგილი. ფოტოსურათი საუკეთესო საშუალებაა მსაჯულებისათვის ზუსტი წარმოდგენის შესაქმნელად მომხდარის ან სხვა რაიმე გარემოების შესახებ.

სასამართლო განხილვა

სასამართლო განხილვის ეტაპზე თქვენ გესაჭიროებათ, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა სწორად შეაფასონ და ღრუბელივით შეისრუტონ თქვენი კლიენტის სასარგებლოდ პროცესზე წარმოდგენილი ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება. სხდომაზე განსახილველ მტკიცებულებათა უმრავლესობა, როგორც წესი წარმოდგენილია მოწმის ჩვენებების სახით. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც მოწმეს დაკითხვისას წარედგინება დოკუმენტები ან სხვა მტკიცებულებები, რომლებსაც ის განმარტავს ან ადასტურებს/აღწერს თავის ჩვენებაში.

ვიზუალური ეფექტები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე

მიუხედავად იმისა, რომ საქმის *სასამართლო განხილვის* ეტაპზე ფიზიკურად არ არის შესაძლებელი მრავალი ვიზუალური ეფექტის გამოყენება, ადვოკატი მაინც უნდა ეცადოს, გამონახოს გზები მათ საჩვენებლად, რადგან ეს დაგეხმარებათ გრძელი და მოსაწყენი ჩვენების უფრო ეფექტურად და ლაკონიურად წარმოდგენაში.

როდესაც მოწმეს ამა თუ იმ ფოტოს ან დოკუმენტს წარუდგენთ, ის აუცილებლად უნდა აჩვენოთ ნაფიც მსაჯულებსაც. არასწორია, თუ დაკითხვისას მოწმეს ვუჩვენებთ რაიმეს, რისი დანახვის საშუალებაც არ აქვთ მსაჯულებს. გაითვალისწინეთ, რომ მიუღებელია მსაჯულმა არ იცოდეს, თუ რაზე საუბრობს მოწმე. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება თუ წარდგენილი ფოტო ან დოკუმენტი, გამოსახული იქნება დიდ ეკრანზე ან პოსტერზე, ისე, რომ ნაფიცი მსაჯულებიც სათანადოდ ხედავდნენ მას მოწმის პარალელურად.

მაგალითისათვის ქვემოთ მოცემულია ზემოხსენებული კატეგორიის მტკიცებულებათა მოკლე ჩამონათვალი და მათი ვიზუალური ეფექტის საშუალებად ქცევის შესაბამისი პროცედურები.

ფოტომასალა

იმისათვის, რომ ნაფიცი მსაჯულები კარგად ხედავდნენ, თუ რა წარედგინა მოწმეს კონკრეტულად და რაზე საუბრობს იგი მოცემულ მომენტში, ფოტოები უნდა იყოს დიდი ზომის და მათი დანახვა შესაძლებელი იყოს შორი მანძილიდანაც. მაგალითად, 8 X 13 (სმ.) ზომის ფოტო ძალიან პატარაა ამგვარი პრეზენტაციისათვის და მიზანშეწონილია, რომ სასამართლოში ვიზუალურ ეფექტად წარმოდგენილი ფოტოს ზომა, სულ მცირე 20 X 30 (სმ.) მაინც იყოს.

ყველა ფოტო მიმაგრებული უნდა იყოს შესაბამის სტენდზე, რათა ნაფიც მსაჯულებს შეეძლოთ მათი დანახვა მაშინ, როდესაც მოწმე აღწერს ფოტოზე გამოსახულ ამა თუ იმ სურათს. მართალია, ზოგადად შესაძლებელია, რომ სტანდარტულ სტენდზე ერთდროულად, ზემოთ მითითებული ზომის რვა ფოტო განთავსდეს, უმჯობესია, თუ ერთ სტენდზე ექვს ფოტოზე მეტი არ იქნება წარმოდგენილი.

ფოტოებისათვის განკუთვნილი ყოველი სტენდი უნდა იქნეს დასათაურებული. მასზე აღნიშნული უნდა იყოს განსახილველი საქმის დასახელება და ფოტოებზე ასახული ადგილების ან მოვლენების მოკლე აღწერილობა, იმგვარი თანმიმდევრობით, რომ მსაჯულებმა შეძლონ მათი სწორად გარჩევა. იმის ნათელსაყოფად, თუ რომელ კონკრეტულ სურათზე საუბრობს მოწმე, სასურველია დაინომროს თითოეული ფოტო.

მტკიცებულებები – არსებობს შემთხვევები, როდესაც საჭირო ხდება მტკიცებულებების გადიდებულ ფორმატში წარმოდგენა, რათა სასამართლო განხილვის ყველა მონაწილემ შეძლოს მათი ნახვა და სათანადოდ დათვალიერება. მაგალითად, ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია შესაბამისი დოკუმენტის დიდი ზომის პოსტერზე გადატანა და სტენდზე გაკვრა, ან სპეციალური სკანერისა და პროექტორის საშუალებით დიდ ეკრანზე გამოტანა.

პოლიციის ანგარიში – ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიციის მიერ შედგენილი ანგარიში გადამწყვეტი ხდება საქმეზე თქვენთვის სასურველი შედეგის მისაღებად. როგორც დანარჩენი ზემოაღიშნული მტკიცებულებების შემთხვევაში, თქვენ აქაც

შეგიძლიათ პოლიციის ანგარიში წარმოადგინოთ გადიდებულ ფორმატში და ყველასათვის თვალსაჩინო მდგომარეობაში, რათა მოხდეს მასში ასახული საინტერესო ინფორმაციის ეფექტური გამოაშკარავება.

ექსპერტი მოწმის ჩვენება – ზოგიერთ ექსპერტ მოწმესთან მიმართებაში თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ვიზუალური ეფექტები (პოსტერები/ფოტომასალა) მათი კვალიფიკაციის, ჩატარებული კვლევის პროცედურებისა და გაცემული დასკვნის სამეცნიერო საფუძვლების საილუსტრაციოდ.

არგუმენტის ეტაპი

ზემოაღნიშნული ეტაპი აბსოლუტურად განსხვავდება სასამართლო პროცესის ყველა დანარჩენი ეტაპისაგან. ამ დროს აუცილებელია იყოთ მაქსიმალურად დამაჯერებელი. უნდა შეაჯამოთ თქვენ მიერ წარმოდგენილი დაცვის მტკიცებულებები და მიმოიხილოთ ყველა ის მტკიცებულება, რომელიც ბრალდების მხარემ წარმოადგინა.

გახსოვდეთ, რომ ნაფიცი მსაჯულები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და შესაბამისად, მათი ყურადღების მოცულობა შეზღუდულია. ადვოკატის მიზანი კი არის ის, რომ მისი დასკვნითი სიტყვა იყოს **დამაჯერებელი და ადვილად დასამახსოვრებელი**.

რა თქმა უნდა, არ არის მარტივი, დასკვნით სიტყვაში მოკლედ მიმოვიხილოთ და სათანადოდ შევაჯამოთ ყველა ის მტკიცებულება, რომელთა გამოკვლევა სასამართლოში დღეების მანძილზე გრძელდებოდა. ამ შემთხვევაში დილემას წარმოადგენს ის, თუ როგორ გადმოვცეთ ჩვენი არგუმენტები, რაც შეიძლება მოკლედ და ლაკონიურად და ამავდროულად მოვიცვათ საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა საკითხი.

არგუმენტის ეტაპზე გამოსაყენებელი ვიზუალური ეფექტები

თუკი გვსურს, რომ დასკვნითი სიტყვა იყოს ლაკონიური, დამაჯერებელი და ადვილად დასამახსოვრებელი, აუცილებელია ვიზუალური ეფექტების გამოყენება. არაფერი ისე არ უწყობს ხელს ნაფიც მსაჯულთა ინტერესის შენარჩუნებას, როგორც ვიზუალური მასალის გამოყენება. ადამიანებს უფრო მეტად გვამახსოვრდება ის, რასაც **ვხედავთ**, ვიდრე ის რაც **გვესმის**, განსაკუთრებით პრეზენტაციის დაწყებიდან პირველი 15 წუთის შემდეგ. „ჩარტებისა“ და „სლაიდების“ გამოყენება ეხმარება ნაფიც მსაჯულებს, რათა მოახდინონ ფაქტებისა და ნორმების სრულყოფილი გაანალიზება და შესაბამისად, სწორად შეაფასონ განხილული მტკიცებულებები.

ქვემოთ მოცემულია იმ ვიზუალური მასალის რამდენიმე მაგალითი, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული არგუმენტის ეტაპზე. მართალია, ზოგიერთი მათგანი, შესაძლოა, არ მიესადაგებოდეს თქვენი კონკრეტული კლიენტის სისხლის სამართლის საქმეს, მაგრამ დაგეხმარებათ თქვენთვის სასურველი და მისაღები იდეების განვითარებაში. თუმცა, როგორც წესი, ამ ეტაპზე გამოყენებული ვიზუალური ეფექტები უნდა შეიცავდეს ამონარიდებს ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციებიდან დანაშაულის ელემენტებსა და სამართლებრივ განსაზღვრებებთან დაკავშირებით.

ფაქტების ამსახველი ვიზუალური მასალა

მოწმეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტები – გულისხმობს ყოველი მოწმის ან დაზარალებულის მიერ სასამართლო სხდომაზე გაჟღერებული მნიშვნელოვანი ფაქტების ამსახველი ვიზუალური მასალის მომზადებას.

კონკრეტულ ბრალდებათა მიხედვით დაჯგუფებული ფაქტები – ამ შემთხვევაში ხდება კონკრეტული, წარდგენილი ბრალდებების მიხედვით შესაბამისი ფაქტების დაჯგუფება და წარმოდგენა ვიზუალური მასალის საშუალებით.


ფაქტების დაჯგუფება ცალკეულ ბრალდებულთა მიხედვით – თუ საქმეში რამდენიმე ბრალდებული მონაწილეობს, ფაქტების დაჯგუფება თითოეული ბრალდებულის მიხედვით და მათი ვიზუალური ეფექტის სახით ნაფიც მსაჯულთა წინაშე ილუსტრირება დაგეხმარებათ თქვენი დასკვნითი სიტყვის სათანადოდ ორგანიზებასა და ეფექტურად წარმოდგენაში.

განზრახვა

ბრალდებულის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენის გამომრიცხველი ვიზუალური მასალა – ამგვარი ხასიათის ვიზუალური ეფექტი წარმოადგენს იმ მტკიცებულებათა ჩამონათვალს, რომლებიც გამორიცხავენ ბრალდებულის ქმედებაში განზრახვის არსებობას.

„მიმართულებითი" ვიზუალური ეფექტები – არსებობს „მიმართულებითი" ვიზუალური ეფექტების რამდენიმე სახეობა – ისრები, მოზაიკა, ე.წ. მტკიცებულებების კედელი, პირამიდა და სამიზნე. ყოველი მათგანი წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას, რათა მოხდეს ბრალდებულის სასარგებლო მტკიცებულებათა ერთიანი ეფექტით წარმოდგენა. „მიმართულებითი" ვიზუალური ეფექტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა ისრები (მაგ.: იხილეთ სურათი №1), რომელიც წარმოადგენს ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებების ჩამონათვალს და მიუთითებს მის უდანაშაულობაზე.

სურათი №1



მტკიცებულებათა ჩამონათვალი (სია) – ზოგიერთ შემთხვევაში მტკიცებულებები არ მიესადაგება რა ზემოაღნიშნულ რომელიმე კატეგორიას, შესაძლებელია პოსტერის მეშვეობით თვალსაჩინოდ წარმოვადგინოთ იმ მიზეზთა ჩამონათვალი, რომლებიც მიუთითებენ ბრალდებულის უდანაშაულობაზე.

ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები – მსაჯულთა მიერ განსახილველ ყოველ ს.ს. საქმეზე წარმოდგენილი იქნება ნაფიც მსაჯულთა შესაბამისი ინსტრუქციები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციების ილუსტრირების ორი ფორმა, რომლებიც მოიცავენ როგორც ამონარიდებს დანაშაულის ელემენტების შესახებ, აგრეთვე სხვადასხვა სამართლებრივი კონცეფციის განსაზღვრებებს. ამგვარ ვიზუალურ მასალაში მეტი ეფექტურობის შეტანის მიზნით, ასევე შეგიძლიათ ჩართოთ მოსანიშნი უჯრედები, რომლებსაც აღნიშნავთ თანმიმდევრულად თითოეული საკითხის გავლის პარალელურად (იხ. სურათი №2).



არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა

სურათი №2

კონტრარგუმენტები

კონტრარგუმენტების ეტაპი სასამართლო პროცესის სრულიად განსხვავებული და მნიშვნელოვანი სტადიაა. მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარეს არ აკისრია მტკიცების ტვირთი, მოწინააღმდეგე მხარის მიერ გამოთქმული არგუმენტების გაბათილებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯეროვანი დაცვის განხორციელების კუთხით. მართალია, ადვოკატის მიზანს ამ შემთხვევაშიც წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა დარწმუნება, მაგრამ ეს განსხვავებული გზით ხორციელდება. მაშინ, როდესაც ზემოთ განხილულ „არგუმენტის“ ეტაპზე ჩვენ ვახდენთ მტკიცებულებათა შეფასებას და ვარწმუნებთ ნაფიც მსაჯულებს, რომ ბრალდების მხარემ ვერ შეძლო დანაშაულის ელემენტების გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დამტკიცება, „კონტრარგუმენტების“ სტადია უკვე ითვალისწინებს მოწინააღმდეგე (ბრალდების) მხარეზე პირდაპირი იერიშის განხორციელებას.

შეადარეთ პროკურორის მიერ მოთხრობილი ვერსია საქმეში არსებულ ფაქტებს. ბრალმდებელი აუცილებლად შეეცდება თქვენი მოწმეების დისკრედიტაციას, ამიტომ იყავით მზად, რათა მოახდინოთ მათი რეაბილიტაცია, ხოლო ბრალდების მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებების – ეჭვქვეშ დაყენება. დასვით იმგვარი შეკითხვები, რომლებსაც ბრალდების მხარემ თავი აარიდა. ეს არის დრო, როდესაც თქვენ ნაფიც მსაჯულებს უნდა დაანახოთ, რომ პროკურორმა ვერ შეძლო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაემტკიცებინა თქვენი დაცვის ქვეშ მყოფის მიერ დანაშაულის ჩადენა.

ვიზუალური ეფექტის საშუალებები „კონტრარგუმენტის“ სტადიაზე

გარდა ამისა, არსებობს ზოგიერთი ისეთი ვიზუალური ეფექტი, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ აღნიშნულ სტადიაზე. უმეტესწილად, თქვენ შესაძებელია წინასწარ განჭვრიტოთ, თუ რა არგუმენტები იქნება პროკურორის მიერ თქვენი კლიენტის წინააღმდეგ მოყვანილი და ამის გათვალისწინებით შეძლებთ შესაბამისი ვიზუალური მასალის მომზადებას სასამართლო სხდომის დაწყებამდე. ზოგიერთ შემთხვევაში კი შესაძლოა უბრალოდ დატოვოთ ცარიელი ადგილები წინასწარ მომზადებულ „პოსტერზე“ ან „სლაიდზე,“ რომელსაც შეავსებთ ბრალმდებლის გამოსვლის პარალელურად და გამოიყენებთ თქვენს დასკვნით სიტყვაში.

„კონტრარგუმენტის“ სტადიაზე წარმოსადგენი სტანდარტული ვიზუალური მასალა:

შედარება – სპეციალურად მომზადებული „პოსტერების“ ან „სლაიდების“ საშუალებით შეგიძლიათ წარმოადგინოთ პროკურორის მიერ ბრალდების დასადასტურებლად წარმოდგენილი არგუმენტების ნუსხა და შეადაროთ ისინი საქმეზე დადგენილ ფაქტებს ან/და თქვენ მიერ მოყვანილ არგუმენტებს. ფაქტებისა და არგუმენტების შედარების ეს ფორმა ძალიან ეფექტურია (როდესაც საქმე ამის შესაძლებლობას გაძლევთ) და იგი მკვეთრად წარმოაჩენს პროკურორის მიერ მოყვანილი არგუმენტების დაუსაბუთებლობას.

მოწმეების სანდოობა – ეს არის ვიზუალური ეფექტის ერთ-ერთი ყველაზე იოლად მოსამზადებელი ფორმა. პოსტერის ან სლაიდის ერთ მხარეს გააკეთეთ ბრალდებისა და დაცვის მხარეების მიერ წარმოდგენილი მოწმეების ჩამონათვალი, ხოლო მეორე – მარჯვენა მხარეს ჩამოწერეთ ყველა ის ფაქტორი, რომლებიც დაეხმარება ნაფიც მსაჯულებს მოწმეთა სანდოობის შეფასებაში. მიუთითეთ, თუ რატომ არიან ბრალდების მოწმეები მიკერძოებული და რა ინტერესი გააჩნიათ მათ საქმის შედეგის მიმართ.

შეკითხვები ბრალდების მხარეს – ამგვარი ვიზუალური მასალის მომზადება მოითხოვს ყველაზე მეტ წინდახედულობას. ის ეფექტური საშუალებაა, რათა წარმოვაჩინოთ ბრალმდებლის მიერ მოყვანილი არგუმენტების სისუსტე. ძალიან შთამბეჭდავია, როდესაც ადვოკატი დასვამს ისეთ შეკითხვებს, რომლებსაც ბრალდების მხარემ თავი აარიდა.

რა იმალება ბრალდების მიღმა? – ეს არის ყველაზე დრამატული საშუალება, რათა ნაფიც მსაჯულებს აჩვენოთ, რომ ბრალდების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები უსაფუძვლოა და არ გამომდინარეობს საქმეზე დადგენილი უტყუარი ფაქტებიდან. პროკურორის მიერ გაჟღერებული არგუმენტების სათითაოდ გაბათილების გზით, თქვენ შეძლებთ დაარწმუნოთ ნაფიცი მსაჯულები წარდგენილი ბრალდების უსაფუძვლობაში.

საპროცესო შეთანხმება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

შესავალი

სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის დაწყებამდე, ბრალდებულმა და მისმა ადვოკატმა უნდა გადაწყვიტონ, სურთ თუ არა, რომ მოხდეს მათი საქმის არსებითი განხილვა სასამართლო პროცესზე. თუკი, დაცვის მხარე გადაწყვეტს, რომ საქმის სასამართლო განხილვა მათ ინტერესში არ შედის, მაშინ მათ შემდეგი ორი ალტერნატივა გააჩნიათ: 1. დაამტკიცონ ბრალდებულის უდანაშაულობა საქმის სასამართლო განხილვის გარეშე და მიაღწიონ პროკურორის მიერ, სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას; ან, 2. გააფორმონ საპროცესო შეთანხმება პროკურორთან.

წინამდებარე თავი მიმოიხილავს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს საქართველოში, მოცემული სახელმძღვანელოს გამოცემის დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით.

საპროცესო შეთანხმება საქართველოში

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ქართულ კანონმდებლობაში პირველად შემოღებული იქნა, 2004 წლის 13 თებერვალს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული დამატებებისა და ცვლილებების შედეგად, რომლის თანახმად, საპროცესო შეთანხმების მიზანი განისაზღვრა, როგორც სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა (იმჟამად მოქმედი **სსსკ-ის 151 მუხლი**). შესაბამისად, საპროცესო შეთანხმება შესაძლებელია დადებულ იქნას ნებისმიერი დანაშაულის საქმეზე, იქნება ეს ნაკლებად მძიმე, მძიმე თუ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული. საპროცესო შეთანხმების დღეისათვის მოქმედი მოდელი კი, წარმოდგენილი იქნა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიერ, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ოქტომბერს. აღნიშნულული ს.ს.ს. კოდექსი ადგენს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ შემდეგ წესებსა და პრინციპებს:

სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმების საფუძველია შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე. სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალს, თუმცა ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად განთავისუფლებაზე. სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლობა. საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორი ვალდებულია ბრალდებული გააფრთხილოს იმის თაობაზე, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს მას სამოქალაქო ან სხვა სახის

პასუხისმგებლობისაგან. თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მოადგილეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ. ამ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 209, ნაწილი: I, III, IV, V, VI)**

საპროცესო შეთანხმების დადების შეთავაზება შეუძლია როგორც ბრალდებულს (მსჯავრდებულს), ისე პროკურორს. ასევე, საქმის განხილვისას სასამართლო უფლებამოსილია მხარეებს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმების დადება. საპროცესო შეთანხმება იდება ზემდგომ პროკურორთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით. დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება ადვოკატის უშუალო მონაწილეობისა და მის დადებაზე ბრალდებულის წინასწარი თანხმობის გარეშე. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 209, ნაწილი: II; მუხლი 210, ნაწილი: I, IV)**

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორს უფლება აქვს, მოითხოვოს ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირება ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე. ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირების ან ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე, ქმედების მართლსაწინააღმდეგოობა და ბრალეულობის ხარისხი. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 210, ნაწილი: II, III)**

დაუშვებელია ისეთი საპროცესო შეთანხმების დადება, რომელიც უზღუდავს ბრალდებულს უფლებას, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 210, ნაწილი: V)**

თუ პროკურორი და ბრალდებულის ადვოკატი შეთანხმდებიან თანამშრომლობაზე, პროკურორი ადგენს შუამდგომლობას, რომელშიც აღინიშნება შეთანხმების შინაარსი. შუამდგომლობას ხელს აწერენ პროკურორი, ბრალდებულის ადვოკატი და ბრალდებული. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 211, ნაწილი: III)**

სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს (ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 211, ნაწილი: I):

a) ბრალდებულის სახელი და გვარი, დაბადების რიცხვი, თვე და წელი;

b) ბრალდებების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;

g) მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა;

d) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული;

e) პროკურატურის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ზომა;

v) მითითება ს.ს.ს. კოდექსის 209-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გაფრთხილების შესახებ ან იმავე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მაოდგილის მიერ მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ბრალდებულის წერილობით განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ ბრალდებული და მისი ადვოკატი, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანაზე თანხმობა ბრალდებულმა ნებაყოფლობით განაცხადა ადვოკატისგან იურიდიული დახმარების მიღების შემდეგ. ამასთანავე, ბრალდებული სრულყოფილად უნდა აღიქვამდეს შუამდგომლობის შინაარსს და მოსალოდნელი განაჩენის სამართლებრივ შედეგებს. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 211, ნაწილი: II)**

პროკურორის შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე საჯაროა, გარდა იმ ნაწილისა, სადაც მითითებულია ბრალდებულის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 211, ნაწილი: VI)**. ბრალდებულის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ მის ხელმომწერ პირებსა და სასამართლოს, გარდა ს.ს.ს. კოდექსის 209-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის თანახმად, "ბრალდებულისათვის (მისი ადვოკატისათვის), რომლის შესახებაც საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სხვა ბრალდებული გამოძიებას აწვდის მამხილებელ ინფორმაციას, ამ საპროცესო შეთანხმების შინაარსი, გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაციის ჩათვლით, სრულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი."

საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით და დამტკიცდეს სასამართლოს მიერ. საპროპცესო შეთანხმება უნდა აისახოს სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში. სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ საპროცესო შეთანხმება დადებულია ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე ნებაყოფლობით და რომ ბრალდებულს ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო კვალიფიციური იურიდიული დახმარება **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 212, ნაწილი: I, II.)**.

მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება. სასამართლო ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე დარწმუნდეს, რომ:

a) ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც ედება მას ბრალი;

b) ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალ-

ისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს;

g) ბრალდებულისთვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ;

დ) ბრალდებული აცნობიერებს, რომ თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი მიაწვდის სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას;

ე) ბრალდებული აცნობიერებს, რომ მას აქვს შემდეგი უფლებები:

ე. ა) დაცვის უფლება;

ე. ბ) უფლება, უარი განაცხადოს საპროცესო შეთანხმებაზე ბრალის აღიარების შესახებ;

ე. გ) უფლება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვისა;

v) საპროცესო შეთანხმება არ არის შედეგი ბრალდებულის იძულებისა, დაშინებისა ან ისეთი დაპირებისა, რომელიც სცილდება საპროცესო შეთანხმების ფარგლებს;

z) ბრალდებული ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს;

T) ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობა ასახულია საპროცესო შეთანხმებაში;

ი) ბრალდებული და მისი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 212, ნაწილი: III, V.)**

საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე, სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს ბრალდებულისგან, რომ მის მიმართ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან არ ყოფილა წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა. მოსამართლე აგრეთვე ვალდებულია განუმარტოს ბრალდებულს, რომ მის მიერ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 212, ნაწილი: IV.)**

სასამართლო უფლებასმოსილია, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვის შედეგად, მიიღოს გადაწყვეტილება - სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის, საქმის პროკურორისთვის დაბრუნების ან კანონით დადგენილი წესით, საქმის არსებითი განხილვის თაობაზე. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 213, ნაწილი: I.)**

სასამართლო საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე ამოწმებს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება და არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი

განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი, ასევე რამდენად ნებაყოფლობით მოხდა ბრალის აღიარება. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 213, ნაწილი: III.)**

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებანი პირის ბრალის დასადასტურებლად, ხოლო მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი, მას გამოაქვს განაჩენი სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის, პროკურორის მიერ წარდგენიდან - 15 დღის ვადაში. განაჩენის გამოტანიდან 3 დღის ვადაში მსჯავრდებულს, მის ადვოკატს და პროკურორს გადაეცემათ განაჩენის ასლები. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 213, ნაწილი: IV, მუხლი 216.)**

თუ წინასასამართლო სხდომის ჩატარებამდე იხილება შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე და სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ბრალის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებანი, ან დაადგენს, რომ შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე წარდგენილია ამ თავის მოთხოვნათა დარღვევით, იგი საქმეს უბრუნებს პროკურორს. სასამართლო პროკურორისათვის საქმის დაბრუნებამდე მხარეებს სთავაზობს, შუამდგომლობის სასამართლო განხილვისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან. თუ სასამართლოს შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი საქმეს უბრუნებს პროკურორს. სასამართლო უფლებამოსილია საპროცესო შეთანხმებაში ცვლილებები შეიტანოს მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 213, ნაწილი V, VI, VIII.)**

ბრალდებულს უფლება აქვს, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე, ნებისმიერ დროს თქვას უარი საპროცესო შეთანხმებაზე. უარის განცხადებას არ სჭირდება ადვოკატის თანხმობა. განაჩენის გამოტანის შემდეგ საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმა დაუშვებელია. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 213, ნაწილი: VII.)**

საპროცესო შეთანხმების შედეგად გამოტანილი სასამართლოს განაჩენი არ საჩივრდება, გარდა **ს.ს.ს. კოდექსის 215-ე მუხლით** (იხ. ქვემოთ) გათვალისწინებული შემთხვევისა, და კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.

მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს უარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში, 15 დღის ვადაში. მსჯავრდებულს უფლება აქვს, ამ თავით გათვალისწინებული განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ:

a) საპროცესო შეთანხმება მოტყუებით დაიდო;

b) ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება;

g) საპროცესო შეთანხმება იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით დაიდო;

დ) საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო ამ თავით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნა.

თუ მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმების პირობა, პროკურორი უფლებამოსილია დარღვევის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმებისას სასამართლო საქმეს უბრუნებს პროკურორს. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 215, ნაწილი: I, II, III, IV, V.)**

თუ სასამართლო გააუქმებს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენს ან ბრალდებული თვითონ განაცხადებს უარს საპროცესო შეთანხმებაზე, დაუშვებელია ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების მის საწინააღმდეგოდ გამოყენება **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 214.)**

საპროცესო შეთანხმების დადებამდე პროკურორი ვალდებულია გაიაროს კონსულტაცია დაზარალებულთან და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება. დაზარალებულს უფლება არა აქვს, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმება დაზარალებულს არ ართმევს უფლებას, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 217.)**

განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის საგამომძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ან/და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით იქმნება ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობები, საქართველოს მთავარ პროკურორს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების, ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის თაობაზე. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 218, ნაწილი: I.)**

განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ხელს აწერენ ბრალდებული/მსჯავრდებული, მისი ადვოკატი და საქართველოს მთავარი პროკურორი. განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში აღინიშნება, რომ თუ ბრალდებული/მსჯავრდებული არ ითანამშრომლებს საგამომძიებო ორგანოებთან, შეთანხმება, მისი პირობების შესაბამისად, ბათილად ჩაითვლება. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 218, ნაწილი: IV, V.)**

განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებისას საქართველოს მთავარმა პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმე და ბრალეუ-

ლობის ხარისხი; მსჯავრდებულის შემთხვევაში დამატებით მხედველობაში მიიღება სასჯელის მოუხდელი ვადა. შეთანხმება იდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის გახსნა ცალსახად განპირობებულია ზემოაღნიშნული თანამშრომლობით და ამ დანაშაულის გახსნის საჯარო ინტერესი აღემატება პირის პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის სასჯელის დაკისრების ან მის მიერ სასჯელის მოხდის ინტერესს. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 218, ნაწილი: III.)**

ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბრალდებული ითვლება ნასამართლევად. მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება დაუშვებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441,1442 და 1443 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 218, ნაწილი: VI, VIII.)**

მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას – მსჯავრდებულის სასავჯელის ვადის შემცირების, სასჯელის სახის შეცვლის ან მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების თაობაზე. მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ შუამდგლომლობას განიხილავს განაჩენის გამომტანი პირველი ინსტანციის სასამართლო. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. **(ს.ს.ს.კ-ი, მუხლი 218, ნაწილი: VII, IX.)**

დასკვნა

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინამდებარე თავი მიმოიხილავს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს საქრთველოში, მოცემული სახელმძღვანელოს გამოცემის დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით. თუმცა, იმისათვის, რომ ადვოკატი ეფექტურად ჩაერთოს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ მოლაპარაკებებში და მიაღწიოს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის სასურველ შედეგს, მხოლოდ კანონმდებლობის საფუძვლიანად შესწავლა არ არის საკმარისი. ადვოკატს სასურველი გარიგების მისაღებად, ამავდროულად ესაჭიროება, როგორც საქმის სათანადოდ მომზადება (რათა შექმნას საფუძვლები დაითანხმოს პროკურორი საპროცესო შეთანხმების გაფორმების საკითხზე მოლაპარაკების დაწყებისათვის), ასევე მოლაპარაკების წარმატებით წარმართვისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შესწავლა-გამომუშავება.

დასკვნა

სახელმძღვანელოს წინამდებარე ნაწილი არ მოიცავს ვიზუალური ეფექტების ყველა სახეობას, რომლებიც ადვოკატმა შეიძლება გამოიყენოს პრაქტიკაში. სახელმძღვანელოს მიზანია, წარმოაჩინოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ზემოხსენებული ვიზუალური ეფექტების გამოყენება ფაქტის დამდგენის (მოსამართლე/მსაჯული) შეხედულებებზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით. საბოლოო ჯამში, ადვოკატმა თავად უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი ვიზუალური ეფექტის სახეობა როდის და როგორ გამოიყენოს. ყველა სისხლის სამართლის საქმე განსხვავდება ერთმანეთისაგან და არც კონკრეტული შემთხვევისათვის საჭირო აღჭურვილობაა ყოველთვის ხელმისაწვდომი. იყავით შემოქმედებითი და გამოიყენეთ ყველა, თქვენს ხელთ არსებული საშუალება, რათა სასამართლო პროცესზე თქვენი გამოსვლა ყოველთვის შთამბეჭდავი იყოს.

დასკვნითი შენიშვნები

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია იურისტებისათვის იმ ძირითადი უნარ-ჩვევების გადაცემა, რომლებიც მათ შეჯიბრებითობის სისტემაში სასამართლო პროცესების წარმატებით ჩატარებისთვის ესაჭიროებათ. სახელმძღვანელოს არ აქვს იმის პრეტენზია, რომ წარმატებულ ადვოკატად ქცევისთვის საჭირო ყველა უნარ-ჩვევას შეიცავს.

მკითხველმა უნდა მოიძიოს სხვა სასწავლო მასალა, რომელიც სასამართლო პრაქტიკის სხვადასხვა სფეროს შეეხება. მხოლოდ მუდმივი პრაქტიკის საფუძველზე შეძლებს ადვოკატი იმ უნარ-ჩვევების დახვეწას, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ჭეშმარიტ პროფესიონალად ჩამოყალიბება.

დაბოლოს, იმისათვის რომ, მიაღწიოთ წარმატებას სასამართლო პროცესზე, იყავით შემოქმედებითი და მოემზადეთ, მოემზადეთ და კიდევ ერთხელ მოემზადეთ!

გისურვებთ წარმატებებს!

TABLE OF CONTENTS

- **Introduction;**
- Before you go to court;
- **Case Analysis;**
- Analyzing the Facts and the Law;
- Preparing a persuasive trial story; developing a case theory; evaluating the evidences;
- The strategic Use of pre-trial motions;
- **Client Interview;**
- Building the Relationship With Your Client;
- The Initial Interview Checklist;
- **Witness Interviews**;
- Taking a witness statement;
- **Witness Preparation Checklist**;
- **Jury Instructions**;
- General Principles for Clear Communication;
- Specific Principles for Drafting Jury Instructions;
- **Presiding judge's Sample Instructions for Jury Trial;**
- **Instructions Issued by the Presiding Judge Before the Jury Retires for Deliberations**;
- **Jury Trial in Georgia**;
- **Effective Voir Dire**;
- Understanding Jurors' Nonverbal Communication;
- Prerequisites to Plan Voir Dire;
- **Jury Selection on Murder Cases;**
- **Sample Opinion Questions for Selected Criminal Voir Dire Topics**;
- **Opening Statement**;
- **Opening Statement on Murder Cases;**
- **Exhibits**;
- **Direct Examination**;

- **Important Issues Regarding Expert witnesses**;
- **Cross Examination**;
- **Impeachment**;
- **Cross-Examination of the Expert Witnesses**;
- **Trial on Murder Cases;**
- **Closing Argument**;
- **Closing Argument on Murder Cases**;
- **Objections**;
- **How to protect defendants rights during the Trial;**
- **Presentation Skills, Courtroom Technology and Visual Aids**;
- **Plea Agreement in Georgia;**
- **Final Remarks**.

სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის სასამართლო უნარ-ჩვევებში

ტექ. რედაქტორი კ. რუსიძე

რედაქტორი ნ. ელიზბარაშვილი

კორექტორი ნ. დარჩია

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
ტ. 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com

366